

გონა ჯაფარიძე

ქ ი ე ზ ა ნ ი

საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის
ისტორიაში

Gotcha Djaparidze

RESEARCHES

**Into the History of Georgia
and the Near East**

Volume I

**Publishing House
MKHEDARI
Tbilisi 2012**

გონა ჯაფარიძე

ქ ი ე ბ ა ნ ი

საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის
ისტორიაში

I ტომი

მხედარი
თბილისი 2012

კრებულში შესულია სხვადასხვა დროს, აღმოსავლური წყარო-ების საფუძველზე, დაწერილი სტატიები საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის შესახებ; აგრეთვე – რეცენზიები და მიმოხილვები. წიგნი განკუთვნილია საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

© საავტორო უფლებები დაცულია

ძიებანი

ISBN 978-9941-0-4626-1 (ყველა ტომის)

ISBN 978-9941-0-4627-8 (პირველი ტომის)

ტირაჟი 250 ცალი

საგამომცემლო
უზრუნველყოფა

ზაზა ხოზბერიძე
ირმა ჯიშკარიანი



გამომცემლობა „მხედარი“

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი 1, მე-4 სად.

ტელ: 2 99 72 95

ელ-ფოსტა: mkhedari@mkhedari.ge

ავტორის წინათქმა

კრებულში წარმოდგენილი სტატიების თემატიკა მოიცავს საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის საკითხებს, ისლამის გავრცელებას საქართველოში, გენეალოგიურ, ონომასტიკურ და ტოპონიმიკურ ძიებებს, ქართული დიპლომატიის ისტორიას, ქრონოლოგიას, ქართულ და ისლამურ ნუმიზმატიკასა და მეტროლოგიას, ქართული და უცხოური სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვებსა და რეცენზიებს. ისინი დაწერილია ქართული და აღმოსავლური, უპირატესად, არაბული (ნარატიული, ეპიგრაფიკული, დოკუმენტური, ნუმიზმატიკური) წყაროების საფუძველზე. ჩემ მიერ მოძიებულია არაერთი ახალი არაბული წყარო საქართველოს ისტორიისთვის და პირველადაა შემოტანილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

„ძიებანის“ პირველი ტომის სტატიები დაიწერა 1973-2009 წლებში და გამოქვეყნდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. თითქმის ყველა მათგანი, პუბლიკაციის შემდეგაც, რჩებოდა ჩემ თვალსაზრისში და იმ იმედით, რომ ოდესმე მოვახერხებდი ამ ნაშრომების შეკრებასა და ხელახალ გამოცემას, ვავსებდი მათ ახალი წყაროების მონაცემებითა და ახალი ლიტერატურით. მკითხველი ადვილად შეამჩნევს ამ დამატებებსა და ჩასწორებებს, რომლებიც სქოლიოებში მოტანილია კვადრატულ ფრჩხილებში. არასამეცნიერო ორგანოებში დაბეჭდილი ნაშრომები ამჟამად ქვეყნდება სრული სამეცნიერო აპარატით.

იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში „ძიებანის“ მეორე ტომიც გამოვა, რომელშიც შევა როგორც ადრე დაბეჭდილი, ისე – ახალი, გამოუქვეყნებელი ნაშრომებიც.

სტატიების თავდაპირველ მომზადებაში არაერთი რჩევა მივიღე ჩემი კოლეგებისგან. ინგლისური რეზიუმეების რედაქტორია არიანე ჭანტურია. ყველას უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

თბილისი,
2012 წ.

სარჩევი

ავტორის წინათქმა	5
შემოკლებები	8
ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები	11
შუა საუკუნეების არაბთა წარმოდგენები ქართველთა წარმომავლობის შესახებ	33
ნისბა ათ-თიფლისი VIII–XIV საუკუნეების ისლამურ სამყაროში	46
წანართა შესახებ	83
ერთი ტოპონიმის შესახებ იაჰია ანტიოქიელის „ისტორიაში“	97
აბულეთისძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის	103
ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში	112
ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზი	135
დიპლომატია 1123 წლის შარვანის კონფლიქტის დროს	156
რამდენიმე ეპიზოდი დემეტრე I-ის ზეობის ხანიდან არაბულ ისტორიულ წყაროებში	161
საქართველო და მოსულის ზენგიანთა საათაბაგო (XII ს-ის 60-იანი წლების დამდეგი)	173
ცდა ერთი თარიღის დადგენისა (თანაავტორი თ. ნატროშვილი)	182
ვახუშტი და XII–XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხი	201
„აჯა“ იბ ად-დუნია“ აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების ერთი ეპიზოდის შესახებ	212
გიორგი ლაშას გარდაცვალების თარიღის შესახებ	225
ახალი არაბული წყარო XIII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის	233
ად-დუმანისი – იშვიათი არაბული ნისბა	247

ერთი ეპიზოდი მეფე რუსუდანისა და მონღოლების დიპლომატიური კონტაქტების ისტორიიდან	253
XIII საუკუნის თბილელი მეცნიერი მარალის ობსერვატორიაში	264
ქართული ნობების ექსპორტის შესახებ XIII საუკუნეში	280
Уникальный дирхем Умм Джа‘фар (Зубайды) 181/797-98 г. (соавтор В.Н. Настич)	385
О некоторых аббасидских монетах с изображениями живых существ в собрании Государственного Эрмитажа (соавтор И.Г. Добровольский)	294
თბილისის ამირას ალი იბნ ჯა‘ფარის მონეტები	304
Новые добавления к работе Э. Цамбаура “Die Münzprägungen des Islams”	323
სხვადასხვა	
მიმოხილვები და რეცენზიები	
ერაყელი მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ	334
О некоторых методах и итогах анализа пробы восточных монет	338
Изучение мусульманской нумизматики VII-XIII вв. Ираке	356
Обзор новых зарубежных трудов по нумизматике Азербайджана	361
[რეც.] В. В. Зварич. Нумизматический словарь	368
[რეც.] В. Хинц. Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему. Перевод с немецкого Ю.Э. Брегеля; Е. Давидович. Материалы по метрологии средневековой Средней Азии. Москва, 1970	371
[რეც.] ციალა ღვაბერიძე. ილხანთა ირანის სპილენძის ფულის კატალოგი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მიხედვით). თბილისი, „მეცნიერება“, 1994	377

შემოკლება

ენიმპის მოამბე	აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე
ოსუ შრომები	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
ლს	გაზ. ლიტერატურული საქართველო
მაცნე (ელს)	მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია
მაცნე (იახის)	მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა ხელოვნების ისტორიის სერია
მაცნე (იეხის)	მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.
მსკი	მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
ნმანი	ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან
სა	კრ. საქართველო და აღმოსავლეთი
სიამ	კრ. საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები.
სინ	საქართველოს ისტორიის ნარკვევები
სსმ მოამბე	საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე
სსმა მაცნე	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
სძ	სემიტოლოგიური ძიებანი
ქდ	ქართული დიპლომატია. წელიწდეული
ქსა	ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
ქც	ქართლის ცხოვრება
ქწ	ქართული წყაროთმცოდნეობა
АН	Академия Наук
БСЭ	Большая Советская Энциклопедия
ЗВОИРАО	Записки Восточного отделения императорского русского археологического общества
ИМКУ	Исследования материальной культуры Узбекистана
ИФЖ	Историко-филологический журнал Академии Наук Армянской ССР
Л.	Ленинград

М.	Москва
НАА	Народы Азии и Африки
НЭ	Нумизматика и эпиграфика
ОИГ	Очерки истории Грузии
ООН	Отделение общественных наук
САДС	Средняя Азия в древности и средневековье (история и культура)
СВ	Советское востоковедение
СНБ	Страны и народы Востока
СПб	Санкт Петербург
СЭ	Советская этнография
Тб.	Тбилиси
Труды ГИМ	Труды государственного исторического музея
ЭВ	Эпиграфика Востока
AI	Ars Islamica
ANS MN	American Numismatic Society Museum Notes
ANS NNM	American Numismatic Society Numismatic Notes and Monographs
AAS	Les Annales archéologiques de Syrie
BÉO	Bulletin des Études Orientales de l'Institut Français de Damas
BGA	Bibliotheca Geographorum Arabicorum
BSOAS	Bulletin of the School of Oriental and African Studies
BZ	Byzantinische Zeitschrift
Georgica	Georgica. A Journal of Georgian and Caucasian Studies. Rustaveli Volumes
EI	Encyclopaedia of Islam. WebCD Edition. Brill Academic Publishers, 2003
EI ¹	Encyclopaedia of Islam, 1st ed., Leiden, 1913-1938
EI ²	Encyclopaedia of Islam, 2nd ed., Leiden, 1954-2004
EIr	The Encyclopaedia Iranica
HJAS	Harvard Journal of Asiatic Studies
HOS	Harvard Oriental Studies

IA	Islâm Ansiklopedisi
IOS	Israel Oriental Studies
IQ	The Islamic Quarterly
JA	Journal Asiatique
JAOS	Journal of the American Oriental Society
JESHO	Journal of the Economic and Social History of the Orient
JNSI	Journal of the Numismatic Society of India
JRAS	Journal of the Royal Asiatic Society
JRASGBI	The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland
MA	Melanges Asiatiques
MESA Bulletin	Middle East Studies Association Bulletin
MW	The Muslim World
NC	The Numismatic Chronicle
NCirc	The Numismatic Circular
NENIEH	Near Eastern Numismatics, Iconography, Epigraphy and History, ed. D. D. Kouymjian. American University of Beirut, 1974
NZ	Numismatische Zeitschrift
PO	Patrologia Orientalis
RÉA	Revue des Études Arméniennes, nouvelle série
RN	Revue Numismatique
SI	Studia Islamica

ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები*

პირველი კონტაქტები საქართველოსა და არაბ მუსლიმებს შორის VII საუკუნის 40-50-იან წლებში დამყარდა. აქედან მოყოლებული, საუკუნეების მანძილზე, საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები ჰქონდა არაბთა სახალიფოებთან, ახლო აღმოსავლეთის არაბულენოვან სამყაროსთან. ეს კავშირ-ურთიერთობები აისახა მრავალ არაბულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროში, რომლებიც ქართველებსა და საქართველოს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელით იხსენიებენ.

ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები, რა თქმა უნდა, უცნობი არ არის არაბისტებისა და სხვა მკვლევართათვის, მაგრამ, მთლიანობაში და სპეციალურად, ეს საკითხი ადრე მსჯელობის საგანი არ გამხდარა. წინამდებარე ნაშრომში ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები განხილულია ფართო წყაროთმცოდნეობითი ბაზის საფუძველზე. გათვალისწინებულია IX-XIX საუკუნეების ძირითადი არაბული ისტორიული, გეოგრაფიული და გენეალოგიური ჟანრის თხზულებები, არაბული განმარტებითი ლექსიკონები, დოკუმენტური და ეპიგრაფიკული წყაროები. გარდა ამისა, გამოყენებულია არაბულ ქვეყნებში მივლინებების დროს ჩვენ მიერ მოპოვებული ონომასტიკური მასალებიც.

1. VII საუკუნის 50-იან წლებში, სომხეთის დაპყრობის შემდეგ, არაბთა ლაშქარი ქართლისკენ დაიძრა. ქართლის ერისმთავარმა ბრძოლას თავი აარიდა და არაბებს მორჩილება გამოუცხადა. ქართლი (იბერია), არაბ. **ჯურზან** (جرزان), იყო ის ქვეყანა, რომელიც, არაბი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ალ-იაკუბის (გარდ. 897 ან 905 წ.) ცნობით, არაბთა სარდალმა ჰაბიბ ბ. მასლამამ დაიპყრო.¹

* ნაშრომი წაკითხულია მოხსენების სახით 1990 წ. 1 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემინარზე „ისლამური სამყარო. ისტორია. პოლიტიკა. კულტურა“. პირველად დაიბეჭდა 1993 წ. – კრ. *საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბ., გვ. 121-145. ხელახლა იბეჭდება დამატებებით და კორექტივებით.

ჰაბიბ ბ. მასლამამ თავისი ლაშქრობა სირიიდან დაიწყო. არაბ სარდალს ყველა შესაძლებლობა ჰქონდა იმისთვის, რომ ესარგებლა სირიელთა ინფორმაციით სამხედრო ექსპედიციის მარშრუტებისა და მონინალმდევე ქვეყნების შესახებ. მათ შორის იყო ქართლიც, რომლის სახელწოდება ამ პერიოდის სირიულში იყო **გურზან**.² ჩანს, ეს სახელწოდება არაბებისთვის სირიაშივე გახდა ცნობილი და ასევე მიიღეს იგი. მხოლოდ მისი პირველი ასო „გ“, რომელიც არაბულში არ არის, შეცვალეს „ჯ(იმ)“-ით“.

1.1. არაბულ ნარატიულ წყაროებში ჯურზანი ზოგჯერ იხსენიება წინაისლამურ ამბებთან დაკავშირებით – ალ-ბალაზურის (IX ს.) თანახმად, ჯურზანი ეპყრათ ხაზარებს.³ იგივე ავტორი და IX–X საუკუნეების არაბი გეოგრაფები მოგვითხრობენ ჯურზანის მინაზე ირანის შაჰის ხოსრო ანუ-შირვანის (531–579) აღმშენებლობით საქმიანობაზე.⁴ მაგრამ ამ ცნობათა წყაროების დაძებნა არ ხერხდება. X ს-ის ქრისტიანი არაბი ისტორიკოსის სა'იდ ბ. ბიტრიკის (ეგტიხის) თანახმად, ბიზანტიის იმპერატორმა ირაკლიმ (610–641), რომელიც ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ ტრაპიზონში დაბანაკდა (622 წ.), დახმარებისთვის მოუწოდა ჯურზანის მალიქს⁵ (ერის-მთავარს). ამ ცნობას შეიძლება ანალოგი მოვუძებნოთ ბიზანტიელი ის-

¹ ალ-ია'კუბი. *თა'რიხ ბაირუთ* (თარიღის გარეშე), გვ. 168₁₁.

² *The Syriac Chronicle Known as that of Zachariach of Mitylene*. London, 1899, გვ. 328. სირიული გურზან მომდინარეობს საშუალო სპარსულ warūčan-იდან, რაც **მგლის ქვეყანას** ნიშნავს. იხ. გ. წერეთელი. *საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის* და თ. ჩხეიძე. *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და პართულ ენებში*. – კრ. *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*, თბ., 1993, გვ. 92-106 და გვ. 107-120. დამატებით იხ. აგრეთვე: ი. აბულაძე. ტერმინ „გურჯის“ ეტიმოლოგიისათვის. – კრ. *მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის*. ტფ. 1934, გვ. 293-300; თ. ჩხეიძე. *ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან*. თბ., 1984, გვ. 42-43; Т. В. Гамкрелидзе. Вяч. Вс. Иванов. *Индоевропейский язык и индоевропейцы*. т. II, Тб., 1984, გვ. 496. J. Markwart. *Iberer und Hyrkanier*. – *Caucasica*, VIII, 1931, გვ. 78.

³ ალ-ბალაზური. *ფუთუჰ ალ-ბულდან*. ბაირუთ, 1398/1978, გვ. 197₂₁.

⁴ იქვე, გვ. 198₁₂; Ibn Khordhadbeh. *Kitab al-masalik wa'l-mamalik* (BGA, VI), Ed. M.J.de Goeje. Lugduni-Bataavorum, 1899, გვ. 123₉; Ибн Хордадбех. *Книга путей и стран*. Перевод с арабского, комментарии, исследование, указатели и карты Н. Велихановой. Баку, 1986, გვ. 109₉; Ibn al-Fakih al-Hamadani. *Compendium libri Kitab al-boldan* (BGA, V), Ed. M.J.de Goeje. Lugduni-Bataavorum, 1885, გვ. 288₆; Ibn al-Athir. *Al-Kamil fi'l-ta'rikh*. vol. I, Editeurs Dar Sader, Dar Beyrouth, 1965, გვ. 441₁.

⁵ Eutychiei Patriarchae Alexandrini. *Annales*. Pars posterior accedunt Annales Yahia Ibn Said Antiochensis. Conjuncta opera ediderunt L. Cheikho, B. Carra de Vaux, H. Zayyat. Parisis, 1909, გვ. 2₁₄ (შემდეგ სა'იდ ბ. ბიტრიკი, ანდა იაჰია ანტიოქიელი).

ტორიკოსის თეოფანე ჟამთააღმწერლის (გარდ. 818 წ.) „ქრონოგრაფში“.⁶

1.2. არაბულმა წყაროებმა შემოგვინახეს მრავალი ცნობა სახალიფოსა და ჯურზანის/ქართლის ურთიერთობის შესახებ. ის ჩანს ჰაბიბ ბ. მასლამას დაცვის სიგელში,⁷ რომელმაც VII ს-ის 40-50-იან წლებში განსაზღვრა ურთიერთობები დამპყრობელ არაბებსა და ქართველებს შორის. VIII ს-ის 20-იან წლებში ჯურზანი დაიპყრო მასლამა ბ. ‘აბდ ალ-მალიქმა.⁸ IX ს-ის დასაწყისში მას დაეუფლა თბილისის ამირა მუჰამად ბ. ‘ათაბი.⁹ 820 წ. აქ მოხდა აჯანყება არაბთა წინააღმდეგ.¹⁰ 842 წ. ჯურზანის ოლქში შეიჭრა არაბი სარდალი ხალიდ ბ. იაზიდი.¹¹ 853 წ. იგი დაიპყრო ბულა-თურქმა¹² და სხვ.

1.3. IX-X საუკუნეების არაბი გეოგრაფები ჯურზანს მიაკუთვნებენ არმინიას¹³ – არაბთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს VIII-IX საუკუნეების სამხრეთ კავკასიაში, რომელიც, ქართლის გარდა, აერთიანებდა, აგრეთვე, სომხეთსა და ალბანეთს (არრანს). არაბი ავტორები, ზოგჯერ, არმინიას ოთხ ნაწილად ყოფენ და ჯურზანს II არმინიაში ათავსებენ.¹⁴

1.4. ჯურზანი არაბულ წყაროებში ეთნიკონია, ე.ი. როგორც ქვეყანა, ისე – მისი მოსახლეობა. მაგალითად, ალ-მას‘უდი ზაბ ალ-აზვაბის (დარუბანდის) მთების მეზობლად მცხოვრებ ხალხთა შორის, ალანების, ხაზარებისა და აზხაზების გარდა, ასახელებს ჯურზანს¹⁵ – ე.ი. ქართლის მცხოვ-

⁶ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV, ნაკვ. I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1941, გვ. 95.

⁷ ალ-ბალაზური, გვ. 204.

⁸ ალ-ა‘კუბი, გვ. 318₁.

⁹ იქვე, გვ. 463₂₂.

¹⁰ В. Ф. Минорский. *История Ширвана и Дербенда X-XI веков*. М., 1963, გვ. 45₄₁ (თარგმანი); №₁₃ (არაბული ტექსტი).

¹¹ იქვე, გვ. 45₃₀ (თარგმანი); №₂₉ (არაბული ტექსტი).

¹² ალ-ბალაზური, გვ. 213₂₀.

¹³ Ibn Rusta. *Kitab al-a‘lak an-nafisa* (BGA, VII), Ed. M.J. de Goeje. Lugduni-Batavorum, 1892, გვ. 106₁₀; Ibn al-Fakih al-Hamadani, გვ. 22.

¹⁴ Ibn Khordhadbeh, გვ. 122₁₃; Ибн Хордадбех, გვ. 108₂₉; ალ-ბალაზური, გვ. 197₁₆₋₁₇; Ibn al-Fakih al-Hamadani, გვ. 287₇. არმინიას ოთხ ნაწილად დაყოფა მოდის ბიზანტიელთა ხანიდან. VI ს-ში იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) დროს იმპერიის მიერ დაპყრობილ სომხეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა ოთხი ადმინისტრაციული ერთეული: I, II, III და IV არმენია (Н. Адонц. *Армения в эпоху Юстиниана*. СПб, 1908, გვ. 172-73). არაბებმა მიიღეს ამ ერთეულების მხოლოდ სახელწოდებები, რომელთა შემადგენელი მხარეები და მათი საზღვრები (IV არმენიის გარდა) აღარ შეესაბამებოდა ბიზანტიურს (А. Н. Тер-Гевондян. *Армения и арабский халифат*, Ереван, 1977, გვ. 157). ბიზანტიის არმენიაში ქართლი არ შედიოდა.

¹⁵ Al-Mas‘udi. *Kitab al-tanbih wa‘l-ischraf* (BGA, VIII), Ed. M. J. de Goeje. Lugduni-Batavorum.

რებთ, იბერიელებს, ქართველებს. ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინებია აგრეთვე ალ-ჯურზ (الجز) და ალ-ჯურზია (الجزية). ალ-მას'უდი X ს-ის შუა ხანებისთვის ასახელებს ალ-ჯურზიას სამეფოს. ალ-ჯურზია აშკარად გრაფიკული შეცდომაა და უნდა იყოს ალ-ჯურზია.¹⁶ XIII ს-ის არაბი გეოგრაფი იაკუთი, რომელიც იმონმებს ალ-მას'უდის, იძლევა სწორედ ალ-ჯურზია ფორმას.¹⁷ ალ-ჯურზიას სამეფო შეესაბამება ქართველთა სამეფოს სამხრეთ საქართველოში. ალ-მას'უდის ცნობით, ალ-ჯურზია, რომელსაც ეწოდება ხაზრან resp. ჯურზან, მრავალრიცხოვანი ქრისტიანი ხალხია.¹⁸ XI ს-ის ისტორიკოსის იაჰია ანტიოქიელის თანახმად, დავით III კურაპალატი (975-1001) იყო მალიქ ალ-ჯურზან,¹⁹ მალიქ [ბილაღ] ალ-ჯურზია²⁰ ან მალიქ ალ-ჯურზ, ე.ი. ქართლის, ქართველთა [ქვეყნის] ან ქართველთა მეფე. ის იხსენიება, აგრეთვე, როგორც დავუდ ალ-ჯურზი²¹ – ე.ი. დავით ქართველი.

1.5. არის შემთხვევები, როცა არაბულ წყაროებში დამონმებულ ტერმინებში ჯურზან, ალ-ჯურზ, ან ალ-ჯურზია ასოებზე წერტილები გადაადგილებულია და გვაქვს, შესაბამისად, ხაზრან (الجز)، ალ-ხაზარ (الجزية) და ალ-ხაზარია (الجزية). ეს შეცდომები, ნაწილობრივ, გადამწერთა ბრალია, მაგრამ ზოგჯერ, განსაკუთრებით კი XII-XIII საუკუნეების არაბი ავტორები, ვფიქრობთ, შეგნებულად ცვლიდნენ იმ დროისათვის ნაკლებად ცნობილ და გავრცელებულ ჯრზ-ჯურზ-ს არაბთა ისტორიაში კარგად ცნობილი და უფრო გასაგები ხზრ-ხაზარ-ებით. მაგალითად, იბნ ალ-ასირის (გარდ. 1234 წ.) ცნობით, 421/1030წ. შადადიანი ამირა ფადლუნი თავს დაესხა ხაზარებს.²² ალ-ხზრ-ს ნაცვლად აქ უნდა ნავიკითხოთ ალ-ჯურზ, ქართველები. 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის (გარდ. 1201 წ.) თანახმად, დიდ სელჩუკთა სულთანმა ალფ-არსლანმა (1063-

1894, გვ. 184₈. ვ. მინორსკი ჯურზანს თარგმნის როგორც საქართველოს (Грузия), ისე – ქართველებს (грузины). В. Ф. Минорский. *История...*, გვ. 44, 45₃₀.

¹⁶ ალ-მას'უდი. *მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა ლ-მა'ადინ ალ-ჯავჰარ*. I, ბაბრუთ, 1978, გვ. 226₁₉.

¹⁷ იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ. I, არაბული ტექსტი, ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ. თბ., 1964, გვ. 42₂₁ (თარგმანი); 46₁₁ (არაბული ტექსტი).

¹⁸ ალ-მას'უდი. *მურუჯ*, გვ. 226₂₀.

¹⁹ იაჰია ანტიოქიელი, გვ. 171_{19,22}.

²⁰ იქვე, გვ. 184₇.

²¹ იქვე, გვ. 169₃; გ. ჯაფარიძე. ერთი ტოპონიმის შესახებ იაჰია ანტიოქიელის „ისტორიაში“. – *მაცნე* (იანვლის), 1986, №1, გვ. 87.

²² Ibn al-Athir. *Al-Kamil...*, vol. IX, Beyrouth, 1966, გვ. 409_{5,7}.

1072) დალაშქრა ბილად ალ-ხაზარ²³ – ხაზართა ქვეყანა, სინამდვილეში კი ბილად ალ-ჯურზ, ე.ი. ქართველთა ქვეყანა. იბნ ალ-ასირი წერს, რომ 1121 წ. ისლამის ქვეყნების წინააღმდეგ გამოვიდნენ ქურჯები, რომლებიც არიან ალ-ხაზარ/ხაზარები.²⁴ უეჭველია, რომ არაბი ისტორიკოსის წყაროში იქნებოდა ალ-ჯურზ. XII ს-ის ანონიმი სირიელი არაბი ისტორიკოსი დავით IV-ს ხაზართა²⁵ resp. ჯურზთა მეფეს უწოდებს. ასევე წერს მუჰამმად ალ-ჰამავი (XIII ს-ის I ნახევარი), რომელიც ალ-ხზრ/ხაზარებს ქართველთა აღსანიშნავად ხმარობს XII ს-ის 60-70-იან წლებამდე.²⁶ როგორც ჩანს, ამ პერიოდში ჯურზ ჯერ კიდევ გამოიყენებოდა არაბულში ქართველების აღსანიშნად,²⁷ მაგრამ მომდევნო ხანების

²³ ქिताბ თა 'რის დავლა ალ სალჯუკ, მინ ინშა' ალ-'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი. ისთისარ აშ-შაის ალ-იმამ ალ-ფათჰ ბ. 'ალი ბ. მუჰამმად ალ-ბუნდარი. მისრ, 1318/1900, გვ. 30₁₂ (შემდეგ: 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი).

²⁴ Ibn al-Althir. *Al-Kamil*, vol. IX, 1966, გვ. 567₂. იმავეს იმეორებს იბნ ალ-'იბრი (თა 'რის მუხთასარ ად-დუვალ, ბაარუთ, თარიღის გარეშე, გვ. 201₂₀). მოგვიანებით ად-დიმიშკი (გარდ. 1327 წ.) და იბნ ხალდუნი (გარდ. 1406 წ.) იბნ ალ-ასირის აღნიშნულ ცნობას ხაზართა და ქურჯთა ნათესაობის თვალსაზრისით განიხილავენ. ად-დიმიშკი არ ეთანხმება იბნ ალ-ასირს ქურჯთა და ხაზართა იგივეობის თაობაზე (Ed-Dimishqui. *Cosmography*. Texte Arabe, publié par M. A. Mehren. St. Pbg, 1866, გვ. 263); იბნ ხალდუნი კი იბნ ალ-ასირის დამონშეზისას აღნიშნავს, რომ ხაზარები თურქმენები არიან და, შესაძლოა, ქურჯები მათი ერთ-ერთი ტომიაო (იბნ ხალდუნ. *თა 'რის*. V, ბაარუთ, 1968, გვ. 104₁₁₋₁₃). ასეთმა მითითებებმა შეცდომაში შეიყვანა მურაჯა დ'ოსსონი (გარდ. 1807 წ.), რომელიც თვლიდა, რომ ქართველებს თავიანთი სახელი ხაზარებმა დაუტოვეს. ხ. მ. ფრენმა აღნიშნა ამ თვალსაზრისის მცდარობა და მიუთითა, რომ შეცდომა განაპირობა აბუ ლ-ფარაჯის (იგივე იბნ ალ-'იბრი) „ისტორიაში“ ჯურზის ხაზარად წაკითხვამ (Description Géographique de la Géorgie par le tsarévitch Wakhoucht publiée d'après l'original autographe par M. Brosset. St. Pbg, 1842, გვ. 55, შენ. 1; П. Иосселиани. *Различные наименования грузинов*. Тифлис. 1846, გვ. 28). ალბათ, სწორედ არაბული წყაროების ცნობათა მცდარ ინტერპრეტაციას ემყარება თურქი ისტორიკოსის მ. ბალას განცხადება, რომ სელჩუკთა ხანაში, მთელ სამხრეთ ამიერკავკასიასთან ერთად, საქართველოც „ხაზართა ქვეყნად ითვლებოდა“. M. Bala. *Gür-custan*. – *IA*, Cilt I. Istanbul, 1942, გვ. 837-845; ნ. შენგელია, XI-XIII სს. საქართველოს ისტორიის საკითხები თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში. – *თსუ შრომები*, ტ. 290, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1989, გვ. 157.

²⁵ Cl. Cahen. Une chronique syrienne du VI^e/XII^e siècle: Le “Bustan al-Jami’” – *BÉO*, Années 1937-1938, Le Caire. 1938, t. VII-VIII, გვ. 118.

²⁶ Мухаммад ал-Хамави. *ат-Та 'рих ал-Мансури (Мансурова хроника)*. Издание текста, предисловие и указатели П. А. Грязневича. М., 1960, გვ. 78_a, 78_b, 836_{2,3}, 86.

²⁷ აღსანიშნავია, რომ ეთნიკური ტერმინი „ჯურზ“ „Jorsy“, „Jörsy“, „Jorsii“, „Jörste“ და „Jorschittes“ ფორმით ცნობილი იყო იერუსალიმში ევროპელ პილიგრიმთათვის XV ს-შიც კი. G. Peradze. An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine. – *Georgica. A Journal of Georgian and Caucasian Studies*. Rustaveli Volumes. Nos. 4 and 5, 1937, გვ. 192, 195, 197; [Addenda: გრიგოლ ფერაძე. *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები ქართველი ბერებისა და*

ამბების აღწერისას, წყაროებში ეს ეთნიკური ტერმინი თითქმის აღარ გვხვდება.

2. ჯურჯანის პარალელური ფორმაა **ჯურჯან** (جرجان). ჩვეულებრივ, ჯურჯანი (გურგანი) კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მხარეა. იშვიათად, მაგრამ მაინც გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ის ნიშნავს ქართლს და ქართველებს. ამ მნიშვნელობით ეს ეთნიკონი, IV ს-ის ამბებთან დაკავშირებით, დასახელებულია ნ. მარის მიერ აღმოჩენილსა და გამოცემულ აგათანგელოსის „ისტორიის“ არაბულ ვერსიაში, ნმ. გრიგოლის, ნმ. რიფსიმესა და მათი მიმდევრების წამებაში,²⁸ რომელიც შედგენილია არაუადრეს X ს-ისა. შემდეგ ის გვხვდება ალ-ია‘კუბის „ისტორიაშიც“; ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის (786-809) დროს არაბთა წინააღმდეგ აჯანყებულან სანარიელები და ჯურჯანელები (*ას-სანარიია ვა ლ-ჯურჯან*) – ე.ი. ნანარები და ქართლის მოსახლეობა. ჯურჯანელებს ებრძვის არაბთა სარდალი სა‘იდ ბ. ალ-ჰაისამი.²⁹ ეთნიკური ტერმინი „ჯურჯან“, ისევე როგორც „ჯურჯან“, კრებითი სახელია. ქართველი წარმოდგენილია ფორმით **ჯურჯანნი** (جرجانني).³⁰

2.1. იაჰია ანტიოქიელის „ისტორიის“ პარიზულ ნუსხაში გიორგი I-ის (1014–1027) ტიტული მალიქ ალ-აბხაზ, ე.ი. აფხაზთა მეფე, განმარტებუ-

ქართული მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გ. ჯაფარიძემ. თბ., 1995, გვ. 43, 44, 48, 53, 72]; ზოგიერთი პილიგრიმი პირდაპირ აღნიშნავს, რომ “Jorsy”, “Jörsy”, “Jorsii” და “Jorschittes” არიან “Georgittes”, “Georgytes” – ქართველები (G. Peradze. დასახ. ნაშრ., გვ. 195, 197). XV–XVI სს. ევროპულ საპილიგრიმო ლიტერატურაში დამონმებული ქართველების აღმნიშვნელი კიდევ ორი ტერმინი “Cursy” და “Gorziani (Gorzianni)” (G. Peradze. დასახ. ნაშრ., გვ. 191, 196, 198) ასევე მოდის ჯურჯისა და მისი სპარსული ფორმიდან gurz (მრ. *gurzian*). ნ. მარი თვლიდა, რომ „გურზ“-იდან “Образованы ... с незначительным искажением не только “Грузия” (*Gur-Ziua), но и “Georgia” (Н. Марр. *Крещение армян, грузин, абхазов и алланов святым Георгием*. СПб, 1905, გვ. 196. შენ. 2). ანალოგიური თვალსაზრისი აქვთ იუსტ. აბულაძეს (დასახ. ნაშრ., გვ. 297) და გ. პაიჭაძეს (Г. Паичадзе. *Название Грузии в русских письменных исторических источниках*. Тб., 1989, გვ. 64). [Addenda: სხვა თვალსაზრისის შესახებ იხ. გ. ჯაფარიძე. Georgiani, ანუ როგორ უწოდებდნენ ლათინები ქართველებს პალესტინაში IX–XIII საუკუნეებში. – *თამარ გამსახურდია*. 70. საიუბილეო კრებული, მიძღვნილია თამარ გამსახურდიას ნათელი ხსოვნისადმი. თბ., 2007, გვ. 171-180, რეზიუმე ინგლ. ენაზე, გვ. 399].

²⁸ Н. Марр. *Крещение...*, გვ. 114_{1,3}, 134₆, 136_{7,9}, 136 (არაბული ტექსტი), 115₄, 135₉, 137₈₋₁₂ (თარგმანი). ჯურჯანის მსგავსად, რომელიც ასევე ხშირად გვხვდება ამ თხზულებაში (გვ. 116₂₄, 132₁₇, 134₉), ჯურჯანიც აგათანგელოსის „ისტორიაში“ ბერძნულ და სომხურ ვერსიებში დასახელებული იბერიისა და ვრაცის შესატყვისია. G. Garitte. *Documents pour l'étude du livre d'Agathange*. Città del Vaticano, 1946, გვ. 215.

²⁹ ალ-ია‘კუბი, გვ. 428_{11,13}.

³⁰ Н. Марр. *Крещение*, გვ. 136₈.

ლია, როგორც მალიქ ალ-ჯურჯან³¹ – ე.ი. ჯურჯანელთა, ქართველთა მეფე. XIV-XV საუკუნეებში ეგვიპტის სულტნებისა და ქართველ მეფეთა მიმონერაში ეს უკანასკნელნი ჯურჯანის (ქართველთა) მეფეებადაც იწოდებიან.³² მაგრამ მამლუქთა დიპლომატიკის ცნობილმა მკვლევარმა J. Wansbrough ყურადღება მიაქცია ვენეციისა და მამლუქების 846/1442 წ. ხელშეკრულებას, რომელიც შემონახულია იტალიურ და არაბულ ენებზე. ხელშეკრულების XVI მუხლის არაბ. ჯურჯანს შეესაბამება იტალიური *pelegrini*/პილიგრიმი. ამ და სხვა მასალების საფუძველზე მკვლევარი თვლის, რომ ეს სიტყვა, ზოგადად, აღნიშნავდა პილიგრიმსაც.³³ ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო იქნება იმის გარკვევა, თუ რა მნიშვნელობითაა ნახმარი სიტყვა ჯურჯანი, ეთონიმიის თუ პილიგრიმისა.³⁴

2.2. ჯურჯანიდან არის ნაწარმოები **ჯურჯი**, რაც ასევე ქართველისა და ქართულის ტოლფასია. XIII ს-ის არაბი ლექსიკოგრაფი ას-სალანი თბილისთან დაკავშირებით წერს: *თიფლის ალ-ქალიმა ჯურჯია*,³⁵ ე.ი. თბილისი ქარ-

³¹ იაჰია ანტიოქიელი, გვ. 239₁₄.

³² XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ (ალ-უმარი, ალ-მუჰიბი, ალ-კალკაშანდი) არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა, თბ., 1988, გვ. 53; სულთან ჯაკმაკის (1438-1453) 1440 წლით დათარიღებული წერილი ქართველთა მეფისადმი (Addenda: B. Abu Manneh. The Georgians in Jerusalem in the Mamluk Period. – *Egypt and Palestine*. Ed. by A. Cohen, G. Baer. New York, Jerusalem, 1984. გვ. 110, §). ამ ეთნიკურ ტერმინს – “Jorjan”, “Jorgan”, ქართველის მნიშვნელობით, იცნობს XII-XVI საუკუნეების ევროპული საპილიგრიმო ლიტერატურაც. G. Peradze. დასახ. ნაშრ., გვ. 186, 198.

³³ [Addenda: J. Wansbrough. Venice and Florence in the Mamluk Commercial Privileges. – *BSOAS*, 1965, vol. XXVIII, pt. 3, გვ. 491, 502 (მუხლი XVI), 515 (ინგლისური თარგმანი), გვ. 515-516, შენ. 80. ამ დაკვირვების შუქზე ალ-კალკაშანდის (გარდ. 1418 წ.) ცნობაში, რომ იერუსალიმისა და რამლას ქრისტიან პილიგრიმთა შორის იყვნენ **ალ-ფარანჯ ალ-ჯურჯან**, იგულისხმებიან ფრანკი (ევროპელი) და არა ქართველი პილიგრიმები, როგორც ფიქრობდა ვ. ბიორკმანი (W. Björkman. *Beiträge zur Geschichte der Staatskanzlei im islamischen Ägypten*. Hamburg, 1928, გვ. 166; XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები..., გვ. 69); აიუბიანთა დიპლომატიკის სპეციალისტი ჰ.-ა. ჰეინი ჯურჯანს, დაუსაბუთებლად, გრიგორიანად თარგმნის (H.-A. Hein. *Beiträge zur Ayyubidischen Diplomatie*. Freiburg, 1968, გვ. 187).

³⁴ [Addenda: ეს ეხება 790/1388 წ. ბარკუკის ბრძანებულებაში დასახელებულ „ჯურჯანსაც“, რომლის ქართული თარგმანი გამოსცა გ. ჯაფარიძემ - სულთან ბარკუკის ორი ბრძანებულება იერუსალიმის ფრანცისკელთა სამეურვეოს არქივიდან. – *ქართული დიპლომატია*. ნელინდელუი, 8, თბ., 2002, გვ. 670-674].

³⁵ ას-სალანი. *ალ-‘უბაბ აზ-ზაჰირ ვა ლ-ლუბაბ ალ-ფახირ* (სტამბოლის აია სოფიას მეჩეთის ნუსხა. №2703), სტატია **ფლს**; მისივე, *ათ-თაქმილა და ზ-ზაილ ვა ს-სილა*, III, ალ-კაჰირა, 1973, გვ. 403; გ. ჯაფარიძე. მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით VIII-XIV საუკუნეებში. – *მაცნე* (ელს), 1989, №4, გვ. 77, შენ. 3.

თული სიტყვა არისო. ეთნიკური ტერმინი ჯურჯი იცის ეგვიპტელმა ისტორიკოსმა ალ-ჯაბართიმ (გარდ. დაახლ. 1826 წ). ის ასახელებს რამდენიმე მამულუქ ბეგს, რომლებიც იყვნენ ეროვნებით ქართველები – ჯურჯი ბილ-ჯინს.³⁶

2.3. ჯურჯანიდან იწარმოება ნისბა (წარმომავლობის სახელი) **ალ-ჯურჯანი**, რომელიც ხშირად გვხვდება შუა საუკუნეების მუსლიმ მოღვაწეთა შორის. მაგრამ, როგორც წესი, ეს ნისბა მიუთითებს ამ პირთა კავშირს კასპისპირა ჯურჯანთან (გურგანთან) და საქართველოდან გამოსული მუსლიმები **ალ-ჯურჯანის** ნისბით ჯერ კიდევ გამოსავლენია. რაც შეეხება ქრისტიან ქართველებს, რამდენიმე ასეთი ალ-ჯურჯანი (აბუ იუჰანა ალ-ჯურჯანი, ანტუნი ალ-ჯურჯანი) დასახელებულია XII-XIX საუკუნეების სინური ხელნაწერების არაბულ მინაწერებში.³⁷

3. შუა საუკუნეების არაბულ ნარატიულ წყაროებში ხშირად გვხვდება ეთნონიმი **ალ-აბხაზ** (الابخاز) და ამ სახელწოდების სხვა ფორმებიც: **ალ-აფხაზ** (الافخاز) და **ალ-აბხას** (الابخاس). ეს ეთნიკური ტერმინი არაბულში (ისევე როგორც სომხურსა და სპარსულში) ქართულის გზით უნდა იყოს შესული.

3.1. **ბილად ალ-აბხაზ** – აბხაზთა ქვეყანა, **მალიქ ალ-აბხაზ** აფხაზთა მეფე (მთავარი) რამდენჯერმე იხსენიება ნ. მარის მიერ აღმოჩენილ აგათანგელოსის „ისტორიის“ არაბულ ვერსიაში.³⁸ ამ ვერსიით აფხაზები და ქართველები, თითქოსდა, ქრისტიანობაზე მოაქცია გრიგოლ განმანათლებელმა IV ს-ში. მაგრამ აქ აშკარა ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე. IV ს-ში აფხაზეთი არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს. ის შედიოდა ლაზიკის (ეგრისის) სამეფოში. ამასთან, მისი გაქრისტიანება მოხდა VI ს-ში. ნ. მარი მიიჩნევდა, რომ ტერმინი „აბხაზი“ ამ თხზულებაში შეტანილ იქნა მოგვიანებით, ბერძნულიდან არაბულად მთარგმნელის, ან გადამწერის მიერ. მარი „აბხაზის“ ქვეშ გულისხმობდა ლაზებს, ლაზიკას და თვლიდა მას ამ უკანასკნელთა არაბულ გლოსად.³⁹ ეს ვარაუდი დადასტურდა გ. გარიტის მიერ გამოცემული აგათანგელოსის „ისტორიის“ ბერძნული ვერსიით, რომელშიც „აბხაზი“, საერთოდ,

³⁶ ალ-ჯაბართი. თა 'რის 'აჯა'იზ ალ-ასარ ფი თ-თარაჯიმ ვა ლ-ახბარ, I, ბაიროთ, 1978, გვ. 173²², 175⁸, 196⁶. D. Ayalon. Studies in al-Jabarti. I. – *JESHO*. 1960, vol. III, pt. 3, გვ. 319-320; ამავე დროს, ალ-ჯაბართიმ იცის, აგრეთვე, ტერმინი **ალ-ქურჯ**. ცნობილი ლექსიკოგრაფის მურთადა აზ-ზაბიდის ნეკროლოგში (გარდ. 1791 წ.) ის წერს, რომ მან იცოდა ქურჯთა (ქართველთა) ზოგიერთი ენა. ალ-ჯაბართი. 'აჯა'იზ ალ-ასარ, II, ბაიროთ, 1978, გვ. 106¹³.

³⁷ რ. გვარამია. ქართულ-სინური ხელნაწერების არაბული მინაწერები. – კრ. *მრავალთავი*, IX, თბ., 1981, გვ. 76, 77, 82.

³⁸ Н. Марр. *Крещение...*, გვ. 114³, 134⁶, 136¹⁴.

³⁹ იქვე, გვ. 160-161.

არ ფიგურირებს. სამაგიეროდ, როგორც აღნიშნავს გ. გარიტი, ლაზი არაბულ ვერსიაში ხშირად შეცვლილია (თარგმნილია) **აბხაზით**.⁴⁰

3. 2. IX-X საუკუნეების ზოგიერთ არაბულ წყაროში ეთნონიმი ალ-აბხაზ (ალ-აფხაზ) დამოწმებულია წინაისლამურ ამბებთან და არაბთა დაპყრობით ომებთან დაკავშირებით. მაგალითად, სა'იდ ბ. ბიტრიკი და ალ-მას'უდი აბ-ხაზთა მალიქს იხსენიებენ იმ მეფე-მთავართა შორის, რომლებსაც (622 წ.) ირანზე გასალაშქრებლად უხმო ბიზანტიის იმპერატორმა ირაკლიმ.⁴¹ ეს ცნობა არაბმა ავტორებმა, საფიქრებელია, რომელიმე ბიზანტიელი ისტორიკოსისაგან აიღეს.⁴²

ალ-ბალაზური **აფხაზებს** (افخا) ასახელებს ბიზანტიელთა სარდლის მავრიანუსის ლაშქარში, რომელიც 654 წ. დამარცხდა ჰაბიბ ბ. მასლამასთან ბრძოლაში.⁴³ როგორც სა'იდ ბ. ბიტრიკის, ისე – ალ-ბალაზურის აქ მოყვანილ ცნობებში ეთნიკური ტერმინი აბხაზ (აფხაზ), შესაძლოა, საკუთრივ აფ-ხაზთა (აფსუა)⁴⁴ მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

3.3. არაბული წყაროებით **აბხაზები** საქართველოს პოლიტიკურ ასპა-

⁴⁰ G. Garitte. *Documents...*, გვ. 221. ზ. ანჩაბაძე თვლიდა, რომ ამ თხზულებაში წარმოდგენილი გეოგრაფიული და პოლიტიკური ვითარება ასახავდა არა IV, არამედ IX ს. სურათს, ხოლო მასში მოხსენიებული აბხაზთა მეფე იყო ავტორის თანამედროვე მთელი დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფე. 3. Анчабадзе. *Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.)* Сухуми, 1959, გვ. 49.

⁴¹ სა'იდ ბ. ბიტრიკი, გვ. 216.

⁴² ერთი ასეთი ავტორი შეიძლება იყოს თეოფანე (გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. 1, გვ. 95). ირაკლის ამ ლაშქრობაში აფხაზთა მონაწილეობის შესახებ იხ. Г. А. Амичба. Т. Г. Папуашвили. *Из истории совместной борьбы грузин и абхазов против иноземных завоевателей*. Тб., 1985, გვ. 71-73.

⁴³ ალ-ბალაზური, გვ. 200₂; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ატ-ტაბარი და შემდეგ იბნ ალ-ასირი წერენ, რომ VI ს. 60-70-იან წლებში ხოსრო ანუშირვანის (531-579) სამფლობელოში – არმინიაში შეჭრილან: ბანჯარები, ბალანჯარები, ალანები და აბხაზები. იმავე ხალხებმა შემდეგ მორჩილება გამოუცხადეს თურქთა ხაკანს სინჯიბუს (Al-Tabari. *Tarikh at-Tabari*. Tome II. Edition critique par M.A. F. Ibrahim, Le Caire (თარიღის გარეშე), გვ. 100-101; Ibn al-Athir. *Al-Kamil...*, vol. I, გვ. 436-37). ჩვენთვის საინტერესო ეთნიკური ტერმინი აქ გადმოცემულია ابخا (და არა ابخا) ფორმით. მ. არტამონოვი შეუძლებლად თვლიდა შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ აფხაზთა მონაწილეობას ხოსრო ანუშირვანის წინააღმდეგ ლაშქრობაში და თანაც კასპიისპირეთში მცხოვრებ ხალხებთან (ბანჯარ, ბალანჯარ) ერთად. ის უშვებდა ატ-ტაბარის თხზულების ტექსტში კალმისმიერი შეცდომის შესაძლებლობას და „აბხაზის“ ნაცვლად კითხულობდა „ხაზარს“ (М. И. Артамонов. *История хазар*, Л., 1962, გვ. 126; А. Р. Шихсайдов. Книга Ат-Табари. “История посланников и царей” о народах Северного Кавказа. – Сб. *Памятники истории и литературы Востока*. М., 1986, გვ. 69, 81, 82).

⁴⁴ ტერმინების „აფხაზ“ და „აფსუა“ ურთიერთმიმართების შესახებ იხ. Ш. Инал-Ипа. *Вопросы этно-культурной истории абхазов*. Сухуми, 1976, გვ. 355; თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან. – *მაცნე* (იეხის), 1991, №2, გვ. 7-16.

რეზზე აქტიურად ჩანან IX ს-ის შუა ხანებიდან. XII ს-ის დასაწყისის ანონიმი ავტორის ცნობით, ბულა თურქმა თბილისის ალების (853 წ.) შემდეგ დალაშქრა ქურჯები და აბხაზები და დაამარცხა ისინი.⁴⁵ ალ-მას'უდის თანახმად, ჯურზიები და აბხაზები ჯიზიას უხდიდნენ სანაპირო ოლქის თბილისის გამგებელს არაბთა მიერ ამ ქალაქის დაპყრობიდან და მუსლიმთა მიერ მისი დასახლებიდან – ხალიფა მუთავაქილის (847–861) დრომდე.⁴⁶ ალ-მას'უდისვე ცნობით (X ს-ის შუა ხანები), აბხაზები არიან ქრისტიანები, მათ ჰყავთ მეფე, ცხოვრობენ ბაბ ალ-აბვაბის (დარუბანდის) ან ალ-კაბკის (კავკასიონის) მთასთან და მათ ესაზღვრებიან ალანები და ალ-ჯურზიას (ქართველთა) სამეფო.⁴⁷ შ. ინალ-იფას აზრით, ალ-მას'უდის ამ ცნობაში იგულისხმებიან, საკუთრივ, აფხაზები,⁴⁸ მაგრამ, როგორც ცნობილია, IX-X საუკუნეებში აფხაზთა სამეფო უკვე აერთიანებდა დასავლეთ საქართველოს და, ამდენად,

⁴⁵ В. Минорский. *История...*, გვ. 46₃₀₇ (თარგმანი), 21 (არაბული ტექსტი).

⁴⁶ ალ-მას'უდი. *მურუჯ...*, გვ. 226₂₂.

⁴⁷ იქვე, გვ. 226₁₉, მისივე, *Kitab al-tanbih...*, გვ. 184₇. IX-X საუკუნეების სხვა არაბულ გეოგრაფიულ თხზულებებში აფხაზთა შესახებ სხვა რაიმე უეჭველი ცნობა არ მოიპოვება. იყო ცდა, რომ იბნ რუსთაჰის (X ს.) ნაშრომში (Ibn Rustah. *Kitab al-'lak an-nafisa* (BGA, t. VII), Ed. M.J. de Goeje. Lugduni-Batavorum, 1892, გვ.139) დამონმებული ეთნონიმი *اوغز* – ლავ-ლარ ნაეკითხათ როგორც *اوغز* – ავლაზ (აფხაზი) (J. Marquart. *Osteuropäische und ostasiatische Streifzüge*. Leipzig, 1903, გვ. 164-176; Ф. Вестберг. К анализу восточных источников о Восточной Европе. – *Журнал министерства народного просвещения* (н.с.), 1908, ч. XIII, февраль, отд. 2, გვ. 388; W. Barthold, W. Minorsky. *Abkhaz.* – *EP*, vol. I, გვ. 100; Dzh. Giunashvili. *Abkhaz.* – *Elr*, Ed. by E. Yarshater. vol. I, fasc. 2. London, Boston, Henley (თარბლის გარეშე), გვ. 223). მაგრამ ამგვარი იდენტიფიკაცია სადავოა (იხ. В. В. Бартольд. Введение к изданию Худуд ал-алам. – В. В. Бартольд. *Сочинения*, т. VIII, М., 1973, გვ. 542; Б. Н. Заходер. *Каспийский свод сведений о Восточной Европе*, М., 1962, გვ. 123); ა. გადლო თვლის, რომ ლავ-ლარ არის დამახინჯებული გადმოცემა უნგრელთა სახელისა მიოგერ/მაგორ, მუგერ (А. Б. Гадло. *Этническая история Северного Кавказа*, М., 1979, გვ. 118). გარდა ამისა, IX-X საუკუნეების არაბ გეოგრაფთა თხზულებების გამოცემებში გვხვდება ტოპონიმი ალ-აბხაზ, რომელიც არრანის (ალბანეთის) ტერიტორიაზე ლოკალიზდება (Ibn Khordadhbeh, გვ. 123₁₁; Ибн Хордадбех, გვ. 109₁₂₇, 303, შენ. 212; ალ-ისტახრი. *ალ-მასალიქ ვა ლ-მამალიქ*. ალ-კაჰირა, 1961, გვ. 110₉, 112₉, 113₃). მაგრამ იგივე ტოპონიმი სხვა გამოცემებში იკითხება როგორც ალ-აბხან (الابخان) ან ალ-ლაიჯან (اللايجان) (Ibn-Haukal. *Opus Geographicum*, II, Ed. J.K. Kremers, Lugdini-Batavorum, 1939, გვ. 342₈, 348₁₄. Al-Moqaddasi. *Descriptio imperii moslemici* (BGA, III), Ed. M.J. de Goeje (Ed. Secunda). Lugdini-Batavorum, 1906, გვ. 374₈, 376₁₂₇, 381₁₈); როგორც მარკვარტმა გაარკვია, ამ ტოპონიმის სწორი ფორმაა *اللايجان/اللايران* (ლაიჯან/ლაირან) (J. Marquart. *Eranšahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenac'i*. Berlin, 1901, გვ. 119; იხ. აგრეთვე, ვ. მინორსკის კომენტარი ნიგნში: *Hudud al-'alam. Regions of the World. A Persian Geography* (372 A.H. – 932 A.D.). Translated and Explained by V. Minorsky. London, 1937, გვ. 407-409). მის ადგილმდებარეობას ეხება ნ. ველიხანოვაც. Ибн Хордадбех, გვ. 303, შენ. 42.

⁴⁸ Ш. Инал-Ипа. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 395.

ის უნდა გულისხმობდეს აფხაზთა სამეფოს მთელ მოსახლეობას,⁴⁹ რომლის ძირითადი ნაწილიც ქართული იყო. მომდევნო საუკუნეებში კი არაბი ავტორების აბხაზ, სულ უფრო აშკარად, ქართველებთან და საქართველოსთანაა გაიგივებული.

3.4. იაჰია ანტიოქიელისთვის (XI ს.) გიორგი I-ის (1014–1027) სამეფო, მეფის ტიტულიდან (იხ. ქვემოთ) გამომდინარე, იყო **ბილად ალ-აბხაზი**ა – აფხაზთა ქვეყანა, **ბილად ალ-აბხაზი** – აბხაზის ქვეყანა, ან **მულქ ალ-აბხაზი**⁵⁰ – აბხაზის სამეფო. სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინის ცნობით, ბაგრატ IV თავს დაესხა ბარდავს, რის საპასუხოდაც დიდ სელჩუკთა სულთანი ალფარსლანი დაიძრა **აბხაზებზე** (კასადა აბხაზ)⁵¹ და 5 თვე დარჩა ქურჯისთანში⁵² (საქართველოში). ჯალალ ად-დინი, როგორც ცნობილია, არ შესულა აფხაზეთში, მაგრამ მისი ბიოგრაფი ან-ნასავი წერს, რომ ხვარაზმ-შაჰმა საქართველოზე (ბილად ალ-ქურჯ) ლაშქრობისას „დაიპყრო სანახები აბხაზთა სიღრმეში“, დალაშქრა „აბხაზთა ქვეყნის (ბილად ალ-აბხაზ) უკიდურესი საზღვრები“.⁵³ აშკარაა, რომ ალ-ჰუსაინისა და ან-ნასავის ამ ცნობებში ქურჯისთანი, ბილად ალ-ქურჯ (საქართველო) და ბილად ალ-აბხაზ (აფხაზთა ქვეყანა) ერთმანეთთან არის გაიგივებული.

3.5. იაკუთი აღნიშნავს, რომ აბხაზი ერთ-ერთი მხარის სახელია ალ-კაბკის (კავკასიონის) მთებზე. ესაა მთებში ძნელად სავალი და ოღროჩოღრო მხარე, დასახლებული „ქრისტიანი ხალხით, რომლებსაც ქურჯებს უწოდებენ“.⁵⁴ იგივე ავტორი წერს, რომ თბილისი 515/1122 წლამდე იმყოფებოდა მუსლიმთა ხელში, „ვიდრე არ გამოვიდა... თბილისის მოსაზღვრე მთებიდან, რომლებსაც ეწოდება აბხაზის მთები, ქრისტიანი ტომი, სახელად ქურჯ, მრავალრიცხოვანი ჯარით და თავს არ დაესხა მათ მეზობელ ისლამის ქვეყ-

⁴⁹ З. Анчабадзе. *Из истории...*, გვ. 120. ვ. მინორსკის აზრით: “Масуди видимо описывает вместе народ абхазцев и связанную с его царским домом династию Западной Грузии” (В. Минорский. *История...*, гв. 94).

⁵⁰ იაჰია ანტიოქიელი, გვ. 250⁸, 252^{5,11}.

⁵¹ Садр ад-Дин Али ал-Хусайни. *Ахбар ад-даулат ас-селджукийя*. Издание текста, перевод, введение, примечания и приложения З. М. Буниятова. М., 1989, гв. 54³⁹ (თარგმანი), 25¹², 27⁶ (არაბული ტექსტი).

⁵² Ал-Хусайни, 56²⁷ (თარგმანი), 27⁶ (არაბული ტექსტი).

⁵³ En-Nesewi. *Histoire du sultan Djelal ed-Din Mankobirti, prince du Kharezm*. Texte arabe publié d'après le manuscrit de la Bibliothèque Nationale par O. Houdas. Paris, 1891, гв. 121²², 122¹⁷, 114¹¹; Ан-Насави. *Жизнеописание султана Джалал ад-Дина Макбурны*. Перевод, предисловие, комментарии, примечания и указатели З. М. Буниятова. Баку, 1973, гв. 167²⁴, 168³⁰, 160¹.

⁵⁴ იაკუთის ცნობები, გვ. 1¹²⁻¹³ (თარგმანი), 2⁸ (არაბული ტექსტი).

ნებს“.⁵⁵ ამრიგად, იაკუთის თანახმად, აბხაზის მხარე, აბხაზის მთები დასახლებულია ქურჯებით, ე. ი. – ქართველებით. გვაქვს ამ ორი ეთნიკური ტერმინის იგივეობის სხვა კონკრეტული მაგალითებიც. 440/1048-49 წ. თურქ-სელჩუკებმა ბასიანში დაამარცხეს ბიზანტიელები და დაატყვევეს „აბხაზთა მალიქი კარიტი“⁵⁶ – იგივე ქართველი ფეოდალი, კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში. ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი მოგვითხრობს, რომ 1154 წ. სელჩუკმა უფლისწულმა სულაიმან-შაჰმა იქორწინა თავისი ძმის ქვრივზე, ქართველთა მეფის ასულზე (ბინთ მალიქ ალ-ქურჯ), რომელიც იმავე დროს იყო „აბხაზი ქალბატონი“ (ხათუნ ალ-აბხაზია).⁵⁷

3.6. არაერთი ცნობით, **აბხაზები** იბრძვიან ბიზანტიის ლაშქრის შემადგენლობაში. 420/1029 წ. ჩრდილოეთ სირიაში მოქმედ ბიზანტიის ჯარში მათ ასახელებს იბნ ალ-‘ადიმი,⁵⁸ 440/1048-49 წ. ბასიანის ბრძოლაში – იბნ ალ-ასირი,⁵⁹ ხოლო 1071 წ. მანასკერტის ბრძოლაში (ქურჯებთან ერთად) – ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი⁶⁰ და იბნ ალ-‘ადიმი.⁶¹ პირველსა და მესამე ცნობებში იგულისხმებიან ბაგრატ IV-ის ქვეშევრდომები დასავლეთ საქართველოდან, რომელთა შორის, ალბათ, იქნებოდნენ აფხაზებიც (აფსუები). მეორე ცნობის აბხაზები კი აშკარად ქართველები არიან: კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღვაშის მეომრები. 1139 წ. მიწისძვრით დანგრეული განჯა, ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის თანახმად, დაარბიეს „ურწმუნო აბხაზთა და ქურჯთა“⁶² ლაშქრებმა, ე.ი. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჯარებმა. „აბხაზთა“ ლაშქარს მეთაურობდა კახეთის მსხვილი ფეოდალი ივანე აბულეთის ძე.⁶³

3.7. XI ს-დან ეთნიკურ ტერმინ აბხაზს არაბი ავტორები ასახელებენ ქართველ მეფეთა ტიტულატურაში. იაჰია ანტიოქიელი-სათვის გიორგი I

⁵⁵ იქვე, გვ. 40²⁰⁻²³ (თარგმანი), 44⁹⁻¹¹ (არაბული ტექსტი).

⁵⁶ Ibn al-Athir. *Al-Kamil...*, vol. IX, გვ. 546¹², 556¹⁸; ბ. სილაგაძე. იბნ ალ-ასირის თხზულებების „თარის ალ-ქამილის“ ერთი ადგილის დადგენისათვის. – კრ. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, 1971, III, გვ. 63-68; გ. ჯაფარიძე. იბნ ალ-ასირის ერთ ცნობის შესახებ. – კრ. *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები*. წიგნი I, თბ., 1976, გვ. 40-45.

⁵⁷ ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი, გვ. 213⁵⁻⁸. ამ ცნობაში იგულისხმება დემეტრე I-ის ასული რუსუდანი, რომელიც, თავდაპირველად, იყო სულთან მას‘უდის (1134-1152) ცოლი.

⁵⁸ Ibn al-‘Adim. *Histoire d’Alep*. Ed. S. Dahan. t. I. Damas, 1951, გვ. 240.

⁵⁹ Ibn al-Athir. *Al-Kamil...*, vol. IX, გვ. 546¹².

⁶⁰ ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი, გვ. 37¹⁶ (ტექსტში შეცდომით წერია: اباي).

⁶¹ Ibn al-‘Adim. *Histoire d’Alep*. t. II Ed. S. Dahan. Damas, 1954, გვ. 24³-25¹.

⁶² ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი, გვ. 173⁸.

⁶³ იქვე, გვ. 173¹².

იყო **მალიქ ალ-აბხაზი**⁶⁴ – აფხაზთა მეფე, ან **ჯირჯის ალ-აბხაზი**⁶⁵ – გიორგი აფხაზი და, უბრალოდ, **ალ-აბხაზი**⁶⁶ – აფხაზი.⁶⁷ არაბულ წყაროებში „აბხაზთა მეფის“⁶⁸ ტიტულს ატარებს ბაგრატ (არაბ. ბუკრატ, ბუკრატის) IV.⁶⁹ „აბხაზთა და ქურჯთა მეფის“ ტიტულით იხსენიებიან დავით IV, დემეტრე I და გიორგი III.⁷⁰ „აბხაზთა მეფის“ ტიტული დამონმებულია ქართველ მეფეთა ტიტულატურაში XIV ს-შიც, ეგვიპტის მამლუქ სულტნებთან მიმონერაში.⁷¹

3.8. საკუთრივ აფხაზის (აფსუა) მნიშვნელობით ეთნიკური ტერმინი **აბხას** (ابخاس) ხელახლა გვხვდება XV ს-ის ეგვიპტელი ისტორიკოსის ბადრ ად-დინ ალ-‘აინის (გარდ. 1451 წ.) თხზულებაში „ინდური ფოლადის მახვილი ალ-მალიქ ალ-მუ’აიადის ცხოვრებაში“, რომელიც მიეძღვნა ჩერქეზული დინასტიის ეგვიპტის მამლუქ სულთანს ალ-მუ’აიად საფდ ად-დინ შაიხს (1412-1421). ალ-‘აინი ჩამოთვლის მთავარ ჩერქეზულ ტომებსა და მათ განშტოებებს, რომლებიც ცხოვრობდნენ „უღელტეხილებზე დამურ-კაბისთან (დარუბანდთან) ტაბარისტანის (კასპიის) ზღვის მხრიდან – ქართველებამდე“.⁷² აბხაზის გარ-

⁶⁴ იაჰია ანტიოქიელი, გვ. 339₁₃, 250₃.

⁶⁵ იქვე, გვ. 241₁₀, 242₁₄₋₁₅.

⁶⁶ იქვე, გვ. 240₄₇₇, 241₁₀, 242_{13, 15, 18, 20, 22}, 243₂.

⁶⁷ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ასევე გიორგი აბაზგს (აფხაზს) უწოდებს ქართველ მეფეს ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი მეხუთე. ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1983, გვ. 58.

⁶⁸ როგორც ცნობილია, პირველი ქართველი მეფე, რომელიც 978 წ. ეკურთხა „აფხაზთა მეფედ“, იყო ბაგრატ III (975-1014). XI ს-ის დასაწყისიდან მან მიიღო „ქართველთა მეფის“ ტიტულიც. ამიერიდან, ქართველ მეფეთა ტიტულატურაში „მეფე აფხაზთა“ პირველ ადგილზე დგას (იხ. ჯ. სტეფნაძე. XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის. – კრ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 156-57). სწორედ ეს გარემოება, როგორც ჩანს, გახდა მიზეზი იმისა, რომ უცხოურ წყაროებში „აფხაზმა“ მიიღო ზოგადად ქართველისა და „აფხაზეთმა“ საქართველოს მნიშვნელობა. მ. ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი. თბ., 1990, გვ. 12; ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დამახინჯების გამო. თბ., 1991, გვ. 11.

⁶⁹ იაჰია ანტიოქიელი, გვ. 252₅, Ал-Хусайни, გვ. 55₃₆ (თარგმანი), გვ.26₃ (არაბული ტექსტი); ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი, გვ. 30₁₃.

⁷⁰ ვეყრდნობით XII ს-ის არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის *მაიაფარიკინის ისტორიის* („თა’რიხ ალ-მაიაფარიკინ“) იმ ცნობებს, რომლებიც შენიშვნების სახით დაერთო ამედროზის მიერ გამოცემულ იბნ ალ-კალანისის „დამასკოს ისტორიას“ – Ibn al-Qalanisi. *History of Damascus*. Ed. with Extracts from Other Histories and Summary of Contents by H. F. Amedroz. Catholic Press of Beirut, 1908, გვ. 205₉, 328₁₈, 361₃₂.

⁷¹ XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, გვ. 59₉.

⁷² ბადრ ად-დინ ალ-‘აინი. *ას-საფდ ალ- მუჰჰანად ფი სირათ ალ-მალიქ ალ-მუ’აიად შაიხ ალ-მამლუქი*. ჰაკკაკაჰუ ვა კადდამა ლაჰუ ფ. მ. სალსუთ. რაჯა’აჰუ მ. მ. ზიადა. ალ-კაჰირა, 1966–1967, გვ. 25-27.

და, აქ დასახლებულია აბაზან (أبنا). ალ-‘ადნი წერს, რომ აბაზას ენაზე ლაპარაკობენ, აგრეთვე, ტომები: اباغسا/სქალუნ (სავარაუდოა: შქალუნა – შქარაუნა – შხარაუნა, ე.წ. ჩრდილოკავკასიელი აბაზები) და – اباغ/ჯ.ღ⁷³ (შესაძლოა, ჯიქები, რომელთაც იცნობს ქართული წყაროებიც). მომდევნო საუკუნეების ოსმალურ წყაროებში სწორედ აბაზა გახდა საკუთრივ აფხაზის (აფსუნა) აღმნიშვნელი სახელწოდება. ეს იცის ანტიოქიის არაბმა პატრიარქმა მაკარიმ, რომელმაც XVII საუკუნეში იმოგზაურა საქართველოში.⁷⁴ მას აღარ შეაქვს აბაზები (أبنا/أباغ) ქართველთა (ქურჯ) სამფლობელოებში და აღნიშნავს, რომ ამ ხალხს, რომელიც მოსახლეობდა შავი ზღვის აღმოსავლეთით და დამოუკიდებელი გახდა, ჩერქეზების მსგავსად, თავისი გამგებელი ჰყავდა.⁷⁵

3.9. XIX ს-ში, მუჰაჯირობის შედეგად, ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებულ და არაბულ ქვეყნებში განსახლებულ აფხაზებს (აფსუნა) ეწოდებოდათ და დღესაც ეწოდებათ აბაზა (أبنا). სირიასა⁷⁶ და ეგვიპტეში ამ ეთნიკურმა ტერმინმა ჯერ ნისბას (წარმომავლობის სახელი) და შემდეგ, ჩვენს დროში კი, გვარის ფუნქციაც მიიღო. შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, ცნობილი ეგვიპტელი დრამატურგი და პოეტი ‘აზიზ აბაზა⁷⁷ (1889-1969), კინომსახიობი რუშდი აბაზა, სირიელი გენერალი მამდუჰ აბაზა (გარდ. 1980 წ.)⁷⁸ და სხვ.

4. ქართველების აღსანიშნად არაბულში ყველაზე გავრცელებული კრებითი სახელი იყო ალ-ქურჯ (الكل). IX-X საუკუნეების არაბი გეოგრაფები არ იცნობენ ამ ეთნიკურ ტერმინს.⁷⁹ არ ჩანს ის წმ. გრიგოლის, წმ. რიფსიმესა

⁷³ იქვე, გვ. 26₁₆, 27₁.

⁷⁴ გ. წერეთელი. *არაბული ქრესტომათია*. თბ., 1949, გვ. 83; მაკარი ანტიოქიელი. *ცნობები საქართველოს შესახებ*. არაბულიდან თარგმნა თ. მარგველაშვილმა. – კრ. *არმაღანი*. თბ., 1982, გვ. 91.

⁷⁵ გ. წერეთელი. *არაბული ქრესტომათია*, გვ. 86₄₆; მაკარი ანტიოქიელი. *ცნობები*, გვ. 91, 92.

⁷⁶ სირიაში აბაზთა/აფხაზთა კომპაქტური დასახლება იყო ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, კუნეიტრას მუჰაფაზაში. 1967 წ. ისრაელთან ომის შემდეგ ისინი ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოსულ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად გადასახლდნენ დამასკოში.

⁷⁷ *Арабская республика Египет*. Справочник. М., 1990, გვ. 279-280; БСЭ, т. IX, М., 1972, გვ. 152.

⁷⁸ მე ვიცნობდი გენერალ მამდუჰ აბაზას, პრეზიდენტ ჰაფეზ ასადის დაახლოებულ პირს, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა თავისი აფხაზური წარმომავლობა. ის დაიღუპა 1980 წ. „მუსლიმი ძმების“ ტერორისტული ორგანიზაციის მიერ დამასკოში სამხედრო-საჰაერო ძალების აფეთქების დროს. მისი ძმა შარაფ აბაზა, ცნობილი თავისი ანტიქართული განწყობილებით, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ჩერქეზთა საქველმოქმედო ორგანიზაციას დამასკოში.

⁷⁹ XIII ს. არაბი ავტორი იაკუთი, თავის „გეოგრაფიულ ლექსიკონში“, ტერმინ ქურჯის განმარტებისას, იმონებს X ს-ის გეოგრაფის ალ-მას‘უდის ცნობას კავკასიონის მთებისა და მათი მიმდებარე ქვეყნების შესახებ: „მოსდევს ჯიდანის (ხაიდაკი, კაიტაკი – გ.ჯ.) სამეფოს კაბკის (კავკასიონი – გ.ჯ.) კარების მხრიდან მეფე, რომელსაც ეწოდება ბარ-

და მათი მიმდევრების წამების არაბულ ვერსიაშიც, რომელიც ზემოთ რამდენჯერმე დავასახელებთ. მაგრამ, IX-X საუკუნეებში ეს ეთნიკური ტერმინი, შესაძლოა არსებობდა. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ვ. მინორსკის მიერ გამოქვეყნებული XII ს-ის დასაწყისის ანონიმი ავტორის ცნობები, რომლებიც უცნობი წყაროდან მომდინარეობს: ბულა თურქმა თბილისის ალების (853 წ.) შემდეგ დალაშქრა ქურჯები და აბხაზები და დაამარცხა ისინი, ხოლო 944 წ. შარვანის გამგებელი და დარუბანდელეები შეთანხმდნენ, რომ ერთობლივი ძალით დაელაშქრათ ქურჯები და ურნმუნოთა სხვა მეფეები.⁸⁰

იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარიკი (XII ს.) XI ს-ის დასაწყისის მაიაფარიკინში (დიარ-ბაქრი) იხსენიებს ერთ ქურჯ ამირას, რომელიც აქ ქურჯთა მეფეს გამოექცა.⁸¹ 1071 წ. მანასკერტთან ქურჯები ბიზანტიელებთან ერთად იბრძოდნენ თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ.⁸² ეს ის ხალხია, რომელიც, იაკუთის თანახმად, 515/1122 წ. დაეუფლა თბილისს.⁸³ XII-XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ამბების გადმოცემის დროს, არაბი ავტორები (იბნ ალ-ასირი, იბნ ვასილი, იბნ ალ-ადიმი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზი, აბუ შამა, აბუ ლ-ფიდა, ალ-მაკრიზი და სხვ.) ეთნონიმ ქურჯს ხშირად იხსენიებენ. ყველა კონკრეტულ შემთხვევას, სიმრავლის გამო, აქ აღარ მოვიტანთ.

4.1. იაკუთმა იცის ალ-მას'უდის ზემომოყვანილი ცნობა ალ-ჯურზიას

ზინანი და ცნობილია მისი ქვეყანა ქურჯის სახელით“ (იაკუთის ცნობები, გვ. 78³⁶⁻³⁷), მაგრამ როგორც აჩვენა ვ. მინორსკიმ, ალ-მას'უდის ამ ცნობაში უნდა წავიკითხოთ „ალ-ქარხ“ (الخرخ). В. Минорский. *История...*, გვ. 203. იგივე ითქმის X ს-ის არაბი გეოგრაფის ალ-ისტახარის ერთ ცნობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება დარუბანდს. ალ-ისტახარი აღნიშნავს, რომ დარუბანდი არის ნავსადგური ხაზართა (ე.ი. კასპიის) ზღვაზე, სარირისა და სხვა ურნმუნო ქვეყნების მხრიდან, და ჯურჯანის, ტაბარისტანისა და დეილემის ნავსადგურიც (ალ-ისტახარი, გვ. 110). არაბი გეოგრაფის თხზულების ერთ-ერთ ნუსხაში (გვ. 109, შენ.10₁₂) ეს ცნობა უფრო გაშლილია: „ბაბ ალ-აბვაბი (დარუბანდი) ნავსადგურია ხაზარების, სარირის, ალანებისა და ურნმუნოთა სხვა ქვეყნების მხრიდან, როგორებიცაა შანზანი, ხიზანი, ქრჯ-ი, რაკლანი, ზარიქარანი, ღუმუქი. და ისაა, აგრეთვე, ნავსადგური ჯურჯანის, ტაბარისტანის და დეილამისა“. აქ დასახელებული ქრჯ უეჭველად უნდა წავიკითხოთ როგორც ქარხი. მაგრამ ეს სახელწოდება ალ-ისტახარის თხზულების სპარსულ ვერსიაში მთარგმნელმა გაიაზრა როგორც გურჯი/ქართველები და შემდეგ, ჩვენ დროში, ასევე ითარგმნა ქართულადაც (ისტახარი, ჰოდუდ ალ-ალამი, ჰამდალლაჰ ყაზვინი. თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლით ვ. ფუთურიძისა. თბ., 1937, გვ. 3, თარგმანი; გვ. 6 (სპარსული ტექსტი).

⁸⁰ В. Минорский. *История...* გვ. 46₃₀, 49₂₇ (თარგმანი),²¹⁻²²² V₂₅ (არაბული ტექსტი).

⁸¹ Ibn al-Azraq al-Fariqi. *Tarikh al-Fariqi*. Ed. by B.Awad. Cairo, 1959, გვ. 97₉₋₁₀ (დაწვრილებით იხ. ჩვენი სტატია ამავე კრებულში: *აბულეთისძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის*. გვ.103-111).

⁸² Ibn al-Athir. *Al-Kamil...*, vol. X, გვ. 65₃; Ibn al-Adim, II, გვ. 24-25.

⁸³ იაკუთის ცნობები..., გვ. 1₁₃₋₁₄ (თარგმანი), 2₈₋₉ (არაბული ტექსტი).

თაობაზე (იხ. 1.4) და წერს: „*მე ვამბობ, რომ ისინი ქურჯები არიან*“.⁸⁴ მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვი ყველა არაბი ავტორის (მაგ., იბნ ალ-ასირი, იბნ ხალდუნი) შესახებ. ისინი არა მარტო ერთმანეთში ურევენ ჯზრ-ხზრს, არამედ, ზოგჯერ, ქურჯებს ხაზარებთან აიგივებენ (იხ. ზემოთ, 1.5, შენ. 24). იაჰია ანტიოქიელი მიიჩნევდა, რომ ალ-ქურჯ არის ჯურჯანის თურქული სახელწოდება.⁸⁵

4.2. XI ს-იდან არაბულ წყაროებში ეთნიკური ტერმინი ალ-ქურჯ მკვიდრდება საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში. „ქურჯთა მეფეა“ ბაგრატ IV,⁸⁶ „ქურჯთა (და აბხაზთა) მეფეებია“ დავით IV, დემეტრე I, გიორგი III⁸⁷ და სხვა ხელმწიფეები, რომლებსაც არაბი ავტორები სახელის გარეშე იხსენიებენ.

4.3. იაკუთი წერს, რომ ქურჯები ტომია ქრისტიან ხალხთაგან, რომლებიც მოსახლეობენ კაბკის (კავკასიონის) მთებში. მათ აქვთ თავიანთი ენა, არიან გულადნი, ძლიერნი, მრავალრიცხოვანნი, აქვთ ქვეყანა, რომლის სახელწოდებაც დაკავშირებულია მათთან.⁸⁸ ეს არის ბილად ალ-ქურჯ – ქართველთა ქვეყანა, საქართველო. არაბი ავტორები იყენებენ ამ სახელწოდების სპარსულ ფორმასაც – ქურჯისტან (کرجستان). თუ არ ვცდებით, ის პირველად გვხვდება ალ-ჰუსაინისთან,⁸⁹ შემდეგ კი დამონმებულია XIII-XV საუკუნეების ავტორების: იბნ ალ-‘იბრის,⁹⁰ იბნ ალ-ფუვატის,⁹¹ აბუ ლ-ფიდას⁹² და ალ-კალკაშანდის⁹³ თხზულებებში. მას ასახელებს ეგვიპტელი ლექ-

⁸⁴ იქვე, გვ. 42₂₁₋₂₂ (თარგმანი), 46₁₁ (არაბული ტექსტი).

⁸⁵ იაჰია ანტიოქიელი, გვ. 239₁₄; გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა გაიგივებულია ალ-ქურჯ და ალ-ქურდ, ე.ი. ქურთები. [Addenda: ეს თვალსაზრისი მომდინარეობს XIV ს-ის არაბი ენციკლოპედიის ალ-‘უმარის (გარდ. 1349 წ.) ერთი ცნობის არასწორი ინტერპრეტაციიდან (იხ. ჩვენი სტატია ამავე კრებულში: შუა საუკუნეების არაბთა წარმოდგენები ქართველთა წარმომავლობის შესახებ. გვ. 33-45)].

⁸⁶ ал-Хусайни, გვ. 48₄₁ (თარგმანი), 22ბ₁₂ (არაბული ტექსტი). მეფის სახელი აქ არ არის მოყვანილი. ტექსტში საუბარია სწორედ ბაგრატზე.

⁸⁷ იხ. შენ. 71; C. Cahen. La chronique abrégée d'al-‘Azimi. – JA, t. 230 (Juillet– Septembre), Paris, 1938, გვ. 388₉, 393₇.

⁸⁸ იაკუთის ცნობები, გვ. 78₂₉₋₃₂ (თარგმანი), 82₁₅₋₁₇ (არაბული ტექსტი).

⁸⁹ ал-Хусайни, გვ. 27₆ (არაბული ტექსტი).

⁹⁰ იბნ ალ-‘იბრი, გვ. 256₁₆, 262₁₈.

⁹¹ იბნ ალ-ფუვატი. *თახის ალ-ადაბ ფი მუჯამ ალ-ალკაბ*, IV/1; ჰაკკაკაჰუ მ. ჯავვად, დიმაჰკ, 1962, გვ. 406, შენ. 1.

⁹² Géographie d'Aboulféda publié... par M. Reinaud et Mac Guckin de Slane. Paris, 1840, გვ. 402, 403₁₄.

⁹³ ალ-კალკაშანდი. *სუბჰ ალ-აშა*, IV, ალ-კაჰირა, 1963, გვ. 361₁₇, ალ-კალკაშანდი იმონმებს ალ-ბირუნის (გარდ. 1048 წ.) *მას‘უდის კანუნს*, მაგრამ ამ უკანასკნელში გვაქვს არა ქურჯისტან, არამედ – გურჯიან (ქურჯიან). (Абу Райхан Беруни. *Канон Мас‘уда*. Вступительная статья, перевод и примечания П. Г. Булгакова и Б.А. Розенфельда. При участии М.М. Рожанской (перевод и примечания) и А. Ахмедова (примечания). – *Избранные произведения*, т. V, Ташкент, 1973, გვ. 471₂₆).

სიკოგრაფი მურთადა აზ-ზაბიდი⁹⁴ (გარდ. 1791 წ.). ალ-კალკაშანდის თანახმად, შავი ზღვის ნაპირზე, როგორც კი თავდება ტრაპიზონის მხარე, იწყება ქურჯთა ქვეყანა.⁹⁵ აზუ ლ-ფიდას ცნობით ქურჯების ქალაქია XIV ს-ში სოხუმი.⁹⁶

4.4. ქურჯთა ქვეყანა არა მარტო მთელი საქართველო, არამედ მისი ცალკეული მხარეებიც. ქურჯთა ქვეყნის მეფეს უწოდებს სამცხის ათაბაგ მზეჭაბუკს თავის ნერილში (არაბულ ენაზე) ანტიოქიის პატრიარქი დოროთეოსი⁹⁷ (XV-XVI საუკუნეების მიჯნა). ანტიოქიის კიდევ ერთმა პატრიარქმა მაკარიმ, რომელმაც XVII ს-ში იმოგზაურა საქართველოში,⁹⁸ იცის, რომ მიუხედავად დაშლილობისა, ქურჯებს ეკუთვნით ხუთი მხარე: **ბილად თიფლის** (بلاد تيفليس)⁹⁹ – თბილისის ქვეყანა (რომელიც ფარავს ქართლს); **ქანსთ** ან **ბილად ალ-ქანსთ** (بلاد الكانث, بلاد الكانث)¹⁰⁰ – კახეთი; **ალ-მიქრალ**, **ბილად ალ-მიქრალ** ან **ბილად ალ-მიქრალარ** (بلاد المكرال, بلاد المكرال, بلاد المكرال)¹⁰¹ – სამეგრელო; **ქურიდა** ან **ბილად ალ-ქურიდა** (بلاد الكوردا)¹⁰² – გურია და **ბილად ალ-მირალ** ან **ბილად ალ-მირალარ** (بلاد الميرال, بلاد الميرال)¹⁰³ – იმერეთი. ქართლ-კახეთის აღმნიშვნელია **ვილაიდათ ალ-ქურჯ**, **ვილაიდათ ქურჯისთან** და **ქურჯისთან** იმ არაბულ დოკუმენტებში, რომლებიც შედგენილია XVIII ს-ის მიწურულისა და XIX ს-ის დასაწყისის აღმოსავლეთ ამი-

⁹⁴ მურთადა აზ-ზაბიდი. *თავ ალ-არუს*, IV, მისრ, 1306/1888-89, გვ. 116.

⁹⁵ ალ-კალკაშანი. *სუბჰ ალ-აშა...*, V, გვ. 355₁₉.

⁹⁶ Géographie d'Aboulféda, გვ. 33₄.

⁹⁷ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტი, AD:503.

⁹⁸ აქ ვიყენებთ მაკარი ანტიოქიელის *მოგზაურობის* იმ პასაჟებს, რომლებიც დაბეჭდა გ. წერეთელმა (*არაბული ქრესტომათია*, თბ., 1975, გვ. 82-92) და, აგრეთვე, ამ თხზულების ქართულ თარგმანს. მაკარი ანტიოქიელი. ცნობები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა თ. მარგველაშვილმა. – კრ. *არმაღანი*, თბ., 1982, გვ. 88-122, კომენტარები, გვ. 527-29.

⁹⁹ გ. წერეთელი. *არაბული ქრესტომათია*, გვ. 82_{7,6}; მაკარი ანტიოქელი. *ცნობები*, გვ. 527, შენ. 18.

¹⁰⁰ გ. წერეთელი. *არაბული ქრესტომათია*, გვ. 90₁₂, 91₅. ადრეულ (IX-X საუკუნეების) არაბულ წყაროებში ეს სახელწოდება გვაქვს **ხანტი** (خانث) და **ჰანტი** (حانث) ფორმით. ალ-ბალაზური, გვ. 205; ო. ცეციტიშვილი. არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან. – *მაცნე* (იანხის), 1986, №1, გვ. 80₄, 81₁₅.

¹⁰¹ გ. წერეთელი. *არაბული ქრესტომათია*, გვ. 90₁₃, 91₃ (ალ-მიქრალარ/მეგრელები, ისევე როგორც ალ-მირალარ/იმერლები თურქული მრავლობითი რიცხვის ფორმა).

¹⁰² იქვე, გვ. 82₇.

¹⁰³ იქვე, გვ. 82₇, 86₈, 87₁₄. ამავე დროს, მაკარი ანტიოქიელი იმერლებს უწოდებს **აჩიკ-ბაშებს** (أچي باش). იმ სახელწოდებას, რომელიც გამოიყენებოდა იმდროინდელ ოსმალეთის იმპერიაში.

ერკავკასიაში,¹⁰⁴ მაგრამ XIX ს-ის 60-იან წლებში საქართველოში ჩამოსული სირიელი პოეტისთვის – რიზკ ალლაჰ ჰასუნისთვის (გარდ. 1880 წ.) **დიადრ ქურჯ** (ديار كرك)¹⁰⁵ – **ქურჯთა მხარეები** ისევ მთელი საქართველოა.

4.5. ეთნონიმ ქურჯიდან¹⁰⁶ არის ნაწარმოები *ნისბა* (წარმომავლობის სახელი) **ალ-ქურჯი** (الكرجي), რომელსაც ატარებდა შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის არაერთი მუსლიმი მოღვაწე, მათ შორის, ჰადისებისა და სამართლის მცოდნე აბუ ლ-ჰასან ფაარუზ ბ. ‘აბდ ალლაჰ ალ-ქურჯი (გარდ. 525/1130-31 წ.),¹⁰⁷ მამლუქი ამირა ‘ალამ ად-დინ სანჯარ ალ-ქურჯი¹⁰⁸ (XIII ს-ის 70-იანი წლები) და სხვ.¹⁰⁹ თანამედროვე არაბულ ქვეყნებში ბევრმა ნისბამ გვარის ფუნქცია მიიღო. ასე გაჩნდა გვარსახელი ქურჯი, რომელიც დავაფიქსირეთ სირიაში.¹¹⁰

4.6. ეთნონიმ ქურჯიდან არის ნაწარმოები მამაკაცისა და ქალის საკუთარი სახელები **ქურჯი** (كرك) და **ქურჯია** (كركية). მამაკაცის სახელი ქურჯი გვხვდება XII-XIV საუკუნეების ეგვიპტეში. ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი, იბნ ვასილი (გარდ. 1298 წ.) და აბუ შამა (გარდ. 1267 წ.) იხსენიებენ ეგვიპტის სულტნების სალაჰ ად-დინის (1171-1193) და ალ-‘ადილის (1200–1218) მამლუქ ამირას, ასადიას სამხედრო შენაერთების ერთ-ერთ მეთაურს ‘ალამ ად-დინ ქურჯის, რომელიც გარდაიცვალა დამასკოში 1205 წ. 27 ოქტომბერს.¹¹¹ ალ-

¹⁰⁴ ნ. ყანჩაველი. დაღესტნური წარმოშობის სამი არაბული დოკუმენტი. – *მრავალთავი*, VIII, თბ., 1980, გვ. 121-25.

¹⁰⁵ რიზკ ალლაჰ ჰასუნ. *ან-ნაფასათ*. ლონდონი, 1868, გვ. 72, ბეითი 27-ე; რიზკალა ჰასუნის. *მოგ ზაურობა კავკასიაში*. თარგმნა ლ. რუხაძემ. თბ., 1982, გვ. 124 (ქართულ თარგმანში: კერა ქართველთა).

¹⁰⁶ [Addenda: მაღრიბის ქვეყნებში – ალჟირში, ლიბიასა და თუნისში, სადაც ადგილობრივ დიალექტებში შეიმჩნევა „ქაფ“-ის ჩანაცვლება „კაფ“-ით, ქართველებს ეძახდნენ **კურჯს** და არა – **ქურჯს** (თუნისის მაგალითზე იხ. კ. ფერაძე. ქართველი მამლუქები თუნისში XVIII-XIX სს. (წინასწარი ცნობა) – *კრებული მიძღვნილი პროფესორ არჩილ ჩხეიძის 80 წლისთავისადმი*. თბ., 2002, გვ. 200-212)].

¹⁰⁷ ე. სიხარულიძე. ას-სამ‘ანის ცნობები საქართველოს შესახებ. – კრ. *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური წყაროები*. წიგნი I, თბ., 1976, გვ. 48, 49, 51.

¹⁰⁸ მუჰი ად-დინ ბ. ‘აბდ აზ-ზაჰირ. *თაშრიფ ალ-აიამ ვა ლ-‘უსურ ფი სირათ ალ-მალიქ ალ-მანსურ*. ალ-კაჰირა, 1961, გვ. 57.

¹⁰⁹ X-XII საუკუნეების რამდენიმე მუსლიმი მოღვაწე ამ ნისბით გამოვლენილი აქვს ო. ცქიტვილი. იხ. ო. ცქიტვილი. არაბეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (X–XII სს.). – *მაცნე* (იანვლის), 1980, 4, გვ. 109-111.

¹¹⁰ გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულის ქ. დამასკოს ტელეფონების ცნობარში ფიგურირებდა ვინმე ჰასან სა‘იდ ქურჯი.

¹¹¹ Imad ad-Din al-Isfahani. *Conquête de la Syrie et de la Palestine par Salah ed-Din*. Publié par ...C. de Landberg, vol. I. Texte Arabe. Leyde, 1888, გვ. 344; იბნ ვასილი. *მუფარრიჯ ალ-ქურუბ ფი ახბარ ბანი აიბუბ*, II, ალ-კაჰირა, 1957, გვ. 354; აბუ შამა. *თარაჯიმ არ-რიჯალ ალ-კარნან ას-სადის ვა ს-საბი*, ალ-მა‘რუფ ბი ზ-ზაიდ ‘ალა რ-რავდათაინ. ბაირუთ, 1974, გვ. 52²⁰⁻²¹.

მაკრიზის (გარდ. 1442 წ.) ცნობით, სწორედ მისი აშენებულია კაიროში **ჰამამ ქურჯი** – ქურჯის აბანო,¹¹² რომელიც მდებარეობდა ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მადრასა ან-ნაბულუსიას მახლობლად, ალ-ხანაკა ას-სალჰიას კარებთან. არ არის გამორიცხული, რომ მასვე უკავშირდება ქურჯის აბანო დამასკოშიც, რომელსაც XIII ს-ში ასახელებს იბნ შადდადი.¹¹³ ქურჯისთან დაკავშირებულ კიდევ ორ მიკროტოპონიმს კაიროში ასახელებს ალ-მაკრიზი. ესენია **ჯამი ალ-ქურჯი**¹¹⁴ - ე.ი. ქურჯის მეჩეთი და **ჰიქრ ქურჯი**¹¹⁵ - იჯარით ქურჯისთვის გაცემული მიწის ნაკვეთი. ვინ იყო ეს ქურჯი, უცნობია. XIII ს-ის II ნახევრისა და XIV ს-ის ეგვიპტის არაერთი მამლუქი ამირა ატარებდა ამ სახელს. ესენია საიფ ად-დინ ქურჯი¹¹⁶ – ბურჯელ მამლუქთა ერთ-ერთი მეთაური (მან 1299 წ. მოკლა სულთანი ლაჯინი და თვითონაც მოკლეს იმავე წელს), აკუმ ქურჯი ალ-ჰაჯიბი დამასკოში¹¹⁷ (დაიღუპა 1300 წ. ჰომსთან, მონღოლებთან ბრძოლაში), ‘იზ ად-დინ აიბექ ქურჯი¹¹⁸ – ათასეულის ამირა (გარდ. 1301 წ. დამასკოში), საიფ ად-დინ ასანდამურ ქურჯი – ეგვიპტის სულტნის ნაიბი ტარაბლუსში, ჰამასა და ჰალაბში¹¹⁹ (მოაშთეს სულტნის ბრძანებით ქრაქის ციხეში 1316 წ.), ამირა ქურჯი აშ-შამსი¹²⁰ (მოღვაწეობდა XIV ს-ის 70-80-იან წლებში) და სხვ. ამ პერიოდის ეგვიპტეში ეთნიკური ტერმინიდან ხშირად ინარმოებოდა საკუთარი სახელი, მაგ., ჯარქას, კიფჯაკ¹²¹ და სხვ. ამდენად, ის ამირები (ყოველ შემთხვევაში, ნაწილი მაინც), რომლებიც ატარებდნენ სახელს „ქურჯი, წარმოშობით, შესაძლოა, ქართველები იყვნენ.¹²²

¹¹² ალ-მაკრიზი. *ქითაბ ალ-მავა’იზ ვა ლ-ი’თიბარ ბი-ზიქრ ალ-ხიტატ ვა ლ-ასარ*. II. ბადრუთ (თარიღის გარეშე), გვ. 80₂₇₋₃₀; XV ს-ის I ნახევარში, ალ-მაკრიზის დროს, აბანო უკვე დანგრეული იყო.

¹¹³ Ibn Šaddad. *La Description de Damas*. Ed. critique d’al-A‘lak al-Ĥatira. Ed. par S.Dahan. Damas, 1956, გვ. 194, №41.

¹¹⁴ ალ-მაკრიზი. *ქითაბ ალ-მავა’იზ..*, გვ. 324₁₀₋₁₁.

¹¹⁵ იქვე, გვ. 116₄; Die Chroniq aš-Šuġa’is’. Herausgegeben und überetzt von B.Schäfer. Wiesbaden, 1977, გვ. 118.

¹¹⁶ ალ-მაკრიზი. *ქითაბ ას-სულუქ ლი-მა’რიფათ დუვალ ალ-მულუქ*, I/3, ალ-კაჰირა, 1970, გვ. 822_; 866₉, 867₃, 868₁₇, 874₅; Moufazzal Ibn Abil-Fazail. *Histoire des Sultans Mamelouks*. Texte Arabe publié et traduit en Française par E.Bloch. II, - PO, t. XIV, fasc. II, Paris, 1920, გვ. 609.

¹¹⁷ ალ-მაკრიზი. *ქითაბ ას-სულუქ..*, გვ.888₁₅₋₁₆, 905₃.

¹¹⁸ იქვე, გვ. 917₂₁.

¹¹⁹ ალ-მაკრიზი. *ქითაბ ას-სულუქ..*, გვ. 785₁₈, 816₁₃, 886₁, 900₁₉; ალ-მაკრიზი. *ქითაბ ას-სულუქ..* II/1, ალ-კაჰირა, 1941, გვ. 75₁₉₋₂₀, 90₁₆, 91, 93_{4,6,12,14}, 105₁₅.

¹²⁰ ალ-მაკრიზი. *ქითაბ ას-სულუქ..*, III/1, ალ-კაჰირა, 1970, გვ.344₁₆₋₁₇, 364₁₈₋₁₉, 394₁₂₋₁₃.

¹²¹ D. Ayalon. Names, Titles and Nisbas of the Mamluks. – IOS, 1975, vol. V, გვ. 202, შენ. 45.

¹²² ე. ბლომესა და ჟ. სოვაჟეს თანახმად, სახელით „ქურჯი“ არაბულად ზოგჯერ გადმოცე-

მუსლიმებმა ქურჯია შეარქვეს ივანე მხარგრძელის ასულს – თამთას,¹²³ რომელიც 1210 წ. მიათხოვეს ხლათის აიუბიან გამგებელს. ეს სახელი გავრცელებული იყო XVI ს-ის ეგვიპტეში, ქრისტიანთა წრეებში.¹²⁴ გასულ საუკუნეში ქურჯია ერქვა ცნობილ სირიელ კომერსანტ ქალს ჰადდადს,¹²⁵ რომელსაც კავშირი არ ჰქონდა ქართულ ეთნოსთან. ქურჯია ჰადდადის სახელს ატარებს ერთ-ერთი ქუჩა დამასკოს ცენტრში.¹²⁶

დამასკოს არაბული ენის აკადემიის პრეზიდენტმა, ცნობილმა სირიელმა მეცნიერმა შაქირ ალ-ფაჰჰამმა მაცნობა, რომ სახელი ქურჯია ადრე ფართოდ იყო გავრცელებული სირიაში, როგორც მუსლიმებში, ისე – ქრისტიანებში. მაგრამ ამჟამად ის იშვიათად გვხვდება, რადგანაც მშობლები ამჯობინებენ, რომ შვილებს ძველი, ტრადიციული არაბული სახელები დაარქვან.

მულია მონღოლური „გორჩი“, რაც ნიშნავს ჭირვეულს, ხრიკიანს, მახეზლარას. (Moufazzal ibn Abil-Fazail. *Histoire...*, გვ. 710. შენ.; J. Sauvaget. *Names et surnoms de Mamelouks.* – *JA*, 1950, t. 228, გვ. 54, №187), მაგრამ ეგვიპტესა და სირიაში მონღოლ დიპლომატებთან საუბარში ეს სიტყვა მონღოლურში ვერ დავადასტურეთ.

¹²³ ამ სახელით იხსენიებს მას სიბტ იბნ ალ-ჯაუზი (გარდ. 1257 წ.) (*მირათ აზ-ზამან ფი თა'რიხ ალ-ა'იან*, VIII, ჰადარაბად, 1952, გვ. 660_ა, 662_ა, 754_ა). როგორც ივანე მხარგრძელი, ისე – თამთა, მიუხედავად მათი გენეტიკური ფესვებისა, ქართული ფეოდალური საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ. ივანე მხარგრძელი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე იყო. შემთხვევითი არ არის, რომ ან-ნასავი მას უწოდებს ივანე ალ-ქურჯის (ქართველს) (en-Nesewi, გვ. 228_ა, 237₁₅₋₁₆; an-Насави, გვ. 211₃₈, 225₅₆, 278₂). აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მუსლიმებმა ქურჯი ხათუნი (გურჯი ხათუნი) შეარქვეს რუსუდან მეფის ასულს თამარს, რომელიც რუმის სელჩუკთა სულთნის ქაი-ხუსრაუ II-ის (1237–1246) ცოლი გახდა. იხ. ალ-მაკრიზი. *ქითაბ ას-სულუქ...*, I/2, ალ-კაჰირა, 1975, გვ. 631₁₁; В. Гордлевский. *Государство Сельджукидов Малой Азии*. М.-Л., 1941, გვ. 32, 59, 129, 132, 165; ა. განერელია. დედოფალი თამარი („გურჯი ხათუნი“) და პოეტი ჯელალ ად-დინ რუმი. – *გაზ. ლს*, 1960, №41, 42; ე. ჯაველიძე, გურჯი ხათუნის (დედოფალი თამარის) და ჯელალ ად-დინ რუმის ურთიერთობის ისტორიიდან. – *ჟურნ. ცისკარი*, 1970, №1, გვ. 107-117. მოგვიანებით, ეს სახელი გავრცელდა არაქართულ წრეებშიც. XIV ს-ის შუა ხანებში გურჯი ხათუნი ერქვა დასავლეთ ანატოლიაში აიდინის ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენლის უმარ-ბეის ქალიშვილს (I. H. Uzuncarşili. *Anadolu Beylikleri ve Akkoyunlu, Karakoyunlu Devletleri*, II, Baski, Ankara, 1969, გვ. 120. ცნობა მოგვანოდა ბ-ნმა გ. ბერაძემ).

¹²⁴ სინას 1554 და 1562 წლების დოკუმენტებში, რომლებიც ეხება, უმთავრესად, კაიროელთა საკუთრებას, დასახელებულია ორი მეღქიტი ქრისტიანი ქალი, ქურჯია ქარამის ასული (1554 წ.) და ქურჯია რიზკ ალლაჰ ბინთ იუსუფ ბ. იუჰანა ასული იბნ ალ-ასფარისა, მეღქიტი ისა ბ. ნასრ ალლაჰ ბ. ფარაჯის ცოლი (1562 წ.). D. S. Richards. *Documents from Sinai concerning mainly Cairene property.* – *JESHO*, 1985, vol. XXVIII, pt. 3, გვ. 238, 283.

¹²⁵ ამის შესახებ პირველად მივუთითეთ 1985 წელს – გ. ჯაფარიძე. სირიული ჩანახატები. – *გაზ. ლს*, 1985, 9. VIII.

¹²⁶ ეს ქუჩა მდებარეობს დამასკოს ცენტრალურ უბანში, კინოთეატრ „ას-სუფარას“ მახლობლად.

4.7. ერაცელ არაბებს ჩემთან საუბარში არაერთხელ უთქვამთ, რომ ქურჯი, ქურჯიას ისინი, საზოგადოდ, ლამაზ ბავშვებს უწოდებდნენ.¹²⁷ ქურჯია (Kardjiye) ქართველი ქალისა, და, ფართო მნიშვნელობით, ლამაზი ქალის (“une jolie femme”) მნიშვნელობით არაბული ენის სირიულ დიალექტში დაფიქსირებული აქვს ა. ბართელემის.¹²⁸ ასე იყო თუნისშიც.¹²⁹

ლამაზის ნიუანსი ქურჯმა/ქურჯიამ, ვფიქრობთ, XVI-XVIII სს-ში შეიძინა. ამ დროს საქართველოში ტყვის სყიდვამ ფართო ხასიათი მიიღო. ქართველი ტყვეებით მარაგდებოდა მახლობელი აღმოსავლეთის მონათა ბაზრები. იყიდებოდა, რა თქმა უნდა, „რჩეული საქონელი“, ლამაზი გოგო-ბიჭები. მათი ეთნიკური სახელი ლამაზი ბავშვის სინონიმად იქცა.

5. საქართველოს თანამედროვე სახელწოდება არაბულში არის ჯურჯია, რაც Georgia-ს არაბულ ფორმას წარმოადგენს.

¹²⁷ სამწუხაროდ, თავის დროზე ამ პირთა ვინაობა არ ჩავიწერე.

¹²⁸ A. Barthélemy. *Dictionnaire Arabe-Français. Dialectes de Syrie: Alep, Damas, Liban, Jérusalem*. Quatrième fascicule. Paris, 1950, გვ. 709.

¹²⁹ [Addenda: ქართველმა ექიმებმა (ცოლ-ქმარმა) მალხაზ კერესელიძემ და ლალი სტურუამ, რომლებიც 1979-80 წლებში მუშაობდნენ თუნისში და საშუალება ჰქონდათ, შეხვედროდნენ ქართველი მამლუქების შთამომავლებს, მაცნობეს ერთი მათგანის, ცნობილი ქირურგის – პროფ. ფარხათის ნაამბობი: მისი ბებია, როცა ლამაზ ქალს ნახავდა, იტყოდა, **კურჯიას**ავით მშვენიერიაო. ზოგიერთი მონაცემით, თითქოს ასე იყო თურქეთშიც. ქართველმა ქველმოქმედმა ლევან სალარაძემ (გარდ. 1989 წ.) მიამბო ერთი ამბავი, რისი მოწმეც თვითონ გახდა 1932 წ. თურქეთში, საქართველოდან ემიგრაციის დროს, ერთი თურქის ოჯახში, სადაც კვლავ გოგონა გაჩნდა, გამწარებული მამა ბებიაქალმა ასე დაამშვიდა: „უნდა გიხაროდეს, შეხედე ნამდვილი **გურჯია** შეგეძინაო“].

THE ARABIC DESIGNATIONS OF THE GEORGIANS AND GEORGIA

The Arab-Georgian centuries-old contacts, beginning in the 640-650s, found reflection in varied and numerous Arabic narrative and documentary sources of the 9th-19th centuries. Besides evidence on political, economic and cultural interrelations, these sources have recorded the designations of the Georgians and Georgia used among the Arabs.

On the basis of vast factual material, in the present paper the following designations of the Georgians are considered: Jurz (sing. Jurzī), Jurzān, Jurziya, Jurjān (sing. Jurjānī, Jurjī), Abkhāz (sing. Abkhāzī), Kurj (sing. Kurjī); Kartli (Iberia): Jurzān, Jurjān; and of the entire Georgia: Bilād al-Abkhāz, Bilād al-Kurj, and Kurjistān.

It should be noted that the ethnic term Abkhāz – attested in 9th-14th cent. Arabic sources – in the majority of cases implied the Georgians, while Bilād al-Abkhāz (“the Country of the Abkhazians”) referred to Georgia. Later the term Abāza appeared, meaning the Abkhazians (Apsua) proper.

Among the other designations, the most widespread in the Arabic world were: in reference to the Georgians, Kurj, and to the country, Bilād al-Kurj and Kurjistān became most widespread in the Arab world.

The *nisba* (relative name) al-Kurjī and the personal names Kurjī and Kurjiya were formed from the ethnic term Kurj, born by many Muslim medieval figures in the Near and Middle East. Some 13th-14th cent. place names in Cairo and Damascus are linked to these names. The name Kurjiya is attested in modern Syria.

The modern designation of Georgia in Arabic, Jurjiya stems from the European designation of the country, Georgia.

შუა საუკუნეების არაბთა წარმოდგენები ქართველთა წარმომავლობის შესახებ*

გენეალოგიურ ჟანრს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების არაბულ ლიტერატურაში. ისლამამდელი არაბული გენეალოგიის მცოდნენი იყვნენ თავად ბედუინები, რომლებიც ზეპირად გადასცემდნენ თავიანთ ცოდნას. არაბთა დიდი დაპყრობითი ომების დროს დაიწყო გენეალოგიური მასალების შეგროვება-ფიქსაცია¹ და VIII ს-ის მიწურულსა და IX ს-ის დასაწყისში ამ სფეროში გაჩნდა პირველი სპეციალური ვრცელები. დაპყრობითმა ომებმა არაბებს დაუმორჩილა ვრცელი ტერიტორია ესპანეთიდან ინდოეთამდე. მათი ბატონობის ქვეშ მოექცა არაერთი ხალხი, რომლებთანაც არაბებს, მათ ადმინისტრაციას ადგილებზე, ყოველდღიური კონტაქტები ჰქონდათ. ბუნებით ცნობისმოყვარე არაბები ცდილობდნენ, გარკვეულიყვნენ ამ ხალხების წარმომავლობაში და ქმნიდნენ მათი ნათესაობის ვერსიებს. სხვადასხვა ხალხთან ერთად მათ აინტერესებდათ ქართველების წარმომავლობა-ნათესაობაც.

* პირველად დაიბეჭდა 2009 წ. – კრ. სამეცნიერო პარადიგმები (კრებული ეძღვნება ნათელა ვაჩნაძეს). თბ., 2009, გვ. 195-206.

¹ ისლამამდე გვარტომობის ცოდნა არაბეთში გვაროვნული საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრებისათვის აუცილებელი ელემენტი იყო. VIII ს-ის 40-იანი წლებიდან ამ ცოდნამ სხვა პრაქტიკული ნიუანსი შეიძინა. ჰიჯრის 20/641 წ. ხალიფა ‘უმარმა შექმნა დივან ალ-მუკათილა, ან დივან ალ-ჯუჟინდი – ლაშქრის უწყება, რომლის მოვალეობაც იყო მუსლიმური თემის წევრთათვის ხელფასებისა და პენსიების გაცემა. საამისოდ შედგა სპეციალური რეესტრი, რომელშიც პირველ ადგილზე იდგნენ მოციქულ მუჰამადის ოჯახისა და მისი გვარის წარმომადგენლები; შემდეგ ის პირები, რომლებმაც პირველად მიიღეს ისლამი; მუჰაჯირები, ანსარები და, საერთოდ, ყველა მუსლიმი – გვარისა და ტომის მიხედვით. თანამიმდევრობა ტომებისა და გვარებისა და, აქედან გამომდინარე, ხელფასებისა და პენსიების ოდენობა განისაზღვრებოდა მუჰამადისა და ისლამის წინაშე მათი დამსახურების მიხედვით. დივან ალ-მუკათილას შექმნამ დღის წესრიგში დააყენა არაბულ ტომთა გენეალოგიის შესწავლა და, შეიძლება ითქვას, შეასრულა უმნიშვნელოვანესი როლი არაბული გენეალოგიური მეცნიერების ჩამოყალიბებაში. П. А. Грязневич. Развитие исторического сознания арабов (VI-VIII вв.). – *Очерки истории арабской культуры, V-XV вв.*, М., 1982, გვ. 16, 149-150; F. Rosenthal. *Nasab*. – *EI*, vol. VII, გვ. 967.

X ს-ის არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი ალ-მას'უდი ერთ-ერთ ქართულ ტომს წანარებს – არაბ. ას-სანაროას არაბულ ფესვებს უძებნიდა და მიიჩნევდა, რომ წანარები იყვნენ სამხრეთარაბული ტომის ნიზარ ბ. მა'ად ბ. მუდარის ტომის – 'უკაილის შტოს შთამომავლები.² სიტყვაში „ალ-ჯურზ“/ქართველები თანხმობენზე წერტილების გადაადგილების გამო, არაბი ავტორები ამ ეთნონიმს, არცთუ იშვიათად, აიგივებდნენ ალ-ხაზარ/ხაზარებთან.³

გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა, ასევე, მცდარადაა გაიგივებული ქურჯ/ქართველები და ქურდ/ქურთები.⁴ გარდა ამისა, ხალხთა კლასიფი-

² გ. ჯაფარიძე. წანართა შესახებ. – ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1979, 328, გვ. 29-41 (იხ. ამავე კრებულში, გვ. 83-96).

³ გ. ჯაფარიძე. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები. – საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ. 124-25 (იხ. ამავე კრებულში, გვ. 11-32).

⁴ ეს თვალსაზრისი მომდინარეობს XIV ს-ის არაბი ენციკლოპედისტის იბნ ფადლ ალ-ლაჰ ალ-უმარის (გარდ. 1349 წ.) ერთი ცნობიდან, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში, თავდაპირველად, შიჰაბ ად-დინ ალ-კალკაშანდის (გარდ. 1418 წ.) თხზულების მეშვეობით შემოვიდა (ალ-კალკაშანდი. *სუბჰ ალ-ა'შა ფი სინა'ათ ალ-ინშა'*, VIII, ალ-კაჰირა, 1915, გვ. 27; ალ-კალკაშანდი. *სუბჰ ალ-ა'შა ფი სინა'ათ ალ-ინშა'*, I, ალ-კაჰირა, 1913, გვ. 369; В. Г. Тизенгаузен. Заметка Элькалкашанди о грузинах. – *ЗВОИРАО*, т. I, вып. 3, СПб, 1886, გვ. 208-16, 209-11; ალ-კალკაშანდი. ცნობები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა მ. მეტრეველმა. – *არმაღანი*. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ., 1977, გვ. 457; XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა. თბ., 1988, გვ. 54; გ. წერეთელი. *არაბულ-ქართული ლექსიკონი*. თბ., 1951, გვ. 212). ცნობა ქურჯთან და ქურდთან დაკავშირებით გვხვდება ალ-უმარის თხზულების „მაღალი ტერმინოლოგიის განმარტება“ იმ ნაწილში, რომელიც ეხება ქართველთა სამეფოს (ალ-უმარი. *ათ-თა'რიფ ბი ლ-მუსტალაჰ აშ-შარიფ*. მისრ, 1312/1894, გვ. 53-55). აქ საუბარია ქართველთა ქვეყანაზე, ჰულაგუიანებთან და ამირა ჩობანთან ქართველთა მეფის ბარტილმას ურთიერთობაზე, ამ უკანასკნელის ცდაზე დაეხსნა მუსლიმთაგან ჯვრის მონასტერი; მოტანილია საქართველოს მეფესთან ეგვიპტის სულტნების მიმონერის ნიმუში. ალ-უმარი ეხება, აგრეთვე, ქართველთა ლაშქარს, რომელიც „ჰულაგუიანთა ლაშქრის ძალასა და სიმდიდრეს წარმოადგენს, რომელსაც ისინი ენდობიან და ეყრდნობიან“ (XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები, გვ. 51) და სწორედ აქ წერს: „ვა ამმა 'ასქარ ალ-ქურჯ ფა ჰუმ სალიბათ დინ ას-სალიბ ვა აჰლ ალ-ბა'ს ვა ნ-ნაჯდა მინჰუმ ვა იუკალუ ფი ლ-მუსლიმინ ალ-ქურდ ვა ფი ნ-ნასარა ალ-ქურჯ“ (ალ-უმარი. *ათ-თა'რიფ*., გვ. 54). აღნიშნულ ცნობაში ზმნა *იუკალუ*, რომელსაც არ ახლავს „ლაჰუ“ („ლი“ წინდებული+ნაცვალსახელური სუფიქსი), უნდა ითარგმნოს არა როგორც „ენოდება, რომელსაც ჰქვია სახელად“, როგორც ეს ჩვეულებრივად გვხვდება ალ-უმარისა და ალ-კალკაშანდის ცნობების რუსულ და ქართულ თარგმანებში (В. Г. Тизенгаузен. *Заметка*., გვ. 209; ალ-კალკაშანდი. ცნობები., გვ. 457; XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები., გვ. 54), არამედ „ამბობენ, ნათქვამია, ითქმის“ (გ. წერეთელი. *არაბულ-ქართული ლექსიკონი*, გვ. 204-5). ამიტომ, ციტირებული ცნობა მე, ისევე როგორც დ. ეიალონს (D. Ayalon. *Eunuchs, Caliphs and Sultans: A Study in Power Relationships*. Jerusalem, 1999, გვ. 145), ასე მესმის: „და რაც შეეხება ქართველთა ლაშქარს,

კაციისა და მათი წარმომავლობის განსაზღვრისას, არაბები, ჩვეულებრივ, მისდევდნენ ბიბლიურ სქემას⁵ და ავსებდნენ მას.

•

ბიბლიით, როგორც ცნობილია, კაცობრიობა ნოეს სამი ვაჟისგან მოდის. სწორედ მისგან განშტოვდნენ ხალხები ქვეყანაზე წარღვნის შემდეგ. ბიბლიაში დასახელებულია ხალხები, რომელთა მამამთავრებიც გახდნენ სემი, ქამი და იაფეტი, მოხაზულია ამ ხალხების საცხოვრისი გეოგრაფიული არეალი, მაგრამ – არა ყველასი. არაბთა შემოსევებამდე კარგა ხნით ადრე რომაელ-ბიზანტიელი ავტორებისთვის ძნელი არ იყო იმის შემჩნევა, რომ რიცხვი, მათ დროს რეალურად არსებული ხალხებისა, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ამას ბიბლია ასახელებდა. თუ ადრე არა, უკვე III ს-იდან მაინც ქრისტიანი ავტორები სწავლობდნენ მათი თანამედროვე ხალხების გენეალოგიას და ცდილობდნენ, გაერკვიათ, ნოეს რომელი ვაჟი იყო მათი წინაპარი. ამ მხრივ, არსებობდა განსხვავებული შეხედულებები. შეიქმნა სპეციალური ლიტერატურა: *Liber generationis hominum* და *Diaperismos*, რომელშიც დასმულია ხალხთა წარმომავლობის საკითხები. ამ ჟანრის ნაშრომთა რიცხვს, მაგალითად, მიეკუთვნება იპოლიტე რომაელის „ქრონიკა“, რომელიც დაინერა 234-235 წლებში. მის საფუძველზე V-VII საუკუნეები შეიქმნა სხვა 8 რედაქცია, მათ შორის, ეპიფანე კვიპრელის (გარდ. 403 წ.) თხზულება.⁶

ისინი მტკიცენი არიან ჯვრის სარწმუნოებაში და გულადი და მამაცი ხალხია მათგან [ქრისტიანთაგან]. ამბობენ: *მუსლიმებში არიან ქურთები, ხოლო ქრისტიანებში – ქართველები*. ალ-უმარის მხედველობაში ჰქონდა არა ორი ეთნონიმის – ქურჯ/ქართველებისა და ქურდ/ქურთების იგივეობა, არამედ ის, რომ გულადობით და სიმამაცით მუსლიმთა შორის გამორჩეულნი არიან ქურთები (რაც კარგად გამოჩნდა 1171-1250 წლებში, როცა ეგვიპტეს განაგებდა ქურთული წარმოშობის აიუბიანთა დინასტია), ხოლო ქრისტიანთა შორის – ქართველები. არაბი ავტორის მიერ ქართველთა ასეთ მაღალ შეფასებას, რომელსაც, შეიძლება ითქვას, გამორჩეული ადგილი უკავია ქართველთა შესახებ არაბ-მუსლიმთა წარმოდგენებში, იმ დროს რეალური საფუძველი ჰქონდა. ქართველთა სამხედრო შენაერთებმა სიმამაცით თავი გამოიჩინეს მონღოლთა რიგებში, XIII ს-ის II ნახევრიდან – XIV ს-ის 10-იანი წლების ჩათვლით, ეგვიპტის მამლუქებთან ილხანების სამხედრო კონფრონტაციის დროს.

⁵ არაბულ ისტორიოგრაფიაზე ბიბლიური ტრადიციის გავლენის შესახებ იხ. F. Rosenthal. The Influence of the Biblical Tradition on Muslim Historiography. – *Historians of the Middle East*. Ed. by B. Lewis. London, 1962, გვ. 36-45.

⁶ კ. კეკელიძე. ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში. – კ. კეკელიძე. *ეტიუდები ძველი ქართული კულტურის ისტორიიდან*. I, თბ., 1956, გვ. 168-82; К. Кекелидзе. Идея братства закавказских народов по генеалогической схеме грузинского историка XI века Леонтия Мровели. – კ. კეკელიძე. *ეტიუდები ძველი ქართული კულტურის ისტორიიდან*. III, თბ., 1955, გვ. 96-107.

ისლამმა მიიღო სამყაროს შექმნის ბიბლიური ტრადიცია, აღიარა ადამი (ყურანში ადამიანები არიან ადამის შვილები, მისი შთამომავლები) და ევა (არაბ. ჰავვა)⁷, ნოე (არაბ. ნუხ), რომელიც ითვლება ერთ-ერთ ყველაზე პატივცემულ მოციქულად ისლამამდე და წარღვნა, რომელსაც გადაურჩა მხოლოდ ნოეს კიდობანს თავშეფარებული მისი ახლობლები და ცხოველები.⁸ ყურანში არ იხსენიებიან სახელებით ნოეს/ნუხის სამი ვაჟი: სემი (სამ), ქამი ჰამი) და იაფეტი (იაფისი),⁹ მაგრამ მათ ასახელებენ და აღიარებენ ყურანის კომენტატორები, არაბი ისტორიკოსები, გეოგრაფები და სხვა ავტორები.

⁷ ადამისა და ევას შესახებ ისლამური წარმოდგენები იხ. E. A. Резван. Адам и бану Адам в Коране (К истории понятий “первочеловек” и “человечество”. – *Ислам. Религия, общество, государство*. М., 1984, გვ. 59-68; М. Б. Пиотровский. Творение мира и человека. – М. Б. Пиотровский. *Коранические сказания*. М., 1991, გვ. 37; J. Pedersen. Adam. – *EI*, vol. I, გვ. 176; J. Eisenberg [G. Vajda]. Hawwa'. – *EI*, vol. III, გვ. 295.

⁸ ნოეს შესახებ ისლამური ტრადიცია იხ. М. Б. Пиотровский. Пророки великих катастроф. – М. Б. Пиотровский. *Коранические сказания*. М., 1991, გვ. 44-54; В. Heller. Nuh. – *EI*, vol. VIII, გვ. 108; XIV ს-ის არაბ ავტორს შამს ად-დინ მუჰამმად იბნ აბუ ტალიბ ად-დამიშკის (გარდ. 1327 წ.) თავის კოსმოგრაფიულ თხზულებაში *ნუჰბათ ად-დაჰრ ფი 'აჯა-იბ ალ-ბარრ ვა ლ-ბაჰრ* „რჩეული ეპოქისა ხმელეთისა და ზღვის საოცრებათა შესახებ“ (იხ. *Cosmographie de Chems-ed-Din Abou Abdallah Mohammed ed-Dimichqui. Texte arabe, publié d'après l'édition commencée par M. Fraehn d'après les manuscrits de St.-Petersbourg, de Paris, de Leyde et de Copenhague*. SPb., 1866) მოჰყავს რომელიღაც ანონიმური კრებულის ლეგენდა, რომლის თანახმადაც, წარღვნის შემდეგ გადარჩენილი ყველა ხალხი ლაპარაკობდა ერთ – „ისრაილის“ ენაზე. ეს ხალხი შეგროვდა ერთ ადგილზე, რომელსაც ეწოდებოდა კუსა, სადაც დაიწყეს უზარმაზარი ნაგებობის შენება დიდ მთაზე, დედამიწის ცენტრში იმ შემთხვევისთვის, თუ წარღვნა გამეორდებოდა. ამ ნაგებობას არ ჰქონდა სარკმლები, მაგრამ ჰქონდა კარები, რომლებიც შედიოდა 72 სავანეში. როცა ყველა თავიანთ სავანეში განცალკევდა, ღამით გაისმა უფლის ხმა და დაანგრია კაცობრიობის ეს ერთიანი საცხოვრისი. ამის შემდეგ ამოვარდა „შავი ქარი“ ისე, რომ, ადამიანებს არ შეეძლოთ ერთმანეთის დანახვა. თითოეულ ამ 72 ჯგუფს (ოჯახს) ქარი დევნიდა გარკვეული მიმართულებით და როცა ის ჩადგა, აღმოჩნდა, რომ ისინი იყვნენ თავიანთი სახლიდან შორს. იაფეტიანები, მაგალითად, აღმოჩნდნენ მისგან ჩრდილოეთით და გაიყვნენ 37 ხალხად და ენად იმ სავანეების რაოდენობის მიხედვით, რომლებშიც ცხოვრობდნენ. სემიტებმა, მათდა გასაოცრად, აღმოაჩინეს, რომ ცხოვრობდნენ თავიანთ ძველ ადგილებში, მაგრამ გაიყვნენ 19 ხალხად და ენად, მათ მიერ დაკავებული სავანეების რაოდენობის მიხედვით. ამ მიწას ეწოდა ბაბილ, რაც ნიშნავს გადაადგილებას, გადანაცვლებას. სხვა ლეგენდით, ხალხთა დაყოფა მოხდა ჯერ კიდევ ნოეს დროს, რომელთანაც იყო ადამიანთა 80 წყვილი. ყველა ისინი ლაპარაკობდნენ სირიულად და წარმოადგენდნენ ერთ მთლიან ხალხს. კიდობნიდან გამოსულმა ნოემ ააშენა სოფელი, სადაც მათ შეეძლოთ გამოეძინათ. დილით აღმოჩნდა, რომ ისინი ლაპარაკობდნენ 80 ენაზე და ერთმანეთის არ ესმოდათ. მხოლოდ ნოეს ესმოდა მათი ენებისა. В. П. Демидчик. *Арабская литература мамлюкского периода. Жанр мирабиллий*. Душанбе. 1982, გვ. 60.

⁹ Ippin. Sam. – *EI*, vol. VIII, გვ. 1007; G. Vajda. Ham (Cham) – *EI*, vol. III, გვ. 104; В. Heller [A. Rippin]. Yafith. – *EI*, vol. XI, გვ. 236.

როგორც ქრისტიანული, ისე ისლამური კონცეფციით, ნოემ დედამინა დაუნანილა თავის სამ ვაჟს. სემი, რომლის შთამომავლებიც არიან იბრაჰიმი resp. აბრამი და მისი ვაჟი ისმაილი, არაბთა წინაპარია. ქამისგან (ჰამ) გამოჰყავთ სუდანელები, ნუბიელები, ეთიოპელები, ზოგჯერ, ჰინდო-სინდებიც და შავკანიანი ხალხები. იაფეტის (იაფის) შთამომავალთა შორის არაბი ავტორები ასახელებენ გოგსა და მაგოგს (იაჯუჯ ვა მაჯუჯ), ხშირად თურქებსა და ხაზარებს, უფრო იშვიათად, სლავებს (საკალიბა). სპარსელებს და რუმელებს, ე.ი. ბიზანტიელებს, ხან უკავშირებენ სემს და ხან – იაფეტს.

სამ ძმას შორის, სემიტური ტრადიციით, უპირატესობა აშკარად სემს ენიჭება, თუმცა იაფეტის მიმართ იშვიათად ჩანს არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება.

სხვადასხვა ავტორთან ნოეს სამი ვაჟის შთამომავლები დასახელებულია სხვადასხვანაირად. ხან ზუსტად ისე, როგორც ბიბლიაშია, ხან ნაწილობრივ, ანდა – სრულიად განსხვავებულად.

საერთო რაოდენობა ხალხებისა, რომლებიც ქრისტიან ავტორებს გამოჰყავდათ ნოეს ვაჟებისგან, შეადგენდა 72-ს, თუმცა არ იყო ერთი აზრი იმის თაობაზე, თუ ვისგან რამდენი ხალხი გამოვიდა.

ნოეს ვაჟების შთამომავალი ხალხების საერთო რიცხვს მუსლიმი ავტორებიც, ძირითადად, 72-ით საზღვრავენ. ამავე დროს, არაბულ-ისლამური თვალსაზრისი ამ საკითხზე ეყრდნობოდა ასევე ყურანს და ჰადისებს, რომელთაც ემატებოდა საერთოსემიტურ და ირანულ საფუძველზე წარმოქმნილი გადმოცემები.¹⁰



ხალხთა კლასიფიკაციის არაბულ სიტემებში ჩვენი ყურადღება მიიქცია სამხრეთი კავკასიის ხალხების, კერძოდ, ქართველების ადგილმა.

ერთ-ერთი პირველი არაბი ავტორი, რომელმაც ჩამოაყალიბა ხალხთა წარმომავლობის კონცეფცია და შეეხო ქართველებსაც, იყო ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი აბუ ლ-მუნზირ ჰიშამ იბნ მუჰამმად იბნ ალ-სა'იბ ალ-ქალბი (დაახლ. 120/837–206/820-21 წწ.)¹¹ მისი კონცეფცია საუკუნეების მანძილზე გავრცელებული და პოპულარული იყო არაბულ მწერლობაში. იბნ ალ-ქალბის ხშირად იმონებენ შუა საუკუნეების ავტორები, მაგრამ მის კლასიფიკაციაში ქართველების ადგილზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ უფრო გვიანდელი ავტორების, იაკუთისა და ად-დიმიშკის შრომების მიხედვით.

¹⁰ В. П. Демидчик. *Арабская литература*, გვ. 60.

¹¹ მის შესახებ იხ. П. А. Грязневич. *Развитие исторического сознания*, გვ. 146-155; W. Atallah. al-Kalbi, I. Hisham b. Muhammad b. al-Sa'ib al-Kalbi. II. Muhammad b. al-Sa'ib al-Kalbi. – *EL*, vol. IV, გვ. 494.

XIII ს. არაბი მეცნიერი-ენციკლოპედისტის იაკუთ იბნ 'აბდ ალლაჰ ალ-ჰამავი არ-რუმის (გარდ. 1229 წ.) „გეოგრაფიულ ლექსიკონში“ (*მუ'ჯამ ალ-ბულდან*) ხშირადაა დამონმებული იბნ ალ-ქალბის დღეისთვის დაკარგული თხზულება *ქითაბ ანსაბ ალ-ბულდან* („ნიგნი ქვეყნების/ქალაქების გენეალოგიების შესახებ“), რომელიც, თითქოსდა, იგივეა, რაც მისივე *იშ-თიკაკ ალ-ბულდან* („ქვეყნების ეტიმოლოგია“).¹²

იაკუთის თხზულებაში მოტანილი ციტატებით თუ ვიმსჯელებთ, ხალხებისა და ქვეყნების სახელწოდებები იბნ ალ-ქალბის ეთნარქების სახელეზიდან გამოჰყავს. აქ შევჩერდებით იაფეტის მოდგმაზე. იბნ ალ-ქალბის თანახმად: „აფეს იბნ ნუჰის, - მშვიდობა მას, - შთამომავალთაგან არიან აუნანი, საკლაბი, 'აბდარი, ბურჯანი, ჯურზანი, ფარისი და არ-რუმი.“¹³ ამავე დროს, იბნ ალ-ქალბი მამამისისგან – მუჰამმად ბ. ალ-სა'იბ ალ-ქალბისგან¹⁴ მიღებული ინფორმაციით აღნიშნავდა, რომ *რუმი*, *საკლაბი*, *არმინა*¹⁵ და *აფრანჯი ძმებია*, *შთამომავლები ლანტა* (*ლანტი*, *ლაიტი*) იბნ ქასლუხიმ იბნ აუნან იბნ აფესისა. და რომ თითოეული მათგანი მოსახლეობს დედამიწის გარკვეულ ადგილზე, რომელიც იწოდება მისი სახელით“.¹⁶

იაკუთი, მოგზაურებისგან მიღებული ინფორმაციით, წერს, რომ არმინია (ე.ი. სომხეთი) ეწოდა ამ ტერიტორიას არმინა იბნ ლანტას მიხედვით. ამასთან, ლანტა ავმარის ძეა¹⁷ და არა ქასლუხიმისა. ზემოდასახელებულ ეთნარქებს უკავშირდებიან ბიზანტიელები, სლავები, სომხები, ქართველები და აფრანკები.

¹² И.Ю. Крачковский. Арабская географическая литература. – И. Ю. Крачковский. *Избранные сочинения*, т. IV, М.,-Л., 1957, გვ. 121; იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ. I. არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ. თბ., 1964, გვ. 020.

¹³ იაკუთის ცნობები, გვ. 71.

¹⁴ მუჰამმად ბ. ალ-სა'იბ ალ-ქალბი (გარდ. 763 წ.) იყო არაბი ისტორიკოსი - ტრადიციონალისტი, ეკზეგეტი და გენეალოგისტი. გადასცემდა ცნობებს გენეალოგიის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. W. Atallah. *al-Kalbi*, გვ. 494.

¹⁵ იაკუთის თანახმად, „არმინა იბნ ლანტა იბნ ავმარ იბნ აფეს იბნ ნუჰი იყო პირველი, ვინც ჩამოვიდა და დასახლდა იქ“ (იაკუთის ცნობები., გვ. 12), ე.ი. არმინიაში, სომხეთში.

¹⁶ იაკუთის ცნობები., გვ. 71; XIII ს. არაბი კოსმოგრაფი ზაქარია ალ-კაზვინი ამ ინფორმაციის ავტორად ასახელებს თავად იბნ ალ-ქალბის. Zakariya' b. Muhammad b. Mahmud al-Qazwini. *Atar al-Bilad*. Beirut. Dar Sader (უთარილო), გვ. 614.

¹⁷ იაკუთის ცნობები, გვ. 12; ლანტა შეიძლება გაიგივდეს თორგომასთან (ქართ. თარგამოსი). ავმარი ა.ტერ-გევონდიანის აზრით, გომერია. ქასლუხიმის იდენტიფიკაცია არ ხერხდება. А. Тер-Гевондян. *Армения и арабский халифат*. Ереван, 1977, გვ. 258; А.Тер-Гевондян. Арабский вариант предания о происхождении армян. – *Вестник Ереванского университета* (Общественные науки), 1971, №1 (на армянском яз., резюме на русском яз.), гв.159-165.

იბნ ალ-ქალბის თანახმად, არმინას ვაჟები არიან არდაბილი¹⁸ და ბაილაკანი.¹⁹ ის ეთნარქები, რომელთაგან მომდინარეობს ამ ქალაქების სახელწოდებები.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ, იმავე იბნ ალ-ქალბის მიხედვით (რომელიც იმონმებს შარკი იბნ კუტამის²⁰), ძმები არიან ჯურზანი და არრანი – ვაჟები ქასლუხიმ იბნ ლანტა იბნ იუნან იბნ იაფის იბნ ნუჰისა.²¹

ჯურზანი არაბულ წყაროებში ეთნიკონია: ქვეყანა – ქართლი და ხალხი – ქართლის მოსახლეობა, ქართველები, ივერიელები.²² იბნ ალ-ქალბის თანახმად, ის ეთნარქიცაა. ეთნარქ ჯურზანს უკავშირდება ქვეყნისა და ხალხის სახელწოდება. არრანი ეთნარქია იმ ხალხის და ქვეყნისა, რომელიც ჩვენთვის ალბანეთისა და ალბანელების სახელითაა ცნობილი.

იბნ ალ-ქალბის თანახმად, სომხების, ქართველებისა და ალბანელების ეთნარქები ახლო ნათესავები არიან. არრანი და ჯურზანი ძმებია, არმინა იბნ ლანტა - მათი ბიძა, ბაილაკანი და არდაბილი – არრანის და ჯურზანის ბიძაშვილები. ყველა მათგანი იაფეტის შთამომავალია (იხ. სქემა I).

იბნ ალ-ქალბის თვალსაზრისი, სამხრეთი კავკასიის ხალხების ეთნარქების ახლო ნათესაობის შესახებ, მანამდე ქრისტიანულ მწერლობაში არ გვხვდება. არ არის გამორიცხული, რომ ეს თვალსაზრისი რაღაც სახით არსებობდა VIII–IX საუკუნეების სამხრეთ კავკასიაში. სამწუხაროდ, სათანადო ქართული ინფორმაცია ამის თაობაზე არ გავაჩნია. მოგვიანებით, ლეონტი მროველმა სამხრეთი კავკასიის ხალხთა ნათესაობის იდეა უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა. მისი კონცეფციით, როგორც ცნობილია, სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ეთნარქები ჰაოსი, ქართლოსი და ბარდოსი ძმები იყვნენ და შთამომავლები იაფეტისა.²³

¹⁸ აკუთის ცნობები..., გვ. 8.

¹⁹ იქვე, გვ. 37.

²⁰ აშ-შარკი იბნ ალ-კუტამი (გარდ. დაახლ. 150/787 წ.) გადასცემდა ძველ არაბულ პოეზიას, არაბთა ამბებს (ახბარ), ლექსიკოგრაფიულ, გეოგრაფიულ, ისტორიულ და გენეალოგიურ ცნობებს. W. P. Heinrichs. Al-Sharki b. al-Kutami. – *EI*, vol. IX, გვ. 353.

²¹ აკუთის ცნობები..., გვ. 42.

²² გ. ჯაფარიძე. *ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები*, გვ. 124.

²³ ქართლის ცხოვრება, I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, გვ.3-6; ა. აბდლაძე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა. თბ., 1982.; В. Цулая. Историческая концепция грузинского историка XI века Леонтия Мровели (Этнокультурный аспект). – *История СССР*, 1987, №4. გვ. 175-85; ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფციის შესახებ ჩატარებული დისკუსიის შესახებ მასალები. იხ. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, 1968, №1, გვ. 317 და შმდ.

●
იბნ ალ-ქალბი ხშირადაა ციტირებული შამს ად-დინ მუჰამმად იბნ აბი ტალიბ ად-დიმიშკის (გარდ. 1327 წ.) კოსმოგრაფიულ თხზულებაში.²⁴

თავის გენეალოგიურ სქემას ად-დიმიშკი იწყებს სემიტი ხალხების აღწერით. ამ სქემით, ნოეს ვაჟის – სემისგან წარმოიშვნენ არაბები, სპარსელები და რუმელები, რომლებმაც გაინაწილეს დედამიწის ცენტრალური რაიონები. იაფეტისგან წარმოდგნენ იაფეტიანები, მათ შორის, სლავები, იაჯუჯის და მაჯუჯის ხალხები. ისინი განსახლდნენ დედამიწის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით. ჰამისგან მოდიან კოპტები, ბერბერები, სუდანის ხალხები, რომლებიც განსახლდნენ დედამიწის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებში.

ად-დიმიშკი, ჩანს, იცნობდა იბნ ალ-ქალბის თვალსაზრისს სამხრეთი კავკასიის ხალხების წარმომავლობის შესახებ, თუმცა, არ მოიხსენია ეს ავტორი და რამდენადმე შეცვალა მისი ინფორმაცია.

ად-დიმიშკიმ იცის ლანტას (იგივე თორგომას) სამი (და არა ორი) ვაჟი: არმინა, ქამაშიხი და ქასლუხიმი. არმინას ვაჟებია არდაბილი, დაბილი (დვინი) და ბარდა (ბარდავი). ქამაშიხის ვაჟებია: ჯურზანი და მუკანი (მულანი ან მოვაკანი), ქასლუხიმისა – არრანი. ამ ცნობაში ჯურზანის მამა ქამაშიხია და არა ქასლუხიმი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სამხრეთი კავკასიის ხალხების ეთნარქები (და ამდენად ეს ხალხებიც) ერთმანეთის ნათესავეებია. არმინა ჯურზანის ბიძაა, თუმცა, არა ჩანს, ის ჯურზანის მამაზე უფროსია, თუ – უმცროსი (იხ. სქემა II).

ამრიგად, ად-დიმიშკის თხზულებაში, გარკვეული ცვლილებით, ერთხელ კიდევ გაიჟღერა სამხრეთი კავკასიის ხალხების, მათ შორის, ქართველების, იაფეტისგან წარმომავლობის იმ კონცეფციამ, რომელიც ეკუთვნის იბნ ალ-ქალბის. მაგრამ არაბულ ისტორიულ მწერლობაში გვაქვს სხვა თვალსაზრისიც, რომელიც ქართველებს სემის შთამომავლად მიიჩნევს. და ქართველებისა და სომხების ნათესაობა უფრო მაღალ ხარისხში აპყავს.

●
გამოჩენილი არაბი ისტორიკოსი იბნ ხალდუნი (გარდ. 1406 წ.) თავის „ისტორიაში“ (თა’რიხ) რამდენჯერმე ეხება ქართველებისა და სომხების ნათესაობას. ამ საკითხზე არაბი მემატთანე ყურადღებას ამახვილებს მაშინ, როცა მოგვითხრობს XIII საუკუნის საქართველოსა და კილიკიის სომ-

²⁴ Cosmographie de Chems-ed-Din... ed-Dimichqui. გვ. 187-88, 262. გენეალოგიური ცნობები გაფანტულია ად-დიმიშკის თხზულების სხვადასხვა ადგილზე, განსაკუთრებით, მე-9 თავში. ამ ნაშრომის კომპოზიციის შესახებ იხ. В. П. Демидчик. *Арабская литература...*, გვ. 59.

ხეთის ისტორიის სხვადასხვა ეპიზოდს. ასე, როცა იბნ ხალდუნი გადმოგვცემს ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის აღებას 1226 წ., ის მკითხველს აძლევს განმარტებას იმის თაობაზე, თუ ვინ არიან ქურჯები, ე.ი. ქართველები:

„ეს ქართველები (ალ-ქურჯ) არიან ძმები (იხვათუნ) სომხებისა (ალ-არმან) და სომხები კი წარმომავლობით უკავშირდებიან იბრაჰიმს, მშვიდობა მას“.²⁵

XIII ს-ის 70-იან წლებში, კილიკიის სომხეთზე ეგვიპტის მამლუქთა ლაშქრობის აღწერის დროს იბნ ხალდუნი აღნიშნავს:

„ეს სომხები წარმოდგებიან იბრაჰიმის, მშვიდობა მას, ძმისგან. კამუილის ძენი არიან. კამუილი არის ძე ნაჰურისა, ძე თარაჰის, რომლის სახელი ყურანში შეცვლილია აზარით. ნაჰური არის ძმა იბრაჰიმისა – მშვიდობა მას. და ამბობენ, ქართველები (ალ-ქურჯ) არიან სომხების ძმები და სომხეთი მათ მიეკუთვნება“.²⁶

ამრიგად, იბნ ხალდუნის თანახმად, წინაპარი ქართველების/ალ-ქურჯ და სომხებისა/ალ-არმან, რომლებიც ძმები არიან, იყო იბრაჰიმის (აბრამის) ძმის – ნაჰურის ვაჟი კამუილი – შთამომავალი სემისა. სომხები და ქართველები სემის მოდგმისანი გამოდიან (იხ. სქემა III).

თვალსაზრისი ქართველებისა და სომხების ძმობის შესახებ, არც იბნ ხალდუნამდე და არც შემდეგ, არაბულ წყაროებში ჩვენ არ შეგვხვდრია.²⁷ იბნ ალ-ასირის თუ ან-ნასავის თხზულებებში, რომლებითაც იბნ ხალდუნი სარგებლობდა, ქართველ-სომეხთა ნათესაობაზე საუბარი არ არის. იბნ ხალდუნის ინფორმატორმა უეჭველად იცოდა ის თვალსაზრისი ქართველი და სომეხი ეთნარქების ძმობისა, რომელიც ჩამოაყალიბა ლეონტი მროველმა და საქართველოში იყო გავრცელებული. რაც შეეხება ქართველთა წარმომავლობას სემისგან, ამის თაობაზე მითითება გვხვდება ბიზანტიურ ქრისტიანულ ლიტერატურაშიც და ექვთიმე ათონელის (გარდ. 1028 წ.) მიერ შესრულებულ ეპიფანე კვიპრელის თხზულების ქართულ თარგმანში, რომელიც შევსებულია იპოლიტე რომაელის ქრონიკიდან.²⁸

²⁵ იბნ ხალდუნ. *თა'რიხ*. V, ბაირუთ, 1968, გვ. 272.

²⁶ იქვე, გვ. 833, 900.

²⁷ მართალია, IX ს-ის არაბი ისტორიკოსი აბუ ჰანიფა ად-დინავარი სომხებს სემის შთამომავლებად აცხადებს, მაგრამ ის ქართველებს არ იხსენიებს. აბუ ჰანიფა ად-დინავარი. *ახბარ ატ-ტივალ*. თაჰკიკ 'აბდ ალ-მუნ'იმ 'ამირ. ბაღდად, 1959, გვ. 3.

²⁸ კ. კეკელიძე. *ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები*, გვ. 168-182, 171.

● ხალხთა წარმომავლობის შესახებ წერდნენ არაბულენოვანი ქრისტიანი მწერლებიც. აღნიშნულ საკითხში მათზე დიდია ბიზანტიური ლიტერატურის გავლენა. უაღრესად იშვიათად, მაგრამ მაინც, არაბულენოვანი ქრისტიანი ავტორები იხსენიებენ ქართველებსაც.

დავასახელებთ X ს-ის ალექსანდრიის მელქიტ (მართლმადიდებელ) პატრიარქს ევტიხის, იმავე სა'იდ იბნ ბიტრიკს (263/877-328/940), რომელიც ავტორია სამედიცინო, ისტორიული და აპოლეგეტიკური ნაშრომებისა.²⁹ სა'იდ იბნ ბიტრიკი გადმოსცემს სამყაროს შექმნის ბიბლიურ ისტორიას. კაცობრიობა – 72 ხალხი მას, ასევე, ნოეს სამი ვაჟიდან გამოჰყავს. მათგან 25 სემის მოდგმაა, 32 – ქამის, ხოლო 15 – იაფეტისა. იაფეტის შთამომავლები დასახლდნენ ტიგროსიდან უკიდურეს ჩრდილოეთამდე. მათ შორის არიან ჯურზან/ქართველები და ალ-აბხაზ/აფხაზები. ეს უკანასკნელნი ხალხთა სხვა არაბულ კლასიფიკაციებში არ შეგვხვედრია. ჯურზანთან და აბხაზთან ერთად იაფეტის მოდგმისა არიან სომხები, ფრანკები, ალანები, რუსები, სლავები, თურქები, პაჭანიკები, გოგი და მაგოგი, ხაზარები, ბერძნები, ბიზანტიელები, დაილამელები, ბულგარები და სხვ.³⁰

სა'იდ იბნ ბიტრიკი არ საუბრობს სამხრეთი კავკასიის ხალხების, მათ შორის, ქართველების, იმ ახლო ნათესაობაზე, რასაც აღნიშნავენ იბნ ალქალბი და ად-დიმიშკი. ამავე დროს, მუსლიმი ავტორებისგან განსხვავებით, სა'იდ იბნ ბიტრიკი წერს, რომ იაფეტის მოდგმიდან ექვს ხალხს აქვს ანბანი. ეს ანბანებია: იუნანი/ბერძნული, რუმი/ბიზანტიური, არმანი/სომხური, ანდალუსი/ესპანური, იფრანჯი/იფრანკული, ანუ ლათინური და ჯურზანი/ქართული.³¹ აღნიშნული ინფორმაცია ეხმიანება წინარე ხანების ქრისტიან-

²⁹ F. Micheau. Sa'id b. al-Bitrik. – *EI*, vol. VIII, გვ. 853.

³⁰ Eutychii Patriarchae Alexandrini Annales. – *Corpus Christianorum Orientalium. Scriptorum Arabicorum. Textus. Series Tertia – Tomus VII. Coniuncta Opera Ediderunt L. Cheikho, B. Carra De Vaux, H. Zayyat. Beruti – Paris, 1909*, გვ. 18.

³¹ Eutychii Patriarchae Alexandrini Annales, გვ. 18; ნ. დობორჯგინიძე, თავის საინტერესო ნაშრომში (ნ. დობორჯგინიძე. ქრისტიანული ისტორიოგრაფია და თხუთმეტი სამწერლობო ენის ტოპოსი. – *ჟურნ. ლიტერატურა და სხვა*. აგვისტო, 2005, გვ. 190–205), რომელიც ეხება ქრისტიანულ ისტორიოგრაფიას და თხუთმეტი სამწერლო ენის ტოპოსს, ა. გუტშმიდის მიხედვით (A. Gutschmid. Untersuchungen über *Διαμοιρασός τήρυξ* und andere Bearbeitungen der Mosaischen Völkertafel. – A. Gutschmid. *Kleine Schriften, V*, Leipzig, 1894, გვ. 585–717, 691), ასახელებს კონსტანტინოპოლელ ეპისკოპოსს – ევტუხეს, რომელიც იგივე სა'იდ იბნ ბიტრიკია. მისი თხუთმეტი ლათინურ ვერსიაში დამწერლობა, რომელიც იაფეტის მოდგმის ხალხებს აქვთ, ხუთია (ნაცვლად ექვსისა): ბერძნული (Graeca), რომაული (Romana), სომხური (Armenica), ქართული (Gu(a) rzanica/Jarzanica), ესპანური (Hispanica) (ნ. დობორჯგინიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 195–96). არაბულისგან განსხვავებით, იფრანკული (*Ifranji*), ანუ ლათინური, ამ ვერსიაში არ არის.


ნულ მწერლობაში გავრცელებულ ცნობებს ანბანის მქონე ხალხების შესახებ, რომელთა შორის სახელდება იბერიელებიც.³²

•

ხალხთა ზემომოტიანილი არაბული კლასიფიკაციები, რომლებშიც ქართველებიც ფიგურირებენ, დღემდე არ გამხდარა ქართველ მკვლევართა ყურადღების საგანი. მიუხედავად ზღაპრულობისა, მათ აქვთ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. ჯერ ერთი, მათში წარმოჩინდება ის წარმოდგენები, რომლებიც არაბებს ჰქონდათ მეზობელი ხალხების წარმომავლობაზე და მეორე, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ წარმოდგენებში ზოგჯერ ასახულია ის ზეპირი, ან წერილობითი ტრადიციები და თვალსაზრისები, რაც თავად ამ ხალხებს ჰქონდათ.

სქემა I


იბნ ალ-ქაღის და იაკუთის თვალსაზრისი



³²ნ. დობორჯგინიძე. ქრისტიანული ისტორიოგრაფია, გვ. 193-95.


სქემა II

ად-ღიმიშკის თვალსაზრისი



სქემა III

იბნ ხალდუნის თვალსაზრისი



MEDIEVAL ARAB VIEWS ON THE ORIGIN OF GEORGIANS

The article studies those medieval Arabic genealogical structures in which Georgians (Arab. *Jurzan, al-Kurj*) are present; it is based on the data provided by Muslim and Christian Arab authors: Hisham b. Muhammad b. al-Sa'ib b. al-Kalbi (ca 120/837-206/820-21), Sa'id b. Bitrik (263/877-328/940), Shams al-Din Muhammad b. Abi Talib al-Dimashki (died in 1327) and Ibn Khaldun (died in 1406).

According to the first three above-mentioned authors, who consider that mankind is derived from Noah's three sons (Shem/Sam, Ham and Japheth/Yafith), the Georgians are the descendants of Japheth/Yafith.

Ibn al-Kalbi holds the view that South Caucasian peoples are related; this conception, with certain changes, was repeated by al-Dimashki. Japheth's grandson or son, Lanta (Lanti, Layti) was the father of the Armenians' ancestor Armina and Kaslukhim; Armina's sons are Ardabil and Baylakan. Kaslukhim's sons are Jurzan and Arran. Therefore, Armina is the uncle of Jurzan, ancestor of the Georgians and Arran, ancestor of the Albanians.

According to al-Dimashki, Lanta is the father of Armina, Kamashikh and Kaslukhim. Armina is the father of Ardabil, Dabil/Dwin and Barda'a, Kamashikh of Jurzan and Mukan, and Kaslukhim of Arran. In this version too Armina is the uncle of Jurzan, the Georgians' ancestor. As to Ibn Khaldun, he considered the Georgians/al-Kurj and Armenians/al-Arman to be brothers. Their ancestor was the descendant of Shem/Sam, in particular - of Camuel (Kemuel), son of Ibrahim's brother Nahor.

It is suggested that the Arabic views on the origin of Georgians and relations between the South Caucasian peoples reflect those verbal or written traditions and views that existed among the peoples of this region.

ნისბა ათ-თიფლისი VIII-XIV საუკუნეების ისტორიულ სამყაროში*

ნისბა ადამიანის არაბულ-მუსლიმური რთული სახელის შემადგენელი ნაწილია¹ და აღნიშნავს პიროვნების ეთნიკურ, რელიგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ კუთვნილებას, დაბადებისა და საცხოვრებელ ადგილებს. შუა საუკუნეებში ადამიანს შეიძლებოდა ჰქონოდა რამდენიმე ნისბა.² მუსლიმური სამყაროს არაერთი მოღვაწე თანამედროვეებისა და მომდევნო თაობებისთვის სწორედ ნისბით იყო ცნობილი. შვილს შეეძლო მიეღო მამის ნისბა, მაგრამ ეს არ იყო სავალდებულო და აუცილებელი.

ნისბების² დიდი ნაწილი უკავშირდება მახლობელი და შუა აღმოსავლეთის მნიშვნელოვან ქალაქებს – დანინაურებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრებს (მაგ., ბაღდადი, ქუფა, ჰამადანი, ისფაჰანი...). ამ ქალაქთა შორის ფიგურირებს თბილისიც, რომელსაც არაბები თიფლისს ან თაფლისს უწოდებდნენ.³ აქედან არის ნაწარმოები ნისბა **ათ-თიფლისი** ან **ათ-თაფლისი**.

* პირველად დაიბეჭდა 1989 წ. სათაურით „მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით VIII-XIV საუკუნეებში“ – *მაცნე* (ელს), 1989, №4, გვ. 77-88; 1990, 1, გვ. 65-78. წინამდებარე გამოცემაში დამატებით შეტანილია 11 მუსლიმი ათ-თიფლისის ნისბით: NN13, 28, 37, 38, 39, 41, 42, 43, 47, 49, 52.

¹ სხვა ნაწილებია: 'ალამი – საკუთარი სახელი (მაგ., აჰმად, ფატიმა), ქუნიამა – მამობისა და დედობის აღმნიშვნელი სახელი. ამ შემთხვევაში შვილის სახელს წინ უსწრებს აბუ – მამა, ანდა უმმ – დედა (მაგ., აბუ აჰმად, უმმ ფატიმა). ნასაბი – ნათესაობა, სია წინაპრებისა, სადაც თითოეულ მათგანს წინ უძღვის იბნ – ძე (მაგ., აჰმად იბნ იბრაჰიმ მუჰამად), ან ბინთ – ასული (მაგ., ფატიმა ბინთ აჰმად იბნ იბრაჰიმ) და ლაკაბი – საპატიო ტიტული (მაგალითად, შამს ად-დინ, ბაჰა' ად-დავლა).

² ნისბა ინარმოება „ალ“ არტიკლით (რომელიც სპარსულში მოხსნილია) და „ი“ სუფიქსით (რომელიც არ არის სავალდებულო, როცა ნისბა წარმოდგება პროფესიისგან). დანვრილებით არაბულ-მუსლიმური სახელის, კერძოდ კი ნისბას, შესახებ იხ. H. Fleisch. 'Ism. – *EP*² vol. IV, გვ. 179; Системы личных имен у народов мира. М., 1986, გვ. 45-46.

³ გვხვდება ტაფლის ფორმაც (გ. წერეთელი. *არაბულ-ქართული ლექსიკონი*. თბ., 1951, გვ. 34), რომელიც იშვიათად გამოიყენება (მაგ., აბუ უბაიდ. *ქითაბ ალ-ამვალ*. საჰჰაჰაჰუ ვა 'ალ-ლაკა ჰავამიჰაჰუ მ. ჰ. ალ-ფაკი, ალ-კაჰირა, 1934, გვ. 208; ო. ცქიტიშვილი. ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ აბუ უბაიდის თხზულებაში. – *მაცნე* (იაეხის), 1976, №2, გვ. 193, 194, 195).

ნისბა ათ-თიფლისი (ათ-თაფლისი) შეიძლება ეტარებინათ იმ მუსლიმებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდით (დაბადება, მუდმივად ცხოვრება, დროებით მოღვაწეობა...) დაკავშირებულნი იყვნენ თბილისთან. შუა საუკუნეების თბილისისთვის კი, როგორც ცნობილია, დამახასიათებელი იყო ქრისტიანთა და მუსლიმთა თანაცხოვრება. მუსლიმური მოსახლეობა აქ გაჩნდა არაბთა გაბატონების შემდეგ⁴ და გაიზარდა საამიროს შექმნასთან (VIII ს-ის 30-70-იანი წლები) ერთად. მუსლიმები აგრძელებდნენ თბილისში ცხოვრებას 1122 წლის შემდეგაც, როცა თბილისი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი გახდა და სარგებლობდნენ იმ პრივილეგიებით, რომლებიც მათ მიიღეს ქართველი მეფეებისგან.

თბილისში მუსლიმები სახლდებოდნენ მუსლიმური სამყაროს სხვადასხვა კუთხიდან. ამავე დროს, რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორებისა განაპირობებდა მათ უკუმიგრაციასაც. ამდენად, იმ პირებს, რომლებიც ატარებდნენ ათ-თიფლისის ნისბას, შეეძლოთ ეცხოვრათ და ემოღვაწევათ როგორც თბილისში, ისე – მუსლიმური სამყაროს სხვადასხვა მხარეში.⁵ დღემდე გამოვლენილი იყო რამდენიმე ათ-თიფლისი,

არაბი ლექსიკოგრაფები ას-სალანი (გარდ. 1252 წ.) და მურთადა აზ-ზაბიდი (გარდ. 1790 წ.) განიხილავდნენ **თაფლის** და **თიფლის** ფორმებს. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ამ სიტყვაში პირველი თანხმოვანი „თ“ ფათჰათი, ე.ი. „ა“-ხმოვნითაა, მაგრამ ხალხი მას ქასრათი, ე.ი., „ი“-ხმოვნით ახმოვანებს. როდესაც ის ქასრათი ხმოვანდება სიტყვა იქნება არაბული *ფი'ლილის* მოდელის მსგავსი, მაგრამ, ამ მსგავსების მიუხედავად, აქ „თ“ ძირეულია, რადგანაც სიტყვა *თიფლის* ქართულია (*ალ-ქალიმა ჯურჯიყა*). ხოლო როცა „თ“ ხმოვანდება ფათჰათი, ე.ი., „ა“-ხმოვნით, მაშინ სიტყვა ნაწარმოებია *თაფ'ილ* მოდელის მიხედვით და არაბულია (ას-სალანი. *ალ-უბაბ აზ-ზაჰირ ვა ლ-ლუბაბ ალ-ფახირ*. – სტამბოლის აია-სოფიას მეჩეთის ბიბლიოთეკის ნუსხა, №2703, დამასკოს არაბული ენის აკადემიის ფოტოპირი, სტატია **ფლს**; მისივე. *ათ-თაქ-მილა ვა ზ-ზაიდ ვა ს-სილა*. ჰაკაკაჰუ მ. აბუ ლ-ფადლ იბრაჰიმ ვა მ.მ. 'ალლამ, ტ. III, ალ-კაჰირა, 1973, გვ. 403; მურთადა აზ-ზაბიდი. *თაჯ ალ-'არუს*, ტ. IV, მისრ, 1306, გვ. 210).

⁴ [Addenda: ჩვენს ხელთ არსებული ყველაზე ადრეული ცნობით, რომელიც ეკუთვნის აბუ ლ-ჰათიმ მუჰამმად იბნ ჰიბბან იბნ აჰმად ათ-თამიმი ალ-ბუსთის (გარდ. 354/965 წ.), თბილისში დასახლდა აბუ ლ-კასიმ კაის ბ. სა'დ ბ. 'იზადა ალ-ხაზრაჯი, რომელიც უკვე 10 წლისა ემსახურებოდა მოციქულ მუჰამადს. სიფინის ბრძოლაში (657 წ.) იყო ხალიფა 'ალის მხარეზე – სირიის გამგებლის, მუავიას წინააღმდეგ. მოგვიანებით, 58/677-78 წ. ხალიფა მუ'ავიამ ის მოიკითხა და აბუ ლ-კასიმ კაის ბ. სა'დი გაიქცა და დასახლდა თბილისში. აქ ის განმარტობით ცხოვრობდა და გარდაიცვალა 85/704-5 წ. იბნ ჰიბბან. *მაშაჰირ 'ულამა* 'ალ-ამსარ ვა 'ლაბ ფუკაჰა' ალ-აკტარ. ჰაკაკაჰუ ვა ვასსაკაჰუ ვა 'ალლაკა 'ალაიჰი მარზუკ 'ალი იბრაჰიმ. ალ-მანსურა, 1991, გვ. 101-102, №418].

⁵ ამავე დროს, თბილისელ მუსლიმებს შეეძლოთ ეტარებინათ სხვა ნისბებიც. იხ. გ. ჯაფარიძე. XIII საუკუნის თბილელი მეცნიერი მარაღის ობსერვატორიაში. – *მაცნე* (იან-ნის), 1984, №2, გვ. 99-110.

მათ შორის XII ს-ის გამოჩენილი მეცნიერი ჰუბაიშ იბნ იბრაჰიმ ათ-თიფლისი, XIII ს-ის სუფი პოეტი ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისი და სხვ.,⁶ მაგრამ, ამ მხრივ, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ისინი დასაძებნი და აღსანუსხავია შუა საუკუნეების უაღრესად მდიდარ არაბულ და სპარსულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი, ბიოგრაფიული და გენეალოგიური ჟანრების თხზულებებში. მათი ცხოვრების შესწავლამ, შესაძლოა, მოგვცეს ახალი მასალა თბილისის ისტორიისათვის, თბილისელ მუსლიმთა კულტურული მონაპოვრების, მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქალაქებთან თბილისის კონტაქტების შესახებ და სხვ.

ამჯერად შესაძლებლობა გვაქვს, წარმოვადგინოთ VIII–XIV საუკუნეებში მცხოვრები ხუთ ათეულზე მეტი ათ-თიფლისი, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ როგორც თბილისის, ისე – მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში.

1. 'აბდ ალლაჰ იბნ ჰამად ათ-თიფლისი – სუნიტი მუჰადდისი (ჰადისების – მოციქულ მუჰამადის შესახებ გადმოცემების – პროფესიონალი შემგროვებელი და მცოდნე). მას იხსენიებს ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი (გარდ. 1071 წ.)⁷ და ას-სამ'ანი (გარდ. 1166 წ.),⁸ რომლებიც აღნიშნავენ, რომ მისგან ჰადისებს გადასცემდა მუჰამად იბნ ბაიდან ათ-თიფლისი (იხ. 3). ამ მითითების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 'აბდ ალლაჰი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა VIII ს-ის შუა ხანებში.

2. ბუსრ იბნ ბაიდან იბნ ჰუმრან ათ-თიფლისი – ზომიერ შიიტთა, იმამიტთა მე-6 იმამის ჯა'ფარ ას-სადიკის (732-765) მიმდევარი. მას იხსენიებს შიიტი ისტორიკოსი ატ-ტუსი (გარდ. 1067 წ.), რომელიც მოკლედ აღნიშნავს, რომ ბუსრი დასახლებულა ქ. მადაინში (ერაყი).⁹

3. მუჰამად იბნ ბაიდან იბნ ჰუმრან ალ-მადა'ინი ათ-თიფლისი – სუნიტი მუჰადდისი, ძმა ბუსრ იბნ ბაიდანისა (2). ის წარმოშობით იყო თბი-

⁶ ე. სიხარულიძე. ას-სამ'ანის ცნობები საქართველოს შესახებ. – კრ. *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები*, წიგნი I, თბ., 1976, გვ. 45-53; Хубайш Тифлиси. *Описание ремесел (Байан ас-сана'ат)*. Перевод с персидского, введение и комментарии Г. П. Михалевич, М., 1976; გ. ჯაფარიძე. ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისი. შა'ირ სუფი მინ ალ-კარნ ას-საბი'ალ-ჰიჯრი. – *მაჯალლა მაჯმა'ალ-ლულა ალ-'არაბია ბი-დიმაშკ*, დიმაშკ, 1983, ტ. 58, IV, გვ. 795-804.

⁷ ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი. *თა'რიხ ბაღდად ავ მაღინათ ას-სალამ*. ტ. II, მისრ., 1349/1931, გვ. 96.

⁸ as-Sam'ani. *al-Ansab*, vol. III, Ed. by Abdur-Rahman b. Yahya al-Mu'allimi al-Yamini. Hayderabad, 1963 (Beirut, 1980, რეპრინტი), გვ. 66; ე. სიხარულიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 49.

⁹ ატ-ტუსი, აბუ ჯა'ფარ მუჰამად იბნ ალ-ჰასან. *რიჯალ ატ-ტუსი*. ან-ნაჯაფ, 1381/1961, გვ. 160, №88.

ლისიდან (ასლუჰუ მინ თიფლის).¹⁰ მისი მეორე ნისბა ალ-მადა'ინი, რომელსაც ატარებდა მუჰამმადის მამაც, ასევე სუნიტი მუჰადდისი ბაიდან იბნ ჰუმრანი,¹¹ მონმობს, რომ ამ არაბულ ოჯახს კავშირი ჰქონდა ერაცის ქალაქ მადა'ინთან. თბილისელი მუჰამმად იბნ ბაიფანი ისევე ბაღდადში დასახლებულა,¹² რაც, ბუნებრივია, 762 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო. **თბილისელ მუსლიმთა უკუმიგრაცია, როგორც ჩანს, ხდებოდა უკვე VIII ს-ის II ნახევარში.** ბაღდადში ის გადასცემდა ჰადისებს, რომლებიც მოისმინა 'აბდ ალლაჰ იბნ ჰამმად ათ-თიფლისისგან და სხვა პირთაგან. ესენია: ჰამმად იბნ ზაფდ იბნ დირჰამ ალ-აზდი (გარდ. 179/795 წ.), რომელიც ითვლებოდა თავისი დროის ყველაზე სანდო მუჰადდისად, მარვან იბნ შუჯა' ალ-ჯაზარი (გარდ. 184/800 წ.), ალ-მა'აფი იბნ 'იმრან აბუ მას'უდ ალ-აზდი¹³ (გარდ. 185/801 წ.) და სხვ.

4. ალ-ფადლ იბნ აბი კურრა ათ-თამიმი ას-სამანდი ათ-თიფლისი – შიიტი მუჰადდისი, ჯა'ფარ ას-სადიკის ერთ-ერთი მიმდევარი. მის შესახებ ცნობებს გვანდთან შიიტი ისტორიკოსები: ალ-ბარკი (გარდ. 887 ან 893 წ.), ან-ნაჯაში (გარდ. 1058 წ.) და ატ-ტუსი. იყო ქუფელი,¹⁴ ეკუთვნოდა თამიმის არაბულ ტომს (საიდანაც მომდინარეობს მისი პირველი ნისბა). როგორც ზომიერ შიიტთა მიმდევარი მოღვაწეობდა აზერბაიჯანში (ან-ნაჯაში მის მეორე ნისბას უკავშირებს აზერბაიჯანის ქალაქ სამანდს¹⁵), საიდანაც გადასულა არმინიაში,¹⁶ სახალიფოს იმ პროვინციაში, რომელშიც შედიოდა თბილისის საამიროც. ალ-ფადლის მესამე ნისბა ათ-თიფლისი¹⁷ მიუთითებს, რომ მისი მოღვაწეობა თბილისთანაც იყო დაკავშირებული.

¹⁰ ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი. *თა'რიხ ბაღდად*, ტ. II, გვ. 96; as-Sam'ani, გვ. 66; ე. სიხარულიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 47, 49-51.

¹¹ ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი. *თა'რიხ ბაღდად*. ტ. VII, მისრ, 1349/1931, გვ. 111; მისივე. *ალ-მუშთაბიჰ ფი რ-რიჯალ*. ტ. II, ალ-კაჰირა, 1962, გვ. 248.

¹² as-Sam'ani, გვ. 66.

¹³ ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი. *თა'რიხ ბაღდად*, ტ. II, გვ. 96; as-Sam'ani, გვ. 66. დასახელებულ პირთა სრული სახელები, რომელთაც ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი შემოკლებით იძლევა და მათი გარდაცვალების წლები მოტანილია იბნ 'იმად ალ-ჰანბალის (გარდ. 1678 წ.) მიხედვით – *შაზარათ აზ-ზაჰაბ ფი ახბარ მან ზაჰაბა*, ტ. I, ბაჰრუთ, 1399/1979, გვ. 212, 306, 308.

¹⁴ ალ-ბარკი, აბუ ჯა'ფარ აჰმად იბნ აბი 'აბდ ალლაჰ. *ქითაბ არ-რიჯალ*. თეჰრან, 1342, გვ. 34.

¹⁵ ან-ნაჯაში, აჰმად იბნ 'ალი იბნ აჰმად. *ქითაბ არ-რიჯალ* (გამოცემის ადგილის გარეშე), 1317/1899-1900, გვ. 237. ქ. სამანდი აზერბაიჯანში ვერ მოვიძიეთ.

¹⁶ ატ-ტუსი. *რიჯალ...*, გვ. 271, №12.

¹⁷ იქვე. ამ ნისბის გარეშე ალ-ფადლს იხსენიებს კიდევ ერთი შიიტი ავტორი 'ალი იბნ შაჰრამუბ ალ-მაზანდარანი (გარდ. 1192 წ.). – *მა'ალიმ ალ-'ულამა ფი ფიჰრისთ ქუთუბ აშ-ში'ა ვა ასმა'* ალ-მუსანანიფინა. *თათიმმა ქითაბ ალ-ფიჰრისთ ლი ლ-შაჰ აბი ჯა'ფარ ატ-ტუსი*. თაჰკიკ მ. ს. ბაჰრ ალ-'ულუმ, ან-ნაჯაფ, 1380/1961, გვ. 91.

ალ-ფადლ იბნ აბუ კურრა ჯა'ფარ ას-სადიკის მეორე მიმდევარია, რომელიც ათ-თიფლისის ნისბას ატარებდა. ამ იმამს გამორჩეული ადგილი უჭირავს შიიტ იმამიტა, იმავე ჯა'ფარიანთა (არაბ. ჯა'ფარი) ან თორმეტიანთა (არაბ. ისნა 'აშარი) იმამებს¹⁸ შორის, ითვლება იმამიტა სექტის ფუძემდებლად და, საერთოდ, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მუსლიმ ღვთისმეტყველთა და სამართლისმცოდნეთა შორის. მისი რეზიდენცია იყო მედინაში, საიდანაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ქუფასთან – ერაყში შიიტური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს ცენტრთან. ჯა'ფარის მონაფეები, რომელთა რიცხვი 4 ათასს აღწევდა, ინერდენ და ავრცელებდნენ ამ იმამის მიერ გადაცემულ ჰადისებს. თითოეული მისი მონაფე ითვლებოდა ცოდნის ერთი რომელიმე დარგის კარგ მცოდნედ, რაც საშუალებას აძლევდა იმამიტებს, წარმატებით ეკამათათ მონინაალმდეგეებთან და ენარმოებინათ ალიდური პროპაგანდა, როგორც მედინაში, ისე – სახალიფოს სხვა ქალაქებში.¹⁹

ჯა'ფარ ას-სადიკის მიმდევართა მოღვაწეობის გეოგრაფიული არეალი საკმაოდ ფართო იყო. ამაზე, ნაწილობრივ, მეტყველებს მათი ნისბები (ალ-კუმში, ალ-ჰამადანი, ას-სიჯისთანი, ას-საირაფი, ალ-ჯურჯანი, ალ-არმანი, ალ-მარანდი, და სხვ.), რომლებიც დამონმებულია ან-ნაჯაშისა და ატ-ტუსის შრომებში.

ჯა'ფარ ას-სადიკის მოღვაწეობის დროს თბილისის საამირო ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პერიოდში იყო. ბუნებრივია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შიიტ იმამთა ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი ყველა ღონეს

¹⁸ ჯა'ფარ ას-სადიკის შესახებ იხ. И. П. Петрушевский. *Ислам в Иране*, Л., 1966, გვ. 250; С. М. Прозоров. *Арабская историческая литература в Ираке, Иране и Средней Азии. Шиитская литература*, М., 1980, გვ. 22; M. G. S. Hodgson. *Dja'far al-Sadik*. - *EP*, vol. II, გვ. 374-375.

¹⁹ შიიტური მწერლობა დიდ ყურადღებას უთმობდა როგორც იმამთა, ისე – მათ მიმდევართა მოღვაწეობას. უკვე ჯა'ფარ ას-სადიკის მიმდევარ მონაფეთა შორის დაინერა პირველი ნაწარმოებები არ-რიჯალის სახელწოდებით იმ მუჰადდისების შესახებ, რომლებიც გადასცემდნენ ჯა'ფართან მოსმენილ ჰადისებს (საერთოდ, შიიტები იმონმებენ მხოლოდ იმ ჰადისებს, რომლებიც ალიდი იმამებისგან მომდინარეობენ). თანდათანობით მათ მიემატათ ის პირებიც, რომლებიც გადასცემდნენ ჯა'ფარის წინამორბედი და მომდევნო სხვა იმამების ჰადისებსაც. არ-რიჯალის ტიპის თხზულებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ატ-ტუსისა და ან-ნაჯაშის ზემოდასახელებული შრომები. ამ უანრის ლიტერატურის შესახებ, რომელიც საერთოდ უკავშირდება ცოდნის გარკვეული დარგის – *‘ილმ არ-რიჯალის ან მა'რიფათ არ-რიჯალის* შექმნას VIII ს-ის II ნახევარში. იხ. С. М. Прозоров. დასახ. ნაშრ., გვ. 23-24, 40; B. Scarcia Amoretti. *‘Ilm al-Ridjal* - *EP*, vol. III, გვ. 1151; al-Amine, Hassan, *Islamic Shi'ite Encyclopaedia*, vol. I (N. P., N. D.), გვ. 84-85; *Arabic Literature to the End of the Umayyad Period*, Ed. by A.F.L. Beeston, T. M. Johnstone, R. B. Serjeant and G. R. Smith, Cambridge University Press, 1983, გვ. 300-301.

იხმარდა, რათა თავისი მიმდევრების მეშვეობით დასაყრდენი შეექმნა სახალიფოს ამ სასაზღვრო პუნქტში. არ არის გამორიცხული, რომ მას ამ მხრივ წარმატებებიც ჰქონდა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ერთ-ერთ შიიტურ ჰადისში, რომელიც სწორედ ჯა'ფარ ას-სადიკს უკავშირდება, თბილისი ყუმთან და ქუფასთან ერთად ღმერთის მიერ გამორჩეულ ქალაქად არის დასახელებული. გ. ბერაძე, რომელმაც პირველად მიაქცია ყურადღება შიიტი ისტორიკოსის ჰასან იბნ მუჰამმად ალ-კუმმის (გარდ. 406/1015-16 წ.) თხზულებაში *თა'რიხ ალ-კუმ* („ყუმის ისტორია“) დაცულ ამ ჰადისს²⁰ და შემოიტანა ის ქართულ ისტორიოგრაფიაში, მიიჩნევს, რომ თბილისის მოხსენიება ორი უმნიშვნელოვანესი შიიტური ცენტრის – ქუფასა და ყუმის გვერდით, შემთხვევითი და უსაფუძვლო არ უნდა იყოს. შიიტური მოძრაობის წინაშე თბილისის რაღაც განსაკუთრებულ „დამსახურებას“ თუ შექმლო გამოეწვია და შიიტების თვალში გაემართლებინა ჯა'ფარ ას-სადიკისადმი მიწერილ გადმოცემაში თბილისის დასახელება ქუფისა და ყუმის ტოლფას „ღვთიკურთხეულ ქალაქად“.²¹

შიიტ ისტორიკოსებს აღნუსხული ჰყავთ იმამიტების ის მიმდევრები, რომლებმაც დაგვიტოვეს ნაშრომები, სახელდობრ, ჰადისების 6600 წიგნი (*ქითაბ*) და 400 ასლი (მრ. *უსულ* – წყარო, ორიგინალი), იმამების – მუჰამმად ალ-ბაკირისა (გარდ. 732 წ.) და ჯა'ფარ ას-სადიკისადმი მიცემული კითხვებისა და პასუხების ჩანაწერები. ამ მიმდევართა შორის არის ალ-ფადლ იბნ აბი კურრაც, რომელსაც, ატ-ტუსის თანახმად, შეუდგენია წიგნი (*ქითაბ*)²² ჰადისების შესახებ. ეს ჰადისები, რომლებიც მან მოისმინა ჯა'ფარ ას-სადიკისაგან, ანდა შუამავალ ინფორმატორთაგან, დამონმებული აქვთ IX-X საუკუნეების ბევრ ცნობილ შიიტ მწერალს,²³ რაც

²⁰ გ. ბერაძე. შუა საუკუნეების თბილისის ისტორიისათვის (ერთი მუსლიმური გადმოცემის შესახებ). – *ახლო აღმოსავლური კრებული*. თბ., 1980, გვ. 54-60.

²¹ იქვე, გვ. 57.

²² ატ-ტუსი. *ალ-ფიჰრისთ*. საჰჰაჰაჰუ ვა 'ალლაკა 'ალაჰი ალ-'ალამა ას-საიდ მ. ს. ალ-ბაჰრ ალ-'ულუმ. ან-ნაჯაფ, 1356/1937, გვ. 125, №55.

²³ ატ-ტუსის (*ალ-ფიჰრისთ*, გვ. 125; *რიჯალ*, გვ. 489) თანახმად, ჯაჭვი იმ მუჰადდისებისა, რომლებიც ალ-ფადლისგან გადასცემდნენ, ასე გამოიყურება: ჰუსაინ იბნ სა'იდ იბნ ჰამმად ალ-აჰვაზი (IX ს.), ცნობილი შიიტი ფაკიჰი (სამართლისმცოდნე), ფიკჰის შესახებ 30 შრომის ავტორი, იმამების: 'ალი არ-რიდას (გარდ. 818 წ.) და მუჰამმად ალ-ჯავვადის (გარდ. 835 წ.) მიმდევარი – იბრაჰიმ იბნ სულაიმან იბნ 'აბდ ალლაჰ ან-ნიჰმი აბუ ლ-ისჰაკ ალ-ხაზაზი ალ-ქუფი (გარდ. 883 წ.), მუჰადდისი, ისტორიკოსი და ლიტერატორი, ავტორი შრომისა *ქითაბ არ-რიჯალ მან რავა 'ან ას-სადიკ* („წიგნი ას-სადიკისგან ჰადისების გადამცემთა შესახებ“) – ჰუმაიდ იბნ ზიად იბნ ჰამმად აბუ ლ-კასიმ ად-დიჰკან ალ-ქუფი (გარდ. 922 წ.), ცნობილი მეცნიერი, მუჰადდისი და ბიოგრაფი. ან-ნაჯაფის თანახმად (*არ-რიჯალ*, გვ. 237), ჯაჭვი იმ პირებისა, რომლებიც გადასცემდნენ ჰადისებს ალ-ფადლისგან, ასეთია: შარიფ იბნ საბიკ ათ-თიფლისი (IX ს.) – 'ალი იბნ ისჰაკ იბნ 'იმადი (IX ს.)

მონმობს, რომ ალ-ფადლ იბნ აბი კურრა სანდო მუჰადდისად ითვლებოდა.

5. აბუ მუჰჰამად შარიფ იბნ საბიკ ათ-თიფლისი – VIII ს-ის II ნახევრისა და XI ს-ის დასაწყისის შიიტი მუჰადდისი, შიიტ ისტორიკოსთა (ან-ნაჯაში, ატ-ტუსი და სხვ.) თანახმად, ალ-ფადლ იბნ აბუ კურრას მიმდევარი. წარმოშობით იყო ასევე ქუფელი, რომელიც შემდეგ გადასულა თბილისში.²⁴ ის ავტორია ჰადისების ნიგნისა (*ქითაბ*), რომელსაც იმონმებდნენ IX-XII საუკუნეების ცნობილი შიიტი ავტორები.²⁵

6. აბუ მუჰჰამად ალ-ჰასან ათ-თიფლისი – შიიტი მუჰადდისი, იმამების: მუსა ალ-ქაზიმის (გარდ. 799 წ.) და ‘ალი არ-რიდას (გარდ. 818 წ.) მიმდევარი.²⁶

7. ისჰაკ იბნ ისმა‘ილ იბნ შუ‘ადუ ათ-თიფლისი ალ-‘უმავი – თბილისის არაბი ამირა²⁷ (დაახლ. 817-853), შუ‘აბიანთა საგვარეულოდან,

– მუჰამმად იბნ აჰმად ალ-ქილაბი (IX ს.) – აჰმად იბნ მუჰამმად იბნ სა‘იდი, იგივე იბნ ‘უკ-და (გარდ. 944 წ.), ცნობილი ბიოგრაფი, ისტორიკოსი, შიიტური გადაცემების შემკრები და მცოდნე – მუჰამმად იბნ ჯა‘ფარ იბნ ბატტა აბუ ჯა‘ფარ ალ-კუმში (X ს.), დიდი ავტორიტეტის მქონე ქუფელი მუჰადდისი. ყველა დასახელებული პირების სრული სახელები, რომელთაც ან-ნაჯაში და ატ-ტუსი შემოკლებით იძლევიან, აღდგენილია ს. პროზოროვის მიხედვით (С. М. Прохоров. დასახ. ნაშრ., გვ. 90, 104, 127, 133, 136, 175).

²⁴ ან-ნაჯაში, გვ. 148; ატ-ტუსი. *რიჯალ*, გვ. 476, №3; მისივე. *ალ-ფიჰრისთ*, გვ. 82, №344; ალ-ქაშში. *რიჯალ ალ-ქაშში*. ქარბალა (თარიღის გარეშე), გვ. 292, №183; ‘ალი იბნ შაჰრაშუბ ალ-მაზანდარანი, გვ. 91; შდრ. ალ-‘ამილი. *ა‘ან აშ-ში‘ა*, ტ. VII, ნან. I, დიმაჰკ, 1938, გვ. 185, №919; ატ-ტუსი შარიფს ასახელებს იმ პირთა შორის, რომლებიც არ გადასცემდნენ ჰადისებს რომელიმე იმამისგან. როგორც ჩანს, მას არ მოუხმენია იმამიტი იმამებისთვის და იყენებდა სხვა მუჰადდისების, მათ შორის ალ-ფადლ იბნ აბუ კურრას ინფორმაციას. მის კიდევ ერთ ინფორმატორს – ჰამმად ას-სამანდარის ასახელებს ალ-ქაშში (*რიჯალ*, 292).

²⁵ ან-ნაჯაშის თანახმად (*არ-რიჯალ*, გვ. 148), ჯაჭვი მუჰადდისებისა, რომლებიც იმონმებდნენ ამ ნიგნს, ასეთია: მუ‘ავია იბნ ჰაქიმ ად-დუჰნი (XI ს.) – მუჰამმად ალ-ბარკი (გარდ. 835 წ.) – მისი ვაჟი, გამოჩენილი შიიტი მეცნიერი და ენციკლოპედისტი აბუ ‘აბდ ალლაჰ აჰმად იბნ მუჰამმად ალ-ბარკი (გარდ. 887 ან 893 წ.) – ალ-ჰასან იბნ ჰამზა ალ-‘ალავი ატ-ტაბარი (გარდ. 969 წ.). მიუხედავად ამისა, იბნ დავუდ ალ-ჰილი (გარდ. 1339 წ.) აღნიშნავს, რომ შარიფი იყო სუსტი (და‘იფ) მუჰადდისი (ალ-ჰილი, ‘ალი იბნ დავუდ. *ქითაბ არ-რიჯალ*. თეჰრან, 1342/1923-24, გვ. 461, 225).

²⁶ ატ-ტუსი. *რიჯალ*, გვ. 397, №17; ალ-ჰილი. გვ. 569, №28. შიიზმის ისტორიის მკვლევრის ალ-‘ამილის თანახმად, აბუ მუჰამმადი არის იგივე ალ-ჰასან იბნ ნადრ ალ-არმანი (*ა‘ან აშ-ში‘ა*, ტ. 2, დიმაჰკ, 1365/1946, გვ. 124, №4021; ტ. 23, გვ. 351-364, №4652), მაგრამ სხვა რაიმე დამატებით ცნობას ამ პიროვნების შესახებ არ იძლევა.

²⁷ ისჰაკი ქართულ წყაროებში მოხსენიებულია როგორც საჰაკ (სააკ) ისმაელის ძე (მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 255-256). ათ-თიფლისის ნისბით მას ასახელებს ალ-ია‘კუბი (*თა‘რიხ ალ-ია‘კუბი*, II, ბაარუთ (თარიღის გარეშე), გვ. 464, ალ-უმავის ნისბით კი – ას-საფადი (Das Biografische Lexicon des Salah ad-din Halil ibn Aibak

რომლის წარმომადგენლებიც, როგორც ფიქრობენ, VIII ს-ის 30-იანი წლებიდან იმყოფებოდნენ თბილისში. ის არაერთგზის განუდგა აბასიან ხალიფებს და, მიუხედავად დამსჯელი ექსპედიციებისა, რომლებიც მის წინააღმდეგ იგზავნებოდა, დიდხანს შეინარჩუნა ძალაუფლება.

ისჰაკს კავშირი ჰქონდა კახეთის სამთავროსა და აფხაზთა სამეფოს გამგებლებთან, ცოლად ჰყავდა სარირის (ავართა, ჩრდ. დაღესტანში) მფლობელის ასული. დაახლ. 837 წ. მან ვანანდში (სომხეთი) დაამარცხა იმპერატორ თეოფილეს (829-842) მიერ გამოგზავნილი ბიზანტიელთა ლაშქარი. 853 წლის 5 აგვისტოს ხალიფა მუთავაქილის სარდალმა ბულა-თურქმა აიღო თბილისი, ხელთ იგდო და სიკვდილით დასაჯა ურჩი ამირა.²⁸

8. ჰამზა მულაჰინ იბნ 'ალი ათ-თიფლისი – ალიდი. ხალიფა 'ალის (656-661) ვაჟის – ჰუსაინის (გარდ. 680 წ.) პირდაპირი შთამომავალი

as-Safadi. Teil 8, Hrsg. von N. Y. Najm. Wiesbaden, 1971, გვ. 404). ეს უკანასკნელი ნისბა განპირობებულია იმით, რომ ისჰაკი (ან მისი წინაპარი) იყო ომაიანთა მავალი (კლიენტი), თუმცა ალ-მას'უდი იმის შესაძლებლობასაც უშვებდა, რომ ის კურეიშთა ტომის ომაიანთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. *მურუჯ აზ-ზაჰაბ, ვა მა'ადინ ალ-ჯაჟჰარ. ალ-ჯუზ'* ალ-ავვალ, ბაირუთ, 1979, გვ. 227.

²⁸ ისჰაკ იბნ ისმა'ილის მოღვაწეობის შესახებ იხ. მატიანე ქართლისა. გვ. 255-256; ალ-ია'კუბი, გვ. 464, 475, 481, 489-490; ალ-ბალაზური. *ფუთუჰ ალ-ბულდან*, ბაირუთ, 1978, გვ. 212. At-Tabari. *Tarikh at-Tabari* vol. IX, Ed. critique M. A. F. Ibrahim. Le Caire, 1976, გვ. 192-193; В. Ф. Минорский. *История Ширвана и Дербенда*. М., 1961, გვ. 46; [Абу Бакр Мухаммад ас-Сули. *Китаб ал-аврак (Книга листов)*. Критический текст и перевод на русский язык В. И. Беляева и А. Б. Халидова. Предисловие, примечания и указатели А. Б. Халидова, СПб, 1998, გვ. 46, 65, 106]; მისი სახელი შევიდა არაბულ პოეზიაში, მოხსენებულია პოეტ 'ალი იბნ ჯაჰმის ერთ კასიდაში, რომელიც ამ პოეტმა თბილისის აღებასთან და ისჰაკის სიკვდილთან დაკავშირებით მიუძღვნა ხალიფა მუთავაქილს (დივან 'ალი იბნ ჯაჰმ. 'ანა ბი-თაჰკი-კიჰი ხ. მარდამ ბიქ, დიმაჰკ, 1949, გვ. 174-175, №84; В. Минорский. *История...*, გვ. 82). ამ ლექსის პირველი სტრიქონები, პოეტის დაუსახელებლად, სულდაბილის ალწერის დროს, მოტანილია დაკუთხის გეოგრაფიულ ლექსიკონში (დაკუთხის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ. I, არაბული ტექსტი, ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ, თბ., 1964, გვ. 71). ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში ისჰაკ იბნ ისმა'ილის შესახებ ბევრი რამ არის დანერგილი. დავასახელებთ ზოგიერთს: ა. მენთეშაშვილი. ბულა თურქის ლაშქრობა საქართველოში. – *თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული*, 1955, №7, გვ. 127-134; ე. სიხარულიძე. ერთი ცნობა თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმაილის შესახებ. – *თსუ შრომები*. აღმოსავლეთმცოდნეობა, 1976, ტ. 180, გვ. 139-143; დ. ნინიძე. ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიული ქრონოლოგიიდან – დათარიღება „მოჰამედის გამოჩინების“ მიხედვით. – *ისტორიულ-პოლიტიკური ძიებანი*, კრებული II, თბ., 1993, გვ. 12-14; მ. ლორთქიფანიძე. Тбилисский эмират. – *ОИГ*, т. II, Тб., 1988, გვ. 344-348; V. Minorsky. Tiflis. – E.J. Brill's First Encyclopaedia of Islam, 1913-1936. vol. VIII, Leiden-New York-Köbenhavn, 1987, გვ. 753; M. Canard. *Les principautés Arabes d'Arménie*. – RĒA, nouvelle série, t. XI, Paris, 1975-1976, გვ. 201-204.

(მე-7 თაობა). მას იხსენიებს შიიტი გენეალოგისტი იბნ 'ინაბა (გარდ. 1424 წ.).²⁹ მართალია, ის არ მიუთითებს ჰამზას მოღვაწეობის ხანას, მაგრამ აღნიშნავს, რომ მისი მამა 'ალი ად-დინავარი იყო იმამ მუჰამმად ალ-ჯავვადის (812-832) თანამედროვე, რომლის ბრძანებითაც დამკვიდრდა ქ. დინავარში.³⁰ ამ ცნობის მიხედვით, ჰამზა იბნ 'ალი ათ-თიფლისი IX ს-ის შუა ხანებში ცხოვრობდა.

9. აბუ ჯა'ფარ მუჰამმად ალ-ასლარ ათ-თიფლისი – ალიდი. ჰამზა ათ-თიფლისის ვაჟი. მას იხსენიებს XI ს-ის შიიტი გენეალოგისტი იბნ ტაბატაბა,³¹ რომელიც აღნიშნავს, რომ მუჰამმადი დამკვიდრებულა კ. თინნისზე (ხმელთაშუა ზღვაში დამიეტასა და ფარამას შორის), რაც კალმისმიერი შეცდომა უნდა იყოს, ავტორი ზოგჯერ წერს თინნისს – თიფლისის ნაცვლად და პირიქით.³²

ალიდების კავშირები თბილისთან, რაც დღემდე უცნობი იყო, არ შეიძლება ინტერესს არ იწვევდეს.

VIII-X საუკუნეებში ხალიფა 'ალის ვაჟების ჰასანის, ჰუსაინისა და 'აბბასის მრავალრიცხოვანი შთამომავლები, რომლებიც ოპოზიციაში ედგნენ ჯერ ომაიანებს, შემდეგ კი აბასიანებს, როგორც ცნობილია, დაიფანტნენ და დასახლდნენ ჩრდ. აფრიკაში, მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ომაიანები, ბუნებრივია, არ ენდობოდნენ ლოიალურად განწყობილ ალიდებსაც კი, არ აძლევდნენ მათ სახელმწიფო თანამდებობებს და სიცოცხლეს უსწრაფავდნენ ყველაზე სახიფათოებს. ძირითადად ამავე პოლიტიკას ატარებდნენ აბასელებიც, რომლებიც, თავდაპირველად, ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, დაუახლოვდნენ ალიდებს. თავის მხრივ, ჰასანისა და ჰუსაინის შთამომავლები ხშირად აწყობდნენ ხოლმე აჯანყებებს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და ზოგჯერ ახერხებდნენ კიდევაც ძა-

²⁹ იბნ 'ინაბა. 'უმდა ატ-ტალიბ ფი ანსაბ აბი ტალიბ. ან-ნაჯაფ, 1381/1961, გვ. 345.

³⁰ იქვე.

³¹ იბნ ტაბატაბა, აბუ ისმა'ილ იბრაჰიმ იბნ ნასირ. *მუნთაკილათ ატ-ტალიბია*, თაჰკიკ მ. მ. ალ-ხურასან, ან-ნაჯაფ, 1388/1968, გვ. 66. ნისბის გარეშე ამ პიროვნებას ასახელებს იბნ 'ინაბა (გვ. 345). იბნ ტაბატაბას აბუ ჯა'ფარ მუჰამმადის გენეალოგიაში გამოტოვებული აქვს მისი მამის სახელი (გვ. 102). თანამედროვე არაბ მკვლევარს უ. რ. ქაჰჰალას თავის ავტორთა ლექსიკონში (*მუ'ჯამ ალ-მუ'ალიფინა*, ტ. XI, დიმაშკ, 1960, გვ. 174-175) ათ-თიფლისის ნისბით შეაქვს ჰამზას და მუჰამმადის ერთ-ერთი შთამომავალი, გენეალოგისტი მუჰამმად იბნ ალ-მუჰასსინი (გარდ. 1087 წ.), მაგრამ ქაჰჰალას მიერ დასახელებული წყარო (იხ. ატ-ტაჰრანი, ალა ბუზურგ. *ტაბაკათ ა'ლაბ აშ-ში'ა ვა ჰუვა ან-ნაბის ფი ლ-კარნ ალ-ხამის*. ბადრუთ, 1971, გვ. 183) ამ ნისბას არ იძლევა.

³² იბნ ტაბატაბა, გვ. 101-102, 371 (გამომცემლის კომენტარი). მსგავსი აღრევების შესახებ იხ. ქვემოთ, შენ. 34.

ლაუფლების ხელში ჩაგდებას (მაგ., მალრიბში, ჰიჯაზში, იემენში, ტაბარის-ტანში, დეილამში, ჯურჯანში...)³³

შიიტურ ლიტერატურაში ალიდების შთამომავლობას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. შედგენილია ალიდების განშტოებათა გენეალოგიები, აღნუსხულია მათი გავრცელების, დამკვიდრებისა და აღსრულების ადგილები. ჰამზასა და მისი ვაჟის თბილისში დამკვიდრება, რაც სწორედ ამ ტიპის თხზულებებშია ფიქსირებული, იმამიტთა პოლიტიკით უნდა იყოს განპირობებული. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ჰამზას მამის – ‘ალი ად-დინავარის კავშირი მე-9 იმამთან, მუჰამმად ალ-ჯავვადთან. მუჰამმად იბნ ჰამზას შთამომავლები, შესაძლოა, აღარ ცხოვრობდნენ თბილისში. ცნობილია, რომ მისი ერთი ვაჟი ‘ალი ჰადუსა გადასახლებულა ბაღდადს.³⁴

თბილისის მიმართ შიიტთა ინტერესების საილუსტრაციოდ შიიტური ლიტერატურიდან შეიძლება კიდევ რამდენიმე ფაქტი მოვიყვანოთ. იბნ ტაბატაბას თანახმად, თბილისში დამკვიდრებულან ‘ალის ვაჟის ‘აბბასის შვილთაშვილის კასიმ იბნ კასიმის შთამომავლები,³⁵ აღბათ IX ს-ის მიწურულსა თუ X ს-ის დასაწყისში. სხვა ცნობით, რომელიც აბუ ლ-ფარაჯ ალ-ისბაჰანის მიეკუთვნება, ხალიფა ალ-მუკთადირის (908-932) დროს, არაუგვიანეს 925 წლისა, თბილისში მოუკლავთ ერთი ალიდი – ჰუსაინ იბნ ‘ალი,³⁶ რომელიც იყო პირდაპირი შთა-

³³ ალიდების შესახებ იხ. C1. Huart. Alids. – *Shorter Encyclopaedia of Islam*. Leiden, 1961, გვ. 32-33; B.Lewis. Alids. – *EF*, vol. I, გვ. 402.

³⁴ იბნ ტაბატაბა, გვ. 66.

³⁵ იქვე, გვ. 102. ავტორი აქაც შეცდომით წერს თინნისს – თიფლისის ნაცვლად. *მუნთაკილათ ატ-ტალიბიას* გამომცემელი ალ-ხურასანი შეიხ მუჰამმად იბნ აბუ ჯა‘ფარ ალ-‘უბაიდლის (გარდ. 437/1045-46 წ.) თხზულებაზე *თაჰზიბ ალ-ანსაბ* („გენეალოგიათა შემოკლება“) დაყრდნობით მიუთითებს (გვ. 88, შენ. 2), რომ კასიმ იბნ კასიმის შთამომავლები სწორედ თბილისში და, გარდა ამისა, მარალასა და ბარდავშიც დამკვიდრებულან. იბნ ტაბატაბა სხვა შემთხვევაში აღნიშნავს, რომ თბილისში დასახლებულა ‘ალის ვაჟის – ჰასანის შთამომავალთა ორი შტოც (გვ. 101). მაგრამ მათი მოღვაწეობა სინამდვილეში დაკავშირებული იყო იემენტან და ეგვიპტესთან, კერძოდ კი, კუნძულ თინნისთან (ალ-ხურასანის შენ. გვ. 371). თბილისისა და თინნისის, და მათგან ნანარმოები ნისბების აღრევა გვხვდება სხვა შრომებშიც. მაგ. იბნ თალრი ბირდი (გარდ. 1470 წ.) თავის თხზულებაში *ან-ნუჯუმ აზ-ზაჰირ ფი მულუქ მისრ ვა ლ-კაჰირა* იხსენიებს ცნობილი თეოლოგის აბუ ლ-ჰასან ‘ალი ად-დარაკტინის მასწავლებელს აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ ‘ალი ათ-თიფლისის (გარდ. 369/979-80 წ.) (Abu l-Mahasin ibn Taghri Birdi’s *Annals* entitled *an-Nujum az-zahira...*, vol. II, pt. 2, № 3, Ed. by W. Popper. Berkeley, 1912, გვ. 26), რომელიც სინამდვილეში ცნობილი იყო ათ-თინნისის ნისბით. იბნ თალრი ბირდი. *ან-ნუჯუმ აზ-ზაჰირა ფი მულუქ მისრ ვა ალ-კაჰირა*, ტ. IV, ალ-კაჰირა, 1383/1963, გვ. 137, შენ. 1; იბნ ‘იმად ალ-ჰანბალი. *შაზარათ აზ-ზაჰაბ ფი ახბარ მან ზაჰაბა*, ტ. III, ბაირუთ, 1399/1979, გვ. 70.

³⁶ ალ-ისბაჰანი, აბუ ლ-ფარაჯ. *მაკათილ ატ-ტალიბინა*. შარჰ ვა თაჰკიკ ა.საკირ, ალ-კაჰირა, 1368/1949, გვ. 709. ამ ნაშრომში, რომელიც დასრულდა 925 წ., აღნიშნულია, რომ ჰუსაინი მოუკლავს ხალხს, რომელსაც ეწოდებოდა *ას-საფარიია*. ვფიქრობთ, რომ აქ უნდა იყოს *ას-სანარიია*, ე.ი. ნანარები.

მომავალი ჯა'ფარ ას-სადიკის ვაჟის – ისმა'ილისა. ამ ისმა'ილისგან კი, როგორც ცნობილია, სათავეს იღებს შიიზმის უკიდურესი სექტა – ისმაილიტობა.

ამრიგად, VIII-X საუკუნეებში თბილისის კავშირები როგორც ზომიერ, ისე უკიდურეს შიიზმთან (დამატებით იხ. №14) – აშკარაა. მაგრამ მასალეზის სიმცირე მაინც არ იძლევა საშუალებას, ზუსტად განვსაზღვროთ ამ პერიოდის თბილისში შიიტური მოძრაობის როლი და მნიშვნელობა.

შეიძლება დავუშვათ, რომ ისლამის ქვეყნების უმეტესობის მსგავსად, შიიტები თბილისშიც შეადგენდნენ აქტიურად მოქმედ უმცირესობას. ყოველ შემთხვევაში, X ს-ის შუა ხანებში, იბნ ჰაუკალის თანახმად, თბილისის მისახლეობა (მისი მუსლიმური ნაწილი) წმინდა სუნას, ე.ი. ორთოდოქსალური ისლამის მომდევარი იყო.³⁷ ასევე სუნიტია, როგორც ვნახავთ, ათ-თიფლისიების დიდი უმრავლესობაც.

10. აბუ ლ-კასიმ 'ისა არ-რაჰკი ათ-თიფლისი – ექიმი და ასტროლოგი. მოღვაწეობდა სირიაში ჰამდანიან საიფ ად-დავლასა (945–967) და ბაღდადში ბუვეიჰელ ადუდ ად-დავლას (977-982) კარზე. იბნ აბუ უსაბი'ას (გარდ. 1270 წ.) თანახმად, თარგმნიდა სირიულიდან არაბულად და იყო „თავისი დროის ცნობილი ექიმი და საექიმო ხელობის ჭეშმარიტი მცოდნე“.³⁸ ავტორია შრომისა ატ-ტიბბ („მედიცინა“).³⁹

³⁷ ე. სიხარულიძე. იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ. – კრ. *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები*. წიგნი I, თბ., 1976, გვ. 36.

³⁸ იბნ აბი უსაბი'ა. 'უფუნ ალ-ანბა' ფი ტაბაკათ ალ-ატიბბა'. ტ. II, 1299/1882, გვ. 140. დამატებით მის შესახებ იხ. იბნ ალ-კალანისი. *თა'რიხ დიმაშკი*. ბი-თაჰკიკ ს. ზაქქარ, დიმაშკი, 1403/1983, გვ. 66; Ibn al-Qifti's *Ta'rih al-Hukama'*. Auf Grund der Vorarbeiten Aug. Müller's. Hrsg. J. Lippert. Leipzig, 1903, გვ. 250 (აქ 'ისა არ-რაჰკის ნიხად დასახელებულია ან-ნაფისი); H. Zuter. *Die Mathematiker und Astronomen der Araber und ihre Werke*. Abhandlungen für Geschichte der Mathematischen Wissenschaften. Hrsg. M. Cantor, 10, Leipzig, 1900, გვ. 61; Г. П. Матвиевская, Б. А. Розенфельд. *Математики и астрономы мусульманского средневековья и их труды (VIII – XVIII вв.)*, 2, М., 1983, გვ. 156, №133.

³⁹ И. К. Эфендиев. *История медицины в Азербайджане с древнейших времен до конца XIX века*. Баку, 1964, გვ. 72 (მკვლევრები აღნიშნავენ, რომ 'ისა არ-რაჰკი იყო ასტრონომიის მცოდნე). ი. ეფენდიევის თანახმად, 'ისა არ-რაჰკი (ურ-რაგგი) სირიულიდან ნათარგმნ სამედიცინო ნაშრომებს ამდიდრებდა თავისი კომენტარებით, რაც გამოიხატებოდა მასალის კრიტიკულ ანალიზსა და საკუთარი პოზიტიური შეხედულებების გადმოცემაში (И. К. Эфендиев. დასახ. ნაშრ., გვ. 72). მკვლევარი 'ისა არ-რაჰკის აზერბაიჯანელ ექიმთა შორის ასახელებს და მის ნაშრომს – ატ-ტიბბს მიიჩნევს „X ს-ში აზერბაიჯანის მედიცინის მდგომარეობის ამსახველ ჩვენამდე მოღწეულ პირველ ძეგლად“. სამწუხაროდ, ი. ეფენდიევი არ მიუთითებს თავისი ინფორმაციის წყაროს და არც იმას, თუ სად არის დაცული ატ-ტიბბ. აღვნიშნავთ, რომ ეს თხზულება უცნობი დარჩა კ. ბროკელმანისა და ფ. სეზგინისათვის. ქართველ მკვლევართაგან 'ისა არ-რაჰკი ათ-თიფლისის (ი. ეფენდიევზე დაყრდნობით) პირველად შეეხო გ. ფიცხელაური. Г. З. Фицхеллаури. *Медицина и выдающиеся медики средневекового Востока*. Тб., 1982, გვ. 163-164.

11. აბუ ლ-ჰასანი საბით იბნ ბუნდარ იბნ ასად ათ-თიფლისი – სუნეტი მუჰადდისი (IX-X სს.?). მას იხსენიებს ცნობილი ფაკიჰი და სუფი აბუ ნუ‘აიმ ალ-ისბაჰანი⁴⁰ (გარდ. 1038 წ.).

12. აბუ ‘აზდ ალ-ლ-აჰ ისმა‘ილ იბნ მუჰამად იბნ ჰამად ათ-თაჯირ ან-ნადსაბური ათ-თიფლისი – ნისბების მიხედვით იყო დიდ-ვაჭარი და, ჩანს, კავშირი ჰქონდა როგორც თბილისთან, ისე – ნიშაბურთან (ირანი). დაიბადა 373/982-83 წ.,⁴¹ გარდაცვალების წელი უცნობია.

13. აბუ საჰლ ‘აზდ ალ-მუნ‘იმ იბნ ‘ალი იბნ ნუჰ ათ-თიფლისი – ერთ-ერთი მასწავლებელი სახელგანთქმული მუსლიმი მეცნიერის აბუ რ-რაიჰან ალ-ბირუნისა – ლაზნადან (გარდ. 1048 წ.). წიგნი ინდოეთის შესახებ ალ-ბირუნიმ დაწერა თავისი მასწავლებლის თხოვნით და რჩევით.⁴²

14. აბუ მუჰამად ალ-ჰასან იბნ ბუნდარ ათ-თიფლისი – შიიტი ლიტერატორი (ადიბ) და გრამატიკოსი X ს-ის მინურულსა და XI ს-ის დასაწყისში. იბნ ალ-კიფტის თანახმად,⁴³ ალ-ჰასან იბნ ბუნდარი 50 წელი შეისწავლიდა ლიტერატურასა და არაბულს, რაც მოიხსენია თავის წიგნში *ალ-მანაკიბ ვა ლ-მასალიბ* („საქებარი და საძრახი თვისებები“). ეს წიგნი მას შეუდგენია ამირა ‘ალი იბნ ჯა‘ფარისთვის, რომელიც, ლაკაბის – *ალ-მუზაფფარ* (გამარჯვებულ) და ქუნიის – *აბუ ლ-ჰასან* – მიხედვით, უნდა იყოს თბილისის ჯა‘ფარიანთა საგვარეულოს ამირა X ს-ის მინურულსა და XI ს-ის პირველ მესამედში.⁴⁴

იბნ ალ-კიფტის თანახმად, ალ-ჰასან იბნ ბუნდარი იყო უკიდურესი შიი-

⁴⁰ Abu Nu‘aim. *Geschichte Isbahans*. Nach der Leidener Handschriften hrsg. von. S. Dederling. Bd. I, Leiden, 1931, გვ. 240-241. აბუ ნუ‘აიმ ასახელებს რამდენიმე მუჰადდისს (მაგალითად, ჰამიდ არ-რაფფა, ჰამიდ იბნ მუჰამად ალ-ჰარავი...), რომელთაც ეყრდნობოდა საბითი. მათი მოღვაწეობის ხანის განსაზღვრა, რასაც ამჟამად ვერ ვახერხებთ, საშუალებას მოგვცემდა უფრო ზუსტად დაგვედგინა საბით იბნ ბუნდარის ცხოვრების დროც.

⁴¹ The Histories of Nishapur. Ed. by. R. N. Frye. Harvard Oriental Series, The Hague, 1965, გვ. 40a.

⁴² Абу Рейхан Бируни. Индия. Избранные произведения, т. 2, перевод А.Б. Халидова и Ю.Н. Завадовского, под редакцией В. И. Беляева, комментарии В. Г. Эрмана и Б. Халидова, 1963, гв. 58-59; П. Г. Булгаков. Жизнь и труды Беруни. Ташкент, 1971, гв. 201.

⁴³ იბნ ალ-კიფტი. *ინბაჰ არ-რუვათ ‘ალა ანბაჰ ან-ნუჰათ*. ბი-თაჰკიკ მ. აბუ ლ-ფადლ იბრაჰიმ, ტ. I, ალ-კაჰირა, 1339/1950, გვ. 290, 168.

⁴⁴ ზემოხსენებული ლაკაბითა და ქუნიით ‘ალი იბნ ჯა‘ფარი იხსენიება მონეტებზე (დ. კაპანაძე. X საუკუნის თბილური დრამა ალი ბენ ჯაფარისა. – *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*. 1944, ტ. XII-B, გვ. 185; მისივე. Клад монет начала XI в. Тбилисского эмира Али ибн Джафара. – *ЭВ*, т. XIV, 1961, гв. 74; D. Lang. *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia* (ANS NNM, No. 130). New York, 1955, გვ. 14-15. იბნ ალ-კიფტის *ინბაჰ არ-რუვათის* გამოცემელი აბუ ლ-ფადლ იბრაჰიმი ამ თხზულების საძიებლებში (ტ. IV, გვ. 258) ამირა ‘ალი იბნ ჯა‘ფარს არასწორად აიგივებს ნიშაბურელ ლიტერატორთან (ადიბ) ალი იბნ ჯა‘ფარ ალ-ქათიბ აბუ ლ-ჰასან ალ-ფარისი ან-ნაჰავი აშ-შა‘ირისთან.

ტი თავის მხარეში (*ქანა ში'ან მულალიდან ფი ვილადათიჰი*), ავტორი ვრცელი კასიდებისა შიიზმისა და შიიტი იმამების შესახებ, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ პოეტური ღირსებებით. მას დაუწერია დიდი ტრაქტატი *ალ-მუფახარა ვა ლ-მუქასარა/„ტრაბახი და ლაყბობა“* გამოჩენილი არაბი პოეტების ალ-მუთანაბის (გარდ. 965 წ.) და იბნ არ-რუმის (გარდ. 896 წ.) პოეზიაში.⁴⁵ გარდა ამისა, მას ეკუთვნოდა კიდევ ერთი ტრაქტატი *ალ-მუსაბაკათ ალ-მუსარაკა* („პლაგიატობის შეჯიბრი“), სადაც აჩვენა, თუ რა აიღო და რა ისესხა (*ახაზა*) ალ-მუთანაბიმ წინამორბედ პოეტთაგან. ის იყო ამ საკითხის მცოდნე და, საერთოდ, სპეციალისტი (*ხაბირ*) პოეზიისა და პოეტური მოტივების (*მა'ანი*) კრიტიკისა.

იბნ ალ-კიფტის ამ ცნობიდან გამომდინარე, ალ-ჰასან იბნ ბუნდარი, რომლის თბილისში მოღვაწეობაც ეჭვს არ უნდა იწვევდეს, იყო არაბული პოეზიის, კერძოდ, იბნ არ-რუმისა და ალ-მუთანაბის შემოქმედების მკვლევარი. ის მიეკუთვნება იმ არაბ ფილოლოგთა რიცხვს, რომლებიც სწავლობდნენ პოეტურ ნასესხობებს არაბი პოეტების, მათ შორის, ალ-მუთანაბის ლექსებში. ამ პრობლემის შესწავლა სახალიფოში დაიწყო VIII ს-ის მეორე ნახევრიდან და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა არაბულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში IX ს-ში.⁴⁶ პოეტურ ნასესხობათა თეორიას ბევრმა ავტორმა მიუძღვნა შრომები.⁴⁷ სამწუხაროდ, ალ-ჰასან იბნ ბუნდარის წიგნები არ შემონახულა. მისი სახელი⁴⁸ უცნობი იყო უკვე ჰაჯი ხალიფასათვის (XVII ს.) და უცნობი დარჩა იმ თანამედროვე მკვლევრებისთვისაც, რომლებიც სწავლობდნენ პოეტურ ნასესხობებს ალ-მუთანაბის პოეზიაში.⁴⁹

⁴⁵ იბნ ალ-კიფტი. *ინბაჰ...*, გვ. 190.

⁴⁶ არაბულ პოეზიაში პოეტურ ნასესხობათა (ან პლაგიატის) შესახებ იხ. შუ'აბ, მუჰამად 'აბდ არ-რაჰმან. *ალ-მუთანაბი ბანა ნაკიდაჰი ფი ლ-კადიმ ვა ლ-ჰადის*. მისრ, 1962, გვ. 181-226 (თავი III, §1, „ლიტერატურული ნასესხობები“); А. Б. Куделин. *Средневековая арабская поэтика (вторая половина VIII-XI вв.)*. М., 1983, გვ. 100-123.

⁴⁷ მაგალითად, ას-საჰაბ იბნ 'აბბადი (გარდ. 995 წ.), ალ-ხათიმი (გარდ. 995 წ.), იბნ ვაკი'ათ-თინისი (გარდ. 1003 წ.), მუჰამად ალ-ამიდი (გარდ. 1042 წ.) და სხვ. მათ შესახებ იხ. А. Б. Куделин. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 101-102.

⁴⁸ ალ-ჰასან იბნ ბუნდარ ათ-თიფლისის შესახებ იბნ ალ-კიფტისეული ცნობების შემოკლებული ვერსია მოიპოვება იბნ მაქთუმის (გარდ. 1348 წ.) თხზულებაში *თალხის ალ-ახბარ ალ-ლულავიინა* („ენათმეცნიერთა მოკლე ამბები“), რომლის ავტოგრაფიც დაცულია კაიროს ეროვნულ ბიბლიოთეკაში (დარ ალ-ქუთუბ ალ-ვატანიია. თა'რის თამფურ, №3069, გვ. 52). ჩვენთვის საინტერესო ადგილი ამ თხზულებიდან გადაიღო და მოგვანოდა თსუ-ს უფროსმა მასწავლებელმა, ეგვიპტელმა 'აბდ არ-რაუფმა.

⁴⁹ მაგალითად, შუ'აბ. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 181-226; А. Б. Куделин. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 100-123; R. Blacher. *Un poète arabe du IV^e siècle de l'Hégire (X siècle de J.-C.)*, *Abou-t-Tayyib al-Motanabbi. Essai d'histoire littéraire*. Paris, 1935.

15. აჰმად იბნ მუჰამმად ათ-თიფლისი – ამ პიროვნების პროფესია უცნობია. მისი *მაველა* (კლიენტი), მუჰამმად იბნ იკბალის დედა, რომელიც გარდაიცვალა 472 წ. 24 რაჯაბს (1028 წ. 20 იანვარი), მოხსენებულია სამხრეთ არაბეთში აღმოჩენილი ერთი საფლავის ქვის ეპიტაფიაში.⁵⁰

16. ალ-‘არიფ ბი-ლლაჰ აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ ისმა‘ილ იბნ მუჰამმად იბნ ბითუნ იბნ ას-სარი ათ-თიფლისი ან-ნაჰსაბური ას-სუფი – შაფიიტი ფაკიჰი, მუჰადდისი, მუკრი (ყურანის მკითხველი), სუფი, იმამი. მის შესახებ მოგვითხრობენ ას-სამ‘ანი, აზ-ზაჰაბი (გარდ. 1348 წ.) და სხვა არაბი ავტორები.⁵¹ დაიბადა 400 წ. რაჯაბში (1010 წ. თებერვალი-მარტი) თბილისში. მამამისი დასახლებულა ნიშაბურში და მუჰამმადს სწორედ აქ უნდა მიეღო განათლება. მისი მასწავლებლები იყვნენ აბუ ტაჰირ მუჰამმად იბნ მაჰმად აზ-ზიადი (გარდ. 410/1019 წ.), ‘აბდ ალლაჰ იბნ იუსუფ იბნ ბაბავაჰი (გარდ. 409/1018-19 წ.), იბნ ‘აბდ არ-რაჰმან ას-სულამი (გარდ. 412/1021-22 წ.)⁵² – ცნობილი შაფიიტი მუჰადდისები, ფაკიჰები და სუფიები, რომლებიც მოღვაწეობდნენ ნიშაბურსა და ირანის სხვა ქალაქებში. ითვლებოდა ავტორიტეტულ, სანდო მუჰადდისად. ჰყავდა მრავალი მონაფე, მათ შორის გამოჩენილი გენეალოგისტი და ბიოგრაფი აბუ ლ-კასიმ კივამ ად-დინ ისმა‘ილ იბნ მუჰამმად ალ-ისბაჰანი (გარდ. 1140 წ.). გარდაიცვალა ნიშაბურში, 483 წ. შავვალში (1091 წ. ნოემბერი-დეკემბერი).

17. აბუ აჰმად ჰამიდ იბნ დუსუფ ალ-ჰუსაინ ათ-თიფლისი – ადიბი, მუჰადდისი, ასკეტი, სუფი, სულთან მალიქ-შაჰის ვეზირის თაჯ ალ-მულქის (გარდ. 482/1089) მიმდევარი. მის შესახებ ცნობებს გვანდვიან ას-სამ‘ანი, იბნ ‘ასაქირი (გარდ. 1176 წ.), ას-საფადი (გარდ. 1363 წ.) და სხვა ავტორები.⁵³ იყო თბილისელი, განათლება მიიღო ბაღდადში, იერუსალიმსა

⁵⁰ Répertoire chronologique d'épigraphie Arabe. Tome septième, Le Caire, 1936, №2725.

⁵¹ as-Sam‘ani, გვ. 65-66. შდრ. ე. სიხარულიძე. *ას-სამ‘ანის ცნობები*, გვ. 48, 50; აზ-ზაჰაბი. საიდრ ან-ნუბალა, ტ. XII. – სტამბოლის აჰმედ III-ის ბიბლიოთეკის ნუსხა, დამასკოს არაბული ენის აკადემიის ფოტოპირი, გვ. 3; იბნ თაღრი ბირდი. *ან-ნუჯუჰ აზ-ზაჰირა...*, ტ. V, ალ-კაჰირა, 1383/1963, გვ. 131; იბნ ‘იმად ალ-ჰანბალი. *შაზარათ აზ-ზაჰაბ...*, ტ. III, ბაირუთ, 1399/1979, გვ. 368; ნ. მა‘რუფ. *‘ურუბათ ალ-‘ულამა’ ალ-მანსუბინა ფი ბილად არ-რუმ ვა ლ-ჯაზა’ირ ვა შაჰრაზურ ილა ბულდან ალ-‘აჯამიია*, ტ. III, ბაღდად, 1979, გვ. 232.

⁵² ამ პირთა შესახებ იხ. იბნ ‘იმად ალ-ჰანბალი. *შაზარათ აზ-ზაჰაბ*, ტ. III, გვ. 181, 188, 193, ტ. IV (ბაირუთ, 1399/1979), გვ. 139; დამატებით იხ. ას-სუბქი. *ტაბაკათ ამ-შაფი’ია ალ-ქუბრა* (გამოცემის ადგილის გარეშე), ტ. III, 1388/1969, გვ. 60.

⁵³ as-Sam‘ani, გვ. 66. შდრ. ე. სიხარულიძე. *ას-სამ‘ანის ცნობები...*, გვ. 49, 50 იბნ ‘ასაქირი. *თაჰზიბ თა’რიხ დიმაშქ ალ-ქაბირ*. ჰაზაბაჰაჰუ ვა რათთაბაჰუ ამ-შაჰს ‘აბდ ალ-კადირ ბადრან, ტ. IV, ბაირუთ, 1979, გვ. 20; იბნ ალ-ასირ. *ალ-ლუბაბ ფი თაჰზიბ ალ-ანსაბ*. ტ. I, ალ-კაჰირა, 1375/1938, გვ. 178; Das Biographische Lexicon des Salahaddin Halil ibn Aibak

და მექაში. მის მასწავლებელთა შორის იხსენიება მუჰამმად იბნ აჰმად ალ-ბაიჰაკი (გარდ. 402/1011-12 წ.) – იერუსალიმიდან, ‘ალი იბნ იბრაჰიმ ალ-‘აკული – მექადან, ‘აბდ ალლაჰ იბნ ხაფრი – ბაღდადიდან და სხვ. ითვლებოდა „რჩეულ (ალფადლ) და აღმატებულ (თამიმზ)“ მეცნიერად.⁵⁴ ბევრს მოგზაურობდა. გარდა ზემოხსენებული ქალაქებისა, ნამყოფი იყო დამასკოსა და ჰალაბში. სირიაში მოგზაურობის დროს, ას-საფადის ცნობით, ის შეხვდა გამოჩენილ არაბ პოეტს და ფილოსოფოსს აბუ ლ-‘ალა ალ-მა‘არის. გარდაიცვალა 484/1091-92 წლის შემდეგ.

18. აბუ სა‘დ მას‘უდ იბნ ‘აბდ არ-რაჰმან იბნ ‘ალი იბნ ალ-ჰანსან ალ-ბაიდა‘ ათ-თიფლისი – შაფიიტი ფაკიჰი. დაიბადა 410/1019-20 წ., გარდაიცვალა 490/1096-97 წ.⁵⁵

19. აბუ ლ-ჰანსიმ მასჰუდ იბნ დუსუფ იბნ ალ-ჰუსაინ ათ-თიფლისი ალ-ბარზანდი – შაფიიტი ფაკიჰი და მუჰადდისი. მის შესახებ ცნობებს გვანვდიან ას-სამ‘ანი, ას-სუბქი (გარდ. 1370 წ.) და ალ-ასნავი (გარდ. 1370 წ.).⁵⁶ იყო თბილისელი (*მინ აჰლ თიფლის*), მაგრამ მეორე ნისბა – ალ-ბარზანდი მიუთითებს მის რაღაც კავშირს აზერბაიჯანის ქალაქ ბარზანდთან.

აბუ ლ-ჰანსიმმა განათლება მიიღო ბაღდადში, სადაც სწავლობდა სამართალს აბუ ისჰაკ იბნ იბრაჰიმ აშ-შირაზისთან (გარდ. 1077 წ.), რომელიც მოღვაწეობდა ნიზამ ალ-მულქის მიერ სპეციალურად მისთვის დაარსებულ *ნიზამიას* მედრესეში. ისმენდა ჰადისებს მუჰამმად იბნ ჰუსაინ (აბუ ალ-‘ლა) იბნ ალ-ფარრასთან (გარდ. 1066 წ.) და აბასიანთა გვარის ორ ცნობილ მუჰადდისთან – აბუ ლ-ლანა‘იმ ‘აბდ ას-სამად იბნ ალ-მა‘მუნთან (გარდ. 1073 წ.) და აბუ ლ-ჰუსაინ მუჰამმად იბნ ‘ალი ალ-მუჰთადი ბი-ლლაჰთან (გარდ. 1017 წ.).⁵⁷

როგორც ჩანს, მაჰმუდ იბნ იუსუფმა განათლება დაასრულა, არა უგვიან-

as-Safadi. Teil XI, Hrsg. von Š. Faisal, Wiesbaden, 1981, გვ. 279-280; Jacut’s geografische Wörterbuch. Hrsg. von F. Wüstenfeld. Bd. I, Leipzig, 1866, გვ. 859.

⁵⁴ ამ ეპითეტებს იყენებდნენ გამოჩენილი მეცნიერების დახასიათების დროს (ე. სიხარულიძე. *ას-სამ‘ანის ცნობები...*, გვ. 49, შენ. 8).

⁵⁵ The Histories of Nishapur., გვ. 127b.

⁵⁶ as-Sam‘ani. *al-Ansab*, vol. II, Haydarabad, 1963, (Bairut, 1980, რეპრინტი), გვ. 148-149; ას-სუბქი. *ტაბაკათ აშ-შაფი‘ია ალ-ქუბრა*. ტ. 9, ალ-კაჰირა (თარიღის გარეშე), გვ. 294, 988; ალ-ასნავი, ჯამალ ად-დინ ‘აბდ არ-რაჰიმ. *ტაბაკათ აშ-შაფი‘ია*. თაჰკიკ ა. ალ-ჯაბბურ, ბაღდად, 1390/1970-71 (გვ. 310, 282).

⁵⁷ მაჰმუდ იბნ იუსუფ ათ-თიფლისის მასწავლებლების შესახებ იხ. იბნ ხალლიქან. *ვაფაიათ ალ-ა‘იან*. ჰაკკაკაჰუ ი.‘აბბას, ტ. I, ბაღრუთ, 1398/1977-78, გვ. 29-31; იბნ ალ-ასირ. *ალ-ქამილ ფი თ-თა‘რიხ*, ტ. X, ბაღრუთ, 1966, გვ. 52, 88.

ნეს, 1077 წლისა. ამის შემდეგ, ას-სამ'ანის თანახმად, ის დაბრუნებულია თავის ქალაქში (ე.ი. თბილისში), სადაც გადასცემდა ჰადისებს. მის მოწაფეთა შორის იხსენიება მუჰადდისი აბუ ბაქრ იბნ ტაიბ იბნ მუჰამმად ალ-ლადა'ირი ალ-აბივარდი, რომელიც მოღვაწეობდა მერვში (გარდ. 506/1112-13 წ.).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მაჰმუდ იბნ აუსუფ ათ-თიფლისი კიდევ ერთი ათ-თიფლისია, რომელიც სუნიტური ისლამის შაფიიტთა მაზ-ჰაბს (სკოლას) მიეკუთვნებოდა (იხ. აგრეთვე 15 და 17). ქვემოთ ვნახავთ, რომ ამავე მაზჰაბს სხვა არაერთი ათ-თიფლისიც წარმოადგენდა. შეიძლება შემთხვევითია, მაგრამ მაინც ნიშანდობლივია ის, რომ ათ-თიფლისის ნისბით მოღვაწეთა შორის, რომლებიც ჩვენ მოვიძიეთ, არც ერთი ჰანაფიტი, მალიქიტი ანდა ჰანბალიტი არ გვხვდება. არ არის გამორიცხული, რომ თბილისის სუნიტ მუსლიმებში სწორედ შაფიიტები ჭარბობდნენ.

20. ათ-თიფლისი – უცნობი მოღვაწე, ან მოღვაწეები დამასკოში, რომელთა სახელებთანაც, იბნ ალ-‘ასაქირის თანახმად, XII საუკუნის დამასკოში დაკავშირებული იყო ორი ტოპონიმი:

1. ‘ადნ ათ-თიფლისი – ათ-თიფლისის წყარო,⁵⁸ რომელიც, ნ. ელისეევის აზრით, შეიძლება იყოს იმავე ‘ადნ ალ-კასსარინ – ნურ ად-დინ ზანგის ბიძარის-თანთან.⁵⁹ 2. დარ ათ-თიფლისი – ათ-თიფლისის სახლი, ომაიანთა დიდი მეჩეთის სამხრეთით,⁶⁰ ხორბლის ბაზრისა (სუკ ალ-კამჰ) და ფურნის⁶¹ დასავლეთით.

21. აბულ-ფადლ ჰუბაბ იბნ იბრაჰიმ იბნ მუჰამმად შარაფ ად-დინ ქაგალ ად-დინ ჯაგალ ად-დინ ბადი' აზ-ზამან ათ-თიფლისი – XII ს-ის გამოჩენილი მეცნიერი, ავტორი მრავალი ნაშრომისა ფილოსოფიაში, მედიცინაში, ასტრონომიაში, ასტროლოგიასა და სხვა დარგებში. ჰუბაბ ათ-თიფლისის ერთი ნაშრომის (*ქიფაიათ ატ-ტიბბ*) ნუსხებში ავტორის ნისბად მითითებულია ალ-ლაზნავი, რაც ალ-კუნავის (კონიელი) და-

⁵⁸ იბნ ‘ასაქირ. *თა'რიხ მაღინა დიმაჰკ, ხიტატ დიმაჰკ*. თაჰკიკ სალაჰ ად-დინ ალ-მუნაჯჯიდ, ტ. II, ნან. I, დიმაჰკ, 1954, გვ. 76, №229; შდრ. A. Talass. *Les mosquées de Damas d'après Yousof ibn 'Abdel-Hadi*. Bairut, 1975, გვ. 95, №236; იბნ შადდადი წყაროს ნაცვლად ასახელებს ათ-თიფლისის არხს, მდინარეს (ნაჰრ). S. Dahan. *La Description de Damas d'Ibn Šaddad, historien et géographe mort à Alep en 684/1285*. Edition critique d'al-A'laq al-Hatira. Damas, 1956, გვ. 124, №236; H. Sauvaire. *Description de Damas*. Tr. de l'arabe. – JA, 1885, VI, გვ. 440. ამ წყაროს თავზე აშენებული იყო მეჩეთი, რომელსაც ჰყავდა იმამი და ჰქონდა ვაკეფი (იბნ ‘ასაქირ. *თა'რიხ მაღინა დიმაჰკ, ხიტატ*., გვ. 76, 229).

⁵⁹ N. Elliséeff. *La Description de Damas d'Ibn 'Asakir (Historien mort à Damas en 571/1176)*. Damas, 1959, გვ. 137, №229, შენ.1. მისივე. *Corporations de Damas sous Nur al-Din. Matériaux pour une topographie économique de Damas au XIIIe siècle*. – *Arabica*, t. III/1, 1956, გვ. 71, №28

⁶⁰ იბნ ‘ასაქირ. *თა'რიხ მაღინა დიმაჰკ, ხიტატ*., გვ. 138.

⁶¹ N. Elliséeff. *La Description*., გვ. 235, №23, შენ. 7.

მახინჯებულ ფორმად არის მიჩნეული.⁶² ფილოლოგიურ ნაშრომებში ჰუბა-იშის სახელს ემატება ტიტული ადიბი, სამედიცინო თხზულებებში – *ჰაქიმი* და *მუთატაბბიბი*, ხოლო ასტრონომიულსა და ასტროლოგიურში – *მუნაჯჯიმი*, *შაიხი* და *საიდი*.⁶³

დღემდე გამოცემულ შუა საუკუნეების მდიდარ არაბულ ბიოგრაფიულ ლიტერატურაში ჰუბაიმ ათ-თიფლისი არ იხსენიება. პირველად მას და მის შრომებს ასახელებს XVII ს-ის თურქი მეცნიერი ჰაჯი ხალიფა.⁶⁴ ორიენტალისტთა ყურადღება ჰუბაიმ ათ-თიფლისიმ XIX ს-ის 40-50-იანი წლებიდან მიიქცია⁶⁵ და მის შესახებ ბევრი რამ არის დაწერილი.⁶⁶ გამოთქმულია ვარაუდი, რომ ის იმ თბილისელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებმაც თბილისი დავით აღმაშენებლის მიერ ქალაქის აღების (1122 წ.) შემდეგ დატოვეს.⁶⁷ საერთოდ კი, ჰუბაიმის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მსჯელობა შეიძლება მისი შრომების საფუძველზე.

ირანელმა მკვლევარმა მ. რაიაჰიმ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ჰუბაიმ ათ-თიფლისის ერთი არაბული სამედიცინო ნაშრომი „თაკვიმ აღ-ადვიამ“ მიძღვნილია აბასიანთა ვეზირის შარაფ ად-დინ ‘ალი იბნ ტარრად

⁶² Хубайш Тифлиси. *Описание ремесел*. Перевод с персидского, введение и комментарии Г. П. Михалевич. М., 1976, გვ. 51.

⁶³ იქვე, გვ. 52; ჰაჯი ხალიფა. *ქაშფ აზ-ზუნუნ ფი ასამი ლ-ქუთუბ ვა ლ-ფუნუნ*. ბაარუთ (თარიღის გარეშე), ტ. II, გვ. 1644.

⁶⁴ ჰაჯი ხალიფა. *ქაშფ აზ-ზუნუნ*. ტ. I, გვ. 262, 263 და სხვ. თავის სხვა ნაშრომში ჯიჰან ნუმა ჰაჯი ხალიფა (იგივე ქათიბ ჩელები) ბაქოს აღწერის დროს იხსენიებს ამ ქალაქიდან გამოსულ შაფიიტების ფაქიჰს, „კატეგორიებისა“ და „ქცევის წესების“ ავტორს ათ-თიფლისის, რომელიც გაიგივებულია ჰუბაიმთან (ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978, გვ. 120, 264, შენ. 49).

⁶⁵ იხ. Г. П. Михалевич. *Введение*. – წიგნში: Хубайш Тифлиси. *Описание ремесел*, გვ. 13-14;

⁶⁶ ამ ნაშრომებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია: А. Атеş. Hicri VI-VIII (XII-XIV) asirlarda Anadolu'da Farsça Eserler. – *Türkiat mecmuasi*, 1945, VIII, 2, გვ. 97-101; ი. აფშარის შესავალი წერილი წიგნში: ჰუბაიმ თიფლისი. ბაიდან ას-სანა‘ათ. – *ფარჰანგ-ე ირან-ზამინ*, ტ. 5, №4, თეჰრან, 1336/1957, გვ. 279-297; ა. მუნზავი. *ფარჰანგ-ნამე-იე არაბი ბე-ფარსი*. თეჰრან, 1337, გვ. 65-69; მ. რაიაჰი. პიშაგანგ-ე ფარსი დარ დიარ რუმ. – *აიანდე*, №7-8, 1360/1981, გვ. 620-625; Г. П. Михалевич. *Введение*., გვ. 11-61. ქართველ მკვლევართაგან ჰუბაიმ თიფლისის შესახებ იხ. შ. ამირანაშვილი. „ვეფხისტყაოსნის“ დასათაურება, მინიატურები შესრულებული XVI-XVIII საუკუნეებში. თბ., 1957, გვ. 15; ვ. გაბაშვილი. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები XII საუკუნეში. – *თსუ შრომები*, 1967, ტ. 121, გვ. 204; ქათიბ ჩელების ცნობები., გვ. 120, 264; მ. გაბაშვილი. *საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში*. თბ., 1981, გვ. 92; გ. ჯაფარიძე, ჰუბაიმ თბილისელი და მისი ტრაქტატი. – *გაზ. წიგნის სამყარო*, 26.1, 1977; გ. ამირანაშვილი. ერთი რეცენზიის გამო. – *გაზ. ლს*, 4.V. 1984.

⁶⁷ Г. П. Михалевич. *Введение*., გვ. 52; მ. რაიაჰი. პიშაგანგ-ე ფარსი დარ დიარ რუმ, გვ. 620.

აზ-ზაინაბისადმი (1128–1139/40), დაახლოებით 540/1134–35 წლამდე.⁶⁸ აქედან გამომდინარე, ირკვევა, რომ თბილისიდან ემიგრირებული ჰუბაიში ბაღდადში დასახლებულა. აქ უნდა შეედგინა მას კიდევ სხვა სამედიცინო ნაშრომი არაბულად *რისალა ატ-ტიბბია, ნაზმ ას-სულუქ და ქამილ ათ-თადბირ*.⁶⁹

ჰუბაიში ათ-თიფლისის ცხოვრების შემდეგი პერიოდი, დაახლოებით XII ს-ის 50-ანი წლებიდან, დაკავშირებულია რუმის სელჩუკთა სახელმწიფოსთან და მის სატახტო ქალაქთან – კონიასთან. მან აქ შექმნა სპარსულ ენაზე თავისი მთავარი შრომები, რომელთა ნაწილიც მიუძღვნა სულთან კილიჩ-არსლანს (1156–1193) და სელჩუკ უფლისწულებს.

ჰუბაიში ათ-თიფლისის გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. ჰაჯი ხალიფა იძლევა 629/1231–32 წ.,⁷⁰ რაც აშკარად მიუღებელია. ჰუბაიში, რომელმაც თავისი პირველი ნაშრომი 1135 წლისათვის დაწერა, ამ დრომდე ვერ იცოცხლებდა.⁷¹ კ. ბროკელმანი ასახელებს დაახლოებით 600/1202–3 წ.,⁷² მაგრამ ეს თარიღი არ მოიძიება წყაროებში და საეჭვოა. მ. რაიაჰი, ვარაუდობს, რომ ჰუბაიში ათ-თიფლისი გარდაიცვალა არა უადრეს 559/1163–64 და არა უგვიანეს 579/1183–84 წლებს,⁷³ რაც უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან. იმედია, რომ მომავალში ახალი წყაროების პუბლიკაციები ნათელს მოჰფენენ და უფრო დააზუსტებენ ამ საკითხს.

ჰუბაიში ათ-თიფლისის შრომები დიდი ხანია აღნუსხულია მკვლევართა მიერ. უკანასკნელად ისინი დაწვრილებით განიხილა გ. პ. მიხალევიჩმა.⁷⁴ ამ ნაშრომებს, ზოგიერთი დამატებით, ქართველი მკითხველისათვის ქვემოთ კიდევ ერთხელ დავასახელებთ.

სახელოსნო ტრაქტატი ბაიდან ას-სანა 'ათ („ხელობათა აღწერა“).

ეს ნაშრომი, რომელიც დაიწერა კონიაში, სულთან კილიჩ-არსლანის კარზე, ითვლება ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრეულ სპარსულ სახელოსნო ტრაქტატად და წარმოადგენს გამოყენებითი ხასიათის მცირე ენციკლოპედიას, რომელიც შეიცავს ავტორისათვის პრაქტიკაში ცნობილს და, უმეტესად კი, სხვადასხვა შრომიდან შეკრებილი სხვადასხვაგვარი სახელოსნო ხერხისა და რეცეპტის აღწერას.⁷⁵ ტრაქტატი შედგება 20 თავისაგან, რომლებშიც განხილულია მეცნიერება ალქიმის შესახებ, ძვირფასი ქვების,

⁶⁸ მ. რაიაჰი. პიშაგანგ-ე ფარსი დარ დიარ რუმ, გვ. 620.

⁶⁹ იქვე, გვ. 620–621.

⁷⁰ ჰაჯი ხალიფა. *ქაშუ აზ-ზუნუნ*, ტ. II, გვ. 1379.

⁷¹ მ. რაიაჰი. პიშაგანგ-ე ფარსი დარ დიარ რუმ, გვ. 623.

⁷² C. Brockelmann. *Geschichte der arabischen Literatur*. Supplementbänd, I, Leiden, 1937, გვ. 893.

⁷³ მ. რაიაჰი. პიშაგანგ-ე ფარსი დარ დიარ რუმ, გვ. 623–624.

⁷⁴ Г. П. Михалевич. *Введение...*, გვ. 18–49.

⁷⁵ იქვე.

ბროლის, ემალისა და ჭიქურების სხვადასხვა ფერად შეღებვის, ძვირფასი ქვების გაპრიანების, მახვილის პირებისა და ყოველგვარი იარაღის გამონრთობის, საღებავთა, ტუშისა და მელანის შერევის, ქაღალდზე წარწერების ამოშლის, ყოველგვარი წარწერის გამჟღავნების, ტილოს გარეცხვის, ტანსაცმლიდან ლაქების ამოყვანის ხერხები და სხვა საკითხები.⁷⁶ ტრაქტატის სახელოსნო-ყოფითი ხასიათი, მისი მრავალფეროვანი შინაარსი და მარტივი ენა მიუთითებს, რომ ის გამიზნული იყო განათლებულ ადამიანთა ფართო წრისა და ქალაქის ხელოსნებისათვის. ჰუბაიშ ათ-თიფლისის ეს ტრაქტატი 1957 წ. გამოსცა ი. აფშარმა სტამბოლის აია-სოფიას მეჩეთის ნიგონსაცავისა და თეირანის ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელნაწერების საფუძველზე.⁷⁷ მისი რუსული თარგმანი ვრცელი შესავალი წერილითა და კომენტარებით ეკუთვნის გ.პ. მიხალევიჩს.⁷⁸

ფილოლოგიური ნაშრომები.

1. *კანუნ-ე ადაბ* („განათლების წესი“) – ფუნდამენტური ლექსიკოგრაფიული ნაშრომი, არაბულ-სპარსული ლექსიკონი, რომელიც ჰუბაიშმა დაასრულა 545/1150 წ. და მიუძღვნა სულთან კილიჩ-არსლანს.⁷⁹ ჰაჯი ხალიფა მას უწოდებს ძვირფას ნიგონს, რომელსაც არ მოეპოვებოდა ბადალი სიზუსტესა და სრულყოფაში.⁸⁰ *კანუნ-ე ადაბ* XVIII ს-ში ითარგმნა თურქულად. 1971-72 წლებში ის სამ ტომად გამოიცა თეირანში.⁸¹

2. *კავაფი, ქითაბ ალ-კავაფი* („რიტმები“, „რიტმების ნიგნი“) – სპარსულ ენაზე განმარტებული არაბული რიტმების ლექსიკონი. ცნობილია სხვა სათაურებითაც: *თარჯუმან-ე კავაფი* („რიტმების განმარტება“), ან *ქითაბ ბაიდან ალ-კავაფია* („რიტმების ახსნათა ნიგნი“). ეს ნაშრომი, რომელიც მიუძღვნა კილიჩ-არსლანსა და მის ვაჟს – კუტბ ად-დინს,⁸² გამიზნული იყო პოეზიის მოყვარულთათვის, დამწყებ პოეტთათვის, მათთვის, ვისაც სურდა

⁷⁶ Хубайш Тифлиси. *Описание ремесел*, გვ. 65-66.

⁷⁷ ბაიდან ას-სანა'ათ ბე თასჰიჰ ვა მუკადდამა-იე ირაჯ-ე აფშარ. – *ფარხანგ-ე ირან-ზამინ*, თეჰრან, ტ. V, №4, 1336/1957, გვ. 279-457. იხ. ო. ვილჩევსკის რეცენზია: *Абу-л-Фазл Хобейш Ибрагим Тифлиси. Биян ас-сана'ат* (описание технологии). – *СЭ*, 1959, №2, გვ. 180-182.

⁷⁸ Хубайш Тифлиси. *Описание ремесел...*

⁷⁹ Г. П. Михалевич. *Введение...*, გვ. 42.

⁸⁰ ჰაჯი ხალიფა. *ქაშფ აზ-ზუნუნ*, ტ. II, გვ. 1310.

⁸¹ ჰუბაიშ იბნ იბრაჰიმ თიფლისი. *კანუნ-ე ადაბ*. ბე ეჰთემამ-ე დულამ-რეზა ტაჰერ, ტ. 1-3, თეჰრან, 1350-51. ამ ნაშრომის შესახებ იხ: Г. Г. Зарин заде. Об арабско-персидском словаре Хубейша Тифлиси “Канун ал-адаб”. – *Вторая всесоюзная конференция семитологов*, 14-18 июня, 1968. შდრ. *ЭВ*, 1971, XX, გვ. 109.

⁸² Г. П. Михалевич. *Введение*, გვ. 44.

გასცნობოდა ძნელსა და იშვიათ არაბულ რითმებს.⁸³ თხზულება გამოუცემელია. არსებობს მისი მრავალი ნუსხა.

3. *ვუჯუჰ-ე კურ'ან* („ყურანის მნიშვნელობები“) – ყურანის ლექსიკის განმარტება სპარსულ ენაზე. დაინერა 558/1162-63 წ. კონიაში,⁸⁴ გამოიცა თეირანში 1961 წ. სტამბოლის სულაიმანიის ბიბლიოთეკის უნიკალური ხელნაწერის მიხედვით.⁸⁵

4. *ჯავამი' ალ-ბაიდან დარ თარჯუმან-ე კურ'ან* („ყურანის თარგმანის განმარტებათა კრებულები“) – ლექსიკონი-ცნობარი სპარსულ ენაზე, რომელიც განმარტავს ყურანის ლექსიკურ და სტილისტურ თავისებურებებს.⁸⁶ გამოუცემელია. მისი ერთადერთი ნუსხა დაცულია თეირანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.⁸⁷

5. *ბაიდან ათ-თასრიფ* („უღლების განმარტება“). ჩვენამდე არ მოაღწია. მოხსენიებულია *კანუნ-ე ადაბისა და ვუჯუჰ-ე კურ'ანის* შესავალში.⁸⁸

6. *თალხის 'ალალ ალ-კურ'ან* („ყურანის შემოკლებული განმარტება“). ჩვენამდე არ მოაღწია. დასახელებულია *ბაიდან ას-სანა'ათის* შესავალში.⁸⁹ მას იხსენიებს ჰაჯი ხალიფაც.⁹⁰

სამედიცინო ნაშრომები:

1. *თაკვიმ ალ-ადვიდა* („წამალთა ცნობარი“) ფარმაცოლოგიური ნაშრომი არაბულ ენაზე, რომელიც დაინერა XII ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში. მისი პირველი ნაწილი წარმოადგენს სამკურნალო ნივთიერებათა სახელების ცხრილებს არაბულ, სპარსულ, ბერძნულ, ლათინურ და სირიულ ენებზე. სულ აღწერილია 734 დასახელების წამალი. მეორე ნაწილში ახსნილია ამ წამალთა შედგენილობა და მათი სამკურნალო თვისებები.⁹¹ არსებობს ამ თხზულების მრავალი ნუსხა. *თაკვიმ ალ-ადვიდას* („წამალთა დაყოფა“) სახელწოდებით ამ თხზულების არასრული ხელნაწერი ინახება მოსულში, იბრაჰიმ ჩელები 'ატ-ტარის კერძო კოლექციაში.⁹² *თაკვიმის* სპარსული თარგმანი *ადვიდე-იე მუ-*

⁸³ იქვე, გვ. 45.

⁸⁴ იქვე.

⁸⁵ აბუ ლ-ფაზლ ჰუბაიბ იბნ იბრაჰიმ თიფლისი. *ვუჯუჰ-ე კურ'ან* ბე-სა'ი ვა ეჰთემამ-ე მაჰდი მუჰაკკიკ, თეჰრან, 1340/1961.

⁸⁶ П. Михалевич. *Введение..*, გვ. 45.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ იქვე.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ ჰაჯი ხალიფა. *ქაშფ აბ-ზუნუნ*. ტ. I, გვ. 479.

⁹¹ П. Михалевич. *Введение..*, გვ. 41

⁹² იქვე.

ფარრიდა ვა მურაქქაბა დაცულია თეირანის მეჯლისის ბიბლიოთეკაში.⁹³

2. მაჯმუ 'ათ რასა'ილ ტიბბია („სამედიცინო ტრაქტატების კრებული“). ეს კრებული, რომლის ერთადერთი ნუსხა დაცულია პრინსტონის უნივერსიტეტში, შეიცავს ცხრა სამედიცინო ტრაქტატს:

– თაკდიმ ალ-'ილაჯ ვა თაკდირათ ალ-მინჰაჯ („მკურნალობის შესავალი და მეთოდის განსაზღვრებები“) – მედიცინის საფუძვლების შესახებ.

– ავდიმათ ალ-ადვიმა („ნაკადულები წამლებისა“) – წამლების შედგენილობის, მომზადებისა და გამოყენების შესახებ.

– რუმუზ ალ-მინჰაჯ ვა ქუნუზ ალ-'ილაჯ („ნიშნები მეთოდისა და საგანძურები მკურნალობისა“) – სნეულებათა სახელწოდებების, მათი სიმპტომების, წამალთა რეცეპტებისა და გამოყენების ცხრილები.

– არ-რისალა ალ-მუთა'არაფა ბი-ასმა'იჰა ალ-მუთარადაფა („სინონიმთა აღიარებული ტრაქტატი“) – სამედიცინო ლექსიკონი.

– ლუბაბ ალ-ასბაბ („მიზეზთა არსი“) – სნეულებათა განსაზღვრის, მათი მიზეზების, სიმპტომებისა და მკურნალობის შესახებ.

– შარჰ ბა'დ მასა'ილ მუნთაჰაბა მინ ქითაბ კანუნ – [იბნ სინას] კანუნიდან ამოკრეფილი ზოგიერთი საკითხის განმარტება.

– თაჰსილ ას-საჰჰა ბი-ლ-ასბაბ ას-სითთა („ექვსი საშუალებით გამოჯანმრთელება“) – ექვსი ძირითადი პირობის შესახებ, რომლებიც აუცილებელია ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

– რისალა ფი მა აათა 'ალლაკუ ბი ლ-ა'ზიმა ალ-მუტლაკა ვა ლ-დავა'იმა („ტრაქტატი იმის შესახებ, რაც უკავშირდება იდეალურ საკვებსა და წამლებს“), დიეტის შესახებ.

– იხთისარ ფუსულ ბუკრატ („ჰიპოკრატეს თავების შემოკლება“),⁹⁴ ერთი ტრაქტატი კრებულიდან თაჰსილ ას-სიჰჰა, რომელიც ოთხი ნაწილისგან შედგება, დაცულია დამასკოს აზ-ზაჰირიას ეროვნულ ბიბლიოთეკაში.⁹⁵ მისი პირველი ნაწილი 1914 წ. დაიბეჭდა დამასკოში.⁹⁶

4. ბაიდან ატ-ტიბბ („მედიცინის აღწერა“). გამოცემულია მისი ნუსხა, რომელიც დაცულია თეირანის სიჰაჰსალარის მადრასას ბიბლიოთეკაში.⁹⁷

⁹³ იქვე.

⁹⁴ Ph. K. Hitti. N. Faris. B. Abd al-Malik. *Descriptive Catalogue of the Garret Collection of Arabic Manuscripts in the Princeton University Library*. Princeton University Press, 1938, გვ. 347, №1108.

⁹⁵ ფიჰრის ალ-მასტუტათ დარ ალ-ქუთუბ აზ-ზაჰირიია. ალ-'ულუმ ვა ლ-ფუნუნ ალ-მუხთალიფა 'ინდა ალ-'არაბ. ვადა'ა მ. ს. ას-საბბა', დიმაშკ, 1980, გვ. 11.

⁹⁶ ათ-თიფლისი. თაჰსილ ას-სიჰჰა ბი-ასბაბ ას-სითთა, ალ-ჯუზ' ალ-ავვალ მა'ა ლ-ჯადვალ, დიმაშკ, 1333/1914.

⁹⁷ Г. П. Михалевич. *Введение...*, გვ. 41.

5. ნაზმ ას-სულუქ („ქცევის წესი“) – მარტივ წამალთა ლექსიკონი. გამო-
უცემელია. ამ ნაშრომის ნუსხა დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში.⁹⁸

6. სიჰჰათ ალ-აბდან („სხეულის სიჯანსაღე“). ამ ნაშრომმა ჩვენამდე ვერ
მოაღწია. მოხსენიებულია ჰუბაიმ ათ-თიფლისის *ქამილ ათ-თა* ‘ბირის შესა-
ვალში.⁹⁹

7. უსათაურო სამედიცინო ნაშრომი არაბულ ენაზე ებრაული ანბანით.
მ. ი. ულმანი მას ასახელებს ბოდლეს ბიბლიოთეკის აღმოსავლური ხელნა-
წერების კოლექციაში.¹⁰⁰ ნაშრომი შედგება 15 ნაწილისაგან: ტემპერატურ-
რა, ავადმყოფობათა მიმდინარეობა და კრიზისები, სისხლის გამოშვება,
განტვირთვა საფალარათო საშუალებებით, გულისრევა, ქირურგია, ქალთა
სნეულებები, ჰიგიენა, ფიზიკური ვარჯიშები, ბალნეოლოგია, საჭმელები და
სასმელები, ჯანმრთელობის შესანარჩუნებელი საშუალებები, საშუალებე-
ბი, რომლებიც თვითონ იქმნება, განსხვავებები მრავალგვარი სნეულებისა,
შესანიშნავი ბუნებრივი ნივთიერებები.

ასტრონომიული, ასტროლოგიური და სხვა ნაშრომები:

1. ბაიდან ან-ნუჯუმ („მნათობთა აღწერილობა“) – სპარსულ ენაზე. გან-
მარტავს ვარსკლავთა და ციურ მნათობთა მოძრაობას, ეხება ასტროლაბებს
და მათ მონყობილობას.¹⁰¹ ამ თხზულების ნუსხა დაცული იყო ირანელი ფი-
ლოლოგისა და პოეტის მ. ბაჰარის კერძო ბიბლიოთეკაში. თავის „სტილის-
ტიკაში“ მან გამოაქვეყნა თავი ასტროლაბების შესახებ ამ ტრაქტატიდან.¹⁰²

2. *მადხალ ილა* ‘ილმ ან-ნუჯუმ („მნათობთა მეცნიერების შესავალი“) –
ასტრონომიული თხზულება სპარსულ ენაზე. გამოუცემელია. ამ ნაშრომის
ნუსხა დაცულია სტამბოლში ნურ-ი ოსმანიეს კერძო ბიბლიოთეკაში.¹⁰³

3. *მალჰამათ ად-დანიალ* („დანიელის წინასწარმეტყველებანი“) – ას-
ტროლოგიური ტრაქტატი, რომელშიც, ასტრონომიული და ასტროლოგიუ-
რი მოვლენების საფუძველზე, ჩამოთვლილია წინასწარმეტყველების ხერ-
ხები. მიედღვნა კილიჩ-არსლან II-ს. ბრიტანეთის მუზეუმის კატალოგში ის
შეტანილია *უსულ ალ-მალაჰიმის* („წინასწარმეტყველებათა საფუძველები“)
სახელწოდებით.¹⁰⁴ დაცულია ამ თხზულების მრავალი ნუსხა სპარსულად და

⁹⁸ იქვე, გვ. 42.

⁹⁹ იქვე, გვ. 41.

¹⁰⁰ M. Ulmann. Die Medizin im Islam. – *Handbuch der Orientalistik*, Bd. VI. Leiden-Köln, 1970, გვ. 169.

¹⁰¹ Г. П. Михалевич. *Введение...*, გვ. 46.

¹⁰² მ.-თ. ბაჰარ. *საბქშენასი ია თარიხ-ე თატავეურ-ე ნასრ-ე ფარსი*, 1-3, თეჰრან, 1321-1327.

¹⁰³ Г. П. Михалевич. *Введение...*, გვ. 46.

¹⁰⁴ Ch. Rieu. *Catalogue of the Persian Manuscripts in the British Museum*, vol. II, 1881, გვ. 512.

ერთიც არაბულად – ჰალაბის (სირია) არაბული მეცნიერების ინსტიტუტში.¹⁰⁵ გამოიცა ლითოგრაფიული წესით თეირანში 1925 წ.¹⁰⁶

4. *ქამილ ათ-თა'ბირ* („სრულყოფილი განმარტება“) – ტრაქტატი სიზმრების ახსნა-განმარტების შესახებ სპარსულ ენაზე, რომელიც მიეძღვნა კილიჩ-არსლან II-ს. დაცულია მისი მრავალი ნუსხა.¹⁰⁷ გამოიცა თეირანში, 1969 წ.¹⁰⁸

არ შემონახულა ჰუბაემ ათ-თიფლისის კიდევ სამი ნაშრომი *სამარ აღ-მასა'ილ* („საკითხთა შედეგები“), *ქამილ ათ-თადბირ* („სრულყოფა მართვისა“) და *კანუნ აღ-ლუბაბ* („სიბრძნის წესი“),¹⁰⁹ რომელთა შინაარსზეც მსჯელობის საშუალება არ გვაქვს.

ჰუბაემ ათ-თიფლისი, რომელიც ფლობდა არაბულ, სპარსულ, ბერძნულ, ლათინურსა და სირიულ ენებს, როგორც ვნახეთ, ძირითადად წერდა არაბულად და სპარსულად. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ჰუბაემის პიროვნება უაღრესად საყურადღებოა, როგორც სპარსული ენის პიონერისა რუმის სელჩუკთა სახელმწიფოში. მ. რაიაჰი წერს, რომ მან „შეიტანა და განავრცო სპარსული ენა რუმში, ნარუძღვა სპარსული ენის ქარავანს ამ ქვეყნის ცენტრებში“.¹¹⁰ სპარსულად შედგენილ მის თხზულებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ საერთოდ ირანული კულტურის ისტორიისა, და კერძოდ კი, სპარსული ენის ისტორიის შესასწავლად.¹¹¹ მართალია, უმეტესწილად ისინი კომპილაციურია, მაგრამ ეს გარემოება არ ამცირებს მათ ღირსებებს, რადგანაც მის მიერ დასახელებულ წყაროთა უმრავლესობას არ მოუღწევია ჩვენამდე.¹¹²

22. აბუ ისჰაკ იბრაჰიმ იბნ ჰუმაიდ იბნ აჰმად ათ-თიფლისი ას-სუფი – მუჰადდისი, სუფი შეიხი, ვაჭარი. აღ-მუნზირის (გარდ. 1258 წ.) ცნობით, დაიბადა თბილისში 532/1137-38 ან 533/1138-39 წწ. სწავლობდა ალექსანდრიაში ცნობილ შაფიიტ მუჰადდისთან აბუ ტაჰირ აჰმად იბნ მუ-

¹⁰⁵ M. Kamal. *Catalog of Manuscripts*. University of Aleppo, 1400/1980, გვ. 154.

¹⁰⁶ Г. П. Михалевич. *Введение...*, გვ. 49.

¹⁰⁷ იქვე.

¹⁰⁸ ჰუბაემ იბნ იბრაჰიმ თიფლისი. *ქამილ ათ-თა'ბირ* ბე თასჰიჰ-ე მუჰამმად ჰუსაინ რუქნზად-ე ადამიდათ. თეჰრან, 1348/1969. ჰუბაემის ამ ნაშრომს მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო N. Bland-მა: *On the Mohammadan Science of Ta'bir, or the Interpretation of Dreams*. – *JRAS*, 1856, t. XVI, გვ. 118-171.

¹⁰⁹ მ. რაიაჰი. პიშაგანგ-ე ფარსი დარ დიარ რუმ, გვ. 624.

¹¹⁰ იქვე.

¹¹¹ იქვე.

¹¹² იქვე.

ჰამმად ალ-ისბაჰანი ას-სალაფისტან¹¹³ (გარდ. 576/1180-81 წ.) და შემდეგ თავადაც გადასცემდა ჰადისებს. გარდაიცვალა კაიროში 618 წლის 13 ზულკადას (1221 წ. 9 თებერვალი) და დაკრძალეს მუკატტამის მთის კალთაზე.¹¹⁴

23. აბუ ლ-ჰასიმ 'აბდ ალლაჰ (ანას) იბნ 'აბდ ალ-'აზიზ იბნ 'აბდ ალლაჰ ათ-თიფლისი ალ-მულაზალი – ფაკიჰი, მუჰადდისი, სუფი შეიხი. მის შესახებ ცნობები მოიპოვება ალ-მუნზირის, აზ-ზაჰაბის (გარდ. 1348 წ.) და ას-საფადის (გარდ. 1363 წ.) თხზულებებში.¹¹⁵ იყო თბილისიდან, სადაც დაიბადა, დაახლოებით, 1122 წ. შემდეგ დასახლდა ბაღდადში, სადაც მიიღო განათლება. აქ დაუახლოვდა ცნობილ სუფის აბუ ნაჯიბ ას-სუჰრა-ვარდის¹¹⁶ (გარდ. 1168 წ.), რომელთანაც სწავლობდა ფიკჰს (სამართალს). ჰადისებს მას ასწავლიდნენ ცნობილი მუჰადდისები აბუ ლ-მუზაფფარ ჰაბ-ბათ ალლაჰ იბნ აჰმად იბნ აშ-შიბლი (გარდ. 557/1161-62 წ.), აბუ ზურა'ა იბნ მუჰამმად იბნ ტაჰირ ალ-მუკადდასი (გარდ. 566/1170 წ.) და სხვ.¹¹⁷ 'აბდ ალ-ლაჰის ერთ-ერთი მოწაფე იყო ალ-მუნზირი. გარდაიცვალა ბაღდადში, 620 წ. 12 რაბი' ალ-ავევალს (1223 წ. 20 აპრილი) და დაკრძალეს ბაბ ალ-ჰარბთან.

24. იბნ სადიდ ათ-თიფლისი – მოხსენიებულია არაბი ავტორის 'აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის (გარდ. 1231 წ.) მიერ საქართველოში ჯალალ ად-დინის შემოსევისას (1225 წ.) დაკავშირებით. იბნ სადიდს ჯალალ ად-დინისთვის შეუვალობის პირობით (ამან) უომროდ ჩაუბარებია საქართველოს სამეფოს ერთ-ერთი ქალაქი.¹¹⁸

¹¹³ აბუ ტაჰირ...ალ-ისბაჰანი ას-სალაფი ალექსანდრიაში დასახლდა 511/1117-18 წ. 546/1151 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ასწავლიდა სპეციალურად მისთვის გახსნილ მადრასაში (იბნ ხალლიქან. *ვაფაიათ ალ-ა'იდან*. ტ. I, გვ. 105-7).

¹¹⁴ ალ-მუნზირი. *ათ-თქმილა ლი-ვაფაიათ ან-ნაკლა*. ჰაკკაკაჰუ ვა 'ალლაკა 'ალაჰი ბ. ა. მა'რუფ, ბაზრუთ, 1401/1981, ტ. III, გვ. 63, №1850.

¹¹⁵ ალ-მუნზირი, ტ. III, გვ. 97, №1925; აზ-ზაჰაბი. *ალ-მუხთასარ ალ-მუჰთაჯ ილაჰი* მინ თა'რის აბი 'აბდ ალლაჰ მუჰამმად იბნ სა'იდ იბნ მუჰამმად იბნ ად-დუბაისი. თაჰკიკ მ. ჯავევად, ტ. II, ბაღდად, 1963, გვ. 147-148 (აზ-ზაჰაბი ორჯერ იხსენიებს ამ პიროვნებას, ჯერ 'აბდ ალლაჰის, მერე კი ანასის სახელით). *Das Biographische Lexicon des Salahaddin Halil ibn Aibak as-Safadi*. Teil IX, Hrsg. von G. Van Ess. Wiesbaden, 1974, გვ. 423, №4358.

¹¹⁶ მის შესახებ იხ. Дж. С. Тримингэм. *Суфийские ордены в Исламе*. Пер. с английского под редакцией и с предисловием О. Ф. Акимушкина, М., 1989, გვ. 39.

¹¹⁷ ალ-ირბილი. *თა'რის ალ-ირბილი*. ჰაკკაკაჰუ ვა 'ალლაკა 'ალაჰი სამი იბნ ას-საიიდ ხამას ას-საკარ, ტ. I (გამოცემის ადგილისა და თარიღის გარეშე), გვ. 258-59; აბუ შამა. *თარაჯიმ არ-რიჯალ ალ-კარნან ას-სადის ვა ას-საბი' ალ-მა'რუფ ბი-ზაიდ 'ალა რ-რავე-დათაინ*. ბაზრუთ, 1974, გვ. 162; ალ-მუნზირი, ტ. III, გვ. 366-367; *Das Biographische Lexicon des Salahaddin Halil ibn Aibak as-Safadi*, Teil X. Hrsg. von A. Amara und J. Sublet, Wiesbaden, 1980, გვ. 270; იბნ თაღრი ბირდი. *ან-ნუჯუმ აზ-ზაჰირა ფი მულუქ მისრ ვა ალ-კაჰირა*. ტ. VI, ალ-კაჰირა, 1963, გვ. 286.

¹¹⁸ C. Cahen. 'Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien de son temps. - BÉO, Damas, 1970,

25. **ზაჰირ ად-დინ ათ-თიფლისი** – საქართველოში ჯალალ ად-დინის შემოსევების თანამედროვე, ცნობილი არაბი ისტორიკოსის იბნ ვასილის (გარდ. 1298 წ.) ერთ-ერთი ინფორმატორი.¹¹⁹

26. **აჰმად იბნ იბრაჰიმ ათ-თიფლისი** – ხელოსანი. მისი სახელი იკითხება 1228 წ. ქ. დივრიგში (მცირე აზია) აგებულ აჰმად შაჰის მეჩეთის (ჯამი 'კაჰირა) კათედრის წარწერაში (გააკეთა აჰმად იბნ/იბრაჰიმ ათ-თიფლისი).¹²⁰

27. **აბუ ლ-ბიკა' საბით იბნ თაჰან იბნ აჰმად ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისი** – მუჰადდისი, სუფი შეიხი, იმამი და პოეტი. ცნობები მის შესახებ შემოგვინახეს არაბმა ავტორებმა: ალ-ირბილიმ (გარდ. 1239 წ.), აბუ შამამ (გარდ. 1268 წ.), ალ-მუნზირიმ, იბნ შაქირ ალ-ქუთუბიმ (გარდ. 1363 წ.), აზ-ზაჰაბიმ, ას-საფადიმ და იბნ თალრი ბირდიმ¹²¹ (გარდ. 1470 წ.). დაიბადა 575/1179-80 წ. თბილისში.¹²² განათლება უნდა მიეღო ქ. ბაღდადში. ამაზე მიუთითებს ის, რომ ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისი გადასცემდა ჰადისებს, რომლებიც მოისმინა ცნობილ ბაღდადელ ისტორიკოსთან და მუჰადდისთან იბნ ალ-ჯაუზისთან (გარდ. 1200 წ.). ბაღდადშივე დაუახლოვდა ის სუფიური მოძღვრების ცნობილი სკოლის (ტარიკა) სუჰრავერდიას ფაქტობრივ და-

t. XXIII, გვ. 123; გ. ჯაფარიძე. ახალი არაბული წყარო XIII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. – ჟურნ. ცისკარი, 1980, №1, გვ. 137.

¹¹⁹ იბნ ვასილს მოჰყავს ზაჰირ ად-დინის ნაამბობი: „ერთ თბილისელს (მუსლიმს) უთქვამს თავისი შვილებისთვის: თუ კი ალლაჰი – მაღალიმც არს იგი – დაუპყრობს თბილისს მუსლიმებს [და ამ დროს მე ცოცხალი აღარ ვიქნები], დადექით ჩემს საფლავთან და ჩამომძახეთ: ალლაჰმა - მაღალიმც არს იგი – დააპყრობინაო თბილისი მუსლიმებს და [მართლაც], როცა დაიპყრო ჯალალ ად-დინმა [თბილისი], ამ კაცის ერთ-ერთი შვილი მივიდა მამის საფლავზე და იძახდა მის წინ ამას“ (იბნ ვასილ. *მუფარრიჯ ალ-ქურუბ ფი ახბარ ბანი აიდუბ*, ტ. IV, ბაერუთ, 1972, გვ. 18). იბნ ვასილთან დამოწმებული ეს პასაჟი, ვფიქრობთ, კარგად ასახავს XIII ს. 20-იან წლებში თბილისელ მუსლიმთა ერთი ნაწილის ანტიქართულ და ანტიქრისტიანულ განწყობილებებს, რამაც გაუადვილა ხვარაზმელებს თბილისის აღება.

¹²⁰ Répertoire chronologique d'épigraphie Arabe. Tome onzième, deuxième fascicule. Le Caire, 1942, გვ. 126, №4189; ც. კახიანი. *დმანისის არაბული წარწერები*, თბ., 1965, გვ. 13.

¹²¹ ალ-ირბილი. *თა'რის ალ-ირბილ*. ჰაკკაკაჰუ ვა 'ალლაკა 'ალაჰი სამი იბნ ას-საიდდ ხამას ას-საკარ, ტ. I (გამოცემის დგილისა და თარიღის გარეშე) გვ. 258-259. აბუ შამა. *თარაჯიმ არ-რიჯალ ალ-კარნან ას-სადის ვა ას-საბი' ალ- მა'რუფ ბი-ზაიდ 'ალა რ-რავდა-თაინ*. ბაერუთ, 1974, გვ. 162; ალ-მუნზირი, ტ. III, გვ. 366-367; Das Biographische Lexicon des Salahaddin Halil ibn Aibak as-Safadi, Teil X, Hrsg. von A. Amara und J. Sublet, Wiesbaden, 1980, გვ. 270; აზ-ზაჰაბი. *თა'რის ალ-ისლამ ვა ვაფაიდათ ალ-მაშაჰირ ვა ლ-ა'ლამ*. ჰაკკაკაჰუ ვა საჰაკაჰუ ად-დუქთურ ბაშშარ 'ავვად მა'რუფ, შაჰ შუ'აბ ალ-არნავუტი, სალიჰ მაჰდი 'აბბას. ატ-ტაბაკა არ-რაბი'ა ვა ს-სითთუნა, ჰიჯრის 611-625 წ.წ., ბაერუთ, 1988, გვ. 45, №16; იბნ თალრი ბირდი. *ან-ნუჯუმ აზ-ზაჰირა ფი მულუქ მისრ ვა ალ-კაჰირა*. ტ. VI, ალ-კაჰირა, 1963, გვ. 286.

¹²² აზ-ზაჰაბი. *თა'რის ალ-ისლამ*, გვ. 45, №16.

მაარსებელს, სახელგანთქმულ სუფის შიჰაბ ად-დინ ას-სურჰავარდის¹²³ და გახდა მისი ერთ-ერთი დიდი მიმდევარი (*მინ ქიბარ ასჰაბიჰი*). ას-სურჰავარდისი ძალზე აფასებდა ნაჯმ ად-დინს და ანდობდა მას, ჩაესწორებინა შეცდომები თავის შრომებში.¹²⁴ ბალდაღში ნაჯმ ად-დინი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. აბასიანთა ხალიფას ის ეგვიპტეში ელჩადაც კი გაუგზავნია, მაგრამ ამ მისიის თარიღი და მიზეზი ჩვენთვის უცნობია.

ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისიმ გაიარა სუფიდ მოქცევის მრავალსაფეხურიანი გზა, გახდა სუფიების შეიხი. ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ მან იცოდა სამართალი (*ფიკჰ*), რელიგიის საფუძვლები (*უსულ*), მუჰამადთან დაკავშირებული გადაცემები (*ახბარ*), ეთიკა (*სულუჟე*), არაბული ენა და გრამატიკა, პოეზია, შარიათისა და ტარიკათის მეცნიერება¹²⁵ (*‘ილმ აშ-შარი‘ა ვა ტ-ტარიკა*), ენეოდა მისტიკურ ვარჯიშებს (*რიადა*) და ზნეობრივ განმწმუნდას (*მუჯაჰადა*). იყო კალიგრაფი, წერდა საკუთარ ნაწარმოებებს და დაუწერია მრავალი ტომი (*ქათაბა ალ-აჯზა*), მათ შორის, ლექსებიც.¹²⁶ ძნელი სათქმელია, შემოინახა თუ არა მისი ლექსების დივანი. არაბული ხელნაწერების დღემდე გამოცემულ და ჩვენთვის ხელმისაწვდომ კატალოგებში ის არ შეგვხვედრია. მაგრამ ჩვენ საშუალება გვქონდა, მოგვეძია ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისის რვა ლექსი, რომლებიც შემოგვინახეს მისმა ბიოგრაფებმა. ოთხი მათგანი დაცულია იბნ შაქირ ალ-ქუთუბისა და ას-საფადის¹²⁷ ბიოგრაფიული ჟანრის თხზულებებში და მომდინარეობს ნაჯმ ად-დინის უმცროსი თანამედროვის შიჰაბ ად-დინ ალ-კუსის (გარდ. 1255 წ.) ოთხტომიანი ლექსიკონიდან *თაჯ ალ-მა‘არიფ* („ლექსიკონთა გვირგვინი“¹²⁸). ვიდრე ამ ლექსების თარგმანებს:

¹²³ შიჰაბ ად-დინ ას-სურჰავარდის შესახებ იხ. Дж. С. Тримингэм. დასახ. ნაშრ. გვ. 39-40; A History of Muslim Philosophy. Ed. and introduced by M. M. Sharif. Wiesbaden, 1963, გვ. 353-372.

¹²⁴ ამდენად, ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისი შეიძლება ჩავთვალოთ რედაქტორადაც შიჰაბ ად-დინ ას-სურჰავარდის ცნობილი ნაშრომებისა: *‘ავარიფ ალ-მა‘არიფ*, *ჯაზბ ალ-კულუბ ფი მუვასალათ ალ-მაჰბუბ* და *ნულბათ ალ-ბაიდან ფი თაფსირ ალ-კურ‘ან*.

¹²⁵ სუფიზმში შარი‘ათი და ტარიკათი მისტიკური „გზის“ პირველი და მეორე ეტაპებია. იხ. Дж. С. Тримингэм. დასახ. ნაშრ., გვ. 298, 302.

¹²⁶ ეს ლექსები და ნარკვევი ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისის შესახებ პირველად დავბეჭდეთ არაბულ ენაზე დამასკოს არაბული ენის აკადემიის ჟურნალში 1983 წ. ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისი. შა‘ირ სუფი მინ ალ-კარნ ას-საბი‘ ალ-ჰიჯრი. – *მაჯალლა მაჯმა‘ ალ-ლულა ალ-‘არაბია ბი-დიმაჰე, დიმაჰე*, 1403/1983, ტ. 58/IV, გვ. 795-804. მოკლედ იმავე საკითხზე იხ. ჩვენი წერილი „სირიული ჩანახატები“. – *გაზ. ლს*, 9. VIII. 1985.

¹²⁷ ამ ავტორთა შრომები დასახელებულია ზემოთ, იხ. სქოლიო №121.

¹²⁸ ალ-კუსის ეს ლექსიკონი, რომელშიც მოხსენიებული იყო ავტორისათვის ცნობილი მუჰადდისები, რამდენდაც ვიცით, არ შემონახულა. ალ-კუსის შესახებ იხ. ალ-ადფავი. *ალ-ჯამი‘ ალ-ასმა‘ ალ-ფუდალა‘ ვა არ-რუვათ*. მისრ, 1966, გვ. 157.



ის სიმდიდრეა ყველაზე ცუდი,
თვით რომ არ იცი, როგორ მოიგე,
შეცოდე მაშინ, როცა აილე,
მისი დახარჯვით ვერ იხეირე.¹²⁹



თუ ჩემი გული ნუგეშის შუქს დალანდავს შენში,
ვნება მაშინვე წააქეზებს შენი ტრფობისკენ,
მაგრამ თუ დაცდა სამდურავი, მიუგებს ვნება,
ნუმცა ყოფილა ის მიჯნური, ვინც ინუნუნა.¹³⁰



დღეს არვინ იცის, როგორ მოდის სარჩო დღიური,
არამს და ალალს ერთურთისგან ველარ ვასხვავებთ,
მაგრამ ხელი ხომ ზოგს მოკლე აქვს და ზოგს – გრძელი,
ერთს დიდი ლუკმა ხვდება წილად, მეორეს – მცირე.¹³¹



გამოიყენე შენი დღე რადგან,
ის მარტოოდენ არის სტუმარი,
დღეს მოიხვეჭე, რაც ძალგის იგი,
დრო გაიელვებს ვითა მახვილი.
წამები ამ დღის არ დაგეკარგოს,
მათი დაკარგვა ცოდვა იქნება,
დაეხსენ მერმისს, ფიქრს მომავალზე,
სად რა იქნება, როგორ იქნება.¹³²

ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისის ეს უკანასკნელი ლექსი კარგად გამოხატავს სუფი პოეტის დამოკიდებულებას ამ ცხოვრებისადმი. ე. ბერტელსის თანახმად, სუფიურ წრეებში გავრცელებული იყო გამოთქმა: „სუფი თავისი დროის შვილია“ (ას-სუფი იბნ ვაკთიჰი). ეს იმას ნიშნავს, რომ სუფი მხოლოდ ამ მიმდინარე წამით ცხოვრობს, რადგანაც განვლილი უკვე აღარ არსებობს, ხოლო მომავალი კი ჯერ არ დამდგარა და ასევე რეალურად ჯერ არ არსებობს.¹³³

ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისის კიდევ ოთხი ლექსი, რომლებიც აღ-ირბი-

¹²⁹ ლექსი დაწერილია რამალის პოეტური ზომით.

¹³⁰ ლექსი დაწერილია ქამილის პოეტური ზომით.

¹³¹ დაწერილია სარი'ის პოეტური ზომით.

¹³² დაწერილია რამალის პოეტური ზომით.

¹³³ Е. Э. Бертельс. *Избранные труды. Суфизм и суфийская литература*. М., 1965, გვ. 37.

ლის პირადად მოუსმენია პოეტისგან, შეტანილია ამ ავტორის „ირბილის ისტორიაში“.¹³⁴ ერთი მათგანი ნაჯმ ად-დინს 1215 წ. აგვისტოში დაუწერია ცნობილი სუფი აბუ ტალიბ ალ-მაქქის (გარდ. 996 წ.) წიგნზე *კუთ ალ-კულუბ ფი მუ‘ამალათ ალ-მაჰზუბ* („გულთა საზრდო სატრფოსთან ურთიერთობაში“) და წარმოადგენს ამ ნაწარმოების ხოტბას. მეორე გამოსატყვევებს პოეტის დამოკიდებულებას ჰადისებისადმი. წარმოვადგენთ მხოლოდ დანარჩენი ორი ლექსის თარგმანს:

●

ზოგიერთები წყნარად რჩევას რომ იძლევიან,
ამ დროს ურჯუკნი და სასტიკნი არიან თავად,
მათი გულები ძილს მისცემიან,
მხოლოდ ენები ფხიზლობენ მარად.¹³⁵

●

ჰოი, მსახვრალო სიცოცხლის. დღიდან შექმნისა,
ნუ აჩქარდები, რაც ინგრევა, ხომ ისედაც წავა, გაქრება,
სანუთრო დახრილ შენობას ჰგავს და
განა სადამდე უნდა გაძლოს დაქანებულმა?
მაინც მოკვდები. სვესვიანად იცხოვრე, თუნდა
ბოლო ერთია, ამ ქვეყნიდან წარმავალი ხარ.¹³⁶

ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისიმ სიცოცხლის ბოლო პერიოდი დამასკოში გაატარა. აქ ის იყო ალ-ასადიას ხანაკას შეიხი და ერთ-ერთი მეჩეთის იმამი. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან თავისი ბიბლიოთეკა დამასკოს *სუმაი-სათიას* ხანაკას¹³⁷ უანდერძა. გარდაიცვალა 631 წ. 7 ჯუმადა I-ს/1234 წლის 8 თებერვალს და მეორე დღეს დაკრძალეს დამასკოს სუფიების სასაფლაოზე.

28. აბუ ‘აზლ ალლაჰ მუჰამად იბნ საბით იბნ თაჰან ათ-თიფლისი – ვაჟი ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისისა (№27). იხსენიება საჯარო ლექციების მსმენელად (*ალ-მუსთამი‘*) 631 წ. ალ-მუჰარრამს/1233 წ. ივლისში დამასკოს [ომაიანთა] მეჩეთში და 634 წ. 16 საფარს/1236 წ. 19 ოქტომბერს დამასკოს ციხის აბუ დურადას მეჩეთში დამასკოს ლექტორებისა და აუდიტორიის შესახებ ცნობებში.¹³⁸ ასეთი საჯარო ლექციები ფართოდ

¹³⁴ ალ-ირბილი. თა ‘რიხ ალ-ირბილ, გვ. 258-259.

¹³⁵ ლექსი დანერვილია მუდარი‘ის პოეტური ზომით.

¹³⁶ დანერვილია ქამილის პოეტური ზომით.

¹³⁷ სუფიების ამ ხანაკას შესახებ იხ. Ибн Джубайр. *Путешествие*. Пер. с арабского, вступительная статья и примечания Л. А. Семеново́й, М., 1964, გვ. 208-209.

¹³⁸ S. Leder. Y. M. al-Sawwās. M.al-Şāğarġī. *Mu‘ğam al-Samā’āt al-Dimašqīyya*. Les certificats d’audition à Damas, 550-750H./1155-1349. Damas, 1996, გვ.117.

გავრცელდა დამასკოში დაახლოებით XII ს-ის შუა ხანებიდან, ისეთ საკითხებზე, როგორებიც იყო ჰადისები, ფიკჰი და სხვ. ლექციებს ესწრებოდნენ ექსპერტები, სტუდენტები და, აგრეთვე, ჩვეულებრივი ხალხი. დასწრება სანდო ექსპერტისა, რომელსაც შეეძლო წაეკითხა ლექცია ან გაეკონტროლებინა მისი სიზუსტე, განიხილებოდა როგორც გარანტია გადმოცემების (ჰადისების) სიზუსტისა და სანდოობისთვის. ცნობები ამ ლექციების შესახებ დაცულია დამასკოს აზ-ზაჰირიას ბიბლიოთეკის ხელნაწერთა კოლექციაში. ლექციებზე დამსწრეთა და მონაწილეთა სახელები დასახელებულია წაკითხული ტექსტის არშიებზე ანდა ცალკე ფურცლებზე.¹³⁹

29. ‘უშარ იზნ აჰმად შამს ალ-დინ ათ-თიფლისი – თბილისელი ვაჭრის შვილი, თავადაც ვაჭარი და პოეტი. რუმის სელჯუკთა სახელმწიფოში, ქ. სივასში სავაჭროდ ყოფნის დროს შეხვდა ცნობილ ირანელ მისტიკოსს ავჰად ალ-დინ ქირმანის¹⁴⁰ (გარდ. 1238 წ.), მიატოვა თავისი საქმეები და გახდა მისი ერთ-ერთი უახლოესი მიმდევარი.¹⁴¹

როგორც ზემოთ ვნახეთ, ათ-თიფლისის ნისბას არა ერთი სუფი ატარებდა. მათი ცხოვრება დაკავშირებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან (ბაღდადი, დამასკო, კაირო, ალექსანდრია). ამასთან, როგორც ჩანს, სუფიზმის გავრცელებისათვის თბილისშიც არსებობდა ხელსაყრელი პირობები. საამისოდ ცნობა პირველად დავით აღმაშენებლის დროს გვაქვს. სიბტ იზნ ალ-ჯაუზის თანახმად, თბილისის ალების შემდეგ მეფეს აქ აუშენებია „ქარვასვლები სტუმართათვის და სახლები მქადაგებლებისათვის, **სუფიებისა** (ხაზი ჩვენია – გ.ჯ.) და პოეტებისათვის“.¹⁴² ამ მხრივ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ავჰად ალ-დინ ქირმანის კიდევ ერთი მიმდევარი, გამოჩენილი მეცნიერი ფაზრ ალ-დინ ალ-ხილატი.¹⁴³

30. ბადრ-ი თიფლისი.

31. სადჟ ალ-დინ ჰარუნ თიფლისი.

¹³⁹ იქვე.

¹⁴⁰ მის შესახებ იხ. B. M. Weischer. Auhaduddin Kirmani und seine Vierzeiler. – *Der Islam*, Bd. 1979, 56/1, გვ. 130-34. მისივე. Awhad al-din... al-Kirmani. – *EP*, vol. V, გვ. 163-164.

¹⁴¹ Manaqeb-e Owhad al-Din Hamed ibn-e Abi-Alfakhri Kermani. Persian Text from the VII Century A. H. Ed. by B. Forozanfar. Tehran, 1963, გვ. 49, 50-51, 135-136. აქვე (გვ. 44) მოტანილია ავჰად ალ-დინისადმი მიძღვნილი შამს ალ-დინის რობაიები. აღნიშნული ნაშრომი მოგვანოდა პროფ. მ. თოდუამ.

¹⁴² ო. ცქიტიშვილი. სიბტ იზნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. – *ოსუ შრომები*, 1967, ტ. 118, გვ. 205.

¹⁴³ გ. ჯაფარიძე. XIII საუკუნის თბილელი მეცნიერი მარაღის ოხსერვატორიაში. – *მაცნე* (იანვის), 1984, №2, გვ. 99-110.

32. კადი თიფლისი.

33. ქამალ თიფლისი.

34. ლატიფ თიფლისი.¹⁴⁴

35. **ალ-მუხარაქ იბნ მუჰამად იბნ ‘ალი ალ-მუსაჰი ათ-თიფლისი** – შაფიიტი ფაკიჰი (სამართლისმცოდნე). ას-სუბქის (გარდ. 1370 წ.) თანახმად, მას შეუდგენია წიგნი ფიკჰის შესახებ ორ ნაწილად, რომელიც დაასრულა 644 წ. რაბი‘ II-ის თვეში¹⁴⁵ (1246 წ. აგვისტო-სექტემბერი).

36. **აჰმად იბნ ‘ალი იბნ დუსუფ იბნ ‘უმარ ათ-თიფლისი** – გადამწერი (ნასსახ). 650 წ. 18 საფარს/1250 წ. 30 ივლისს მას დაუსრულებია გადამწერა ‘აბდ ალლაჰ იბნ ალ-ჰუსაინ ალ-აქბარი ალ-ბაღდადის (გარდ. 1219 წ.) თხზულებისა ათ-თაბაიდან ფი ი‘რაბ ალ-კურ‘ან (‘ყურანის ნაკითხვის განმარტება’).¹⁴⁶

37. **მუჰამად იბნ ხაჰრამ იბნ ია‘კუბ ან-სამმან ათ-თიფლისი** – იხსენიება როგორც მსმენელი საჯარო ლექციებისა 664 წ. რაბი‘ II-სა და ზუ ლ-ჰიჯჯას თვეებში/1266 წ. იანვარსა და სექტემბერში აშ-შაჰიდის მადრასაში და კასიუნის მთის ძირში კერძო პირის სახლში.¹⁴⁷

38. **‘აბდ ალლაჰ იბნ ‘აბდ ალლაჰ ათ-თიფლისი** – იხსენიება 669 წ. 22 რამადანს/1270 წ. 4 მაისს საჯარო ლექციის მსმენელად ალ-მალიქ ან-ნასირის რიბატიში.¹⁴⁸

39. **აიდამურ იბნ ‘აბდ ალლაჰ ‘იზ ალ-დინ ან-სალიჰი ათ-თიფლისი** – იხსენიება 671 წ. რაბი‘ II-ის თვის პირველ ათეულში/1272 წ. 4 ნოემბერს დამასკოს გარეთ ‘იზ ალ-დინ აიბექის მადრასაში საჯარო ლექციის მსმენელად.¹⁴⁹

40. **აბუ ლ-ფათჰ ‘უმარ იბნ ხუნდარ იბნ ‘ალი ქამალ ალ-დინ ათ-თიფლისი** – შაფიიტი ფაკიჰი, ყადი. მის შესახებ ცნობებს გვანჯღი-

¹⁴⁴ ზემოხსენებული ხუთი პიროვნება (№30-34) დასახელებულია ჯალალ ალ-დინ ხალილ შირვანის ნაშრომში *ნუსხათ ალ-მაჯალის*, ჰიჯრის VII/XIII ს-ის პოეტთა შორის. ცნობა ამის თაობაზე ს. ნაფისის წიგნიდან *თა‘რიხ ნა ზმ ვა ნასრ დარ ირან ვა დარ ზამან ფარისი* (ტ. I, თეჰრან, 1344/1965, გვ. 177-179) მოგვანოდა ბ-ნმა გ. ბერაქემ.

¹⁴⁵ ას-სუბქი. *ტაბაკათ აშ-შაფი‘ია ალ-ქუბრა*, ტ. VIII, ალ-კაჰირა, 1971, გვ. 355, №1249; უ. რ. ქაჰჰალა. *მუ‘ჯამ ალ-მუ‘ალიფინა*. ტ. 13, დიმაჰკ, 1961, გვ. 415.

¹⁴⁶ ‘აბდ ალლაჰ ჯაბბურ. *ფიჰრის ალ-მახტუტათ ალ-‘არაბია ფი მაქთაბა ავკაფ ალ-‘ამა ფი ბაღდად*, I (ალ-კურ‘ან ვა ‘ულუმიჰი, ალ-ჰადის ვა ‘ულუმიჰი, ფიკჰ), ბაღდად, 1973, გვ. 57-58. აღნიშნული თხზულების ნუსხა შედიოდა იმ ხელნაწერთა კოლექციაში, რომელიც ეკუთვნოდა წარმოშობით ქართველ ერყის მამლუქ გამგებელ დაუდ-ფაშას (1817-1831).

¹⁴⁷ S. Leder. Y. M. al-Sawwās. M.al-Şāğarġī. დასახ. ნაშრ., გვ. 123.

¹⁴⁸ იქვე, გვ. 34.

¹⁴⁹ იქვე, გვ. 63.

ან სიბტ იბნ ალ-ჯაუზი (გარდ. 1256 წ.), აბუ შამა, ალ-ფუნინი (გარდ. 1326 წ.) და სხვა ავტორები.¹⁵⁰ დაიბადა თბილისში 601/1204-5 ან 602/1205-6 წწ., ახალგაზრდობაში შეისწავლა ყურანი, ჰადისები და ფიკჰი. 1245-1259 წლებში იყო სირიის მთავარი ყადის (კადი ალ-კუდათ) მოადგილე (ნა'იბ) და იმავე დროს დამასკოში ალ-'ადილიას მედრესეს მასწავლებელი. მის მოწაფეთა შორის ასახელებენ ცნობილ ჰაფიზს, შეიხ მუჰი ად-დინ ან-ნავაის.

1259 წ. სირიის დაპყრობის შემდეგ ილხანთა ყაენმა ჰულაგუმ ქამალ ად-დინ ათ-თიფლისი დანიშნა სირიისა და ჩრდილოეთი მესოპოტამიის ქალაქების: მოსულის, მარდინისა და მაიაფარიკინის მთავარ ყადიდ, მაგრამ მალე შეცვალა ის შიიტი მუჰი ად-დინ იბნ ზაქით და ქამალ ად-დინს ჰალაბისა და მისი სანახების ყადიობა უბოძა. მიუხედავად დიდი ავტორიტეტისა და სამართლიანობისა, თანამედროვეებმა მას მონღოლებთან თანამშრომლობა არ აპატიეს და მონღოლთა განდევნისთანავე, 1260 წ., დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ ის გაემგზავრა კაიროში, სადაც ასწავლიდა ფიკჰს. გარდაიცვალა იქვე, 672 წ. 14 რაბი' ალ-ავვალს/1273 წ. 28 სექტემბერს და დაკრძალეს მუკატტამის მთის კალთაზე.

41. სუნკურ იბნ 'აბდ ალლაჰ შამს ად-დინ ალ-ჯამალი ათ-თიფლისი – იხსენიება 672 წ. 2 რაჯაბს/1274 წ. 12 იანვარს დამასკოს საკრებულო მეჩეთში საჯარო ლექციების მსმენელად დამასკოს ლექტორებისა და აუდიტორიის შესახებ ცნობებში.¹⁵¹

42. ქასირ იბნ 'აბდ ალლაჰ აზ-ზაჰირი ათ-თიფლისი – იხსენიება 681 წ. 24 რაბი' II-ს/1281 წ. 1 აგვისტოს კასიუნის მთაზე ალ-მუზაფფარის მეჩეთში საჯარო ლექციების მსმენელად.¹⁵²

43. ჰაშიმ იბნ ჰუსაინ იბნ ჰაშიმ შარაფ ად-დინ აზ-შაფი'ი ათ-თიფლისი – იხსენიება 683 წ. ჯუმადა I-ისა და რაჯაბის თვეებში /1284 წ. ივლისისა და სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში საჯარო ლექციების მსმენელად კასიუნის მთის კალთაზე, ერთ-ერთი მსმენელის სახელში.¹⁵³

¹⁵⁰ სიბტ იბნ ალ-ჯაუზი. *მირათ აზ-ზამან ფი თა'რიხ ალ-ა'იდან*. ტ. VIII, ჰადარაბად, 1371/1952, გვ. 753. აბუ შამა, გვ. 204, 206, 211-212. ალ-ფუნინი. *ზაფლ მირათ აზ-ზამან*, ტ. III, ჰადარაბად, 1960, გვ. 64-65; იბნ ტულუნ. *კუდათ დიმაჰკ*. დიმაჰკ, 1956, გვ. 70-71; ას-სუბქი, ტ. VIII, გვ. 309-310; იბნ კადი შუჰბა ად-დომიშკი. *ტაბაკათ ამ-შაფი'ია*, ტ. II, ჰადარაბად, 1399/1979, გვ. 182-183. პირველად 'უმარ იბნ ბუნდარის შესახებ იხ. გ.ჯაფარიძე. *თანამედროვე სირია*, თბ., 1979, გვ. 49.

¹⁵¹ S. Leder. Y. M. al-Sawwās. M.al-Šāğarġī. დასახ. ნაშრ., გვ. 87.

¹⁵² იქვე, გვ. 40.

¹⁵³ იქვე, გვ. 79, 122.

44. **ამინ ად-დინ იბნ სა'იდ ათ-თიფლისი** – იბნ შადდადის (გარდ. 1285 წ.)¹⁵⁴ დროს დამასკოში იყო ამინ ად-დინ იბნ სა'იდ ათ-თიფლისის მეჩეთი, რომლის ადგილმდებარეობის დადგენაც არ ხერხდება.

45. **მუჰამად იბნ ჰამიჰ ჯამალ ად-დინ ათ-თიფლისი** – ყადი, XIII ს-ის II ნახევრის მოღვაწე, ნასირ ად-დინ ატ-ტუსის (გარდ. 1271 წ.) თანამედროვე და მის მიერ დაარსებული მარალის ობსერვატორიის თანამშრომელი. ცნობილი იყო იბნ ას-საბუნის სახელითაც.¹⁵⁵

46. **იზრაჰიმ იბნ 'უსმან იბნ ალ-ჰასან ათ-თიფლისი** – ხელოსანი. მისი საამშენებლო წარწერა ქ. სინოპში, არსლანის შადრევანზე, თარიღდება 688 წ. ჯუმადა II-ს/1289 წ. ივლისით.¹⁵⁶

47. **აბუ ლ-სანა' მაჰმუდ იბნ დუნუს იბნ მაჰმუდ ალ-ჰიმადრი ათ-თიფლისი** – იხსენიება 688-689/1289-1290 ალ-მისმარიას მადრასაში და კასიუნის მთის კალთაზე საჯარო ლექციების მსმენელად დამასკოს ლექტორებისა და აუდიტორიის შესახებ ცნობებში.¹⁵⁷

48. **ქამალ ად-დინ ათ-თიფლისი** – რუმის (მცირე აზია) ადმინისტრაციის ერთ-ერთი ნაწილის (ოთხიდან) მეთაური ყაზან ყაენის (1295-1304) დროს, დიდი ვეზირის ჯამალ ად-დინის ნაიბი.¹⁵⁸

49. **აბუ ღარრ ჯავჰარ იბნ 'აბდ ალლაჰ საფი ად-დინ აზ-ზაჰირი ატ-ტავაში ათ-თიფლისი** – მუჰადდისი. იხსენიება 671/1273 – 688/1289 წწ. საჯარო ლექციების მსმენელად კასიუნის მთის კალთაზე ალ-მისმარიას და ად-დიჰა'იას მადრასებში და ალ-მუზაფფარის მეჩეთში, და-

¹⁵⁴ S. Dahan. *La Description de Damas d'Ibn Šaddad, historien et géographe mort à Alep en 694/1285*. Edition critique d'al-A'laq al-Hatira. Damas, 1956, გვ. 157; H. Sauvaire. *Description de Damas*. Tr. de l'Arabe. - JA, 1885, VI, გვ. 469 (სოვერის თანახმად, ეს არის ამინ აბუ სა'იდ ათ-თიფლისის მეჩეთი). ამ მეჩეთს იხსენიებს 'აბდ ალ-კადირ ან-ნუ'ამიცი (დარის ფი თა'რიხ ალ-მადარის, ტ. II, დიმაჰკ, 1951, გვ. 78, 99, 363, №15; იხ. აგრეთვე: A. Talass. *Les Mosquées de Damas d'après Yousof ibn Abd el-Hadi*. Bairut, 1975, გვ. 130, №16.

¹⁵⁵ იბნ ალ-ფუვატი. *მუ'ჯამ ალ-ალაკაბ*. თაჰკიკ 'აბდ ალ-კადუს ალ-ჰინდი, ლაჰურ, 1932, გვ. 589.

¹⁵⁶ Répertoire chronologique d'épigraphie Arabe. Tome treizième. Le Caire, 1944, №4911.

¹⁵⁷ S.Leder. Y. M. al-Sawwās. M.al-Šāğarġī. დასახ. ნაშრ., გვ. 50, 110, 129.

¹⁵⁸ Aksaraylı Mehmed oğlu Kerimüddin Mahmud. *Müsâmeret ül-Ahbâr. Mukaddime ve haşiyelerle tashih ve neşreden Osman Turan*. Ankara, 1944, გვ. 209-210, 216-217, 219-223; D'Ohsson. *Historie des Mongols, depuis Tchinguiz-Khan jusqu'à Timour bey ou Tamerlan*, t. IV. La Haye et Amsterdam, 1835, გვ. 204; В. В. Бартольд. О некоторых восточных рукописях в библиотеках Константинополя и Каира. - В. В. Бартольд. *Сочинения*, т. VIII, М., 1973, გვ. 237-238; ვ. კიკნაძე. ქართველები მონღოლთა კარზე. - ჟურნ. *მნათობი*, 1984, №10, გვ. 164 (აქ ეს ქამალ ად-დინი გაიგივებულია სირიის ყადისთან - 'უმარ იბნ ბუნდარ ათ-თიფლისისთან (იხ. №40) რომლის ლაკაბიც ასევე ქამალ ად-დინი იყო).

მასკოს ომაიანთა მეჩეთში და მსმენელთა სახლებში.¹⁵⁹ იბნ ქასირის (გარდ. 1373 წ.) თანახმად, გარდაიცვალა 700/1301 წ. კაიროში.¹⁶⁰

50. მავშუდ იბნ ქამილ თაჯ ალ-დინ ათ-თიფლისი – ამ პიროვნების პროფესია უცნობია. გარდაიცვალა 704 წ. რაჯაბს/1305 წ. იანვარი-თებერვალი. მისი აკლდამა ათ-თურბა ათ-თაჯიდა ალ-მუკადდამიდა დამასკოში – სალიჰიას უბანში მოხსენიებული აქვს იბნ ტულუნს¹⁶¹ (გარდ. 1546 წ.).

51. მუჰამმად იბნ ‘აბდ ალ-‘აზიზ იბნ ‘აბდ ალ-ჯაბბარ ‘ალა ალ-დინ ალ-ხილატი ათ-თიფლისი – ყადი. ნასირ ად-დინ ატ-ტუსის მიერ დაარსებული მარალის ობსერვატორიის ერთ-ერთი პირველი თანამშრომლის, თბილისელი მეცნიერის, ფახრ ად-დინ ალ-ხილატის¹⁶² (1191-1282) ვაჟი. იბნ ალ-ფუვატის ის უნახავს 705/1305 წ. არრანში, ილხანთა სულთანის ბანაკში, სადაც მუჰამმადი ითხოვდა თბილისის ყადის თანამდებობას.¹⁶³

52. აბუ ლ-ტაჰირ ისმა‘ილ იბნ იბრაჰიმ იბნ აბი ბაქრ ნაჯმ ალ-დინ ათ-თიფლისი – იმამი. გარდ. 746 წ. ზუ ლ-ჰიჯჯას თვეში/1346 წ. აპრილში 89 წლისა.¹⁶⁴

53. მუჰამმად იბნ აბი ბაქარ ათ-თიფლისი – ამ პიროვნების პროფესია უცნობია. მისი სახელი მოხსენიებულია ქ. სივასის სასაფლაოზე ერთი საფლავის ქვის ეპიტაფიაში, რომელიც დათარიღებულია 791 წლის 10 ზუ ლ-ჰიჯჯათი/1389 წ. 30 ნოემბრით.¹⁶⁵

54. ჯამალ ალ-დინ იბნ აბი ბაქრ იბნ ალ-ჰაჯჯ ‘უმარ იბნ ალ-ჰუსაიდ ათ-თიფლისი – იხსენიება სივასის სასაფლაოზე აღმოჩენილ საფლავის ქვის ეპიტაფიაში. ის უნდა იყოს ვაჭარი (ხავაჯა) – ძმა მუჰამმად იბნ აბი ბაქრ ათ-თიფლისისა¹⁶⁶ (№53).

¹⁵⁹ S. Leder. Y. M. al-Sawwās. M. al-Šāğarī. დასახ. ნაშრ., გვ. 40, 50, 73, 87, 100, 102, 129, 260.

¹⁶⁰ იბნ ქასირ. *ალ-ბიდაია ვა ან-ნიჰაია*. ტ. XIV, ბადრუთ, 1977, გვ. 17.

¹⁶¹ იბნ ტულუნ ას-სალიჰი. *ალ-კალა‘იდ ალ-ჯავჰარიია ფი ათ-თა‘რის ას-სალიჰიია*. ალ-კისმ ალ-ავვალ, დიმაშკ, 1980, გვ. 336.

¹⁶² გ. ჯაფარიძე. *თბილელი მეცნიერი...*, გვ. 99-110.

¹⁶³ იბნ ალ-ფუვატი. *თალხის მაჯმა‘ ალ-ადაბ ფი მუ‘ჯამ ალ-ალკაბ*, ტ. IV/2, დიმაშკ, 1963, გვ. 1065, 1586.

¹⁶⁴ იბნ ჰაჯარ ალ-‘ასკალანი. *ად-დურარ ალ-ქამინა ფი ა‘იან ალ-მი‘ა ას-სამინა*. I, გვ. 362; A. J. Arberry. A Hanbali Tract on the Eternity of the Qur’an. - *The Islamic Quarterly*, 1956, vol. III, No. 1, გვ. 21.

¹⁶⁵ *Répertoire chronologique d'épigraphie arabe*, tome XVIII (Années 784 à 800 de l'Hégire). Établi par L. Kalus. Sous la direction de N. Éliasséff. D. Sourdel et J. Sourdel-Thomine. Institut Français d'Archéologie Orientale du Caire, 1991, გვ. 121-122, №791014.

¹⁶⁶ იქვე, №791015.



ჯამალ ად-დინ ათ-თიფლისი ჩვენს სიაში უკანასკნელი ათ-თიფლისია. XIV და მომდევნო საუკუნეებში ამ ნისბით მოღვაწე კიდევ არაერთი მუსლიმია საგულვებელი, მაგრამ მათ გამოსავლენად და წარმოსაჩენად საჭიროა წყაროების ახალი წრის შესწავლა და ანალიზი.

როგორც ვნახეთ, ათ-თიფლისის ნისბას ატარებდნენ სრულიად სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: მუჰადდისები, ღვთისმეტყველები, სამართლისმცოდნენი (მათ შორის ყადიები), ლიტერატორები, პოეტები, ექიმები, ვაჭრები, ხელოსნები და სხვ. თბილისელი ლიტერატორის (ადიბ) ალ-ჰასან იბნ ბუნდარ ათ-თიფლისის (№14) სახით გამოვლინდა გამოჩენილი არაბი პოეტის ალ-მუთანაბის პოეზიის კიდევ ერთი მკვლევარი, რომლის სახელიც უცნობი იყო არაბი ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტებისათვის. საინტერესო პოეტი ჩანს ნაჯმ ად-დინ ათ-თიფლისი (№27), რომელიც დამასკოში აღესრულა. მაგრამ თბილისიდან გამოსულ მუსლიმთა შორის ყველაზე დიდ ფიგურად რჩება ფართო დიპაზონის მეცნიერი ჰუბაბ იბნ იბრაჰიმ ათ-თიფლისი (№21), რომლის მემკვიდრეობის შესწავლაც ქართველი ორიენტალისტების მიერ, ვფიქრობთ, უაღრესად სასარგებლო და საშური საქმეა.

თბილისიდან გამოსულ ზემოხსენებულ მუსლიმთა ეთნიკური კუთვნილება უცნობია. ბიოგრაფები ამაზე ჩვეულებრივ არ ამახვილებენ ყურადღებას, მაგრამ დასაშვებია და სავსებით მოსალოდნელია, რომ მათ შორის არაერთი ქართველიც იყო. უკვე VIII ს-ის II ნახევარში, იოანე საბანისძის თანახმად, ქართლში ბევრი ქრისტიანი განუდგა ქრისტიანობას და ისლამი მიიღო.¹⁶⁷

ათ-თიფლისის ნისბას ატარებდნენ ისლამის სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლები: უპირატესად შაფიიტთა მახზაბისა. რამდენიმე თბილისელი იყო ცნობილი სუფი შეიხების: აბუ ნაჯიბ ას-სუჰრავერდის, შიჰაბ ად-დინ ას-სუჰრავერდისა და ავჰად ად-დინ ქირმანის მიმდევარი. ამ პირთა ბიოგრაფიების შესწავლამ მოგვცა ახალი მასალა თბილისში ისლამის ძირითად მიმდინარეობათა ისტორიის შესახებ.

თბილისიდან გამოსულ მუსლიმთა მოღვაწეობის არეალი ფართო იყო და მოიცავდა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის მნიშვნელოვან ქალაქებს: ბაღდადს, დამასკოს, კაიროს, ალექსანდრიას, იერუსალიმს, ნიშაბურს, ისფაჰანს და სხვ. XII-XIII საუკუნეებში შეიმჩნევა მათი მიგრაცია მცირე აზიის ქალაქებისკენაც – კონიაში, სივასში, დივრიგში და სინოპში. ბევრი თბილისელი, რომელიც განათლების მისაღებად მიემგზავრებოდა მახლობელი აღ-

¹⁶⁷ ამის შესახებ იხ. ს. ჯანაშია. არაბობა საქართველოში. – შრომები, II, თბ., 1952, გვ. 394.

მოსავლეთის კულტურულ ცენტრებში (ბალდადი, დამასკო...), სამუდამოდ იქ რჩებოდა საცხოვრებლად და თავისი წვლილი შეჰქონდა შუა საუკუნეების მუსლიმური კულტურის განვითარებაში.

მოყვანილი მასალა, ვფიქრობთ, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმის თაობაზე, თუ როგორი იყო თბილისის მუსლიმთა კულტურული დონე და მათი კულტურული მონაპოვრები. ამავე დროს, ძნელი არ არის დავინახოთ, რომ რაოდენობა ათ-თიფლისის ნისბით მოღვაწე იმ მუსლიმებისა, რომლებიც საკუთრივ თბილისში ცხოვრობდნენ, არცთუ დიდია. ეს რამდენიმე მიზეზით აიხსნება. მუსლიმთა ბატონობის ხანის თბილისის ისტორია – ლოკალური ისტორიის ტიპისა, რომლის მსგავსი ბევრი იცის არაბულმა ისტორიოგრაფიამ და რომელშიც აუცილებლად იქნებოდა ჩამოთვლილი და დასახელებული აქ მოღვაწე ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მუსლიმი, არ შემონახულა. ის თხზულებები კი (ძირითადად ბიოგრაფიული და გენეალოგიური ჟანრისაა), სადაც მოძიებული იქნა მათ შესახებ ცნობები, იქმნებოდა თბილისიდან მოშორებით, მახლობელი და შუა აღმოსავლეთის მსხვილ კულტურულ ცენტრებში. ბუნებრივია, რომ მათი ავტორები, უპირატესად, აფიქსირებდნენ ამ ცენტრებში მოღვაწეებს, პერიფერიას კი შედარებით ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას. ვფიქრობთ, რომ, სწორედ ამის გამო, არაბული ბიოგრაფიული ლიტერატურისთვის უცნობი დარჩა ჰუბაიმ იბნ იბრაჰიმ ათ-თიფლისი, რომელმაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მცირე აზიაში გაატარა. გარდა ამისა, ზემომოყვანილი სია ათ-თიფლისიებისა, რომლებიც ჩვენ გამოვავლინეთ, არ შეიძლება იყოს სრული. დღეისათვის არაბულ სამყაროში დაბეჭდილია და ყოველწლიურად გამოიცემა შუა საუკუნეების უაღრესად მდიდარი არაბული ლიტერატურული მემკვიდრეობის მრავალი ძეგლი, რომ არაფერი ვთქვათ ათეულ ათასობით ხელნაწერზე, რომლებიც ელიან თავიანთ მკვლევარს. ყველა მათგანის მოპოვება, შესწავლა და, უბრალოდ, თვალის გადავლებაც კი, დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, და ხანგრძლივ დროს მოითხოვს.¹⁶⁸ ამ ამოცანის განხორციელება მომავლის საქმეა.

¹⁶⁸ ნაშრომის ძირითადი ნაწილი შესრულებულია 1979-1983 წლებში, სირიის არაბთა რესპუბლიკაში მივლინების დროს, როცა საშუალება გვქონდა გვემუშავა ამ ქვეყნის მდიდარ წიგნთსაცავებში და, ნაწილობრივ მაინც, გავცნობოდით მრავალრიცხოვანი არაბული წერილობითი წყაროების პუბლიკაციებს.

NISBA AL-TIFLĪSĪ IN THE 8TH – 14TH CENTURIES ISLAMIC WORLD

In Arabic nomenclature *nisba* was one of the components of a medieval Arabic proper name. It was formed originally from the name of the individual's tribe or clan, then from his place of birth, origin or residence, sometimes from a *madhab* or sect, and occasionally from a trade or profession. A man might have several *nisbas* which were normally given in chronological order of residence. The names listed by the biographers usually contain *nisbas* formed on the basis of place names which belong to *Dār al-Islām*. One such *nisba* was al-Tiflīsī (or al-Taffīsī), derived from the city of Tbilisi (in Georgia, Transcaucasia), called Tiffīs, or Taffīs by the Arabs and being the centre of the Arab Emirate established in the 730s-770s. Up to 1122 Tbilisi was the mainstay of Islam and the source of its dissemination throughout Georgia. Together with amīrs and the Arab administration, Muslim population also appeared in the city. Muslims continued to reside in Tbilisi after 1122 as well, enjoying a number of privileges and allowances granted by the Georgian kings.

Although Muslims ruled and resided in Tbilisi for centuries, regrettably, our knowledge about them is scanty. At the same time, in Arabic and Persian sources, especially in works of biographic genre, one comes across many persons bearing the al-Tiflīsī *nisba*, pointing to their various contacts with Tbilisi. This has prompted the present author to bring together evidence on these persons in order to expand, as far as possible, our knowledge, albeit based on fragmentary evidence, on aspects of the social and cultural life of Tbilisi Muslims in the Middle ages.

It is possible to trace fifty-two Muslims with the al-Tiflīsī *nisba* in Arabic and Persian narrative or epigraphic sources; they all played a certain role in the political, economic and cultural life of the 8th-14th centuries Tbilisi and the Islamic world of the same period. There must have been more of them and it is to be hoped that future scholars will be able to supplement the list given below.

The foregoing material helps form a definite opinion about the level of culture of Tbilisi Muslims and their cultural achievements. As shown above, Muslims of various professions had the al-Tiflīsī *nisba*: theologians, jurists (including judges), men of letters, poets (Nos.14, 27, 28), physicians (No.10), merchants, statesmen, craftsmen, and others. Al-Hasan ibn Bundār al-Tiflīsī, a man of letters from Tbilisi (No. 14), proves to be one of the researchers (unknown so far to experts in the history of Arabic literature) into the poetry of the outstanding Arab poet al-Mutanabbī. But of all the Muslims who came from Tbilisi, Hubaysh ibn

Ibrāhīm al-Tifflīsī (No. 21), a scholar of diversified interests and scope, appears to be the greatest.

The ethnic affinity of the above-mentioned Muslims is unknown; as a rule their biographers never concentrated their attention on their origin, but possibly there were quite a few Georgians among them. In any case, back in the second half of the 8th century the Georgian writer Ioane Sabanisdze notes the presence of neophytes among the Tbilisi population.

The al-Tifflīsī *nisba* was used by the representatives of various trends of Islam: Shī‘a’s - both “moderate” and “extremist” and Sunnīs - mainly of the Shafi‘ī school (Nos. 16, 18, 19, 34). Some of the Muslims from Tbilisi were followers of the well-known Sūfī Shaykhs Abā Najīb al-Suhrawardī, Shihāb al-Dīn al-Suhrawardī and Awhād al-Dīn Kirmānī (Nos. 23, 27, 28). The study of the biographies of all these persons supplied new material on the history of the main trends of Islam in Tbilisi.

It is not difficult to see that the number of Muslims with the al-Tifflīsī *nisba* who lived in Tbilisi proper in the 8th-14th centuries is not large. The history of Tbilisi under the Muslim rule – a sort of local history (so common in Arabic historiography) which always mentions all more or less important Muslims – has not come down to us. And those works (mainly of biographical and genealogical genres) providing information about them, were created far from Tbilisi in the large cultural centres of the Middle East. It is but natural that their authors should have written only about persons flourishing in those places.

The area of the activity of Muslims bearing *nisba* al-Tifflīsī was vast, including both Tbilisi and the main cities of the Middle East: Baghdad, Damascus, Cairo, Alexandria, Jerusalem, Nishapur, Ispahan, and others. In the 12th-13th centuries they started migrating to cities of Asia Minor as well: Konya, Sivas, Divrigi and Sinop. Their migration was caused by various political, economic and cultural factors. Many Tbilisi Muslims who went to be educated in the cultural centres of the Middle East (Baghdad, Damascus, etc.) remained there forever, contributing to the development of Islamic culture.

წანართა შესახებ*

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით, წანართა თავდაპირველი საცხოვრისი იყო დარიალის ხეობაში, წანართის ხევის (დღევანდელი ხევის) ტერიტორიაზე. VIII საუკუნის შუა ხანებიდან წანარები გააქტიურდნენ აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე. ისინი კახეთის შეკავშირებისა და არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატორები გახდნენ. ამასთან დაკავშირებით, „წანართის“ მნიშვნელობა გაფართოვდა და თანდათან გავრცელდა კახეთის მთიულეთზე, მთელ კახეთზე და ზოგჯერ კახეთთან შეერთებულ და გაერთიანებულ მიწებსაც აღნიშნავდა.¹ წანარები ფიგურირებენ ქართულ და უცხოურ ნარატიულ წყაროებში. ამ მხრივ, საინტერესოა შუა საუკუნეების არაბული ისტორიულ-გეოგრაფიული ლიტერატურა, რომელიც მდიდარ ინფორმაციას გვანვდის ქართველებისა და საქართველოს შესახებ.

I. წანარები არაბულ წყაროებში

არაბულ ნარატიულ წყაროებში წანარების შესატყვისია *ას-სანარია*. არაბი გეოგრაფის, იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის (IX ს-ის მიწურული – X ს-ის დასაწყისი) „ქვეყნების წიგნის“ (*ქითაბ ალ-ბულდან*) ზოგიერთ ნუსხაში გვხვდება ამ სახელწოდების სხვა ფორმებიც: *ას-სუნარია* და *ას-სუნნარია*.² XIV ს-ის ლექსიკოგრაფი იბნ მანზური იძლევა *ას-სინარია* ფორმასაც.³ არაბულ წყაროებში *ას-სანარია* ეთნიკონია, რომელიც აღნიშნავს მხარეს, ქვეყანას, სამეფოს და იქ მცხოვრებ ხალხს, ტომს.

იბნ ხორდადბეჰი (დაახლ. 820-912/13 წლები) *ას-სანარიას* არმინიაში

* პირველად დაიბეჭდა 1999 წ. – ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ შრომები. ტ. 328, გვ. 29-41.

¹ მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – *სინ*, II, თბ., 1979, გვ. 391-392 და შმდ.; M. Лордкипанидзе. Возникновение новых феодальных государств. – *ОИГ*, II, Тб., 1988, გვ. 257, 261.

² Ibn al-Fakih al-Hamadani. *Compendium Libri Kitab al-Boldan* (BGA, V), Ed. M. J. de Goeje. Lugduni-Batavorum. 1885, გვ. 294, შენ. b, Codd.

³ იბნ მანზურ. *ლისან ალ-‘არაბ* (გამოცემის ადგილისა და თარიღის გარეშე), გვ. 2505 (შემდეგ იბნ მანზური).

ათავსებს.⁴ იბნ მანზურის თანახმადაც, *ას-სანარია* არმინიაში მცხოვრები ხალხია.⁵ არაბთა ბატონობისდროინდელი არმინია კი, როგორც ცნობილია, მოიცავდა, საკუთრივ, სომხეთს (არაბ. *არმინია*), ალბანეთს (არაბ. *არრან*) და ქართლს. წანართა სამოსახლო ტერიტორია სწორედ ქართლია, რომელსაც არაბები ჯურზანს ეძახდნენ. იბნ ა'სამ ალ-ქუფი (X ს.) წერს, რომ *ას-სანარია* ურწმუნოთა სახეობაა (*სინფ*) იმ ქვეყანაში (არდ), რომელსაც ეწოდება ჯურზანი.⁶ 820 წელს არაბი სარდალი ხალიდ იბნ იაზიდი *ას-სანარიას/წანარებს* აჯანყებულ ჯურზანში ებრძოდა.⁷ მაგრამ ამ დროს *ას-სანარია/წანარეთი* პოლიტიკურად უკვე გამოყოფილი იყო ჯურზანისგან (იხ. ქვემოთ).

X საუკუნის შუა ხანებში არაბი გეოგრაფი და ისტორიკოსი ალ-მას'უდი *ას-სანარიას* ასახელებს იმ ხალხთა (*ალლან, ალ-ხაზარ, ჯურზან, აბხაზ, ქაშქ*) შორის, რომლებიც ესაზღვრებიან ბაბ ალ-აბვაბს, ე. ი. დარუბანდს და ცხოვრობენ კავკასიის მთის მახლობლად. მისი სხვა ცნობით, *ას-სანარია* არის სამეფო (*მამლაქა*), რომელიც გადაჭიმულია თბილისის სასაზღვრო ოლქიდან (*სულ*) – ბაბ ალ-ლანის (დარილის) ციხემდე და მას (აღმოსავლეთით) ეკვრის შაქი. ამ ქვეყანაში ისინი ბატონობენ სხვა ხალხებზეც.⁸ X ს-ის კიდევ ერთი გეოგრაფის, ალ-ისტახრის, თხზულების „ქვეყნებისა და გზების წიგნის“ (*„ქითაბ ალ-მასალიქ ვა ლ-მამალიქ“*) ერთ-ერთი ნუსხის მიხედვით, *ას-სა[ნ]არიასა* და შაქს შორის მდებარეობს ალ-‘აბრია,⁹ რომელიც ვ. მინორსკის კონიექტურით არის ალ-აიდა – ელისენის დაბლობი¹⁰, ხოლო დ. მუსხელიშვილის აზრით კი – ჰერია, საკუთრივ, კახეთი.¹¹ როგორც ვხედავთ, არაბული წყაროებით *ას-სანარიას/წანართა* ტომის სამოსახლო, ან მათი კონტროლის ქვეშ არსებული მიწები, X საუკუნეში მაინც, საკმაოდ ვრცელია, დარილიდან – შაქამდე.

იბნ ა'სამ ალ-ქუფის თანახმად, *ას-სანარია/წანარები* არიან ურწმუნო-

⁴ Ibn Khordadbeh. *Kitab al-Masalik wa'l mamalik* (BGA, VI), Ed. M.J.- de Goeje, Lugduni - Batavorum. 1899, გვ. 123.

⁵ იბნ მანზური, გვ. 2506.

⁶ Al-Kufi. *Kitabu'l futuh*, vol. VI, Hydarabad, 1972, გვ. 233.

⁷ ალ-ია'კუბი. *თა'რიხ*, II, ბაჰრუთ (უთარილო), გვ. 422.

⁸ al-Mas'udi. *Kitab al-tanbih wa'l-ischraf* (BGA, VIII), Ed. M.- J. de Goeje. Lugduni-Batavorum, 1894, გვ. 227; X ს-ის სპარსული ანონიმური თხზულების „ჰუდუდ ალ-‘ალემის“ ცნობით, *სანარიას* ოლქი გადაჭიმული იყო თბილისსა და შაქს შორის, 20 ფარსანგის, ე.ი., დაახლოებით 120 კმ მანძილზე (Hudud al-‘Alam. The Regions of the World. A Persian Geography, 172A.H.–982A.D. Translated and explained by V. Minorsky. London, 1937, გვ. 144).

⁹ ალ-ისტახრი. *ალ-მასალიქ ვა ლ-მამალიქ*. ალ-კაჰირა, 1961, გვ. 113, შენ.

¹⁰ Hudud al-‘Alam, გვ. 400.

¹¹ Д. Мусхелишвили. *Из исторической географии Восточной Грузии*. 1982, გვ. 37.

ნი – ქაფირები. ურწმუნო, ამ შემთხვევაში, არ ნიშნავს წარმართს, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს.¹² ქაფირი მუსლიმთათვის ქრისტიანის ტოლფასიცაა. მართლაც, ალ-მას'უდი იუწყება, რომ ას-სანარია/წანარები აღიარებენ ქრისტიანობას;¹³ იბნ ჰაუკალის მიხედვით კი, ქრისტიანია მათი მეფე, სანაჰარიბი¹⁴ (იხ. ქვემოთ).

VIII ს-ის 50-იანი წლებიდან IX ს-ის 50-იან წლებამდე არაბულ წყაროებში აღნიშნულია ას-სანარიას/წანართა ანტიარაბული აჯანყებები და მათ წინააღმდეგ არაბთა დამსჯელი ექსპედიციების ბრძოლები.¹⁵ ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის (786–809) დროს არმინიას ვალის, ხუზაიმა იბნ ხაზიმს (803–806), აუჯანყდნენ ას-სანარია/წანარეთი და ჯურზანი/ქართლი.¹⁶ ას-სანარიას და ჯურზანის მოსახლეობას იმავე ხანებში ამარცხებს სა'იდ იბნ ალ-ჰაისამ ათ-თამიმი,¹⁷ ე.ი. ქართლი ამ დროს აღარ ფარავს წანარეთს.

იბნ ა'სამ ალ-ქუფი VIII ს-ის 70-იანი წლებისათვის პირველად აღნიშნავს არაბთა წინააღმდეგ ას-სანარიას/წანარეთის კავშირს ჰაჰიტის/კახეთის მოსახლეობასთან.¹⁸ ეს კავშირი შემდეგ კახეთზე ას-სანარიას/წანართა პოლიტიკურ ჰეგემონიაში გადაიზარდა, რაც კარგადაა ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ას-სანარია/წანარებს თავიანთი გამგებელი ჰყავდათ. X ს-ის ქრისტიანი არაბი ისტორიკოსის სა'იდ იბნ ბიტრიკის ერთი ცნობით, რომელიც წინაისლამურ ხანას მიეკუთვნება, 622 წელს ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გამზადებულმა და ტრაპიზონში დაბანაკებულმა ბიზანტიის იმპერატორმა ირაკლიმ, ჯურზანისა და აბხაზის მალიქებთან ერთად, დახმარება სთხოვა ას-სანარიას მალიქსაც, ე.ი., წანართა მთავარს. სანაცვლოდ, იმპერატორმა მას, ჯურზანის მალიქის მსგავსად, თავის სასახლეში, დარბაზობისას, ტახ-

¹² თ. მიზჰუანი. *დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან*. თბ., 1989, გვ. 102-103.

¹³ ალ-მას'უდი. *მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა მა'ადინ ალ-ჯავჰარ*. I, ბაერუთ, 1978, გვ. 227.

¹⁴ Ibn Haukal. *Opus Geographicum*. II. Ed. J.K. Kramers. Lugduni-Batavorum. I, 1939, გვ. 348.

¹⁵ ალ-ბალაზური. *ფუთუჰ ალ-ბულდან*. ბაერუთ, 1398/1978, გვ. 211; ალ-ია'კუბი. *თა'რიხ*, გვ. 428, 457, 463, 475, 490; Al-Kufi. *Kitabu'l futuh*, გვ. 233; ო. ცქიტიშვილი. არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან. – *მაცნე* (იანხის), 1986, №1, გვ. 73-82; მ. ლორთქიფანიძე. *ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა*, გვ. 379-380.

¹⁶ ალ-ია'კუბი. *თა'რიხ*, გვ. 428.

¹⁷ იქვე.

¹⁸ Al-Kufi. *Kitabu'l futuh*, გვ. 234; ბ. სილაგაძე *არაბთა ბატონობა საქართველოში*. თბ., 1991, გვ. 81.

ტზე დაჯდომის უფლება აღუთქვა.¹⁹ ნანარეთის ხევს რომ თავისი მთავარი ჰყავდა, ამას „მოქცევაჲ ქართლისაჲც“ ადასტურებს.²⁰ უკვე არაბთა შემოსევების წინ, ჩანს, ნანართა გამგებელს ძლიერი პოზიციები ჰქონდა და გამორჩეული მდგომარეობა ეკავა ქართლში. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ, როდესაც არაბმა სარდალმა ჰაბიბ იბნ მასლამამ დაიპყრო ჯურზანის (ქართლის) არაერთი მხარე და პუნქტი, მათ შორის, ვინც მას ცალკე დაუზავდა ხარკის (ათავა) გადახდის პირობით, იყვნენ *ას-სანარია/ნანარებიც*.²¹

X ს-ის არაბი ისტორიკოსის ატ-ტაბარის ცნობით, 239 წლის ჯუმადა აღ-ახირას თვეში, ე.ი. 853 წლის 7 ნოემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით, აბასიანთა სატახტო ქალაქში, სამარაში, აღ-‘ამას კარიბჭესთან, მოუკლავთ *ას-სანარიას* მფლობელი (საჰიბ).²² აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროს, 853 წლის 10 ნოემბერს, სამარაში სიკვდილით დასაჯეს ბულა-თურქის ლაშქრობის დროს დატყვევებული ქართველი დიდებული კოსტანტი კახი, რომელიც, როგორც ფიქრობენ (ნ. ვაჩნაძე, კ. კუცია), კახეთიდან იყო.²³ აღნიშნული ამბების ქრონოლოგიური თანხვედრა ამ ორი პიროვნების იგივეობის ვარაუდს ბადებს.

X ს-ის შუა ხანებში, აღ-მას‘უდის თანახმად, *ას-სანარიას/ნანართა* მალიქს ეწოდება *ქურუკუსი* resp. ქორეპისკოპოსი.²⁴ X საუკუნის შუა ხანებშივე იბნ ჰაუკალი ამიერკავკასიაში ცნობილ ყველაზე დიდ მეფეთაგან ასახელებს სამს: შარვან-შაჰ მუჰამად იბნ აჰმად აღ-აზდის, იმავე მუჰამად იბნ აღ-იაზიდს (948–956), ლაიზან-შაჰს და *სანარიას* მალიქს – სანაჰარიბს.²⁵ ამ სანაჰარიბის ვინაობა დასადგენია. ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ ის მთავრობდა X ს-ს 70-იან წლებში და, ალბათ, კახეთის მფლობელის დავითის წინამორბედი იყო.²⁶ უკანასკნელის ზეობა ა. მკრტუმიანს 976–1000 წლებით

¹⁹ Eutychiei Patriarchae Alexandrini. *Annales*. Pars posterior accedunt *Annales Yahia Ibn Sa‘id Antiochensis*. Conjuncta opera ediderunt L. Cheikho, B. Carra de Vaux, H. Zayyat. Beruti-Parisis, 1909, გვ. 2.

²⁰ მოქცევაჲ ქართლისა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ნიგნი I (V-X სს.). თბ., 1964, გვ. 94.

²¹ აღ-ბალაზური. *ფუთუჰ*, გვ. 205.

²² Ta’rikh at-Tabari. vol. IX. Le Caire, 1976, გვ. 196.

²³ Жизнь и мученичество святого мученика Константа грузина, который был замучен царем Вавилонян Джафаром. Перевод с древнегрузинского, исследование и комментарии Н. З. Вачнадзе и К. К. Куция. Тб., 1978, გვ. 22, 26.

²⁴ აღ-მას‘უდი. *მურუჯ*., გვ. 227.

²⁵ Ibn Haukal. *Opus Geographicum*, გვ. 348; V. Minorsky. *Caucasica IV*. – *BSOAS*, 1953, vol. XV, pt., 3, გვ. 519-520.

²⁶ С. Какабадзе. О племени цанар. – *საისტორიო კრებული*. III. ტფ., 1928, გვ. 109.

აქვს განსაზღვრული.²⁷ თ. პაპუაშვილი მას, საერთოდ, არ იხსენიებს.²⁸ ნ. ველიხანოვა სანაჰარის აიგივებს მოსე კალაკანტუეცის „აღვანთა ისტორიაში“ დასახელებულ შაქის გამგებელ სენაქერიმთან და წერს, რომ „მისი ხანგრძლივი მმართველობის პერიოდი, როცა სანარია შეუერთდა შაქს, ითვლება შაქის სამეფოს აყვავების ხანად“.²⁹ მაგრამ ამ დასკვნის შესაძლებლობას მოსე კალაკანტუეცის თხზულება³⁰ არ იძლევა და ეს საკითხი, ვფიქრობთ, ქართველ მკვლევართა მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

X ს-ის დამდეგს წანარები აქტიურები ჩანან თბილისის საამიროში. ამ დროს აბუ ლ-ფარაჯ ალ-ისფაჰანის (X ს.) ცნობით, *ას-საფარიას*, resp. *ას-სანარია* სახელით ცნობილ ხალხს თბილისში მოუკლავს შიიტ-იმამიტა მე-6 იმამის ჯა'ფარ ას-სადიკის პირდაპირი შთამომავალი, ალიდი ჰუსაინ იბნ 'ალი.³¹

ალ-მას'უდი ეხება *ას-სანარია*/წანართა წარმომავლობას. იგი წერს: „ეს ქრისტიანი *ას-სანარია*/წანარები მიიჩნევენ, რომ არაბთაგან არიან, ნიზარ ბ. მა'ადის, [მისი ძის] მუდარის [შთამომავლები], და რომ ისინი 'უკაილის შტოა. დამკვიდრდნენ იქ ძველი დროიდან და ბატონობენ მრავალ ხალხზე.. მე ვნახე იემენში, მა'რიბის ქვეყანაში 'უკაილიანები, ალ-მაზჰიჯის მოკავშირეები, და არ არის განსხვავება მათსა და [წანართა] შორის ხასიათით. ისინი ძლიერები არიან და ჰყავთ მრავალი ცხენი... *ას-სანარია*/წანარები ფიქრობენ, რომ ძველ დროში გამოეყვნენ მა'რიბის 'უკაილიანებს“.³²

ალ-მას'უდის მიერ მოხსენიებული ნიზარ იბნ მა'ადი, არაბული გენეალოგიური სისტემის თანახმად, ჩრდილოარაბული ტომების საერთო წინაპარია. ამ ტომების უმრავლესობა ნიზარის ვაჟების – მუდარისა და რაბი'ას შთამომავლად თვლის თავს. მუდარის შთამომავლობა, თავის მხრივ, იყოფა კაას 'ალდანის და ხინდიფის ჯგუფებად. ზემოხსენებული 'უკაილის ტომი კაას 'ალდანის განშტოებას წარმოადგენდა.³³

²⁷ А. Г. Мкртумян. *Грузинское феодальное княжество Кахетии в VIII–XI вв. и его взаимоотношения с Арменией*. Тб., 1983, გვ. 37, შენ. 11.

²⁸ თ. პაპუაშვილი. *რანთა და კახთა სამეფო*. თბ., 1982.

²⁹ Н.М. Велиханова. Изменение исторической географии Азербайджана в результате арабского завоевания. – Сб. *Историческая география Азербайджана*. Баку, 1987, გვ. 64.

³⁰ Мовсес Калакантуеци. *История страны Алуанк*. Пер. с древнеармянского и комментарии Ш. В. Смбатяна. Ереван, 1984, გვ. 170.

³¹ გ. ჯაფარიძე. მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით VIII-XIV საუკუნეებში. – *მაცნე* (ელს), 1989, №1, გვ. 84.

³² ალ-მას'უდი. *მურუჯ..*, გვ. 227, 228.

³³ G. Rentz. *Djazirat al-'Arab – EP*, vol. I, გვ. 544-45; H. Kidermann. *Rabi'a and Mudar. – EP*,

ჩრდილოარაბული ტომების მიგრაცია არაბეთის ნახევარკუნძულის გარეთ წინაისლამურ ხანაში დაიწყო. სასანიანთა ბატონობის დროს, ე.ი. არა უადრეს III საუკუნისა, მუდარი, რაბი'ა და, აგრეთვე, ბაქრი დასახლდნენ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში – ალ-ჯაზირაში³⁴ და იმ ადგილებს, სადაც ისინი ბინადრობდნენ, ეწოდა დიარ-მუდარი, დიარ-რაბი'ა და დიარ-ბაქრი. დიარ-მუდარის ოლქი მდ. ევფრატის გასწვრივ მდებარეობდა. მისი მთავარი ქალაქი იყო რაკკა მდ. ბალიხზე (თანამედროვე სირიაში). მოგვიანებით, X საუკუნის მიწურულს, მუდარის განშტოება – 'უკაილის ტომი და ამ ტომიდან გამოსული 'უკაილიანთა საგვარეულო დაეუფლა ალ-ჯაზირას მნიშვნელოვან ქალაქს, მოსულს. 'უკაილიანთა წარმომადგენლები ფლობდნენ ალ-ჯაზირას სხვა ქალაქებსაც: ჯაზირათ იბნ 'უმარს, ნისიბინს, ბალადს და თაქრითს. მუსლიმ იბნ კურაიშის (1061-1085) დროს 'უკაილიანთა სამფლობელოები გადაჭიმული იყო, თითქმის, ბაღდადამდე და ჰალაბამდე. XI ს-ის მიწურულიდან თურქ-სელჩუკების გამოჩენამ განაპირობა ამ დინასტიის დაცემა.³⁵

ალ-მას'უდი თვლის, რომ ას-სანარია არაბ 'უკაილიანთა შტოა. ის მსგავსებასაც კი ხედავს მა'რიბის (იემენში) 'უკაილიანებსა და ას-სანარია/წანარებს შორის, მაგრამ ასეთი მსჯელობა არ შეიძლება სერიოზულად მივიღოთ. კლავდიუს პტოლემეაიოსი (ერთადერთი, ანტიკურ მწერალთა შორის) წანარებს სამხრეთ კავკასიაში ასახელებს უკვე II საუკუნეში,³⁶ უფრო ადრე, ვიდრე დაიწყებოდა მუდარის ტომის მიგრაცია ჩრდილოეთი მესოპოტამიისკენ. საერთოდ კი, აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების ზოგიერთი არაბი ავტორი ასევე უმართებლოდ უკავშირებდა არაბულ სამყაროს სხვა კავკასიურ ტომებსაც, მაგალითად, დიდოელებსა და ჩერქეზებს.³⁷

XI ს-იდან ას-სანარია ქრება არაბული წყაროების ფურცლებიდან. ეს ეთნიკონი არ გვხვდება აკუეთის (გარდ. 1229 წ.) ცნობილ „გეოგრაფიულ ლექსიკონში“ და თუმცა მას იხსენიებენ XIV ს-ის ავტორი ად-დიმიშკი,³⁸ XIV

vol. VIII, გვ. 352-53; G. Levi Della Vida. Nizar b. Ma'add. – *EP*, vol. VIII, გვ. 82-83; W. Montgomery Watt. *Ma'add*. – *EP*, vol. V, გვ. 894.

³⁴ Ph. K. Hitti. *History of the Arabs*, London and Basingstoke, 1979, გვ. 280; G. Le Strange. *The Lands of the Eastern Caliphate*. Cambridge, 1930, გვ. 85.

³⁵ К. Э. Босворт. *Мусульманские династии*. М., 1971, გვ. 89-90.

³⁶ ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. ცნობები საქართველოს შესახებ. – *მსკი*, 1955, I, 32, გვ. 44. კომენტ. 55.

³⁷ ალ-ბალაზური. *ფუთუჰი*., გვ. 198; Ibn al-Fakih al-Hamadani. *Compendium*, გვ. 288; ბადრ ად-დინ ალ-'აინი. *ას-საიფ ალ-მუჰანნად ფი სირათ ალ-მალიქ ალ-მუაიაად შაიხ ალ-მაჰ-მუდი*. ალ-კაჰირა. 1966–1967, გვ. 27-29.

³⁸ Ed-Dimichqi, Chems-Ed-Din Abou Abdallah Mohammed. *Cosmography*. Texte Arabe, publie... par A.F. Mehren. St. Pbg. 1866, გვ. 262.

და XIX საუკუნეების ლექსიკოგრაფები იბნ მანზური და მურთადა აზ-ზაბიდი,³⁹ მაგრამ მათი ცნობები IX-X საუკუნეების არაბ ავტორთა ცნობების პერიფრაზია.

II. წანართა ვაინახური წარმომავლობის თვალსაზრისი

ქართველი მკვლევრები წანარებს ქართულ (აღმოსავლურ, ან დასავლურ) სამყაროს მიაკუთვნებენ.⁴⁰ მათი თავდაპირველი განსახლების – ხევის ტოპონიმიკა და ეპიგრაფიკა ქართულია. ღვთისმსახურება ნილკნის კათედრის სამწყსოში, რომელშიც შედიოდა წანარეთი, ისევე როგორც მცხეთის მთელ საკათალიკოსოში, მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. არაბთა წინააღმდეგ ბრძოლისა და კახეთის სახელმწიფოდ ორგანიზების სათავეში მყოფი წანარები, რომლებიც ემსახურებოდნენ ქართული სახელმწიფოს (სამთავროს) შექმნის საქმეს, სრულიად აშკარაა, რომ ენით და ეკლესიით, ე. ი., კულტურულ-ისტორიული სახით, იყვნენ ქართველები.⁴¹ ამავე დროს, მოსაზრება დარიალის ხეობაში, საქართველოს სამხედრო გზის რაიონში, წარსულში ვაინახური (ჩეჩნურ-ინგუშური) ტომების განსახლების თაობაზე,⁴² ზოგიერთ მკვლევარს საფუძველს აძლევს, იმსჯელოს წანართა ვაინახურ წარმომავლობაზეც.

წანართა ჩრდილოკავკასიური, ვაინახური წარმომავლობის თვალსაზრისს, ჩვეულებრივ, იმონებენ და იცავენ უცხოელი მკვლევრები.

1937 წელს ვ. მინორსკიმ გამოსცა X ს-ის უცნობი ავტორის სპარსული გეოგრაფიული თხზულების *ჰუდუდ ალ-‘ალემის* („სამყაროს საზღვრები“) ინგლისური თარგმანი დაწვრილებითი კომენტარებითურთ. ამ თხზულებაში დასახელებული ეთნონიმი *სანარია/წანარები* მკვლევარმა განმარტა როგორც „მამაცი ქრისტიანი ხალხი, რომელიც ცხოვრობდა ალაზნის ჩრდილოეთით, შაქის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით“.⁴³ აქვე, მინორსკი წერდა: „რაც შეეხება წანართა ტომის ბირთვის, ნ. მარმა მიანიშნა მისი და თანამედროვე ჩეჩნების (დაღესტანსა და ვლადიკავკაზს შორის რაიონში მოსახლე ჩრდილოკავკასიელი ხალხის) საერთო წარმომავლობა. ასეთია,

³⁹ იბნ მანზურ. *ლისან ალ-‘არაბ*, გვ. 2506; აზ-ზაბიდი, მურთადა. *თაჯ ალ-‘არუს*, ტ. XIII, მისრ, 1306/1888-89, გვ. 341.

⁴⁰ მ. ლორთქიფანიძე. *ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა*, გვ. 391.

⁴¹ М. Лордкипанидзе. *Возникновение новых феодальных государств*, გვ. 257.

⁴² თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ჩეჩნებსა და ინგუშებს, ძირითადად, უკვე ჩვენს ერამდე ეკავათ მათი ახლანდელი ტერიტორია. А. И. Шавхелишвили. *Из истории взаимоотношений между грузинскими и чечено-ингушскими народами*. Грозный, 1963, გვ. 16.

⁴³ Hudud al-‘Alam, გვ. 402.

აგრეთვე, კავკასიის იმ ნაწილის აღიარებული ავტორიტეტული სპეციალისტის ა. ნ. გენკოს თვალსაზრისიც⁴⁴ მოგვიანებით, შარვანისა და დარუბანდის ისტორიის შესახებ ვ. მინორსკის 1958 წ. ინგლისურად გამოცემულსა და 1963 წელს რუსულ ენაზე თარგმნილი ნაშრომის კომენტარებში, არაბი ავტორის ალ-მას'უდის ცნობასთან დაკავშირებით, ნათქვამია, რომ ნანარები ცხოვრობდნენ კავკასიონის ზეკარზე, შემდეგ მათ გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო აღმოსავლეთით, კახეთში; რომ ალ-მას'უდი მათ თვლის შაქის მეზობლებად, ე.ი., ურევს კახელებში, მაშინ როცა ნანარების ძირითადი ბირთვი **ალბათ** (გამოყოფილია ჩვენ მიერ – გ.ჯ.) იყო ჩეჩნური წარმომავლობის.⁴⁵ ამით, ფაქტობრივად, საფუძველი დაედო ნანართა ჩეჩნური წარმომავლობის თვალსაზრისს, რომელიც შემდეგ სხვა შრომებშიც აისახა.

ვნახოთ, რას ემყარება ვ. მინორსკის თვალსაზრისი.

ნ. მარი იმ ნაშრომში, რომელსაც იმონმებდა მინორსკი, წერდა საქართველოს სამხედრო გზაზე ქართველების მოსვლამდე ჩეჩნურ-ინგუშური ტომების განსახლებაზე, მაგრამ მას მხედველობაში არა ჰყავდა ნანარები. ლინგვისტური თვალსაზრისით, ნანარები მარს წარმომავლობით მიაჩნდა „შიშინა ჯგუფის“ ტომად.⁴⁶ ამ ჯგუფის წარმომადგენლები, მისი აზრით, იყვნენ მეგრელები და ქანები.⁴⁷ თავის ერთ-ერთ ნაშრომში კი ის ნანარებს პირდაპირ სვანებს მიაკუთვნებდა.⁴⁸

რაც შეეხება ა. გენკოს, ვ. მინორსკის მიერ დამონმებულ ნაშრომში ის, მართალია, აღნიშნავდა, რომ “Весь район Военногрозинской дороги входил в сферу расселения чеченских (ингушских) племен, ныне разделяющих свое пребывание здесь с осетинами и грузинами-мохевцами”,⁴⁹ მაგრამ არაფერს წერდა კონკრეტულად ნანართა ვაინახური წარმომავლობის შესახებ. ჩვენთვის უცნობია მისი არგუმენტები ამის თაობაზე ვ. მინორსკისადმი გაგზავნილ წერილში, მაგრამ უალრესად საეჭვოა, მოეტანა რაიმე მნიშვნელოვანი საბუთი. **მსგავსი რამ არ არსებობს.** რამდენადაც ვიცით,

⁴⁴ Н. Я. Марр. К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа. – *Известия императорской Академии Наук*, 1916, გვ. 1397-1398; А. Н. Генко. Из культурного прошлого ингушей. – *Записки коллегии востоковедов*. 1930, V, გვ. 711; აგრეთვე 1936 წლის 24 მარტით დათარიღებული ა. გენკოს წერილი ვ. მინორსკისადმი.

⁴⁵ V. Minorsky. *A History of Sharvan and Derbend*. Cambridge, 1958, გვ. 162, შებ.1; В. Минорский. *История Дербенда и Ширвана X-XI веков*. М., 1963, გვ. 210-11.

⁴⁶ Н. Я. Марр. *К истории передвижения яфетических народов*, გვ. 1397.

⁴⁷ Н. Я. Марр. Племенной состав населения Кавказа. – *Труды комиссии по изучению племенного состава населения России Российской Академии Наук*, 3, Петроград, 1920, გვ. 19.

⁴⁸ Н. Я. Марр. Из поездок в Сванетию. – *Христианский Восток*, II/1, 1913, გვ. 32.

⁴⁹ А. Н. Генко. *Из культурного прошлого ингушей*, გვ. 706.

წანართა შესახებ ა. გენკოს ბეჭდური სახით თავისი თვალსაზრისი არ დაუფიქსირებია.

ვ. მინორსკი, ჩვეულებივ, უაღრესად ზუსტი და კეთილსინდისიერია სხვათა პუბლიკაციების ციტირებისას, მაგრამ ამ შემთხვევაში იმავეს ვერ ვიტყვით. ამასთან, არც ის უნდა დაგვაინყდეს, რომ თავის მოსაზრებას წანართა შესახებ ვ. მინორსკი ვარაუდის დონეზე გამოთქვამდა. მაგრამ ამ გამოჩენილი ორიენტალისტის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ მისი ეს ვარაუდი, გადამონმების გარეშე, ფართოდ გავრცელდა სამეცნიერო ლიტერატურაში. ის აისახა „ისლამის ენციკლოპედიის“ ახალ გამოცემაში, კ. ბოსვორთის ერთ-ერთ სტატიაში⁵⁰ და, განსაკუთრებით, საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. ამასთან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ვ. მინორსკის ზოგჯერ ისეთი რამეც მიანერეს, რაც მას არ უთქვამს.

1972 წელს ა. მკრტუმიანი კახეთის სამთავროს წარმოშობისადმი მიძღვნილ წერილში წერდა, რომ, ქართველური ტომების გარდა, კახეთში ცხოვრობდნენ ვაინახური ჯგუფის ტომებიც (ალბათ, წანარები, გარდაბნელები, თუშები და სხვ.).⁵¹ აშკარაა, მან იცოდა ვ. მინორსკის თვალსაზრისი, მაგრამ არ დაიმონმა. სამაგიეროდ, დაიმონმა ა. გენკოს ზემოხსენებული ნაშრომი, თუმცა, არ მიუთითა შესაბამისი გვერდი, რადგან ეს, უბრალოდ, შეუძლებე-

⁵⁰ C. Bosworth. al-Kabk. – *EP*, vol. IV გვ. 345 (It is possible that they were ethnically related to the Cecens, even though in Mas'udi's time they allegedly claimed descent from the North Arabian tribe Ukayl. დასახელებულია ალ-მას'უდის *მურუჯ..*, II, 67); კიდევ ერთ სტატიაში, რომლის ავტორები არიან ვ. მინორსკი და კ. ბოსვორთი, ფაქტობრივად კი – ბოსვორთი, აღნიშნულია, რომ ნ. ი. მარის ჰიპოთეზის თანახმად, წანარები იდენტურნი არიან თანამედროვე თუშებისა, რომელთა ენაც ჩეჩნურის მონათესავეა (წანარები “According to the hypothesis of N. Y. Marr, were identical with the modern T'ush, whose language is related to that of the Cecens”. V.Minorsky. [C. Bosworth]. al-Kurdj. – *EP*, vol. V, გვ. 487). მაგრამ ნ. მარის აქ დამონმებულ ნაშრომში (*К истории передвижения яфетических народов*, გვ. 1397 და შმდ.) საუბარია მხოლოდ თუშურის სიახლოვეზე მეგრულ და ქანურ ენებთან; რომ თუშები ცხოვრობდნენ სადღაც სამხრეთში, ქანების ან მეგრელების მახლობლად და შემდეგ განდევნეს ჩრდილოეთით, კავკასიის მთებში; და რომ სწორედ ამ რაიონში, შედარებით ახლო წარსულში, უკვე არაბების დროს, VIII–IX საუკუნეებში ცხოვრობდნენ წანარები, რომლებიც, სახელწოდების მიხედვით, მიეკუთვნებოდნენ შიშინა ჯგუფს. თუ რას გულისხმობდა ნ. მარი „შიშინა ჯგუფში“, ზემოთ უკვე ითქვა. ნ. მარის მსჯელობა შეესაბამებოდა მის მიერ ჩამოყალიბებულ იაფეტურ თეორიას.

⁵¹ А. Г. Мкртумян. К вопросу об образовании феодального княжества Кахетии. – *Историко-филологический журнал Армении*, 1972, №1, გვ. 231. ა. მკრტუმიანის თვალსაზრისი, კახეთის მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელის შესახებ, რომელიც მის სხვა ნაშრომშიც არის გამეორებული (А. Г. Мкртумян. *Грузинское феодальное княжество Кахетии*), მართებულად გააკრიტიკა მ. ლორთქიფანიძემ. М. Лордкипანიძე. *Возникновение новых феодальных государств*, გვ. 256, შენ. 37.

ლი იყო. როგორც ითქვა, ა. გენკო წანართა წარმომავლობაზე კონკრეტულად აქ არაფერს წერდა.

1973 წელს წანართა საკითხს შეეხო ნ. ვოლკოვა, ჩრდილოეთი კავკასიის ეთნონიმებისა და ტომობრივი სახელწოდებებისადმი მიძღვნილ ნაშრომში. მან აღნიშნა, რომ არ არსებობს პირდაპირი ცნობები წანართა ენობრივი კუთვნილების შესახებ, რაც შეუძლებელს ხდის დავუკავშიროთ ეს ხალხი ვაინახების, დალესტნელების ან ქართველების წინაპრებს. კავკასიის ამ ნაწილის ეთნიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში მხოლოდ იმის ვარაუდი შეიძლება, რომ წანარები ლაპარაკობდნენ ერთ-ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაზე. აქვე ვოლკოვა წერდა, რომ წანართა ვაინახური წარმომავლობის იდეა ეკუთვნის ვ. მინორსკის, რომელმაც ალ-მას'უდის ტექსტის კომენტარებისას აღნიშნა, ქართულად წანარი მამაც მთიელებს ნიშნავს⁵² და დაიმონმა ვ. მინორსკის ნაშრომის „შარვანისა და დარუბანდის ისტორიის“ რუსული თარგმანი. აქ კურობთან გვაქვს საქმე. ვ. მინორსკის ნაშრომში მოტანილია არაბული *ას-სანარიას* ქართული შესატყვისი წანარი და განმარტება, რომ ეს ხალხი მამაცი მთიელებია.⁵³ იგივე კარგად ჩანს ამ ნაშრომის ინგლისურ ორიგინალშიც: „Sanariyya...In Georgian Tsanar. The spirited mountainer”.⁵⁴ სხვაგან, „ჭუდუდ ალ-ალემის“ ინგლისური თარგმანის კომენტარებში, ვ. მინორსკიმ სპარსული *სანარის* სომხურ შესატყვისად მოიტანა *Tsanark* და აღნიშნა, რომ წანარები არიან „spirited Christian people”.⁵⁵

ნ. ვოლკოვამ, გარდა ამისა, კიდევ ერთი „აღმოჩენა“ მოახდინა. მან დამატებით მიუთითა,⁵⁶ რომ ვ. ბარტოლდმა „ჭუდუდ ალ-ალემის“ ხელნაწერის კომენტარებისას გამოთქვა მოსაზრება წანარებისა და ჩრდილოეთ დალესტნის ხალხთა გენეტიკურ ნათესაობაზე. ვ. ბარტოლდის ეს ნაშრომი⁵⁷ დამონმებულია სათანადო გვერდის გარეშე. ამის მიზეზი კი ისაა, რომ, ვ. ბარტოლდს აქ საერთოდ არ უხსენებია წანარები. ქვემოთ ვნახავთ, რომ ვოლკოვას „მიგნებები“ უყურადღებოდ არ დარჩენილა.

წანართა საკითხს რამდენჯერმე შეეხო ა. ნოვოსელცევი. 1972 წელს ის ფიქრობდა, რომ „წანარები, შესაძლოა, ეკუთვნოდნენ ვაინახებს და ენათესავებოდნენ თუმებს“.⁵⁸ 1984 წელს ა. ნოვოსელცევი აღნიშნავდა, რომ „წა-

⁵² Н. Волкова. *Топонимы и племенные названия Северного Кавказа*. М., 1973, გვ. 124-126.

⁵³ В. Минорский. *История Дербенда и Ширвана*, გვ. 210-111, შენ. 100.

⁵⁴ V. Minorsky. *A History of Sharvan and Derbend*, გვ. 162, შენ. 1.

⁵⁵ Hudud al-'Alam, გვ. 400.

⁵⁶ Н. Волкова. *Топонимы...*, გვ. 126.

⁵⁷ Худуд ал-алам. Рукопись Туманского. Введение и указатели В. В. Бартольда. Л., 1939.

⁵⁸ А. П. Новосельцев. В. Т. Патушо. Л. В. Черепнин. *Пути развития феодализма*. М., 1972, გვ. 40.

წართა ეთნიკური კუთვნილება დღემდე სადავოა“,⁵⁹ 1990 წელს კი წერდა: „წანართა ეთნიკურ წარმომავლობასა და მათ ტერიტორიაზე მიმდინარეობს დავა. ზოგიერთი მეცნიერი (დამონმებულია ვ. მინორსკი, გ. მკრტუმიანი, თავად ა. ნოვოსელცევი) მათ თვლის კავკასიურ, შესაძლოა, ჩეჩნებთან და ინგუშებთან ახლომდგომ ტომად. თუმცა, წანარები IX–X საუკუნეებში მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი კახეთთან, არ არსებობს საფუძველი გავაიგივოთ მათი ტერიტორია ამ აღმოსავლურ ქართულ ოლქთან, ყოველ შემთხვევაში, IX ს-ში მაინც. მოგვიანებით ისინი თანდათან შეერწყნენ ქართველებს“.⁶⁰ თუ რის საფუძველზე გახდა სადავო წანართა ეთნიკური წარმომავლობა, ამის შესახებ ზემოთ იყო საუბარი და ა. ნოვოსელცევის სიტყვებს კომენტარს აღარ გავუკეთებთ.

ქართველი მკვლევრები არ იზიარებენ წანართა ვაინახური წარმომავლობის თვალსაზრისს. მაგრამ, სამწუხაროდ, არ ყოფილა მისი კრიტიკული განხილვის სერიოზული ცდა. ამასთან, როგორც ვნახავთ, ეს თვალსაზრისი „გამდიდრდა“ ახალი დეტალებით.

1982 წელს დაიბეჭდა თ. პაპუაშვილის მონოგრაფია „რანთა და კახთა სამეფო“, რომელშიც მკვლევარი ეხება წანართა ვაინახური წარმომავლობის თვალსაზრისსაც. თ. პაპუაშვილი, სრულიად მოულოდნელად, მას მიანერს ა. გენკოს (რომელსაც ამ საკითხზე, როგორც ვნახეთ, არაფერი დაუბეჭდავს). ის წერს: „ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც წანარების წარმოშობის იდეა წამოაყენა, იყო ა. გენკო. იგი არა მარტო წანარებს მიიჩნევდა ჩეჩნურ-ინგუშური წარმოშობის ტომად, არამედ თავის ნაშრომში⁶¹ ყოველგვარი მტკიცებისა და საბუთების მოტანის გარეშე, საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მოზინადრე მოსახლეობაზე ლაპარაკობს, როგორც ვაინახური მოდგმის ხალხზე“.⁶² მკვლევარმა არც ვ. ბარტოლდი დაივინყა: „ვ. ბარტოლდმა, მუშაობდა რა X ს. სპარსული წყაროს „ჰუდუდ ალ-ალემის“ ხელნაწერზე, ყურადღება მიაქცია მასში მოხსენიებულ ეთნონიმ „წანარს“ და გამოთქვა მოსაზრება, რომ წანარებს გარკვეული გენეტიკური კავშირი უნდა ჰქონოდათ ჩრდილო დაღესტნის ხალხებთან“. ამ მსჯელობის წყარო, რა თქმა უნდა, ნ. ვოლკოვაა, მაგრამ აქვე, ნ. ვოლკოვასგან განსხვავებით, დამონმებულია ვ. ბარტოლდის შრომის შესაბამისი პასაჟის 33-ე გვერდი, რომელშიც ასევე არაფერია ნათქვამი წანარებზე. თ. პაპუაშვილი

⁵⁹ А. П. Новосельцев. Страны Закавказья и Хазария в VIII- первой половине IX в.– კრ. სა, თბ., 1984, გვ. 193.

⁶⁰ მისივე. *Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа*. М., 1990, გვ. 107.

⁶¹ დამონმებულია: А. Н. Генко. *Из культурного прошлого...*

⁶² ნ. პაპუაშვილი. *რანთა და კახთა სამეფო*. თბ., 1982, გვ. 36.

განაგრძობს: „წანართა ეთნიკური წარმომავლობის ძიების ახალი ეტაპი შექმნა ვ. ფ. მინორსკიმ. არაბულ წყაროებში (მასუდთან) მოხსენიებულ ეთნონიმ „წანარზე“ მუშაობის პროცესში მან წამოაყენა ამ ეთნიკური ტერმინის ვაინახური წარმოშობის იდეა. უკეთებდა რა კომენტარს მასუდის ტექსტს, იგი აღნიშნავდა: „ქართულად „წანარ“ ნიშნავს ვაჟკაცურ მთიელებს, რომელნიც ცხოვრობდნენ კავკასიონის გადასასვლელთან, ხოლო უფრო მოგვიანებით მათ გააფართოვეს თავიანთი სამფლობელოები აღმოსავლეთით, კახეთში. მასუდი მათ თვლის შაქის მეზობლად, ე. ი., იგი ურევს მათ კახელებში, რაც არ არის სწორი. საკუთრივ წანარები, განაგრძობს ვ. მინორსკი, **უთუოდ** (გამოყოფილია ჩვენ მიერ - გ.ჯ.) უნდა იყვნენ ჩეჩნური წარმოშობისანი“.⁶³ ამ შემთხვევაში ვ. მინორსკი არ არის კორექტულად დამონებული. წანარის მნიშვნელობასთან დაკავშირებით მას მიეწერება ის, რაც არ უთქვამს და გარდა ამისა, მისი ვარაუდი იმის თაობაზე, რომ „წანარების ძირითადი ბირთვი **ალბათ** იყო ჩეჩნური წარმომავლობის“ (იხ. ზემოთ), წარმოდგენილია კატეგორიულად, რადგანაც სიტყვა „ალბათ“ (რუს. вероятно) შეცვლილია სიტყვით „**უთუოდ**“.

წანართა ვაინახური წარმოშობის შესახებ ა. გენკოს (როგორც ზემოთ გაიჩვენა, არარსებულ) თვალსაზრისზე მსჯელობენ ჯ. გვასალია,⁶⁴ თ. მიბჩუანი და ბ. სილაგაძე. თ. მიბჩუანიც იმონებებს ვ. ბარტოლდის ზემომოტანილ (ასევე არარსებულ) თვალსაზრისს.⁶⁵ ბ. სილაგაძე წერს, რომ „გენკოს ვარაუდით, წანარები ჩეჩნურ-ინგუშური წარმოშობის და შემდეგ გაქართველებული ხალხია“ და რომ „ამ თეორიის ზეგავლენით ვ. მინორსკისაც მიაჩნია, რომ წანარები **ჩერქეზული** (გამოყოფილია ჩვენ მიერ - გ.ჯ.) წარმოშობისანი არიან“.⁶⁶ ამრიგად, ვ. მინორსკის წანართა ჩერქეზული წარმომავლობის თვალსაზრისიც მიაწერეს. მაგრამ ქართველი მკვლევრები, როგორც ითქვა, ვაინახური თეორიის მონინაალმდეგეები არიან⁶⁷.

როგორც ვნახეთ, წანართა ვაინახური წარმომავლობის თვალსაზრისი,

⁶³ იქვე.

⁶⁴ Дж. Гвасалия. *Историческая география Восточной Грузии*. Тб., 1991, გვ. 155.

⁶⁵ თ. მიბჩუანი. *დასავლეთ საქართველოს...*, გვ. 208.

⁶⁶ ბ. სილაგაძე. *არაბთა ბატონობა...*, გვ. 126.

⁶⁷ 1988 წელს მოსკოვში ჩრდილოეთი კავკასიის ხალხების ისტორიის შესახებ გამოცემულ კოლექტიურ წარმშში, იქ, სადაც განხილულია ვაინახთა ისტორია (*История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в.*, М., 1988., გვ. 151-152), წანარებთან ვაინახების რაიმე კავშირი არ იხსენიება. მაგრამ, უკანასკნელ ხანებში, ჩეჩნურ-ინგუშურ სამეცნიერო და არასამეცნიერო წრეებში, სრულიად დაუსაბუთებლად, მაგრამ დაჟინებით, აცხადებენ წანართა ვაინახური მოდგმის შესახებ. არის ცდები წანარებისა და ოსების გაიგივებისა. ყოველივე ამის თაობაზე საკმაოდ დიდი ინფორმაციაა ინტერნეტის საიტებზე, რასაც ახლო მომავალში განვიხილავთ.

რომელიც ვარაუდის დონეზე გამოთქვა ვ. მინორსკიმ, არ ეფუძნება მყარ საფუძველს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის მიერ დამონმებულ ნაშრომებში არ არის საუბარი წანარებზე, არამედ იმის გამოც, რომ **არ არსებობს რაიმე უეჭველი საბუთი წანართა არაქართული წარმოშობის თაობაზე**. სამწუხაროდ, ვ. მინორსკის თვალსაზრისი (მიუხედავად იმისა, იღებენ თუ უარყოფენ მას) წლების მანძილზე უკრიტიკოდ გადადის ნაშრომიდან ნაშრომში. ეს გარემოება ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც აუცილებელია წინამორბედ ავტორთა ზუსტი ციტირების დროს.

ABOUT THE TSANARS

It is acknowledged in Georgian historiography that the east Georgian tribe of Tsanars originally populated the territory of Tsanaretis Khevi (mod. Khevi), the Daryal Gorge. From the middle of the 8th century they became active on the political scene of Eastern Georgia, emerging as the initiators of uniting Kakheti and waging struggle against the Arabs. The meaning of “Tsanareti” gradually expanded, spreading to the “Mtiuleti” of Kakheti, the entire Kakheti, and occasionally designating the lands tied to Kakheti.

The Tsanars appear both in Georgian and foreign narrative sources under the name of as-Sanaria. They are often referred to by Arab authors; historians, geographers and lexicographers (al-Baladhuri, al-Ya‘kubi, al-Tabari, Ibn A‘sam al-Kufi, Ibn al-Fakih al-Hamadhani, Ibn Khordadbeh, al-Istakhri, Ibn Haukal, al-Mas‘udi, al-Dimashki, Ibn Mandhur and others). Their evidence is studied in the first part of this paper.

The second part of the paper deals with the hypothesis on the Veinakh (Chechen-Ingush) provenance of the Tsanars, advanced by V. Minorsky (in *Hudud al-‘Alam. The Regions of the World. A Persian Geography, 372 AH-982 AD*. Translated and explained by V. Minorsky. London, 1937, p.402; V. Minorsky. *A History of Sharvan and Darband*. Cambridge, 1958, p. 162, n. 1). This hypothesis is repeated in the works of various authors without any substantiation. It is shown that Minorsky’s hypothesis is based on the works of N. Y. Marr and A. N. Genko (Н. Марр. К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа. – *Известия имп. Академии Наук*, X, 12, 1916, с. 1397-98; А. Н. Генко. Из культурного прошлого ингушей. – *Записка коллегии востоковедов*. IV, 1930, с. 706) who generally discuss the movement and settlement of Kartvelian and Veinakh tribes in the area of the Georgian Military Road, but actually nothing is said about the Veinakh origin of the Tsanars. Furthermore, N. Marr assigned the Tsanars to the Georgian tribes of Svans (Н. Марр. Из поездок в Сванетию. – *Христианский Восток*. II, 1, с. 32).

ერთი ტოპონიმის იდენტიფიკაციის შესახებ იაჰია ანტიოქიელის „ისტორიაში“*

ქრისტიანი არაბი ისტორიკოსის, იაჰია იბნ სა'იდ ალ-ანტაქის, იმავე იაჰია ანტიოქიელის¹ (გარდ. 1066 წ.), „ისტორია“ ითვლება მნიშვნელოვან წყაროდ X–XI საუკუნეების პირველი მესამედის სირია-მესოპოტამიის, ფატიმიანთა ეგვიპტისა და ბიზანტიის ისტორიის შესასწავლად. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ის შეიცავს საინტერესო ცნობებს საქართველო-ბიზანტიისა და საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობათა შესახებაც.

1883 წელს ვ. როზენმა პირველად გამოსცა იაჰია ანტიოქიელის თხზულების ის ნაწილი, რომელიც ბიზანტიის იმპერატორ ბასილი I-ის (976–1025) მოღვაწეობას ეხება.² არაბულ ტექსტს მან დაურთო რუსული თარგმანი, გამოკვლევა და ვრცელი შენიშვნები.³

„ისტორიის“ სრული ტექსტი, რომელიც 425/1034 წლამდე მოდის,⁴ 1909 წ. დაბეჭდეს ლ. შეიხომ, ბ. კარა დე ვომ და ჰ. ზაიათმა. 1924 წ. ე. კრაჩკოვ-

* პირველად დაიბეჭდა 1986 წ. – *მაცნე* (იაეხის), №1, გვ. 83–87; რუსულად: Об отождествлении одного топонима в истории Яхьи Антиохийского. – Сб. *Восточное источниковедение и специальные исторические дисциплины*. Вып. V, М., 1997, გვ. 78–83.

¹ იაჰია ანტიოქიელის შესახებ იხ. Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхьи Антиохийского, издал, перевел и объяснил В.Р. Розен. СПб, 1883, გვ. 09–057; M. Canard. *al-Antaki, Yahya b. Sa'id b. Yahya*. – *EP*, vol. I, გვ. 516; *სინ*, ტ. III, თბ., 1979, გვ. 38–39; ბ. სილაგაძე. იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს-ის ბოლო მეოთხედსა და XI ს-ის პირველ მეოთხედში. – *ქს*, VI, თბ., 1985, გვ. 108–109.

² Император Василий Болгаробойца (ეს ნაშრომი 1972 წ. ხელახლა გამოიცა პარიზში – M. Canard-ის წინასიტყვაობით).

³ იაჰია ანტიოქიელის თხზულების სრული თარგმანი მ. როშჩინის ინფორმაციით დაცულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქივში, ვ. როზენის ფონდში. იხ. М. Ю. Рошин. „Люди Писания“ в государственной структуре фатимидского Египта. – Сб. *Государственная власть и общественно-политические структуры в арабских странах*. М., 1984, გვ. 17, შენ. 2.

⁴ Eutychiei Patriarchae Alexandrini. *Annales*. Pars posterior accedunt Annales Yahia Ibn Saïd Antiochensis. Conjuncta Opera ediderunt L.Cheikho, B.Carra de Vaux, H.Zayyat. Corpus Scriptorum Christianorum Orientalium. Scriptores Arabici. Series tertia. Tomus-VII. Beruti-Parisis, 1909 (შემდეგ: იაჰია ანტიოქიელი, 1909), გვ. 91 და შმდ. სავარაუდოა, რომ, თავდაპირველი სახით, ეს თხზულება მოდიოდა 458/1066 წლამდე. Император Василий Болгаробойца., გვ. 054–055; M. Canard. *al-Antaki*, გვ. 516.

სკიმ და ა. ვასილიევმა დაიწყეს ამ თხზულების ახალი, მეცნიერული გამოცემა ფრანგული თარგმანითურთ,⁵ რაც, სამწუხაროდ, არ დასრულდა და შეწყდა 404/1013-14 წლის ამბებზე.

იაპია ანტიოქიელის ცნობები საქართველოს შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში შევიდა ვ. როზენის გამოცემის⁶ მიხედვით. ეს ცნობები სათანადოდ არის შესწავლილი და შეფასებული ქართველ მკვლევართა მიერ⁷ და ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. შევჩერდებით მხოლოდ ერთ ტოპონიმზე, რომელსაც არაბი ისტორიკოსი სამჯერ იხსენიებს დიდი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის დავით III კურაპალატის მოღვაწეობასთან დაკავშირებით და რომლის მნიშვნელობაც დაზუსტებას მოითხოვს. არაბული გრაფიკით ეს ტოპონიმი არის اليت.

იაპია ანტიოქიელის თანახმად (ე. კრაჩკოვსკის და ა. ვასილიევის კრი-

⁵ Histoire de Yahya-Ibn-Sa'ïd d'Antioche continuateur de Sa'ïd-ibn-Bitriq. Éditée et traduite en Français par I. Kratchkovsky et A. Vasiliev. Fasc. I. PO, t. 18, fasc. 5, Paris, 1924, გვ. 701-833; Fasc. II. – PO, t. 23, fasc. 3, Paris, 1932, გვ. 349-520 (შემდეგ: Histoire de Yahya-Ibn-Sa'ïd d'Antioche, fasc. II). ამ გამოცემის შესახებ იხ. И. Ю. Крачковский. Предисловие к кн. История Йахьи ибн Са'ида Антиохийского. – И. Ю. Крачковский. *Избранные сочинения*. т. 6, М.-Л., 1960, გვ. 460-462.

⁶ Император Василий Болгаробойца... არაბული ტექსტი, გვ. 22, 25, 29, 58-60, 61, 70. რუსული თარგმანი, გვ. 24, 27, 41, 61-63, 65, 70. ვ. როზენის გამოცემაზე დაყრდნობით, ეს ცნობები არაბულიდან ქართულად თარგმნა და კომენტარებითურთ დაბეჭდა ბ. სილაგაძემ (დასახ. ნაშრ., გვ. 114-120). იაპია ანტიოქიელის „ისტორიის“ 1909 წ. გამოცემის გაცნობამ გვიჩვენა, რომ ვ. როზენის ნაშრომში, რომელიც, ძირითადად, იმპერატორ ბასილი II-ის მოღვაწეობით იფარგლება, არ შევიდა რამდენიმე ცნობა საქართველოს შესახებ, მათ შორის, იმპერატორ ბასილი II-ის ძმისშვილზე ბაგრატ IV-ის ქორწინების თაობაზე (იაპია ანტიოქიელი, 1909, გვ. 252).

⁷ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II, თბ., 1983, გვ. 128, 130, 134-135; ვ. გაბაშვილი. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.). – *თსუ შრომები*, ტ. 125, 1965, გვ. 55-81; ო. ცქიტიშვილი. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში. – *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, 1968, №4, გვ. 115-133; ვ. კოპალიანი. *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში*. თბ., 1969, გვ. 7, 29-31, 36, 52-53 და შმდ.; მ. ლორთქიფანიძე. ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო“). – *სინ*, ტ. II, თბ., 1973, გვ. 479-181; მისივე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს-ის 80-იანი წლებიდან XI ს-ის 80-იან წლებამდე. – *სინ*, ტ. III, თბ., 1979, გვ. 174-179; შ. ბადრიძე. საქართველო და ბიზანტია. – შ. ბადრიძე. *საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან*. თბ., 1984, გვ. 57-73; Н. Ломоури. К истории восстания Варды Склира. – *თსუ შრომები*, 1957, ტ. 67, გვ. 36, 40; М. Лордкипанидзе. Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X-XI вв. – კრ. *საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები*, ტ. II, თბ., 1972, გვ. 35, 36; Sh. Badridze. Contribution à l'histoire des relations entre le Tao et Byzance (Les années 70 du X siècle). *Insurrection de Barda Skleros*. – *Bedi Kartlisa*. t. XXXIII, Paris, 1975, გვ. 162-203 და სხვ.

ტიკული გამოცემის მიხედვით), 987 წ. იმპერატორ ბასილის წინააღმდეგ აჯანყებულმა ბარდა ფოკამ⁸ დახმარება სთხოვა ქართველთა მეფეს, ქალაქ ალ-ს მფლობელს⁹ (საჰიბ) - დავითს.

ბარდა ფოკას აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ბასილმა შერისხა დავითი, ქართველთა მეფე (*მალექ ალ-ჯურზან*), ალ-ს მფლობელი¹⁰ და დასასრულ, დავით კურაპალატი გარდაიცვალა ქალაქ ალ-ში.¹¹

იაჰია ანტიოქიელის „ისტორიის“ ზოგიერთ ნუსხაში ალ-ს ნაცვლად გვხვდება ალ-ი¹² და ალ-ც.¹³ 1909 წ. გამოცემაში უპირატესობა ენიჭება ალ-ი ფორმას,¹⁴ ვ. როზენის, ე. კრაჩკოვსკისა და ა. ვასილიევის გამოცემებში კი - ალ-ს, რომელსაც გვადღევს ამ თხზულების ნუსხათა უმრავლესობა.

ალ-ს იაჰია ანტიოქიელის თხზულებაში გაუხმოვანებელია. ვ. როზენი მას კითხულობდა როგორც ალ-თაი-ს.¹⁵ მართალია, მან დაუშვა ანი-დ (ანი) ნაკითხვის შესაძლებლობაც, მაგრამ შემდეგ ისევ ალ-თაი-ს მიანიჭა უპირატესობა¹⁶. მისი აზრით, უფრო სწორია „ისტორიის“ ის ადგილი, სადაც დავითი დასახელებულია, უბრალოდ, ალ-თაისა და არა ქალაქ ალ-თაის მფლობელად. ალ-თაი არის ქვეყანა, ოლქი და არა ქალაქი. ის გაიგივებულია ტაოსთან. მკვლევარი ამის თაობაზე წერდა: “Под Давидом царем Грузии, владетелем города ал-Тай подразумевается без сомнения Давид, куропалат тайский ...Что ал-Тай здесь назван “городом”, а не областью или страной, ошибка уже самого автора, тем более простительная, что другим арабам это имя было и осталось совершенно неизвестным”.¹⁷

ვ. როზენის შრომის საძიებელში ალ-თაისთან დაკავშირებით წერია:

⁸ ბარდა ფოკას აჯანყებისა და მასში დავით კურაპალატის მონაწილეობის შესახებ იხ. შ. ბადრიძე. *საქართველო და ბიზანტია*, გვ. 67-68; მ. ლორთქიფანიძე. *ტაო-კლარჯეთი*, გვ. 480-481; *История Византии*. II. М., 1967, გვ. 218-219.

⁹ *Histoire de Yahya-Ibn-Sa'id d'Antioche*, fasc. II, გვ. 424; შდრ. Император Василий Болгаробойца..., არაბული ტექსტი, გვ. 22.

¹⁰ *Histoire de Yahya-Ibn-Sa'id d'Antioche*, fasc. II, გვ. 429. ზოგიერთ ნუსხაში (იქვე, შენ. 5) ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ქალაქია (*მადინა*).

¹¹ *Histoire de Yahya-Ibn-Sa'id d'Antioche*, fasc. II, გვ. 460; შდრ. Император Василий Болгаробойца..., არაბული ტექსტი, გვ. 39.

¹² *Histoire de Yahya-Ibn-Sa'id d'Antioche*, fasc. II, გვ. 429, შენ. 6; გვ. 460, შენ. 7.

¹³ იქვე, გვ. 429, შენ. 6.

¹⁴ იაჰია ანტიოქიელი (1909), გვ. 170. სხვა შემთხვევებში ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ამ გამოცემის ძირითად ტექსტში არ შედის. ის შეტანილია ვარიანტებში (იქვე, გვ. 168, შენ. 11; გვ. 184, შენ. 3).

¹⁵ Император Василий Болгаробойца..., რუსული თარგმანი, გვ. 24, 25, 41.

¹⁶ იქვე, არაბული ტექსტი, გვ. 22, შენ. 17; გვ. 71, *Corrigenda*.

¹⁷ Император Василий Болгаробойца..., გვ. 208, შენ. 160.

შდრ. ტაიკი, ტაიკის პროვინცია.¹⁸ იაჰია ანტიოქიელის თხზულების არაბულ ტექსტზე დართულ „კორიგენდაში“, ასევე, გატარებულია ალ-თაისა და ტაოს იგივეობის თვალსაზრისი.¹⁹

التي-ს როზენისეული ნაკითხვა ე. კრაჩკოვსკიმ და ა. ვასილიევმა უცვლელად დატოვეს იაჰია ანტიოქიელის „ისტორიის“ ფრანგულ თარგმანში.²⁰ ბ. სილაგაძის მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანში კი التي-ს შეესაბამება ტაო.²¹

არაბული წყაროების შესწავლა ამჟამად საფუძველს გვაძლევს, გადავსინჯოთ التي-ს ტრადიციული ნაკითხვა-იდენტიფიკაციის საკითხი. ირკვევა, რომ ეს სახელწოდება სრულიადაც არ იყო უცნობი არაბი ავტორებისთვის, როგორც ამას ვ. როზენი აღნიშნავდა. التي-ს იხსენიებენ XIII ს. არაბი გეოგრაფი იაკუთი²² და ისტორიკოსი მუჰამმად ალ-ჰამავი.²³ التي-ს ფორმით ის დამონმებულია XIII-XIV საუკუნეების ისტორიკოსების ალ-იუნინისა²⁴ და იბნ ად-დავადარის²⁵ შრომებშიც.

XIII საუკუნის გეოგრაფის იაკუთის „გეოგრაფიულ ლექსიკონში“, რომელიც ვ. როზენის დროს უკვე დიდი ხნის გამოცემული იყო, ეს ტოპონიმი გახმოვანებულია და იკითხება როგორც ულთა.²⁶ ულთა კი იგივეა, რაც ოლთისი – ტაოს, სამხრეთ საქართველოს ცნობილი ქალაქი, რომლის წარმოშობაც, ქართველი მკვლევრების თანახმად, IX-X საუკუნეებს უკავშირდება.²⁷

ამრიგად, იაჰია ანტიოქიელი არ ცდებია, როცა التي-ს ქალაქს უწოდებდა.

¹⁸ იქვე, გვ. 439.

¹⁹ იქვე, Corrigenda, გვ. 71.

²⁰ Histoire de Yahya-Ibn-Sa'id d'Antioche, fasc. II, გვ. 424, 429, 460; В.П. Степаненко. К датировке получения сана куропалата Давидом II, Багратидом Тао. – *თსუ შრომები* (ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია), ტ. 227, თბ., 1982, გვ. 76.

²¹ ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 115.

²² Jacut's geographische Wörterbuch. Hrsg. von Ferd. Wüstenfeld.. Bd. I, Leipzig, 1866, გვ. 350. იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ., I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ. თბ., 1963, გვ. 17.

²³ მუჰამმად ალ-ჰამავი. *თა'რიხ ალ-მანსური*, აბუ ლ-იდ დუდუს რედ. დიმაშკ, 1302/1982, გვ. 209, 213.

²⁴ ალ-იუნინი. *ზაღლ მირ'ათ აზ-ზამან*, II, ჰაიდარაბად, 1955, გვ. 410; 3. М. Буниятов. Материалы по истории Грузии в сочинении Кутб ад-Дина ал-Йунини “Зайл мир'ат аз-заман”. – *მაცნე* (იაცხის), 1972, №4, გვ. 130, 131.

²⁵ Die Chronik des Ibn ad-Dawadari. Achter Teil. Der Bericht über die frühen Mamluken. Hrsg. von U. Naarmann. Kairo, 1971, გვ. 141 (შემდეგ: იბნ ად-დავადარი).

²⁶ იაკუთის ცნობები., გვ. 17; Арабские источники об Армении и сопредельных странах (Йакут ал-Хамави, Абу-л-Фида, Ибн Шаддад). Составил А.Т. Налбандян. Ереван, 1956 (სომხურ ენაზე. რუსული სათაური წიგნზე მოთავსებულია სომხურის პარალელურად), გვ. 21, 136, №29.

²⁷ Ш. Месхия. *Города и городской строй феодальной Грузии*. Тб., 1959, გვ. 37; *სინ*, ტ. II, გვ. 349; მ. გაბაშვილი. *საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში*. თბ., 1981, გვ. 29.

მას მხედველობაში აქვს ულთა, ოლთისი და არა ტაო. რამდენადაც ვიცით, არაბულ წყაროებში ეს ოლთისის ყველაზე ადრეული მოხსენიებაა.²⁸

ألتا-ს მნიშვნელობის გარკვევის შემდეგ იაჰია ანტიოქიელის ზემომოტანილი ცნობები ახალ შინაარსს იძენს. ირკვევა, რომ დავით კურაპალატი გარდაცვლილა ოლთისში,²⁹ რაც სხვა (ქართულ და სომხურ) წყაროებში აღნიშნული არ არის. გარდა ამისა, საყურადღებოა ისიც, რომ დავითი ულთა/ოლთისის მფლობელად (საჰიბ) იწოდება. არაბულ წყაროებში არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ხელმწიფეს მისივე სატახტო ქალაქის მფლობელად იხსენიებენ ხოლმე. ასე, მაგალითად, კილიკიის სომხეთის მეფეები სატახტო ქალაქის – სისის მიხედვით სისის მფლობელად (საჰიბ სის), ხოლო ალმოჰადიანთა (მალრიბში) სახელმწიფოს გამგებელი აბუ ჰაფს მურთადა (1248-1266) თავისი რეზიდენციის – მარაქიმის მიხედვით მარაქიმის მფლობელად (საჰიბ მარაქიმ) იწოდებოდა³⁰ და სხვ. ამ მაგალითების გათვალისწინებით, ოლთისიც სატახტო ქალაქად იგულისხმება, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ეს ქალაქი იყო დავით კურაპალატის რეზიდენცია და იმიერტაოს პოლიტიკური ცენტრი.³¹

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ სახელწოდება ტაო იაჰია ანტიოქიელისათ-

²⁸ ოლთისი დამონმებულია სომხურ, სპარსულ და თურქულ წყაროებშიც. სომხურ წყაროებში, კ. თუმანოვის თანახმად, ის პირველად გვხვდება XI ს-ის ისტორიკოსთან ასოლიკთან (C. Toumanoff. *Studies in Christian Caucasian History*. Georgetown University Press, 1963, გვ. 455) უხტიკის (შდრ. ზემოხსენებული არაბ. ألتა/უქთი) ფორმით. სპარსულენოვან ისტორიკოსთან იბნ ბიბისთან (Akhbar-e Seljuq-e-ye Rum. The Historical Texts about the Seljuqs in Asia Minor with an Introduction and Appendixes by Dr. T. Mashkour. Teheran, 1971, გვ.178) გვაქვს ألتა/ოლთი. თურქულ წყაროებშია ألتა (ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი. თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979, გვ. 36 №10, 315 №119; თურქული წყაროები XVI ს-ის I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევისა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ. თბ., 1983, გვ. 62, №108), ანდა ألتا (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ. წიგნი I, ტექსტი, თბ., 1947, გვ. 408-410).

²⁹ ეს მოხდა 1001 წ. (ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*. ტ. II, გვ. 128; სინ, III, გვ. 158) ან 1000 წ. 31 მარტს, რასაც მხარს უჭერს იაჰია ანტიოქიელის ინფორმაცია (C. Toumanoff. *The Bagratids of Iberia from the Eighth to the Eleventh Century*. – *Le Museon*, 1961, t. LXXIV, 1-2, გვ. 40; Повествование Вардапета Аристакеса Ластивертци, перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения К. Н. Юзбашяна. М., 1968, გვ. 143, შენ. 13).

³⁰ იბნ ად-დავადარი, გვ. 103, 180, 363.

³¹ ვ. კოპალიანი. *საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა*, გვ. 65; დ. მუსხელიშვილი. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*. თბ., 1980, გვ. 174; მისივე. ოლთისი. – *ქსე*, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 519.

ვის საერთოდ უცნობი დარჩა. დავით კურაპალატი მისთვის იყო *მალიქ ალ-ჯურზან*, *მალიქ* [ბილაღ] *ალ-ჯურზია*, ანდა *მალიქ ალ-ჯურზ*,³² ე.ი. ქართლის, ქართველთა ქვეყნის, ქართველთა მეფე და არა ტაოს გამგებელი. არაბი ისტორიკოსი დავით კურაპალატს უწოდებს *დავუდ ალ-ჯურზის*³³ – ივერიელს, ქართველს და არა ტაოელს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ასე იცნობდნენ ამ დიდ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეს მახლობელ აღმოსავლეთში.

ON THE IDENTIFICATION OF A CERTAIN TOPONYM IN YAHYA B. SA‘ID AL-ANTAKI’S “HISTORY”

The paper deals with a new conjectural reading of a vague toponym *التّي* quoted several times in the “History” of the 11th century Arab-Christian author Yahya b. Sa‘id al-Antaki. The great Georgian political figure and the ruler of the southern Georgian province Tao, David Kuropalates, who is named on three occasions as the owner (sahib) of *التّي*, died in this city (ca. 1000). V. Rosen and later I. Krachkovski and A. Vasiliev read *التّي* as al-Tai. V. Rosen considered that *التّي* /al-Tai was a region of Tao and believed it a mistake of the Arab historian who called al-Tai a city rather than a region or country. He thought also that other medieval Arab authors were unaware of this toponym. *التّي* is identified with Tao in the studies of other modern scholars.

The point of view of the mentioned scholars with respect to the meaning and identification of the toponym *التّي* is unacceptable. First, in the “History” of Yahya b. Sa‘id al-Antaki it is referred to as a city (madina) and not a region. Secondly, despite V. Rosen’s opinion, Yahya b. Sa‘id al-Antaki was not the only Arab author familiar with this term. The toponym *التّي* is also mentioned by the Arab geographer Yakut (d. in 1229) who read it as Ulta and by the Arab historian Muhammad al-Hamawi (first half of the 13th cent.) in his *Ta’rikh al-Mansuri*. The same toponym in the form of *اولتّي* is documented in the works of 13th-14th century Arab historians: al-Yunini and Ibn al-Dawadari.

Considering the above mentioned facts, the present author offers a new reading of *التّي*, as Ulta. This toponym is identified with the city of Oltisi in southern Tao (southern Georgia), the region governed by David Kuropalates. One can only presume that the city was his residence. According to Yahya b. Sa‘id al-Antaki, David Kuropalates died in Oltisi, a fact not mentioned anywhere in the works of medieval Georgian and Armenian historians.

³² Histoire de Yahya-Ibn-Sa‘id d’Antioche, fasc. II, გვ. 424, 429, 460.

³³ იქვე, გვ. 425.

აბულეთისძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის*

ქართულ ისტორიოგრაფიაში აბულეთისძეთა საგვარეულოს ფუძემდებლად ითვლება აბულეთი, რომელიც ცხოვრობდა XII ს-ის I ნახევარში. 1992 წ. დაბეჭდილ ერთ ნაშრომში, რომელშიც არაბული წყაროების მიხედვით განვიხილეთ რამდენიმე ეპიზოდი დემეტრე I-ის ზეობის ხანიდან, შესაძლებლად მივიჩნიეთ ამ საგვარეულოს ასაკის, სულ მცირე, ერთი საუკუნით „დაძველება“¹. ამის საფუძველი მოგვცა XII ს-ის არაბი ისტორიკოსის, „მაიაფარიკინის და ამიდის ისტორიის“ (თა'რიხ ალ-მაიაფარიკინ ვა ამიდ) ავტორის, იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარიკის (გარდ. 1181 წ. შემდეგ) ერთმა ცნობამ,² რომელიც ამჟამად უფრო ვრცლადაა განხილული.

იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარიკი 1010 წ. შუა ხანების ამბებში, უფრო ადრეული უცნობი წერილობითი წყაროს, ან, შესაძლოა, მაიაფარიკინის არქივის დოკუმენტების საფუძველზე, მოგვითხრობს შიდაპოლიტიკური ბრძოლის ერთ ეპიზოდზე მარვანიანთა საამიროში. ეს საამირო, როგორც ცნობილია, მოიცავდა სამხრეთ სომხეთსა (ვანის ტბის დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი, აპაჰუნიქის ოლქი) და დიარ-ბაქრს (ჩრდილოეთი მესოპოტამიის ჩრდილოეთი ნაწილი). მისი ფუძემდებელი იყო ჰუმაიდის ქურთული ტომის ბელადი ბაზი, რომელიც 983-84 წ. დაეუფლა ქ. მაიაფარიკინს – დიარ-ბაქრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ბაზის დისშვილმა ალ-ჰასან ბ. მარვანმა (990–997) სათავე დაუდო მარვანიანთა ქურთულ საგვარეულოს, რომელმაც 1085 წლამდე იარსება³. მან განამტკიცა თავისი ბატონობა მნიშვნელოვან

* პირველად დაიბეჭდა 2005 წ. – *საისტორიო შტუდიები* (საქართველოს ისტორიის კათედრის სამეცნიერო შრომათა კრებული), V, თბ., გვ. 30-38.

¹ გ. ჯაფარიძე რამდენიმე ეპიზოდი დემეტრე I-ის ზეობის ხანიდან არაბულ ისტორიულ წყაროებში. – *მაცნე* (იეხის), 1992, 2, გვ. 122, შენ. 34.

² Ibn al-Azraq al-Fariqi. *Tarikh al-Fariqi*. Ed. by B. A. L. Awad. Cairo, 1959. გვ. 96. ქვემოთ ვიყენებთ ამ თხზულების სხვა გამოცემას: იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარიკი. *თა'რიხ ალ-ფარიკი*. თაკდიმ ვა მურაჯა'ა ად-დუქთურ ჰასან აზ-ზაინ. ბაღრუთ, 1988.

³ მარვანიანთა ისტორიის შესახებ იხ. კ. Э. Босворт. *Мусульманские династии. Справочник по хронологии и генеалогии*. Перевод с английского и примечания П. А. Грязневича. М., 1971, გვ. 87-88; H. F. Amedroz. *The Marwanid Dynasty at Mayyafariqin in the Tenth and Eleventh Centuries A.D.* – *JRAS*, 1903, გვ. 123-154; H. H. Forsyth. *The Byzantine-Arab Chronicle (983-1034)*

ტერიტორიაზე ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთით; 382/992-93 წ. მიიღო ზომები, რომ დაეცვა ხლათი და მანასკერტი ბიზანტიელთა შეტევისაგან და განავრცო თავისი გავლენა ვანის ტბის ჩრდილოეთით. ალ-ჰასან ბ. მარვანმა 20-წლიანი ზავი დადო ბიზანტიელებთან და უზრუნველყო ჩრდილოეთი საზღვრის უსაფრთხოება. მაგრამ სახელმწიფოს ცენტრად რჩებოდა მაიაფარიკინი და ამიდი, არზანთან ერთად.

997 წ. ალ-ჰასან ბ. მარვანს შეთქმულება მოუწყო და მოკლა ძმამ, ამირა მუმაჰჰიდ ად-დავლამ, რომელიც 1010 წ. თავად გახდა შეთქმულების მსხვერპლი. ამ სახელმწიფო გადატრიალებებში მთავარ როლს თამაშობდა ამირა ალ-ჰასანის ვეზირის ვაჟი, ყოვლისშემძლე ჰაჯიბი შარვა ბ. მუჰამმადი (იგივე შარვინ ბ. მამმა). ალ-ფარიკის თანახმად, მუმაჰჰიდ ად-დავლასთან შარვას დაპირისპირების მიზეზი გახდა შარვას *ლულამი* (მონა) იბნ ფალიუსი, რომელიც მუმაჰჰიდ ად-დავლამ აითვალწუნა. იბნ ფალიუსმა დაარწმუნა შარვა, რომ ამირა მის მოკვლას აპირებდა, ნააქეზა, რომ დაესწრო მისთვის, მოეკლა იგი და თავად გამხდარიყო ამირა. ჰიჯრის 400 წ. ბოლოს ან 401 წ. დამდეგს, დაახლოებით, 1010 წ. ივლისში შარვამ თავის ციხეში – ალ-ჰათაქში მიიპატიჟა მუმაჰჰიდ ად-დავლა, დაათრო და საკუთარი ხელით აჩეხა ამირა. იმავე ღამით შარვა და იბნ ფალიუსი გაემართნენ მაიაფარიკინისკენ და მოულოდნელი შეტევით ხელთ იგდეს მარვანიანთა სატახტო ქალაქი. შარვა დაუფლა ამირას რეზიდენციას – ჰამდანიანთა სასახლეს (*კასრ ბანი ჰამდანი*), ხაზინას და ამირას ბეჭედს. შემდეგ მან თავისი მომხრეები დაგზავნა მარვანიანთა სხვა ციხე-ქალაქების დასამორჩილებლად. მუმაჰჰიდ ად-დავლას ძმამ აბუ ნასრ ბ. მარვანმა, რომელიც ის'ირდის მფლობელი იყო, არზანში გაქცევით უშველა თავს და აქედან, ქურთული ტომების დახმარებით, დაიწყო ბრძოლა შარვასთან ხელისუფლებისთვის. მისი პირველივე შეტევა შარვას მარცხით დასრულდა. შარვა გაიქცა ამიდში, რომელსაც აბუ ნასრმა ალყა შემოარტყა. ბრძოლა ამიდისათვის 1011 წ. ივლისში დასრულდა. მარვანიანმა დაიკავა ქალაქი, ხელთ იგდო შარვა, და, მიუხედავად იმისა, რომ შეუვალობას შეჰპირდა, ხსენებულ ალ-ჰათაქის ციხეში მოაშთობინა ის.⁴ ამით შიდაპოლიტიკური ბრძოლა მარვანიანთა საამიროში დას-

of Yahya b. Sa'id al-Antaki (volumes I and II). The University of Michigan, Ph. D., 1977, გვ. 400; H. Kennedy. *The Prophet and the Age of the Caliphates. The Islamic Near East from the Sixth to the Eleventh Century*. London and New York. 1986, გვ. 262-264 (მეორე გამოცემა, 2004, გვ. 259-264); S. Heidemann. A New Ruler of the Marwanid Emirate in 401/1010 and Further Considerations on the Legitimizing Power of Regicide. – *Aram*. 9-10, 1997-1998, გვ. 599-617; C. Hillenbrand. Marwanids. – *EP*, vol. VI, გვ. 626; C. Hillenbrand. Mayyafariqin. – *EP*, vol. VI, გვ. 928.

⁴ იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი, გვ. 20-36.

რულდა: აბუ ნასრ ბ. მარვანი, რომელმაც ნასრ ად-დავლას ტიტული მიიღო, ამირა გახდა და მარვანიანთა საამიროს 1061 წლამდე განაგებდა.

შარვას ამბოხის შესახებ, ალ-ფარიკის გარდა, დამოუკიდებლად და მოკლედ მოგვითხრობენ ელია ნისიბინელი, ხოლო ალ-ფარიკის მიხედვით, ასევე მოკლედ – იბნ შადდადი და იბნ ალ-ასირი.⁵ მათგან ალ-ფარიკი ერთადერთია, რომელიც იუწყება, რომ მარვანიანთა საამიროში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობდნენ ქართველებიც (ალ-ქურჯ). ჩვენს ინტერესს ინვეს არაბი მემატთანის ინფორმაციის სწორედ ეს ნაწილი.

ალ-ფარიკის თანახმად, მუმაჰჰიდ ად-დავლას სამსახურში იყო ერთი ქართველი ამირა. ის მაიაფარიკინში თავისი ქვეყნიდან გამოექცა ქართველთა მალიქს, რომელსაც ერქვა ابن أبي الليث / იბნ აბი ლ-ლაჰს. ამ ამირას, რომლის შთამომავლები ალ-ფარიკის დროსაც (სავარაუდოა XII ს-ის 40-80-იანი წლები) ცხოვრობდნენ თბილისში, თან ახლდა დიდძალი ხალხი (ჯამა'ა ქასირა). ის ჯერ მუმაჰჰიდ დავლას სამსახურში ჩადგა, ხოლო როცა უკანასკნელი მოკლეს, შარვას მიემხრო.⁶

მაიაფარიკინის დაკავების შემდეგ, ალ-ფარიკის თანახმად, ქალაქში შარვას წინააღმდეგ მოსახლეობის მღელვარება დაიწყო. ხალხს ეჭვი გაუჩნდა, რომ შარვას ლულაში იბნ ფალიუსი აპირებდა მაიაფარიკინის გადაცემას ბიზანტიის იმპერატორისთვის (ბასილი II-ისთვის). შარვას ბრძანებით, ქართველებმა ისრები დაუშინეს ამბოხებულ ხალხს, მაგრამ მათი დაშოშმინება ვერ შეძლეს. ხალხი მოითხოვდა იბნ ფალიუსის გადაცემას, რაზედაც შარვამ უარი განაცხადა. სასტიკ ბრძოლაში შარვა იძლია. იბნ ფალიუსი მოკლეს. შარვამ ამირას საგანძური გაიტაცა და ამიდში გაიქცა. ის სწორედ აქ შეიპყრო და შემდეგ მოკლა აბუ ნასრ ბ. მარვანმა.⁷

ალ-ფარიკის ზემომოტანილ ინფორმაციაში ჩვენთვის საყურადღებო ორი ფაქტია.

ჯერ ერთი, ირკვევა, რომ ქართველები მონაწილეობდნენ საქართველოს მეზობელი მუსლიმური საამიროს შიდაპოლიტიკურ ბრძოლაში. მსგავსი რამ მანამდე არაბულ წყაროებში არ გვეგულება და სიახლეს წარმოადგენს. სამწუხაროდ, უცნობი რჩება ვინაობა მაიაფარიკინში გაქცეული ქართველი ამირასი და ის, თუ რა ბედი ეწია მის მრავალრიცხოვან თანმხლებ ქართველებს შარვას სიკვდილის შემდეგ. ისინი ალბათ დახოცეს, ანდა, უფრო სავარაუდოა, რომ მარვანიანთა ახალი გამგებლის – აბუ ნასრ ბ. მარვან ნასრ ად-დავლას სამსახურში ჩადგნენ. მათ შესახებ ალ-ფარიკი აღარ საუბრობს.

⁵ S. Heidemann. *A New Ruler of the Marwanid Emirate*, გვ. 601.

⁶ იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი, გვ. 33.

⁷ იქვე.

მეორე, რაც ჩვენთვის ამჟამად გაცილებით მნიშვნელოვანია, არის ის, რომ აქ დასახელებულია ქართველთა *მალიქი* იბნ აბნ ლ-ლაჲს, რომელსაც მაიაფარიკინში გაექცა ზემოხსენებული ქართველი ამირა.



სახელი „იბნ აბნ ლ-ლაჲს“, თუ მას რთული არაბულ-ისლამური სახელის თვალსაზრისით განვიხილავთ, ნასაბია. ნასაბი არის ნათესაობა, გენეალოგია. ის გვიჩვენებს შვილის დამოკიდებულებას მშობლებისადმი, რაც არაბულში გამოიხატება სიტყვით იბნ/ძე, თუ ის მამაკაცია და ბინთ/ასული, თუ ის ქალია. ბევრი პიროვნება ისლამის ისტორიაში ცნობილია ნასაბით, მაგალითად, იბნ სინა (გარდ. 1037 წ.), ან იბნ რუშდი (გარდ. 1198 წ.).

ზოგჯერ გენეალოგიურ რიგში მამის საკუთარ სახელს – ‘ალამს ცვლის *ქუნია* – მამობის ან დედობის აღმნიშვნელი – სახელი. როცა საქმე მამაკაცს ეხება, *ქუნია* იწარმოება ელემენტით აბუ/მამა, რომელსაც მოსდევს შვილის სახელი. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს უფროსი შვილი, თუმცა დასაშვებია – უმცროსიც. ცნობილია, რომ ბავშვს, ზოგჯერ, დაბადებისთანავე აღწევდნენ არა მარტო საკუთარ სახელს, არამედ *ქუნიასაც*. ზოგიერთი *ქუნია* ისე ხშირად გამოიყენებოდა, რომ ის საკუთარი სახელიც გახდა, მაგალითად, აბუ ბაქრი, სახელი პირველი მართლმორწმუნე ხალიფასი (632-634). ზოგჯერ *ქუნიას* ატარებდნენ უშვილო ადამიანებიც.⁸

ალ-ფარიკის ცნობაში მალიქის მამის სახელი არის *ქუნია* - أبو الخليل / აბუ ლ-ლაჲს, ქართულად – ლაისის მამა. რაც შეეხება ნასაბს - „იბნ აბნ ლაჲს“, ის სიტყვასიტყვით ქართულად ნიშნავს აბუ ლ-ლაჲსის, ე.ი. ლაისის მამის ძეს.

არაბული სახელების უმრავლესობას განსაზღვრული სემანტიკური დატვირთვა აქვს. გამოიყოფა ტოტემური სახელები, რომელთა შორის განსაკუთრებით ხშირია ლომი. ასეთ ტოტემურ სახელებს მიეკუთვნება „ლაჲს“ (განსაზღვრული არტიკლით და მის გარეშე), რომელიც ნიშნავს ლომს. ცნობილია არაბული ტომი ბანუ ლაჲს, რომელიც შედიოდა მექის მიდამოებში მოსახლე ქინანას ტომის გაერთიანებაში; ამ სახელს ატარებდა არაერთი ცნობილი მუსლიმი, რომელთა შორისაა არაბი ფილოლოგი ალ-ლაჲს ბ. მუზაფფარი (გარდ. 748 წ.); მუჰადდისი (წინასწარმეტყველ მუჰამმადის შესახებ გადაცემათა შემკრები და გადამცემი) ალ-ლაჲს ბ. სა‘დი (გარდ. 791 წ.); ჰანაფიტი თეოლოგი აბუ ლ-ლაჲს ნასრ ას-სამარკანდი (გარდ. 983-1002/3 წ.) და სხვ.

„აბუ ლ-ლაჲს“, სხვა არაერთი არაბული სახელის მსგავსად, გავრცელდა საქართველოში. ბოლო ასო ამ სახელში - არაბ. ბ/ს მეტყველებაში ხშირად

⁸ Я. П. Сикстулис, В. В. Матвеев, О. Б. Фролова, И. А. Амирьянц. Арабы. – *Системы личных имен у народов мира*. М., 1989, გვ. 44; Ism. – *EP*, vol. IV, გვ. 179; A. Schimmel. *Islamic Names*. Edinburgh University Press. 1997, გვ. 4-10; A. J. Wensinck. *Kunya*. – *EP*, vol. V, გვ. 395.

გამოითქმის როგორც „თ“ და არცთუ იშვიათად ასე გადმოდის ქართულშიც (საკეღ<თაკილ, მისკაღ<მიტკალ). ეს გახდა იმის მიზეზი, რომ არაბული სახელი *أبو الليث* / „აბუ ლ-ლაის“ ქართულში (ამჯერად სემანტიკური დატვირთვის გარეშე) დამკვიდრდა „აბუღეთის“ ფორმით. ეს რომ ასეა, დასტურდება სხვა მასალით. ‘იმაღ ად-დინ ალ-ისფაჰანის „სელჩუკთა საგვარეულოს ისტორია“ (თა’რინ ალ საღჯუკ), რომელიც შეამოკლა ალ-ბუნდარიმ, მოგვითხრობს, რომ 1139 წ. მიწისძვრით დანგრეული განჯა აიღო ქართველთა მხედართმთავარმა ივანე იბნ აბნ ლ-ლაისმა. ეს უკანასკნელი არის ივანე აბუღეთისძე.⁹

აბუღეთისძეთა ფეოდალური საგვარეულო სათავეს იღებს უცნობი აბუღეთიდან, რომლის სახელიც ამ საგვარეულოში ხშირად მეორდება. საქართველოში სახელ „აბუღეთის“ ადრეულ გავრცელებაზე მოწმობს X ს-ით დათარიღებული შიდა ქართლის სოფ. ზედალისას (ყოფ. ზნაურის რაიონი) ეკლესიის სამშენებლო წარწერა,¹⁰ სადაც ის პირველად არის მოხსენიებული.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, ამ საგვარეულოს ფუძემდებელია ის აბუღეთი, რომელიც 1110 წ. მონანიღობდა დავით აღმაშენებლის მიერ სამშვილდის აღებაში¹¹ და რომელიც ამ დროს მოულოდნელად ჩნდება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ფურცლებზე.¹² მემატთანე არაფერს გვეუბნება არც ამ პიროვნებაზე და არც მის წინაპრებზე, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მისი აღზევება ასე მოულოდნელად, სწორედ 1110 წლიდან დაიწყო. მით უმეტეს, რომ ახლა ჩვენ გვაქვს ალ-ფარიკის ცნობა.

ალ-ფარიკის თანახმად, „იბნ აბნ ლ-ლაის“, ანუ „აბუ ლ-ლაისის ძე“ იყო ქართველთა *მალიქი*. არაბულად *მალიქი* მეფეს ნიშნავს. ბუვეიჰელთა, სელჩუკთა, ფატიმიანთა, აიუბიანთა და მამლუქთა სახელმწიფოებში ამ ტიტულს ატარებდნენ არა მარტო მონარქები, არამედ – უფლისწულები, ვეზირები და პროვინციული გამგებლებიც.¹³ გ. წერეთლის თანახმად, *მალიქის* ქართული შესატყვისია მეფე და მთავარი;¹⁴ არაბულ წყაროებში *მალიქად* იხსენიებიან

⁹ გ. ჯაფარიძე. *რამდენიმე ეპიზოდი...*, გვ. 121-123.

¹⁰ ნ. შოშიაშვილი. *ლაპიდარული წარწერები, V-X სს. თბ.*, 1980, გვ. 190-191; ა. გოგოლაძე. *დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი. თბ.*, 2001, გვ. 149-150.

¹¹ ნ. შოშიაშვილი. *აბუღეთი*. – *ქსე*, ტ. I, თბ., 1975, გვ. 45; ნ. შოშიაშვილი. *აბუღეთისძენი*. – *ქსე*, ტ. I, თბ., 1975, გვ. 45.

¹² ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. შანიძემ. თბ., 1992, გვ. 177.

¹³ D. Ayalon. Malik. – *EP*, vol. VI, გვ. 261.

¹⁴ გ. წერეთელი. *არაბულ-ქართული ლექსიკონი*. თბ., 1951, გვ. 245.

არა მარტო ქართველი მეფეები (მაგალითად, დავით IV აღმაშენებელი, დემეტრე I და სხვ.), არამედ მსხვილი ქართველი ფეოდალებიც (მაგალითად, ლიპარიტ IV ბაღვაში, ივანე მხარგრძელი...).

ცხადია, ქართველთა მალიქი „იბნ აბნ ლ-ლაჲს“ იყო არა მეფე, არამედ მაღალი რანგის ქართველი ფეოდალი. მისგან ლტოლვილი ქართველი ამირა, როგორც ალ-ფარიკი წერს, შევიდა მუმაჰჰიდ ად-დავლას სამსახურში, ხოლო ეს უკანასკნელი ზეობდა 997–1010 წლებში. ამრიგად, უდავოა, მალიქი ცხოვრობდა X-XI საუკუნეების მიჯნაზე.

ჩვენ ვიცით მალიქის ნასაბი და არა 'ალამი (საკუთარი სახელი). ნასაბი „იბნ აბნ ლ-ლაჲს“ შეიძლება გავიგოთ როგორც „[მავანი] ძე აბულეთისა“, ისე – გვარი „აბულეთისძე“, თუმცა, დაბეჯითებით ამის მტკიცება ძნელია. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სახელი აბულეთი ხშირად მეორდება აბულეთისძეთა საგვარეულოში, ალ-ფარიკის მიერ მოხსენიებული მალიქი უცილობლად შეიძლება მივიჩნიოთ ამ საგვარეულოს ერთ-ერთ ადრეულ წარმომადგენლად. სავარაუდოა, რომ 1110 წლისთვის აბულეთისძეთა სახლს, არა ნაკლებ, ერთი საუკუნის ისტორია მაინც ჰქონდა.



აბულეთისძეთა სახლის ისტორიას უკანასკნელ ხანებში საგანგებოდ შეეხო ა. გოგოლაძე.¹⁵ ნ. შოშიაშვილის კვალდაკვალ გოგოლაძეს მიაჩნია,¹⁶ რომ აბულეთისძეთა საგვარეულოს ფუძემდებელი იყო სწორედ სამშვილდის ამლები აბულეთი. სხვა მასალებთან ერთად მისი მსჯელობისა და ამავე დროს კრიტიკის საგანი გახდა ჩვენს მიერ 1992 წ. დამონებული ალ-ფარიკის ზემოხსენებული ცნობა და მოსაზრება აბულეთისძეთა საგვარეულოს „დაძველების“ თაობაზე, რომელიც არ ჯდება ა. გოგოლაძის სქემაში.

ა. გოგოლაძე წერს, რომ „არაბული სახელი „აბუ-ლაის“ ქართულში არა მარტო „აბულეთის“ სახელით დამკვიდრდა, როგორც მიაჩნია გ. ჯაფარიძეს, არამედ სხვა ფორმებითაც: თვით აბულ-ლაის, აბულალის, აბულის, აბულასანის და, შესაძლოა, კიდევ სხვა სახით. აქედან კი მივიღეთ გვარები: აბულაისძე, აბულაძე, ასევე აბულეთისძე და სხვ. ამიტომ არ ვიცით 1010 წლის ახლო ხანებში ქართველი დიდებულის სახელი იბნ-აბულ-ლაისი ქართულად როგორ იწერებოდა: აბულეთად, თვით აბულ-ლაისად, აბულალად, თუ კიდევ სხვა ფორმით გამოითქმოდა“.¹⁷

¹⁵ ა. გოგოლაძე. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი. თბ., 2001, გვ. 139-150.

¹⁶ მისივე. ძაგან-მოდისტოსის ვინაობისა და აბულეთისძეთა გვარის ისტორიისათვის. – ჟურნ. ისტორია და გეოგრაფია სკოლაში, 1990, 3 (98), გვ. 87-94.

¹⁷ მისივე. დავით აღმაშენებლის ანდერძი..., გვ. 149.

არაბული ანთროპონიმების ამგვარი ინტერპრეტაციის საფუძველზე ა. გოგოლაძე აღნიშნავს: „ცნობილია, რომ ბაგრატ III-ის დროს ჰერეთის ერისთავი იყო ქართველი დიდებული ვინმე „აბულალი“. შესაძლოა, 1010 წლის ახლო ხანებში სწორედ ამ აბულალის შვილი, არაბული სახელის „აბულაისის“ ერთ-ერთი ქართული ფორმის მქონე დიდებულის ძე გაექცა ქართველ მეფეს და აღ-ფარიკი ამ აბულალის ძეს იხსენიებს იბნ-აბულ-ლაისად, ანუ აბულაისის ძედ“.¹⁸

ა. გოგოლაძის არგუმენტაცია მიუღებელია. არაბული წარმომავლობის პირთა სახელების უმრავლესობას ქართულში ადვილად ეძებნება არაბული ძირები. შემიძლია დარწმუნებით განვაცხადო, რომ ჰერეთის ერისთავის სახელი აბულალ, უფრო სწორედ აბულალა, რომელსაც გვთავაზობს „მატიანე ქართლისას“ ჭალაშვილისეული ნუსხა,¹⁹ მომდინარეობს არაბული *ქუნია*-დან აბუ ლ-‘ალა’ / *ابو العلاء*.

აღ-‘ალა’ აღწერილობით სახელთა რიცხვს მიეკუთვნება და ნიშნავს მალალს. ის ჩვეულებრივ იწერება განსაზღვრული „აღ“ არტიკლით, თუმცა ლაკაბებში, ქუნიებისგან განსხვავებით, უარტიკლოდაა (მაგალითად, ‘ალა’ ად-დინ, ‘ალა’ ად-დავლა). აბუ ლ-‘ალა’ გავრცელებული *ქუნია* იყო. საკმარისია დავასახელოთ გამოჩენილი არაბი პოეტი აბუ ლ-‘ალა’ აღ-მა‘არი (გარდ. 1058 წ.).

აბულასანის არაბული შესატყვისი, ასევე სრულიად აშკარად, არის *ქუნია* აბუ ლ-ჰასან/ *ابو الحسن*. ჰასანი ასევე აღწერილობით სახელთა რიცხვს მიეკუთვნება, ნიშნავს ლამაზს, მშვენიერს და იწერება როგორც განსაზღვრული („აღ“) არტიკლით, ისე – მის გარეშე.

აბულ/აბულას (საიდანაც არის ნაწარმოები გვარები აბულაძე, აბულაშვილი) არაბულ წარმომავლობას ვერ ვადასტურებ. მაგრამ ის, ისევე როგორც აბულალა და აბულასანი, აბუ ლ-ლაისთან ვერ გაიგივდება. ბოლო სამი სახელის სემანტიკა ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულია.

ა. გოგოლაძე იმონებს ვახუშტის, რომელიც აბუღლეთს **აბუღელ**-ის ფორმით იხსენიებს,²⁰ მაგრამ ეს აშკარად მეცნიერი ბატონიშვილის შეცდომად უნდა ჩაითვალოს. მკვლევარი წყაროებით ვერ დაგვიდასტურებს, რომ „აბუ ლ-ლაის“ ქართულში ამ ფორმითაც დამკვიდრდა. საბოლოოდ კი შეიძლება დავასკვნათ, რომ არაბულმა სახელმა „აბუ ლ-ლაის“ ქართულში მოგვცა მხოლოდ აბუღლეთი და არა ამ სახელის სხვა რაიმე ფორმა.

¹⁸ იქვე.

¹⁹ მატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I, თბ., 1955, გვ. 279.

²⁰ ა. გოგოლაძე. *დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი*. თბ., 2001, გვ. 143.

●
 ალ-ფარიკი ქართველი *მალიქის* შესახებ დამატებით არაფერს იუწყება. ეს არცაა გასაკვირი, არაბი ავტორი წერდა მაიაფარიკინისა და ამიდის და არა საქართველოს ისტორიას,²¹ მაგრამ მისი ზემომოტანილი ლაკონური ცნობა უდავოდ ფასეული და საყურადღებოა. ზემოთ ითქვა, რომ, ქართველ *მალიქს* – რომლის სახელიც იყო „იბნ აბნ ლაას“, resp. [მაჟანი] ძე აბულეთისა, აბულეთისძე – მაიაფარიკინში გაექცა ქართველი ამირა. მიზეზს არაბი ავტორი არ ასახელებს, მაგრამ უეჭველია, ამირა გაექცა *მალიქის* შიშით, რათა თავიდან აეცილებინა რალაც მიზეზით გამონვეული ძლიერი სიუზერენის რისხვა. უნდა ვიფიქროთ, რომ აბულეთისძეთა ფეოდალური სახლი XI საუკუნის დამდეგს არა მარტო უბრალოდ არსებობდა, არამედ ის უკვე საკმაოდ **ძლიერი და გავლენიანიც** იყო და ეს გარემოება, ვფიქრობთ, სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული ამ ქართული ფეოდალური საგვარეულოს ისტორიის კვლევის დროს.

²¹ თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ალ-ფარიკის თხზულება, რომელიც დღემდე სრული სახით არ არის გამოცემული, ძვირფას ცნობებს შეიცავს XII ს-ის საქართველოს ისტორიის (დიდგორის ბრძოლა, დავით აღმაშენებლის ტოლერანტული პოლიტიკა მუსლიმთა მიმართ, დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის ომები მეზობელ მუსლიმ საამიროებთან, დემეტრე I-ის გარდაცვალების თარიღი და სხვ.) შესახებ. იხ. ე. სიხარულიძე. ალ-ფარიკი საქართველოში. – *სძ*, II, თბ., 1985, გვ. 83-91; ე. სიხარულიძე. ალ-ფარიკის ცნობა დემეტრე I-ის გარდაცვალების შესახებ. – *კრ. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, II, თბ., 1999, გვ. 15-19; გ. ჯაფარიძე. *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*. თბ., 1995, გვ. 40-42, 51-54, 97-98, 103-106, 108-109, 113-114, 235-244.

ON THE HISTORY OF THE ABULETISDZE FAMILY

It is an accepted view in Georgian historiography that the Georgian feudal family of Abuletisdze originated from the name Abuleti, who participated in the takeover of the fortified city of Samshvilde by Georgians in 1110. However, based on *Tarikh al-Mayyafariqin wa-Amid* of the 12th century Arab historian Ibn al-Azraq al-Fariqi (ed. Hasan al-Zayn, Bayrut, 1988, p. 20-36), which relates to the political affairs of Mayyafariqin (in Diyar Bakr) of 1010, it is possible to reconsider this view. Al-Fariqi mentioned that one Georgian *amir* fled with his numerous men from the Georgian *malik* (resp. feudal lord) Ibn Abī l-Layth to Mayyafariqin. There he first joined the service of the Marwanid Amir Mumahhid al-Dawla (997-1010), and afterwards in 1010 – of Hajib Sharwa b. Muhammad who had rebelled against his patron and killed him. Because the name Abuleti *resp.* Arab. Abū l-Layth had often occurred among the representatives of Abuletisdze family, it is suggested that the mentioned *malik* Ibn Abī l-Layth, who lived at the turn of the 10th-11th centuries, can be considered as one of the earliest representatives of this feudal family. This in turn sets back the history of the family for at least one more century.

ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში*

კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ IV ბაღვაში XI საუკუნის 30-50-იანი წლების ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა.¹ მან თავი გამოიჩინა როგორც ბაგრატ IV-ის (1027-1072) შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ. მეფის ხელისუფლებასთან ბრძოლაში ლიპარიტი ბიზანტიის საიმპერიო კარის მძლავრი მხარდაჭერით სარგებლობდა და დიდად იყო მისგან დავალებული. ამდენად, შემთხვევითი არ იყო ის, რომ XI საუკუნის 40-იან წლებში ბიზანტიის სომხურ სამფლობელოებში შეჭრილ თურქ-სელჩუკებთან ბრძოლებში იმპერიის მოკავშირედ, თავდაპირველად, სწორედ კლდეკარის ერისთავი აღმოჩნდა და არა საქართველოს მეფე.

ლიპარიტი მონაწილეობდა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ იმ ცნობილ ბრძოლაში, რომელიც ბასიანში, კაპუტრუს ციხესთან მოხდა. ბიზანტიელთა და ქართველთა გაერთიანებული სამხედრო ძალები ლიპარიტ ბაღვაშის, ანისისა და ივერიის თემის მმართველის კატაკალონ კეკავმენისა და ვასპურაქანის თემის მმართველის აარონ ვესტის მეთაურობით დამარცხდნენ, თავად ლიპარიტი კი ტყვედ ჩაუვარდა თურქ-სელჩუკთა სარდალს იბრაჰიმ ინალს² და ბი-

* პირველად დაიბეჭდა 1998 წ. – ქედ. V. *წელინდეული*. თბ., გვ. 314-336.

¹ ნ. შენგელია. *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*. თბ., 1968, გვ. 198, შენ. 130; ვ. კოპალიანი. *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში*. თბ., 1969, საძიებელი; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს-ის 80-იანი წლებიდან XI ს-ის 70-იან წლებამდე. – *სინ*, ტ. III, თბ., 1979, გვ. 160-169, 173-179, 184-186, 188-191, 194-197; რ. მეტრეველი. ლიპარიტ IV ბაღვაში. – *ქსე*, ტ. VI, თბ., 1983, გვ. 247; ზ. პაპასქირი. *ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი*. თბ., 1990, გვ. 42, 158-160, 169-171 და შმდ.

² იბრაჰიმ ინალი (იინალი, იანალი, იბრაჰიმ იბნ ინალი) იყო დედით სულთან თოდრულ-ბეგის ძმა, მეთაური თურქმენტა ჯგუფისა, რომელიც წყაროებში ინალიანთა სახელით იხსენიება. ვიდრე თოდრულ-ბეგი ხორასანსა და კასპისპირეთში იყო დაკავებული, იბრაჰიმ ინალი იბრძოდა დასავლეთ ირანში. ჰიჯრის 433/1041-42 წელს მან დაიკავა ქ. რეი და 434/1042-43 წელს კი – ჰამადანი, ჯიბალში (სპარსეთის ერაცში), რამაც განაპირობა აქ ადრე ჩამოსახლებული ე.წ. ერაცელი თურქმენების განდევნა და ამ უკანასკნელთა თავდასხმები ერაცსა და ჩრდ. მესოპოტამიაზე (ალ-ჯაზირაზე). 434/1042-3 წელსვე თოდრულ-ბეგმა იბრაჰიმ ინალს ჩამოართვა რეი, რომელიც თავის სატახტო ქალაქად აქცია.

ზანტიურ დიპლომატიას მის დასახსნელად დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

ლიპარიტის დატყვევებისა და ტყვეობიდან განთავისუფლების შესახებ, რაც უაღრესად გახმაურდა იმდროინდელ ახლო აღმოსავლეთში, ბევრი დაინერა. წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ლიპარიტის განთავისუფლების დიპლომატიური ასპექტები. ამავე დროს, საჭიროდ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ ლიპარიტის დატყვევებისა და განთავისუფლების თარიღებს, რომლებიც დღემდე სადავოა მკვლევართა შორის.³



კაპუტრუს ბრძოლისა და ლიპარიტ ბაღვაშის დატყვევების შესახებ მოგვითხრობენ ქართული, სომხური, ბიზანტიური და არაბული წყაროები.

იბრაჰიმმა გადაინაცვლა ქურთისტანში, სადაც ებრძოდა კაკვეიჰიანებსა და ანაზიანებს. მომდევნო ხანებში ის ორჯერ აუჯანყდა თოღრულ-ბეგს. უკანასკნელი აჯანყების დროს 1059 წ. დამარცხებული ტყვედ ჩავარდა და 2 აგვისტოს ის მშვილდის საბლით მოაშთეს. იხ. C. E. Bosworth. *The Political and Dynastic History of the Iranian World. - The Cambridge History of Iran, vol. 5. The Saljuq and Mongol Periods.* Ed. By J. A. Boyle, Cambridge, 1968, გვ. 41, 42; Садр ад-дин Али ал-Хусайни. *Ахбар ад-დაулат ас-сeldжукиййа (Зубдат ат-таварих).* Издание текста, перевод, введение, примечания З. М. Бунятова. М., 1980, გვ. 185, შენ. 4; დაწვრილებით მის შესახებ იხ. ნ. შენგელია. *სელჩუკები და საქართველო*, გვ. 18, შენ. 54).

³ ლიპარიტის დატყვევების თარიღად 1048 წელს ასახელებენ: M. Brosset. *Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'en 1469* de J.C. St.-Pbg., 1851, გვ. 227; G. Schlumberger. *L'épopée byzantine à la fin du dixième siècle, troisième partie*, Paris, 1905, გვ. 558; ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*. თბ., 1965, გვ. 146; ვ. კობალიანი. *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა*, გვ. 244, 247, 256; А. Н. Бенешевич. *Три анийские надписи из эпохи византийского владычества*. Петроград, 1921, გვ. 7; К. Н. Юзбашян. *Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв.* М., 1988, გვ. 222; C. Cahen. *Pre-Ottoman Turkey*, London, 1968, გვ. 68; W. Felix. *Byzanz und die islamische Welt im früheren 11. Jahrhundert*. Wien, 1981, გვ. 165, შენ. 39 და სხვ. 1049 წელს უპირატესობას ანიჭებენ: R. Grousset. *Histoire de l'Arménie des origines à 1071*, Paris, 1947, გვ. 589; E. Honigmann. *Die Ostgrenze des byzantinischen Reiches von 363 bis 1071*. Bruxelles, 1935, გვ. 180; С. Маркарян. *О значении и датировке битвы тюрок-сельджуков с войсками союзников (1049 г.) - მაცნე (იახის)* 1983, №4, გვ. 119-129, 127-128; მისივე. *Сельджуки в Иране XI века*. Саратов, 1991, გვ. 119-129. განცალკევებით დგას კიდევ ერთი თარიღი: 1050 წ., რომელსაც ასახელებენ გ. მიქაელიანი და ს. აგაჯანოვი (იხ. Г. Г. Микаелян. *История Киликийского-армянского государства*. Ереван, 1952, გვ. 55; С. Г. Агаджанов. *Государство сельджукидов и Средняя Азия в XI-XII вв.*, М., 1991, გვ. 69); ბრძოლის თარიღად სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება 1048 წლის 18 ივლისიც. ვ. მინორსკის მიხედვით, მას მიუთითებს ნ. შენგელია (ნ. შენგელია. *სელჩუკები და საქართველო*, გვ. 190; იქვე, 93-ე შენიშვნაში უპირატესობა ენიჭება 1048 წლის სექტემბერს) და ის ჩვენც გავიმეორეთ. (იხ. გ. ჯაფარიძე. *იბნ ალ-ასირის ერთი ცნობის შესახებ (XI ს. 50-იანი წლები) - სიამ, ნიგნი I*, თბ., 1976, გვ. 40-44). სამწუხაროდ, ეს თარიღი გაუგებრობის შედეგია: მინორსკი ასახელებს არა 18 ივლისს, არამედ 1048 ან 1049 წლის 18 სექტემბერს. იხ. V. Minorsky. *Studies in Caucasian History*. London, 1953, გვ. 57, 61, შენ. 2..

ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზანტიელი ისტორიკოსის (აგრეთვე მაგისტრის, პროედრის, ეპარქის, კუროპალატის, მცველთა დრუნგარის) იოანე სკილიცეს (გარდ. XII ს-ის პირველ ათწლეულში, ან 1159 (?) წლის შემდეგ⁴) „ისტორიული მიმოხილვა“,⁵ რომელიც მოიცავს პერიოდს 811 წლიდან 1057 წლამდე.

სკილიცე ეყრდნობოდა მრავალ წინამორბედ ავტორს. მისი თხზულების ბოლო ნაწილი, რომლის მთავარი გმირია კატაკალონ კეკავემენი (გარდ. 1057 წლის შემდეგ), ჯ. შეპარდის აზრით, მომდინარეობს კეკავემენის სახოტბო ბიოგრაფიიდან. ეს ბიოგრაფია, საფიქრებელია, არ არის დაწერილი თვით კეკავემენის მიერ, მაგრამ სწორედ მას უნდა მიენოებინა უცნობი ავტორისათვის მასალები თავისი ცხოვრებისა და მიღწევების შესახებ, რომლებიც შემდეგ გამოიყენა სკილიცემ.⁶ მისი თხზულების ეს ნაწილი, რომელიც იმპერატორ ისააკ კომნენის ზეობის (1057-1059) ხანაში უნდა იყოს შედგენილი, დროით ყველაზე ახლოსაა კაპუტრუს ბრძოლასთან (რომელშიც კატაკალონ კეკავემენი მონაწილეობდა) და ხშირ შემთხვევაში, როგორც ჯ. შეპარდი უჩვენებს, სანდო წყარო ჩანს.⁷

სკილიცე კაპუტრუს ბრძოლის თარიღად ასახელებს II ინდიქტიონის, ე.ი. 1048 წლის 18 სექტემბერს, შაბათს.⁸ სინამდვილეში 18 სექტემბერი იყო კვირა და არა შაბათი. შაბათი მოდიოდა 17-ზე.⁹ ანისისა და ივერიის თემის

⁴ М. В. Бибиков. Развитие исторической мысли. – Культура Византии, вторая половина VII-XII вв. Ответственные редакторы З. В. Удальцова и Г. Г. Литаврин. М., 1989, გვ. 108-109; A.K.(azhdan). A.C(utler). Scylitzes, John. – *The Oxford Dictionary of Byzantium*. Prepared at Dumbarton Oaks. A.P. Kazhdan ed. in chief, vol. III, New York, Oxford. Oxford University Press, 1991, გვ. 1914.

⁵ Ioannis Scylitzae Synopsis Historiarum. Ed. I. Thurn. Berolini et Novi Eborarci, 1973 (შემდეგ: სკილიცე).

⁶ სკილიცეს თხზულების დიდი ნაწილი შევიდა მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი კედრენეს „ისტორიულ მიმოხილვაში“, რომელიც შედგენილია XI-XII საუკუნეების მიჯნაზე. კედრენეს ცნობები საქართველოს, ქართველებისა და, კერძოდ, ლიპარიტ ბაღვაშის შესახებ (იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა სკილიცეს ნაშრომის მეცნიერული გამოცემა), ქართულად თარგმნა ს. ყაუხჩიშვილმა. იხ. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი მეხუთე. ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1963, გვ. 75 (შემდეგ: კედრენე).

⁷ J. Shepard. Scylitzes on Armenia in the 1040s and the role of Catalan Cecaumenos. – *RÉA*, nouvelle série, t. XI, Paris, 1975-1976, გვ. 269-311.

⁸ სკილიცე, გვ. 452/კედრენე, გვ. 75.

⁹ დღისა და რიცხვის ამგვარი შეუსაბამობა უბიძგებდა მკვლევრებს, ეძებნათ ალტერნატიული თარიღი. ასე, მაგალითად, ნ. ბენეშევიჩი ბრძოლას ათარიღებდა 1048 წლის 10 სექტემბრით, როცა ეს დღე იყო შაბათი (Н. Бенешевич. *Три анийские надписи...*, გვ. 7).

გამგებლის კატაკალონ კეკაემენისაგან განსხვავებით, ლიპარიტს, თითქოს, არ სურდა შაბათს ომი, რადგანაც მას უბედურ დღეთა რიცხვს მიაკუთვნებდა.¹⁰ ასეთი ტრადიცია, რამდენადაც ვიცით, არ იყო საქართველოში, ხოლო ბიზანტიაში შაბათი პატივსაცემ დღედ ითვლებოდა.¹¹ უბრალოდ, საფიქრებელია, ლიპარიტს ცუდად ჰქონდა დაცდილი შაბათს ბრძოლა. მაგრამ ის თურქების ინიციატივით მაინც მოხდა. ბრძოლა დაიწყო შაბათ საღამოს, 17-ში და დასრულდა კვირა დილით, 18-ში. ეს გარემოება, როგორც პ. ორგელსი ფიქრობდა, ადვილად ხსნის მცირე უზუსტობას სკილიცეს ქრონოლოგიაში.¹²

XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი (ედესელი) ლიპარიტის დატყვევების თარიღად იძლევა სომხური ნელთალრიცხვის 498 წელს,¹³ რომელიც დაიწყო 1049 წლის 9 მარტს და დასრულდა 1050 წლის 8 მარტს. მოგვიანებით ამავე თარიღს იმეორებენ სმბატ სპარაპეტი (გარდ. 1276 წ.) და სტეფანოს ორბელიანი (გარდ. 1304 წელს).¹⁴ მათი მონაცემებით, ბრძოლა დათარიღდება 1049 წლით.

დავას ინვევს ინფორმაცია არისტაკეს ლასტივერტეცისა, რომელიც მოცემულია მისი თხზულების XI–XIII თავებში.¹⁵ მემატიანე ასახელებს თურქების რამდენიმე შემოსევას სომხეთში, იძლევა თარიღს 497 წელს სომხური ნელთალრიცხვით,¹⁶ რომელიც შეესაბამება პერიოდს 1048 წლის 10 მარტიდან 1049 წლის 9 მარტის ჩათვლით, მაგრამ მკვლევრები ვერ შეთანხმებულან, ეხება თუ არა ის კაპუტრუს ბრძოლას.¹⁷ უკანასკნელ ხანებში ს.

¹⁰ სკილიცე, გვ. 452/კედრენე, გვ. 75. არაქართულ ლიტერატურაში ეს ფრაზა ზოგჯერ ისეა გაგებული, თითქოსდა, შაბათს ქართველები არ ომობდნენ. იხ. J. Shepard. Scylitzes on Armenia, გვ. 276; С. Маркарян. О значении..., გვ. 122; მისივე. *Сельджуки в Иране*, გვ. 194.

¹¹ B.C(roke). A.C(utler). Day. – *The Oxford Dictionary of Byzantium*. Prepared at Dumbarton Oaks. A. P. Kazhdan ed. in chief, vol. I, New York, Oxford. Oxford University Press, 1991, გვ. 591.

¹² P. Orgels. Kékaumenos et la guerre péchéne. – *Byzantion*, XIII, 1938, გვ. 403, შენ. 1.

¹³ *Chronique de Matthieu d'Édesse, continuée par Grégoire le Prêtre*. Trad. en Français et accompagnés de notes historiques et géographiques par E. Dulaurier. Paris, 1858, გვ. 87.

¹⁴ Stéphanos Orbélian. *Histoire de la Siounie*. Traduite de l'Arménien par M. Brosset. Première Livraison. St.Pét., 1864, გვ. 213-215; სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978, გვ. 30, შენ. 2; Смбат Спарпет. *Летопись*, пер. с древнеармянского, предисловие и примечания А. Г. Галстяна, Ереван, 1974, გვ. 26.

¹⁵ Повествование Вардапета Аристакаеса Ластивертци, перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и примечания К. Н. Юзбашяна. М., 1968, გვ. 86-90, 88.

¹⁶ იქვე.

¹⁷ J. Shepard. Scylitzes on Armenia, გვ. 273, შენ. 12, 14; გვ. 280-281, შენ. 31; К. Н. Юзбашян. *Армянские государства*, გვ. 222.

მარქარიანი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ეს ბრძოლა, არისტაკეს ლასტი-ვერტეცის თანახმად, მოხდა არა 497, არამედ – 498/1049 წელს.¹⁸

არაბული წყაროებიდან ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ერთმანეთისგან დამოუკიდებელსა და ორიგინალურ ინფორმაციას შეიცავენ XII-XIII საუკუნეების არაბი ისტორიკოსების ალ-‘აზიმის (გარდ. 1161 წლის შემდეგ) „ალ-‘აზიმის ისტორია“ (თა’რიხ ალ-‘აზიმი), რომელიც „ჰალაბის ისტორიის“ (თა’რიხ ჰალაბ) სახელწოდებითაც არის ცნობილი და იბნ ალ-ასირის (გარდ. 1233 წ.) „სრულყოფილი ისტორიაში“ (ალ-ქამილ ფი-თ-თა’რიხ).¹⁹

ალ-‘აზიმის ინფორმაცია (ამ ავტორის თხზულების ხელნაწერიდან) ლიპარიტის დატყვევების შესახებ, თურქი მკვლევრის მ. ჰ. ინანჩის მეშვეობით,

¹⁸ С. Маркарян. *О значении...*, გვ. 127-128; მისივე, *Сельджуки в Иране*, გვ. 109-112.

¹⁹ მუჰამად იბნ ‘ალი იბნ მუჰამად აბუ ‘აბდ ალაჰ ალ-‘აზიმი ათ-თანუხი (1090-1161) ეკუთვნოდა ათ-თანუხის დიდ საგვარეულოს, რომელიც ქ. ჰალაბში (ჩრდ. სირია) დამკვიდრდა. ალ-‘აზიმი ამ ქალაქში ცხოვრობდა და აქვე გარდაიცვალა (C. Cahen. *La chronique abrégée d'al-'Azimi*. – *JA*, 1938, t. 230, გვ. 353-356; მისივე, *al-'Azimi*. – *EP*, vol. I, გვ. 823). ის ავტორია რამდენიმე ისტორიული შრომისა, რომელთაგან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა, მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულებამ. მასში ამბები დალაგებულია ქრონოლოგიურ რიგზე, სამყაროს შექმნიდან ჰიჯრის 538/1143-44 წლამდე. ამ თხზულების ერთადერთი ნუსხა, გადანერილი 633/1235-36 წ., დაცულია სტამბოლში, უმუმის ბიბლიოთეკაში (Or. 398, ყარა მუსტაფას ხელნაწერი). მისი ნაწილობრივი გამოცემა (რომელიც მოიცავს 1063-1143-44 წწ.) თა’რიხ ალ-‘აზიმის სახელწოდებით ეკუთვნის კლ. კაენს (C. Cahen, *La chronique*, გვ. 357-446), ხოლო სრული, თა’რიხ ჰალაბის სახელწოდებით – ი. ზა’რურს (ალ-‘აზიმი ალ-ჰალაბი, მუჰამად ბ. ‘ალი. თა’რიხ ჰალაბ, 483-556/1090-1161. ჰაკკაკაჰუ ვა კადდამა ლაჰუ იბრაჰიმ ზა’რურ, დიმაჰკ, 1984. შემდეგ: ალ-‘აზიმი). პასაჟები ალ-‘აზიმის თხზულებიდან შეტანილია ი. ‘აბბასის მიერ მომზადებულ კრებულში „ნაწყვეტები ისტორიის შესახებ დაკარგული წიგნებიდან“ (შაზარათ მინ ქუთუბ მაფკუდა ფი თა’რიხ, ისთახრაჯაჰა ვა ჰაკკაკაჰა იჰსან ‘აბბას, ბაირუთ, 1984, გვ. 49-74). ალ-‘აზიმის თხზულებას, ჯერ კიდევ სრულ გამოცემამდე, ხელნაწერის სახით, იყენებდნენ კლ. კაენი, მ. ჰ. ინანჩი, ვ. მინორსკი, ვ. ფელიქსი (C. Cahen. *La Syrie du Nord à l'époque des croisades*, Paris, 1940, გვ. 42; M. H. Yinanç. *Türkiye tarihi. Selçuklular devri*, I, *Anadolunun fethi*, Istanbul, 1944, გვ. 48; V. Minorsky. *Studies in Caucasian History*, London, 1953, გვ. 62, შენ. 2; W. Felix. *Byzanz und die islamische Welt im früheren II. Jahrhundert*. Wien, 1981, გვ. 23, 166.) ვ. მინორსკის მიხედვით, მისი ერთი ცნობა დაიმონმა პ. თოფურამ (პ. თოფურია. *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში*, თბ., 1975, გვ. 194). ალ-‘აზიმის ისტორიაში დაცული რამდენიმე ეპიზოდი დავით IV აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის ზეობიდან შესწავლილია ჩემ მიერ (იხ. გ.ჯაფარიძე. რამდენიმე ეპიზოდი დემეტრე I-ის ზეობის ხანიდან არაბულ ისტორიულ წყაროებში. – *მაცნე* (იეხის) 1992, №2, გვ. 117, 119-120; მისივე. *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, თბ., 1995, გვ. 49, 51). რაც შეეხება იბნ ალ-ასირის თხზულებას, რომლის სხვა სახელწოდებაცაა თა’რიხ ალ-ქამილ („სრულყოფილი ისტორია“), ის კარგადაა ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში და მის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ცნობილი იყო ვლ. მინორსკისათვის. თავის ნაშრომში *Studies in Caucasian History* (გვ. 62, შენ. 2) ლიპარიტის სახელი (ალ-‘აზიმის მიხედვით) მას მოტანილი აქვს ლიპარისის ფორმით. რაც შეეხება იბრაჰიმ ზა‘რურის პუბლიკაციას, აქ ეს სახელი იკითხება, როგორც *ალქიარს*, *ალქიარსუს*.²⁰ არ გამოვრიცხავ, რომ ის არასწორადაა ამოკითხული ხელნაწერში. მსგავსი შემთხვევები ზა‘რურის გამოცემაში ბევრია. ალ-‘აზიმი ლიპარიტის დატყვევებას ათარიღებს ჰიჯრის 439/28.VI.1047–16.VI.1048 წლით. მისი ცნობით, ამ წელს ინალი, თოღრულ-ბეგის ძმა, შევიდა რუმის (ბიზანტიის) ტერიტორიაზე. რუმელები (ბიზანტიელები) გამოვიდნენ აბხაზ ალქიარსთან ერთად. რუმელები დამარცხდნენ და დატყვევებული აბხაზი მიუყვანეს თოღრულ-ბეგს.²¹

იმავე ამბავს, უფრო ვრცლად, მაგრამ ჰიჯრის 440/16.VI.1048–5.VI.1049 წელს, მოგვითხრობს იბნ ალ-ასირი. ის იუწყება, რომ ამ დროს მავერანნაჰრიდან იბრაჰიმ ინალთან შეიკრიბა მრავალი ლუზი. იმ საბაბით, რომ მისი სამფლობელო (იგულისხმება ჰამადანი და ჰულვანის რაიონი²² დას. ირანში) არ იყო საკმარისი ლუზებისთვის სადგომად და საარსებოდ, იბრაჰიმმა ურჩია მათ ელაშქრათ ბიზანტიაზე ალაჰისათვის (ე. ი. დაეწყოთ საღვთო ომი, *ჯიჰადი*) და ეშოვათ ნადავლი; თანაც აღუთქვა, რომ მათ კვალდაკვალ წავიდოდა და დახმარებას გაუწევდა.

ლუზებმა მიაღწიეს მანასკერტს, არზან რუმს (თეოდოსიუპოლი, თანამედროვე ერზერუმი), ხელთ იგდეს დიდძალი ტყვე და ნადავლი. ბრძოლები ბიზანტიელებთან ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა და საბოლოოდ მუსლიმთა გამარჯვებით დასრულდა. იბრაჰიმ ინალმა დაამარცხა ბიზანტიელთა და აბხაზთა 50-ათასიანი ლაშქარი, აოტა და მოსრა ისინი და დაატყვევა დიდი ჯგუფი პატრიკიოსებისა, რომელთა შორის იყო ალ-კარიტ (ლიპარიტი) აბხაზთა მალიქი (მთავარი). მან თავის დასახსნელად იბრაჰიმ ინალს 300 ათასი დინარი და 100 ათასი დინარის საჩუქარი შესთავაზა, მაგრამ იბრაჰიმი არ დასთანხმდა. მან გააგრძელა ბიზანტიის ტერიტორიის დარბევა-მოოხრება, ვიდრე კონსტანტინოპოლამდე 15 დღის სავალი არ დარჩა. მუსლიმებმა ხელთ იგდეს 100 ათასზე მეტი ტყვე და დიდძალი ნადავლი (მათ შორის 19 ათასი ჯაჭვის პერანგი), რომლის გამოსატანად საჭირო გახდა 10 ათასი ურემი.²³

²⁰ ალ-‘აზიმი, გვ. 338, 339.

²¹ იქვე, გვ. 338.

²² C. E. Bosworth. *The Political and Dynastic History*, გვ. 43.

²³ Ibn al-Athir. *al-Kamil fi'l-ta'rikh*. Vol. IX, Editeurs Dar Sader, Dar Beyrouth, Beyrouth, 1966, გვ. 546-47; П. К. Жузе. Материалы по истории Азербайджана из “Тарих ал-камил” Ибн ал-Асира. Баку, 1940, гв. 116; ნ. შენგელია. დასახ. ნაშრ., გვ. 190. იბნ ალ-ასირის თხზულების

ორი ხსენებული არაბი ავტორის თარიღები ლიპარიტის დატყვევების თაობაზე განსხვავდება ერთმანეთისგან.

ალ-‘აზიმი იძლევა ჰიჯრის 439 წელს, რომელიც, როგორც ითქვა, მოიცავს პერიოდს 1047 წლის 28 ივნისიდან და 1048 წლის 15 ივნისის ჩათვლით. ვინაიდან ბრძოლა სექტემბერში მოხდა (იხ. სკილიცეს ცნობა), ლიპარიტის დატყვევება დათარიღდება 1047 წლით, რაც ყველაზე ადრეულია სხვა თარიღებთან შედარებით (იხ. ზემოთ). 18 სექტემბერი 1047 წელს იყო პარასკევი და საღამოს დაწყებული ბრძოლა (თუ ის მართლაც ამ დროს მოხდა), დამთავრდებოდა შაბათს. ქრონოლოგიური შეუსაბამობა აქაც უმნიშვნელოა. სხვა საქმეა, რამდენად მართებულია ეს თარიღი.

შეიძლება ითქვას, რომ ჰიჯრის 439 წელს ალ-‘აზიმის მიერ მოთხრობილი ამბების უმეტესობა, ძირითადად, სწორია და დასტურდება სხვა წყაროებით.²⁴ ამავე დროს, ალ-‘აზიმი ჰიჯრის 439 წლით არასწორად ათარიღებს

ზოგიერთ ნუსხაში, აღნიშნულ ეპიზოდში, აბხაზთა მალიქის სახელად, კარიტის გარდა, გვხვდება ფარბტ. როგორც ერთი, ისე მეორე, მართებულად იქნა გაიგივებული ლიპარიტთან, ჯერ მ. სენ-მარტენის, ხოლო შემდეგ ჰ. ამედროზის მიერ (იხ. M.-J. Saint-Martin. *Mémoires historiques et géographiques*. Tome second, Paris, 1819, გვ. 214-215; H. Amedroz. The Marwanid dynasty of Mayyafariqin in the tenth and eleventh centuries A.D. – *JRAS*, 1903, t. 35, გვ. 141; ქართულ ისტორიოგრაფიაში იხ. ბ. სილაგაძე. იბნ ალ-ასირის თხზულების „თარის ალ-ქამილის“ ერთი ადგილის დადგენისათვის. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ. III, თბ., 1971, გვ. 63-69); [Addenda: სამწუხაროდ, სენ-მარტენისა და ამედროზის შრომები უცნობი დარჩა დ. ს. რიჩარდსისთვის, რომელმაც, არცთუ დიდი ხნის წინათ, ინგლისურად თარგმნა იბნ ალ-ასირის ცნობები თურქ-სელჩუკთა შესახებ (The Annals of the Saljuq Turks. Selections from al-Kāmil fi’l-Ta’riḫ of ‘Izz al-Dīn Ibn al-Athīr. Translated and annotated D.S. Richards. Routledge Curzon. London, 2002). ის წერს, რომ ამ პერიოდში ქართველთა მეფე იყო ბაგრატი (1028-1072) და რომ ქართულ ქრონიკებში არ მოიპოვება რაიმე ცნობა მისი დატყვევების შესახებ, ეს კარიტი არ არის იდენტიფიცირებული და რომ ის სახელ „ბაგრატის“ დამახინჯებაა (*The Annales*, შენ. 68)]. იბნ ალ-ასირის ზემომოტანილი ცნობა მოგვიანებით გამეორებული აქვს არაბ გეოგრაფსა და ისტორიკოსს ‘იზ ად-დინ მუჰამად ბ. ‘ალი ბ. შადდადს (გარდ. 1285 წ.). იხ. ‘იზ ად-დინ ბ. შადდად. *ვასფ ლი-შიმალ სურია*. ალ-ა ‘ლაჟ ალ-ხატირა ფი ზიქრ უმარა’ აშ-შამ ვა ლ-ჯაზირა, 1/2, ნაშრ ვა თაჰკიკ ა.-მ. ედდე. – *BEO*, Damas, 1892, t. XXXII-XXXIII, გვ. 325; ‘Izz al-Din ibn Šaddad. *Description de la Syrie du Nord*. Traduction annotée de al-A‘laq al-hatira fi dikr umara’ al-Sham wa l-Gazira par A.-M. Eddé-Terrasse. Damas, 1984, გვ. 205-206.

²⁴ ეს ეხება, კერძოდ, ეგვიპტეში თურქების მიერ მუშრიფ აბუ სა‘დ ალ-იაჰუდის მკვლელობას; არაბული ბანუ კურას ტომის მიერ საიდის მიდამოების მოოხრებასა და მათ განადგურებას ფატიმიანი ხალიფას – ალ-მუსთანსირის მიერ წარგზავნილი სარდლის, საჭურის რაიჰან ‘აზიზ ად-დავლას მიერ (Choix de passages de la chronique d’Égypte d’Ibn Muyassar Tağ ad-Din Muh. b. ‘Ali b. Yusuf b. Ġalab Rağib m.677H. Sélection faite par Taqiyy ad-Din b. ‘Ali al-Maqrizi en l’année 814H, éditée et présentée par A.Fu‘ad Sayyid. Institut Français d’Archéologie Orientale du Caire, 1981, გვ. 3-4); შაიზარის ციხის მფლობელის ბიძის აბუ მულის მუნკიზ იბნ ნასრ იბნ მუნკიზის სიკვდილს (Ibn Khallikan’s *Biographical Dictionary*.

სელჩუკებთან დაპირისპირებული ბუვეიჰიანი გამგებლის აბუ ქალიჯარის სიკვდილს. აბუ ქალიჯარი, სინამდვილეში, გარდაიცვალა 440 წლის 4 ჯუმადა აღ-ულას, ე. ი., 1048 წ. 15 ოქტომბერს.²⁵ რაც არ უნდა სწორად იყოს სხვა ამბები დათარიღებული, ამ შეცდომის ფასი მეტია. საქმე ისაა, რომ, სწორედ, ჰიჯრის 439 წელს შეწყდა აბუ ქალიჯარისა და თოღრულ-ბეგის დაპირისპირება და ისინი მორიგდნენ. სულთანმა აღკვეთა იბრაჰიმ ინალის თავდასხმები მის სამფლობელოებზე – ლურისტანსა და ფარსზე. 439 წლის რაბი' აღ-ახირის თვეში, ე. ი., 1047 წლის 25 სექტემბერიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით, დადებული ხელშეკრულებით, თოღრულ-ბეგი ქორწინდებოდა აბუ ქალიჯარის ასულზე, ხოლო აბუ ქალიჯარის ვაჟი აბუ მანსური კი – თოღრულ-ბეგის ძმის ჩალრი-ბეგ დავუდის ასულზე. 1047-1048 წლების ზამთარში ბაღდადში დიდი შიში გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ იბრაჰიმი აპირებდა ბაღდადზე ლაშქრობას. ყოველივე ამას იუწყება იბნ აღ-ასირი, ფაქტობრივად, ერთადერთი ავტორი, რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს სელჩუკთა სამხედრო მოქმედებებზე დასავლეთ ირანში და რომლის ინფორმაციაც მიღებულია თანამედროვე გამოკვლევებში.²⁶ იბრაჰიმ ინალი ჰიჯრის 439 წ. ჯერ კიდევ დასავლეთ ირანში იმყოფებოდა და ამ დროს მას არ შეეძლო ელაშქრა სომხეთში.

იბნ აღ-ასირი, როგორც აღინიშნა, იბრაჰიმ ინალის შეჭრას ბიზანტიის ტერიტორიაზე და ლიპარიტის დატყვევებას ათარიღებს ჰიჯრის 440 წლით, რომელიც მოიცავს პერიოდს 1048 წლის 16 ივნისიდან 1049 წლის 5 ივნისის ჩათვლით. უფრო ადრე, იბნ აღ-ასირის მსგავსად, იბრაჰიმ ინალის ლაშქრობას ბიზანტიელებზე ჰიჯრის 440 წელს, მაგრამ ლიპარიტის დატყვევების მოუხსენიებლად, მოგვითხრობს კიდევ ერთი არაბი ისტორიკოსი იბნ აღ-ჯაუზი²⁷ (გარდ. 1200 წ.). იბნ აღ-ჯაუზისა და იბნ აღ-ასირის ეს ცნობა გან-

Translated from the Arabic by Mac Guckin de Slane, vol. III, Beirut, 1970, გვ. 428) და აღ-ჯაზირაში თალიბიანი ასფარის გამოსვლასა და მის დაპატიმრებას (Ibn al-Athir, IX, გვ. 540-541).

²⁵ იბნ აღ-ჯაუზი. *აღ-მუნთაზამ ფი თა'რიბ აღ-მულუქ ვა ლ-უმამ*. VIII, ჰაიდარაბად, 1358, გვ. 136, 139; Ibn al-Athir, IX, გვ. 547; M. Kabir. *The Buwaihid Dynasty of Baghdad*. Calcutta, 1964, გვ. 111; H. Bowen. Abu Kalidjar al-Marzuban b. Sultan al-Dawla. – *EF*, vol. I, გვ. 132; C. E. Bosworth. *The Political and Dynastic History*, გვ. 45.

²⁶ Ibn al-Athir, IX, გვ. 536, 538-539; C. E. Bosworth. *The Political and Dynastic History*, გვ. 44-45; M. Kabir. *The Buwaihid Dynasty*, გვ. 111.

²⁷ თვალსაჩინოებისთვის მოვიტან იბნ აღ-ჯაუზის ცნობის თარგმანს: „[440 წ.] მივიდა მრავალი ღუზი მავერანნაჰრიდან ინალთან და უთხრა მათ: ვინ როდ ვართ იმისთვის, რომ დადგეთ ჩვენთან და რჩევაა, ნავიდეთ რუმის დასალაშქრად და ვიომოთ. გაემართნენ და წავიდა [ინალი] მათ შემდგომ და დარჩა მასსა და კონსტანტინოპოლს შორის 15 დღე და

სხვაგვარად ალ-‘აზიმისგან, ეთანხმება სკილიცეს ინფორმაციას და ბრძოლის თარიღად (თუ ის სექტემბერში მოხდა) იძლევა 1048 წელს.

ქართული წყარო „მატიანე ქართლისა“, რომელიც ეხება ლიპარიტის დატყვევებას, არ ასახელებს თარიღს, მაგრამ მოვლენების თანამიმდევრობის გათვალისწინებით მისი გამოთვლა შესაძლებელია.

XI ს-ის 40-იანი წლების შუა ხანების ამბების გადმოცემისას მემატიანე მოგვითხრობს ლიპარიტის ცდაზე, დაუფლებოდა ანისს, რაც 1045 წლით თარიღდება. ამ წლის გაზაფხულზე ის უკვე მომხდარი ამბავია. მას შემდეგ, რაც „მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა“, ²⁸ ქართული წყარო იუწყება ბაგრატის ყოფნას აფხაზეთში გაზაფხულზე, ²⁹ ანაკოფიის ალყას, თბილისის ამირას გარდაცვალებას, ბაგრატის მიერ თბილისის დაკავებას და ბრძოლას ისნისათვის. ხოლო „ვითარ .. გარდახდეს დღენი ზაფხულისანი“ ბაგრატმა წარუმატებლობა განიცადა ანისში, რაშიც, ქართველი მემატიანის თანახმად, ლიპარიტს მიუძღოდა წვლილი. ³⁰

ანისი, როგორც ცნობილია, 1045 წელს ბიზანტიელებმა იგდეს ხელთ. ჯ. შეპარდი, სომხური და ბიზანტიური წყაროების ანალიზის საფუძველზე, ბიზანტიელთა მიერ ანისის დაკავებას, დაახლოებით, მარტი-ივნისის თვეებით ათარიღებს. ³¹ ანისში წარუმატებლობის შემდეგ დაიწყო მეფისა და ლიპარიტის კონფრონტაციის ახალი ფაზა. მანყვერელმა უღალატა მეფეს და ლიპარიტს მიემხრო. როდესაც ბაგრატმა ეს გაიგო, *ზამთრისა ბუქთა საშინელთა გარდაიარა შავშეთი და ჩავიდა ქართლს.* ³² თუ ქართველი მემატიანის თხრობის თანამიმდევრობას მივყვებით, ეს ამბავი მოხდა 1045 წლის დეკემბერში ან 1046 წლის იანვარ-თებერვალში. ³³ ლიპარიტმა ბაგრატს და-

დაეუფლა 100 ათასზე მეტ ტყვეს და ნადავლად წაიღო მათგან 4 ათასი ჯაჭვის პერანგი. დატვირთეს ის, რაც მას მოუტანეს, 10 ათას ურემზე და დაბრუნდა უკან“ (იზნ ალ-ჯაუზი, გვ. 137).

²⁸ ქართლის ცხოვრება, გვ. 229.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე, გვ. 300.

³¹ J. Shepard. *Scylitzes on Armenia*, გვ. 297.

³² ქართლის ცხოვრება, გვ. 300.

³³ აღნიშნული ამბების ქრონოლოგია ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენადმე სხვაგვარად არის წარმოდგენილი. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, „როდესაც ბაგრატს ანისი შეაძლიეს... ამ დროს 1045 წ. იყო. მაშინ ირკვევა, რომ ანაკოფიის ციხის გარემოცვა და მიწურვა ასაღებად 1046 წლის გაზაფხულის ჟამს უნდა მომხდარიყო“. თბილისის დაკავებას და ისნისათვის ბრძოლას მკვლევარი 1046 წლის ფარგლებში ათავსებდა და ბაგრატის გადასვლას შავშეთიდან ქართლში *ზამთრის ბუქში*, 1046 წლის დამლევს, ან 1047 წლის დამდეგით ათარიღებდა (ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, გვ. 144); თბილისის ამირას გარდაცვალებას მ. ლორთქიფანიძე 1046 წლით ათარიღებს (საქარ-

უპირისპირა მისი ძმა – დემეტრე, რომელიც ბიზანტიიდან ჩამოიყვანა. ორ ბრძოლაში – სასირეთის ჭალაში და არყის ციხესთან ლიპარიტმა დაამარცხა მეფე. ამ ბრძოლებს შორის გარდაიცვალა დემეტრე და ბაგრატი წარუმატებლად შეეცადა შეხვედროდა ლიპარიტს ხოვლეში.³⁴

არყის ციხესთან გამარჯვების შემდეგ ლიპარიტმა შეიპყრო ბაგრატის ერთგული ფეოდალები, კალმახის ერისთავი სულა, არტანუჯის ერისთავი გრიგოლი ძე აბუსერისა, დაიკავა კალმახი და არტანუჯი და „მოირჭუნა... ზემოსა ქუეყანასა“,³⁵ ე.ი. მესხეთი. ლიპარიტის ამ წარმატებებს მემატინე ამთავრებს ცნობით, რომ „წარვიდა ლიპარიტ... დვინად, და ულაშქრა ბერძენტა მეფესა დვინელსა ზედა, და შემოიქცა თავის ქუეყნად“.³⁶

ჯ. შეპარდის ქრონოლოგიით, ბიზანტიელთა სამხედრო კამპანია დვინის წინააღმდეგ, რომელსაც შადადიანები ფლობდნენ, დაიწყო ანისის დაკავებისთანავე – 1045 წლის ზაფხულის მიწურულს, ანდა შემოდგომაზე და დასრულდა მათი მძიმე მარცხით.³⁷ ჰიჯრის 437/9.VIII.1045–7.VII.1046 წ. ბიზანტიელთა ლაშქრობას დვინზე ადასტურებს ალ-‘აზიმიც. თუ მას ვენდობით, ბიზანტიელები თოღრულ-ბეგის მიერ წარგზავნილ ყუთლუმშის დაუმარცხებია.³⁸ ამ მარცხს მოჰყვა ივერიის დუკა მიხაილ იასიტის გადაყენება და მის ადგილზე კატაკალონ კეკავმენის დანიშვნა.³⁹

დვინზე ბიზანტიელთა ხელახალი ლაშქრობა, ბიზანტიური და სომხური წყაროების ანალიზის საფუძველზე, 1046-47 წლების ზამთრით თარიღდება.⁴⁰ ბიზანტიელებმა ხელთ იგდეს ანისზე დაქვემდებარებული ანბერდი, წმიდა მარიამი (სურმარი), წმიდა გრიგოლი და შეეცადნენ აეღოთ ციხე ხელიდონიონი (ციცერნაკაბერდი, დღევანდელი ერევნის ფარგლებში) – დვი-

თველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 163; М. Лордкипанидзе. *История Грузии XI-начала XIII века*, Тб., 1974, გვ. 58). ვ. კოპალიანის აზრით, საქართველოს მეფის ხელისუფლებისათვის ანისის გადაცემა, ქართველების მიერ ანაკოფიის გასათავისუფლებლად ბრძოლის დაწყება, თბილისში ბაგრატის მოწვევა და ქართველი მოხელეების განდევნა ანისიდან ერთი წლის განმავლობაში, კერძოდ, 1044 წლის მიწურულიდან 1045 წლის დასასრულამდე უნდა მომხდარიყო (ვ. კოპალიანი. *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა*, გვ. 218).

³⁴ იქვე, გვ. 300-301.

³⁵ იქვე, გვ. 302.

³⁶ იქვე.

³⁷ J. Shepard. *Scylitzes on Armenia*, გვ. 297-298.

³⁸ ალ-‘აზიმცი, გვ. 337.

³⁹ J. Shepard. *Scylitzes on Armenia*, გვ. 300.

⁴⁰ იქვე, გვ. 303.

ნის მახლობლად, ციცაბო კლდეზე.⁴¹ ისინი ახლოს იყვნენ წარმატებასთან, მაგრამ 1047 წლის სექტემბერში ანდრიანოპოლში დაიწყო ლეონტი თორნიკის აჯანყება და იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა გამოიძახა დვინთან მდგომი ლაშქარი, რომელსაც ხელმძღვანელობდა საჭურისი კონსტანტინე სარკინოზი.

კონსტანტინე დაუზავდა დვინის გამგებელს აბუ ლ-ასვარს⁴² და კონსტანტინოპოლში დაბრუნებულმა დიდი როლი ითამაშა ლეონტი თორნიკის აჯანყების ჩაქრობაში.

მაშასადამე, ლიპარიტი დვინზე მონყობილ ბიზანტიელთა ბოლო ლაშქრობაში მონაწილეობდა და სამშობლოში მისი დაბრუნების ზემო ქრონოლოგიური ზღვარი შეიძლება იყოს 1047 წლის სექტემბერი.

„მატიანე ქართლისას“ ავტორი წერს, რომ მას შემდეგ, რაც ლიპარიტი „შემოიქცა თავის ქუეყნად .. შემდგომად წელიწდისა მოქცევისა გამოჩნდეს თურქნი სულთნისანი ქუეყანასა ბასიანისასა“.⁴³ ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით, მოქცევა წელიწდისასა იგივეა, რაც ერთი წლის შემდეგ⁴⁴ და თუ ასეა, მემატიანის ცნობით სრულიად აშკარაა, რომ ბრძოლა ბასიანში მოხდა ლიპარიტის სამშობლოში დაბრუნებიდან (არაუგვიანეს, 1047 წლის სექტემბრისა)⁴⁵ ერთი წლის შემდეგ, ე.ი., **1048 წელს. ეს ის თარიღია, რომელსაც,**

⁴¹ К. Н. Юзбашян. *Армянские государства*, გვ. 171.

⁴² J. Shepard. *Scylitzes on Armenia*, გვ. 283. ლეონტი თორნიკის აჯანყების შესახებ იხ. Г. Г. Литаврин. Внутренняя и внешняя политика Византии в 1025-1057 гг. – *История Византии* в трех томах, том 2, М., 1967, გვ. 271-272.

⁴³ ქართლის ცხოვრება, გვ. 302.

⁴⁴ იქვე, გვ. 446.

⁴⁵ ს. მარქარიანის აზრით, „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს ამბებს, რომლებიც არ გვაძლევს საფუძველს თურქებთან ლიპარიტის ბრძოლა, უეჭველად, 1048 წლით დავათარილოთ. ის მიიჩნევს, რომ 1048 წ. ზაფხულსა და შემოდგომაზე ლიპარიტი სამშობლოში სხვა საქმეებით იყო დაკავებული. მკვლევარი ფიქრობს, რომ 1048 წ., მას შემდეგ, რაც ბაგრატ IV-მ დაიკავა თბილისი, თურქებთან ბრძოლამდე, ლიპარიტი ორჯერ მაინც შეებრძოლა მეფეს, ამასთან, ერთხელ – ზამთარში. 1048-49 წლებში სასირეთის ჭალაში და არყის ციხესთან მან ორჯერ დაამარცხა ბაგრატი. ქართველი მემატიანის ცნობა, რომ მერე ლიპარიტი განმტკიცდა მესხეთში, ხოლო შემდგომად წელიწდისა მოქცევისა გამოჩნდეს თურქნი და ლიპარიტი შეებრძოლა იბრაჰიმ ინალს, მარქარიანს მიაჩნია იმის საბუთად, რომ ბრძოლა მოხდა 1049 და არა – 1048 წელს. მართალია, მან იცის 1047 წ. დვინის კამპანიაში ლიპარიტის მონაწილეობის შესახებ, მაგრამ რატომღაც ამის შემდეგ განიხილავს ლიპარიტისა და ბაგრატის იმ დაპირისპირებას, რასაც სინამდვილეში ადგილი ჰქონდა 1047 წლამდე (С. Маркарян. *О значении*, გვ. 125-126). მათე ურჰაეცი და სმბატ სპარაპეტი კაპუტრუს ბრძოლაში თურქ-სელჩუკთა ერთ-ერთ სარდლად ასახელებენ ყუთლუმში. ს. მარქარიანი თავისი თვალსაზრისის გასამტკიცებლად აღნიშნავს, რომ არსებობს ცნობები, რომ 1048 წლის ზაფხულში ყუთლუმში ეომებოდა კაკევიძიან აბუ

როგორც ვნახეთ, გვთავაზობენ სკილიცე და იბნ ალ-ასირი. თურქ-სელჩუკებმა მოხერხებული დრო შეარჩიეს ბიზანტიის სომხური სამფლობელოების დასალაშქრად. ამ დროს ბიზანტიის ძირითადი სამხედრო ძალები სომხეთიდან იყო განწეული ლეონტი თორნიკის აჯანყების ჩასაქრობად.⁴⁶



კაპუტრუსთან ბრძოლაში იბრაჰიმ ინალს მრავალი ბიზანტიელი პატრიკიოსი ჩაუვარდა ხელში. მათგან ყველაზე სახელოვანი და წარჩინებული იყო ლიპარიტ ბაღვაში. ლიპარიტი დაუყოვნებლივ შეეცადა გამოესყიდა თავი, მაგრამ, როგორც ითქვა, იბრაჰიმ ინალმა არ მიიღო მის მიერ შეთავაზებული საკმაოდ დიდი თანხა და საჩუქარი. თურქები ლიპარიტში, ჩანს, გაცილებით მეტის მიღებას იმედოვნებდნენ. იბრაჰიმმა ლიპარიტი თოღრულბეგს მიჰგვარა.⁴⁷ ამის შემდეგ საქმეში ჩაერია იმპერატორი კონსტანტინე მონომახი, რომელიც, სკილიცეს ცნობით, *მთლად იმის ცდაში იყო, რომ გამოესყიდა ერთგული მოკავშირე*. მან ძვირფასი საჩუქრები და გამოსასყიდი გაუგზავნა სულთანს ვასპურაქანის დუკას აარონის მდივნის (ჰიპოგრამმატეუს), გიორგი დროსოსის, ხელით და *სთხოვდა ლიპარიტის განთავისუფლებას და ზავის დადებას*.⁴⁸

ქალიჯარს, რომელიც ფლობდა ჰამადანს და ამის გამო, ალბათ, ვერ შეძლებდა, მონაწილეობა მიეღო კაპუტრუს ბრძოლაში. მკვლევარი ამ შემთხვევაში იმონმებს კლ. კაენის სტატიას *Qutlumush et ses fils avant l'Asie Mineure* (C. Cahen. *Turcobyzantina et Oriens Christianus*. Variorum Reprints, London, 1974, გვ. 17). მაგრამ აქ საუბარია მხოლოდ ყუთლუმშიის სამარ მოქმედებებზე აბუ ქალიჯარის წინააღმდეგ 440 წლის დაწყებამდე, ე.ი., 1048 წ. 16 ივნისამდე.

⁴⁶ P. Charanis. The Byzantine Empire in the eleventh century. – *A History of the Crusades*. K.M. Setton General editor, vol. II, The First Hundred Year. Ed. By M. W. Baldwin. Madison, Milwaukee, London, 1969, გვ. 190.

⁴⁷ ვარდანის ცნობით, თოღრულ-ბეგმა ლიპარიტს ისლამის მიღება შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო (Вардан Великий. *Всеобщая история*, перевел Н. Эмин. СПб, 1861, გვ. 124-25). ლიპარიტისადმი სულთნის განწყობისა და ტყვეობაში ლიპარიტის ყოფნის ზოგიერთი დეტალის შესახებ იხ. მიხაილ ატალიატესა და მათე ურჰაეცის ცნობები. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი მეექვსე, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1966, გვ. 25-26; ნ. შენგელია. *სელჩუკები და საქართველო*, გვ. 102.

⁴⁸ სკილიცე, გვ. 453-454/კედრენე, გვ. 78. ბიზანტიის ყველა თემის მმართველს ჰქონდა თავისი კანცელარია, რომელშიც შეეძლოთ ემსახურათ ნოტარებს, ჰიპოგრამმატეუსებსა და ხარტულარებს. მდივნები არა მარტო ადგენდნენ და ინერდნენ საქმიან ქალაქებს, არამედ ასრულებდნენ სხვადასხვა დავალებას. ერთი ასეთი მდივანი იყო გიორგი დროსოსი. შემონახულია მისი საბეჭდავები, რომლებიც, საფიქრებელია, მიეკუთვნება ვასპურაქანის შემდეგდროინდელ პერიოდს. Н. С. Скабаланович. *Византийское государство и церковь*. СПб, 1884, გვ. 89; К. Н. Юзбашян. *Армянские государства*, გვ. 181.

იბნ ალ-ასირი იუწყება, რომ ჰიჯრის 441/5.VI.1049–25.V.1050 წელს იმპერატორმა (ე. ი. კონსტანტინე მონომახმა) დიდძალი საჩუქარი გაუგზავნა თოლრულ-ბეგს და სთხოვა დაზავება, რაზედაც ის დასთანხმდა.⁴⁹ ამის შემდეგ მან ლიპარიტის დასახსნელად ნასრ ად-დავლა იბნ მარვანს სთხოვა დახმარება.⁵⁰

ნასრ ად-დავლა იბნ მარვანი (1011–1061) მარვანიანთა ქურთული დინასტიის მესამე წარმომადგენელი, ჩრდილოეთი მესოპოტამიის ჩრდილოეთი ნაწილის, დიარ-ბაქრის გამგებელი იყო. ის ფლობდა მათაფარიკინსა და მანასკერტსაც. მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიცია დიარ-ბაქრისა, რომელიც აკონტროლებდა გზებს აღმოსავლეთიდან სირიისა და ანატოლიისაკენ, აგრეთვე, ძლიერი სახელმწიფოების მეზობლობა უზიძგებდა მას, ყოფილიყო მოხერხებული დიპლომატი, რათა შეენარჩუნებინა არსებობა. ნასრ ად-დავლას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან. 441/1049-50 წელს, თოლრულ-ბეგის მოთხოვნით, მან სელჩუკთა სულთნის სახელზე ხუტბა აღავლინა მთელ დიარ-ბაქრში,⁵¹ სადაც ადრე დიდი იყო ის-მაილიტ ფატიმიანთა გავლენა.⁵² ამ გარემოებამ მარვანიანს გაუადვილა ბიზანტიის იმპერატორის თხოვნის შესრულება. მან თოლრულ-ბეგთან მალაღი რანგის სასულიერო პირი, შაიხ ალ-ისლამი აბუ ‘აბდ ალლაჰ იბნ მარვანი გაგზავნა და ლიპარიტის განთავისუფლების თაობაზე იშუამდგომლა.

ერთი მხრივ, გიორგი დროსოსის და, მეორე მხრივ, ნასირ ად-დავლას შუამდგომლობამ და მის მიერ წარგზავნილი შაიხ ალ-ისლამის ელჩობებმა თავისი შედეგი გამოიღო. იბნ ალ-ასირი წერს, რომ თოლრულ-ბეგმა ლიპარიტი გამოსასყიდის გარეშე გაანთავისუფლა. მაგრამ ბიზანტიის მეფემ მაინც გაუგზავნა მას ძვირფასი საჩუქარი და არც ნასრ ად-დავლა დაივიწყა (იხ. დანართი).⁵³

სკილიცეს თანახმად, თოლრულ-ბეგმა იმპერატორის მიერ გიორგი დროსოსის ხელით გაგზავნილი ძვირფასი საჩუქარი არ მიიღო:

„მან მოინდომა ... ეჩვენებინა, რომ უფრო დიდსულოვანი მეფეა, ვიდრე უღირსი ვაჭარი და მეფეს [კონსტანტინე მონომახს – გ.ჯ.] საჩუქრად გაუგზავნა იგი [ლიპარიტი]. გამოსასყიდი აიღო და მთლიანად ლიპარიტს მისცა“.⁵⁴

XII საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის ზონარას ცნობით, თოლრულ-

⁴⁹ Ibn al-Athir, IX, გვ. 557.

⁵⁰ იქვე, გვ. 556.

⁵¹ იქვე.

⁵² К. Э. Босворт. *Мусульманские династии*. М., 1971, გვ. 87.

⁵³ Ibn al-Athir. *al-Kamil fi'l-tarikh*. Vol. X, Editeurs Dar Sader, Dar Beyrouth, Beyrouth, 1966, გვ. 28.

⁵⁴ სკილიცე, გვ. 453-454/კედრენე, გვ. 78.

ბეგს არა მარტო მისთვის გაგზავნილი თანხა დაუბრუნებია, არამედ, თავის მხრივ, ლიპარიტის ხელით, იმპერატორს საჩუქარიც გაუგზავნა.⁵⁵ ამის შესახებ ალ-‘აზიმი და იბნ ალ-ასირი არაფერს იუწყებიან.

თოღრულ-ბეგმა ლიპარიტს თავისი ელჩიც გააყოლა. იბნ ალ-ასირი წერს, რომ ის იყო ‘ალავი, ე.ი. ალიდი. ალ-‘აზიმის ცნობით, მისი სახელია: ნასირ იბნ ისმა‘ილ აშ-შარიფი⁵⁶ და ამ პიროვნებას, სხვა ამბებთან დაკავშირებით, იხსენიებს იბნ ალ-ასირი: ჰიჯრის 434/1042-43 წ. თოღრულ-ბეგმა ნასირ ალ-ალავი თავის ნაცვლად დანიშნა (*ისტანაბა*) ქ. ჰამადანში, შემდეგ კი რეიში.⁵⁷ ელჩის ლაკაბი (ტიტული) *შარიფ*⁵⁸ იმის მაუწყებელია, რომ ნასრ იბნ ისმაილი იყო მართლაც ალიდი, ისლამის ფუძემდებლის მუჰამადის ბიძაშვილისა და სიძის, არაბთა მეოთხე ხალიფას ‘ალის (656-661) შთამომავალი. ზონარა ამ ელჩს *სერიფს* (*resp. შარიფ*) უწოდებს⁵⁹ და წერს, რომ მან კონსტანტინოპოლში იმპერატორს წარუდგინა დიდი გადასახადი, რომელსაც ითხოვდა სულთანი და

⁵⁵ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები, გვ. 238. კ. თუმანოვი არასწორად წერს, რომ ლიპარიტი გაათავისუფლა ალფ-არსლანმა. C. Toumanoff. Armenia and Georgia. – *The Cambridge Medieval History*. vol. IV, *The Byzantine Empire*, pt. I. *Byzantium and its Neighbours*, ed. by J. M. Hussey. Cambridge, 1966, გვ. 622.

⁵⁶ ალ-‘აზიმი, გვ. 339. კლ. კაენი, ჰამიდულაჰის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით (ზუსტი მითითება არ არის), წერს, რომ ის არის შერიფი ნასირ (ნაჯია?) იბნ ისმა‘ილ ალ-ჰასანი. C. Cahen. *La Diplomatie Orientale de Byzance face à la poussée Seldjukide*. – C. Cahen. *Turcobyzantina et Oriens Christianus*. Variorum Reprints, London, 1974, გვ. 13.

⁵⁷ Ibn al-Athir, X, გვ. 509.

⁵⁸ *შარიფ*, მრ. *აშრაფ*, რაც სიტყვასიტყვით „დიდგვაროვანს“, „კეთილშობილს“ ნიშნავს, იყო მოციქულ მუჰამადის შთამომავალთა საერთო სახელწოდება. ისლამში შიიტური პროპაგანდის წყალობით მუჰამადის სახლისადმი (აჰლ ალ-ბაათ) კუთვნილება გახდა განსაკუთრებული გამორჩეულობის ნიშანი. მუჰამადის სახლისადმი სიყვარულის მოვალეობას განსაზღვრავდა ყურანი (42:22/23). აბასიანთა სახალიფოში *შარიფის* წოდება დაუმკვიდრდათ მუჰამადის ბიძების – ‘აბბასის და აბუ ტალიბის შთამომავლებს, ფატიმიანთა ეგვიპტეში კი *შარიფი* შეიძლება ყოფილიყო მუჰამადის შვილიშვილების (‘ალისა და ფატიმას მხრიდან) – ჰასანისა და ჰუსეინის შთამომავლები. მართალია, ნასრ იბნ ისმაილი იყო შიიტი, მაგრამ ეს არ შეუშლიდა მას ხელს, შეესრულებინა სუნიტი თოღრულ-ბეგის დავალება. სელჩუკთა ეპოქაში, როგორც სულტნების, ისე აბასიანი ხალიფების კარზე, არაერთი შიიტი გვხვდება. იხ. მაგალითად, A. Bausani. *Religion in the Saljuq Period*. – *The Cambridge History of Iran*, 5, *The Saljuq and Mongol Periods*. Cambridge, 1968, გვ. 292.

⁵⁹ სერიფ/შერიფის ზონარასეული არასწორი განმარტებით, „სერიფი უხუცესია: ეს არის იმათი ისეთივე (მოხელე) უძველესი დროიდან, როგორცაა ჩვენში სინკელოზი (ი. აბულაძის თანახმად, პატრიარქის თანაშემწე. – ი. აბულაძე. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, თბ., 1973, გვ. 406) და როგორც სინკელოზი პატრიარქის სიკვდილის შემდეგ მის ადგილს დაიჭერს, ასევე სერიფიც – ხალიფას გარდაცვალების შემდეგ გარდაცვლილის მოვალეობას ასრულებს“ (გეორგიკა. ტომი მეექვსე, გვ. 238).

უკან გაბრუნდა.⁶⁰ იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ ბიზანტიელებმა განაახლეს კონსტანტინოპოლის საკრებულო მეჩეთი⁶¹ და მისი მინარეთი, დაკიდეს მეჩეთში კანდელები და გააკეთეს მის მიჰრაბზე მშვილდ-ისარი.⁶² მეჩეთში სრულდებოდა ლოცვა (სალათ) და ხუტბა თოღრულ-ბეგის სახელზე. ყოველივე ეს, კონსტანტინე მონომახმა, ჩანს, თოღრულ-ბეგის მოთხოვნით, ლიპარიტ ბაღვაშის განთავისუფლების სანაცვლოდ გააკეთა. ამის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა გამოაცხადა დაზავება.⁶³ ამით, ფაქტობრივად, დაიწყო პირველი დიპლომატიური კონტაქტები ბიზანტიასა და სელჩუკებს შორის. ამ კონტაქტებში ცენტრალური ადგილი დაიკავა ლიპარიტ ბაღვაშის გამოსხნამ.

⁶⁰ გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები, ტომი მეექვსე, გვ. 238.

⁶¹ იბნ ალ-ასირი მეჩეთის აგებას კონსტანტინოპოლში მიაწერს ცნობილ არაბ სარდალს, ომაიანთა ხალიფა აბდ ალ-მალიქის (685–705) ვაჟს – მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქს (Ibn al-Athir, X, გვ. 28). მასლამა 716-17 წლებში ხელმძღვანელობდა არაბთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებას, რომელიც, ბიზანტიის დედაქალაქზე არაბთა ორი წინამორბედი შეტევის მსგავსად, წარუმატებლად დასრულდა. ამ მეჩეთთან მასლამას კავშირზე მხოლოდ იბნ ალ-ასირი არ წერს. კონსტანტინე პორფიროგენეტის თანახმად, მეჩეთი კონსტანტინოპოლში, პრეტორიუმში, მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქის თხოვნით აშენდა (Константин Багрянородный. *Об управлении империей*. Текст, перевод и комментарий под редакцией Г. Г. Литаврина и А. П. Новосельцева. М., 1989, гв. 719). კონსტანტინოპოლში მეჩეთის აგებას ასევე მასლამას მიაწერს „მეჩეთთა ბალის“ XVIII საუკუნის ოსმალთა ავტორი (F. W. Hasluck. *Christianity and Islam under the Sultans*, vol. II, Ed. by M. M. Hasluck, Oxford, 1929, гв. 719; [იგივე ნაშრომი, Istanbul, 2000, гв. 560]). ეს ცნობები მცდარია. არაბი სარდალი კონსტანტინოპოლში არ შესულა, არაბთა ალყა იყო წარუმატებელი და საეჭვოა, რომ მასლამას თხოვნა დაეკმაყოფილებინათ. საუკეთესო შემთხვევაში, მეჩეთი შეიძლება აგებულიყო კონსტანტინოპოლის სახმელეთო გალავნის მიღმა, ან ბოსფორის აზიურ ნაწილში, სადაც მოაღყეებს ბანაკი ჰქონდათ გაშლილი. თვით კონსტანტინოპოლში, პრეტორიუმში, კონსტანტინეს ფორუმის მახლობლად, მეჩეთის აშენება, ალბათ, უკავშირდება 860 წელს არაბთა ელჩობას, რამაც მათ, პოლიტიკური სიტუაციის გამო, ხელსაყრელი შედეგები მოუტანა. მეჩეთი, როგორც ჩანს, აშენდა მუსლიმი ტყვეების, მოგზაურებისა და ვაჭრებისათვის და არსებობდა 1204 წლამდე, ლათინთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე. XIII-XIV საუკუნეების არაბი მოგზაურები (ალ-ჰარავი, იბნ ბატუტა) ბიზანტიის დედაქალაქში აღარ იხსენიებენ მუსლიმთა რაიმე სალოცავ სახლს (F. W. Hasluck. *Christianity and Islam*, гв. 719-720; [იგივე ნაშრომი, Istanbul, 2000, гв. 561]; M. Canard. *Les expéditions des Arabes contre Constantinople dans l'histoire Orient*. – M. Canard. *Byzance et les musulmans du proche Orient*. London, 1973, гв. 61-121, 69). აღსანიშნავია, რომ გ. შლუმბერგის თანახმად, თოღრულ-ბეგმა კონსტანტინე მონომახს მოსთხოვა მეჩეთის აშენება (G. Schlumberger. *L'épopée byzantine*, гв. 564) და არა განახლება, რაც არასწორია. აქვე დავძენთ, რომ იბნ ალ-ასირის ცნობებში (იხ. დანართი) ერთ შემთხვევაში დასახელებულია კონსტანტინოპოლის მასჯიდი ე.ი. მეჩეთი, ხოლო მეორეში ჯამი – საკრებულო მეჩეთი. ხუტბის აღვლენა მხოლოდ საკრებულო მეჩეთში შეიძლებოდა. შეიძლება დავუშვათ, რომ კონსტანტინოპოლის მეჩეთი განახლების შემდეგ გახდა საკრებულო.

⁶² Ibn al-Athir, X, гв. 28.

⁶³ იქვე.

სელჩუკთა ტყვეობიდან განთავისუფლებული ლიპარიტი, თავდაპირველად, კონსტანტინოპოლში ჩავიდა, სადაც კონსტანტინე მონომახმა დიდი პატივი მიაგო და უხვად დასაჩუქრებული სამშობლოში დააბრუნა. მაგრამ როდის მოხდა ეს ამბავი?

მათეოს ურჰაეცი, რომელიც ლიპარიტის დატყვევების თარიღად იძლევა 1049 წელს, წერს, რომ ის ტყვეობაში იყო ორი წელი, ე.ი. 1051 წლამდე.⁶⁴ ამავე თარიღს მხარს უჭერს სინას მთის ერთი ქართული ხელნაწერის მინაწერი: „შეიწყალე მშრომელი ამის წიგნისაჲ... ე~ოკმელი, სახელით ოდენ ხუცესი, უშრომელი, რომელი ამის დაწერისა შ~დ სამოცდაათი წლისა შემოვინიე. ქ~კნსა სოა“ (1051 წ.). „მას ჟამსა დავწერე ესე, ოდეს ლიპარიტ თორქთა გაუშვეს“.⁶⁵ მაგრამ კაპუტრუსთან ლიპარიტი 1048 წ. დაატყვევეს, და აქედან ორი წელი 1050 წლის სექტემბერზე მოდის.

ალ-‘აზიმი და იბნ ალ-ასირი ბიზანტია – თურქ-სელჩუკების დაზავებისა და ლიპარიტის ტყვეობიდან დახსნის თარიღად ასახელებენ ჰიჯრის 441 წელს,⁶⁶ თვის მითითების გარეშე. 441 წელი შეესაბამება პერიოდს 1049 წლის 5 ივნისიდან 1050 წლის 25 ივნისის ჩათვლით. ჩვენთვის საინტერესო ამბავი მოხდა იმავე 441 წელს, თოღრულ-ბეგის მიერ იბრაჰიმ ინალის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ. არც იბნ ალ-ასირი (და, რამდენადაც ვიცით, არც რომელიმე სხვა წყარო) არ მიუთითებს ამ ხანმოკლე აჯანყების თვეს, მაგრამ მისი მიახლოებით გამოთვლა შესაძლებელია. იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ თოღრულ-ბეგმა, მას შემდეგ, რაც დამარცხებულ იბრაჰიმ ინალს წაართვა ჯიბალი, ალყა შემოარტყა ისფაჰანს. ეს მოხდა ჰიჯრის 442 წლის პირველ თვეში, მუჰარრამში, ე.ი., 1050 წლის 26 მაისიდან 24 ივნისამდე.⁶⁷ მაშასადამე, იბრაჰიმ ინალის აჯანყება, საფიქრებელია, უნდა მომხდარიყო 1050 წლის გაზაფხულის პირველ თვეებში. თუ ასეა, მაშინ ბიზანტია-სელჩუკების დაზავებასა და ლიპარიტის განთავისუფლებაზე საუბარი მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება. დასაშვებია, რომ ეს ამბები გადასულიყო ჰიჯრის 442 წლის დამდეგსაც.

⁶⁴[Addenda: მათე ურჰაელის ცნობით, ლიპარიტი ტყვეობაში ორი წელიწადი იყო. ტყვეობაში მან სხვადასხვა გმირობა ჩაიდინა, ერთხელ სულთნის წინაშე ძლიერ ეთიოპელს შეეჭიდა, სძლია და მოკლა „ურწმუნო“ მეტოქე. ამის გამო სულთანმა ის გაათავისუფლა და დიდძალი საჩუქრით გაისტუმრა ბიზანტიაში. Armenia and Crusaders. Tenth to Twelfth Centuries. The Chronicle of Matthew of Edessa. Translated from Original Armenian with a Commentary and Introduction by E. Dostourian. Foreworded by K. Maksoudian. London, 1993, გვ. 79].

⁶⁵ ივ. ჯავახიშვილი. *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, თბ., 1947, გვ. 105; მისივე. *ქართველი ერის ისტორია*, გვ. 147.

⁶⁶ ალ-‘აზიმი, გვ. 339.

⁶⁷ Ibn al-Athir, X, გვ. 562.

სირიელი ქრისტიანი მწერალი აბუ ლ-ფარაჯ გრიგორიუს ბარ ჰებრეუსი (გარდ. 1286 წ.) ლიპარიტის განთავისუფლების თარიღად დებს ჰიჯრის 442 წელს/პერიოდს 1050 წ. 26 მაისიდან 1051 წ. 4 მაისის ჩათვლით, ანდა ბერძნული (სელევკიანთა) ერის 1361 წელს,⁶⁸ რომელიც შეესაბამება 1050 წელს. ორი თარიღის შეპირისპირება გვაძლევს დროის მონაკვეთს 1050 წლის 26 მაისიდან ამ წლის ბოლომდე. იბნ ალ-ასირის ინფორმაციის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიზანტია-სელჩუკების დაზავება და ლიპარიტის განთავისუფლება მოხდა 1050 წლის გაზაფხულზე, არაუგვიანეს მისი მიწურულისა. ამ შემთხვევაში კლდეკარის ერისთავის ტყვეობა ორი არასრული წელი გამოვა.

ლიპარიტის განთავისუფლების ამბავი ყველგან (მით უმეტეს, სინას მთაზე) ერთნაირი სისწრაფით ვერ გავრცელდებოდა და გადამწყვეტი შეიძლება ყოფილიყო თვით ლიპარიტის დაბრუნება საქართველოში, რაც თავისუფლად შეიძლება მომხდარიყო 1051 წ. დამდეგს.

ლიპარიტის გამოსხნით იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა დაიბრუნა ერთგული მოკავშირე, რომელიც კვლავ შეეძლო დაეპირისპირებინა ბაგრატ IV-ისათვის. მაგრამ რა სარგებლობა ნახა თოღრულ-ბეგმა?

თოღრულ-ბეგმა, როგორც ითქვა, უარი თქვა გამოსასყიდზე. მაგრამ რამდენად უანგარო იყო მისი დიდსულოვნება, რომელზედაც მოგვითხრობს იბნ ალ-ასირი? ნ. შენგელია მიიჩნევს, რომ სულთანის გულუხვობა უფრო დიდ მიზნებს ისახავდა. მას არ აკმაყოფილებდა მხოლოდ საჩუქრები და ყოველწლიური ხარკი აინტერესებდა.⁶⁹ მაგრამ თოღრულის მიერ ხარკის გადახდის მოთხოვნას მხოლოდ ზონარა იხსენიებს. ალ-‘აზიმი და იბნ ალ-

⁶⁸The Chronography of Gregory Abu'l Faraj, the Son of Aaron, the Hebrew Physician Commonly Known as Bar Hebraeus being the first part of his Political History of the World, translated from the Syriac by E.A.W.Budge, vol. I, Oxford University Press. London, 1932, გვ. 205. ამ თხზულების ინგლისურ თარგმანში არაბული (ჰიჯრის) 442 წლის შესატყვისად შეცდომით დასახელებულია 1048 წელი. ლიპარიტ ბაღვაშის თავგადასავალი ბარ ჰებრეუსს რამდენადმე სხვაგვარად აქვს მოთხრობილი: 442 წელს, როცა სულთანმა თოღრულ-ბეგმა მორჩილება მოსთხოვა მარვანიან ნასრ ად-დავლას, ის დასთანხმდა და სულთანს, ძღვენთან ერთად, გაუგზავნა ერთი დიდებული ბიზანტიელი ტყვე. შემდეგ ბიზანტიის მეფემ კონსტანტინემ სთხოვა ნასრ ად-დავლას, ეშუამდგომლა სულთანთან, რათა მას გაეთავისუფლებინა ეს ტყვე, რომლის სახელიც არ იხსენიება, მაგრამ რომელშიც იგულისხმება ლიპარიტი. ნასრ ად-დავლამ მისი თხოვნა შეასრულა, ხოლო თოღრულ-ბეგმა ტყვე გამოსასყიდის გარეშე გაანთავისუფლა. შემდეგ ბიზანტიის მეფემ აღადგინა არაბთა მეჩეთი სამეფო ქალაქში (კონსტანტინოპოლში), დაკიდა იქ კანდელები, დააყენა არაბი მუეძინი და დაუნიშნა მას რეგულარული ხელფასი. მან თოღრულს გაუგზავნა დიდძალი საჩუქარი, რომლის სიაც თითქმის ემთხვევა იბნ ალ-ასირისას (იხ. დანართი).

⁶⁹ნ. შენგელია. *სელჩუკები და საქართველო*, გვ. 193, 194.

ასირი ამის შესახებ არაფერს წერენ. კაპუტრუსთან ბრძოლის წაგება ჯერ კიდევ არ იყო კატასტროფა⁷⁰ და თოღრულ-ბეგის მოთხოვნას იმპერატორი არ დააკმაყოფილებდა.

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ თოღრულ-ბეგის გადაწყვეტილების პროპაგანდისტულ მხარეზე. **ლიპარიტის განთავისუფლების საფასურად, სულთნის მოთხოვნით, აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს დედაქალაქში განაახლეს მეჩეთი და მისი მინარეთი და, რაც მთავარია, აქ, თოღრულის სახელზე, აღავლინეს ხუტბა** (იხ. დანართი). ეს აქცია მიმართული იყო შიიტ (ისმაილიტ) ფატიმიანთა წინააღმდეგ, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ ისლამურ სამყაროში ლიდერის როლზე.

კ. კაენის თანახმად, 1037 წლიდან კონსტანტინოპოლის მეჩეთში ხუტბაში სწორედ ფატიმიანი ხალიფას სახელს იხსენიებდნენ.⁷¹

სუნიტი თოღრულ-ბეგის სახელზე ხუტბის აღვლენა თურქ-სელჩუკთა სულთანს ისლამურ სამყაროში სუნიტური ისლამის დამცველის შარავანდედით მოსავდა. თოღრულ-ბეგი ბაღდადში შესასვლელად ემზადებოდა და, შიიტ ბუვეიჰიანთა ნაცვლად, თავად აპირებდა ხალიფაზე მეთვალყურეობის დაწესებას. ამდენად, კონსტანტინოპოლის მეჩეთში სულთნის სახელის მოხსენიებას სელჩუკებისთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ასევე პროპაგანდისტული აქცია იყო (უეჭველია, თოღრულ-ბეგის მოთხოვნით) კონსტანტინოპოლის მეჩეთის მიჰრაბზე გაკეთება მშვილდ-ისრისა, რომელიც თურქ-სელჩუკების სიმბოლო იყო.⁷²

თოღრულ-ბეგი მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდა. მოგვიანებით, 1055-56 წელს, უკვე ბაღდადის დაკავების შემდეგ, თოღრულ-ბეგის მიერ კონსტანტინოპოლში ხელახლა ელჩად მივლინებულმა იმავე ნასირ იბნ ისმა'ილ ამ-შარიფმა, იმპერატორ თეოდორასგან მიიღო უფლება, კონსტანტინოპოლის საკრებულო მეჩეთში აბასიანი ხალიფას ალ-კა'იმ ბი-ამრ ალაჰის სა-

⁷⁰ ამას ადასტურებს კაპუტრუს ბრძოლის შემდეგ ბიზანტიელთა ლაშქრობა განჯაზე, რომელზედაც წლინახვერის მანძილზე ყუთლუმიში იყო შემოწყობილი. ალ-‘აზიმი მოგვითხრობს (გვ. 338), რომ რუმის მეფემ დახმარება სთხოვა ყველა მეზობელს და ისინი დაეხმარნენ მას. მათ შორის იყო თავად ბაგრატ აბხაზი. მან (სხვა წყაროებში დაუფიქსირებელი ცნობით) კონსტანტინე მონომახს მიძევლებად თავისი მეუღლე და ქალიშვილი გაუგზავნა. მოკავშირეების მიახლოებისას, ყუთლუმიში უკუიქცა. ბაგრატის მონაწილეობას ამ ლაშქრობაში იუნყება ქართული წყაროც „მატიანე ქართლისა“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 296). განჯაზე ლაშქრობას, ისევე, როგორც ლიპარიტის დატყვევებას, ალ-‘აზიმი 439/28.VI.1047–15.VI.1048 წლით ათარიღებს, მაგრამ მართებული იქნება 440/1049-50, უფრო ზუსტად კი 1050 წელი.

⁷¹ C. Cahen. *La diplomatie Orientale*, გვ. 13.

⁷² გ. ბერაძე. თამუქი. – *აღმოსავლური ფილოლოგია*, III, თბ., 1973, გვ. 82.

ხელზეც აღევლინა ხუტბა. ეს უკვე მუსლიმთა თვალში ფატიმიანთა სრულ დისკრედიტაციას ნიშნავდა. ამ დროს კონსტანტინოპოლში მყოფმა ფატიმიანთა ელჩმა ყადი აბუ აბდ ალლაჰ მუჰამმად იბნ ჯა'ფარ ალ-კუდა'იმ ეს ამბავი სასწრაფოდ აცნობა ფატიმიან ხალიფას ალ-მუსთანსირს, რომელმაც ბიზანტიელთა წინააღმდეგ რეპრესიები ჩაატარა პალესტინაში, მოახდინა აღდგომის ეკლესიის კონფისკაცია, ჯიზია დააკისრა ქრისტიან ბერებს და გაუზარდა ეს გადასახადი სხვა ქრისტიანებს.⁷³ მოტანილი მაგალითი იმის კარგი ილუსტრაციაა, თუ როგორ აღიქმებოდა მუსლიმთა შორის ხუტბა და ნებისმიერი სიახლე მისი აღვლენის დროს.

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. ლიპარიტის დაბრუნებას საქართველოში, როგორც ცნობილია, მოჰყვა მისი ხელახალი დაპირისპირება ბაგრატთან და მეფის სამწლიანი გამგზავრება ბიზანტიაში.⁷⁴ ლიპარიტი (ცხადია, ბიზანტიის მხარდაჭერით) ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი გახდა, მან თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია, **მაგრამ აღარასოდეს გამოსულა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ.**

სკილიცი იუწყება, რომ განთავისუფლებისას თოღრულ-ბეგმა ლიპარიტს ურჩია სამუდამოდ დაემახსოვრებინა ეს დღე და არასდროს მოენდომებინა იარაღის ხელში აღება თურქების წინააღმდეგ.⁷⁵ არ არის გამორიცხული, რომ სულთანმა მას პირობა დაადებინა და დააფიცა კიდევ.⁷⁶ საყურადღებოა ის, რომ 1053 წ., როცა თურქ-სელჩუკთა სარდალმა ყუთლუმშიმა აიღო და მოაოხრა ყარსი,⁷⁷ ლიპარიტს რაიმე აქტივობა არ გამოუჩენია.

1054 წ. თურქებმა განაახლეს თავდასხმები სომხეთზე. ამჯერად მათ თვით სულთანი თოღრულ-ბეგი ხელმძღვანელობდა. ვანის ტბის რაიონში თურქ-სელჩუკები დაეუფლნენ არჭეშს, ბერქრის, გაემართნენ მანასკერ-

⁷³ Ibn Khallikan's Biographical Dictionary, გვ. 227; ალ-მაკრიზი, თაკი ად-დინ. *ითთი'აზ ალ-ჰუნაფა' ბი-ახბარ ალ-ა'იმმა ალ-ფატიმიინ ალ-ხულაფა'*, II, ალ-კაჰირა, 1070, გვ. 230; Th. Bianquis. *Damas et la Syrie sous la domination Fatimide (359-468/969-1076)*. Tome II, Damas, 1989, გვ. 568.

⁷⁴ ეს მოხდა, როგორც ჩანს, 1052 წელს (იხ. მაქსიმე ბერძნიშვილი. ტურინოს კომპილაციის გამო. – *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები*, თბ., 1966, გვ. 164; მამისა ბერძნიშვილი. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ერთი ადგილის დაზუსტებისათვის. – *ქნ*, V, თბ., 1978, გვ. 39-49). ბაგრატის ბიზანტიაში გამგზავრება ახლახან 1051-1052 წწ. მიჯნით დაათარიღა ჯ. სამუშიამ (ჯ. სამუშია. XI საუკუნის საქართველოს ისტორიის რამდენიმე მოვლენის დათარიღებისათვის. – *ქდ*, წელიწდეული, 4, თბ., 1997, გვ. 249).

⁷⁵ სკილიცი, გვ. 454/კედრენე, გვ. 78.

⁷⁶ ვ. კოპალიანი უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ ლიპარიტმა სულთანს ერთგულების ფიციც მისცა (ვ. კოპალიანი. *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა*, გვ. 255).

⁷⁷ К. Н. Юзбашян. *Армянские государства*, გვ. 224.

ტისკენ, დაიპყრეს და მოაოხრეს ტაო და ქალდია,⁷⁸ ბიზანტიის ის სამფლობელოები, რომლებიც ესაზღვრებოდა სამხრეთ საქართველოს. წინა შემოსევებისგან განსხვავებით, 1054 წ. თურქებმა ბიზანტიელებთან ბრძოლაში რამდენიმე მარცხი განიცადეს.⁷⁹ ლიპარიტს არც ამ საომარ ოპერაციებში მიუღია მონაწილეობა. ამრიგად, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ თოღრულ-ბეგის მიერ ლიპარიტის განთავისუფლების ერთ-ერთი პირობა იყო მისი ნეიტრალიტეტი სელჩუკებისა და ბიზანტიელების კონფრონტაციის დროს.

არისტაკეს ლასტივერტცის ცნობით, სომხეთში ლაშქრობისას, თურქებმა ჩრდილოეთით მიაღწიეს *აფხაზთა ციხეს*,⁸⁰ რომლის ლოკალიზება არ ხერხდება. რაიმე სარწმუნო საბუთი იმისა, რომ თურქები ამ დროს შეიჭრნენ სამხრეთ საქართველოში, არ ჩანს. შეიძლება გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი: თოღრულ-ბეგმა ლიპარიტს აღუთქვა, რომ თუ პირობას შეასრულებდა, მის სამფლობელოებს არ დაარბევდა. ამ შემთხვევაში უფრო გასაგები ხდება ქართველი მემატიანის ცნობა იმის თაობაზე, რომ *იყო მოყუარედ მისა* (ლიპარიტის – გ.ჯ.) *ხუარასანს დოღლუბეგ სულთანნი*.⁸¹

ლიპარიტ ბაღვაშისა და თურქ-სელჩუკთა ამგვარ ურთიერთობას არ შეიძლება არ გამოენვია ბიზანტიის გაღიზიანება. ძლიერი ლიპარიტი, რომელსაც 1052-1055 წლებში საქართველოში, ფაქტობრივად, მეტოქე აღარ ჰყავდა და რომელიც, ამასთან, გარეშე მტერთან ბრძოლებში თავის სამოკავშირეო მოვალეობას აღარ ასრულებდა, მიუღებელი იქნებოდა იმპერიისთვის.⁸² ფაქტია, რომ კონსტანტინე მონომახმა, დაახლოებით, 1054 წლის მინურულში⁸³ საქართველოში დააბრუნა ბაგრატ IV, რასაც მოჰყვა ბიზანტიის მხარდაჭერას მოკლებული აღზევებული კლდეკარის ერისთავის სწრაფი დაცემა.

⁷⁸ *Повествование Варданета Аристакеся Ластивертци*, გვ. 97-100.

⁷⁹ К. Н. Юзбашян. *Армянские государства*, გვ. 225.

⁸⁰ *Повествование Варданета Аристакеся Ластивертци*, გვ. 97; არისტაკეს ლასტივერტცი. *ისტორია*. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974, გვ. 87.

⁸¹ ქართლის ცხოვრება, გვ. 304.

⁸² ის, რომ ლიპარიტის მიმართ ბიზანტიის დამოკიდებულების შეცვლის მიზეზი, შესაძლებელია, იყო კლდეკარის ერისთავისადმი თოღრულ-ბეგის კეთილგანწყობა, შენიშნული აქვს ზ. პაპასქირს (*ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა*, გვ. 205).

⁸³ ამ თარიღის შესახებ იხ. ჯ. სამუშია. XI საუკუნის საქართველოს ისტორიის რამდენიმე მოვლენის დათარიღებისათვის, გვ. 297.

დანართი
იბნ ალ-ასირი სელჩუკთა ტყვეობიდან ლიპარიტ
ბაღვაშის განთავისუფლების შესახებ

[441/5.VI.1049–25.V.1050 წელი] „ბიზანტიის მეფემ (*მალექ არ-რუმ*) გაუგზავნა თოღრულ-ბეგს [მოციქული], გაუგზავნა დიდძალი საჩუქარი და სთხოვა დაზავება, რასაც ის დასთანხმდა. ბიზანტიის მეფემ [აგრეთვე] გაუგზავნა [მოციქული] იბნ მარვანს [ნასრ ად-დავლას] და სთხოვა, ეზრუნა აბხაზთა ზემოხსენებული მთავრის (*მალექ*) განთავისუფლების თაობაზე. ნასრ ად-დავლამ ამის გამო წარგზავნა შაჰხ ალ-ისლამი აბუ ‘აბდ ალლაჰ იბნ მარვანი სულთან თოღრულ-ბეგთან და მან განთავისუფლა ის გამოსასყიდის გარეშე. ეს იყო მნიშვნელოვანი [ამბავი] მისთვის [ლიპარიტისთვის] და ბიზანტიის მეფისთვის, რომელმაც [სულთანს] სანაცვლოდ გაუგზავნა დიდძალი საჩუქარი. [ბიზანტიელებმა] განაახლეს კონსტანტინოპოლის მეჩეთი (*მასჯიდ*), სადაც შეასრულეს ლოცვა და [აღავლინეს] ხუტბა თოღრულ-ბეგის სახელზე“.⁸⁴

[455 წელი] „8 რამადანს, პარასკევს (4.IX.1063 წ.), დაახლოებით 70 წლის ასაკში, გარდაიცვალა [სულთანი თოღრულ-ბეგი].⁸⁵ ზოგიერთი რამ მისი ცხოვრებიდან.. იყო სულგრძელი და [მაგალითი] მისი სულგრძელობისა შემდეგია: მისმა ძმამ იბრაჰიმ ინალმა დაატყვევა ბიზანტიელთაგან - როცა ისინი დალაშქრა - ერთ-ერთი მათი მთავარი (*მალექ*).⁸⁶ მან თავის დასახსნელად 400 ათასი დინარი⁸⁷ აძლია, მაგრამ იბრაჰიმმა არ მიიღო მისგან [გამოსასყიდი] და ის თოღრულ-ბეგს მიჰგვარა. ბიზანტიის მეფემ გაუგზავნა [მოციქული] ნასრ ად-დავლა იბნ მარვანს [და სთხოვა], რომ მოლაპარაკებოდა თოღრულ-ბეგს მისი განთავისუფლების თაობაზე. და როდესაც თოღრულ-ბეგ-

⁸⁴ Ibn al-Athir. IX, გვ. 556-557.

⁸⁵ 4 სექტემბერი იყო ხუთშაბათი და არა პარასკევი. მაგრამ ეს განსხვავება ადვილად აიხსნება, თუ დაუშვებთ, რომ თოღრული შეიძლება აღესრულა საღამოს, რაც უკვე პარასკევის დადგომას მოასწავებდა. რიჩარდსი უპირატესობას ანიჭებს 5 სექტემბერს, რომელიც იყო პარასკევი [(*The Annals of the Saljuq Turks*, გვ. 144)].

⁸⁶ იბნ ალ-ასირი *მალექს* უწოდებს ბიზანტიის იმპერატორსაც და ლიპარიტსაც. *მალექის* ქართული შესატყვისი არის მეფე, მთავარი (გ. წერეთელი. *არაბულ-ქართული ლექსიკონი*, თბ., 1951, გვ. 245). ამდენად ამ ტერმინის თარგმნა დამოკიდებულია კონტექსტზე.

⁸⁷ დინარი მუსლიმური დინასტიების ოქროს მონეტაა (4,25 გ). ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ დინარში იგულისხმება ბიზანტიური ოქროს ფული – ნომისმა [რიჩარდსის ინგლისურ თარგმანში შეცდომით დასახელებულია 4 ათასი დინარი (*The Annals of the Saljuq Turks*, გვ. 144)].

მა მოისმინა მისი წერილი, გაუგზავნა იბნ მარვანს ბიზანტიელი გამოსასყიდის გარეშე და გააყოლა მას ერთი ალიდი. ბიზანტიის მეფემ [სანაცვლოდ] თოღრულ-ბეგს გაუგზავნა ის, რაც არ მისვლია წინარე უამს. ესაა: 1000 ფარჩისა და 500 სხვადასხვა ხარისხის ქსოვილი (საგებ); გარდა ამისა, 500 ცხენი (ალ-ქურრა').⁸⁸ გაუგზავნა [აგრეთვე] 200 ათასი დინარი, ვერცხლის 100 ფილა, 300 ჯიშიანი ცხენი (შაჰრი),⁸⁹ 300 ეგვიპტური სახედარი, 1000 თეთრბენვა, შავთვალა და შავრქიანი თხა. [ხოლო] იბნ მარვანს გაუგზავნა 10 მანი⁹⁰ მუშკი.⁹¹ ბიზანტიის მეფემ განაახლა მეჩეთი, რომელიც მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქმა ააშენა კონსტანტინოპოლში, განაახლა მისი მინარეთი და დაჰკიდა მასში კანდელები, გააკეთა მის მიჰრაბზე მშვილდი და ისარი და გამოაცხადა დაზავება“.⁹²

⁸⁸ ალ-ქურრა' არაბი ლექსიკოგრაფების განმარტებით ცხენების კრებითი სახელია (ალ-ფაირუზბადი. ალ-კამუს ალ-მუჰიტ, III, ბაღრუთ, უთარილო, გვ. 78; აზ-ზაბიდი, თაჯ ალ-არუს მინ ჯამაჰირ ალ-კამუს, მისრ, 1306/1888-89, გვ. 493); ეს მნიშვნელობა დაფიქსირებული აქვს, აგრეთვე, XI ს-ის არაბ ავტორს აბუ მუჰამმად ალ-არაბი ალ-ასვად ალ-ლუნდიჯანის (ასმა' ხაიდ ალ-არაბ ვა ანსაბიჰა ვა ზიქრ ფურსანიჰა ლი-აბი მუჰამმად ალ-არაბი ალ-მულაკკაბ ალ-ასვად ალ-ლუნდიჯანი. დიმაშკ, 1981, გვ. 213), რომელიც იმასაც წერს (იქვე), რომ ალ-ქურრა' არის არაბებთან სახელგანთქმული, ჯიშიანი ცხენი, რომლის სახელიც უკავშირდება ამავე სახელწოდების მთას, მისი სიდიდის გამო.

⁸⁹ იხ. E. W. Lane. *Arabic English Lexicon*, book I, part 4, New York, 1956, გვ. 1612.

⁹⁰ მანი იყო წონის ერთეული შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. კანონიკური მანი შეადგენდა 812,5 გ-ს.

⁹¹ მუშკი იმდროინდელ აღმოსავლეთში ფუფუნების საგანს წარმოადგენდა და ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო. ეს სურნელოვანი ნივთიერება შემოჰქონდათ ტიბეტიდან და ჩინეთიდან და საკმაოდ ძვირად ფასობდა. 10 მანი (8 კგ) მუშკი ძვირფასი საჩუქარი იყო.

⁹² Ibn al-Athir, X, გვ. 28; დანართში მოტანილი არაბი ისტორიკოსის ეს ცნობები პირველად ითარგმნა ჩვენ მიერ (იხ. გ. ჯაფარიძე. *იბნ ალ-ასირის ერთი ცნობის შესახებ*, გვ. 42-43; წინამდებარე წერილში ითარგმანი დაზუსტებულია). ისინი არ იყო ითარგმნილი არც ფრანგულად და არც რუსულად დეფრემერისა და ჟუზეს მიერ (C. Defrémery. *Fragments de géographes et d'historiens Arabes et Persans inédits relatifs aux anciens peuples du Caucase et de la Russie méridionale*. – *JA*, XIII juin, 1849, 457-522; II. К. Жузе. *Материалы...*), რომლებმაც ითარგმნეს საქართველოს შესახებ იბნ ალ-ასირის ცნობათა მნიშვნელოვანი ნაწილი.

LIPARIT IV BAGHVASHI IN THE DIPLOMATIC RELATIONS OF BYZANTIUM AND THE SALJUQ TURKS

On 18 September 1048 the Saljuq Turks commanded by Toghril Beg's half brother Ibrahim Inal, defeated the armed forces of the Byzantines and Georgians near the Kaputru fortress, in Basiani. The Turks captured Liparit IV Baghvashi, eristavi of Kldekari, a well-known Georgian statesman and ally of Byzantium. It took much effort on the side of Byzantine diplomacy to get him released.

Along with other questions (the dates of the Kaputru battle and the release of Liparit from Saljuq captivity) the diplomatic aspects of the liberation of Liparit are studied. The evidence of Georgian, Armenian, Syriac, Byzantine and Arabic sources, especially that of al-Azimi and Ibn al-Athir, is cited. It is shown that the Byzantine Emperor Constantine Monomachus sent many presents to Toghril Beg to have Liparit released. In addition, a Khutba was read in the chief Mosque of Constantinople on behalf of the Sunnite Toghril Beg, which was of considerable propagandistic significance for the Saljuqs, actually constituting an anti-Fatimid action.

It is suggested that one of the conditions for the release of Liparit by Toghril Beg was Liparit's neutrality in the future confrontation of the Saljuqs and Byzantines. This is confirmed by the fact that Liparit did not take part in battles against the Turk Saljuqs that had invaded the Armenian provinces of Byzantium in 1053 and 1054.

ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზი*

1040 წ. დენდანეკანის ველზე (სერახსსა და მერვს შორის) მას'უდ ლაზნელის განადგურებამ თურქ-სელჩუკებს გზა გაუხსნა ახლო აღმოსავლეთისაკენ. დაიწყო მათი ძლევამოსილი მსვლელობა ერაყისა და მცირე აზიის მიმართულებით. დაპყრობით ომებს თან სდევდა ვრცელ ტერიტორიებზე მომთაბარე ოლუზი თურქების, იმავე თურქმენების,¹ განსახლებაც. თურქმენთა 24 ტომიდან სელჩუკთა ეპოქაში 6 ტომი იხსენიება. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო დოგერის,² რომელიც დაპყრობითმა ომებმა ჯერ ჩრდილოეთ ირანში, მერე კი ჩრდილოეთ მესოპოტამიაში – ალ-ჯაზირაში მიიყვანა. ამ ტომიდან წარმოდგა ართუკიანთა საგვარეულო,³ რომელიც ალ-ჯაზირას ჩრდილოეთ ნაწილში დი-არ-ბაქრში⁴ დამკვიდრდა.

დიარ-ბაქრში დაფუძნებისთანავე ართუკიანებს უწევდათ ბრძოლები არსებობის შესანარჩუნებლად და თავიანთი სამფლობელოების გასაფართოებლად, როგორც დიდ სელჩუკთა სულთან მუჰამედთან (1105–1118), ისე – მუსლიმ და ქრისტიან მეზობლებთან, მათ შორის ჯვაროსნებთან და საქართველოსთან. ამ ბრძოლებში დანინაურდა ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზი,⁵

* პირველად დაიბეჭდა 1990 წ. – კრებ. *დავით აღმაშენებელი*. თბ., გვ. 207-227.

¹ მომთაბარე ოლუზებს XI ს-დან, ჩვეულებრივ, თურქმენებს უწოდებენ. В. В. Бартольд. Туркмены. – В. В. Бартольд. *Сочинения*. т. V, М., 1968, გვ. 572; С. Е. Bosworth. *The Political and Dynastic History of the Iranian World. – The Cambridge History of Iran. 5. The Saljuq and Mongol Periods*. Cambridge, 1968, გვ. 17; А. К. Lambton. *Continuity and Change in Medieval Persia. Aspects of Administrative, Economic and Social History, 11th-14th Century*, New York, 1987, გვ. 17.

² В. В. Бартольд. *Очерк истории туркменского народа*. – В. В. Бартольд. *Сочинения*. т. II, ч. I, М., 1963, გვ. 575; С. Е. Bosworth. *The Political and Dynastic History*, გვ. 4; А. К. Lambton. *Continuity and Change in Medieval Persia*, გვ. 4.

³ F. Sümer. Döger. – *EP*, vol. II, გვ. 613-614; C. Cahen. Artukids. – *EP*, vol. I, გვ. 662.

⁴ დიარ-ბაქრს ეკავა ტერიტორია ტიგროსის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებიდან ევფრატამდე. აქ იყო მნიშვნელოვანი ქალაქები: ამიდი, მარდინი, მაიაფარიკინი, არზანი, ჰისნ ქაიფა და ხარპუტი (ხარბერდი). G. Le Strange. *The Lands of the Eastern Caliphate*. London, Liverpool, 1966, გვ. 86-87; C. Cahen. Le Diyar Bakr au temps des premiers Urtukides. – *JA*, 1935, t. 227, №2, გვ. 221-27; D. Sourdel-Thomine. Diyar Bakr. – *EP*, vol. II, გვ. 343-344.

⁵ ამ სახელის პირველი ნაწილი (ნაჯმ ად-დინ) არის ლაკაბი (ტიტული) და ნიშნავს სარ-

რომელმაც დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს რღვევის პროცესში დიდი როლი ითამაშა დიარ-ბაქრში ართუკიანთა დამოუკიდებელი საამიროების ჩამოყალიბებაში.

ილ-ლაზის მამა, ართუკიანთა საგვარეულოს ფუძემდებელი ართუკ⁶ ბ. ექსები, ისტორიული წყაროების ფურცლებზე პირველად 1073 წ. ჩნდება. ის ჯერ მალიქ-შაჰის, მერე კი მისი ძმის თუთუშის სამსახურში იყო და სიცოცხლე 484/1091-92 წ. იერუსალიმისა და პალესტინის გამგებლად დაასრულა.⁷ ართუკის 8 ვაჟიდან ორი ყველაზე ენერგიული – სუქმანი და ილ-ლაზი – ერთ ხანს კიდევ მართავდნენ იერუსალიმს, ვიდრე ფატიმიანებმა არ აიძულეს ისინი 1098 წ. დაეტოვებინათ პალესტინა. სუქმანი გაემართა დიარ-ბაქრში, სადაც ადრე მამასთან ერთად იბრძოდა და, ერთგულ თურქმენებზე დაყრდნობით, 1098-1102 წლებში დაეუფლა ორ ქალაქს – მარდინსა და ჰისნ ქაიფას. ის მონაწილეობდა ჯვაროსანთა წინააღმდეგ ბრძოლებშიც; გარდაიცვალა 1105 წ.⁸

ილ-ლაზიმ მოღვაწეობისთვის ერაცი აირჩია. მალე მალიქ-შაჰის ვაჟებმა მუჰამადმა და ბარქიარუკმა სულთნის ტახტისათვის ხანგრძლივი ბრძოლა დაიწყეს. ილ-ლაზიმ მუჰამადის მხარე დაიჭირა და ერთგული სამსახურისათვის ბაღდადის შიჰნას მნიშვნელოვანი თანამდებობა მიიღო. როცა 1104 წ. ზავით ძმებმა სახელმწიფო გაიყვეს, ილ-ლაზიმ ზურგი აქცია თავის მფარველს და ხუტბა ბარქიარუკის სახელზე აღავლინა, მაგრამ ამჯერად ანგარიში შეეშალა. 1104 წ. ბარქიარუკი გარდაიცვალა, მუჰამადმა დაიკავა ბაღდადი და გადააყენა ილ-ლაზი, რომელიც იძულებული გახდა, სამუდამოდ დაეტოვებინა ერაცი.⁹

წმუნოების ვარსკვლავს, მეორე (ილ-ლაზი) კი – ‘ალამი (საკუთარი სახელი), რომელიც შედგება ორი სიტყვისაგან: თურქ. ილ (ხალხი) და არაბ. ლაზი (მებრძოლი) და ნიშნავს ხალხთმბრძოლს. გ. ნერეთელი. *არაბულ-ქართული ლექსიკონი*. თბ., 1951, გვ. 173.

⁶ ქართულ წყაროებში ეს სახელი დამონმებულია არდუხის (არდოლის) ან არდოხის ფორმით. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 340 (ვარიანტებით); ტ. II, თბ., 1959, გვ. 6.

⁷ Ibn Khallikan's *Biographical Dictionary*. Tr. from the Arabic by Mac Guckin de Slane, vol. I. Paris, 1842, გვ. 171-172; C. Cahen. *Artukids*, გვ. 662-663.

⁸ C. Cahen. *Artukids*, გვ. 664.

⁹ ილ-ლაზის მოღვაწეობის შესახებ ძირითადი არაბული წყაროებია: იბნ ალ-კალანისი. *თა'რიხ დიმაშკი*, თაჰკიკ სუჰაილ ზაქქარ, დიმაშკი, 1983; იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი. *თა'რიხ მაიაფარიკინ ვა ამიდ*. – ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერები. შედარებით სრული Or. 5803 და ნაკლული Or. 6310 (მთლიანად ეს თხზულება არ არის გამოცემული. ის ნაწილი, რომელიც ართუკიანებს ეხება, რედაქტირებული და ინგლისურად თარგმნილი აქვს კ. ჰილენბრანდს თავის გამოუცემელ სადოქტორო დისერტაციაში: C. Hillenbrand. *The History of the Jazira 1100-1150: The Contribution of Ibn al-Azraq al-Fariqi*, 2 vols. Edinburgh, 1979 და

სულთნისაგან შერისხულმა ილ-ლაზიმ დიარ-ბაქრს მიაშურა, სადაც, მისი ძმის – სუქმანის ენერგიული მოღვაწეობის წყალობით, ართუკიანებმა ფეხი უკვე მოიკიდეს. მათ დასაყრდენს წარმოადგენდნენ მომთაბარე თურქმენები, რომელთაც ასაზრდოებდა დიარ-ბაქრის მრავალრიცხოვანი ნოყიერი საძოვრები. მარდინსა და ჰისნ ქაიფას სუქმანის სიკვდილის შემდეგ მისი ვაჟი იბრაჰიმი განაგებდა. ილ-ლაზის არ ჰქონდა თავისი სამფლობელო, მაგრამ მალე გაუმართლა. 1108 წ. ძმისშვილის სიკვდილმა მას გზა გაუხსნა ხელისუფლებისაკენ, გახდა ართუკიანთა საგვარეულოს მეთაური და დაეუფლა მარდინს. რაც შეეხება ჰისნ ქაიფას, ის იბრაჰიმის ძმას – დაუდ ბ. სუქმანს დარჩა.

დიარ-ბაქრი მოშორებული იყო სელჩუკთა სახელმწიფოს ცენტრს. ციხე-სიმაგრეთა ქსელი, რომელიც აქ, ჯერ კიდევ ისლამის ადრეულ ხანაში, ბიზანტიელთა წინააღმდეგ შეიქმნა,¹⁰ საშუალებას აძლევდა ილ-ლაზის, შედარებით უსაფრთხოდ ეგრძნო თავი. მარდინის მიუვალ ციხეში გამაგრებული ართუკიანი სულ უფრო ხშირად ამბობდა უარს, მონაწილეობა მიელო იმ ლაშქრობებში, რომლებსაც მოსულის გამგებლები (მავდუდი, აკ-სონკურ ბარსუკი), სულთან მუჰამადის მითითებით, ჯვაროსანთა წინააღმდეგ აწყობდნენ. მუჰამადის შურისძიების თავიდან აცილების მიზნით, ის ცდილობდა, ერთგული მოკავშირეები ეძებნა. მტკიცე აღმოჩნდა მისი კავშირი დამასკოს გამგებელთან თოლ-თეგინთან, რომელიც მისი სიამამრიც გახდა. სიძე-სიამამრი დაუკავშირდნენ ანტიოქიის გამგებელს როჟერს, რომელმაც 1115 წ. სექტემბერში სასტიკად დაამარცხა სირიაში მათ დასასჯელად და, აგრეთვე, ფრანკებთან საბრძოლველად შეჭრილი სულთნის ლაშქარი ბურსუკ ბ. ბურსუკის მეთაურობით.¹¹

ბურსუკის მარცხს მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა ილ-ლაზისათვის.

მის ნაწილობრივ პუბლიკაციაში: C. Hillenbrand. *Muslim Principality in Crusader Times. The Early Artuqid State*. Nederlands Historisch-Archaeologisch Instituut. Istanbul, 1990); Ibn al-'Adim. *Histoire d'Alep*, t. II, ed. S. Dahan, Damas, 1954 (შემდეგ Ibn al-'Adim); სიბტ იბნ ალ-ჯაუზი. *მირათ აზ-ზამან*, VIII, ჰაიდარაბად, 1951 (შემდეგ: სიბტ იბნ ალ-ჯაუზი); Ibn al-Athir. *al-Kamil fi'l-tarikh*. Vol. X, Editeurs Dar Sader, Dar Beyrouth, Beyrouth, 1966 (შემდეგ: Ibn al-Athir) და სხვ. გამოკვლევებიდან გათვალისწინებულია: K. Босворт. *Мусульманские династии*. M., 1971, გვ. 167; C. Cahen. *Le Diyar Bakr*, გვ. 227-240; მისივე. *Artukids*, გვ. 662-664; K. Süssheim. *Il-Ghazi*. – *EP*, vol. IV, გვ. 118-119; S. Runciman. *A History of the Crusades*, vol. II, Cambridge, 1957, გვ. 107-108, 111-112, 121-123, 128-129, 131-134, 147-155, 158-162; *A History of the Crusades*, vol. I, ed. M. W. Baldwin. Madison, Milwaukee, London, 1969, გვ. 171-174, 403-405, 412-418, 450-452; C. Hillenbrand. *The Career of Najm al-Din Il-Ghazi*. – *Der Islam*, Bd. 58, Heft 2, 1981, გვ. 250-292 და სხვ.

¹⁰ C. Hillenbrand. *The Career*, გვ. 265.

¹¹ იქვე, გვ. 253; *A History of the Crusades*, გვ. 404.

მუჰამადს ამის შემდეგ აღარ უცდია მის დასასჯელად ახალი ლაშქრის გაგზავნა. გარეგნულად აღარც ილ-ლაზი ურჩობდა და როცა 1118 წ. მუჰამადი გარდაიცვალა, მან აღადგინა ნორმალური ურთიერთობები ახალ სულთანთან – მაჰმუდთან (1118-1131). ამ პერიოდისათვის ართუკიანი, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი იყო. მან საგრძნობლად განიმტკიცა თავისი პოზიციები დიარ-ბაქრში, ხელთ იგდო მაიაფარიკინი (1118 წ.)¹² და აღ-ჯაზირას სხვა ქალაქებიც: ჰარანი, ნისიბინი და რა'ს ალ-აინი.¹³ ილ-ლაზის კარგი ურთიერთობები ჰქონდა, აგრეთვე, ორ ძმისშვილთან: ჰისნ ქაიფას გამგებელ დაუდთან და ბალაქ ბ. ბაჰრამთან, რომელიც ფლობდა ქ. ხარპუტს (ხარბერდი) – ჰანძითის მთავარ ქალაქს დიარ-ბაქრის ჩრდილო-დასავლეთით, ევფრატის მარცხენა ნაპირზე.

1118 წლიდან შეიცვალა ილ-ლაზის დამოკიდებულება ყოფილ მოკავშირეებთან – ჯვაროსნებთან. განხეთქილების მიზეზი გახდა ქ. ჰალაბი (ალეპო).

ჰალაბი იყო ჩრდილოეთი სირიის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი, მაგრამ შინაომებმა და მმართველთა განუწყვეტელმა ცვლამ დაასუსტა და გააპარტახა ის. ამასთან, ქალაქი ტრიპოლიდან და ანტიოქიიდან ჯვაროსანთა მუდმივი მუქარის ქვეშ მოექცა. ჰალაბი მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტსაც წარმოადგენდა და მისთვის ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩრდილოეთ სირიაში ჰეგემონიისათვის.¹⁴

511/1117-18 წ. მოკლეს ჰალაბის გამგებელი საჭურისი ლულუ და მოსახლეობამ ილ-ლაზის ქალაქის დაკავება შესთავაზა. ართუკიანმა მიიღო ეს მიწვევა, მაგრამ მალე იმედები გაუცრუვდა. ჰალაბის შემოსავალი ვერ აკმაყოფილებდა ილ-ლაზისა და მისი თურქმენების მოთხოვნებს. ქალაქში არ იყო სურსათ-სანოვარე, ხაზინაში კი – ფული. ილ-ლაზი მცირე ხნით დარჩა ჰალაბში, შემდეგ აქ თავისი ვაჟი თემურთაში დატოვა და მარდინში დაბრუნდა.¹⁵

ჰალაბის ზონაში ილ-ლაზის გამოჩენამ ჯვაროსანთა შეშფოთება გამოიწვია. 1119 წ. როჟერ ანტიოქიელმა მოუხშირა ჰალაბზე თავდასხმებს და შეიქმნა რეალური საფრთხე ქალაქის დაცემისა. შეშფოთებულმა ჰალაბელებმა მას შემდეგ, რაც სულთნისა და სხვა მუსლიმი გამგებლების დახმარების იმედი დაკარგეს, ერთხელ კიდევ იხმეს ილ-ლაზი.

კ. ჰილენბრანდი თვლის, რომ ჰალაბის საქმეებში ჩარევა ილ-ლაზის პირველი შეცდომა იყო, რადგანაც ამით მისი ძალები გამოიფიტა და სარ-

¹² C. Hillenbrand. *The Career*, გვ. 266, შენ. 75.

¹³ იქვე, გვ. 266.

¹⁴ იქვე, გვ. 267.

¹⁵ Ibn al-Athir, X, გვ. 531-533; Ibn al-'Adim, გვ. 180.

გებლობა კი ვერ ნახა.¹⁶ მაგრამ ძნელია, დაეთანხმო ამ თვალსაზრისს, რადგანაც სწორედ ამ „შეცდომამ“ იხსნა ჰალაბი დაცემისგან და სამუდამოდ შეუნარჩუნა ის მუსლიმებს. 1119 წ. ივნისში ართუკიანი 20 ათასი (ზოგიერთი ცნობით – 40 ათასი)¹⁷ თურქმენთა და მოხალისით (*მუთატავევი*) დაიძრა ჩრდილოეთი სირიისაკენ. მოკავშირედ მას ისევ თოდ-თეგინი ეგულებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ მის მოსვლამდე, თურქმენთა დაჟინებული მოთხოვნით, ილ-ლაზიმ 27 ივნისს მოულოდნელად შეუტია ბალატის ველზე დაბანაკებულ როჟერ ანტიოქიელის უფრო მცირე ლაშქარს¹⁸ და სასტიკად დაამარცხა ის. მუსლიმებმა ოციოდე კაცი დაკარგეს, ჯვაროსანთაგან კი მხოლოდ ამდენივემ უშველა თავს.¹⁹ დაიღუპა როჟერი, ტყვედ ჩავარდა 70-ზე მეტი რაინდი. მათ გამოსასყიდად ილ-ლაზიმ 300 ათასი დინარი დაანესა და ისინი, ვინც თავის დახსნა ვერ შეძლო, ჰალაბში დაახოცინა.²⁰ თურქმენებმა მოაოხრეს ბედის ანაბარად მიტოვებული ანტიოქიისა და სუვაიდიას სანახები და ხელთ იგდეს დიდძალი ტყვე და ნადავლი. ბალატთან მუსლიმებმა მოიპოვეს პირველი ყველაზე დიდი და ბრწყინვალე გამარჯვება ჯვაროსნებზე. „ეს იყო გამარჯვება – საუკეთესო გამარჯვებათა და ხოტბაშესხმულ ძლევათა შორის, რომლის მსგავსიც არ მომხდარა ისლამში წინა წლებსა და წინა ხანებში“, – წერდა იბნ ალ-კალანისი.²¹ ბრძოლის წინ ილ-ლაზიმ, პირველად XII ს-ის დასაწყისის სირიაში, გამოიყენა საღვთო ომის – ჯიჰადის ლოზუნგი, დააფიცა თავისი ამირები, რომ გამირულად იბრძოლებდნენ, უკან არ დაიხევდნენ და სიცოცხლეს არ დაიშურებდნენ ჯიჰადისათვის.²²

ბალატთან სასტიკი მარცხის შემდეგ ჯვაროსანთა მდგომარეობა ანტიოქიაში კრიტიკული შეიქნა. ქალაქი პრაქტიკულად დაუცველი იყო, მაგრამ ილ-ლაზიმ ვერ გამოიყენა ეს შანსი. მისი თურქმენები, როგორც კი ნადავლი იშოვეს, დაიფანტნენ. თავად მან გაუთავებელი სმა დაინყო²³ და როცა გამოფხიზლდა, გვიანდა იყო. ანტიოქიას იერუსალიმის მეფემ ბალდუინმა მიაშურა, გაამხნევა ფრანკები და ბალატთან გამარჯვებიდან 40 დღის შემდეგ, როდესაც ილ-ლაზი ანტიოქიაზე დაიძრა, ჯვაროსნები მას მომზადებულები დახვდნენ.

¹⁶ C. Hillenbrand. *The Career*, გვ. 267, 169.

¹⁷ Ibn al-Athir, X, გვ. 553; Ibn al-‘Adim, გვ. 187.

¹⁸ როჟერს ჰყავდა 3 ათასი მხედარი და 9 ათასი ქვეითი (Ibn al-Athir, X, გვ. 554) ან 20 ათასი მეომარი (სიბტ იბნ ალ-ჯაუზი, გვ. 79).

¹⁹ Ibn al-‘Adim, გვ. 189; Runiciman. *A History...*, გვ. 150; *A History of the Crusades*, გვ. 413.

²⁰ Ibn al-Athir, X, გვ. 555; Ibn al-‘Adim, გვ. 193.

²¹ იბნ ალ-კალანისი, გვ. 320.

²² Ibn al-‘Adim, გვ. 188; Hillenbrand. *The Career*, გვ. 274-275.

²³ Усама б. Мункыз. *Книга назидания*. М., 1958, გვ. 195, 196.

დანისთან ბრძოლაში ორივე მხარე დაზარალდა²⁴ და ილ-ლაზიმ შეძლო მხოლოდ რამდენიმე მეორეხარისხოვანი სასაზღვრო პუნქტის დაკავება. 1120 წ. ის შეეცადა, ხელახლა მიეტანა იერიში ანტიოქიაზე, მაგრამ თავის ძალებში დარწმუნებულმა სერიოზული შეცდომა დაუშვა, სასჯელის მუქარით აუკრძალა თურქმენებს, ეძარცვათ ის ტერიტორიები, რომლებიც უნდა გაეგლოთ. საპასუხოდ თურქმენებმა მიატოვეს ის და მცირე რაზმით დარჩენილი ართუკიანი განსაცდელისგან თოღთეგინმა იხსნა.²⁵ ანტიოქია არც ამის შემდეგ ასვენებდა ილ-ლაზის. იბნ ალ-ადიმის ერთი ცნობით, საქართველოზე ლაშქრობის დროს, გზაზე დუბაის ბ. სადაკას მისთვის შეუთავაზებია ანტიოქიის წინააღმდეგ ფულითა და სამხედრო ძალით დახმარება, თუკი სანაცვლოდ ჰალაბს მიიღებდა და ართუკიანიც დათანხმებულა.²⁶ აშკარა იყო, რომ ბალატთან გამარჯვების შემდეგ ჯვაროსნებს ახალი მრისხანე და დაუოკებელი მეტოქე გამოუჩნდა, რომელთანაც ბრძოლა მთელი ძალების მობილიზაციას მოითხოვდა. ამ საფრთხემ ჯვაროსნები აიძულა, ეძებნათ ახალი მოკავშირეები ქრისტიანთა შორის, კერძოდ კი, კავშირი დაემყარებინათ დავით აღმაშენებელთან.²⁷

საქართველოზე ლაშქრობის (1121 წ.) წინ ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზი განაგებდა ჰალაბის ოლქს ჩრდილოეთ სირიაში და დიარ-ბაქრის დიდ ნაწილს. მის უზენაესობას აღიარებდნენ სხვა ართუკიანები, არზანისა და ბიღლისის მფლობელი ტულან-არსლანი და ზოგიერთი პატარა ქალაქის გამგებლებიც. მიუხედავად იმისა, რომ ჰალაბი მარდინთან შედარებით უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, ჯვაროსნებთან და ისმაილიტებთან მისი სიახლოვის გამო, ილ-ლაზი ამჯობინებდა მარდინში ეცხოვრა. აქ ის თავს უფრო უშიშრად გრძნობდა.

ილ-ლაზის არ ჰყავდა დიდი მუდმივი ჯარი. მის ძირითად სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ დაქირავებული თურქმენები, რომლებიც დიარ-ბაქრში მომთაბარებოდნენ. თურქმენებს ვხედავთ ილ-ლაზის სამსახურში, რო-

²⁴ იქვე.

²⁵ Ibn al-‘Adim, გვ. 195.

²⁶ იქვე. გვ. 200.

²⁷ ამ საკითხის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში იხ. ზ. ავალიშვილი. *ჯვაროსანთა დროიდან*. თბ., 1989; ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან. – *თსუ შრომები*, ტ. 125, 1968, გვ. 83-103; თ. ნატროშვილი (თ. კახიანი). მოვიდა იდუმალ ქართლს შინა, ჟურნ. *დროშა*, 1971; იგივე ნაშრომი იხ. თ. ნატროშვილი, *მამრიყით მალრიბამდე*. თბ., 1974, გვ. 13-22; შ. მესხია, *ძღვევაჲ საკვირველი*. თბ. 1972, გვ. 72-81; შ. ბადრიძე, საქართველო და ჯვაროსნები, ნიგნში შ. ბადრიძე. *საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან*. თბ., 1984, გვ. 112-142; ქ. ჩხატარაიშვილი. დიდგორის ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა, ნიგნში: ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშველაშვილი. *დიდგორის ბრძოლა*. თბ., 1973, გვ. 8-10; რ. მეტრეველი. *დავით IV აღმაშენებელი*, თბ., 1986, გვ. 290-298 და სხვ.

ცა მას ეკავა ბაღდადის შიჰნას თანამდებობა²⁸ და შემდეგ – ყველა მის ომში. იბნ ალ-კალანისი მათ ადარებს ლომებსა და სონლულებს, რომლებიც ეძიებენ და თავს დასტრიალებენ მსხვერპლს.²⁹ მიხეილ სირიელი წერდა, რომ თურქმენები ილ-ლაზის ერთგულნი და მორჩილნი იყვნენ.³⁰ კ. ზიუსჰეიმი და კ. ჰილენბრანდი, სხვა წყაროების მიხედვით, მიუთითებენ, რომ ართუკიანის გავლენა და ძალაუფლება თურქმენებზე იყო არაჩვეულებრივი და შეუდარებელი; რომ თავად ილ-ლაზიც შთაგონებული იყო მათი ერთგულებითა და თავდადებით.³¹

კ. ჰილენბრანდი აღნიშნავს, რომ თურქმენებთან ურთიერთობამ განსაზღვრა ილ-ლაზის კარიერა თანაბრად, როგორც მისთვის სასარგებლოდ, ისე – საზიანოდ.³² საქმე ისაა, რომ თურქმენები, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი ბრძოლის უნარით, ამავე დროს, იყვნენ მერყევენი და ურჩები. მათ ამოდრავებდათ მხოლოდ სწრაფვა ძარცვისაკენ. ამა თუ იმ მმართველს, მათ შორის ილ-ლაზის, მხოლოდ მაშინ შეეძლო თურქმენთა დაყოლიება ლაშქრობაში მონაწილეობაზე, თუ დაუყოვნებლივ გადაუხდიდა მათ ფულს, ან მისცემდა გარანტიას ნადავლზე ბრძოლის შემდეგ. ამის გამო ილ-ლაზის სამხედრო ოპერაციები სერიოზულად იყო შეზღუდული. არაბი ისტორიკოსების თანახმად, ის ვერ აწყობდა ხანგრძლივ ლაშქრობებს ფრანკებზე, რადგანაც თურქმენები, რომლებსაც ხურჯინებით თან მოჰქონდათ საკვები (გამომშრალი ცხვრის ხორცი და ფქვილი), საათებს ითვლიდნენ და იმაზე ფიქრობდნენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნებულიყვნენ უკან და თუ ლაშქრობა გაგრძელდებოდა – იფანტებოდნენ³³. ასე დაიშალნენ ისინი ნადავლითურთ ბალატთან გამარჯვების შემდეგ. ილ-ლაზის გაუთავებელ სმასთან ერთად ეს იყო იმის მიზეზი, რომ დაუცველი ანტიოქია აუღებელი დარჩა. ზემოთ ისიც აღინიშნა, თუ როგორ მიატოვეს თურქმენებმა ილ-ლაზი ანტიოქიაზე ხელახალი ლაშქრობის დროს. კ. ჰილენბრანდი ამ ფაქტში ხედავს განხეთქილებას, რომელიც ილ-ლაზისა და თურქმენების ურთიერთობაში გაჩნდა.³⁴

არაბი ავტორები ახასიათებენ ილ-ლაზის როგორც მამაცსა და გუ-

²⁸ Ibn al-Athir, X, გვ. 338, 372.

²⁹ იბნ ალ-კალანისი, გვ. 319.

³⁰ *Chronique de Michel le Syrien*. tr. J. B. Chabot, t. III, fasc. 3, Paris, 1910, გვ. 105; C. Hillenbrand, *The Career*, გვ. 271.

³¹ K. Süsseim. *Il-Ghazi*, გვ. 1119; Hillenbrand. *The Career*, გვ. 271.

³² C. Hillenbrand. *The Career*, გვ. 271.

³³ Ibn al-Athir, X, გვ. 568; იბნ ხალდუნ. *თა'რიხ*, V, ბაერუთ, 1968, გვ. 488.

³⁴ C. Hillenbrand. *The Career*, გვ. 275.

ლუხვს,³⁵ სასტიკსა³⁶ და ლოთს.³⁷ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თანახმად, ეს იყო *კაცი დაჰმანი და მრავალლონე*.³⁸ ევროპელი მკვლევრები, რომლებიც ილ-ლაზის მოღვაწეობას ჯვაროსანთა ისტორიის კუთხით განიხილავენ, მკაცრად აფასებენ მის პიროვნულ თვისებებს. რ. რორიხტისთვის ის დარჩა ლოთი, სასტიკი და აღვირახსნილი. რ. გრუსესთვის კი – ტლანქი, ბებერი მხედარი.³⁹ კ. ჰილენბრანდი, რომელმაც ილ-ლაზის მოღვაწეობას, დღემდე, ყველაზე ვრცელი და საფუძვლიანი გამოკვლევა მიუძღვნა, აღნიშნავს, რომ ის იყო ჭირვეული და დამოუკიდებელი პირად და პოლიტიკურ ცხოვრებაში და მერყევი – გადაწყვეტილების მიღების დროს.⁴⁰ სკეპტიციზმი სჭარბობს ილ-ლაზის სამხედრო და პოლიტიკური ნიჭის მისეულ შეფასებაშიც.

კ. ზიუსჰეიმის კვალდაკვალ, კ. ჰილენბრანდიც წერს, რომ ილ-ლაზი არ იყო დიდი ნიჭის სარდალი და სამხედრო სტრატეგი.⁴¹ ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად ის განიხილავს ბალატისა და დიდგორის ბრძოლებს. პირველში, მისი აზრით, ილ-ლაზიმ თურქმენტა ინიციატივის წყალობით გაიმარჯვა და საბოლოოდ ვერ გამოიყენა ამ გამარჯვების შედეგები. თბილისთან კი მან მარცხი განიცადა; მაგრამ ეს საკითხი არ შეიძლება ასე ცალმხრივად გადაიჭრას. ილ-ლაზის, როგორც ითქვა, არ ჰყავდა მუდმივი ჯარი და, ამდენად, მისი წარმატებები მხოლოდ დაქირავებული თურქმენტებით საკმაოდ შთამბეჭდავია. 1115 წ. მან სასტიკად დაამარცხა სულთნის რეგულარული ლაშქარი აკ-სონკურ ბურსუკის მეთაურობით. ბალატთან დაღუპული როჟერი თავად ნიჭიერი სარდალი იყო და მის მარცხს მხოლოდ თურქმენტა მონდომებით ვერ ავხსნით. რაც შეეხება დიდგორის კატასტროფას,

³⁵ იბნ თალრი ბირდი. *ან-ნუჯუმ აზ-ზაჰირა ფი მულუქ მისრ ვა ლ-კაჰირა*, V, 1383/1963, გვ. 223.

³⁶ ამის მაჩვენებელია, თუნდაც, ილ-ლაზის მიერ ჯვაროსანი ტყვეების გაჟლეტა ჰალაბში (იხ. ზემოთ).

³⁷ ამის შესახებ, უსამა იბნ მუნკიზის გარდა (იხ. ზემოთ, შენ. 23), აღნიშნავს იბნ ალ-კალანისიც (გვ. 305).

³⁸ ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით, დაჰმანი მოხერხებულია (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 433), მაგრამ ამ ძველ ირანულ სიტყვას (tahman, tahma, taxma) სხვა ახსნა აქვს: გმირი, მამაცი, გამბედავი. იხ. M. Brosset. *Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle*. Tr. du Géorgien, Ire partie. St.-Pbg, 1849, გვ. 365, შენ. 19; თ. ჩხეიძე. *ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან*. თბ., 1984, გვ. 15.

³⁹ R. Röhricht. *Geschichte des Königreichs Jerusalem*. Innsbruck, 1898, გვ. 136; R. Grousset. *Histoire des Croisades et du Royaume de Jérusalem*. I, Paris, 1934, გვ. 560; C. Hillenbrand. *The Career*, გვ. 252.

⁴⁰ C. Hillenbrand. *The Career*, გვ. 290.

⁴¹ K. Süssheim, *Il-Ghazi*, გვ. 1119; C. Hillenbrand. *The Career*, გვ. 277.

ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო არა მარტო ილ-ლაზის სამხედრო ნიჭი, არამედ მისი მეტოქის – დავით აღმაშენებლის სამხედრო გენია.

კ. კაენი წერს, რომ ილ-ლაზი, მომთაბარეთა ეს ბელადი, რომელიც მთელ თავის დროს ფართო მასშტაბის სამხედრო ექსპედიციებს ანდომებდა, განსხვავებით სხვა თურქმენებისგან, რომლებიც მხოლოდ ანგრევდნენ, დაკავებული იყო ადმინისტრაციული და რელიგიური საქმეებითაც.⁴² ა. სევიმის თანახმად, ართუკიანი იყო „არა მარტო ძლიერი მეომარი, არამედ პოლიტიკოსი და ნიჭიერი ადმინისტრატორიც“.⁴³ უფრო სპეკტიკურად აფასებს ილ-ლაზის, როგორც მმართველის, უნარს კ. ჰილენბრანდი.⁴⁴ მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ილ-ლაზიმ თავის სამფლობელოებში, განსაკუთრებით კი დიარ-ბაქრში, შექმნა მტკიცე ხელისუფლება, რის წყალობითაც აქ თავს უშიშრად გრძნობდნენ, როგორც თვითონ, ისე – მისი მემკვიდრეებიც.

კ. ჰილენბრანდი ვერ უარყოფს, რომ ილ-ლაზი იყო ენერგიული სამხედრო ლიდერი და დროდადრო გამჭრიახი პოლიტიკოსიც.⁴⁵ ჩვენ კი დავძენდით, რომ ის იყო უაღრესად სიცოცხლისუნარიანი, გამძლე პიროვნება, რომელმაც რთულ პირობებში, სულთნისაგან შერისხულმა, ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ჯვაროსნებთან ბრძოლებში მოიპოვა და განავრცო თავისი ძალაუფლება, შეძლო ის, რასაც ახერხებდნენ, უპირატესად, სელჩუკ სულტნებთან დაახლოებული ამირები და ათაბაგები, რომლებიც იკტად იღებდნენ სამფლობელოებს. მან, როგორც მართებულად აღნიშნავს კ. ჰილენბრანდი, ისლამის ისტორიაში შეასრულა მნიშვნელოვანი როლი, რაც გამოიხატა სელჩუკთა ცენტრალური ხელისუფლებისათვის ნელ-ნელა ძირის გამოთხრასა და, თანდათანობით, ალ-ჯაზირასა და ჩრდილოეთ სირიაში დამოუკიდებელი საამიროების შექმნაში.⁴⁶

XIII ს-ის ანონიმური სირიული ქრონიკის თანახმად, ილ-ლაზი „გახდა ძლევამოსილი და განდიდდა, რადგანაც მართავდა საკუთარ ქვეყანას, თავისი ძმის სუქმანის შვილებისა და ბიძაშვილის – დაუდის (!) ქვეყნებს ასირიამდე, სომხეთამდე და იბერიამდე“.⁴⁷ მაგრამ მისი განდიდების მიზეზი მაინც ჯვაროსანთა წინააღმდეგ ბრძოლა იყო. კ. ზიუსჰეიმი აღნიშნავს, რომ იმად

⁴² C. Cahen. *Le Diyar Bakr*, გვ. 237.

⁴³ A. Sevim. Artuk Oğlu Ilghazi. – *Bulletin*, 1962, Cilt XXVI, Sayı 104, გვ. 690; C. Hillenbrand. *The Career*, გვ. 283.

⁴⁴ C. Hillenbrand. *The Career*, გვ. 282-284.

⁴⁵ იქვე, გვ. 290.

⁴⁶ C. Hillenbrand. *The Career*, გვ. 291.

⁴⁷ The First and Second Crusades from an Anonymous Syriac Chronicle, Tr. by A. S. Tritton, with Notes by H.A.R. Gibb. – *JRAS*, 1933, გვ. 89. აქ შეცდომით არის მითითებული, რომ დაუდი იყო ილ-ლაზის ბიძაშვილი.

ად-დინ ზენგიმდე და სალადინამდე ილ-ლაზი იყო ერთ-ერთი იმ ამირებს შორის, რომლებმაც შეაჩერეს ჯვაროსანთა წინსვლა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ.⁴⁸

ბალატთან გამარჯვებამ წარმოუდგენლად გაზარდა ილ-ლაზის ავტორიტეტი ახლო აღმოსავლეთში. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ჯვაროსნებზე დიდი გამარჯვება მოიპოვა სწორედ მან და არა სულთნის მიერ სპეციალურად წარგზავნილმა ლაშქარმა. აბასიანთა ხალიფამ ილ-ლაზის საპატიო ხალათი უბოძა, მას მიეძღვნა ლექსები⁴⁹ და, მიუხედავად იმისა, რომ ბალატთან გამარჯვების შემდეგ, ართუკიანის წარმატებები მოკრძალებული იყო, 1119-21 წლებში ის მაინც დიდების ზენიტში იმყოფებოდა. სწორედ ამ პიროვნებამ, ტიპურმა წარმომადგენელმა იმ ხალხისა, რომელმაც მახვილით დაიპყრო წინა აზია და არსებითად შეცვალა მისი ეთნიკური რუკა, ილაშქრა საქართველოზე 1121 წ. აგვისტოში.

ართუკიანებთან დაახლოებული XII ს-ის არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი წერს, რომ ილ-ლაზი გამოეხმაურა დავით აღმაშენებლის მიერ შევიწროებულ თბილისელ მუსლიმთა მოწოდებას, მიიღო მათი მიწვევა, ჩაებარებინა ქალაქი და ილაშქრა საქართველოზე.⁵⁰ კ. ჰილენბრანდი მართებულად თვლის, რომ ეს იყო ილ-ლაზის მორიგი უხეში შეცდომა.⁵¹ ლაშქრობის შედეგები, ცხადია, სხვა დასკვნის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ამ სამხედრო ექსპედიციის წინ ართუკიანს ოპტიმიზმის საფუძველი ჰქონდა.

1121 წ. თბილისის მდგომარეობა წააგავდა ჰალაბის ვითარებას 1119 წლამდე: როგორც ერთ, ისე – მეორე ქალაქში, არ იყო მტკიცე ხელისუფლება. ჰალაბს ემუქრებოდნენ ჯვაროსნები, თბილისის ასაღებად კი ემზადებოდა დავით აღმაშენებელი. ჰალაბის, ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის, დაკავება ჯვაროსნებს საშუალებას აძლევდა, განუყოფლად ებატონათ ჩრდილოეთ სირიაში, სირიის საზღვაო სანაპიროსა და პალესტინაში. თბილისის დაკარგვით მუსლიმებს ხელიდან ეცლებოდათ, ასევე, მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული ცენტრი, რის შემდეგაც ქართველთა მეფე, თითქმის, ასრულებდა ქვეყნის გაერთიანებას და მას

⁴⁸ K. Süsseim. *Il-Ghazi*, გვ. 1119.

⁴⁹ არაბ ისტორიკოს იბნ ალ-ასირს მოჰყავს ნაწყვეტი ალ-‘აზიმის ლექსისა, სადაც პოეტი ასე მიმართავს ილ-ლაზის: „თქვი, რაც კი გსურს და შენი ნატვრა ასრულდება. შემოქმედის შემდეგ შენ ხარ საყრდენი. ყურანმა გაიხარა, ოდეს დაიცავი და ატირდა სახარება მიმდევართა დალუპვით“. Ibn al-Athir, X, გვ. 568, 555.

⁵⁰ V. Minorsky. *Caucasica in the History of Mayyafariqin – BSOAS*, vol. XIII, pt. I, 1949, გვ. 14; ე. სიხარულიძე, ალ-ფარიკი საქართველოში, – სძ, ტ. II, თბ., 1985, გვ. 87-88.

⁵¹ C. Hillenbrand. *The Career*, გვ. 269.

ველარაფერი დააბრკოლებდა, რომ უფრო აქტიურად ებრძოლა სელჩუკთა წინააღმდეგ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. ჰალაბელები გამუდმებით სთხოვდნენ დახმარებას მეზობელ მუსლიმ გამგებლებს და ასევე იქცოდნენ თბილისელებიც. ილ-ლაზის მზადყოფნამ და ბალატთან გამაჯვებამ ჰალაბი იხსნა ჯვაროსანთა საფრთხისაგან და დიდი სახელი მოუხვეჭა ართუკიანს. თბილისის საქმეებში ჩარევა, ალბათ, მას ასეთივე წარმატების ილუზიას უქმნიდა.

თბილისის დაკავება არ იყო თვითმიზანი ილ-ლაზისათვის. ქართველ მკვლევრებს დასაბუთებული აქვთ, რომ საქართველოზე ლაშქრობით ის იმედოვნებდა ჯვაროსანთა ამ მოკავშირის განადგურებას.⁵² ილ-ლაზის, უეჭველია, აშფოთებდა დავით აღმაშენებლის სამხედრო აქტივობა.⁵³ მართალია, ართუკიანს საქართველოსთან საერთო საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ მისი სამფლობელოების ხელყოფის სიგნალი შეიძლებოდა გამხდარიყო ქართველთა მეფის მიერ აშორნიას დარბევა 1120 წ. ნოემბერში.⁵⁴ აშორნია (იგივე აშორნიქ, არშარუნიქ, არშარუნია)⁵⁵ – ეს სომხური ოლქი, რომელიც თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს, არცთუ შორს მდებარეობდა დიარ-ბაქრისაგან. ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი სამხედრო მუქარის ლიკვიდაციის შემდეგ ილ-ლაზის, კანცლერ გოტიეს თანახმად, ველარაფერი შეუშლიდა ხელს, რომ თავისუფლად შესდგომოდა „იერუსალიმისა და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანთა ამოწყვეტას“.⁵⁶ 1121 წ. მაისში მან უბრძანა თავის ვაჟს სულაიმანს, რომელიც ჰალაბის გამგებლად დანიშნა, რომ ნებისმიერ პირობებზე დაზავებოდა ფრანკებს. ამ დროს ის უკვე ჩრდილოეთის მეზობლის დასალაშქრად ემზადებოდა.

საქართველოზე ილ-ლაზის ლაშქრობას განაპირობებდა „თურქმენუ-

⁵² ნატროშვილი, *მაშრიყით მალრიბამდე*, გვ. 20; მესხია. *ძლევაა საკვირველი*, გვ. 91; ჩხატარაიშვილი. *დიდგორის ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა*, გვ. 10; მეტრეველი. *დავით IV აღმაშენებელი*, გვ. 192.

⁵³ XIV ს-ის არაბი ისტორიკოსი ალ-‘აინი, რომელიც აგვინერს დიდგორის ბრძოლას, აღნიშნავს, რომ მის წინ ქართველებს დაულაშქრავთ სირია (‘*იკდ ალ-ჯუმან ფი თა’რის აჰლ აზ-ზამან*, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ნუსხა. C 350, ტ. III, გვ. 311), მაგრამ ალ-‘აინის ინფორმაცია მთლიანად ემყარება იბნ ალ-ასირისას, ეს უკანასკნელი კი, სირიის ნაცვლად, ასახელებს ისლამის ქვეყნებს. Ibn al-Athir, X, გვ. 267.

⁵⁴ ნატროშვილი. *მაშრიყით მალრიბამდე*, გვ. 20.

⁵⁵ Brosset. *Histoire de la Géorgie*, გვ. 364, შენ. 7, გვ. 365, შენ. 8. არშარუნია, იგივე ერასხაძორი მდებარეობდა აირარატის პროვინციაში, ახურიანის ქვემო დინების დასავლეთით, არაქსის სანაპიროზე. მოვსეს ხორენაცი. *სომხეთის ისტორია*. ძველი სომხურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ. თბ., 1984, გვ. 290, შენ. 216.

⁵⁶ ავალიშვილი. *ჯვაროსანთა დროიდან*, გვ. 45.

ლი ფაქტორიც“. მომთაბარე თურქმენები იყვნენ როგორც დიარ-ბაქრში, ისე – ამიერკავკასიაშიც. ისინი აქ არა მარტო დაპყრობითი ომების შედეგად მოხვდნენ. ცნობილია, რომ მალიქ-შაჰის ვეზირი ნიზამ ალ-მულქი მოითხოვდა ირანიდან მომთაბარეთა გაყვანას ბიზანტიისა და საქართველოს საზღვრებზე, რადგანაც ეს მოუსვენარი ელემენტი მრავალ დაბრკოლებას უქმნიდა მმართველ კლასს.⁵⁷ მომთაბარეთა ექსტენსიური მეურნეობა უცხო და მიუღებელი იყო განვითარებული ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის.⁵⁸ ეს განაპირობებდა დავით აღმაშენებლის შეურიგებელ ბრძოლას მათთან, როგორც საქართველოში, ისე მის – საზღვრებთან, არრანსა და სომხეთში.⁵⁹ 1120 წ. ნოემბერში სწორედ თურქმენები მოარბია მეფემ აშორნიაში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს, თუ როგორ ჩიოდნენ სელჩუკიანთა სულთნის წინაშე „განძელ-ტფილელ-დმანელ“ ვაჭრებთან ერთად „ესევითართა ჭირითაგან შეინრებულნი თურქმანნი“.⁶⁰ ბუნებრივია, დაუშვავთ, რომ ასევე ჩიოდნენ ისინი თავიანთ აღიარებულ ბელადთან – ილ-ლაზისთანაც. თურქმენთა საჩივრების დაკმაყოფილება და ქართველთა სანიმუშოდ დასჯა ართუკიანს კარგ შანსს აძლევდა იმისთვის, რომ აღედგინა მომთაბარეებზე 1120 წ. შერყეული გავლენა.

დიარ-ბაქრი აშკარად მცირე იყო აქ მომთაბარე თურქმენებისთვის, რომლებიც ახალ სასიცოცხლო სივრცეებს ეძებდნენ. მათ იზიდავდა ამიერკავკასიის, კერძოდ კი, სომხეთის ნოყიერი საძოვრები და ამ მიმართულებით დიარ-ბაქრის თურქმენთა ლტოლვა XII ს-ის დამდეგიდან დაიწყო. მცირე იყო დიარ-ბაქრი პატივმოყვარე ილ-ლაზისთვისაც. ძლევამოსილი ლაშქრობა და თბილისის დაუფლება ილ-ლაზის საშუალებას მისცემდა, შეექმნა ვრცელი სახელმწიფო თბილისიდან ჰალაბამდე და თურქმენთა მხარდაჭერით ეთამაშა მნიშვნელოვანი როლი იმ ბრძოლაში, რომელიც სელჩუკებსა და დავით აღმაშენებელს შორის ამიერკავკასიაში გასაბატონებლად მიმდინარეობდა.

საქართველოში, უცხო ქვეყანაში, ლაშქრობა, ცხადია, სახიფათო იყო. არ შეიძლება, რომ ილ-ლაზის არ სცოდნოდა დავითის სამხედრო წარმატებების შესახებ. მაგრამ, ასევე რისკთან იყო დაკავშირებული მისი ბრძოლები ჯვაროსნებთან და ნიჭიერი სარდალი იყო როჟერ ანტიოქიელი, რომელ-

⁵⁷ ვ. გაბაშვილი. დიდ სელჩუკთა სახელმწიფო – კრ. ნმაი, თბ., 1957, გვ. 125; მისივე, აღმოსავლეთი XI-XII საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე. – *ოსუ შრომები*, ტ. 125, 1968, გვ. 295.

⁵⁸ გაბაშვილი. *აღმოსავლეთი*, გვ. 295.

⁵⁹ *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 338, 339, 340, 344.

⁶⁰ იქვე, გვ. 340.

მაც თავი დაკარგა ბალატთან. საკუთარი ძალების გარდა, ილ-ლაზის ისიც ამხნევებდა, რომ ამჯერად მეტი მოკავშირე შემოიკრიბა. მას თან წამოჰყვა თავისი სიძე, ჰილას (ცენტრალური ერაყი) გამგებელი, არაბთა მეფედ ნოდებული დუბაის ბ. სადაკა,⁶¹ რომლის მამასთან ართუკიანს, ჯერ კიდევ ბალდადის შიჰნად ყოფნის დროს, ჰქონდა კავშირი. მართალია, დუბაისი სულთნისგან იყო დევნილი, მაგრამ ის დიდძალი ფულითა და საჩუქრით ეახლა სიმამრს და, იბნ ალ-ადიმის ცნობით, მასთან კავშირმა გააძლიერა ილ-ლაზი.⁶² ილ-ლაზიმ უხმო თავის ვასალს, არზანისა და ბიდლისის გამგებელს – ტულან არსლანს, რომელიც ამ დროს დვინსაც ფლობდა.⁶³ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ მას ეახლნენ თურქმენები „დამასკოთ და ჰალაბთიგან ამოღმართ“⁶⁴ – როგორც ერთგული მოკავშირის თოლ-თეგინის ქვეშევრდომები დამასკოდან, ისე – საკუთარი სამხედრო რაზმები ჰალაბიდან. მათე ურჰაელის თანახმად, ილ-ლაზიმ ბრძანა, „შეკრებილიყო მისი დიდი ჯარი ყოველი თურქმენთა ტომიდან... მთელი კარმიანის ჩათვლით“.⁶⁵ სომეხი მემატრიანე კარმიანს მალატიას უწოდებს.⁶⁶ ეს ქალაქი არ ექვემდებარებოდა ილ-ლაზის, მაგრამ მალატიასში ამ დროს ახალგაზრდა სელჩუკიანი გამგებლის ათაბაგად იჯდა მისი ძმისშვილი ბალაქ ბ. ბაჰრამი.⁶⁷ ილ-ლაზისთვის კარმიანელი (გარმიანელი) თურქების⁶⁸ დამხმარედ გაგზავნა მხოლოდ მას შეეძლო. მაგრამ მთავარი მოკავშირე მაინც იყო არრანის გამგებელი, სულთან მაჰმუდის ძმა თოღრულ ბ. მუჰამადი, რომელსაც, მცირეწლოვნების გამო, მეურვეობდა ათაბაგი ქენ-თოღდი.

თოღრულმა ჯერ კიდევ მამის, სულთან მუჰამადის, სიცოცხლეში მიიღო იკტად სავა, ავა და ზენჯანი. 1119 წ. ის ქენ-თოღდის ნაქეზებით აუჯანყდა ძმას, მაგრამ იძლია და განჯას შეაფარა თავი. იმავე წელს სანჯარმა დაამარცხა მაჰმუდი და თოღრულს ისევ უბოძა როგორც ზემოაღნიშნუ-

⁶¹ დუბაისი 1120 წ. დაქორწინდა ილ-ლაზის ასულზე. Ibn al-Athir, X, გვ. 561.

⁶² Ibn al-‘Adim, გვ. 198.

⁶³ სიხარულიძე. *ალ-ფარიკი საქართველოში*, გვ. 88.

⁶⁴ *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 340.

⁶⁵ ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. – კრ. *საქართველო რუსთაველის ხანაში*, თბ., 1966, გვ. 244.

⁶⁶ *Extraits de la Chronique de Mathieu d'Édesse. – Reueil des Historiens des Croisades. documents Arméniens. Tome premier, Paris, 1869, გვ. 127.*

⁶⁷ C. Cahen. Balak, – *EP*, vol. I, გვ. 983.

⁶⁸ გარმიანელი თურქების შესახებ იხ. C. Cahen, *L'Origine des Garmyans* – *JA*, 1951, t. 239, გვ. 349-354; გ. ალასანია. „გარმიან“, „გარმიანელის“ განმარტებისათვის. – *მაცნე* (ელს), №4, 1975, გვ. 175-178.

ლი სამფლობელოები, ისე – დამატებით: გილანი, დეილამი და ქ. ყაზვინი.⁶⁹ თოღრული ფლობდა, აგრეთვე, ქ. ნახჭევანს. იბნ ალ-ასირის თანახმად, 514/2. IV.1120 – 21.II.1121 წ., ე.ი., დიდგორის ბრძოლამდე, მაჰმუდმა თავისი სარდალი ჯუიუმ-ბეგი გაგზავნა ძმის დასამორჩილებლად, მაგრამ ის ქენ-თოდისთან ერთად განჯაში გამაგრდა და ბრძოლა არ მომხდარა.⁷⁰ ამის შემდეგ, მცირე ხნით, კონფლიქტი ძმებს შორის აღარ ჩანს. 1121 წ. მიწურულს ქენ-თოლდი გარდაიცვალა და 1222 წ. მარტში თოღრულმა მორჩილება გამოუცხადა სულთანს.⁷¹

ალ-ფარიკის ცნობით, თბილისელ მუსლიმებს დახმარებისთვის მიუმართავთ თოღრულისთვისაც, რომელმაც აქ თავისი შიჰნა გამოგზავნა.⁷² მაგრამ მისი დახმარება არ იყო ეფექტური, რადგანაც თავად განიცდიდა დანოლას როგორც სულთნისაგან, ისე – საქართველოსგან. არრანსა და მის მთავარ ქალაქ განჯაში გამაგრებული თურქ-სელჩუკები უკვე მოექცნენ დავით აღმაშენებლის თვალსაწიერში. 503/1109-10 წ. დავითმა პირველად დალაშქრა განჯის სანახები, მაგრამ დამარცხდა სულთან მუჰამედთან და უკუიქცა.⁷³ დიდგორის ბრძოლის წინ, მათე ურჰაელის თანახმად, განჯის ამირას თავდასხმის საპასუხოდ, მან განახორციელა ახალი, ამჯერად ძლევამოსილი რეიდი მის წინააღმდეგ.⁷⁴ თოღრულზე დავითის გალაშქრებას აღნიშნავს იბნ ალ-კალანისი.⁷⁵ შემფოთებული თოღრული ცდილობდა, რომ ანგარიში გაენია თბილისელ მუსლიმთათვის და, ამავე დროს, გამოეძებნა ძლიერი მოკავშირე ქართველების წინააღმდეგ. სულთანი მაჰმუდი, რომელსაც ის ებრძოდა, ცხადია, ამ საქმეში არ გამოადგებოდა. სამაგიეროდ, მიმზიდველი ჩანდა კავშირი იმ დროისათვის დიდებით მოსილ ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზისთან და დუბაის ბ. სადაკასთან.⁷⁶

ალ-ფარიკისგან განსხვავებით, იბნ ალ-კალანისი და იბნ ალ-ადიმი

⁶⁹ Ibn al-Athir, X, გვ. 547-548; З. М. Бунятов. *Государство атабеков Азербайджана*, Баку, 1978, გვ. 17-19; Bosworth. *The Political and Dynastic History*, გვ. 120-121.

⁷⁰ Ibn al-Athir, X, გვ. 587.

⁷¹ იქვე, გვ. 597.

⁷² სიხარულიძე. *ალ-ფარიკი საქართველოში*, გვ. 88.

⁷³ იბნ ალ-კალანისი, გვ. 269-70; Садр ад-Дин ал-Хусайни. *Ахбар ад-даулат ас-сельджукийя*. Издание текста, перевод, введение, примечания и приложения З. М. Бунятова. М., 1980, გვ. 46b.

⁷⁴ დავლიანიძე. *მათე ურჰაელის ცნობები*, გვ. 243-244.

⁷⁵ იბნ ალ-კალანისი, გვ. 326. ამდენად, დავითის ამ სამხედრო აქციის მიმართ სკეპტიციზმი (მესხია. *ძლევამ საკვირველი*, გვ. 86-87) უსაფუძვლოა.

⁷⁶ თოღრულის კავშირი დუბაისთან გრძელდებოდა დიდგორის ბრძოლის შემდეგაც, ამჯერად სულთან მაჰმუდის წინააღმდეგ. Ibn al-Athir, X, გვ. 626-628.

აღნიშნავენ, რომ სწორედ თოღრულმა მოუწოდა ილ-ლაზის დასახმარებლად ქართველებისა და მათი მეფის – დავითის წინააღმდეგ.⁷⁷ იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ ქართველთაგან შეწუხებულმა მეზობელმა მუსლიმმა ამირებმა ერთმანეთთან წერილობითი კავშირი დაამყარეს და ასე შეთანხმდნენ ერთობლივ ლაშქრობაზე⁷⁸. რაც შეეხება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, მისი ცნობით, კოალიციური ლაშქარი სულთნის ინიციატივით შეიყარა („მაშინ სულთანმა მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყას ძესა, და მოსცა ძე თვისი მალიქი⁷⁹ და ყოველი ძალი მისი; და აჩინა სპასალარად ელლაზი, ძე არდუხისი...“). ასეა მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაშიც,⁸⁰ მაგრამ კოალიციაში მაჰმუდის ორი მეტოქის, მათ შორის, ტახტის ერთი პრეტენდენტის მონაწილეობა საეჭვოს ხდის ამ თვალსაზრისს.

მაჰმუდს რთული ურთიერთობები ჰქონდა როგორც თოღრულთან (იბ. ზემოთ), ისე – დუბაის ბ. სადაკასთან. 1120 წ. ჰილას გამგებელმა სულთნის ძმა მას‘უდი და მისი ათაბაგი შირ-გირი წააქეზა მაჰმუდის წინააღმდეგ ასაჯანყებლად. სულთანმა გაიმარჯვა, მერე ძმა და ათაბაგი შემოირიგა და დუბაისზე ილაშქრა. უკანასკნელმა მოაოხრა ერაყი და ილ-ლაზისთან გაიქცა. მცირე ხნის შემდეგ ის შეეცადა მორიგებოდა სულთანს, მაგრამ – ამაოდ.⁸¹ არ გაჭრა ილ-ლაზის ჩარევამაც.⁸² ერაყში შიიტი დუბაის ბ. სადაკას დაბრუნების კატეგორიული წინააღმდეგი იყო აბასიანი ხალიფაც. მან ილ-ლაზის მოსთხოვა, რომ გაეძევებინა დუბაისი, მაგრამ თავაზიანი უარი მიიღო.⁸³ 1121 წ. სულთანს ჰილას გამგებელზე არავითარი გავლენა არ ჰქონდა და დუბაისმა საქართველოზე ლაშქრობაში მხოლოდ იმიტომ მიიღო მონაწილეობა, რომ ილ-ლაზის სიძე და მოკავშირე იყო.

აღსანიშნავია, რომ 1121 წ. საქართველოზე ამ კოალიციურ ლაშქრობასთან დაკავშირებით არაბი ავტორები საერთოდ არ იხსენიებენ სულთანს. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. მათ კარგად იცოდნენ იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება და მაჰმუდის დამოკიდებულება თოღრულთან და

⁷⁷ იბნ ალ-კალანისი, გვ. 326; Ibn al-‘Adim, გვ. 199-200.

⁷⁸ Ibn al-Athir, X, გვ. 567.

⁷⁹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 340. მკვლევრები თვლიან, რომ წყაროში დასახელებული სულთნის „ძე“ სინამდვილეში არის მისი ძმა – თოღრული. იბ. მესხია. *ძღვევაჲ საკვირველი*, გვ. 97; მეტრეველი. *დავით IV აღმაშენებელი*, გვ. 193.

⁸⁰ მაგალითად, იბ. რ. კიკნაძე. XI-XII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, – *ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. V, ნაკვ. I, თბ., 1960, გვ. 121; *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III, თბ., 1979, გვ. 238-239.

⁸¹ Ibn al-Athir, X, გვ. 592.

⁸² იქვე.

⁸³ იქვე, გვ. 568.

დუბაისთან. ეჭვი არ არის, რომ „შეინრებულნი“ თურქმენები და „განძელ-ტფილელ-დმანელნი“ ვაჭრები ჩიოდნენ სულთანთან, როგორც უმაღლეს ინსტანციასთან, მაგრამ მან, როგორც აღნიშნავდა იბნ ალ-ასირი, ვერ შეძლო, ხელი შეეშალა ქართველებისთვის, აეღოთ თბილისი.⁸⁴ მას არ აღმოუჩენია რეალური სამხედრო დახმარება კოალიციისათვის და ვფიქრობთ, რომ ის ვერ დანიშნავდა ილ-ლაზის სპასალარად იმ ლაშქრისა, რომლის შეყრაც უბრალოდ არ ძალუძდა. საუკეთესო შემთხვევაში, მაჰმუდს შეეძლო მოენონებინა კოალიციის მიზნები და თავი შეეკავებინა თოღრულისა და დუბაისის წინააღმდეგ მტრული გამოსვლებისაგან. მართლაც, 1121 წ. ზაფხულში არაბული წყაროები მის რაიმე სამხედრო აქციებზე არ მიუთითებენ. დუბაისისგან დაშინებული ხალიფას თხოვნით, მთელი ეს დრო სულთანმა ლაშქართან ერთად ბაღდადში უმოქმედოდ გაატარა და აგვისტოში ძლივს გადაურჩა საშინელ ხანძარს, რომელმაც მისი სასახლე შთანთქა.⁸⁵

ალ-ფარიკის ცნობით, თბილისთან ბრძოლის წინ ილ-ლაზის ვერ შეუერთდნენ მისი მოკავშირეები: ტულან-არსლანი და თოღრული.⁸⁶ კოალიციაში პირველი მათგანის მონაწილეობაზე მხოლოდ ალ-ფარიკი წერს და მისი ამ ცნობის შემომნება არ შეგვიძლია.⁸⁷ მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით თოღრულის შესახებ. საქართველოში მის მარცხს აღნიშნავენ XII ს-ის ისტორიკოსები: ალ-‘აზიმი⁸⁸ (გარდ. 1161 წ.) – ჰალაბიდან და მათე ურჰაელი⁸⁹ – ედესიდან, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იღებდნენ თავიანთ ინფორმაციას. დამასკოელი იბნ ალ-კალანისი (გარდ. 1161 წ.), რომელიც ერთერთი პირველი შეეხო ილ-ლაზის კამპანიას, მართალია, კონკრეტულად არ ასახელებს დამარცხებულთ, მაგრამ მიუთითებს კოალიციაში თოღრულის მონაწილეობაზე.⁹⁰ მოგვიანებით იმავეს აღნიშნავს იბნ ალ-‘ადიმი.⁹¹ იბნ ალ-

⁸⁴ Ibn al-Athir, ტ. XII, გვ. 452.

⁸⁵ იბნ ალ-ჯაუზი. *მუნთაზამ ფი თა’რიხ ალ-მულუქ ვა ლ-უმამ*, X, ჰაიდარაბად, 1359/1940, გვ. 223-24.

⁸⁶ სიხარულიძე. *ალ-ფარიკი საქართველოში*, გვ. 88.

⁸⁷ მართალია, იმავეს წერს სიბტ იბნ ალ-ჯაუზი (ო. ცქიტიშვილი. სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. – *თსუ შრომები*, 1967, ტ. 118, გვ. 205), მაგრამ მისი ინფორმაცია ილ-ლაზის კამპანიის შესახებ ალ-ფარიკის პარაფრაზია. ამ ორი ავტორის ცნობების ურთიერთმიმართების შესახებ იხ. C. Hillenbrand. *Some Mediaeval Islamic Approaches to Source Material*. – *Oriens*, vol. 27-28, 1981, გვ. 200, 205.

⁸⁸ C. Cahen. *La Chronique abrégée d’al-‘Azimi*. – *JA*, 1938, t. 230, გვ. 388.

⁸⁹ დავლიანიძე. *მათე ურჰაელის ცნობები*, გვ. 246.

⁹⁰ იბნ ალ-კალანისი, გვ. 326.

⁹¹ Ibn al-‘Adim, 200; გ. კუტალია. ქემალ ად-დინის ცნობა დიდგორის ბრძოლის შესახებ. – *საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. 74, 2, 1974, გვ. 503.

ასირი კი, რომლის ორიგინალური ინფორმაციის წყარო დიდგორის ბრძოლის შესახებ დღემდე უცნობია, ბრძოლის ველიდან გაქცეულთა შორის ასახელებს თოღრულსაც.⁹² ეს ცნობები, ალ-ფარიკისთან შედარებით, ჩვენ უფრო სანდოდ და მისაღებად მიგვაჩნია.⁹³

დღიარ-ბაქრიდან წამოსულმა ილ-ლაზიმ არზრუმი და ყარსი გაიარა და მანგლის-თრიალეთის გზით გაემართა თბილისისკენ. მკვლევართა დასკვნით, ბრძოლა, დავით აღმაშენებლის გადაწყვეტილებით, ქართველთა მიერ საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე, დიდგორთან მოხდა.⁹⁴ ილ-ლაზი შევიდა ვინრო და მოუხერხებელ ადგილზე, სადაც ვერ გაშალა თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქარი. მაგრამ რატომ დაუშვა ასეთი შეცდომა გამოცდილმა სარდალმა? პასუხს ამ კითხვაზე, თითქოსდა, იბნ ალ-კალანისი და იბნ ალ-ადიმი იძლევიან. ისინი მიუთითებენ, რომ თავდაპირველ შეტაკებაში ქართველები დამარცხდნენ და უკუიქცნენ, მაგრამ შემდეგ დადევნებულ მუსლიმებს მიუბრუნდნენ და სძლიეს მათ.⁹⁵ ჩანს, რომ დავითმა გამოიყენა ის ტაქტიკური ხერხი, რომელიც საერთოდ უცხო არ იყო აღმოსავლეთის სამხედრო ხელოვნებაში. დამარცხების იმიტაციით გაათამამა ილ-ლაზი და შეიტყუა იქ, სადაც გენერალური ბრძოლის გამართვა მისთვის უფრო მოსახერხებელი იყო.

დიდგორის ბრძოლის (1121 წ. 12 აგვისტო) ფინალი ცნობილია. მუსლიმთა უდიდესი ნაწილი⁹⁶ ბრძოლის ველზე დაეცა. გადარჩენილებს ქარ-

⁹² Ibn al-Athir, X, გვ. 567.

⁹³ ალ-ფარიკის ცნობას სარწმუნოდ მიიჩნევდა ვ. მინორსკი. იბნ ალ-ასირზე დაყრდნობით ის თვლიდა, რომ თოღრული ვერ შეუერთდა ილ-ლაზის და მისი გეგმები ჩაიშალა იმიტომ, რომ სულთანმა მის წინააღმდეგ გაგზავნა ჯარები. Minorsky. *Caucasica*, გვ. 30, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, იბნ ალ-ასირის თანახმად, კონფლიქტი თოღრულსა და მაჰმუდს შორის მოხდა დიდგორის ომამდე – არა უგვიანეს 1121 წ. მარტისა და მაშინაც საქმე ომამდე არ მისულა. ცხადია, ეს ამბავი ვერ შეუშლიდა ხელს არანის გამგებელს, მონაწილეობა მიეღო კოალიციურ ლაშქრობაში. ასევე მიიჩნევდა შ. მესხიაც (*ძლევაა საკვირველი*, გვ. 99-100). მიუხედავად იმისა, რომ მაჰმუდს კოალიციის ინიციატორად თვლიდა, რ. კიკნაძემ (*XI-XII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან*, გვ. 122-123) გაიზიარა ვ. მინორსკის თვალსაზრისი.

⁹⁴ ავალიშვილი, *ჯვაროსანთა დროიდან*, გვ. 39; ჩხატარაიშვილი. შაიშმელაშვილი, *დიდგორის ბრძოლა*, გვ. 17, 31.

⁹⁵ იბნ ალ-კალანისი. გვ. 326; Ibn al-'Adim, გვ. 200; კუტალია. *ქემალ ად-დინის ცნობა*, გვ. 503.

⁹⁶ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თანახმად, მუსლიმთა ლაშქარი სიმრავლით იყო „ვითარცა ქვიშა[ვ] ზღვსაჲ, რომელთა ვერ იტევდა ქუეყანა“ (*ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 340-341), სომხური და ევროპული წყაროებით კი – 450-600 ათასი (მესხია, *ძლევაა საკვირველი*, გვ. 102-103). თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია 200-300 ათასი (*სინ*, ტ. III, გვ. 239). უფრო მოკრძალებულად გამოიყურება იბნ ალ-

თველებმა დიდ მანძილზე მისდიეს და 4 ათასი კაცი დაატყვევეს. თოღრულმა, ილ-ლაზიმ და დუბაის ბ. სადაკამ (რომელმაც ხალხთან ერთად 300 ათასი დინარის ქონებაც დაკარგა)⁹⁷ გაქცევით უშველეს თავს. ამასთან დაკავში-

ასირის ცნობა, რომ მუსლიმთა ლაშქარი „30 ათასს აღწევდა (الفيل ثلاثين ألفاً/“იაბლულუნა სალასინა’ალფან“, Ibn al-‘Athir, X, გვ. 567). [Addenda: იბნ ალ-ასირის თხზულების ალ-ქამილ ფი თ-თა’რის კრიტიკული ტექსტის გამოცემამდე, მ. დეფრემერიმ თავის ვრცელ ნაშრომში: C. Defrémery. Fragments de géographes et d’historiens Arabes et Persans inédits relatifs aux anciens peuples du Caucase et de la Russie méridionale. – JA, XIII, Juin 1849, გვ. 457-522, შეიტანა ამ ისტორიკოსის ცნობები საქართველოს შესახებ, მის ხელთ არსებული ხელნაწერის საფუძველზე. დიდგორის ბრძოლის აღწერის დროს (გვ. 483) ხელნაწერში ილ-ლაზის ლაშქრის რაოდენობა არასრულად იყო დასახელებული: „ის აღწევდა. . . ათასს“ / „...ثلاثين ألفاً“. ნაკლული ციფრი – „30“ დეფრემერიმ აღადგინა აბუ ლ-ფარაჯ იბნ ალ-‘იბრის ცნობით, რომელიც დაიმონმა სენ-მარტენისა და დ’ოსონის მიხედვით (J.Saint-Martin. *Memoires sur l’Armenie*, t. II, Paris, 1828, გვ. 265 და D’Ohsson, *Voyage d’Abou-el-Cassim*. Paris, 1828, გვ. 166. ასეა იბნ ალ-‘იბრის თხზულების „თა’რის ალ-მუხთასარ აღ-დუვალ“ თანამედროვე გამოცემაშიც (დარ ალ-მასირა, ბაარუთ, თარიღის გარეშე, გვ. 202). ივ. ჯავახიშვილს ეჭვი შეჰქონდა დეფრემერისეულ აღდგენაში („თავდაპირველს იბნ ალ-ასირის დედანში იქნებ 300 000, ან 400 000 აქვს“, *ქართველი ერის ისტორია*, II. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 202, შენ. 4; იხ აგრეთვე შ. მესხია, *ძლევა საკვირველი*, გვ. 103. მაგრამ „30“ კარგად იკითხება იბნ ალ-ასირის თხზულების ერთ-ერთ უძველეს, 1287 წ. ნუსხაში (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი, №373, პაგინაციის გარეშე, 514 წლის ამბები, ქვეთავი: „ისლამის ქვეყნების წინააღმდეგ ქართველთა გამოსვლის მოხსენიება“ და ასეა იბნ ალ-ასირის თხზულების ყველა გამოცემაში. ამდენად სკეპტიციზმი არაბი ისტორიკოსის ცნობისადმი უსაფუძვლოა]. იბნ ალ-კალანისისთვის და იბნ ალ-‘ადიმისთვის კოალიციური ლაშქარი იყო „დიდალი“ (ხალკ ‘აზიმ, ‘ალამ ‘აზიმ), იბნ ალ-ასირისთვის კი „მრავალრიცხოვანი ჯარი“ (‘ასქარ ქასირ) და ეს არც არის გასაკვირი. XI ს-ის მიწურულისა და XII ს-ის პირველი ნახევრის ახლო აღმოსავლეთის სამხედრო ოპერაციებში 15-20 ათასიანი ჯარი მრავალრიცხოვანად ითვლებოდა, 200-300 ათასიანი ლაშქარს კი არაბული წყაროები არ ასახელებენ არცერთ კამპანიაში. 100 ათასი მეომარი მხოლოდ ერთხელ შეუგროვდა ბარქიარუკს (Ibn al-Athir, X, გვ. 306) და ორჯერ – სანჯარს (Ibn al-Athir, X, გვ. 576; XI, გვ. 177; Lambton, *Continuity and Changes*, გვ. 8). თავად ილ-ლაზის 1121 წლამდე ყველაზე დიდი ჯარი – 20-40 ათასი თურქმენი ბალატის ბრძოლაში ჰყავდა. მოგვიანებით, 524/1129-30 წ. იმად აღდინ ზენგის წინააღმდეგ შეყრილმა ართუკიანთა გაერთიანებულმა ძალებმა შეადგინეს დიდძალი ხალხი – 20 ათასამდე თურქმენი (Ibn al-Athir, X, გვ. 664), როგორც ჩანს, 20 ათასი მეომრის გამოყვანა დიარ-ბაქრის თურქმენებიდან სავსებით რეალური იყო. დუბაის ბ. სადაკას საუკეთესო შემთხვევაში შეეძლო შეეკრიბა 10 ათასი ქვეითი და 15 ათასი მხედარი (ა. ჯ. ნაჯი, *ალ-იმარა ალ-მაზიადიია*, ბაღდად, 1970, გვ. 174). რაც შეეხება თოღრულს, მისი შესაძლებლობები უცნობია, მაგრამ მოგვიანებით, არრანისა და აზერბაიჯანის გაცილებით ძლიერ გამგებელს ათაბაგ შამს აღდინ ილ-დენიზს გამოჰყავდა 50 ათასი მეომარი (Ibn al-Athir, XI, გვ. 388; Буниятов. *Государство*, გვ. 50). ეს მონაცემები, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია დიდგორის ომში მუსლიმთა კოალიციის ოდენობის განსაზღვრის დროს.

⁹⁷ Ibn al-‘Adim, გვ. 200; გ. კუტალია, *ქემალ აღ-დინის ცნობა*, გვ. 503.

რებით, კ. ჰილენბრანდი ირონიულად შენიშნავს: „ისლამის მძლე დამცველი, სარწმუნოების ვარსკვლავი, რომელმაც მცირე ხნით ადრე ასეთი დიდება მოუტანა მუსლიმთა საქმეს, ახლა ბედნიერი იყო იმით, რომ დუბაისთან და რამდენიმე მხლებელთან ერთად გაიქცა და შერცხვენილი დაბრუნდა მარდინს“.⁹⁸

დიდგორის ბრძოლამ გადანყვიტა თბილისის ბედი. ალ-ფარიკის ცნობით, 505 წ. ბოლოს, ე.ი. 1122 წ. 10 თებერვლიდან 11 მარტამდე, დავითმა აიღო ქალაქი.⁹⁹ ილ-ლაზის უიღბლო კამპანია და თბილისის დაცემა გახდა ერთ-ერთი ყველაზე უფრო გახმაურებული ამბავი იმდროინდელ ახლო აღმოსავლეთში და აისახა როგორც XII, ისე – XIII-XV საუკუნეების მრავალ არაბულ წყაროში.¹⁰⁰ მუსლიმები, რომლებიც 400 წლის ბატონობის შემდეგ თბილისს თავისად მიიჩნევდნენ, მტკივნეულად განიცდიდნენ მის დაკარგვას და ქალაქის ისევე უკან დაბრუნებაზე ოცნებობდნენ.¹⁰¹

დიდგორთან დავითის გამარჯვების¹⁰² ისტორიული მნიშვნელობა სათა-

⁹⁸ C. Hillenbrand. *The Career*, გვ. 280.

⁹⁹ ეს ცნობა არ არის ალ-ფარიკის თხზულების ვრცელ (Or. 5803) ნუსხაში, საიდანაც შესრულდა ვ. მინორსკის ინგლისური და ე. სიხარულიძის ქართული თარგმანები ილ-ლაზის კამპანიის შესახებ. სამაგიეროდ, ის შესულია მეორე, უფრო მოკლე ხელნაწერში (Or. 6310). გ. წერეთელი. *არაბული ქრესტომათია*. თბ., 1949, გვ. 70-71.

¹⁰⁰ იბნ ალ-კალანისი, გვ. 326; ალ-‘აზიმი – C. Cahen. *La Chroniques*, გვ. 388; C. Cahen. *Une chronique syrienne du V^e/XII^e siècle: “Le Bustan al-Jami”* – *BÉO*, Années 1937-1938, t. VII-VII, Damas, 1938, გვ. 118-119; ალ-ფარიკი (სიხარულიძე. *ალ-ფარიკი საქართველოში*, გვ. 87-89; Ibn al-Athir, X, გვ. 567-568; Ibn al-‘Adim, გვ. 200 (კუტალია, *ქემალ ად-დინის ცნობა*, გვ. 503); სიბტ იბნ ალ-ჯაუზი, VIII, გვ. 101 (ცეტიშვილი, *სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა*, გვ. 205); Мухаммад ал-Хамави. *Ta’riḥ al-Manṣuri (Мансурова хроника)*. Издание текста, предисловие и указатели П. А. Грязневича, М., 1960, გვ. 162; *აკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*. ნაკვ. I, არაბული ტექსტი, ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ. თბ., 1964, გვ. 40; იბნ ალ-‘იბრი. *თა’რიხ მუხთასარ ად-დუვალ*. ბადრუთ (თარიღის გრემე), გვ. 202; Abu-l-Fida’. *Al-Mukhtasar fi akhbar al-bashar*, II, Cairo (თარიღის გრემე), გვ. 232; Al-Dahabi. *Kitab al-‘ibar fi khabar man gabar*, IV, Ed. by Salah al-din Munajjid. Kuwait, 1983, გვ. 31; ალ-‘ანი, გვ. 311ბ (იბნ ალ-ასირის მიხედვით), გვ. 321ბ (სიბტ იბნ ალ-ჯაუზის მიხედვით); იბნ თალრი ბირდი, V, გვ. 104; იბნ ხალდუნი, V, გვ. 104-105 და სხვ. გარდა არაბულისა, აღსანიშნავია XIII ს-ში სირიულ ენაზე შედგენილი ანონიმური ქრონიკაც: *The First and Second Crusades*, გვ. 89 (ეს უკანასკნელი, ისევე როგორც იბნ ალ-კალანისისა და ალ-‘აზიმის თხზულებები, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ ყოფილა გათვალისწინებული). სომხური და ევროპული წყაროების შესახებ იხ. მესხია. *ძლევაი საკვირველი*, გვ. 6-7, 11.

¹⁰¹ იხ. გ. ჯაფარიძე. მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით VIII-XIV საუკუნეებში. – *მაცნე* (ელს), №1, 1990, გვ. 171, შენ. 117.

¹⁰² ამ გამარჯვებით დავით აღმაშენებლის სახელი ფართოდ გახდა ცნობილი მუსლიმურ აღმოსავლეთში. არაბულ წყაროებში აისახა მისი მოღვაწეობის სხვადასხვა მხარე და გარდაცვალება. აღნიშნულია, რომ დავითი იყო ის მეფე, რომელმაც დაიპყრო თბილისი. C. Cahen. *Une Chronique Syriene*, გვ. 118.

ნადოდ არის შეფასებული ქართველ მკვლევართა მიერ და ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რაც შეეხება ილ-ლაზის, მარცხი მძიმე დარტყმა იყო მისი პატივმოყვარეობისა და გეგმებისათვის. ართუკიანის მოღვაწეობის არეალად ისევ დიარ-ბაქრი და ჩრდილოეთი სირია დარჩა, მაგრამ მისი პოზიციები აქაც შეირყა. ჰალაბში ადგილობრივი ძალების ნაქეზებით აჯანყდა მისი ვაჟიშვილი სულაიმანი. მართალია, ილ-ლაზიმ სწრაფად აღადგინა თავისი ძალაუფლება ამ ქალაქში, მაგრამ სხვა რაიმე მნიშვნელოვანი სამხედრო აქტივობა აღარ გამოუჩინია. ეს არც არის გასაკვირი. მან დაკარგა ბრძოლისუნარიან თურქმენთა დიდი ნაწილი. გარდა ამისა, დიდგორის ბრძოლაში თავში დაჭრილი დასნეულდა კიდევაც.¹⁰³ სიკვდილმა მას დაახლოებით 60 წლის ასაკში, მაიაფარიკინის მახლობლად, 1122 წლის ნოემბერში უწია.¹⁰⁴

ილ-ლაზის სამფლობელო მისმა ორმა ვაჟიშვილმა გაიყო. ჰალაბი და მარდინი თემურთაშმა იგდო ხელთ, მაიაფარიკინი კი – სულაიმანმა. ეს უკანასკნელი 1124 წ. გარდაიცვალა და თემურთაშმა დაიკავა მაიაფარიკინიც, მაგრამ იძულებული გახდა, სამუდამოდ დაეთმო ჰალაბი. მას არ გამოჰყვა მამის ენერგია და აგრესიულობა. ეს ილ-ლაზის შეეძლო, ემოქმედა ვრცელ ტერიტორიებზე: პალესტინიდან – ერაყამდე და სირიიდან – საქართველომდე, თემურთაშის ინტერესები კი არ სცილდებოდა დიარ-ბაქრს. მაგრამ მას აქაც სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა თავისი ბიძაშვილის ჰისნ ქაიფას მფლობელის, დაუდ ბ. სუქმანის სახით. ადრე დაუდი ილ-ლაზის უზენაესობას აღიარებდა და მის ჩრდილში იყო, მაგრამ 1122 წლის შემდეგ გააქტიურდა. მან ხელთ იგდო 1124 წ. დაღუპული ენერგიული ართუკიანის ბალაქ ბ. ბაჰრამის სამფლობელო ჰანძითში¹⁰⁵ და მისი მთავარი ქალაქი ხარპუტი, შემდეგ კი გააფართოვა თავისი საამირო ვანის ტბის მიმართულებით.

დაუდს, ილ-ლაზის მსგავსად, დიდი გავლენა ჰქონდა თურქმენებზე.¹⁰⁶ მათე ურჰაელის თანახმად, სომხური ერით 574, ანუ 1125 წ. 18 თებერვლიდან 1126 წ. 17 თებერვლამდე, ე.ი. დემეტრე I-ის ზეობის პირველსავე წელს, დაუდმა ხლათის გამგებელ იბრაჰიმ ბ. სუქმანთან და სხვა მუსლიმ ამირებ-

¹⁰³ ავალიშვილი. *ჯვაროსანთა დროიდან*, გვ. 466; იბნ თაღრი ბირდი, V, გვ. 223; *The First and Second Crusades*, გვ. 89.

¹⁰⁴ C. Cahen. *Le Diyar Bakr*, გვ. 240; Süsseim. *Il-Ghazi*, გვ. 1119. ილ-ლაზის ცხედარი დაკრძალეს მაიაფარიკინში (იბნ ალ-კალანისი, გვ. 330-31), სადაც დაასაფლავეს, აგრეთვე, 1135 წ. მოკლული დუბაის ბ. სადაკაც [Addenda: ილ-ლაზის სიკვდილის დეტალების შესახებ იხ. გ. ჯაფარიძე. ილ-ლაზი, კაცი დაჰმანი და მრავალღონე. – *გაზ. ერი*. 14.VIII.1991].

¹⁰⁵ ილ-ლაზის უშუალო მემკვიდრეების მოღვაწეობის შესახებ იხ. C. Hillenbrand. *The Establishment of Artuqid Power in Diyar Bakr in the Twelfth Century.* – *SI*, 1981, vol. 54, გვ. 129-153.

¹⁰⁶ C. Hillenbrand. *The Establishment of Artuqid Power*, გვ. 142.

თან ერთად ილაშქრა საქართველოზე¹⁰⁷, მაგრამ მარცხი განიცადა¹⁰⁸ და ართუკიანთა რევანში არ შედგა. 1127 წლიდან მოსულის ათაბაგის იმად ად-დინ ზენგის მუქარამ აიძულა როგორც დაუდი, ისე – თემურთაში, მთელი ყურადღება დიარ-ბაქრზე გადაეტანათ. ამის შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე ართუკიანები გაქრნენ საქართველოს ისტორიის თვალსაწიერიდან.

NAJM AL-DIN ILGHAZI

The paper deals with the activities of Najm al-Din Ilghazi (d. in 1122), the chief of the Turkoman Artukid dynasty, ruler of the sizeable part of Diyar Bakr (in northern Mesopotamia) and Halab (northern Syria). Najm al-Din Ilghazi's campaign against Georgia, which ended in the rout of the Muslims in the Didgori battle, near Tbilisi on 12 August 1121, is discussed.

¹⁰⁷ Matthieu d'Édesse. *Chronique*. Tr. E. Dulaurier, 1858, გვ. 146; მათეოს ურჰაელი. *ქრონოგრაფია*. ერევანი, 1973, გვ. 244-245, 341 (სომხურ ენაზე). ცნობა სომხური გამოცემიდან გვითარგმნა და მოგვანოდა კ. კუციამ [იხ. აგრეთვე *Armenia and the Crusades. Tenth to Twelfth Centuries. The Chronicle of Matthew of Edessa*. Translated from the Original Armenian with a Commentary and Introduction by Ada Edmond Dostourian. Forwarded by Krikor H. Maksoudian. University Press of America. Lanham-New York-London. 1993, გვ. 236].

¹⁰⁸ ამ ცნობას პირველად ყურადღება მიაქცია მ. ბროსემ (M. Brosset, *Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469 de J.-C.* St. Pbg, 1851, გვ. 231), მაგრამ შემდეგ, რატომღაც, მივიწყეს ქართულ ისტორიოგრაფიაში. მას ჩვეულებრივ იმონებენ ართუკიანთა ისტორიის მკვლევრები. C. Cahen, *Le Diyar Bakr*, გვ. 242; მისივე, *Artukids*, გვ. 664; C. Hillenbrand. *Establishment*, გვ. 143.

დიპლომატია 1123 წლის შარვანის კონფლიქტის დროს*

1123 წლის მაისში შარვანში ერთმანეთს დაუპირისპირდა ერაყის სელჩუკთა სასულტნო და საქართველოს სამეფო.¹ ინიციატივა სელჩუკებმა გამოიჩინეს. სულთანი მაჰმუდ ბ. მუჰამადი (1118-1131) შარვანში შეიჭრა, აიღო ქ. შემახია და დაატყვევა შარვან-შაჰი. საბაბად მან გამოიყენა თბილისელ მუსლიმთა და შარვან-დარუბანდის ანტიქართული მუსლიმური წრეების ჩივილი და ქართველთა წინააღმდეგ შემწეობა-დახმარების თხოვნა. მისი უახლოესი მიზანი იყო შარვანზე მზარდი ქართული პოლიტიკური გავლენის აღკვეთა, საბოლოო კი – საქართველოზე ლაშქრობა.

დავით IV დაუყოვნებლივ დაიძრა შარვანისკენ. გზად მან გაანადგურა სულთნის დასახმარებლად წამოსული მარალის მფლობელი ამირა აყ-სონყურ აღ-აჰმადილის (აღსუნღულის) 4-ათასიანი რაზმი და მიადგა შემახიას, სადაც მაჰმუდი იყო გამაგრებული. სამწუხაროდ, ყივჩაღებთან უთანხმოებამ საშუალება არ მისცა მეფეს, ბრძოლის ველზე დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა. სულთანმა თავი აარიდა ბრძოლას და უკუიქცა, ხოლო დავითს აღარ უცდია გაემწვავებინა კონფლიქტი.

1123 წლის მაისში ქართველებისა და თურქ-სელჩუკების

* პირველად დაიბეჭდა 2000 წ. – *ქართული დიპლომატია*. წელიწდეული, 7, თბ., გვ. 257-263.

¹ ამ საკითხზე ვრცელი ლიტერატურა არსებობს. იხ. ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, II, თბ., 1965, გვ. 206; ნ. ასათიანი, *საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში* (წერილი I. XII საუკუნის პირველი ნახევარი). – *თსუ შრომები*, ტ. 125, XII, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, თბ., 1963, გვ. 32-39; ჯ. სტეფანაძე, *საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში*, თბ., გვ. 1974, 83-84; პ. თოფურია, *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII სს-ში*, თბ., 1975, გვ. 210, 220; მ. ლორთქიფანიძე, *საქართველო შარვანის ურთიერთობა 1123 წელს*. – *სინ*, ტ. II, თბ., 1979, გვ. 241-244; რ. მეტრეველი, *დავით აღმაშენებელი*, თბ., 1986, გვ. 220-221; В. Минорский, *История Ширвана и Дербенда X-XI веков*, М., 1963, გვ. 177; М. Лордкипანიძე, *История Грузии XI – начала XIII века*, Тб., 1974, გვ. 107-108; З. М. Буниятов, *Государство атабеков Азербайджана (1136-1225)*, Баку, 1978, გვ. 149-150; С. Ашурбеილი, *Государство Ширванишахов (VI-XVI вв.)*, Баку, 1983, გვ. 129-131.

დაპირისპირება მეტოქეთა დიპლომატიური დემარშებით შემოიფარგლა. დღემდე ამის თაობაზე მსჯელობა მხოლოდ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობების საფუძველზე შეიძლება.

ქართველი მემატიანის თანახმად, სულთანმა შემახიას ალების შემდეგ დავითთან თავისი მოციქული წარგზავნა და „*მიუწერა წიგნი*“ – თანამედროვე დიპლომატიურ ენაზე რომ ვთქვათ, ნოტა:

„შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა; ხოლო მე ესე-რა შარვანმა შევიპყარ ჴელთა და ხარაჯასა ჩემსა ვითხოვ; შენ თუ გენებოს, ძლუენი ჯეროვანი გამოგზავნე და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახე.“²

დავითისადმი ერაყის სელჩუკთა სულთნის მიმართვის ტონი დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი იყო. ასევე დამამცირებელი და სრულიად მიუღებელი – მისი წინადადება, რომ მეფეს მისთვის *ძლუენი ჯეროვანი* მიერთმია. მაჰმუდი ძალისმიერი პოზიციიდან ცდილობდა დავით IV-ზე ზეგავლენის მოხდენას. მაგრამ სულთნის წერილმა მეფეზე სელჩუკებისთვის სასურველი ეფექტი ვერ მოახდინა. ამაზე მეტყველებდა დავითის მიერ თავისი სამხედრო ძალის დემონსტრირება. ამასთან, ისიც საფიქრებელია, რომ საქართველოს სამეფო კარი მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდებოდა და სულთნის ნოტას ნოტითვე უპასუხებდა.

ეს ვარაუდი დაგვიდასტურა XII ს-ის შუა ხანების არაბი ისტორიკოსის მუჰამად იბნ ‘ალი იბნ მუჰამად იბნ ალ-‘იმრანის თხზულებამ: *ალ-ინაბა ‘ფი თა’რიხ ალ-ხულაფა* („ცნობები ხალიფების ისტორიიდან“), რომელიც 1973 წ. ლეიდენში გამოსცა კასიმ ას-სამმარაიმ.³

იბნ ალ-‘იმრანიმ დააფიქსირა სულთან მუჰამადის ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ და მისი შეჭრა შარვანში, რასაც შედეგად მოჰყვა სელჩუკთა წინააღმდეგ ქართველთა გამოსვლა. ამ ამბავს არაბი ისტორიკოსი ჰიჯრის 516 წლით ათარილებს, რაც რამდენადმე არაზუსტია.

² *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, გვ. 343.

³ Ibn al-‘Imrani. *Al-Inaba ‘fi Ta’rikh al-Khulafa*. Ed. by Qasim al-Samarrai, Leiden, 1973. ეს თხზულება იწყება მოციქულ მუჰამადის ცხოვრებით და მთავრდება ხალიფა ალ-მუსტანჯიდის ზეობით 560/1164-5 წ. მასალა დალაგებულია ხალიფების ზეობის წლების მიხედვით. თავად იბნ ალ-‘იმრანის შესახებ მცირე რამაა ცნობილი. ვიცით, რომ იყო სამართლისმცოდნეც (*ფაკიჰი*), ცხოვრობდა აბასიანი ხალიფას – ალ-მუსტანჯიდის (1160-1172) დროს და ჯერ კიდევ ცოცხალი – 560/1164-5 წ. ამ დროს ის არ იმყოფებოდა ერაყში. იბნ ალ-‘იმრანის თხზულების გამოცემის არაბულ გარეკანზე მითითებულია, რომ ის გარდაიცვალა, დაახლ., 580 წ., ე.ი., 1184-85 წ. მაგრამ გამოცემის შესავალში, რომელიც გამოკვლევას წარმოადგენს, ამის შესახებ კასიმ ალ-სამარაი არაფერს წერს.

516 წელს, რომელიც მოიცავს პერიოდს 1122 წლის 12 მარტიდან 1123 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, ერაყის სელჩუკთა სულთანი აპირებდა ამ ლაშქრობის დაწყებას, მაგრამ ის გადაიდო იმის გამო, რომ 1122 წლის ნოემბერში თავრიზის კარებთან მოკლეს მისი მხედართმთავარი ჯუიუშ-ბეგი.⁴ მუჰამადი შარვანში მხოლოდ ჰიჯრის მომდევნო 517 წელს, სახელდობრ, 1123 წლის მაისში შეიჭრა.

იბნ ალ-‘იმრანი სხვა უზუსტობასაც უშვებს. ქართველთა მეფედ ამ დროს დემეტრეს ასახელებს. არაბი ავტორი, რომელიც დემეტრეს, როგორც მეფის, თანამედროვე იყო, ამას, ცხადია, რეტროსპექტულად აკეთებს.

იბნ ალ-‘იმრანის თანახმად, შარვანზე დაძრულ ქართველთა ლაშქარს სწორედ დემეტრე ხელმძღვანელობდა. მართალია, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 1123 წლის შარვანის კონფლიქტში დემეტრეს მონაწილეობას არ იხსენიებს, მაგრამ ეს სავსებით დასაშვებია. დემეტრეს, ამ დროს, უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონდა შარვანის საქმეებში და მეფეს თავისუფლად შეეძლო, წარეგზავნა თავისი მემკვიდრე შარვანში ქართველთა ლაშქრის ავანგარდის სათავეში.

იბნ ალ-‘იმრანის ცნობითვე, სწორედ დემეტრემ გაუგზავნა წერილი (ნოტა) ერაყის სელჩუკთა სულთანს. მაგრამ, სჯობს, მოვუსმინოთ თავად არაბ ისტორიკოსს. ქართველთა მიერ თბილისის დაპყრობის შემდეგ, 516 წელს:

„სულთანი მაჰმუდი თავის ვაზირთან – შამს ალ-მულქ იბნ ნიზამ ალ-მულქთან⁵ ერთად მის [თბილისის] გასათავისუფლებლად წავიდა [და როცა] შარვანს მივიდა, ვერა გააწყო რამე [შარვანელთა წინააღმდეგ]. და გამოვიდა ქართველთა (ალ-ქურჯ) მეფე (მალიქ) დემეტრე ძე დავითისა (დომიტრი იბნ დავუდ) რამდენიმე მარჰალაზე,⁶ გაუგზავნა მას [მუჰამადს] მოციქული და შეუთვალა: გავიგე შენს შესახებ, ასე გითქვამს: „წავალ და მოვთხრი დავითის სახლს“ (ბათ დავუდ). დავითის ძე უკვე გამოვიდა შენსკენ 50 ფარსახზე⁷ და თუ კაცი ხარ, გამოდი მისკენ 5 ფარსახზე. შენ რომ არ იყო ტახტისა და გვირგვინის მფლობელი

⁴ გ. ჯაფარიძე. *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, თბ., 1995, გვ. 53.

⁵ შამს ალ-მულქ ‘უსმანი იყო დიდ სელჩუკთა სულტნების ალფ არსლანისა და მალიქ-შაჰის სახელგანთქმული ვეზირის – ნიზამ ალ-მულქის (მოკლეს 1092 წ.) ერთ-ერთი ვაჟი.

⁶ მარჰალა შუა საუკუნეების ისლამურ სამყაროში იყო მანძილი, რომელიც მოგზაურს შეეძლო დაეფარა ერთ დღეში. დასაფარი ტერიტორიის თავისებურებების გამო მარჰალას ზომა ცვალებადი იყო დაშეადგენდა 6-7, ზოგჯერ 8 ფარსახსაც (Marhala. – *EP*, vol. VI, გვ. 558-559).

⁷ ფარსახი საშუალოდ იყო 6 კმ.

– ჩვენი ადათები კი მოითხოვს მეფეთა პატივის დაცვას – შემოგიტევდი და დაგატყვევებდი. ნადი შენი პატივით და თავად ნურას იტყვი ამის შემდეგ ჩემს განზრახვაზე“.⁸

დემეტრეს ნოტიდან კარგად ჩანს, რომ მას სწამს თავისი ძალისა, მოქმედებს მაჰმუდის თავმოყვარეობაზე, ემუქრება სულთანს და, ამავე დროს, აძლევს შანსს, უომრად გაეცალოს ქართველებს. ის საყურადღებო დეტალებს შეიცავს მაჰმუდის მუქარის თაობაზე (ნავალ და მოვთხრი დავითის სახლს), ქართველთა ადათზე, პატივი მიეგოთ ომში მეტოქე გვირგვინოსნისათვის. მიმონერის მსგავსი ნიმუშის მოძიება ალბათ გაჭირდება დიპლომატიის ისტორიაში. სამწუხაროა, რომ ტექსტი ამ წერილისა არ შემოგვინახა ქართულმა წყარომ, ისევე, როგორც არც აღმოსავლურ წყაროებშია დაცული მაჰმუდის წერილი დავითისადმი.

დემეტრე, ისევე, როგორც მაჰმუდი, ძალისმიერი პოზიციიდან გამოდიოდა, მაგრამ სულთნისგან განსხვავებით, დემეტრეს ქადილის ძალა შესწევდა. აღმავლობის გზაზე მდგომი საქართველოს სამხედრო პოტენციალი, ამ დროს, ერაყის სელჩუკთა სასულტნოს არათუ ჩამოუვარდებოდა, არამედ აღემატებოდა კიდევ.

სულთანმა მაჰმუდმა მალე გააცნობიერა, თურა საფრთხე ემუქრებოდა. ის შემახიაში გამაგრდა და ქართველებთან ურთიერთობის ქედმაღლური ტონი შეცვალა, ხვეწნა-მუდარაზე გადავიდა:

„მაშინ სულტანმან მრავალთა მიერ ვედრებათა და ძლუნთა და მუდართათა შეთულისობათა, ვითარცა მონამან ჭირვეულმან, არღა ძლუნნი ანუ ომნი ითხოვნა, არამედ გზა სამლტოლვარო, ფრიად რამე სიმდაბლით და არა სულტანურად, შეინრებულმან შიმშილითა და წყურილითა მრავალ დღე“.⁹

საბოლოოდ მაჰმუდი გაიპარა კიდევ შემახიდან („მასვე ლამესა გაიპარა, და სასდუნით მეოტი სხვთ გზით წარვიდა სოფლად თვსად“¹⁰).

⁸ იბნ ალ-‘იმრანი, 214.

⁹ ქართლის ცხოვრება, 344.

¹⁰ იქვე. უნდა აღინიშნოს, რომ შარვანიდან უკუქცეულმა სულთანმა მაჰმუდმა 517 წ. რაბი’ I-ის ბოლოს/ 1123 წლის მაისში თავისი ვეზირი შამს ალ-მულქი სიკვდილით დასაჯა ბაილაკანში. არაბი ავტორები სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ. იბნ ალ-ასირის თანახმად, როცა ქართველთა ლაშქარი დაიძრა სულთნისკენ, ვეზირმა ურჩია მას შეეწყვიტა ომი ქართველებთან და უკან დაბრუნებულიყო. ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის ვერსიით, სულთანმა შამს ალ-მულქს დააბრალა შარვანის თავზე დატეხილი უბედურებები. იხ. ქითაბ თა’რიხ დავლა ალ სალჯუქ მინ ინშა’ ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი, იხთისარ ალ-ფათჰ ბ. ‘ალი ბ. მუჰამმად ალ-ბუნდარი ალ-ისფაჰანი. მისრ, 1318/1900, გვ. 40; Ibn al-Athir. *Al-Kamil fi’l-ta’rikh*. vol. X. Editeurs Dar Sader, Dar Beyrouth. Beyrouth, 1966, გვ. 614;

არაბი ისტორიკოსები 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი (რომლის თხზულება შეამოკლა ალ-ბუნდარიმ) და იბნ ალ-ასირი ცდილობენ, რომ შარვანის კონფლიქტში სულთანი მაჰმუდი გამარჯვებულად წარმოადგინონ, მაგრამ ისინი ტენდენციურნი არიან.¹¹ იბნ ალ-'იმრანის ცნობაც იმაზე მიუთითებს, რომ სულთანმა თავი აარიდა ბრძოლას. სულ მალე, იმავე წლის ივნისში, დავით IV შეიჭრა შარვანში, „აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა“ და „მოირთო შარვანი“. ამით ბრძოლა შარვანისათვის საქართველოს სამეფოსა და ერაცის სელჩუკთა სასულტნოს შორის, ამჯერად ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე, სამხედრო ძალის საფუძველზე, საქართველოს გამარჯვებით დასრულდა.

DIPLOMACY DURING THE 1123 SHIRWAN CONFLICT

The paper deals with the diplomatic demarches of the Georgian Royal Court and Iraq's Saljuq Sultan Mahmud b. Muhammad (1118-1131) during the confrontation of the two sides in Shirwan in May 1123. The letter of Demetre, son of David the Builder (1089-1125), preserved in *Al-Inba' fi Ta'rikh al-Khulafa' of the 12th century* Arab historian Ibn al-'Imran (ed. by Qasim al-Samarrai, Leiden, 1973, p. 214), has been translated into Georgian and studied for the first time.

The Chronicle of Ibn al-Athir for Crusading Period from al-Kamil fi'l-ta'rikh. Part I. The Years 491-541/1097-1146. The coming of the Franks and the Muslim Response. Translated by D. S. Richards, Ashgate, 2006, გვ. 247; В. Минорский. *История Ширвана и Дербенда*, გვ. 177; З. М. Бунятов. *Государство атабеков*, გვ. 150.

¹¹ გ.ჯავახიძე. *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, გვ. 53.

რამდენიმე ეპიზოდი დემეტრე I-ის ზეობის ხანიდან არაბულ ისტორიულ წყაროებში*

ქართული ისტორიული წყაროები სიტყვაძუნწები არიან დემეტრე I-ის (1125-1156) მოღვაწეობის შესახებ. მეფეს ან არ ჰყავდა თავისი მემკვიდრე, ანდა მის თხოვრებას არ მოუღწევია ჩვენამდე. ამის გამო, ცხადია, არ შეიძლება ინტერესს არ ინვესტავს ის ცნობები, რომლებიც დემეტრე I-ის დროინდელი საქართველოს შესახებ უცხოელ ავტორებს შემოუნახავთ. ამ ავტორთაგან ამჯერად გვსურს გამოვყოთ და წარმოვადგინოთ ორი არაბი ისტორიკოსი ალ-‘აზიმი და ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი.

პირველი ისტორიკოსი მუჰამმად ბ. ‘ალი ბ. მუჰამმად აბუ ‘აბდ ალლაჰ ათ-თანუხი, რომელიც ცნობილია ალ-‘აზიმის ნისბით, დაიბადა 483/1090 წ. და გარდაიცვალა 556/1161 წ. ჰალაბში¹ (სირია). ის ეკუთვნოდა ათ-თანუხის დიდი საგვარეულოს ერთ-ერთ შტოს, რომელიც ამ ქალაქში დამკვიდრდა. ალ-‘აზიმის თხოვრებებიდან ჩვენამდე მოაღწია² მხოლოდ ერთმა – თა’რიხ ალ-‘აზიმი („ალ-‘აზიმის ისტორია“), რომელიც წარმოადგენს მსოფლიოს მოკლე ისტორიას. მასში ამბები – სამყაროს შექმნიდან 538/1143-44 წლამდე³ – დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით, წლების მიხედვით, და აქცენტი გადატანილია სირიაზე.

თა’რიხ ალ-‘აზიმის ერთადერთი ნუსხა, რომელიც გადაწერილია 633/1235-36 წ., დაცულია სტამბოლში, უმუმის ბიბლიოთეკაში. მისი ერთი ნაწილი, რომელიც 1063-1143-44 წლების ამბებს მოიცავს, 1938 წ. გამოსცა ცნობილმა ფრანგმა ორიენტალისტმა კლოდ კაენმა.⁴

* პირველად დაიბეჭდა 1992 წ. – *მაცნე* (იანუხის), №2, გვ. 117-125.

¹ ალ-‘აზიმის ბიოგრაფიის შესახებ იხ. C. Cahen, *La chronique abregee de d’al-‘Azimi*. – *JA*, t. 230, 1938, გვ. 353-356; მისივე, *al-‘Azimi*. – *EI*², vol. I, გვ. 823.

² დაიკარგა ალ-‘აზიმის ორი თხოვრება: *სირათ ალ-ფარანჯ* („ფრანგთა ცხოვრება“) და *თაზილ ‘ალა თა’რიხ ალ-კალანისი* („ალ-კალანისის ისტორიის დამატება“) – უ.რ. ქაჰჰალა. *მუჯამ ალ-მუ’ალლიფინა*, XI, ბაირუთ (თარიღის გარეშე), გვ. 42. ალ-‘აზიმის „თაზილ“ შემდგომ საფუძვლად დაედო იბნ ალ-‘ადიმის (XIII ს.) „ჰალაბის ისტორიას“.

³ C. Cahen. *la chronique...*, გვ. 355.

⁴ იქვე, გვ. 357-423 (არაბ. ტექსტი), 425-448 (შენიშვნები).

მეორე ისტორიკოსი – აბუ ‘აბდ ალლაჰ მუჰამმად ბ. მუჰამმად ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი დაიბადა 1125 წ. ისფაჰანში და გარდაიცვალა 1201 წ. დამასკოში.⁵ სიჭაბუკის წლები მან გაატარა ისფაჰანში, შემდეგ მსახურობდა ბაღდადში აბასიან ხალიფასთან და ეგვიპტეში, სულთან სალაჰ ად-დინის (1171-1193) კარზე. მას ეკუთვნის მრავალი ნაშრომი,⁶ მათ შორის, *ნუსრათ ალ-ფათრა ვა ‘უსრათ ალ-ფითრა* („დახმარება სიძაბუნისათვის და ქმნილებათა თავშესაფარი“), რომელიც ამჟამად ჩვენ გვინტერესებს. ეს ნაშრომი წარმოადგენს გადამუშავებულს და 1194 წლამდე გავრცობილ არაბულ თარგმანს შარაფ ად-დინ ქაშანის (გარდ. 533/1138-39 წ.) მიერ სპარსულ ენაზე დანერილი თხზულებისა *ფუტურ ზამან ას-სუდურ ვა სუდურ ზამან ალ-ფუტურ* („დაცემა ვეზირთა ხანისა და ვეზირები დაცემის ხანისა“), რომელიც მოიცავდა სელჩუკთა ისტორიას 1072-1134 წლებში.⁷

იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის *ნუსრათ ალ-ფათრას* ერთადერთი ნუსხა დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (N^o772) და დღემდე გამოცემული არ არის.⁸ მაგრამ ის ხელმისაწვდომია ალ-ფათჰ ბ. ‘ალი ბ.

⁵H. Masse. ‘Imad al-Din Muhammad b. Muhammad al-Katib al-Isfahani, *EI*², vol. III, გვ. 1157-1158.

⁶მაგალითად, XII ს-ის არაბ პოეტთა ანთოლოგია, რომელშიც უხვადაა წარმოდგენილი ისტორიული რეალიები (ალ-ისფაჰანი, ‘იმად ად-დინ. *ხარიდათ ალ-კასრ ფი ჯარიდათ ალ-‘ასრ*. ალ-კაჰირა, 1951; ბაღდადი, 1955; დიმაშკ, თარიღის გარეშე; თუნის, 1966), სალაჰ ად-დინისადმი მიძღვნილი ორი ისტორიული ნაშრომი (*ქითაბ ალ-ფათჰ ალ-კუსი ფი ფათჰ ალ-კუდსი* - ‘Imad ed-din el Katib el-Isfahani, *Conquête de la Syrie et de la Palestine par Salah ed-din*, publié... par C. de Landberg. Text Arabe, I, Leyde, 1888 და *ქითაბ ალ-ბარკ აშ-შამი*, რომელიც შემოინახა ალ-ბუნდარის მიერ შემოკლებული ვერსიით: *Sana al-bark al-Shami* pt. I, ed. R. Şeşen (თარიღის გარეშე) და *ქითაბ ალ-ბარკ აშ-შამი*, ალ-კაჰირა, 1979), ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის მიერ არის შედგენილი სალაჰ ად-დინისადმი თამარის „ფიცის წიგნი“, რომელიც მცირე ხნის წინათ გახდა ცნობილი. იხ. მ. თოდუა. ორი წერილი (თამარ მეფის წერილი სალაჰ ად-დინისადმი). – *ჟურნ. საუნჯე*, 1975, 4, გვ. 225-228; მისივე. *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, თბ., 1979, გვ. 26-27, 74-82 [ჯ. გიუნაშვილი [რეც]. აბუ ბაქრ იბნ ალ-ზაქი ყუნავი. „მწერალთა ბაღნარი“, ტექსტი დაადგინა და კომენტარები დაურთო მ. იუნესიმ. თავრიზი, 1970. – *მაცნე* (ელს), 1975, 2, გვ. 163-165; თ. ნატროშვილი. გ. ჯაფარიძე. თამარის „ფიცის წიგნის“ შესახებ. – *გაზ. ლს*, 22. I. 1982; გ. ჯაფარიძე. *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*. თბ., 1995, გვ. 129-134.]

⁷ ამ თხზულების შესახებ იხ. В. В. Бартольд. Туркестан в эпоху монгольского нашествия. – В. В. Бартольд. *Сочинения*, т. I, М., 1963, გვ. 74; 3. М. Бунятов. *Государство атабеков Азербайджана*. Баку, 1978, გვ. 9; ნ. შენგელია. *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*. თბ., 1968, გვ. 10-11.

⁸ ამ ნუსხას გამოსაცემად ამზადებდა მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წერილობითი ძეგლების განყოფილების გამგე გ. კურპალიდისი, მაგრამ ის საცხოვრებლად გადასახლდა საბერძნეთში და მისი ამ შრომის შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია.

მუჰამმად კივამ ად-დინ ალ-ისფაჰანი ალ-ბუნდარის (გარდ. 1245 წ.) მიერ 623/1226 წ. შედგენილი ამ თხზულების შემოკლებული ვერსიით – ზუბდათ ან-ნუსრა ვა ნუხბათ ალ-‘უსრა („ნაღები „დახმარებისა“ და რჩეული „თავშესაფრისა“).⁹ გარკვეულია, რომ ალ-ბუნდარის მიერ შემოკლებული ეს ვერსია, ძირითადი ისტორიული ფაქტების გადმოცემისას, ზუსტად მისდევს ‘იმად ად-დინის თხზულებას და შემოკლებები ეხება მხოლოდ უმნიშვნელო ამბებს.¹⁰ ამრიგად, გვაქვს უფლება, რომ ‘იმად ად-დინის ნუსრათ ალ-ფათრას შესახებ ვიმსჯელოთ ალ-ბუნდარის ზუბდათ ან-ნუსრას მიხედვით.

ალ-ბუნდარის ზუბდათ ან-ნუსრა 1889 წ. პირველად გამოსცა მ. ჰუტსმამ.¹¹ 1900 წ. ეს ნაშრომი სხვა სათაურით: ქითაბ თა’რიხ დავლა ალ სალჯუკ („სელჩუკთა საგვარეულოს სახელმწიფოს ისტორიის წიგნი“) ხელახლა დაიბეჭდა კაიროში.¹²

ახლა შევეხებით იმ მასალებს დემეტრე I-ის ზეობის ხანიდან, რომლებიც დაცულია ალ-‘აზიმისა და ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის¹³ ზემოდასახელებულ თხზულებებში.

⁹ В. В. Бартольд. *Туркестан*, გვ. 74; Ч. А. Стори. *Персидская литература*, ч. II, М., 1972, გვ. 746; ნ. შენგელია. *სელჩუკები და საქართველო*, გვ. 10-11.

¹⁰ В. Розен. *Арабские сказания о поражении Романа Диогена Алп-Арсланом*. II. Имад ад-дин Испаганский. – *ЗВОИРАО*. III, СПб, 1887, გვ. 190; ნ. შენგელია. *სელჩუკები და საქართველო*, გვ. 11.

¹¹ Recueil de textes relatifs à l’histoire des Seljoucides. II. Histoire de Seljoucides de l’Iraq par al-Bondari d’après ‘Imad ad-din al-Katib al-Isfahani. Texte arabe publié ... par M. Th. Houtsma, Leide, 1889. ამ გამოცემიდან არის შესრულებული თხზულების თურქული თარგმანი: Iraq ve Horasan Selçüklulari Tarihi ‘Imad ad-din al-katib al-Isfahanini al-Bondari tarafından ihtisar Edilen Zubdat al-Nusra ve Nuhbat al-‘Usra adli Kitabinin tercümesi. M.Th. Houtsma tarafından 1889 da Leiden’de nesredilen metindan tülrkçeye çevirem Kivameddin Burslan. Istanbul, 1943.

¹² ქითაბ თა’რიხ დავლა ალ სალჯუკ მინ ინშა’ ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი, იხთისარ აშ-შაიხ ალ-იმამ ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი. იხთისარ ალ-ფათჰ ბ. ‘ალი ბ. მუჰამმად ალ-ბუნდარი ალ-ისფაჰანი. მისრ, 1318/1900 (შემდეგ: ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი).

¹³ უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ავტორებს აქვთ ცნობები საქართველოს ისტორიის წინა პერიოდებისათვისაც. ალ-‘აზიმი მოგვითხრობს 489/1047 წ. იბრაჰიმ ინალის მიერ ლიპარიტ კლდეკარის ერისთავის დატყვევების შესახებ (V. Minorsky. *Studies in Caucasian History*, London, 1953, გვ. 62, შენ. 2 [იხ. ამავე კრებულში „ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში“, გვ. 112-134], რაც არ შევიდა კ. კაენის გამოცემაში და აგრეთვე, 1121 წ. დავით IV-ის მიერ მუსლიმთა კოალიციის დამარცხებისა და მეფის გარდაცვალების თაობაზე (C. Cahen. *La chronique...*, გვ. 388, 393), ხოლო ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი – XI ს-ის 60-იან და XII ს-ის 20-იან წლებში საქართველოსა და სელჩუკთა ურთიერთობათა შესახებ (‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი, გვ. 30, 37).

ალ-‘აზიმის ცნობები უალრესად ლაკონიურია. ჰიჯრის 520/17.I.1126–16.I.1127 წ. ამბების გადმოცემის დროს ის მოგვითხრობს:

„ჩამოვარდა შფოთი ქართველებს (ალ-ქურჯ) შორის და მიიტაცა ხელისუფლება კაცმა, რომელიც არ იყო სამეფო სახლიდან“.¹⁴

მსგავსი რამ 1126 ან 1127 წ. დამდეგის საქართველოში სხვა (ქართული თუ სომხური) წყაროებისთვის უცნობია. ერთადერთი აჯანყება მეფის წინააღმდეგ ამირსპასალარ ივანე აბუღეთის ძისა და უფლისწულის (ცვატა?) მონაწილეობით, ვარდანის მიხედვით (თუ კი მისი ქრონოლოგია სწორია), მოხდა 1130 წ.¹⁵

ჰიჯრის 524/15. XII.1129 – 3. XII.1130 წ. ამბებში ალ-‘აზიმი გვანჯდის სამცხობას ქართველთა შესახებ. მათგან ორი სელჩუკებთან კონფლიქტს ეხება:

„დალაშქრეს ქართველებმა [მუსლიმები], დაეცა მათ სულთნის ლაშქარი და დაიბრუნა ნადავლი“¹⁶... „დალაშქრეს ქართველებმა ირანის ქვეყანა და დაეცა მათ სულთანი თოღრული“.¹⁷

ალ-‘აზიმის ზემომოტანილ პირველ ცნობაში არ ჩანს ქართველთა ლაშქრობის კონკრეტული მიმართულება და არც სულთნის სახელი იხსენიება. მაგრამ უკანასკნელი უნდა იყოს არა მაჰმუდ ბ. მუჰამადი, არამედ – მისი ძმა თოღრული.¹⁸ მართალია, მან ტახტი მხოლოდ 1132-1133 წწ. დაიკავა, მაგრამ სულთნის ტიტულით არაბულ წყაროებში ის უფრო ადრეც იხსენიება.¹⁹

¹⁴ C. Cahen. *La chronique...*, გვ. 397.

¹⁵ Всеобщая история Вардана Великого, перевел Н. Эмин, М., 1861, გვ. 150. ამის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, ტ. II, თბ., 1963, გვ. 223-224; რ. მეტრეველი. *შიდაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII საუკუნე)*, თბ., 1977, გვ. 116-117; ჯ. სტეფანაძე. *საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან*, თბ., 1974, გვ. 128, შენ. 88; მისივე. *საქართველო XII და XIII ს-ის პირველ მეოთხედში*. თბ., 1985, გვ. 69-70; სინ, ტ. III, თბ., 1979, გვ. 185.

¹⁶ C. Cahen. *Le chronique...*, გვ. 402.

¹⁷ იქვე, გვ. 404.

¹⁸ ეს ის თოღრულია, რომელიც 1121 წ. დავით აღმაშენებელმა დაამარცხა დიდგორში. თოღრული უპირისპირდებოდა თავის ძმას სულთან მაჰმუდს. 1125 წ. ის იძულებული გახდა, თავი შეეფარებინა ხორასანში დიდ სელჩუკთა სულთნისათვის – სანჯარისათვის. 1127 წ. თოღრული, მას უდთან ერთად, სანჯარის მხარდაჭერით, კვლავ დაბრუნდა არრანში. C. Bosworth. *The Political and Dynastic History of the Iranian World. – The Cambridge History of Iran. vol. 5. The Saljuk and Mongol Periods*. Cambridge, 1968, გვ. 124-125; Садр ад-Дин Али ал-Хусайни. *Ахбар ад-დაула ас-селджукийя*. Издание текста, перевод, введение, примечания и приложения 3. М. Буниятова. М., 1980, гв. 95; 3. М. Буниятов. *Государство...*, гв. 23.

¹⁹ თოღრულს სულთნის ტიტულით იხსენიებენ, მაგალითად, ალ-ფარიკი და სიბტ ბ. ალ-ჯაუზი. ე. სიხარულიძე. *ალ-ფარიკი საქართველოში. – სემიტოლოგიური ძიებანი*, II, თბ.,

1120-1124 და 1127-1131 წწ. თორღული განაგებდა არრანს. ამდენად, უფრო მართებული იქნება, თუ ალ-‘აზიმის მეორე ცნობაში ირანის ნაცვლად, რომლის წაკითხვასაც გვთავაზობს კ. კაენი, აღვადგინოთ არრანი.

ალ-‘აზიმის მიხედვით, საომარი მოქმედებების ინიციატივა ქართველებს ეკუთვნოდათ. პირველ კონფლიქტში ჯერ მათ ჰქონდათ წარმატება, მაგრამ შემდეგ მუსლიმებმა დაიბრუნეს ქართველთა მიერ მოპოვებული ნადავლი. მეორე ცნობაში, არრანის დალაშქვრის შემდეგ, ირკვევა, რომ ქართველებს დაეცა თოღრული. ალ-‘აზიმი არ წერს ბრძოლის შედეგებზე, მაგრამ თოღრულს რომ გაემარჯვა, აუცილებლად აღნიშნავდა ამას. არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება იმავე ამბავს, რასაც მოგვითხრობს ვარდანი: 1130 წ. გაგის ველზე, არრანის უშუალო სიახლოვეს, დემეტრე I-მა სძლია „ურჯულოთა (მუსლიმთა) ურიცხვ მხედრობას“.²⁰

ალ-‘აზიმის მესამე ცნობით, რომელიც იმავე წლით არის დათარიღებული,

„დაეცა طراد • -ს მფლობელი ქართველებს და დაამარცხა ისინი“.²¹

კ. კაენმა ზემოთ მოტანილი ტოპონიმი, რომელსაც დიაკრიტიკული ნიშნები არა აქვს, გაუშიფრავი დატოვა. ჩვენ მას ვკითხულობთ როგორც طراد-ს ტრაზიპონს. გრაფიკული სიახლოვე ამ ორი ტოპონიმის დაწერილობაში იმდენად ამკარაა, რომ ამგვარი დაშვება სავსებით შესაძლებელია. ამრიგად, ალ-‘აზიმი მოგვითხრობს საქართველოს უცნობ კონფლიქტზე ტრაპიზონთან,²² რომელსაც ამ დროს განაგებდა კონსტანტინე გაბრა (1126-1114).²³ ეს ცნობა სრულიად ახალია და მხოლოდ მომავალი კვლევა-ძიება გვიჩვენებს, რამდენად შეეფერება ის სინამდვილეს.

‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის ცნობები, რომლებსაც აქ განვიხილავთ, XII ს-ის 30-50-იან წლებზე მოდის. ისტორიკოსი ეხება განჯის საშინელ მინისძვრას, რომელსაც ამ ქალაქზე ქართველთა ლაშქრობა მოჰყვა; მინის-

1985, გვ. 88; ო. ცქიტიშვილი. სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. – *თსუ შრომები*, ტ. 118, თბ., 1967, გვ. 204-205.

²⁰ Всеобщая история Вардана Великого, გვ. 150.

²¹ C. Cahen. *La chronique.*, გვ. 402.

²² დემეტრე I-მდე, იოანე ბატონიშვილის ერთი ცნობით (*კალმასობა*, II, თბ., 1948, გვ. 163), რომლის წყაროც დაუდგენელია, ტრაპიზონში პირველად ილაშქრა დავით აღმაშენებელმა. ვ. კობალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან. – *თსუ შრომები*, ტ. 125, თბ., 1968, გვ. 111-113; ქ. ჩხატარაიშვილი, დავით აღმაშენებლის ეპოქის ისტორიისათვის. – *მაცნე* (იაეხის), 1989, 3, გვ. 18-19.

²³ История Византии, т. 2, М., 1967, გვ. 309; A. Bryer. A Byzantine Family: The Gabrades, – *Historical Journal* (University of Birmingham), 1970, vol. XII, 2, გვ. 164-187.

ძვრის თარიღად დასახელებულია ჰიჯრის 533 წ.,²⁴ რომელიც დაინყო 1138 წ. 8 სექტემბერს და დასრულდა 1139 წ. 27 აგვისტოს. მაგრამ, მხითარ გომის უფრო სანდო ცნობით, ეს მიწისძვრა მოხდა 1139 წ. 30 სექტემბერს.²⁵ ამ დროს არრანისა და განჯის მფლობელი ათაბაგი ყარა-სონყური²⁶ ფარსის გამგებლის ბოზ-აბას წინააღმდეგ იყო სალაშქროდ წასული. ყარა-სონყურმა სძლია ბოზ-აბას, ფარსი სელჩუკ უფლისწულს სელჩუკ-შაჰს გადასცა და, 'იმაღ ად-დინ ალ-ისფაჰანის მიხედვით, მხოლოდ უკანდაბრუნებულმა აზერბაიჯანის ქალაქ ბურუჯირდში შეიტყო, რომ

„ქალაქი განჯა და მისი სანახები ჩაიქცა. და რომ [განჯა] მიწისძვრამ დაანგრია და დაიქცა. თითქოსდა ის მიწამ გაანადგურა. და რომ მას ურწმუნო აბხაზები და ქართველები (ალ-ქურჯ) დაესხნენ, რომ მი-

²⁴ 'იმაღ ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი გვ. 173. ამავე თარიღს ასახელებს სიბტ ბ. ალ-ჯაუზი (*მირა'თ აზ-ზამან ფი თა'რიხ ალ-ა'იან*, VIII, ჰაფდარაბად, 1952, გვ. 16-69), სტეფანოს ორბელიანის ცნობით (*Histoire de la Siouine par Stéphannos Orbélian. Tr. de l'Arménien par M. Brosset, St. Pbg.*, 1986, გვ. 411), მიწისძვრა მოხდა სომხური ერით 587/15. II.1138–14.II.1139 წ., რაც მხარს უჭერს 'იმაღ ად-დინის ცნობას.

²⁵ The Albanian Chronicle of Mxit'ar Goš by C. J. F. Dowsett. – *BSOAS*, 1958, vol. XXI, pt. 3, გვ. 481-82; ლ. დავლიანიძე, მხითარ გომის „ალბანეთის ქრონიკა“. – *ქნ*, II, თბ., 1968, გვ. 38; 3. М. Буниятов. Новые данные о землетрясении в Гяндже 1139 г. – *Доклады АН Азербайджанской ССР*, т. XXI, 1965, гв. 55-75. ამავე თარიღს უჭერს მხარს კირაკოს განძაკეცი (Киракос Гандзакети. *История Армении*, пер. с древнеармянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларян, М., 1976, гв. 95, 137) და ვარდანი (*Всеобщая история Вардана Великого*, гв. 151), არაბ ავტორთაგან კი – იბნ ალ-ასირი (*Ibn al-Athir. Al-Kamil fi t-tarikh*. vol. XI, Editeurs Dar Sader, Dar Beyrouth. Beyrouth, 1966, гв. 77) და ალ-ჰუსაინი (*Ахбар ад-დაулат*. ., гв. 105), რომლებიც ასახელებენ ჰიჯრის 534/28.VIII.1139–16.VIII.1140 წ. იბნ ალ-ჯაუზი (*ალ-მუდჰჰიშ*. ბაირუთ, 1973, гв. 70) იხსენიებს ორ მიწისძვრას, როგორც ჰიჯრის 533, ისე – 534 წლებში.

²⁶ ყარა-სონყური 521/1127 წ. დაინიშნა სელჩუკიანი უფლისწულების თოღრულისა და მას'უდის ათაბაგად და არრანში გაიგზავნა (Садр ад-Дин Али ал-Хусайни, гв. 95; 3. М. Буниятов. *Государство...*, гв. 23). მოკლე ხანში მან დიდი ძალაუფლება მოიპოვა და შემდეგ საშიში გახდა მას'უდისთვის, რომელიც 1134 წ. დაეუფლა სულთნის ტახტს. სომხურ წყაროებში მისი სახელი გვხვდება ღარა-სენთურის ან ხარანგურის ფორმით (ლ. დავლიანიძე. დასახ. ნაშრ., гв. 39; მხითარ აირივანეცი. *ქრონოგრაფიული ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1990, гв. 80), ყარა-სონყურის მიმდევრებს აღნიშნავს ქართული წყაროების *ყარასულღულიანი*, ან *ყარასულღულიანი* (ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, гв. 165; ე. თაყაიშვილი. *საისტორიო მასალანი*. – *ძველი საქართველო. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული*. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1913, განყოფილება მესამე, гв. 63), რომლებიც დემეტრე I-მა 1128 წ. დაამარცხა დმანისთან.

სი ხალხიდან 300-ათასამდე უკვე განყდა,²⁷ ხოლო დანარჩენებს, ვინც თავი მის ციხესა და ბორცვს ვერ შეაფარა, [ქართველები] შეებრძოლნენ (ამარრუ)²⁸ და ეს იმასთან ერთად, რომ მისი [განჯის] კედლები დაირღვა და სახლები დაინგრა. და რომ განძები გაითხარა და გადამალული [ქონება] მოინახა [ქართველთა მიერ]“.

‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი შემდეგ მოგვითხრობს:
„ყარა-სონყური სწრაფად წავიდა განჯას. [ამ დროისათვის] აბხაზთა ლაშქრის სპასალარს (მუკადდიმ) ივანე აბუ ლ-ლაისის ძეს – ალლა-ჰიც დასწყევლის მას – მინისძვრისათვის უბედურებები (ზალაზილ)²⁹ და გაჭირვებისათვის გაჭირვებები დაემატებინა. მან ქალაქ განჯის კარები წაიღო და [ახალი] ქალაქი ააშენა. განჯა უწოდა და ეს კარები შეაბა, ისარგებლა იმით, რომ ყარა-სონყური ქვეყანაში არ იყო და ტანჯვა გარდმოუვლინა მას [განჯას]. ეს მოხდა 533/1138-39 წელს. და როცა მოვიდა ყარა-სონყური, აღდგა რწმენის სახელმწიფო, დაბრუნდა დახმარებისა და სიმტკიცის ადათი, ღმერთის ერთარსობის მიმდევრებმა (აჰლ ათ-თავჰიდ) სძლიეს სამების მიმდევართ (აჰლ ათ-თასლის).³⁰ აღორძინდა კარგი [რამ] უკეთურობის წაბორძიკებით. შეებრძოლა მათ [ქართველებს] ყარასონყური, სძლია მათ, დაამცირა (სალამაჰუმი) და მოსრა დიდძალი, დაანგრია ახალი ქალაქი, განჯის კარები განჯასვე დააბრუნა და ხელახლა ააშენა ის, [ადრე რომ იყო], მასზე უფრო კარგად და უფრო ლამაზად“.³¹

როგორც ვხედავთ, ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი მინისძვრით დანგრეულ განჯაზე ქართველთა ლაშქრობის მიძიმე სურათს გვიხატავს. ამ ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობენ აგრეთვე მხითარ გოში³² და კირაკოს განძაკეციცი.³³ ამასთან, არაბი ისტორიკოსისა და მხითარ გოშის ცნობები ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს.

²⁷ იბნ ალ-ასირი (გვ. 77) და სიბტ ბ. ალ-ჯაუზი (გვ. 169) დაღუპულთა რიცხვს 230 ათასით საზღვრავენ. ამ ადგილის თურქულ თარგმანში საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ ეს ხალხი, თითქოსდა, ქართველებმა გაჟლიტეს (*Iraq ve Horasan*, გვ. 174).

²⁸ ზმნა *ამარრას* ამ მნიშვნელობის შესახებ იხ. E. W. Lane. *An Arabic-English Lexicon*, Book I, pt. 7. London, 1885 (რეპრინტი, New York, 1956), გვ. 2700.

²⁹ არაბ. *ზალზალა-ს/მინისძვრა* (მრ. *ზალაზილ*) ერთ-ერთი მნიშვნელობაა „უბედურებები“. P. Steingass. *Arabic-English Dictionary*. New Dehli, 1985, გვ. 461.

³⁰ ე.ი. მუსლიმებმა სძლიეს ქრისტიანებს. ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი, გვ. 173.

³¹ ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი, გვ. 173; Киракос Гандзакечи, გვ. 95, 137.

³² ლ. დავლიანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 38-39.

³³ Киракос Гандзакечи, გვ. 95, 137.

‘იმად აღ-დინ აღ-ისფაჰანის ცნობაში საყურადღებოა მითითება იმის თაობაზე, რომ ქართველთა ლაშქრის სარდალი იყო ივანე აბუ ლ-ლაისის ძე, რომელიც, ჯერ კიდევ მ. ჰუტსმამ, სავსებით მართებულად, გააიგივა ივანე აბულეთის ძესთან.³⁴

ივანე აბულეთის ძე დავით აღმაშენებლის და დემეტრე I-ის დროის სახელმწიფო მოღვაწეა, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქართველთა არაერთი სამხედრო წარმატება. ვარდანის მიხედვით, დემეტრე I-ის წინააღმდეგ შეთქმულებისათვის ის სიკვდილით დაუსჯიათ 1132 წ.,³⁵ მაგრამ, ამავე დროს, ცნობილია ისიც, რომ ლაშა გიორგისდროინდელი მემატინე და სამუელ ანეცი ივანე აბულეთის ძის სიკვდილით დასჯის თარიღად ასახელებენ 1145 წელს,³⁶ რაც, ვფიქრობთ, უფრო შეეფერება სინამდვილეს. ყოველ შემთხვევაში, ‘იმად აღ-დინ აღ-ისფაჰანის მიხედვით, ივანე აბულეთის ძე ცოცხალია 1139 წ. და ასევეა მხითარ გოშის ცნობითაც.³⁷

³⁴ Recueil de textes, გვ. 190; იხ. აგრეთვე: ჰ. მარგარიანი. რამდენიმე ეპიზოდი XII საუკუნის მეორე მეოთხედის საქართველოს ისტორიიდან. – *თსუ შრომები*, ტ. 165, თბ., 1975, გვ. 83; აბუ ლ-ლაის არაბული სახელია – *أبو اللات* და სიტყვასიტყვით ლომის მამას ნიშნავს. არაბული “*أبو*” ზეპირ მეტყველებაში ხშირად გვაძლევს „თ“-ს. ამის გამო აბუ ლ-ლაის ქართულში შემოვიდა და დამკვიდრდა აბულეთის ფორმით. საერთოდ, კახეთის დიდგვაროან ფეოდალთა აბულეთისძეთა საგვარეულოს ფუძემდებლად ითვლება ის აბულეთი, რომელიც ცხოვრობდა XII ს-ის I ნახევარში (ნ. შოშიაშვილი. აბულეთი; აბულეთის ძენი. – *ქსე*, ტ. I, თბ., 1975, გვ. 45). ჩვენ გვაქვს XII ს-ის არაბი ისტორიკოსის იბნ აღ-აზრაყ აღ-ფარიკის ერთი ცნობა, რომელიც საშუალებას იძლევა, სულ მცირე, ერთი საუკუნით მაინც „დავაძველოთ“ ამ საგვარეულოს ასაკი. აღ-ფარიკი იხსენიებს ერთ ქართველ დიდებულს, რომელიც, არა უგვიანეს 1010 წლისა, მაიფარიკინში (დარ-ბაქრი) გაექცა ქართველთა *მალიქს* (მთავარი, ერისთავი), რომელსაც ერქვა იბნ აბუ-ლ-ლაისი, ე.ი. აბულეთის ძე (*Tarikh al-Fariqi by Ibn al-Azraq al-Fariqi*. Ed. by B.A.L. Awad. Cairo, 1959, გვ. 96) (იხ. ჩვენი სტატია ამავე კრებულში: *აბულეთისძეთა საგვარეულოს შესახებ*, გვ. 103-111).]

³⁵ *Всеобщая история Вардана Великого*, გვ. 151.

³⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 367 (*„დემეტრე აბულეთის ძესა ივანეს თავი მოჰკვეთა... მეოცე წელიწადსა მეფობისა მისისა“*). სამუელ ანეცის მიხედვით, დემეტრემ ივანე მოკლა სომხური ერთი 594/1145-1146 წ. იმავე წელს „ამირაპეტ“ ჯოლის აულია ტავუში და განუდევნია იქიდან აბას მეფე (სამუელ ანეცი. *კრებული ისტორიული ნაწარმოებებიდან*. ვალარშაპეტი, 1893 (სომხ. ენაზე), გვ. 133; დამონტებულია მარგარიანის მიხედვით: *А. Г. Маргарян. К истории и хронологии внутриклассовой борьбы Грузии и Северной Армении в 30-50-х гг. XII в.* – *Сб. Кавказ и Византия*, вып. I, Ереван, 1979, გვ. 62); მხითარ გოში ადასტურებს, რომ ამირა ჩავლიმ ტავუში აიღო 1144/45 წ. (*The Albanian Chronicle*, გვ. 483). 1145 წ. ივანე აბულეთის ძის სიკვდილით დასჯის თარიღად მიღებული აქვს გ. ნადირაძეს და ჰ. მარგარიანს. გ. ნადირაძე. *ნიკოლოზ ურბნელი – საქართველოს ისტორიის მკვლევარი*. თბ., 1973, გვ. 64; *А. Г. Маргарян. К истории...*, გვ. 62.

³⁷ მხითარ გოში წერს, რომ განჯაზე ლაშქრობისას ქართველთა მხედართმთავარი იყო ივანე (*The Albanian Chronicle*, გვ. 482). დოუსეტი არ იძლევა მის იდენტიფიკაციას. ლ. დავ-

ქართველთა 1139 წლის ლაშქრობა მინისძვრით დანგრეულ განჯაზე, ვფიქრობთ, ვერ დაიკავეს საპატიო ადგილს დემეტრე I-ის სამხედრო წარმატებათა აქტივში.³⁸ უარყოფითია მის მიმართ არა მარტო მუსლიმი 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის, არამედ ქრისტიანი, თუნდაც მონოფიზიტი, მხითარ გომის დამოკიდებულება. განჯის დარბევას ერთი შესაძლებელი შედეგი შეიძლებოდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდევაც: მუსლიმთა უკიდურესი გალიზიანება და მათი ძალების კონსოლიდაცია. ყარა-სონყური სწრაფად დაბრუნდა განჯაში, სადაც ნანგრევებში დაიღუპა მისი ორი ვაჟი,³⁹ ალადგინა ქალაქი და დაიწყო საომარი მოქმედებები ქართველებთან.

'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი მიუთითებს, რომ ყარა-სონყურმა გაიმარჯვა ქართველებზე, რასაც ადასტურებს მხითარ გომიც.⁴⁰ მაგრამ ცდება არაბი ისტორიკოსი, როცა წერს, რომ ათაბაგმა დაანგრია ახალი განჯა (რომელიც საერთოდ არ აშენებულა) და უკან დააბრუნა მისი კარები. როგორც ცნობილია, ეს კარები დღემდე ინახება გელათის მონასტერში.⁴¹

დემეტრესა და ყარა-სონყურის კონფრონტაცია დიდხანს არ გაგრძელებულა. ეს უკანასკნელი მოულოდნელად გარდაიცვალა 1140 წ. აგვისტოდან 1141 წ. თებერვლამდე არდებილში.⁴² მომდევნო ათაბაგის ჩავლი ჯანდარის (გარდ. 1146 წ. შემოდგომაზე) დროს, არრანის სელჩუკებსა და საქართველოს შორის შეტაკებებზე 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი არაფერს წერს. ცოტა მოგვიანებით კი, ის აღნიშნავს, რომ 541 წ. ზუ ლ-კა'დას თვეში/4.

ლიანიძე მართებულად აიგივებს მას ივანე აბულეთის ძესთან (ლ. დავლიანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 28), მაგრამ, ამავე დროს, ის უკრიტიკოდ იღებს ვარდანის ცნობას 1132 წ. ივანე აბულეთისძის სიკვდილით დასჯის თაობაზე (იქვე, გვ. 31) ზ. ბუნიატოვის მიხედვით, მხითარ გომთან დასახელებული ივანე არის ივანე მხარგრძელი (!). 3. М. Бунятов. *Государство...* გვ. 192.

³⁸ ამ საკითხზე განსხვავებული თვალსაზრისი აქვს ჯ. სტეფნაძეს (დემეტრე პირველი, თბ., 1990, გვ. 42-43).

³⁹ Ibn al-Athir, გვ. 77.

⁴⁰ მხითარ გომი მოგვითხრობს, რომ ყარა-სონყურს ორჯერ დაულაშქრავს საქართველო (*The Albanian Chronicle...*, გვ. 483).

⁴¹ კარებზე ამოკვეთილი ქართული წარწერა იუნყება, რომ ის ჩამოტანილია დემეტრეს მეფობის მე-13, ე.ი. 1138 წელს (M. Brosset. *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie exécuté en 1847-1848*, 3e et dernière livraison, St.-Pét., 1851, გვ. 40-41). განჯის ამ კარებზე არის აგრეთვე 8-სტრიქონიანი არაბული წარწერა, რომლის მიხედვითაც ის გაუკეთებია მჭედელ იბრაჰიმ ბ. 'უსმან ბ. 'ანქავაიჰს, შადადიანი შავირ ბ. ფადლის ბრძანებით. X. В. Френ. Железные (ганджийские) ворота. – *Известия Азербайджанской археологической комиссии*, вып. II, Баку, 1926, გვ. 39-48.

⁴² 'იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის ცნობით, ყარა-სონყური მოკვდა ჰიჯრის 535/17. VIII.1140–5.VIII.1141 წ. (გვ. 173), მხითარ გომის მიხედვით კი – სომხური ერთით 589/15. XI–1140-13.XI.1147 წ. (*The Albanian Chronicle...*, გვ. 483).

IV – 3.V.1147 წ. მოკლეს არრანისა და აზერბაიჯანის შემდეგი გამგებელი ფაზრ ად-დინ ‘აბდ არ-რაჰმან ტულან-იურეჟი,⁴³ რომელიც ამ დროს აპირებდა ელაშქრა ქართველებზე.⁴⁴

დასასრულ, შევჩერდებით ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის კიდევ ერთ ცნობაზე, რომელშიც ჩანს სელჩუკიანი სულაიმან-შაჰის მეუღლე ქართველთა მეფის ასული, აბხაზი ქალბატონი.

სულაიმან-შაჰი, მუჰამმად ბ. მალიქ-შაჰის ვაჟი, მას‘უდის გარდაცვალების (1152 წ.) შემდეგ აქტიურად ჩაება სასულთნო ტახტისათვის ბრძოლაში და დაუპირისპირდა ახალ სულთან მუჰამმად ბ. მაჰმუდს (1154-1159). 548/29.II.1153–17.III.1154 წ. ხვარაზმ-შაჰ ‘ალა ად-დინ ასთიზის (1127-1156) ძმების – ინალ-თეგინის, იუსუფისა და სხვა თურქი ამირების მხარდაჭერით ის ჯიბალში შეიჭრა, ხელთ იგდო ჰამადანი და დაიკავა სულთნის ტახტი, მაგრამ მან მალე გაუთავებელი სმა დაიწყო, რაშიც მხარი აუბა მისმა ვეზირმაც. თავმოებზრებულმა თურქმა ამირებმა განიზრახეს დაეპატიმრებინათ ვეზირი და ინალ-თეგინი, რომელიც სულაიმანის ცოლისძმა იყო. ამ დროს, როგორც წერს ‘იმად ად-დინი, ის უკვე

„დაქორწინდა თავისი ძმის ცოლზე, ქართველთა მეფის ასულზე (ბინთ მალიქ ალ-ქურჯ), შევიდა მასთან და დღესასწაულობდა ქორწინებას და მხიარულობდა“.

მოსალოდნელი საფრთხის შესახებ სულაიმანს პირველმა ცოლმა, ხვარაზმ-შაჰის ასულმა, ქორწინების ღამეს აცნობა. შეშინებულმა სულაიმან-შაჰმა დაუყოვნებლივ მიატოვა აბხაზი ქალბატონი (ხათუნ ალ-აბხაზიდა) და ღამითვე, ხვარაზმელ ცოლთან და ინალ-თეგინთან ერთად, სასწრაფოდ დატოვა ჰამადანი.⁴⁵

ვინ არის სულაიმან-შაჰის ძმა, რომლის ცოლიც – ქართველთა მეფის ასული მან ითხოვა? უეჭველია, 1152 წ. გარდაცვლილი მას‘უდი. იმდროინდელ ისლამურ სამყაროში გავრცელებული პრაქტიკით, სულაიმანმა, თავისი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, იქორწინა ძმის ქვრივზე. ეს უკანასკნელი – ქართველთა მეფის ასული, აბხაზი ქალბატონი კი შეიძლება იყოს მხოლოდ დემეტრე I-ის ქალიშვილი რუსუდანი. მხითარ გომი იუნყება, რომ

⁴³ ტულან-იურეჟი იყო სულთან მას‘უდის (1134–1152) ჰაჯიბი, მან დიდი გავლენა მოიპოვა სახელმწიფოში და ბოლოს, მსხვერპლი გახდა სულთნის მიერ მოწყობილი შეთქმულებისა, რომელშიც მონაწილეობდა ყოფილი ვეზირი ხასს-ბექ ფალანგ-არი. Садр ад-Дин Али ал-Хусайни, გვ. 109; 3. М. Буниятов. *Государство...*, გვ. 36.

⁴⁴ ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი, გვ. 197. ტულან-იურეჟის სურვილის შესახებ, დაელაშქრა საქართველო, მოგვითხრობენ სხვა ისტორიკოსებიც. ლ. დავლიანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 42; Садр ад-дин Али ал-Хусайни, გვ. 109.

⁴⁵ ‘იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი/ალ-ბუნდარი, გვ. 212-213.

1147-48 წლისათვის რუსუდანი უკვე მას'უდის ცოლი იყო.⁴⁶ მხითარ გოშის ეს ცნობა არცთუ დიდი ხნის წინათ შემოვიდა ქართულ ისტორიოგრაფიაში, მის გაუთვალისწინებლად კი თამარის მეორე ისტორიკოსის მითითება იმის თაობაზე, რომ რუსუდანი იყო *სძალ-ყოფილი დიდთა სულთანთა შამირამეთი და დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა*,⁴⁷ საფუძველს აძლევდა ქართველ მკვლევრებს, რომ მის ქმრად (მას'უდის გარდა) ეგულისხმათ სხვა სელჩუკი სულტნებიც: სულაიმან-შაჰი⁴⁸ და არსლან-შაჰი (1161-1171).⁴⁹

‘იმად აღ-დინ აღ-ისფაჰანის ცნობა საშუალებას გვაძლევს, საბოლოოდ გავარკვიოთ ეს საკითხი. რუსუდანი, დემეტრე I-ის ასული, იყო ორი სელჩუკი სულტნის – მას'უდისა და სულაიმან-შაჰის ცოლი. მისი უკანასკნელი ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. სულაიმან-შაჰი იძულებული გახდა დაეტოვებინა რუსუდანი. მოგვიანებით, 1160 წელს ის კვლავ დაეუფლა სელჩუკიანთა სასულტნო ტახტს, მაგრამ იყო თუ არა ამ დროს მასთან რუსუდანი? ამ კითხვაზე არც ‘იმად აღ-დინ აღ-ისფაჰანი და არც ჩვენთვის ცნობილი სხვა მემატრიანეები არაფერს ამბობენ.

⁴⁶ *The Albanian Chronicle*, გვ. 485, და არა 1147-48 წლის შემდეგ, როგორც ამას ფიქრობენ მხითარ გოშის თხზულების ქართული თარგმანიდან გამომდინარე. ლ. დავლიანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 30; ჯ. სტეფნაძე. თამარის მამიდა რუსუდანი. – *ჟურნ. მნათობი*, 1987, 7, გვ. 155-161; მისივე, *დემეტრე პირველი*, გვ. 24.

⁴⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი. დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 115.

⁴⁸ Жизнь царицы цариц Тамар. Перевод и введение В. Л. Дундуа. Исследование и примечания М. М. Бердзნიшвили, Тб., 1985, გვ. 19-20, 53, შენ. 3.

⁴⁹ ს.კაკაბაძე. *რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“*, თბ., 1966, გვ.107. რუსუდანის შესაძლებელ ქმართა შორის ასახელებდნენ, აგრეთვე, სულთან სანჯარს და კიევის მთავარს იზიასლავს. ს. კაკაბაძე. *რუსთაველი რუსთაველი*, გვ. 107; С. Т. Еремян. Юрий Боголюбский по армянским и грузинским источникам. – *Научные труды Ереванского гос. университета*, 1946, XXIII, გვ. 400.

A FEW EPISODES FROM THE PERIOD OF DEMETRE I'S
REIGN IN ARABIC HISTORICAL SOURCES

Georgian historical sources are laconic about the reign of King Demetre I (1125-1156). Hence interest attaches to the evidence on Georgia in the reign of Demetre I preserved in the works of medieval Arab authors. Of these authors, the present paper presents the evidence of two Arab historians: Muhammad b. 'Ali b. Muhammad Abu 'Abd Allah al-Tanukhi al-'Azimi (d. 556/1161) and Abu 'Abd Allah Muhammad b. Muhammad 'Imad al-Din al-Isfahani (d. 1201). The latter's work *Nusrat al-fatra* is available through the abridged version of this work compiled in 623/1226 by al-Fath b. 'Ali b. Muhammad Kiwam al-Din al-Isfahani al-Bundari (d.1245), entitled *Zubdat al-Nusra wa nukhbat al-'usra*. Special attention is given to the 1138 campaign of the Georgians against Ganja and to the wedding of the Sultan Sulayman-Shah to the widow of his bother al-Mas'ud, daughter of Demetre I, narrated by 'Imad al-Din al-Isfahani.

საქართველო და მოსულის ზენგიანთა საათაბაგო (XII ს-ის 60-იანი წლების დამდეგი)*

1161 წლის 4 აგვისტოს გიორგი III-მ (1156-1184) ანისთან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მუსლიმთა კოალიციაზე – შაჰ-არმენ სუქმან II-ისა (1128-1185) და მისი მოკავშირეების (არზანისა და ბითლისის ამირა ფახრ ად-დინ დავლათ შაჰი, ყარსის და სურმარის მფლობელი და სხვ.) სამხედრო ძალებზე. ბრძოლის ველიდან ოტებულ შაჰ-არმენს მხოლოდ 400 მებრძოლი ახლდა თან. ნაწილი მისი მხედრობისა დაიღუპა, ნაწილიც ტყვედ ჩავარდა. ტყვეთა რაოდენობაზე სხვადასხვა მონაცემია: 2-3 ათასი (გრიგოლ ხუცესი), 9 ათასი (იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი) ან 41 ათასი (ვარდანი). დაატყვევეს 6 სპასალარი და 7 დიდი ამირა, დიდებულები სუქმანის სახლიდან, მათ შორის, ბადრ ად-დინი – შაჰ-არმენის ცოლისძმა და ისბაქირდის (იგივე ისფაირდი, მდ. ბოჭტანის ჩრდილო შენაკადზე) მფლობელი ჰალდრი კირკ-ტული. სამხედრო მარცხის¹ შემდეგ ამოქმედდა საქართველოს მეზობელი მუსლიმური სახელმწიფოების დიპლომატია, რომელიც ქართველთა მიერ დატყვევებულ მუსლიმთა განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ხლათის დედოფალი, სუქმან II-ის მეუღლე და მოსულის ზენგიანთა საათაბაგოს ვეზირი ალ-ჯავვად ალ-ისფაჰანი, იგივე აბუ ჯა'ფარ მუჰამმად ბ. 'ალი ჯამალ ად-დინ ალ-ისფაჰანი.

მოსულის (მავსილის) ზენგიანთა საათაბაგოს ფუძემდებელია 'იმად ად-დინ ბ. აკ-სონკურ ზენგი (ზენგი), რომელიც 1127 წელს ერაცის სელჩუკთა სულთანმა მაჰმუდ II ბ. მუჰამმადმა (1118-1131) ჩრდილოეთი მესოპოტამიის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ქალაქის – მოსულის, გამგებლად და თავისი შვილების ათაბაგად დანიშნა. ზენგი ფორმალურად რჩებოდა

* პირველად დაიბეჭდა 1997 წ. – *ქართული დიპლომატია*. წელიწდეული, IV, თბ., 99-107. წინამდებარე გამოცემაში შეტანილია ცვლილებები.

¹ ამ ბრძოლის თაობაზე დიდი ლიტერატურა არსებობს. დანვრილებით მის შესახებ იხ. გ. ჯაფარიძე. *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*. თბ., 1995, გვ. 102-105.

სელჩუკი სულთნის სამსახურში, მაგრამ, ფაქტობრივად, დამოუკიდებლად მოქმედებდა. მან თავის ძალაუფლებას დაუქვემდებარა ჩრდილოეთი მესოპოტამიისა (ალ-ჯაზირა) და სირიის (ჰიმსი და ბიკა'ას დაბლობი) ნაწილი. მისი სახელმწიფო (საათაბაგო) სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა აბასიანი ხალიფების მიწებს და აღწევდა თიქრითს და შაჰრაზურს, ჩრდილო-აღმოსავლეთით – ჰაქარის ქურთების ციხეებს, ჩრდილო-დასავლეთით – დანიშმენდიანების საამიროს და დიარ-ბაქრისა და ჰისნ-ქაიფას ართუკიანთა სამფლობელოებს.

‘იმად ად-დინ ზენგი წარმატებით ებრძოდა ჯვაროსნებს და 1144 წ. ნაართვა მათ ქ. ედესა (რუჰა). წარმატებული იყო მისი საშინაო პოლიტიკაც. მან განამტკიცა ადმინისტრაციული აპარატი, ხელს უწყობდა მიწათმოქმედებისა და ვაჭრობის განვითარებას. 1146 წელს ‘იმად ად-დინ ზენგი მოკლეს და საათაბაგო მისმა ვაჟებმა გაინაწილეს. მოსული საიფ ად-დინ ღაზის, ხოლო სირია – ნურ ად-დინს ხვდა წილად. 1149 წელს საიფ ად-დინ ღაზი გარდაიცვალა და მოსულს დაეპატრონა მისი ძმა კუტბ ად-დინ მავდუდი.

კუტბ ად-დინ მავდუდი, რომელსაც ახასიათებენ როგორც სამართლიანსა და მოწყალე ხელმწიფეს, გარკვეულ როლს ასრულებდა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 551/1156 წ., ერაყის სელჩუკთა სულთნის მუჰამმად II-ის (1153-1159) თხოვნით, მან დააპატიმრებინა სულთნის ტახტის მაძიებელი სელჩუკი უფლისწული სულაიმან-შაჰი და მოსულის ციხეში გამოკეტა ის; ასევე, სულთან მუჰამმადის თხოვნით, 1157 წელს მონაწილეობდა ბაღდადის ალყაში, რომელიც აბასიანთა სახალიფოზე სელჩუკთა გავლენის აღდგენას ისახავდა მიზნად.

1159 წ., მუჰამმადის გარდაცვალების შემდეგ, კუტბ ად-დინმა საპატიმროდან გაათავისუფლა სულაიმან-შაჰი და ხელი შეუწყო მის გასულტნებას იმ პირობით, რომ მისი ათაბაგი გახდებოდა, მაგრამ უნიათო და ლოთმა სულაიმან-შაჰმა იმედი არ გაუმართლა. 1161 წ. ის მოკლეს და სულთნის ტახტი აზერბაიჯანისა და არრანის მძლავრი ათაბაგის შამს ად-დინ ელდიგუზის პროტექტემ არსლან-შაჰმა დაიკავა. კუტბ ად-დინ მავდუდი ერთგული მოკავშირე იყო ნურ ად-დინ ზენგისა², რომელმაც დაიმორჩილა მთელი სირია

² ზენგიანთა ისტორიისა და კუტბ ად-დინ მავდუდის მოღვაწეობის შესახებ იხ. Ibn al-Athir. *Al-Kamil fi t-tarikh*. vol. XI, Editeurs Dar Sader, Dar Beyrouth. Beyrouth, 1966, გვ. 205, 214, 224, 255, 264, 306, 331 (შემდეგ: Ibn al-Athir); Ibn Khallikan's *Biographical Dictionary*. Translated from the Arabic by Mac Guickin de Slane. vol. III, Beirut, გვ. 458-459; სა'იდ ად-დივაჰჯი. *თა'რიხ ალ-მავსილ* (მოსულის ისტორია), ალ-მავსილ, 1982, გვ. 288-292 (არაბულ ენაზე); А. Мюллер. *История ислама*, т. III, СПб, 1896, გვ. 141-142, 154-158; К. Э. Босворт. *Мусульманские династии*, М., 1973, გვ. 169-170; 3. М. Бунятов. *Государство атабеков Азербайджана*, Баку, 1978, გვ. 40, 51, 63, 67; А. Семенова. *Из истории средневековой Сирии. Сель-*

და წარმატებით ებრძოდა ჯვაროსნებს. მოსულის ლაშქარი დიდ როლს თამაშობდა ნურ ად-დინის კამპანიებში. თავისი ზეობის მიწურულს მოსულის გამგებელი იძულებული გახდა ელიარებინა ათაბაგ შამს ად-დინ ელდიგუზის მარიონეტის, სულთან არსლან-შაჰის უზენაესობა, მაგრამ მას (ჩრდილოეთი მესოპოტამიის სხვა მუსლიმი გამგებლებისგან განსხვავებით), არასდროს მიუღია მონაწილეობა საქართველოს წინააღმდეგ იმ კოალიციურ ლაშქრობებში, რომლებსაც XII საუკუნის 60-იან წლებში სუქმან II და ელდიგუზი აწყობდნენ.

●

კუტბ ად-დინის კარზე, დიდი ხნის მანძილზე, უმნიშვნელოვანეს ფიგურას წარმოადგენდა მოსულის ზემოხსენებული ვეზირი ჯამალ ად-დინ ალ-ისფაჰანი. მისი პაპა სულთან მალიქ-შაჰის (1072–1092) სამსახურში იყო, ხოლო თავად მაჰმუდ II-ის კარზე დანიშნაურდა. აქ ის დაუახლოვდა 'იმად ად-დინ ზენგის. განათლებული, ელეგანტური და კარგად მოსაუბრე ჯამალ ად-დინი ზენგის უახლოესი მეგობარი გახდა და როცა ზენგი მოსულის ათაბაგად დაინიშნა, მან ჯამალ ად-დინს სამართავად ნისიბინი და არ-რაჰბა უბოძა, ხოლო შემდეგ თავისი სამფლობელოს ზედამხედველად (*მუშრიფ*) დანიშნა და მას განუსაზღვრელი უფლებები მისცა.

ზენგის სიკვდილის შემდეგ ჯამალ ად-დინი საიფ ად-დინ ლაზის ვეზირი გახდა და სპასალარ ზაინ ად-დინ 'ალისთან ერთად წარმართავდა სახელმწიფო საქმეებს. კუტბ ად-დინ მავდუდის დროს ის 16 წელიწადს რჩებოდა ვეზირის თანამდებობაზე და უდიდესი გავლენით სარგებლობდა. შემდეგ კუტბ ად-დინმა ვერ აიტანა მისი გაძლიერება, 1163 წელს შერისხა ის და დაატუსაღა. 1164 წელს ჯამალ ად-დინი საპატიმროში გარდაიცვალა. ის მოსულში დაკრძალეს, ერთი წლის შემდეგ კი დიდი პატივით გადაასვენეს ჯერ მექაში, ხოლო მერე მედინაში მიაბარეს მინას. ჯამალ ად-დინ ალ-ისფაჰანიმ, რომელმაც დიდძალი ქონება დააგროვა, მოსულსა და მის ფარგლებს გარეთ, მექასა და მედინაშიც კი გაითქვა სახელი თავისი ქველმოქმედებით.

джукский период. М., 1990, გვ. 15-18; Ph. Hitti. *History of the Arabs*. London and Basingstoke, 1979, გვ. 644-645; H. A. Gibb. Zengi and the Fall of Edessa. The Career of Nur ad-Din. – *A History of Crusades*. Kenneth M. Setton General Editor, vol. I. *The First Hundred Years*. Ed. by M.W. Baldwin. The University of Wisconsin Press. Madison, Milwaukee and London, 1969, გვ. 449-462, 513-527; K. V. Zettenstéern. Zengi. 'Imad al-Din', – *EI*¹, vol. IV, Leiden, 1936, გვ. 417; N. Eliséeff. *Nur ad-Din, un grand prince musulman de Syrie au temps de croisades (511-569H/1118-1174)*, vol. I-III, Damas, 1967; მისივე. Mawdud b. 'Imad al-Din Zanki Kutb al-Din. – *EF*², vol. VI, გვ. 870; C. E. Bosworth. The Political and Dynastic History of the Iranian World (A.D. 1000–1217). – *The Cambridge History of Iran. 5. The Saljuq and Mongol Periods*. Ed. by J. A. Boyle, Cambridge, 1968, გვ. 169, 178.

მოსულის ვეზირს საპატიო სახელად ეწოდა ალ-ჯავვად, რაც გულუხვს ნიშნავს და მას არაერთმა პოეტმა შეასხა ხოტბა.³

ჯამალ ად-დინის საქველმოქმედო საქმიანობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ისლამური სამყაროთი. ის ქრისტიანთა ქვეშევრდომ მუსლიმებზეც ზრუნავდა. საქართველოს საქმეებში გაცნობიერებული არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი⁴ (გარდ. 1181 წლის შემდეგ), რომელმაც 1164 წელს საგანგებოდ აღნიშნა მოსულის ვეზირის გარდაცვალება, წერს, რომ მან შესთავაზა აფხაზთა მეფეს (იგულისხმება დემეტრე I) თბილისში მუსლიმთათვის, სნეულთათვის და უილაჯოებისთვის (ბი-რასმ ალ-მუსლიმინ ვა ლ-მარადა ვა ლ-დუ'აფა') აემუნებინა საავადმყოფო (ბიმარისტანი),⁵ მაგრამ მეფემ უპასუხა, რომ მას საკუთარი სახსრებით (მალ) ააშენებდა.⁶

ჯამალ ად-დინის ქველმოქმედებაში დიდი ადგილი ეჭირა დატყვევებულ მუსლიმთა დახსნა-გათავისუფლებას. იბნ ალ-ასირის (გარდ. 1233 წ.) ცნობით, ის მხოლოდ სირიაში (ჯვაროსანთაგან) ყოველწლიურად ყიდულობდა და (ათავისუფლებდა) 10-ათასი დინარის ღირებულების მუსლიმ ტყვეს – ეს გარდა იმ ტყვეებისა, რომელთაც ის ქართველებისგან ყიდულობდა.⁷

1161 წლის 4 აგვისტოს ანისთან ქართველთა მიერ დატყვევებულ მუსლიმ მეომართა გამოხსნაც ჯამალ ად-დინ ალ-ისფაჰანის საზრუნავი გახდა. საქართველოს სამეფო კართან ადრეული კონტაქტები, ამ მხრივ, მას წარმატების იმედს აძლევდა. ტყვეთა გასათავისუფლებლად ჯამალ ად-დინის ძალისხმევაზე ცნობები შემოგვინახეს არაბულმა და სირიულმა ნარატიულმა წყაროებმა.

იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი იუწყება, რომ ჯამალ ად-დინმა ელჩი გაუგზავნა აფხაზთა მეფეს (გიორგი III-ს) და მის წინაშე შემოხსენებული ჰალდრი კირკ-ტულის განთავისუფლების თაობაზე იშუამდგომლა. მეფემ ვე-

³ ჯამალ ად-დინ ალ-ისფაჰანის ცხოვრების შესახებ იხ. Ibn Khallikan's *Biographical Dictionary*, vol. III, 295-299; Al-Djawad al-Isfahani, Abu Dja'far Muhammad b. 'Ali. – *EP*, vol. II, გვ. 489.

⁴ ალ-ფარიკის შესახებ იხ. ე. სიხარულიძე. ალ-ფარიკი საქართველოში. – *სძ*, II, თბ., 1985, გვ. 83-85.

⁵ იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი, თა'რის ალ-მაიაფარიკინ (დიდი ბრიტანეთის მუზეუმის ვრცელი ნუსხა, OR. 5803), 185; V. Minorsky. *Studies in Caucasian History*, London, 1953, 91, შენ. 4; რ. კიკნაძე. XI-XII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან. – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. I, თბ., 1960, გვ. 126.

⁶ ამ პასუხის შემდეგ მეფე მალე დასნეულდა და გარდაიცვალა (იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი, თა'რის ალ-მაიაფარიკინ, გვ. 185). მოასწრო თუ არა მან ბიმარისტანის აშენება, უცნობია.

⁷ Ibn al-Athir, XI, გვ. 309; ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, გვ. 105, შენ. 68.

ზირის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და გაათავისუფლა ის. ამის გარდა, ჯამალ ად-დინმა გადაიხადა 1000 დინარი, რათა გამოესყიდა სხვა მუსლიმი ტყვეებიც, კერძოდ, ჰიჯაზელი არაბები, რომელთაც არ გააჩნდათ ფული და არ ჰყავდათ პატრონი და ოჯახი.⁸

ტყვეების დასახსნელად ჯამალ ად-დინს საგანგებო ელჩობა გაუგზავნია საქართველოში. ამის შესახებ საყურადღებო ინფორმაციას გვანჯდის სირიული ქრისტიანული ლიტერატურის შესანიშნავი წარმომადგენელი აბუ ლ-ფარაჯ იუჰანნა გრეგორიუს ბარ ჰებრეუსი, იგივე იბნ ალ-‘იბრი (1226-1286).

ბარ ჰებრეუსი, რომელიც მელიტენაში დაიბადა ექიმის ოჯახში, 20 წლისა უკვე იაკობიტთა ეპისკოპოსი იყო, ხოლო 38 წლისა, 1264 წელს – აღმოსავლეთის მაფრიანი (მის შესახებ იხ. ქვემოთ) გახდა. მას რეზიდენცია ჰქონდა ნინევიაში, მოსულის გარშემო რაიონში, მაგრამ ბევრს მოგზაურობდა და ხშირად იმყოფებოდა ქ. მარაღაში, სადაც 1259 წელს ილხან ჰულაგუს ბრძანებით გაიხსნა დიდი ობსერვატორია, რომლის დიდ ბიბლიოთეკაში ეცნობოდა იშვიათ ხელნაწერებს. ბარ ჰებრეუსი ამავე ქალაქში გარდაიცვალა. გარდა სასულიერო სფეროში მოღვაწეობისა, ის იყო მრავალმხრივი, ენციკლოპედიური ცოდნის მეცნიერი და დატოვა მრავალი ნაშრომი,⁹ რომელთაგან ყველაზე ცნობილია მისი ისტორიული თხზულებები. ბარ ჰებრეუსის „ქრონიკა“, შედგება ორი ნაწილისგან. პირველია საერო ისტორია, რომლის სირიული ტექსტი 1890 წელს პარიზში გამოსცა პ. ბეჯანმა.¹⁰ მისი ინგლისური თარგმანი 1932 წელს გამოაქვეყნა ე. ბაჯმა,¹¹ ხოლო მეორე – „საეკლესიო ისტორია“, რომელიც 1877 წელს ლათინური თარგმანით ვ. ტომად გამოსცეს ჯ. აბელომ და თ. ლამიმ.¹² სწორედ ამ თხზულებებშია დაცული ცნობები მოსულის ვეზირის მიერ საქართველოში გაგზავნილი ელჩობის

⁸ *History of Damascus 363-555 AH by Ibn al-Qalanisi*, Ed. with Extracts from other Histories and Summary of Contents by A.F.Amedroz. Catholic Press of Beirut, 1908, გვ. 361; Minorsky. *Studies*, გვ. 91.

⁹ ბარ ჰებრეუსის ცხოვრების და მათი შრომების მოკლე დახასიათების შესახებ იხ. A. S. Atiya. *A History of Eastern Christianity*, London, 1968, 201-208; P. Гусейнов. *Сирийские источники XII-XIII вв. об Азербайджане*, Баку, 1960, გვ.54-62;

¹⁰ *Barhebraei Gregorii Chronicon syriacum*, Ed. Bedjan. Parisiis, 1890.

¹¹ *The Chronography of Gregory Abū’l Faraj, the Son of Aaron, the Hebrew Physician Commonly Known as Bar Hebraeus*. Translated from the Syriac by E.A.Wallis Budge. vol. I, English Translation, Oxford University Press. London, 1932, გვ. 286-287.

¹² *Gregorii Barhebraei, Chronicon ecclesiasticum*. t. I-III, Ed. J. B. Abbeloos et Th. J. Lamy, Lovanii, 1872-1877. ამ ელჩობის შესახებ ინფორმაცია ბარ ჰებრეუსის მიხედვით დამონმეზული აქვს სხვადასხვა ავტორს: Minorsky, *Studies*, გვ. 91; ი. ტაბალუა. *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში*, ტ. III, თბ., 1987, გვ. 25; ჯაფარიძე. *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, გვ.105, შენ. 69.

შესახებ,¹³ რომლებიც ძირითად ნაწილში ერთმანეთს იმეორებენ და ავსებენ კიდევ. საერო ისტორია ბარ ჰებრეუსმა თარგმნა არაბულადაც,¹⁴ მაგრამ თარგმანში ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია არ შესულა.

ბარ ჰებრეუსი წერს, რომ 1161 წელს იბერიელთა მეფემ გიორგიმ თურქებს წაართვა დიდი ქალაქი ანისი, ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი და მრავალი არაბი (ტაიაიე) ტყვე. ამირა ჯამალ ად-დინმა, მოსულში ყველაზე მონყალე ადამიანმა, რომლის წყალობაც იყო უხვი, ტყვეების გამოსასყიდად გიორგისთან ელჩად მაფრიანი იგნატიუსი გაგზავნა.

იგნატიუსი, ერობაში ლაზარ ჰასანის ძე, მალატიის მახლობლად მდებარე ჯუბასიდან იყო. მან სასულიერო განათლება მიიღო მალატიასში და შემდეგ ბერად აღიკვეცა ჯუბასში, წმ. სერგის მონასტერში. 1142 წლის ოქტომბერში ლაზარმა დაიკავა აღმოსავლეთის მაფრიანის თანამდებობა იაკობიტთა (სირიულ) ეკლესიაში და ამიერიდან ეწოდა იგნატიუს ლაზარ II. ის გარდაიცვალა 1164 წლის 14 ივნისს.¹⁵

იმ დროს მრავალი იაკობიტი ცხოვრობდა პალესტინაში, ანტიოქიასა და ედესას შორის მდებარე ტერიტორიაზე, და თვით მოსულშიც. ¹⁶ აღმოსავლეთის მაფრიანის თანამდებობა, რომელიც იგნატიუს ლაზარ II-ს ეკავა, იაკობიტთა ეკლესიაში პატრიარქის შემდეგ მეორე იყო თავისი მნიშვნელობით.¹⁷ ის იყო პატრიარქის მოადგილე საეკლესიო საკითხებში ტიგროსის აღმოსავლეთით მდებარე მიწებზე, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ირანსა და მის იქით მდებარე ქვეყნებში. აღმოსავლეთის მაფრიანს უფლება ჰქონდა, დაენიშნა და გადაეყენებინა ეპისკოპოსები და, საერთოდ, დამოუკიდებლად ასრულებდა მღვდელმთავრის ფუნქციებს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ქვეყნებში.¹⁸ ამ მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირის მეშვეობით ჯამალ ად-დინ ალ-ისფაჰანი იმედოვნებდა გიორგი III-ის დაყოლიებას და არ შემცდარა.

იგნატიუს ლაზარი მარტო არ იყო. მას თან ახლდა ორი ეპისკოპოსი და რამდენიმე არაბი. ამ ამბით გაოცებული ქართველთა მეფე თავად გაემარ-

¹³ *The Chronography of Gregory Abū'l Faraj*, 286-287; Gregorii Barhebraei. *Chronicon ecclesiasticum*, t. III, 354-356.

¹⁴ თა'რიხ მუხთასარ ად-დუვალ ლი-ლ-'ალამა ღრიღურიუს ალ-მალატი ალ-მა'რუფ ბი-იბნ ალ-'იბრი, ბაჰრუთ, 1415/1994.

¹⁵ Ignatius Ephrem I Barsoum, Patriarch of Antioch and all the East (1887-1957). *History of Syriac Sciences and Literature*, Aleppo, 1987, გვ. 380.

¹⁶ J. Prawer. Social Classes in the Crusader States: The "Minorities." – *A History of Crusades*. Kenneth M. Setton General Editor. vol. V. *The Impact of the Crusades on the Near East*. Ed. by N.P. Zacour, H. W. Hazard. The University of Wisconsin Press, 1985, გვ. 77.

¹⁷ Atiya. *A History*, 1968, გვ. 220.

¹⁸ Ignatius Ephrem I Barsoum, *History*, გვ. 502; Atiya. *A History*, გვ. 220.

თა მაფრიანის და მისი თანამგზავრების შესახვედრად, ისინი „პატივით მიიღო და გამოუყო ბინა საცხოვრებლად, ეკლესია ღვთისმსახურებისთვის და ზეიმისთვის, რადგანაც ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ უფლის მოვლინების წინა დღით“.¹⁹ ბარ ჰებრეუსის თანახმად, ეს მოხდა ბერძნების, ანუ სელევკიანთა ერის 1472 წელს,²⁰ რომელიც დიწყო 1161 წლის 1 ოქტომბერს.²¹ „უფლის მოვლინების წინა დღე“ – წინააღმდეგ ნათლისღებისა, რომელიც იწყება 6 იანვარს. ამგვარად, ირკვევა, რომ ჯამალ ად-დინ ალ-ისფაჰანის მიერ გამოგზავნილი ელჩები საქართველოში მოსულან 1162 წლის 5 იანვარს.²²

ბარ ჰებრეუსი აღნიშნავს, რომ მეფემ დააკმაყოფილა იგნატიუსის თხოვნა და მრავალი ტყვე უსასყიდლოდ გაათავისუფლა,²³ სხვები კი ოქროთი გამოისყიდეს მოსულის ვეზირის ელჩებმა.²⁴ ამრიგად, ჯამალ ად-დინის ქველმოქმედებას გიორგი III-მ დიდსულოვანი შესტით უპასუხა, რასაც (არაბული და სირიული წყაროების მოწმობით) საკმაო გამოხმაურება მოჰყვა მახლობელ აღმოსავლეთში.

ქართველმა მეფემ იგნატიუსს მოსულის გამგებელთან საჩუქრები გაატანა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ გიორგი III-სთან მოლაპარაკებაში არა მარტო ჯამალ ად-დინი, არამედ კუტბ ად-დინ მავდუდიც ყოფილა ჩართული. მასთან ურთიერთობის გასამტკიცებლად, გიორგი III-მ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. იგნატიუსს, თავის მხრივ, იბერიელთა ელჩი გააყოლა და როცა ისინი მოსულში მივიდნენ, მისი გამგებელი (კუტბ ად-დინი – გ.ჯ.) გამოვიდა მათ შესახვედრად. ამრიგად, როგორც ერთმა (ქართულმა), ისე მეორე (ზენგიანთა) მხარემ, სანიმუშო თავაზიანობა გამოიჩინეს და ერთმანეთს თავიანთი პატივისცემა დაუდასტურეს.

უაღრესად შთამბეჭდავი იყო ელჩების მსვლელობა მოსულში: „მაფრიანი და ელჩები შევიდნენ ქალაქში ჯვრებით, რომლებიც დამაგრებუ-

¹⁹ Gregorii Barhebraeus. *Chronicon Ecclesiasticum*, გვ. 354.

²⁰ ი. ტაბალუას ეს თარიღი არასწორად აქვს დასახელებული, 1476 წელი, ნაცვლად 1472 წლისა. *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში*, გვ. 25. მკვლევარმა ყურადღება არ მიაქცია არც იმას, რომ ბარ ჰებრეუსის ლათინურ თარგმანში ამ თარიღთან ფრჩხილებში მოტანილია ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1161 წელი.

²¹ იხ. Wüstenfeld-Mahler'sche Vergleichungs-Tabellen, unter mitarbeit von Joachim Mayr neu bearbeitet vom Berthold Spuler. Wiesbaden, 1961, გვ. 67.

²² წინამდებარე სტატიის პირველ გამოცემასთან შედარებით, თარიღი დაზუსტებულია.

²³ *The Chronography of Gregory Abū'l Faraj*, გვ. 286; ამასვე მოწმობს ჰალდრი კირკ-ტულის გათავისუფლება, რასაც იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი მოგვითხრობს (იხ. ზემოთ).

²⁴ Gregorii Barhebraeus. *Chronicon Ecclesiasticum*, გვ. 356; ტაბალუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში*, გვ.25.

ლი იყო შუბის თავებზე²⁵ და ამით საჯაროდ მოახდინეს ქრისტიანული რწმენის სიმბოლოს დემონსტრირება, რაც მუსლიმური კანონმდებლობით, მუსლიმთა იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე იკრძალებოდა.²⁶ აქვე დავძენთ, რომ ეს, ფაქტობრივად, პირველი ცნობაა იმის თაობაზე, თუ როგორ იღებდნენ ქრისტიანული საქართველოს ელჩს იმდროინდელ ისლამურ სამყაროში, მის ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკურ ცენტრში.

ბარ ჰებრეუსი აღნიშნავს, რომ ქართველთა ელჩობა იყო „სანუგეშო, როგორც ქრისტიანებისთვის, ისე არაბებისთვის – მათი ტყვეების განთავისუფლების გამო“.²⁷ ჯამალ ად-დინ ალ-ისფაჰანიმ მიიღო ის, რისთვისაც იღწვოდა. მოსულის ქრისტიანებმა კი იგრძნეს და მიიღეს აღმავლობის გზაზე მყოფი ძლიერი ქრისტიანული საქართველოს მხარდაჭერა.

ჟ. ფიეი, აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, რომელიც ეხება მოსულის ქრისტიანთათვის ამ ელჩობის პოზიტიურ შედეგებს, მიუთითებს, რომ იგნატიუს ლაზარმა მოიპოვა უფლება, რომ აეშენებინა სამლოცველო მოსულის მახლობლად მდებარე სოფელ ბარ-თელიში და საპატრიარქო სენაკი, რომელიც ეკვროდა ამ სოფლის მთავარ ეკლესიას. დაახლოებით ამავე დროს განახლდა მოსულიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 35 კმ-ზე ბარ ბეჰნამის მონასტრის ეკლესიის დარბაზი. დარბაზში, პატარა კარების ხელმარჯვნივ, რომელსაც მივყავართ ეპისკოპოსთა საფლავებისკენ, მინიდან 1,25 მეტრის სიმაღლეზე, კლდეში დატანებულია 22x30 სმ სიდიდის ქვა, რომელზეც ამოკვეთილია V საუკუნის წმინდანის ბარ ბეჰნამის გამოსახულება. ცხენზე ამხედრებული, ჯვაროსანთა სამოსში გამონყობილი წმინდანი ჯვრით დაბოლოებული შუბით გმირავს სატანას,²⁸ ე.ი. ისლამს.

²⁵ *The Chronography of Gregory Abu'l Faraj*, გვ. 287; Gregorii Barhebraeus. *Chronicon Ecclesiasticum*, გვ. 356; ტაბალუა. *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში*, გვ. 25. ისლამურ სამყაროსა და ბიზანტიაში შუბი არასაბრძოლო დანიშნულებითაც გამოიყენებოდა. შუბის თავზე ალამსაც აბამდნენ ხოლმე (იხ. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი. *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*. ტ. III-IV, თბ., 1962, გვ. 229).

²⁶ ბარ ჰებრეუსი არ წერს, მაგრამ ა. ფიეი თვლის, რომ ქართველები მოსულში შესულან ამხედრებულები, რაც ისლამის ქვეყნებში ქრისტიანებს, ასევე, ეკრძალებოდათ. J. M. Fiey. Nasara. – *EP*, vol. IV, 1993, გვ. 972.

²⁷ *The Chronography of Gregory Abu'l Faraj*, გვ. 287.

²⁸ ქრისტიანულ, მათ შორის, ქართულ იკონოგრაფიაში, წმინდანთა შუბები, რომლებიც თაც გმირავენ სატანას, ხშირად ჯვრით ბოლოვდება. იხ. მაგალითად, Г. Н. Чубинашвили. *Грузинское чеканное искусство. Исследование по истории грузинского средневекового искусства*. Иллюстрации. Тб., 1959, №№ 34-35, 40-43, 183-184, 191, 193, 230 და სხვ.



მარ ბეჰნამი გმირავს სატანას

ჟ. ფიეი ფიქრობს, რომ მისი შექმნა უცნობ ხელოვანს შთააგონა „ქართველი ჯვაროსნების“ საზეიმო შესვლამ მოსულში²⁹. ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს საქართველოსა და მოსულის ზენგიანთა ურთიერთობის განხილულ ეპიზოდს და ფასეულს ხდის მას საქართველოს დიპლომატიის ისტორიის შესწავლისას.

GEORGIA AND THE ZANGIDS OF MOSUL (1161)

On August 4, 1161 the Georgian King Giorgi III (1156-1184) routed a Muslim coalition led by Shah-Arman Sukman II (1128-1185) at Ani, taking numerous captives. Following the defeat in the field, the diplomacy of neighbouring Muslim states took action towards getting the captured troops released. Particularly active was Jamal al-Din al-Isfahani, the vizier of the Zangid ruler of Mosul, Qutb al-Din Mawdud (1149-1170). Jamal al-Din Isfahani sent the Maphrian of the East, the Jacobite Ignatius Lazarus II (1142-1164), as an envoy to Giorgi III. This was followed by a return embassy of the Georgians to Mosul. These diplomatic contacts and their consequences for the Muslims and the Christians are studied in the paper on the basis of Arab and Syrian authors (Ibn al-Azraq al-Fariqi, Abu'l-Faraj Bar Hebraeus).

²⁹ J. M. Fiey. *Mossoul chrétienne*. Beyrouth (უთარილო), 37; მისივე. *Assyrie chrétienne*, vol. 11, Beyrouth, 1965, გვ. 602-604; მისივე. *Nasara*, გვ. 972.

თანაავტორი თ. ნატროშვილი

ცდა ერთი თარიღის დადგენისა*

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „თამარ მეფის გარდაცვალების შესახებ მტკიცე და ერთხმივი ცნობები არ მოგვეპოვება: ერთი წყარო თარიღად 1210 წ. თვლის, მეორე – 1191 წ., სხვა წყაროებში კიდეც 1207 წ... სიმართლის გამორკვევა წყაროების ასეთი უთანხმოების გამო ადვილი საქმე არ არის“.¹

ცხადია, დაბნეულობა შეიპყრობს მკითხველსაც და მკვლევარსაც, როდესაც თვალს გადაავლებს სხვადასხვა მეცნიერის შრომებს და ამოიკითხავს თამარის გარდაცვალების სხვადასხვა თარიღს: 1201 წ. (ვახუშტი ბაგრატიონი), 1207 წ. (ს. კაკაბაძე), 1212 წ. (მ. ბროსე, პ. ინგოროყვა), 1213 წ. (თ. ჟორდანიას, ი. ჯავახიშვილი), 1216 წ. (კ. კეკელიძე).

მართალია, ქართულ ისტორიოგრაფიაში თამარის გარდაცვალების თარიღად დამკვიდრდა 1213 წელი,² მაგრამ ბოლო ხანებში ხელახლა დაისვა საკითხი აღიარებული თარიღის გადასინჯვის თაობაზე. ს. კაკაბაძის მიერ დადგენილ თარიღს (1207 წ.)³ გარკვეული არგუმენტაციით მხარი დაუჭირეს ბ. სილაგაძემ⁴ და ჯ. ოდიშელმა.⁵

როგორც ჩანს, აღიარებული თარიღი მაინც საჭოჭმანო და სადავო ყოფილა.

იმ საბუთებს, რომელთა საფუძველზე ფიქრობენ, რომ თამარ მეფე გარდაიცვალა 1207 წელს, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი ღირებულება ექნე-

* პირველად დაიბეჭდა 1974 წ. – *მაცნე* (ელს), №1, გვ. 151-165.

¹ ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*. ტ. II, თბ., 1965, გვ. 290.

² უცხოელი მკვლევარნი მეტწილად იმონებენ ბროსესეულ თარიღს – 1212 წ.

³ ს. კაკაბაძე. *რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი*. თბ., 1966, გვ. 229-230. ადრინდელი ნაშრომების მითითება იხ. იქვე, გვ. 230, შენ. 1.

⁴ ბ. სილაგაძე. XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ აღ-ასირის ცნობათა შუქზე. – *საქართველო რუსთაველის ხანაში* (რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული), თბ., 1966, გვ. 124-129.

⁵ მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1968, გვ. 94-96.

ბოდა, სარწმუნო ფაქტად რომ არ გამოიყურებოდეს დავით სოსლანის გარდაცვალება 1207 წელს – ყარსის აღების შემდეგ.⁶

იბნ ალ-ასირისა და ბასილი ეზოსმოდღერის მონათხრობი ქართველთა მიერ ყარსის აღებაზე, ჩვენი აზრით, ერთსა და იმავე მოვლენას ასახავს.

უპირველეს ყოვლისა, ემთხვევა თარიღები. იბნ ალ-ასირის ცნობით, ყარსის აღება მომხდარა 603 წელს ჰიჯრით⁷ (1206 წლის 8 აგვისტო – 1207 წლის 27 ივლისი), ბასილი ეზოსმოდღერის მიხედვით – ასევე 1206/7 წელს.⁸ ემთხვევა მთელი რიგი დეტალებიც.

იბნ ალ-ასირი: ყარსის ციხეს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა შემორტყმული ალყა.⁹

ბასილი ეზოსმოდღვარი: „მრავლით უამითგან ჰბრძოდეს სარგის თმოგუელი, შალვა თორელი და მესხნი, გარნა ვერარა ღონე ქმნეს აღებისა.. გარე შემოუხუნეს ყოველნი ციხენი და სოფელნი და იგი მხოლო მარტო ჰქონდათ სპარსთა“.¹⁰

იბნ ალ-ასირი: საბოლოოდ ყარსის გამგებელი მოურიგდა ქართველებს და ჩააბარა ციხე.¹¹

ბასილი ეზოსმოდღვარი: ყარსელებმა ჩააბარეს კლიტენი ციხისა თამარსა და მის ძეს.¹²

იბნ ალ-ასირის მიხედვით, ყარსის აღებას უშუალოდ მოჰყვა ქართველთა დედოფლის გარდაცვალება.¹³

ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამასვე მოგვითხრობს ბა-

⁶ სწორედ ამ თარიღს გულისხმობდა ი. ჯავახიშვილი, როდესაც წერდა: „დავით სოსლანის სიკვდილის თარიღი ცხადად არსად არის აღნიშნული, მაგრამ სხვადასხვა წყაროში მოიპოვება ერთი ქრონოლოგიური ცნობა, რომელიც, უეჭველია, დავით სოსლანის სიკვდილს უნდა ეხებოდეს“. ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 279.

⁷ იბნ ალ-ასირ. *ალ-ქამილ ფი თ-თა'რიხ*. კაირო, 1929-1938 (ნაჯჯარის გამოცემა), ტ. IX, გვ. 289. ვარდანი ყარსის აღებას ათარიღებს 1206 წლით. იხ. Всеобщая история Вардана Великого. Перевел Н. Эмин, М., 1861, გვ. 169.

⁸ ბასილი ეზოსმოდღვარი გადმოგვცემს: „... ოცდამესამედ, გინა-თუ მეოთხედ, აღმავლობასა მეფობისა მისისა წელიწადსა იკითხა საქმე კარისა“ (ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 143). მისივე სიტყვით, თამარი გამეფდა 1183 წელს (იქვე, გვ. 116). მაშასადამე, ავტორის მიერ აღნიშნული ოცდამესამე და ოცდამეოთხე წელიწადი თამარის მეფობისა უდრის 1206/7 წ.

⁹ იბნ ალ-ასირი, გვ. 289.

¹⁰ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 143.

¹¹ იბნ ალ-ასირი, გვ. 289.

¹² ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 143-144.

¹³ იბნ ალ-ასირი, გვ. 289.

სილი ეზოსმოდღვარიც.¹⁴ მაგრამ გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ბასილი ეზოსმოდღვრის თხზულებას სრული სახით ჩვენამდე არ მოუღწევია.¹⁵ მისი მეორე ნაწილი ივ. ჯავახიშვილმა აღადგინა ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიის მიერ შევსებული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სადაც თამარის მეფობის მომთხრობელი ტექსტი შეუდარა „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტს და რაც ამ უკანასკნელთან შედარებით ზედმეტი აღმოჩნდა შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“, ის მიიჩნია თამარის მეორე ისტორიკოსის (ანუ ბასილი ეზოსმოდღვრის) ნაწარმოებიდან ამოღებულად.¹⁶

ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს, რომ ივ. ჯავახიშვილის მიერ მოწოდებული გამოკვლების მეთოდით მიღებული ნაშთი ყოველთვის არ იქნება ბასილი ეზოსმოდღვრის თხზულების ხალასი ტექსტი.¹⁷

შედარებითი შესწავლის შედეგად ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ „ქართლის ცხოვრების“ შემავსებელთ ბასილი ეზოსმოდღვრის ყველა ცნობით არ უსარგებლიათ“...უნდა გვახსოვდეს მუდამ და ვიცოდეთ, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულების დაკარგული ნაწილის ზემოაღნიშნული გზით აღდგენილი ტექსტი დედნის სრულ ტექსტად ვერ ჩაითვლება. მას შეიძლება და უეჭველია, ამაზე მეტიც უნდა ჰქონოდა“.¹⁸

ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ ვახტანგის სწავლულ კაცებს თამარის ისტორიაზე რედაქციული მუშაობის დროს შესაძლებლად დაუნახავთ თამარის ორი ისტორიის შერწყმა და, ხშირ შემთხვევაში, რიგრიგობით არის მოთავსებული თამარის პირველი ისტორიკოსისა და ბასილი ეზოსმოდღვრის ტექსტები. „ერთი სიტყვით, ეს ორი ისტორიკოსი ერთიმეორეს ავსებს თავისი მოთხრობილი ამბებით“.¹⁹

ბასილი ეზოსმოდღვარი ყარსის ალების ეპიზოდში ორჯერ ასახელებს დავით სოსლანს, რომელიც საქართველოს ლაშქარს სარდლობდა. განსაკუთრებით მრავლისმთქმელია მეორე დასახელება: ყარსელებმა უკვე შენ-

¹⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 144.

¹⁵ როგორც ცნობილია, ჭალაშვილისეული ნუსხა, აღმოჩენილი 1923 წელს ივ. ჯავახიშვილის მიერ, შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილი (XVI ს. ხელნაწერი) წყდება რუქნ ად-დინთან ომის უწინარეს ამბავზე და დანაკლისი შევსებულია ვახტანგის შემდეგდროინდელი ერთ-ერთი ნუსხიდან. დანვრ. იხ. ივ. ჯავახიშვილი. *ძველი ქართული საისტორიო მწერლობა*. თბ., 1945, გვ. 394; ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის შესავალი წერილი, გვ. 016.

¹⁶ ივ. ჯავახიშვილი. *ძველი ქართული საისტორიო მწერლობა*, გვ. 395; ს. ყაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 017.

¹⁷ ს. ყაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 018.

¹⁸ ი. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 395.

¹⁹ ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 019-020.

ყვიტეს წინააღმდეგობა. „დაშთომილთა მათ ითხოვეს დავითისგან, რათა თვით თამარ მივიდეს“.²⁰

ვახტანგისეულ ნუსხებში ბასილი ეზოსმოძღვრის ტექსტს ყარსის აღებაზე მოსდევს ვრცელი თხრობა, ამოღებული „ისტორიათა და აზმათაგან“, რომელიც იწყება დავით სოსლანის გარდაცვალებით.²¹

ამრიგად, საგულვებელია, რომ ყარსის აღების შემდეგ გარდაიცვალა არა თამარ მეფე, არამედ – დავით სოსლანი.²²

მაშასადამე, ორი წყარო, არაბული და ქართული, თითქმის ერთნაირად გადმოგვცემს ყარსის აღებას და ერთნაირადაც ათარილებს. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ არაბულ წყაროში ხსენებული ეპიზოდის შემდეგ აღნიშნულია გარდაცვალება საქართველოს დედოფლისა, ხოლო ქართულ წყაროში – დავით სოსლანისა.

ბუნებრივია, რომ უფრო სანდოდ მივიჩნიოთ ქართული წყაროს ცნობა.

იბნ ალ-ასირის თხზულების ღირებულებაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ გადაჭარბება იქნება, ყოველმხრივ ექვემდებარებულ წყაროდ გამოვაცხადოთ იგი.

შეცდომას ხომ არ უშვებს იბნ ალ-ასირი?

უეჭველია, რომ ყარსის აღების შემდეგ გარდაიცვალა დავით სოსლანი ანუ მეფე დავითი (როგორც იხსენიებენ ქართული წყაროები). მაშასადამე, უცხოეთში ვრცელდებოდა ხმა საქართველოს მეფის გარდაცვალებაზე და ადვილი დასაშვებია, რომ ნაკლებად ცნობილი დავით სოსლანის გარდაცვალება მიეჩნიათ საქართველოს მეფე-ქალის გარდაცვალებად.²³

ამასთან ერთად, მოიპოვება სხვა ცნობები, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ თამარ მეფე 1207 წელს ნამდვილად არ გარდაცვლილა.

²⁰ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 143.

²¹ იქვე, გვ. 144, შენ. 1; შდრ., ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. I, მ. ბროსეს გამოცემა, პეტერბურგი, 1849, გვ. 326.

²² ბასილი ეზოსმოძღვარი, რომელმაც დაგვიტოვა თამარის ავადმყოფობისა და გარდაცვალების ვრცელი აღწერილობა, ცხადია, ორიოდ სიტყვით მაინც აღნიშნავდა მისი მეუღლის გარდაცვალების ფაქტს, მაგრამ შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა შეუტანიათ, რადგან ერთი და იგივე ეპიზოდი ერთნაირად იქნებოდა გადმოცემული. ანალოგიურ შემთხვევას მიუთითებს ს. ყაუხჩიშვილი (დასახ. ნაშრ., გვ. 034-035).

²³ ალბათ, ასევე უნდა აიხსნას ვარდანისეული თარიღი (1206 წ.), რომელსაც იმონებენ მ. ბროსეს მიხედვით. სხვათა შორის, ნ. ემინის თარგმანით, ვარდანი აღნიშნავს არა თამარის, არამედ – მისი მეუღლის გარდაცვალებას (ვარდანი, გვ. 171). რაც შეეხება ლაშა-გიორგისდროინდელ მატთანესა და კინკლოსურ ქრონიკებში მოცემულ თარიღს, ისიც მიჩნეულია დავით სოსლანის გარდაცვალების თარიღად. დანვრილებით იხ. ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, ტ. II, გვ. 279-280.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „...1207 წ. თამარის გარდაცვალების თარიღად სრულიად შეუსაბამო რამე არის და სხვა მტკიცე ისტორიულს ცნობებს (თუნდ სპარსეთში ქართველთა ძლევამოსილს ლაშქრობას) ეწინააღმდეგება“.²⁴

ირანში ლაშქრობის აღწერას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.²⁵

თხრობის დასაწყისში მოცემულია ლაშქრობის გეგმა, რომელიც წამოუყენებიათ თამარის წინაშე საქართველოს მხედართმთავრებს: „*ან ბრძანოს მეფობამან თქუენმან, რათა არა ცუდად დავინწყებასა მიეცნეს სადამე სპათა შენთა საქმენი, არამედ აღვამხედროთ ერაცს, რომ-გურსა ზედა, რომელ არს ხორასანი*“.²⁶

ისტორიკოსი გვანდის ქართული მხედრობის მთელ მარშრუტს, ზედმინწევნით ზუსტად ასახელებს გეოგრაფიულ პუნქტებს, დანვრილებით გამოგვცემს საბრძოლო ეპიზოდებს და ბოლოს გვაუწყებს იმასაც, თუ რამდენად განხორციელდა ლაშქრობის დასახული გეგმა: „*და უშინაგანესისა რომ – გურისა მიმართ მიიწინეს, რომელ არს ხორასანი*“.²⁷

თამარის პირველი ისტორიკოსის მიხედვით, ირანში ლაშქრობა მომხდარა თამარის სიცოცხლეში.²⁸ ამას ადასტურებს ორი თანადროული ქართული წყაროც.

ივ. ჯავახიშვილი წერდა ბასილი ეზოსმოდვრის შესახებ: „...ჩვენს ისტორიკოსს, სხვათა შორის, ნათქვამი აქვს, რომ თუ მომავალი თაობანი თამარის მეფობის დიდებულების ამბავს არ დაიჯერებენ, ასეთმა ურწმუნოებმა გაიხ-

²⁴ ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, ტ. II, გვ. 279.

²⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 103-109.

²⁶ იქვე, გვ. 103; რომ-გურის შესახებ იხ. ვ. გაბაშვილი. ქართული წყაროების „რომგური“. – *სსმა მაცნე*, 1971, № 4, გვ. 124-130.

²⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 107; სხვათაშორის, კ. კაენი ასე ახასიათებს ამ ლაშქრობას: „...an almost lunatic escapade which once took a Georgian force up to the very borders of Khorasan“ – C. Cahen. *The Turks in Iran and Anatolia before the Mongol invasions*. – *History of the Crusades*, ed. by K. M. Setton and M. W. Baldwin, vol. II, Philadelphia, 1962, გვ. 665.

²⁸ ს. კაკაბაძე თავდაპირველად ამტკიცებდა, რომ „სპარსეთზე გალაშქრება“, რომელიც, ფაქტობრივად, ლაშა-გიორგის დროს შეიძლება მომხდარიყო, შეცდომით თამარის მეფობაშია შეტანილი (*საისტორიო მოამბე*, ტ. I, გვ. 289). მკვლევარმა შემდგომში გადასინჯა თავისი მოსაზრება. იგი აღნიშნავს: „თამარის დროს 1206 წელს ჩრდილოეთ ირანში მოწყობილი ლაშქრობა“. იხ. ს. კაკაბაძე. *რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი*, გვ. 25. ლაშქრობის დათარიღება, ეტყობა, გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ თამარის გარდაცვალების იმ თარიღიდან, რომელსაც ამტკიცებდა ს. კაკაბაძე. 1206 წელი ნამდვილად შეუსაბამასო თარიღია და არავითარი საბუთი არ მოეპოვება.

სენონ „ერაყამდის მისგან დადებული ხარაჯა და ბალდადის კერძ მარალამდის“ და მაშინ დარწმუნდებიან, რომ ყველაფერი, რაც ნაამბობია, მართალი არისო. ვინც თამარ მეფის დროინდელი საქართველოს ისტორია იცის, ის, რასაკვირველია, მაშინვე მიხვდება, რომ ჩვენს ავტორს აქ საქართველოს ლაშქრის სპარსეთში ძლევამოსილი გალაშქრება აქვს ნაგულისხმევი, როდესაც ზემომოყვანილ წინადადებაში აღნიშნული ამბები მართლაც მოხდა“.²⁹

მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე, რომელიც თითქოსდა 1207 წლით ათარილებს თამარის გარდაცვალებას, იმავდროულად, თამარის მეფობის აღწერილობაში მოიხსენიებს ირანში ლაშქრობას: „დალენნეს სპარსეთისა ქალაქნი, და მარანდი ამოსწყვიდეს და ერანის ქუეყანა. ესდენად სიშორესა შინა მივიდენ, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა“.³⁰

„სპარსეთისა ქალაქნი“ და „ერანის ქუეყანა“ აშკარად მიგვანიშნებს, რომ ლაპარაკია სწორედ იმ დიდ ლაშქრობაზე, რომელსაც აღწერს თამარის პირველი ისტორიკოსი.³¹ ამას თვალნათლივ ადასტურებს ქ. მარანდის დასახელება ლაშა-გიორგისდროინდელ მატიაანეში.³²

რაც შეეხება ზემოხსენებული ცნობის მეორე ნაწილს, ისიც ემთხვევა თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვებს ირანში ლაშქრობასთან დაკავშირებით: „ქართველთა ნათესავი ვერავინ მიწვენილ იყო ლაშქრად, არა მეფე, არა მთავარი“.³³

²⁹ ივ. ჯავახიშვილი. *ძველი ქართული საისტორიო მწერლობა*, გვ. 395-396. შდრ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 123-124.

³⁰ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 104-107.

³¹ როგორც ცნობილია, „ისტორიანსა და აზმანში“ ჩამოთვლილია კიდეც ქართული მხედრობის მიერ აღებული სპარსეთისა ქალაქნი: მარანდი, თავრიზი, მიანა, ზანგანი, ავჰარი, ყაზვინი, გურგანი. იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 104-107.

³² მარანდის აღებას საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი „ისტორიანსა და აზმანში“. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 104-105. სწორედ ქ. მარანდთან ყოფილა ყველაზე სერიოზული ბრძოლა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, მარანდის აღებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა თავრიზელებზე, რომ მათ უბრძოლველად დამორჩილება არჩიეს (ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, ტ. II, გვ. 105-106). „ისტორიანსა და აზმანში“ ჩამოთვლილ ქალაქთაგან, ჩანს, მარანდის აღებას ჰქონია ყველაზე დიდი გამოძახილი, ვინაიდან, უცხოური წყაროებიც, ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის მსგავსად, ქართველთა მიერ მარანდის აღებას აღნიშნავენ.

³³ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 107. ანალოგიურ გამოთქმას ვხვდებით ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში, სადაც მოტანილია გიორგი ლაშას სიტყვა ივანე ათაბაგისადმი (განჯაზე ლაშქრობის დროს), რომელიც არ შემოუნახავთ სხვა ქართულ წყაროებს; კერძოდ აღნიშნულია „არასდროს არ გაგონილაო სხვათა საქართველოს მეფეების

ამრიგად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული ლაშქრობის დათარიღებას.

სამივე ქართული წყარო დუმს თარიღის შესახებ.

თარიღი არაა მითითებული არც იაკუთის გეოგრაფიულ ლექსიკონში, სადაც ვკითხულობთ, რომ მარანდის განადგურება დაიწყო მას შემდეგ, რაც ქართველებმა ააოხრეს ქალაქი და ტყვედ წაიყვანეს დიდძალი მისი მცხოვრები.³⁴ ვ. მინორსკი იმონმებს იაკუთის ცნობას და შენიშნავს, რომ ეს არის უალრესად ძვირფასი საბუთი ქართველთა ლაშქრობაზე ირანში, რასაც დაწვრილებით მოგვითხრობს ქართული წყარო.³⁵

კიდევ უფრო ძვირფასი ცნობა მოიპოვება იბნ ხალიქანის ბიოგრაფიულ ლექსიკონში, რომელსაც თავის დროზე ყურადღება მიაქციეს დეფრემერიმ და ივ. ჯავახიშვილმა.

იბნ ხალიქანი გადმოგვცემს ცნობილი სწავლულის 'იზზ ად-დინის ბიოგრაფიას. ეს პიროვნება დაბადებულია ქ. არბელაში 534 /1139-40) წელს, შემდგომში იქიდან გაუძევებია ქალაქის გამგებელს და 'იზზ ად-დინი დამკვიდრებულია ქ. მოსულში.³⁶

იბნ ხალიქანი აგრძელებს: „ეს მოხდა, რამდენადაც ვიცი, 602 ან 603 წელს, მაგრამ იბნ ბატიში ამბობს, რომ ეს იყო 606 წელს. იმავე წელს ქართველები გამოემართნენ და აიღეს მარანდი, ქალაქი, დაქვემდებარებული აზერბაიჯანზე, არბელას მახლობლად; მათ გაძარცვეს იგი; ამოჟლიტეს მცხოვრებთა ნაწილი და წაიყვანეს ტყვეობაში დანარჩენნი“.³⁷

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ, შესაძლოა, იბნ ხალიქანის თარიღი ეხებოდეს ქ. არდებილის აღებას, ხოლო იბნ ბატიშის თარიღი – ირანში ლაშქრობას.³⁸

ჩანს, ივ. ჯავახიშვილის დასკვნა განაპირობა დეფრემერის კონიექტუ-

ყმათაგანო ძველით აქნობამდისანო, რომ ერანი, ერაყი და ხორასანი დაერბოსო თქვენის მეტსაო, რომ თქვენ დაარბივეთო...“ (ციტირებულია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: რ. კიკნაძე. კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა-გიორგის ისტორიისათვის. – *საქართველო რუსთაველის ხანაში* (რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული), თბ., 1966, გვ. 99). სხვათა შორის, ფარსადან გორგიჯანიძეც ხაზს უსვამს, რომ ირანში ლაშქრობა მომხდარა თამარის სიცოცხლეში (იქვე).

³⁴ იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ, თბ., 1964, გვ. 83.

³⁵ V. Minorsky. Marand. – *Encyklopaedie des Islam*, III, Leiden-Leipzig, 1936, გვ. 290.

³⁶ Ibn Khalikan's Biographical Dictionary. Translated by Mac Guckin de Slane, vol. I, Paris, 1843, გვ. 489.

³⁷ იქვე, გვ. 490.

³⁸ ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, ტ. II, გვ. 287.

რამ, რომელმაც იბნ ხალიქანის მიერ დასახელებული ქ. არბელა, რატომ-ღაც, მიიჩნია არღებულად.³⁹

მაგრამ არღებილი აქ არაფერ შუაშია. თავისთავად, ქ. არბელა (ანუ ირბილი) არც ისეა დაშორებული ქ. მარანდს, რომ გვეუცნაუროს იბნ ხალიქანის ნათქვამი („მარანდი, არბელას მახლობლად“). მანძილი მარანდ-არბელას შორის თითქმის იგივეა, რაც მარანდ-არღებულს შორის. მთავარი კი ისაა, რომ სწორედ ქ. არბელადან გააძევეს ზემოხსენებული პიროვნება და იბნ ხალიქანი მარანდის აღებას აღნიშნავს, როგორც იმავე წელს მეზობელ ქალაქში მომხდარ ღირსშესანიშნავ მოვლენას. შემდეგ იმონმებს ‘იზ ად-დინის შვილის მიერ შეთხზულ ლექსს, სადაც არბელელთა უსამართლობა და სისასტიკე შედარებულია ქართველების ანალოგიურ მოქმედებასთან ქ. მარანდში.⁴⁰

ერთი სიტყვით, იბნ ხალიქანის ტექსტში მხოლოდ და მხოლოდ მარანდის აოხრებაა მოხსენიებული.

იბნ ხალიქანიც და იბნ ბატიშიც ათარიღებენ ‘იზ ად-დინის გაძევებას ქ. არბელადან. მაგრამ ქართველებს აუღიათ ქ. მარანდი „იმავე წელს“ ანდა „სწორედ იმ წელს“. დამონმებული გამოთქმა, კონტექსტის მიხედვით, იბნ ბატიშის თარიღს უნდა ეხებოდეს, რომელიც უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება, ვინაიდან, თვითონ იბნ ხალიქანი ორჭოფულ თარიღს დებს: 602-603 წწ. (1205 წ. 18 აგვისტო – 1207 წ. 27 ივლისი). მისივე სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი არაა დარწმუნებული მოცემული თარიღის უეჭველობაში და, შესაძლოა, ამიტომაც იმონმებს თავის მასწავლებელს იბნ ბატიშს. ამასთან ერთად, ‘იზ ად-დინის გაძევებისას, იქნება ეს 602 თუ 606 წელი, იბნ ხალიქანი დაბადებულიც არ იყო.⁴¹ ხოლო იბნ ბატიში, ქ. მოსულის მკვიდრი, იმ ხანებში, დაახლოებით, ოცდაათ წელიწადს ითვლიდა.⁴² ისიც უნდა მივუთითოთ, რომ სწორედ ქ. მოსულში, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იბნ ბატიში, ჩავიდა ქ. არბელადან გაძევებული ‘იზ ად-დინი და მოსულშივე გარდაიცვალა 1222 წ.⁴³ მაშასადამე, ‘იზ ად-დინის გაძევების ზუსტი თარიღი იბნ ბატიშს უფრო უნდა სცოდნოდა, ვიდრე – იბნ ხალიქანს.

ამრიგად, იბნ ბატიშის მიხედვით, მარანდის აღების თარიღია 606 (1209 წ. 6 ივლისი – 1210 წ. 24 ივნისი) წელი. თუ გავითვალისწინებთ თამარის პირველი

³⁹ Fragments de géographes et d'historiens Arabes et Persans inédités, relatifs, aux anciens peuples du Caucase et de la Russie méridionale traduits et accompagnés de notes critiques par C. Defrémery. – *JA*, XIII, juin., 1849, გვ. 520, შენ. 1.

⁴⁰ იბნ ხალიქანი, გვ. 490.

⁴¹ იგი დაიბადა 1211 წელს (იბ. იბნ ხალიქანი, გვ. IX).

⁴² იბნ ხალიქანი, გვ. 187, შენ. 5.

⁴³ იქვე, გვ. 490.

ისტორიკოსის ცნობას ლაშქრობის დაწყებაზე: „მოინია არე სთულისა“,⁴⁴ უნდა დავასკვნათ, რომ ლაშქრობა ირანში მომხდარა 1209 წლის შემოდგომაზე.

დეფრემერი აღნიშნავს, რომ იბნ ბატიშის თარიღი უკეთ ეთანხმება სომხურ წყაროებს და იმონებს მ. ჩამჩიანის ცნობას (სენ-მარტენის მიხედვით).⁴⁵

მ. ჩამჩიანი მარანდის აღების თარიღად 1209 წელს სდებს.⁴⁶

მ. ბროსე წერდა, რომ ქართული მხედრობა ირანისაკენ დაიძრა 1209 წლის დამლევს.⁴⁷

ჩვენი აზრით, ირანში ლაშქრობის ყველაზე სარწმუნო თარიღად უნდა ჩაითვალოს 1209 წელი, ხოლო თამარის პირველი ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოდვრის და ლაშა-გიორგისდროინდელი მემატეანის ერთობლივი მონებით, ეს ლაშქრობა მომხდარა თამარის მეფობაში.

მამასადამე, თამარი ცოცხალია 1209 წელსაც.

⁴⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 104.

⁴⁵ Defremery. დასახ. ნაშრ., გვ. 520, შენ. 1.

⁴⁶ M.-J. Saint-Martin. *Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie*, t. I, Paris, 1818, გვ. 382. მართალია, მ. ჩამჩიანი XVIII საუკუნის ისტორიკოსია, მაგრამ, ლ. ბაბაიანის სიტყვით, მისი ნაშრომი დღესაც ინარჩუნებს თავის სამეცნიერო ღირებულებას, ძირითადად იმ მნიშვნელოვან წყაროთა წყალობით, რომელნიც თავის დროზე გამოუყენებია მ. ჩამჩიანს და შემდგომში დაკარგულა. ლ. ბაბაიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მ. ჩამჩიანის ნაშრომი ერთგვარად პირველწყაროს წარმოადგენს და შეიცავს ძვირფას ფაქტობრივ მასალას (Jl. O. Babayan. *Социально-экономическая и политическая история Армении в XIII-XIV веках*, М., 1969, გვ. 3); აქვე უნდა დავუმატოთ, რომ კირაკოზ განცაკელიც მოიხსენიებს ქ. მარანდის აღებას (დაუთარიღებლად) და ზაქარია მხარგრძელის მიერ შურისძიების მოტივით ჩატარებულ რეპრესიებს (იხ. Kiracos de Gantzac. *Histoire d'Arménie*. Traduits par M. Brosset. St.-Petersbourg, 1870, გვ. 91). მის თხრობას, თითქმის, სიტყვასიტყვით ემთხვევა ვარდანის თხზულებაში აღწერილი აღება – ქ. არდებილისა (ვარდანი, გვ. 171). საფიქრებელია, რომ კირაკოზსაც ქ. არდებილის აღება უნდა ჰქონდეს მოთხრობილი და ქ. მარანდს შეცდომით მიუთითებდეს, ვინაიდან, თამარის პირველი ისტორიკოსის თანახმად, შურისძიებით გამონვეული რეპრესიები ჩატარდა სწორედ არდებილში. იხ. *ქართლის ცხოვრება*, ტ. II, გვ. 102.

⁴⁷ მ. ბროსე. საქართველოს ისტორია, ნათარგმნი და განმარტებული ს. ლოლობერიძის მიერ. გამოცემა ნ. ლოლობერიძისა, თფილისი, 1895, გვ. 175; დასახელებული ნაშრომი წარმოადგენს თარგმანს მ. ბროსეს ხელნაწერიდან (Очерк критической истории Грузии), რომელიც დაწერილია 1855 წელს, ე.ი. ოთხი წლის შემდეგ მისივე ცნობილი გამოკვლევის (“Additions”) გამოქვეყნებიდან, სადაც ირანში ლაშქრობის თარიღად აღნიშნული ჰქონდა 1211. იხ. M. Brosset. *Additions et éclaircissements à l'Histoire de la Georgie*. St.-Petersbourg, 1851, გვ. 297.

ნუმიზმატიკური მასალა

ირკვევა, რომ თამარ მეფე ცოცხალია 1210 წელსაც. ამას თვალნათლივ ამტკიცებს 1210 წელს მისი სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტები.

1210 წ. თამარის მონეტის დეტალური აღწერა ზედმეტად მიგვაჩნია. ასეთი სამუშაო, უკვე დიდი ხანია, ჩატარებულია მკვლევართა მიერ. მხოლოდ მოვიტანთ ამ მონეტის დამახასიათებელ ძირითად ზედწერილებს, რომლებიც შესრულებულია ქართული ასომთავრულით და არაბულ ენაზე.⁴⁸

Av. მონეტის ცენტრში მოთავსებული თამარის ხელრთვის გარშემო არის ზედწერილი ასომთავრულით (დაქარაგმებულად): „სახელითა ღვთისათა იქნა ჭედაი ვეცხლისი ამის ქორონიკონსა ულ“ (1210 წ.).

Rv. მონეტის ცენტრში მოთავსებულია ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დიდი დედოფალი/ დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა/ თამარ ასული გიორგისა/ მესიის შემწე/ ანმტკიცოს ღმერთმან ძღვეანი მისი“. გარშემო ასევე არაბულად: „ამრავლოს ღმერთმან დიდება მისი, გაახანგრძლივოს მისი მფარველობა და შემწე იყოს მისი წარმატებისა“.

თამარის 1210 წ. მონეტა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში იყო ცნობილი მ. ბროსესთვის.⁴⁹

შემდგომში, 1210 წ. თამარის მონეტები გამოცემული და დამონმებული აქვთ ჟ. ბართოლომეის,⁵⁰ ვ. ლანგლუას,⁵¹ ე. პახომოვს,⁵² თ. ლომოურს,⁵³ დ. კაპანაძეს,⁵⁴ დ. ლენგს.⁵⁵ თამარის გარდაცვალების თარიღის დადგენისას ამ მონეტებს ითვალისწინებდნენ მ. ბროსე⁵⁶ და მ. ჯანაშვილი.⁵⁷

⁴⁸ მონეტის აღწერას ვიძლევიტ შემდეგი ნაშრომის მიხედვით: Е. Пахомов. *Монеты Грузии*, Тб., 1970, გვ. 91, №57.

⁴⁹ ლიტერატურა მითითებულია ე. პახომოვის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 91; გარდა ამისა, 1210 წ. თამარის მონეტა აისახა მ. ბროსეს შემდეგ შრომებში: M. Brosset. *Rapport sur l'ouvrage intitulé Нумизматические факты грузинского царства et Revue de Numismatique Géorgienne*. St.-Petersbourg, 1847, გვ. 67; მისივე *Additions*. გვ. 298.

⁵⁰ J. Bartholomei. *Lettres sur la numismatique Géorgienne*. – *Mélanges Asiatiques*, t. III. 1857, გვ. 83, 89, 99; №15.

⁵¹ V. Langlois. *Essai de classification des suites Monétaires de la Géorgie*. Paris, 1860, გვ. 67, №27.

⁵² Е. Пахомов. დასახ. ნაშრ. გვ. 91, N 57.

⁵³ თ. ლომოური. ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. – *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა*. თბილისი, 1938, გვ. 289.

⁵⁴ Д. Капанадзе. *Грузинская нумизматика*, М., 1955, გვ. 64; დ. კაპანაძე. *ქართული ნუმიზმატიკა*, თბ., 1969, გვ. 75.

⁵⁵ D. Lang. *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia* (ANS NNM, No. 130), New York, 1955, გვ. 25.

⁵⁶ M. Brosset. *Rapport*, გვ. 69. შდრ. მისივე, *საქართველოს ისტორია*, გვ. 176.

⁵⁷ მ. ჯანაშვილი. *თამარ მეფე*. თბილისი, 1917, გვ. 74.

ექვი, 1210 წლით თამარის მონეტის დათარიღებაში შეიტანა ს. კაკაბაძემ. საქმე ისაა, რომ არსებობს თამარის 1187 წ. მონეტებიც, რომელთა ძირითადი ნაწილის გარეგნული სახე ისეთივეა, როგორიც 1210 წ. მონეტებია. განსხვავება მოჭრის თარიღშია. პირველზეა შზ (407) ქორონიკონი, მეორეზე კი – შლ (430) ქორონიკონი.

ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ ეს მონეტები მოჭრილია ერთი და იმავე სიქით და, შესაძლებელია, შეცდომა თარიღში ქართული ასომთავრულის „ხ“ და „ზ“-ს აღრევის გამო (მათი გრაფიკული მოხაზულობის მსგავსების ნიშნად) მოხდა. ამიტომაც 1210 წ. მონეტები უნდა მივიჩნიოთ 1187 წ. მოჭრილ მონეტებად.⁵⁸

თავისი ვარაუდის საფუძველზე ს. კაკაბაძემ უგულებელყო 1210 წლის თამარის მონეტა, რომელიც გადაჭრით უარყოფს თამარის გარდაცვალების თარიღად 1206 თუ 1207 წლის აღიარებას, ხოლო ბ. სილაგაძესა და ჯ. ოდიშელს საერთოდ არ გაუთვალისწინებიათ მისი არსებობა.

რა შეიძლება ითქვას ს. კაკაბაძის ვარაუდის შესახებ?

1210 წ. თამარის მონეტა ითვლება ერთ-ერთ გავრცელებულ სამონეტო ტიპად. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში დაცულია მრავალი მონეტა, რომელთა მოჭრის თარიღად მითითებულია როგორც 1187, ისე – 1210 წლები. შემონახვამ გვაჩვენა, რომ ყზ (ულ), ე.ი. 430 ქორონიკონი (1210 წ.), მშენიერად იკითხება განძების ფონდის №№123, 125, 142, 149, 157 და ქართული ფულის ძირითადი ფონდის 1834, 1856, 1872, 1873, 1880, 1883, 4179, 7716, 7718, 7721, 7728-30, 7747, 7750, 7752 ცალეზე⁵⁹. ამ მონეტების რიცხვი შეიძლებოდა კიდევ გაგვეზარდა, მაგრამ ესეც საკმარისია. თუნდაც იმიტომ არის საკმარისი, რომ ბევრი ეგზემპლარი მოჭრილია სხვადასხვა სიქით. ეს გარემოება კი თარიღის სიზუსტეში ექვის შეტანას გამორიცხავს.

თითო სიქით რამდენიმე ასეული და ათასი მონეტა იჭრებოდა და წარმოუდგენელია, რომ ერთი სიქის თარიღში დაშვებული შეცდომა (ყზ ნაცვლად ყზ-ისა) შეუმჩნეველი დარჩენილიყო და არ შეესწორებინათ მონეტების სხვა სიქით მოჭრის დროს.

ე. პახომოვი სავსებით სამართლიანად მიუთითებდა: “Ошибку в смешении з и з едва ли можно допустить, так как обе формы выработаны

⁵⁸ С. Какабадзе. Год смерти грузинской царицы Тамары Великой. – *Известия Тифл. высших женских курсов*, 1914, т. I, гв. 167.

⁵⁹ მონეტებზე მუშაობის ნება დაგვართო განყოფილების გამგემ ვ. ლექვინიძემ. მუშაობაში ყოველმხრივ გვიწყობდა ხელს განყოფილების თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი თ. აბრამიშვილი, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.

очень явно и отчетливо, и видно, что гравёр понимал то, что вырезывал...”⁶⁰

ყოველივე ამის გამო, ს. კაკაბაძის სკეპტიციზმი თამარის 1210 წ. მონეტის მიმართ უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. საერთოდ კი, ამ მონეტის თარიღის სიზუსტეში არცერთ სხვა მკვლევარს არ ეპარებოდა ეჭვი, დაწყებული მ. ბროსეთი და დამთავრებული დ. ლენგით.

სამონეტო საქმის ისტორია იცნობს შემთხვევებს, როდესაც მონეტა იჭრება გარდაცვლილი და ტახტიდან ჩამოგდებული მონარქის სახელით. ამას განაპირობებს აღნიშნული მოვლენის დაგვიანებით გაგება ცენტრიდან დაშორებულ პროვინციებში, ანდა პოლიტიკური სიტუაცია, ბრძოლა ტახტის მემკვიდრეთა პარტიებს შორის. მაგრამ ასეთი შემთხვევებიც ერთეულია, არ ატარებს მასობრივ ხასიათს და არც ხანგრძლივი დროის მანძილზე ხდება.

ამდენად, შეუძლებელია, რომ თამარის სახელი რაიმე მიზეზით გაჩენილიყო 1210 წელს მოჭრილ მონეტებზე, თუკი ის 1207 წელს გარდაიცვალა.

დასკვნა შეიძლება იყოს ერთადერთი და უტყუარი:

„დიდი დედოფალი“, „დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა“ და „მესიის შემწე“ – თამარი 1210 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის დასადგენად აუცილებელია მისი ეპოქის სხვა ნუმიზმატიკური მასალების გათვალისწინებაც. ამჯერად, მხედველობაში გვაქვს გიორგი ლაშას დათარიღებული მონეტები.

ნუმიზმატიკისათვის უკვე XIX საუკუნიდან არის ცნობილი გიორგი ლაშას მიერ 430 ქორონიკონს, ე. ი. 1210 წელს, სპილენძისგან მოჭრილი არასწორი ფორმის მონეტები.⁶¹

კიდევ ერთხელ ვამახვილებთ ყურადღებას ამ მონეტების მოჭრის თარიღზე. ისევე, როგორც თამარის მონეტები, გიორგი ლაშას მონეტებიც დათარიღებულია 1210 წლით.

გიორგი ლაშას 1210 წ. სპილენძის არასწორი მონეტების მრავალი ტიპი არსებობს. ძირითადად, მათზე მოთავსებული ზედწერილები ასეთი სახისაა.⁶²

AV. ცენტრში, ქართული ასომთავრულით (დაქარაგმებულად) იკითხება: „გიორგი ძე თამარისა“. გარშემო კი – ასევე ასომთავრულით: „სახელითა ღვთისათა იქნა ჭედაი ვეცხლისი ამის ქორონიკონსა შლ“ (1210 წ.).

RV. ცენტრში ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილია: „მეფეთ მეფე / დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა/ გიორგი თამარის ძე / მესიის მახვილი/“.

⁶⁰ E. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 94.

⁶¹ ლიტერატურა მოტანილია ე. პახომოვის დასახ. ნაშრომში, გვ. 97.

⁶² აღწერილობა მოგვაქვს ე. პახომოვის მიხედვით იხ. E. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 96; ამ მონეტათა ტიპების სახესხვაობებზე იხ. იქვე, გვ. 97-98.

გარშემო სპარსულად: „სახელითა ღვთისათა იქნა ჭედაი ამა ვეცხლის 430 წელს“.

გარდა არასწორი ჭედვის მონეტებისა, გიორგი ლაშას ეკუთვნის სწორი ფორმის სპილენძის უნიკალური მონეტაც, რომელიც პირველად ე. პახომოვი გამოაქვეყნა.⁶³

ძირითადად, გარეგნული სახე ამ მონეტისა ასეთია:

Av. ცენტრში მოთავსებულია მეფის გამოსახულება მთელი ფიგურით. აქვე ასომთავრულით (დაქარაგმებულად) იკითხება: „გიორგი ძე თამარისა“, და მოჭრის თარიღი **ԿՖ** – ე. ი. 430 ქორონიკონი, ანუ 1210 წელი.

Rv. ოთხ ფოთლისებურ როზეტში მოთავსებულია მოჭრის წელი ჰიჯრით, ხოლო როზეტებს შორის სეგმენტებში არაბული ზედწერილი, რომელსაც ე. პახომოვი ასე კითხულობს: „მეფეთ მეფე გიორგი თამარის ძე მესიის მახვილი“.

ფოთლისებურ როზეტებში ე. პახომოვი ჰიჯრის თარიღად კითხულობდა 606 ან 616 წელს, მას ორივე თარიღის წაკითხვა შესაძლებლად მიაჩნდა, თუმცა უფრო სწორად 606 წ. თვლიდა.⁶⁴ ამავე თარიღს იზიარებს დ. კაპანაძეც.⁶⁵

მონეტის შესწავლამ გვაჩვენა, რომ მისი მოჭრის თარიღი უეჭველად არის 606 (1209-1210) წელი, ხოლო 616 (1219-1220) წლის წაკითხვა გამორიცხულია. ამ შემთხვევაში ქორონიკულ თარიღში ასო **Ֆ**-ს შემდეგ მის დონეზე უნდა ყოფილიყო **Ծ** და **ԿՖԾ** ქორონიკონი მოგვცემდა 1219 წელს, მაგრამ, მონეტის გაცვეთის მიუხედავად,⁶⁶ **Ֆ**-ს შემდეგ **Ծ** არაფრით არ იკითხება.

ჰიჯრის 606 წელი იწყება 1209 წ. 6 ივლისს და მთავრდება 1210 წ. 24 ივნისს. თუ გავითვალისწინებთ მონეტის ქორონიკონულ თარიღსაც, მისი მოჭრის დრო 1210 წლის პირველი ნახევრით (25 ივნისამდე) განისაზღვრება.

როგორც ვხედავთ, 1210 წელს გიორგი ლაშას თავისი სახელით მოუჭრია არასწორი ფორმის მონეტები ქვეყნის შიგნით მიმოქცევისათვის და სწორი ფორმის მონეტებიც, რომლებიც მიმოქცევაში იყო საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

ამრიგად, მოგვეპოვება 1210 წლით დათარიღებული როგორც თამარის, ისე – მისი ძის გიორგი ლაშას მონეტები. დედა-შვილის მონეტები დამოუკიდებელი სამონეტო ტიპებია. ერთი თამარს აღიარებს მეფეთ მეფედ და მე-

⁶³ E. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 100, №65a.

⁶⁴ იქვე, გვ. 101.

⁶⁵ დ. კაპანაძე. *ქართული ნუმიზმატიკა*, გვ. 79.

⁶⁶ ეს მონეტა აშკარად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ფონდში, საინვენტარო №1956.

სიის შემწედ, მეორე კი – გიორგი ლაშას. აქ არ შეინიშნება რაიმე უბრალო მითითებაც კი თანამეფობაზე, რაც აისახა სხვა, წინამორბედ მონეტებზე. მხედველობაში გვაქვს გიორგი III-ისა და თამარის,⁶⁷ აგრეთვე, თამარისა და დავითის⁶⁸ ერთობლივი მონეტები.

უნდა გავიხსენოთ, რომ შუა საუკუნეებში მონეტის მოჭრა სამეფო ხელისუფლების პრეროგატივას წარმოადგენდა. სასანელთა ირანში მონეტა იჭრებოდა შაჰის გამოსახულებითა და მისი სახელით. ბიზანტიის იმპერიაში – კეისრის გამოსახულებითა და მისი სახელით. კეისრის გვერდით ბიზანტიურ მონეტებზე ზოგჯერ გვხვდება ტახტის მემკვიდრეთა და თანამეფეთა გამოსახულებანი და სახელებიც.

არაბულ აღმოსავლეთში IX საუკუნის 30-იანი წლებიდან მონეტებზე რელიგიური ხასიათის ზედწერილების გვერდით დასაშვები იყო მხოლოდ ხალიფასა და ტახტის მემკვიდრის სახელების მოხსენიება. რომელიმე მმართველის მიერ მონეტაზე საკუთარი სახელის აღნიშვნა დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნიშნავდა.

მას შემდეგ, რაც ხალიფამ დაკარგა საერო ხელისუფლება (945 წ.), მისი სახელის მოთავსება მონეტებზე ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მისი რელიგიური უზენაესობის აღიარებას ნიშნავდა. მაგრამ ამიერიდან მონეტის მოჭრის უფლება ცალკეული ამირებისა და სულტნების პრეროგატივა ხდება. „სიქქა“, საკუთარი სახელით მონეტის მოჭრის უფლება, ამა თუ იმ გამგებლის რეალური პოლიტიკური ძალაუფლების დეკლარაცია იყო.

საკუთარი სახელით ჭრიდნენ მონეტებს ქართველი მეფეები: დავით კურაპალატი, ბაგრატ III, ბაგრატ IV, გიორგი II, დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, გიორგი III.⁶⁹ ამ მეფეების სიცოცხლეში სხვას არავის მოუჭრია საქართველოში საკუთარი სახელით მონეტა, თუმცა, მათ, რა თქმა უნდა, ჰყავდათ ტახტის მემკვიდრეები. მართალია, თამარის სახელი გვაქვს გიორგი III-ის მონეტებზე და დავით სოსლანისა – თამარის მონეტებზე, მაგრამ არც თამარს მოუჭრია მამის სიცოცხლეში საკუთარი ფული და არც დავით სოსლანს გაუტარებია საკუთარი სამონეტო პოლიტიკა.

გამონაკლისს წარმოადგენს გიორგი ლაშას მონეტები და ესეც იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ ამ მონეტების მოჭრა თამარის სიცოცხლეში მოხდა. ასეთი დაშვება კი ეწინააღმდეგება სამონეტო საქმეში არსებულ კანონ-

⁶⁷ Д. Капанадзе. *Грузинская нумизматика*, გვ. 63; მისივე, „გიორგისა და თამარის“ სახელით მოჭრილი ფულის შესახებ. – *სსმ მოამბე*, 1944, ტ. XII B, გვ. 191-195.

⁶⁸ Е. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 94, №60; Д. Капанадзе. დასახ. ნაშრ., გვ. 65, №64.

⁶⁹ Е. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 52, 55-56, 57-60, 61-70, 75-80, 80-85.

ნებს, როგორც ჩვენში, ისე მახლობელი და შუა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში.

გიორგი ლაშას 1210 წლის მონეტები გარკვეულ უხერხულობას უქმნიდა იმ მკვლევართ, რომლებიც თამარის გარდაცვალებას 1212 წლით საზღვრავდნენ.

პირველი, ვინც გაოცება გამოხატა ამ მონეტების გამო, იყო თვით მ. ბროსე. მას არაჩვეულებრივ მოვლენად ეჩვენებოდა გიორგი ლაშას მიერ საკუთარი სახელით მონეტების მოჭრა თავისი დედის სიცოცხლეში.⁷⁰ მაგრამ ამაზე შორს მ. ბროსე აღარ წასულა. მისთვის მთავარი და გადამწყვეტი იყო წერილობითი წყარო, რომლის მიხედვით თამარი ცოცხალი ჩანდა 1212 წლამდე.

გიორგი ლაშას 1210 წ. მონეტების გამო გაოცება გამოხატა ე. პახომოვმაც: “Дата показывает, что матрица была составлена еще при жизни Тамары в 1210 году, однако, имя последней отдельно на монете не упоминается, и на первом месте выступает Гиоргий IV – **факт очень странный, так как последнему в это время было всего 15 лет от роду и отстранение царицы от управления царством несколько непонятно**”.⁷¹ (გამოყოფილია ჩვენ მიერ – ავტორები).

ე. პახომოვის გაოცება კანონზომიერი იყო. გამოცდილი ნუმიზმატი გრძნობდა, რომ გიორგი ლაშას მონეტაში რაღაც პოლიტიკური ცვლილება იმალებოდა, მაგრამ მან ვერ დაარღვია თამარის ზეობის წლების ბროსესეული ქრონოლოგია, თუმცა მკვლევარი მაინც იძულებული გახდა ანგარიში გაენია ლაშა-გიორგის მონეტებისათვის და დაასკვნა, რომ 1210 წელს თამარმა ძალაუფლება გადასცა თავის შვილს და თვითონ კი მონასტერში აღიკვეცა!⁷²

გიორგი ლაშას მონეტებმა ზოგიერთ მკვლევარს უკვე გამოათქმევინა ვარაუდი პოლიტიკურ ცვლილებაზე საქართველოს სახელმწიფო მმართველობაში 1210 წელს.

ასეთი დასკვნა გააკეთა ჯერ კიდევ 130 წლის წინათ მ. ბარათაემა, ქართული ნუმიზმატიკის შესახებ პირველი ფუნდამენტური ნაშრომის შემქმნელმა. ის წერდა, რომ გიორგი ლაშას 1210 წ. მონეტა: “служит .. верным доказательством, что Гиорги IV царствовал в этом году – и один, судя по штемпелям этих монет”.⁷³

ასეთივე დასკვნა გამოიტანა ამ მონეტის საფუძველზე ცნობილმა საბჭოთა ნუმიზმატმა ა. ბიკოვმა: “В 1210 г. Тамара передает престол сыну, номинальному соправителю ее после смерти Давида, Георгию IV Лаша”.⁷⁴

⁷⁰ М. Brosset. *Rapport...*, გვ. 69.

⁷¹ Е. Пахомов. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 98.

⁷² იქვე, გვ. 87.

⁷³ М. Баратаев. *Нумизматические факты Грузинского царства*. СПб, 1844, გვ. 98.

⁷⁴ А. А. Быков. *Грузинские монеты XII-XIII вв. – Сб. Памятники эпохи Руставели*. Л., 1938, გვ. 85.

ნაწილობრივ ასე ვარაუდობს დ. ლენგიც. მისი აზრით, გიორგი ლაშას მონეტები მიუთითებენ, რომ „დედამისმა, დაახლოებით, ამ ხანებში გადასცა სამეფო ხელისუფლების დიდი წილი გიორგის“.⁷⁵

ასეთივე დასკვნა გამომდინარეობს ი. ჯალალანიას სიტყვებიდანაც: „1210 წლიდან, გიორგი IV ლაშას გამეფებასთან ერთად (გამოყოფილია ჩვენ მიერ – ავტორები), იწყება ახალი სახის მონეტის მოჭრა, სადაც მეფე თავს უწოდებს „გიორგი ძე თამარისა“.⁷⁶

დასახელებულ მკვლევართა აზრი საინტერესოა იმ მხრივ, რომ გიორგი ლაშას მონეტები თამარის ზეობის წლების განსაზღვრისას უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე ექცეოდათ თამარის შესახებ არსებულ გამოკვლევებში XIX საუკუნიდან დღემდე.

გიორგი ლაშას 1210 წ. მონეტა აშკარად ასახავს საქართველოს სახელმწიფო მმართველობაში მომხდარ ცვლილებას. გიორგი ლაშას საკუთარი სახელით მონეტის მოჭრა შეეძლო სახელმწიფო გადატრიალების ან დედის სიკვდილის შემდეგ. თამარის სახელმწიფო საქმეებიდან ჩამოშორებისა (ნებით თუ იძულებით) და „მონასტერში აღკვეცის“ თაობაზე ჩვენ არავითარი, არც სარწმუნო და არც საეჭვო საბუთი არ გავგაჩნია. გვრჩება, ვიგულისხმით მხოლოდ და მხოლოდ თამარის გარდაცვალება.

მხოლოდ ეს ფაქტი ხსნის იმას, თუ რატომ გვხვდება ერთსა და იმავე წელს ორი მეფის ტიპოლოგიურად განსხვავებული მონეტები.⁷⁷

დედის გარდაცვალების შემდეგ, ახალმა მონარქმა გიორგი ლაშამ, სამონეტო საქმეში არსებული წესის მიხედვით, დაუყოვნებლივ განახორციელა საკუთარი მონეტის ემისია – მოჭრა როგორც არასწორი ფორმის სპილენძის მონეტები, რომელთაც უნდა დაეკმაყოფილებინათ საშინაო ბაზრის მოთხოვნილება, ისე – სწორი ფორმის სპილენძის მონეტები,

⁷⁵ D. M. Lang. დასახ. ნაშრ., გვ. 25.

⁷⁶ ი. ჯალალანია. თამარის ფული. – *ძეგლის მეგობარი*. კრებული ოცდამესამე, თბ., 1970, გვ. 22.

⁷⁷ ისტორიამ შემოგვინახა ერთი საინტერესო და იშვიათი მონეტა, რომლის ერთი მხარე მოჭრილია თამარის 1210 წ. მონეტის ავერსის სიქით, მეორე კი – ლაშა-გიორგის 1210 წ. მონეტის რევერსის სიქით (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილება, საინვენტარო №3155 (იხ. E. Пахомов. დასახ. ნაშრ., გვ. 101, 300; დ. კაპანაძე. *ქართული ნუმიზმატიკა*, გვ. 78). დ. კაპანაძე ამას იმით ხსნიდა, რომ ერთსა და იმავე ზარაფხანაში მუშაობის დროს ხელოსნებმა სიქები არიეს. ეს დასკვნა სავსებით რეალური და მართებულია. ხელოსნებს სიქარეში, შესაძლოა, არეოდათ ახალი მეფის სამონეტო სიქები. მაგრამ, როგორც ჩანს, შეცდომა მალე გამოსწორდა, რადგანაც თვით მონეტა, რომელიც, არავითარ შემთხვევაში, დამოუკიდებელი სამონეტო ტიპი არ არის, უნიკუმს წარმოადგენს.

რომლებიც ვერცხლის კრიზისის პერიოდში საგარეო ბაზარზეც გადიოდა.

როგორც პირველი, ისე მეორე ტიპის მონეტები (ქართულ და არაბულ ენებზე) ქართულ და არაქართულ მოსახლეობას, საქართველოს სახელმწიფოში და მის ფარგლებს გარეთაც, უცხადებდნენ საქართველოს ტახტზე ახალი მეფის ასვლის ფაქტს და წარმოადგენდნენ ახალი მეფის პოლიტიკური ძალაუფლების დეკლარაციას.

მაშასადამე, ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ თამარ მეფე გარდაიცვალა 1210 წლის პირველ ნახევარში. ამ თარიღს ეთანხმებიან გვიანდელი ხანის ქართული წყაროები: ჟამთააღმწერელი,⁷⁸ ფარსადან გორგიჯანიძე,⁷⁹ ვახუშტი ბაგრატიონი.⁸⁰

„ქართლის ცხოვრების“ ბარათაშვილისეულ ნუსხაში აღნიშნულია, რომ თამარი გარდაიცვალა 1210 წელს.⁸¹ სწორედ ამ წყაროში დამონმებული თარიღი შეუწყნარებლად მიიჩნია ივ. ჯავახიშვილმა, რადგანაც „ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით, თამარ მეფე გარდაიცვალა ზაქარია მხარგრძელის სიკვდილის შემდგომ, მაშასადამე, არაუადრეს 1212 წლისა“.⁸² ამავე თხზულებაში ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ აღწერილ მოვლენათა მიახლოებითი თარიღიც არ გაგვანჩნია.⁸³ მათი სავარაუდო ხანგრძლივობის საფუძველზე ივ.

⁷⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 151.

⁷⁹ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი H-2140, ფ. 33; შდრ. ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, ტ. III, თბ., 1966, გვ. 9; რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

⁸⁰ ვახუშტი. *საქართველოს ისტორია*. განმარტებული და შეკვსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით დ. ბაქრაძის მიერ, ნაწილი პირველი, თბილისი, 1885, გვ. 216; მართალია, ვახუშტის სიტყვით, თამარი გარდაიცვალა 1201 წელს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, დაახლ. 1211 წ. (შდრ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი. ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, თბილისი, 1892, გვ. 292). XV საუკუნის წინარე ქართულ ქრონოლოგიაში დაშვებულ რადიკალურ შეცდომას, დაახლოებით, ათი წლის ფარგლებში, თავის დროზე მიუთითებდა სენ-მარტენი. M.-J. Saint-Martin. *Memoires*, t. II, Paris, 1819, გვ. 257, 292.

⁸¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 146, სქოლიო.

⁸² ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*. ტ. II, გვ. 290.

⁸³ არ არის გამორიცხული, რომ „ისტორიანსა და აზმანში“ აღწერილ მთიულთა ამბოხებასთან გავიგივოთ ის არეულობა მთაში, რომელსაც გადმოგვცემს იოანე ბაგრატიონი ლაშა-გიორგის მეფობისას. იხ. კ. კეკელიძე. ლიტერატურული წყაროები ლაშა-გიორგის ისტორიისათვის. – *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, I, თბილისი, 1956, გვ. 294. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ იოანე ბაგრატიონის ნაშრომი, ძირითადად, მომდინარეობს ვახუშტის თხზულებიდან; და, რაც მთავარია, ამ ნაშრომში განსაკუთრებით ზუსტად არის დაცული ვახუშტის ქრონოლოგიური გამოანგარიშებანი და თარიღები (კ. კეკელიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 284). ვახუშტის ქრონოლოგიაში, დაახლოებით, ათწლიანი კორექტივის შეტანის შედეგად, საგულგებელია, რომ იოანე ბაგრატიონის მიერ აღნიშნული ამბოხება მომხდარიყო 1216–1217 წლებში.

ჯავახიშვილმა თამარის გარდაცვალების თარიღად 1213-1214 წწ. აღიარა.⁸⁴ თუმცა ამ ორი თარიღიდან უფრო მართებულად მიიჩნევდა 1213 წელს.⁸⁵

აღსანიშნავია, რომ მ. ბროსე ეყრდნობოდა მხოლოდ ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების თარიღს და არ ითვალისწინებდა მომდევნო მოვლენებს.⁸⁶

ლაშა-გიორგისდროინდელი მემატრიანე არ ეთანხმება თამარის პირველ ისტორიკოსს და გვაუწყებს, რომ ზაქარია ცოცხალია გიორგი ლაშას მეფობაშიც. გიორგი ლაშას დახასიათების შემდეგ ვკითხულობთ: „და იყო სამეფო მისი დიდსა დაწყნარებისა შინა, და იყვნეს გამგედ და განმზრახად ყოველთა საქმეთა მისთა მისისავე მშობლისობითგან (!) მხარგრძელი ზაქარია, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი, და ივანე ათაბაგი“.⁸⁷

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „მშობლისობითგან“ ორი სიტყვის შეცდომით შენაერთს წარმოადგენს, მაგრამ „ობითგან“ რომელი სიტყვის დამახინჯებად უნდა იქნეს ცნობილი, ძნელი სათქმელია“.⁸⁸ თუ ვერწმუნებით ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ დედანში, ალბათ, იქნებოდა: „მშობლის მეფობითგან“. ჩვენი აზრით, ეს ვარიანტი ზუსტად შეესიტყვება კონტექსტს. შესაძლოა, იმიტომ შეიკავა თავი ასეთი დასკვნისაგან ივ. ჯავახიშვილმა, რომ უფრო მეტად ენდობოდა თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობას, მაგრამ ეს ცნობა საეჭვო უნდა იყოს.

თამარის გარდაცვალებას 1210 წელს ადასტურებს ეპისტოლური მასალა (დე ბუას წერილი),⁸⁹ რომელიც წინამდებარე კრებულში არ შევიდა.⁹⁰

⁸⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 290. ამავე ცნობების გათვალისწინებით, კ. კეკელიძემ თამარის გარდაცვალების თარიღი 1216 წლისათვის გადაიტანა. იხ. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1941, შესავალი წერილი, გვ. 42, 43.

⁸⁵ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II, გვ. 385, ტ. III, გვ. 9.

⁸⁶ M. Brosset. *Additions...*, გვ. 297-298; თამარის გარდაცვალების სავარაუდო თარიღად 1212-1214 წწ. მ. ბროსემ მხოლოდ იმიტომ დაასკვნა, რომ, მისი აზრით, ზოგიერთ სომხურ წარწერაში ზაქარია ცოცხალი ჩანს 1214 წელს, იხ. M. Brosset. *Additions...*, გვ. 275-276.

⁸⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 370.

⁸⁸ ლაშა-გიორგისდროინდელი მემატრიანე. გამოსცა ივ. ჯავახიშვილმა, თბ., 1927, გვ. 8.

⁸⁹ იხ. თ. ნატროშვილი. გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღისა დადგენისა. – *მაცნე* (ელს), 1974, №2, გვ. 168-189.

⁹⁰ [Addenda: წინამდებარე სტატიის პირველი გამოცემის შემდეგ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღად სომხური ლაპიდარული წყაროების საფუძველზე იგივე თარიღი მიიღო შანშე დარჩიაშვილმა (შ. დარჩიაშვილი. „XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის“, *ჟურნ. მნათობი*, №2, 1975, გვ. 151-158), დიდი ხნის მან-

AN ATTEMPT TO ASERTAIN ONE DATE

There is a difference of opinions in Georgian historiography regarding the death of Queen Tamar. Part of the researchers (based on the Arab chronicler Ibn al-Athir's evidence) name 1207, while others give priority to 1213.

The present paper focuses on numismatic material. The last coins of Queen Tamar, minted of copper, date from 1210. Copper coins, struck in the name of Tamar's successor Giorgi Lasha, are dated to the same year. In the view of authors, this points to the change that had taken place at the Georgian Royal Court in 1210. One monarch – Queen Tamar died, and the new King Giorgi Lasha ascended the throne.

ძილზე თამარის გარდაცვალების საკითხზე საგანგებო ნაშრომი არ დაწერილა. ვითარება შეიცვალა 2004-2010 წლებში. ჯერ გვანცა აბდლაძემ ორ სტატიაში („კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღზე“, *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის (კახეთის) ფილიალის სამეცნიერო შრომათა კრებული*, V, *კრებული ეძღვნება მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლას*, სიღნაღი, 2004, გვ. 7-15; და „XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან“, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, 359, გვ. 106-107), ხოლო შემდეგ მიხეილ ბახტაძემ („კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ“. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები*, II, 2011, გვ. 215-227) დაიცვეს 1210 წელი. შ. დარჩიაშვილმა ხელახლა დაადასტურა თავისი თვალსაზრისი თამარის გარდაცვალების თარიღის შესახებ („თამარ მეფის, დავით სოსლანის გარდაცვალებისა და ლაშა-გიორგის გამეფების საკითხისათვის“, შანშე დარჩიაშვილი, *ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიიდან* (თბ., 2010, გვ. 55-69). ციალა ღვაბერიძემ მხარი დაუჭირა 1207 წელს („როდის გარდაიცვალა მეფე თამარი“, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, IX, 2009, 97-104), ხოლო თემურ კენკეაშვილმა – 1215 წელს (*გარდაცვალება და დაკრძალვა თამარ მეფისა*. თბილისი, 2010, 4-12). არ არის გამოცხადებული, რომ ამ საკითხზე მომავალშიც გაგრძელდეს კამათი].

ვახუშტი და XII - XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი*

ვახუშტი ბაგრატიონის „ისტორიის“ პირველ ნაწილში, რომელიც XIV საუკუნემდე მოდის და, თავისთავად, არაორიგინალურია, სხვა შენიშვნებთან ერთად, დამოუკიდებელ მნიშვნელობას ინარჩუნებს ქრონოლოგიური შენიშვნები, რომლებიც მთავარი წყაროს ტექსტის გარეშე დგანან.¹

ვახუშტიმ დაათარიღა საქართველოს ისტორიის არაერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა. მას ეკუთვნის თამარის მეფობის მონაკვეთის ქრონოლოგიის დადგენის პირველი ცდაც. ამ პერიოდისთვის ვახუშტი იძლევა შემდეგ თარიღებს:

1174 წ. – გიორგი III-ის გარდაცვალება. თამარის გამეფება

1177 წ. – თამარის პირველი ქორწინება

1180 წ. – გიორგი რუსის გაძევება

1181 წ. – თამარის მეორე ქორწინება

1183 წ. – გიორგი-ლაშას დაბადება

1193 წ. – შამქორის ომი

1196 წ. – ბასიანის ომი

1198 წ. – კონსტანტინოპოლის აღება ჯვაროსანთა მიერ

1199 წ. – დავით სოსლანის გარდაცვალება

1201 წ. – თამარ მეფის გარდაცვალება.²

დიდი ხანია აშკარაა, რომ ყველა ეს თარიღი მნიშვნელოვნად არის დაცილებილი რეალურს.

მ. ბროსე, რომელმაც ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების საფუძველზე პირველად საფუძვლიანად გადასინჯა და გაასწორა ვახუშტისეული ქრონოლოგია, ვახუშტის ზოგიერთ თარიღს იღებდა ათწლიანი კო-

* პირველად დაიბეჭდა 1979 წ. – *თსუ შრომები*, ტ. 205 (ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია). თბ., გვ. 121-129.

¹ ვ. გაბაშვილი, ვახუშტი მე-17-18 სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე. – *ანალები* (ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები), თბ., 1947, გვ. 113.

² ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. – *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 171-192.

რექტივის საფუძველზე.³ თ. ჟორდანიას მიაჩნდა, რომ „თამარ მეფის ქრონიკები საზოგადოდ ათი წელით უკან რჩება“.⁴

ვახუშტის ქრონოლოგიაში ათწლიანი შესწორების შეტანით მივიღებთ, რომ თამარი გამეფდა (1174+10) – 1184 წ., გიორგი ლაშა კი დაიბადა (1183+10) – 1193 წ. ამ თარიღებს მხარს უჭერენ სხვა ქართული წყაროების მონაცემები და ისინი აღიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.⁵ მაგრამ ამავე მეთოდით აღდგენილი შამქორისა და ბასიანის ომების თარიღები იქნება, შესაბამისად, 1203 და 1206 წწ., ნაცვლად 1195⁶ და 1202⁷ წლებისა.

მაშასადამე, ათწლიანი კორექტივი ვახუშტის ქრონოლოგიაში ყოველთვის არ გვაძლევს რეალურ თარიღს.

რ. კიკნაძეს მიაჩნია, რომ ვახუშტის შეცდომა ათ წელზე ნაკლები ხნით, კერძოდ, 6 წლით განისაზღვრება. მკვლევარი გამოდის იქიდან, რომ ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების თარიღად ვახუშტიმ 1204 წლის ნაცვლად დაასახელა 1198 წ. და, ამრიგად, ექვსწლიანი შეცდომა დაუშვა;⁸ ამ მოვლენას წინ უსწრებს ან მოსდევს სხვადასხვა ხანგრძლივობის ამბავი. ირკვევა, რომ, ვახუშტის მიხედვით, შამქორის ბრძოლიდან ბასიანის ბრძოლამდე სამი წელი გასულა, ბასიანის ბრძოლიდან ორი წლის შემდეგ ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს. კიდევ ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა დავით სოსლანი, ხოლო დავითის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ – თამარ მეფე.⁹

ექვსწლიანი შეცდომის გასწორების შედეგად მივიღებთ, რომ ბასიანის ომი მოხდა 1202 წ., დავით სოსლანი გარდაიცვალა (1199+6) – 1205 წ., თამარი კი (1201+6) – 1207 წ.¹⁰ პირველი თარიღი, ალბათ, უეჭველია, ბოლო ორი – სადავო. სხვა შემთხვევებში კი ექვსწლიანი შეცდომის გასწორება სრულიად შეუსაბამო თარიღებს (1180 წ. – თამარის გამეფება. 1183 წ. – მისი პირველი ქორწინება. 1190 წ. – გიორგი ლაშას დაბადება. 1199 წ. – შამქორის ომი) გვაძლევს.

ამრიგად, ექვსწლიანი კორექტივიც, ათწლიანის მსგავსად, არ წარ-

³ M. Brosset. *Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie*. St.-Pét., 1851, გვ. 296.

⁴ თ. ჟორდანია. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*. წიგნი პირველი, ტფ., 1892, გვ. 292.

⁵ ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*. წიგნი მეორე. თბ., 1964, გვ. 244, 266; ჯ. ოდიშელი. *მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები)*, თბ., 1968, გვ. 93.

⁶ რ. კიკნაძე. *ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი, შარავანდედთანი“*, თბ., 1975, გვ. 118.

⁷ ნ. შენგელია (რეც.). ოსმან თურანი. თურქეთი სელჩუკთა ხანაში. – *მაცნე* (იაეხის), 1974, №1, გვ. 196; გ. ალასანია. ბასიანის ბრძოლის თარიღისათვის. – *მაცნე* (იაეხის), 1975, №1, გვ. 89-92.

⁸ რ. კიკნაძე. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 130.

⁹ იქვე, გვ. 131.

¹⁰ იქვე.

მოადგენს უნივერსალურ ხერხს ვახუშტის თარიღების დასაზუსტებლად.

ბუნებრივია, საჭიროა, საბოლოოდ გაირკვეს, თუ რის მიხედვით არის აგებული ვახუშტის ქრონოლოგია და შეიძლება თუ არა მისი გამოყენება ამა თუ იმ კორექტივის შეტანის შემდეგ.

ცნობილია, რომ ვახუშტის ძირითადი წყარო იყო „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია, ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრება“.¹¹ ეს უკანასკნელი კი თამარის მეფობის მონაკვეთში წარმოდგენილია თამარის პირველი და მეორე ისტორიკოსების თხზულებათა კომბინირებული ტექსტებით. ვახუშტი სრულად იმეორებს იმ თანამიმდევრობას, რაც XVIII ს-ის რედაქტორებს დაუცავთ ამ ორი თხზულების კომბინაციის დროს.¹²

თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში თარიღები არ არის.¹³ თამარის მეორე ისტორიკოსთან კი თამარის მეფობიდან მოცემულია მისი ტახტზე ასვლის თარიღი ორი სხვადასხვა წელთაღრიცხვით, ქორონიკონის 403 წ., რაც გვაძლევს (780+403) – 1183 წ. და დასაბამითგან 6686 წ.,¹⁴ რაც (6686-6508) – 1178 წ. შეესაბამება.

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში თამარის გამეფების თარიღად დასახელებულია ზემოაღნიშნული დასაბამითგან 6686 წ. (ე.ი. 1178 წ.), მაგრამ მის შესაბამისად მითითებულია სრულიად გაუგებარი ქრისტ. წელთაღრიცხვის 1156 წელი.¹⁵

გარდა ამისა, „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში არის კიდევ ერთი თარიღი – გიორგი III-ის გარდაცვალებისა – ტჟდ, ე.ი. 1174 წ.¹⁶ ეს მცდარი თარიღიც, რომლის წარმომავლობა ჩვენთვის უცნობია,¹⁷ შეუსაბამობაშია იმ თარიღებთან, რომლებიც აღნიშნულ თხზულებაში თამარის გამეფების საწყის წელიწადად არის მიჩნეული.

სხვა კონკრეტული თარიღები საქართველოს ისტორიის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთისთვის „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში, ვახუშტის ძირითად წყაროში, არ მოიპოვება.

სწავლულ კაცებს, ისევე, როგორც შემდეგ ვახუშტის, რომლებიც იცნობ-

¹¹ ამ დასათაურების შესახებ იხ. კ. გრიგოლია. *ახალი ქართლის ცხოვრება*. თბ., 1954, გვ. 285.

¹² შ. მესხია. *ვახუშტი და ძველი საქართველოს საისტორიო მწერლობა*. – *ანალები* (ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები). თბ., 1947, გვ. 19.

¹³ ქართლის ცხოვრება. ტომი მეორე. ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959, გვ. 1-114.

¹⁴ იქვე, გვ. 116.

¹⁵ ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, თარგმნილი და გამოცემული ლვანლითა უ. ბროსესი. ნაწილი პირველი. ძველი მოთხრობა. 1469 წლამდის ქრისტეს აქეთ. სანკტ-პეტერბურლი, 1849, გვ. 277.

¹⁶ იქვე, გვ. 276.

¹⁷ თ. ჟორდანიას აზრით, ვახტანგის წყაროში ეწერებოდა ტჟიდ – ე.ი. 1184 წ. და მცდარი ტჟდ – 1174 წ. აქედან წარმოდგება (თ. ჟორდანიას. *ქრონიკები*, გვ. 268).

დნენ ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის თხზულებასაც, რატომღაც არ უსარგებლიათ ამ თხზულებაში დაცული მრავალრიცხოვანი თარიღით.

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის კვალდაკვალ ვახუშტის ნაშრომშიც გიორგი III-ის გარდაცვალების თარიღად მიღებულია 1174 წ.¹⁸ ეს არის ერთადერთი თარიღი ვახუშტის ქრონოლოგიაში, რომელიც მას არ ეკუთვნის. მაგრამ, „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციისგან განსხვავებით, ვახუშტისთან 1174 წელი არის თამარის გამეფების თარიღიც.

თავისი შრომის შესავალ ნაწილში („*მკითხველთათვის სიტყუა რაღსთჳს არს შრომა ესე*“) ვახუშტიმ ყურადღება მიაქცია შეუსაბამობას თამარის გამეფების ზემოაღნიშნულ ორ თარიღს შორის: „*კუალად თამარის გამეფების ქორონიკონი არა არის შეთქმული (სწორი – გ.ჯ.), რამეთუ წერილ არს დასაბამითგან იყო ხ-ქჳ (6686). ქრისტესი ჩ-რწ (1156)*“.¹⁹ თუ ერთია მართებული, მაშინ მეორე მცდარია და პირიქით. „*ესრეთ არ ჭეშმარიტებს*“ დაასკვნა მან და ქრონოლოგიის გამართვის თავისი გზა შემოგვთავაზა:

„ხოლო ჩვენ ალექსი ანგაარისა და ფრანგთაგან კონსტანტინეპოლის ალების ქორონიკონი ვპოვეთ, მათ მას ზეითი და მას ქუეითი მუნვე წერილის („ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის – გ.ჯ.) წლის რიცხვეულებით ვყვენით, რომელსა სწერს ი-წ [18] წელს ლაშას გამეფებასა და თამარის კ-დ [24] წლის მეფობის აღმავლობასა და მისი სიკუდილის ქორონიკონსა ზედა, რომელი ვპოვეთ, ვყავთ“²⁰.

ვნახოთ ჯერ, რა კავშირშია „ალექსი ანგაარისა და ფრანგთაგან კონსტანტინეპოლის ალების ქორონიკონი“, თამარის „კ-დ [24] წლის მეფობის აღმავლობასთან“, ე.ი. თამარის მეფობის 24-ე წელთან.

„ფრანგთაგან“, ე.ი. ჯვაროსნების მიერ ბიზანტიის დედაქალაქის – კონსტანტინოპოლის ალებისა და იმპერატორ ალექსი ანგელოსის („ანგაარის“) დამხობისა და სიკვდილის ამბავი მოთხრობილია ვახუშტის ძირითად წყაროში – „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში, სადაც ის, თავის მხრივ, შევიდა თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან.²¹ აქვეა თხრობა იმის თაობაზეც, თუ რა შეუბრალებელი იყო თამარი მტრის მიმართ და, მიუხედავად ამისა, როგორ განიცადა მან ალექსის სიკვდილი. შემდეგ მოდის პატარა ნაწყვეტი თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან, სადაც ის ჩართულია ბასიანის ომისა და დავით სოსლანის სიკვდილის ამბებს შორის.²²

¹⁸ რ. კიკნაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 17.

¹⁹ ვახუშტი ბატონიშვილი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, გვ. 10.

²⁰ იქვე, გვ. 10

²¹ ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, გვ. 325. შდრ. ქართლის ცხოვრება. ტომი მეორე (ს. ყაუხჩიშვილის გამ.), გვ. 142-143.

²² ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, გვ. 326; ქართლის ცხოვრება, ტომი მეორე (ს. ყაუხჩიშვილის გამ.), გვ. 99-100.

მერე კი ნათქვამია, რომ თამარმა: „ოცდამესამედ, გინა თუ მეოთხედ აღმავლობასა მეფობისა მისისასა წელიწადსა, იკითხა საქმე კარისა“;²³ რასაც მოსდევს კარის – იმავე ყარსის დალაშქვრა და აღება ქართველების მიერ.²⁴

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია, თითქოს, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ თამარის მეფობის ოცდამესამე თუ ოცდამეოთხე წელი და ყარსის აღება იმავე წლით დათარიღდეს, რითაც წინამორბედი ამბები: კონსტანტინოპოლის აღება, ალექსის სიკვდილი... მაგრამ ვახუშტიმ ეს ამბები თანადროულად მიიჩნია. ინტერპოლატორისათვის დამახასიათებელი მეთოდით მან შეამოკლა თავისი ძირითადი წყაროს ტექსტი და კონსტანტინოპოლის აღებასა და ალექსი ანგელოსის სიკვდილს უშუალოდ მოაყოლა „ხოლო ჟამთა ამათ იკითხა თამარ საქმე კარისა, რომელ თამარისა მეფობისა წელი აღვიდოდა ოცდამეოთხედ“;²⁵ რასაც მერე ყარსის აღების ამბავი მოსდევს.

ვახუშტის რედაქციაში თამარის ზეობის ოცდამესამე წელი ამოვარდნილია. სამაგიეროდ, თხრობაში გაჩნდა ახალი, დამატებითი ფრაზა „ჟამთა ამათ“. სწორედ ამ ფრაზიდან ჩანს, რომ თამარის ზეობის ოცდამეოთხე წელი ვახუშტის მიაჩნია ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების თანადროულ ამბად. ასე დაუკავშირა მან მსოფლიო ისტორიაში კარგად ცნობილ ფაქტს ის „რიცხვეული“ – „თამარის კედ [24] წლის მეფობის აღმავლობა“ – რაც მას „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში ეგულებოდა.

როგორც აღინიშნა, ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების თარიღი ვახუშტის შეცდომით მოაქვს: 1198 წელი – 1204 წლის ნაცვლად. ვახუშტი წერს, რომ ეს თარიღი „ჰპოვა“, მოიძია. დაფუძვანთ, რომ ეს თარიღი მან მართლაც ნახა რომელიმე ისტორიულ თხზულებაში. მაგრამ ასეთი წყაროს მოძებნა დღეს, თუ კი ის საერთოდ არსებობდა, ძალზე საეჭვოა.²⁶

ვნახოთ ჯერ, რა კავშირშია „ალექსი ანგარისა და ფრანგთაგან კონ-

²³ ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, გვ. 326.

²⁴ თხრობა უნდა მოდიოდეს თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან. ყოველ შემთხვევაში, ასე გამოიყურება ის ივ. ჯავახიშვილის მიერ აღდგენილ ამ თხზულების ტექსტში (ქართლის ცხოვრება, ტომი მეორე, ს. ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 143).

²⁵ ვახუშტი ბატონიშვილი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, გვ. 189.

²⁶ ყოველ შემთხვევაში, ამის საფუძველს არ იძლეოდა სტრატემანისა და ბარონიუსის შრომები, რომლებითაც სარგებლობდა ვახუშტი (იხ. სტრატემანი. *თეატრო, ანუ ასპარეზი მატრიანური*. ვახუშტის მიერ შესრულებული თარგმანი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი, S:420; Деяния церковные и гражданские из летописании Кесаря Барония, собранная и переведенная с польского языка на славянский. М., 1712).

²⁷ ვახუშტი ბატონიშვილი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*. – საქართველოს ცენტრალური არქივის ხელნაწერი. A:103, გვ. 322.

სტანტინოპოლის ალების ქორონიკონი“ თამარის „კდ“ [24] წლის მეფობის აღმავლობასთან, ე.ი., თამარის მეფობის 24-ე წელთან.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ თავად ვახუშტის მიერ შედგენილ სინქრონულ ტაბულაში, რომელიც მის თხზულებას ერთვის და არ არის გამოცემული, ალექსი ანგელოსის მმართველობა 1193 წლიდან – 1203 წლამდე მოდის.²⁶ შემდეგ კი „კონსტანტინოპოლის მეფეებად“ დასახელებულნი არიან: ალექსი IV და ალექსი V – 1203 წ. და ბალდუინი – 1204 წ.²⁸ მართალია, თარიღებში აქაც არის შეცდომა: ალექსი ანგელოსი 1195 წ. გამეფდა, მაგრამ, სხვა მხრივ, ეს მონაცემები ზუსტია.

ამრიგად, ვახუშტის უნდა სცოდნოდა, რომ ალექსი ანგელოსი 1198 წ. არ დაღუპულა. მაშ, რატომ დაუშვა მან ტექსტში უხეში შეცდომა? ხომ არ აითვალა კონსტანტინოპოლის ალების თარიღი თამარის ზეობის 24-ე წლის მიხედვით, 1174 წლიდან?

დადებითი პასუხი ამ კითხვაზე ჩვენ სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება. 1198 წელი – ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის ალებისა და თამარის ზეობის 24-ე წელი ვახუშტის ქრონოლოგიაში გახდა ის მნიშვნელოვანი რგოლი, საიდანაც გამოთვლილია სხვა, როგორც მის „ზეითი“, ისე მის „ქუეითი“ ამბების თარიღები.

ყარსის ალებას, რაც ზამთრის თვეში მოხდა, „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციით მოსდევს დავით სოსლანის სიკვდილი.²⁹ როგორც ახალი ამბავი, ვახუშტიმ ის 1199 წლით დაათარიღა. დავით სოსლანის სიკვდილის შემდეგ მისი წყაროთი „არა მცირედთა ჟამთა“ (თამარის პირველი ისტორიკოსის თანახმად... „ჟამთა არა მცირედ მყოფელთა“) მშვიდობა სუფევდა;³⁰ მერე კი მოთხრობილია არდებილის სულთნის მიერ ანისის მოხრებისა და ქართველთა საპასუხო ექსპედიციის ამბავი.³¹

ვახუშტი ამ მოვლენებს თანადროულად თვლის. სხვათა შორის, ასევე მიიჩნევდა უფრო ადრე ფარსადან გორგიჯანიძეც.³²

არდებილის სულთნის დასჯის შემდეგ „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში მოთხრობილია ქართველების ლაშქრობა ირანში – შემოდგომაზე. ამ ორ ამბავს შორის აქაც გარკვეული შუალედი: „სხვა ჟამთა“,³³ მაგრამ თამარის პირველი ისტორიკოსი თითქოს ამ შუალედის ვარაუდს არ იძლევა.³⁴ ყოველ შემთხვევაში, ვახუშტი

²⁸ იქვე.

²⁹ ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, გვ. 326-327.

³⁰ იქვე, 327; ქართლის ცხოვრება. ტომი მეორე (ს. ყაუხჩიშვილის გამ.), გვ. 100.

³¹ ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, გვ. 328.

³² რ. კიკნაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 128.

³³ ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, გვ. 328.

³⁴ ქართლის ცხოვრება. ტომი II (ს. ყაუხჩიშვილის გამ.), გვ. 103.

ირანში ლაშქრობასაც არდებილის დარბევის თანადროულად მიიჩნევს.

ახალი, სავარაუდოა, რომ მომდევნო წლის ამბებია: ზაქარია მხარგრძელის სიკვდილი და მთიელთა აჯანყება, რამაც სამი თვე: ივლისი, აგვისტო და სექტემბერი გასტანა.³⁵ ვახუშტი ამ თვეებს არ ასახელებს,³⁶ მაგრამ, უეჭველია, იცოდა ისინი.

თამარი გარდაცვალა მთიელთა აჯანყების შემდეგ.³⁷ ბუნებრივია, რომ სწორედ ამ მოვლენათა თანამიმდევრობის გათვალისწინებით, 1199 წლის შემდეგ გამოტოვდა რა 1 წელი, ვახუშტომ თამარის გარდაცვალება დაათარიღა 1201 წლით, ის იძლევა თვეს და რიცხვსაც: 18 იანვარს, რაც მის ძირითად წყაროში არ არის და, ალბათ, ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის თხზულებიდან მომდინარეობს.³⁸

ასე დაათარიღა ვახუშტომ 1198 წლის „ზეითი“ მოვლენები. დათარიღება მოვლენების სავარაუდო თანამიმდევრობას ემყარება.

ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებიდან დავით სოსლანის სიკვდილამდე შუალედი თარიღებში, ვახუშტის მიხედვით, 1 წელია, თამარის გარდაცვალებამდე კი – 3 წელი. რ. კიკნაძე, რომელიც კონსტანტინოპოლის აღების მცდარ თარიღს რეალური 1204 წლით ასწორებს, თვლის, რომ ვახუშტის თანახმად, დავით სოსლანი გარდაიცვალა 1205 წ., ხოლო თამარი – 1207 წ.³⁹

ეს შეიძლებოდა ასეც ყოფილიყო, ვახუშტის შეცდომა მხოლოდ კონსტანტინოპოლის აღების მცდარი თარიღით რომ შემოიფარგლებოდა. მაგრამ, ვახუშტის მიხედვით, 1198 წელი ხომ თამარის ზეობის 24-ე წელი, ყარსის აღების წელიცაა. იზნ ალ-ასირის ცნობით, ყარსი ქართველებმა აიღეს 1206-7 წ.⁴⁰ სხვა რეალური თარიღი ამ ამბისთვის დღეისათვის მეცნიერებას არ აქვს.

ვახუშტომ, თავისდაუნებურად, სხვადასხვა წლის ამბები ერთ წელში გააერთიანა და მათ თანამიმდევრობაში ამოაგდო ერთი რგოლი, რომლის ხანგრძლივობის პერიოდიც 2-3 წელია. აქედან გამომდინარე, ექვსწლიანი კორექტივის შეტანამ ვახუშტისეულ თარიღებში არ შეიძლება სასურველი შედეგი მოგვცეს. დამთხვევებს რეალურ თარიღებთან ექნება შემთხვევითი და არა – კანონზომიერი ხასიათი.

³⁵ ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, გვ. 332-333.

³⁶ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ს. ყაუხჩიშვილის გამ.), გვ. 191.

³⁷ ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, გვ. 336.

³⁸ ქართლის ცხოვრება. ტომი პირველი. ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, გვ. 371.

³⁹ რ. კიკნაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 131.

⁴⁰ თ. ნატროშვილი. გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. – მაცნე (ელს), 1974, №1, გვ. 152-153.

შეუძლებელია, ვახუშტის მიხედვით ვიმსჯელოთ დავით სოსლანის გარდაცვალებაზე 1205 წ. მაშინ, როცა, „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის და თავად ვახუშტის თანახმად, დავითი ყარსის გარემოცვისა და მისი ალების მონაწილეა.

მაშასადამე, ვახუშტისგან გამომდინარე, დავით სოსლანის თუ თამარის სიკვდილის⁴¹ გადათარილება უნდა მოხდეს ყარსის (1206/7 წ.) და არა კონსტანტინოპოლის ალების (1204 წ.) თარიღის გათვალისწინებით.

თამარის გარდაცვალების თარიღად 1201 წლის მიღების შემდეგ ვახუშ-

⁴¹ თამარის გარდაცვალების თარიღის შესახებ, როგორც ცნობილია, ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ტრადიციული 1213 წლის გარდა, ვარაუდობენ 1207 წელსაც (ამ საკითხზე ლიტერატურა იხ. თ. ნატროშვილი. გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 151). თ. ნატროშვილთან ერთად ჩვენ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ ნუმისმატიკური მასალებით თამარი გარდაიცვალა 1210 წ. (თ. ნატროშვილი. გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 164). ამავე თარიღს სომხური ეპიგრაფიკული წყაროების საფუძველზე გვთავაზობს შ. დარჩაშვილიც (შ. დარჩაშვილი. XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის. – ჟურნ. მნათობი, 1975, №2, გვ. 157). 1975 წ. 24-28 მარტს ნ. ბერძენიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე აღნიშნულ თარიღს მხარი დაუჭირეს მ. ლორთქიფანიძემ, მ. დუმბაძემ, ი. გაგოშიძემ და ჯ. სტეფანაძემ, ხოლო 1207 წელს – ბ. სილაგაძემ და ჯ. ოდიშელმა და ლ. ტუხაშვილმა მოხსენებაში „ათაბაგობის სახელის გარკვევისათვის“ (ლ. ბერიაშვილი. ე. ორჯონიკიძე. ნ. ბერძენიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. – მაცნე (იახისი) 1975, №3, გვ. 164). რ. მეტრეველმა დაიცვა ტრადიციული 1213 წ. (რ. მეტრეველი. ერთი ფურცელი საქართველოს ისტორიიდან (მთიელთა აჯანყების საკითხისათვის XIII საუკუნის ათიან წლებში). – ჟურნ. განათიადი, 1977, №2, გვ. 173), ხოლო ჯ. ოდიშელმა – 1207 წ. (ჯ. ოდიშელი. ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი. XII–XIII სს. მიჯნა. – ჟურნ. ცისკარი, 1976, №1, გვ. 120). ჯ. ოდიშელი შეეცადა ნუმისმატიკური მასალის დისკრედიტაციას, მაგრამ მისი არგუმენტები მოკლებულია დამაჯერებლობას. რა თქმა უნდა, ზოგიერთი, მათ შორის, ქართული წერილობითი წყარო, მართლაც ასახელებს თამარის გარდაცვალების თარიღად 1207 წ., მაგრამ მათზე დაყრდნობა, ვიდრე ნუმისმატიკურ ფაქტებს სხვაგვარ ახსნას არ მოუძებნით, სათუთა. თამარის ხანის ქართული ისტორიული წყაროები, სამწუხაროდ, შერყვნილი სახით არის ჩვენამდე მოღწეული. კარგად არის ცნობილი, თუ როგორ აღადგინა ივ. ჯავახიშვილმა თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულება, სწორედ აქ, ერთი ცნობით, თამარი ცოცხალია თავისი მეფობის 23-ე ან 24-ე წელს. მეორე, უფრო კატეგორიული ცნობით, რითაც თხზულება მთავრდება – გარდაცვლილი მეფობის 23-ე, ე.ი. 1207 წ. (მდრ. თ. ნატროშვილი. გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 94; ჯ. ოდიშელი. ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი, გვ. 120). ეკუთვნის კი ის ბასილი ეზოსმოძღვარს? კ. გრიგოლია ამ თხზულების დასკვნით ნაწილს თამარის მესამე ისტორიკოსს (რუსთაველს) მიაკუთვნებს (კ. გრიგოლია. თამარის კიდევ ერთი მემატიაზე ისტორიკოსი. თბ., 1977). ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაწიანის თხზულება, რომელიც თამარის გარდაცვალების თარიღად 1207 წ. აღნიშნავს და რომელიც ორიგინალურ თხზულებად იყო მიჩნეული, ნ. შოშიაშვილის თანახმად, დაწერილი ჩანს XVII საუკუნის დასაწყისში (ნ. შოშიაშვილი. „ანასეული ქართლის ცხოვრების“ გადაწერის თარიღი. – მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი), V, თბ., 1975, გვ. 55). ყოველივე ეს მიუთითებს, რომ თამარის ხანის ქართული საისტორიო წყაროების კრიტიკული შესწავლა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და, ამდენად, მათ ქრონოლოგიურ მონაცემებს ფრთხილად უნდა მოვეკიდეთ, ერთადერთი ჭეშმარიტად თანადროულ წყაროდ რჩება ნუმისმატიკური მასალა, 1210 წლის ის მონეტები, რომლებმაც, შესაძლოა, თავად თამარის ხელშიც კი გაიარეს.

⁴² ქართლის ცხოვრება, ტომი II (ს. ყაუხჩიშვილის გამ.), გვ. 151.

ტის შეეძლო გამოეყენებინა „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის „ის რიცხვეული რომელსა სწერს იწმ[18] წელს ლაშას გამეფებასა“, კერძოდ კი, ჟამთააღმწერლის ცნობა იმის თაობაზე, რომ თამარის სიკვდილის ჟამს, გამეფებისას, გიორგი ლაშა იყო 18 წლისა.⁴²

ამ ცნობის გათვალისწინებით, ვახუშტიმ მიიღო გიორგი ლაშას დაბადების თარიღი (1201 - 18) – 1183 წ. ამის შემდეგ შესავსები რჩება ორი მონაკვეთი: I. 1174–1183 და II. 1193–1198 წლები.

ვახუშტის წყაროში, როგორც ითქვა, თარიღები არ არის. სამაგიეროდ, აქ ჩამოთვლილია რიგი ამბებისა, რომლებიც წინ უსწრებდნენ კონსტანტინოპოლის აღებას ჯვაროსნების მიერ. ვახუშტის რედაქციით ეს ამბებია:

1. თამარ მეფის მიერ ტრაპიზონის საკეისროს შექმნა;
2. ბასიანის ომი;
3. ხალიფას ელჩების ჩასვლა თამართან;
4. სომეხ-ქართველთა რელიგიური უთანხმოება და ამავე წელს კარის პირველი აღება ქართველების მიერ;
5. შამქორის ომი.⁴³

ვივარაუდოთ თითოეული ამბისთვის თითო ახალი წელი (1–1197 წ., 2–1196 წ., 3–1195 წ., 4–1194 წ., 5–1193 წ.) და როგორც ბასიანის, ისე შამქორის ომებისთვის მივიღებთ ვახუშტისეულ თარიღებს. როგორც ჩანს, ვახუშტი აქაც მოვლენებს თანამიმდევრობის მიხედვით ათარიღებდა.

1174–1183 წლების შუალედში ვახუშტის ძირითად წყაროში მოვლენები ერთმანეთს მექანიკურად აღარ მისდევს. ისინი უფრო მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ვახუშტიმ თავისი წყაროდან იცოდა, რომ თამარის მეორე ქორწინების შემდეგ ამ წლის ბოლომდე გიორგი ლაშა ჯერ კიდევ არ იყო დაბადებული. მომდევნო წელს მობრუნდა გიორგი რუსი და მერე მოხდა გუზან ტაოელის აჯანყება. აღნიშნულია ის ნუხილი, რაც გამოწვეული იყო ტახტის მემკვიდრის არყოლით. დასასრულ კი – ალბათ, მომდევნო წელს დაიბადა გიორგი ლაშა.⁴⁴

1183 წლიდან დაღმავალი გზით, აღნიშნული ამბების გათვალისწინებით, თამარის მეორე ქორწინების თარიღად ვახუშტიმ მიიღო 1181 წ.

თამარის მეორე ქორწინებას, „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციით, წინ უსწრებს გიორგი რუსთან განქორწინება და მისი გა-

⁴³ ვახუშტი ბატონიშვილი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა* (ს. ყაუხჩიშვილის გამ.), გვ. 183-189; შდრ. ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, გვ. 312-325.

⁴⁴ ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, გვ. 292-298.

ძვეება,⁴⁵ რასაც ადვილად შეიძლება დასმოდა ახალი თარიღი – 1180 წ.

თამარის პირველი ქორწინება გაგრძელდა 2,5 წელი.⁴⁶ ვახუშტიმ, როგორც ჩანს, ეს მონაცემი დაამრგვალა 3 წლამდე – ისევე, როგორც ჩვენს დროში ივ. ჯავახიშვილმა⁴⁷ და თამარის პირველი ქორწინების თარიღად მიიღო 1177 წ.

ასე დაათარიღა ვახუშტიმ 1198 წლის „ქუეითი“ მოვლენები.

ვახუშტის ქრონოლოგიაში პირველივე თარიღი შეიცავდა ათწლიან შეცდომას, მაგრამ ათწლიანი კორექტივით ყველა სხვა თარიღის ერთნაირი სიზუსტით გასწორება არ ხერხდება, რადგანაც ვახუშტი იყენებდა სავარაუდო დათარიღების ხერხს მოვლენათა თანამიმდევრობის მიხედვით.

თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება, რომელიც ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ ძირითადი წყარო იყო, როგორც ფიქრობენ, არ არის ზუსტად ქრონოლოგიურ რიგზე განწყობილი თხზულება.⁴⁸ მასში დარღვეულია მოვლენათა აღწერის თანამიმდევრობა, რომელთაც, რა თქმა უნდა, ვახუშტი არ ასწორებს.

კიდევ მეტი: ვახუშტი, ზოგჯერ არც ამ თანამიმდევრობას იცავს და რიგ მოვლენებს საკუთარი ინიციატივით აერთიანებს. ასე მაგალითად, კონსტანტინოპოლისა და ყარსის აღების გარდა, მას თანადროულ ამბებად აქვს მიჩნეული ქართველ-სომეხთა რელიგიური უთანხმოება და ყარსის (კარის) პირველი აღება ქართველების მიერ, თუმცა მისი წყარო ამ ამბებს არ აერთიანებს.

ყოველივე ამის გამო, თამარის მეფობის მონაკვეთის საქართველოს ისტორიის ვახუშტისეული ქრონოლოგია უალრესად ფრთხილ დამოკიდებულებას საჭიროებს. რა თქმა უნდა, შეიძლება გავითვალისწინოთ მოვლენათა თანამიმდევრობის, ან მათ შორის შუალედების ვახუშტისეული გაგება, მაგრამ მისი თარიღების უეჭველი და კატეგორიული აღიარება, თუნდაც, გარკვეული კორექტივების საფუძველზე, არ გვეჩვენება მიზანშეწონილად.

⁴⁵ იქვე, გვ. 288.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, გვ. 258.

⁴⁸ რ. კიკნაძე. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 108.

**VAKHUSHTI BAGRATIONI AND SOME PROBLEMS OF
CHRONOLOGY OF THE GEORGIAN HISTORY OF THE
12TH-13TH CENTURIES**

In the first part of “The History of Georgia”, covering the period up to the 14th c. and being a non-original work, Vakhushti Bagrationi was the first among Georgian historians who attempted to establish the chronology of the most important events of the reign of Queen Tamar. The dates suggested by him (1174 to 1201) differ considerably from the real ones. At first it was assumed that the difference was 10 years (T. Zhordania). Now it is considered that the error in Vakhushti’s chronology is 6 years (R. Kiknadze). It is however, impossible to specify the dates of Vakhushti even with account of the difference of 10 and 6 years.

The methods used by Vakhushti in dating separate events and the causes of inaccuracy of his chronology are studied in the paper.

„აჯა'იბ ად-დუნა“ აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების ერთი ეპიზოდის შესახებ*

‘აჯა’იბ ად-დუნა („სამყაროს საკვირველებანი“), უცნობი ავტორის გეოგრაფიული თხზულება სპარსულ ენაზე, დაიწერა XIII საუკუნის 20-იან წლებში. თხზულების ხელნაწერი 1859 წ. ისფაჰანში შეიძინა ცნობილმა რუსმა აღმოსავლეთმცოდნემ ნ. ხანიკოვმა და გადასცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აზიის მუზეუმს. სამეცნიერო მიმოქცევაში ‘აჯა’იბ ად-დუნა 1954 წელს შემოიტანა ნ. დ. მიკლუხო-მაკლაიმ.¹ მან ‘აჯა’იბ ად-დუნაში მოიძია მონაცემები ავტორის ცხოვრების (განათლება, ინტერესები, შიიტური სიმპატიები, მოგზაურობები და სხვ.) შესახებ, განსაზღვრა ამ თხზულების დაწერის დრო – დაახლოებით, 1220/21–1230/31 წლები² და რუსულად თარგმნა ‘აჯა’იბ ად-დუნას ის ნაკვეთები, რომლებიც ეხება აზერბაიჯანს, სომხეთსა და, ნაწილობრივ, საქართველოს.³ მკვლევარი წერდა, რომ ამ ნაწილს, როგორც ისტორიული გეოგრაფიის წყაროს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან განსაკუთრებით ძვირფასად მიიჩნია მასში დაცული ეკონომიკური ხასიათის მონაცემები და წმინდა ისტორიული ხასიათის ცნობებიც.⁴ ნ. დ. მიკლუხო-მაკლაიმ აჩვენა, რომ ‘აჯა’იბ ად-დუნას ავტორი ეყრდნობოდა წინამორბედ წყაროებს. გარდა ამისა, ის სარგებლობდა სხვადასხვა პირისგან მიღებული ზეპირი ინფორმაციით და საკუთარი დაკვირვებებით, რომლებიც მას ჰქონდა მრავალი მოგზაურობის წყალობით.⁵

* პირველად დაიბეჭდა 1999 წ. – *ქართული დიპლომატია. წელიწდეული*. VI, თბ., გვ. 126-135. რუსულ ენაზე: По поводу сообщения ‘адж’аиб ад-дунья (Айюбидское посольство в Грузии). – *Центральная Азия* (Источники, история, культура), М., 2005, с. 332-340.

¹ Н. Д. Миклухо-Маклай. Географическое сочинение XIII в. на персидском языке (Новый источник по исторической географии Азербайджана и Армении). – *Ученые записки Института востоковедения*, т. IX, М.-Л., 1954, гв. 175-213.

² იქვე, გვ. 180-184, 184-185.

³ იქვე, გვ. 196-210.

⁴ იქვე, გვ. 211-212.

⁵ იქვე, გვ. 185-190, 190-191.

ნ. დ. მიკლუხო-მაკლაიმ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ 'აჯა'იბ ად-დუნიას ავტორი ტყვედ ჰყოლიათ ქართველებს, რაც თავად მოიხსენია. ანონიმის თანახმად, 606 წლის შა'ბანში, ე.ი., 1210 წლის იანვარ-თებერვალში, როცა ის ურწმუნოთა ხელთ იყო, აბხაზის მეფეს ეწვია 'ადილის (ეგვიპტის აიუბიანთა სულთნის) ვაჟის, მალიქ აშრაფის (ალ-მალიქ ალ-აშრაფის) ელჩი.⁶ ეს ცნობა ნ. დ. მიკლუხო-მაკლაიმ მხოლოდ ანონიმის ბიოგრაფიისათვის გამოიყენა და, სამწუხაროდ, სრული სახით არ თარგმნა. შემდეგ, როდესაც ანონიმის ზეპირ წყაროებს ახასიათებდა, ნ. დ. მიკლუხო-მაკლაი კვლავ შეეხო ამ ელჩობას და წერდა, რომ ავტორმა ქართველ მეფესთან მოსული აიუბიანთა ელჩისგან მოისმინა ამბავი სალაჰ ად-დინის მიერ იერუსალიმის აღებისა (1187 წლის ოქტომბერი⁷) და იქიდან ფრანკების განდევნის შესახებ და რომ ეს ამბავი მან მოიტანა თავის ნაშრომში (ხელნაწერი, გვ. 107ა).⁸

აიუბიანთა ელჩის ვიზიტი საქართველოს მეფესთან ნ. დ. მიკლუხო-მაკლაის გამოცემის მიხედვით დაიმონმა რ. კიკნაძემ, რომელმაც ქართულად თარგმნა ამ გეოგრაფიული თხზულების ცნობები საქართველოს შესახებ.⁹

1993 წელს ნ. პ. სმირნოვამ განახორციელა 'აჯა'იბ ად-დუნიას კრიტიკული გამოცემა, რომელსაც დაურთო რუსული თარგმანი და კომენტარები.¹⁰ სწორედ ამ გამოცემამ მოგვცა საშუალება, წინამდებარე წერილში ვრცლად გვემსჯელა მალიქ აშრაფის მიერ საქართველოში გამოგზავნილი ელჩის მისიაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს ელჩობა არ არის მოხსენიებული თანადროულ ქართულ და, რამდენადაც ვიცით, აღმოსავლურ წყაროებშიც. ის უეჭველად საყურადღებოა და აფართოებს ჩვენს ცოდნას აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ.

ჩვენთვის საინტერესო ცნობას, რომელსაც იერუსალიმთან დაკავშირებით გვთავაზობს 'აჯა'იბ ად-დუნიას ავტორი, ნ. პ. სმირნოვა სპარსულიდან რუსულად ასე თარგმნის:

“В ша'банае 606/ января 1210 года, когда я находился в плену у кафи-
ров, к правителю Абхаза пожаловал посол от Малика Ашрафа б. 'Адила.

⁶ Н. Д. Миклухо-Маклай. Географическое сочинение, гв. 182-183.

⁷ სინამდვილეში ეს მოხდა 1187 წ. 4 ივლისს.

⁸ Н. Д. Миклухо-Маклай. Географическое сочинение, гв. 190-191.

⁹ „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ. თბ., 1978, გვ. 14, შენ. 25.

¹⁰ 'Аджа'иб ад-дунья (Чудеса мира). Критический текст и перевод с персидского, введение, комментарий и указатели Л. П. Смирновой. М. 1993.

Он рассказал о восстании франков. От него я слышал, как он говорил: "Мы разрушили город Кудс, а его крепостной вал весь сбросили в ров. Мечеть Акса, башню Да'уда-пророка, мир ему, и Кумаму оставили [нетронутыми] по той причине, что беспокоились из-за восстания франков. Нам нужны были десять тысяч мужей, чтобы охранять город. Если бы мы оставили там войско, то не смогли бы оказать им сопротивления. Мы слышали, что они теперь сожалеют о разрушении Кудса".¹¹

მოტანილ ექსცერპტში დასახელებული ადგილები და პირები ცნობილია:

– კუდსი იერუსალიმის ერთ-ერთი არაბული სახელწოდებაა.

– წინასწარმეტყველ და'უდის, ანუ დავითის კოშკი შედიოდა იერუსალიმის ციტადელის საფორტიფიკაციო სისტემაში და მდებარეობდა მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

– მეჩეთი აკსა (ალ-აკსა, „შორეული მეჩეთი“) იერუსალიმში, კუბათ ას-სახრასთან („კლდის გუმბათთან“) ერთად, ჰარამ ამ-შარიფის სამხრეთ ნაწილში, მესამე უწმინდესი ადგილია მუსლიმთათვის მექისა და მედინას შემდეგ.

– კუმამა აღდგომის ეკლესიაა, ყველა ქრისტიანის მთავარი სალოცავი და ყოველწლიური პილიგრიმობის ადგილი იერუსალიმში. ქრისტიანთა წმინდათა-წმინდა ადგილის დისკრედიტაციის მიზნით, მუსლიმებმა დაამახინჯეს აღდგომის ეკლესიის სახელწოდება და „აღდგომა“, არაბ. *კიამა*, გადააკეთეს *კუმამად*, რაც ნაგავს ნიშნავს.

– ფრანკები (სპარს. *ფარანგ*) ევროპელი ჯვაროსნები არიან.

– აბხაზის resp. ქართველთა მმართველი (სპარს. *მალიქ*) მეფე გიორგი ლაშაა (1210–1223).

მალიქ აშრაფი (ალ-მალიქ ალ-აშრაფი), აიუბიანთა სულთან ალ-ადილის ძე, ივანე მხარგრძელის სიძე, ცნობილი პიროვნებაა ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს ისტორიაში. XIII საუკუნის II ათწლეულში ის საქართველოს მეზობელ მუსლიმ გამგებელთაგან ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იყო,¹² მაგრამ 1210 წლის დამდეგს აიუბიანთა შორის ჯერ კიდევ მეორეხარისხოვან ფიგურას წარმოადგენდა. მისი იმდროინდელი სამფლობელო ქ. ჰარანი ჩრდილოეთ მესოპოტამიაში საკმაოდ იყო დაცვილებული საქართველოს საზღვრებს და გაუგებარია, თუ რატომ უნდა გამოეგზავნა სწორედ მას ამ დროს ელჩი საქართველოში.

რაც შეეხება მოტანილი ცნობის შინაარსს, ნ. სმირნოვას თარგმანში ის

¹¹ 'Аджа'иб ад-дунйа, გვ. 73.

¹² იხ. გ.ჯაფარიძე. *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*. თბ., 1995, გვ. 172-174.

სრულიად განსხვავდება იმისგან, რასაც წერდა მიკლუხო-მაკლაი. ირკვევა, რომ საქმე ეხება არა 1187 წ. იერუსლიმის აღებას სალაჰ ად-დინის მიერ და ფრანკების განდევნას ქალაქიდან (რაც, მომხდარი ამბის ხანდაზმულობის გათვალისწინებით, რამდენადმე საოცარია), არამედ ფრანკების რალაც აჯანყებას, რასაც შედეგად მოჰყვა იერუსალიმის გალაენის დანგრევა თვით მუსლიმების მიერ, რომელთაც არ შეეძლოთ დაეცვათ ქალაქი. მიკლუხო-მაკლაი, ჩანს, ხელნაწერში ამ ადგილს საფუძვლიანად არ გაეცნო. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არც სმირნოვას თარგმანია სავსებით ზუსტი და მას არ ახლავს კომენტარები, როგორც „ფრანკების აჯანყების“, ისე – იერუსალიმის საფორტიფიკაციო სისტემის დანგრევის შესახებ.

ანონიმი ავტორი იუწყება, რომ 606 წლის შა'ბანში, რაც შეესაბამება პერიოდს 1210 წლის 29 იანვრიდან 26 თებერვლის ჩათვლით, აშრაფის ელჩი აბხაზის resp. ქართველთა მეფეს ატყობინებდა კუდსის, ე.ი. იერუსალიმის გალაენის დანგრევას, ამის მიზეზს და წუხილს მომხდარის გამო. ამ ინფორმაციის მიხედვით, ფრანკების აჯანყება და იერუსალიმის გალაენის დანგრევა 1209 წელს, ანდა 1210 წლის დამდეგს უნდა გვევარაუდა; მაგრამ არც ამ დროს, არც მანამდე და არც შემდეგ, მუსლიმთა წინააღმდეგ არ მომხდარა ფრანკთა რაიმე აჯანყება, რომელმაც იერუსალიმის გალაენის დანგრევა განაპირობა. გავვიჩინა ეჭვი თარგმანის სისწორეში და ამან გვიბიძგა მიგვემართა ორიგინალისთვის.

‘აჯა'იბ ად-დუნიას სპარსული ტექსტის გადამონმებამ გვიჩვენა, რომ სიტყვას „აჯანყება“ შეესაბამება *جأخ/ხორუჯ*.¹³ უეჭველია, რომ მოცემულ კონტექსტში ამ სიტყვას, რომელიც სპარსულში შევიდა არაბულიდან, აქვს სრულიად სხვა მნიშვნელობა, კერძოდ, ეს არის *გამოსვლა*, ლაშქრობის სახით. აშკარა გახდა (იხ. ქვემოთ), რომ საქმე ეხება სწორედ ფრანკთა, ჯვაროსანთა ლაშქრობას და არა აჯანყებას. ტექსტის ამგვარი გაგება, რომელიც მხედველობიდან გამორჩა სმირნოვას, არსებითად ცვლის ცნობის შინაარსს და აზუსტებს მის თარიღს, დაგვიდასტურა ცნობილმა ირანისტმა ბ-ნმა გია ბერაძემ. ჩვენი თხოვნით, მან თავაზიანად მოგვანოდა ჩვენთვის საინტერესო ექსცერპტის ზუსტი ქართული თარგმანი, რომელიც აქ მოგვაქვს:

„606 წლის შა'ბანს, როდესაც ურწმუნოთა (*ქაფირ*) ხელთ ვიყავი, მალიქ აშრაფ ბ. 'ადილის მოციქული (*რასულ*) მოვიდა აბხაზის მეფესთან (*მალიქ აბხაზ*) და ფრანკთა (*ფარანგ*) გამოსვლის (*ხორუჯ*) ამბავს ყვებოდა. მისგან მოვისმინე, რომ ამბობდა: „ქალაქი კუდსი დავანგრეთ და [გალაენის] მთელი კედლები თხრილში (*ხანდაკ*) ჩავ-

¹³ ‘Аджа'иб ад-дунйа, გვ. 367.

ყარეთ. მეჩეთი აკსა, კოშკი და უდ წინასწარმეტყველისა – მშვიდობა მასზე! – და კუმამა დავტოვებ [ხელუხლებლად] იმ მიზეზით, რომ ფრანკთა გამოსვლამ შეგვაფიქრიანა. ჩვენ ათი ათასი კაცი გვჭირდებოდა იმ ქალაქის დასაცავად და თუკი ლაშქარს იქ დავტოვებდით, მათთვის წინააღმდეგობის განწევას ვერ შევძლებდით“. ახლა კი გავიგეთ, რომ კუდსის დანგრევის გამო ნანობენ“.

ამრიგად, აიუბიანთა ელჩს მხედველობაში ჰქონდა ფრანკების გამოსვლა, ლაშქრობა მუსლიმთა წინააღმდეგ. თუ ასეა, ძნელი აღარ არის დავაზუსტოთ, თუ რომელ გამოსვლას ეხება საქმე, მითუმეტეს, რომ მას მოჰყვა იერუსალიმის გალავნის დანგრევა.

მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში კარგად ცნობილი და თავის დროზე უაღრესად გახმაურებული ეს ამბავი **მოხდა ჰიჯრის 616 წლის დამდეგს, ანუ 1219 წლის მარტში**, მისი მიზეზი კი იყო მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა (და არა აჯანყება), რომელიც დაიწყო 1217 წლის სექტემბერში.¹⁴

ლაშქრობა მოულოდნელი აღმოჩნდა აიუბიანთა ხანდაზმულ სულთან ალ-ადილისთვის (1200-1218). ის ამ დროს ეგვიპტეში იმყოფებოდა, ხოლო აიუბიანთა ლაშქარი თავიანთ იკტებში იყო გაფანტული. მოვლენები ასე განვითარდა: საომარი ოპერაციები ჯერ პალესტინაში მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგ იერუსალიმზე, ანდა დამასკოზე ლაშქრობას, ჯვაროსნებმა ამჯობინეს ეგვიპტეზე შეტევა. ეგვიპტეში აიუბიანთა ძალაუფლების შემუსვრა მათ შესაძლებლობას მისცემდა, დაეხსნათ იერუსალიმი მუსლიმთაგან და საბოლოოდ განემტკიცებინათ იქ პოზიციები.

1218 წლის 30 მაისს ჯვაროსნები სირიიდან ეგვიპტეში შეიჭრნენ, ნილოსის გასწვრივ დაბანაკდნენ და ალყა შემოარტყეს ციხე-ქალაქ დამიეტას – ნილოსის დელტის ერთ-ერთ ტოტზე. დამიეტა საზღვაო პორტიც იყო და ეგვიპტის გასაღებად ითვლებოდა. მისი დაკავება საშუალებას აძლევდა ჯვაროსნებს, მიეღოთ შევსება ცოცხალი ძალით და სურსათი ზღვიდან, რომელსაც მათი ფლოტი აკონტროლებდა და, რაც მთავარია, ნილოსით და ხმელეთით იერიში მიეტანათ კაიროზე, აიუბიანთა სატახტო ქალაქზე.

ალ-ადილმა აიუბიანთა სამხედრო ძალები მარჯვ ას-სუფართან განაღვა, რათა თავის ვაჟს, ალ-ქამილს, დამიეტას დაცვაში დახმარებოდა. ამავდროს, 1218 წლის ივნისში მან უბრძანა მეორე ვაჟს, დამასკოს მფლობელს

¹⁴ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ამბების გადმოცემისას გამოყენებულია: Van Cleve. The Fifth Crusade. – *A History of the Crusades*. K. M. Setton General Editor. Vol. II. The Later Crusades, 1189-1311. Ed. by R.L. Wolff and H.W. Hazard. Madison, Milwaukee, and London, 1969, გვ. 377-428.

– ალ-მალიქ ალ-მუა'ზზამ 'ისას, დაენგრია ციხე თაბორის მთაზე პალესტინაში, რათა ის ჯვაროსნებს არ ჩავარდნოდა ხელში.¹⁵

დამიეტას ალყა წელიწადნახევარი გაგრძელდა. ამ დროს, 1218 წლის 31 აგვისტოს სულთანი ალ-'ადილი გარდაიცვალა. აიუბიანთა სახელმწიფო, ფაქტობრივად, მისი სამი ვაჟის ხელთ აღმოჩნდა. ალ-ქამილ მუჰამმადი, რომელიც ეგვიპტეში იმყოფებოდა, სულთანად გამოცხადდა. პალესტინა, ტრანსიორდანი და ცენტრალური სირია, ქ. დამასკოსთან ერთად, ალ-მალიქ ალ-მუ'აზზამ 'ისას, ხოლო ჩრდილოეთი სირია და ჩრდილოეთი მესოპოტამიის დიდი ნაწილი ხლათის მფლობელს, ალ-მალიქ ალ-აშრაფს დაექვემდებარა.¹⁶

ალ-ქამილი შეეცადა, მოლაპარაკებოდა ჯვაროსნებს და მათ, დამიეტას ნაცვლად, იერუსალიმი შესთავაზა. მაგრამ ჯვაროსნებმა, რომლებიც ახლოს იყვნენ ალყაშემორტყმული ციხე-სიმაგრის აღებასთან, უარი განაცხადეს. მაშინ ალ-ქამილმა დახმარებისთვის ძმებს მიმართა. პირველად მას გამოეხმაურა და ეგვიპტეს გაემგზავრა დამასკოს გამგებელი ალ-მალიქ ალ-მუა'ზზამ 'ისა, მაგრამ მისი დახმარება ეფექტური არ აღმოჩნდა.

1219 წლის მარტში ალ-მუა'ზზამმა გადაწყვიტა სირიაში აწეწილი საქმეების მოსაგვარებლად უკან დაბრუნებულიყო. მანამდე მან მოციქული წარგზავნა იერუსალიმში და ქალაქის გალავნის დანგრევა ბრძანა.¹⁷

ამ გადაწყვეტილებას თავისი საფუძველი ჰქონდა. სირია დაცლილი იყო აიუბიანთა სამხედრო ძალებისგან, რომლებიც ეგვიპტეში იმყოფებოდნენ. ჯვაროსნებს შეეძლოთ, მოულოდნელი იერიშით აეღოთ იერუსალიმი და სხვა ციხე-ქალაქები, რომელთაც მცირერიცხოვანი გარნიზონები იცავდნენ, ჩაეყენებინათ იქ თავიანთი ძალები (რომელთა განდევნა შემდეგ უაღრესად ძნელი იქნებოდა) და გაბატონებულიყვნენ მთელ სირია-პალესტინაზე. დანგრეული გალავნისა და სხვა სიმაგრეების აღდგენას დიდი დრო სჭირდებოდა. მათ გარეშე იერუსალიმის შენარჩუნებას კი ჯვაროსნები უბრალოდ ვერ შეძლებდნენ.

იერუსალიმში მყოფი ალ-მუა'ზზამის ძმა ალ-'აზიზ 'უსმანი და მისი უსთადარი 'იზუ ად-დინ აიბეჟი შეეცადნენ, შეეცვალათ ალ-მუა'ზზამის ბრძანება, ანდა გაეჭიანურებინათ ის; ირწმუნებოდნენ, რომ შეეძლოთ ქალაქის დაცვა ფრანკების იერიშისაგან.¹⁸ უეჭველია, მათ სალაჰ ად-დინის მიერ

¹⁵ R. S. Humphreys. *From Saladin to the Mongols*. State University of New York Press Albany, 1977, გვ. 158.

¹⁶ იქვე, გვ. 161.

¹⁷ იქვე, გვ. 163.

¹⁸ იქვე, გვ. 184; M. Sharon, *The Ayyubid Walls of Jerusalem. A New Inscription from the Time of al-*

აშენებული იერუსალიმის მძლავრი ფორტიფიკაციების შეუვალობის იმედი ჰქონდათ. ქალაქის გალავანში დატანებული ბურჯებიდან თითოეული ხომ ციტადელს ჰგავდა.¹⁹ მაგრამ აღ-მუა 'ზზამი თავის გადანყვეტილებაში ურყევი იყო. მან მისწერა ძმას და არწმუნებდა მას, რომ თუ ფრანკები აიღებდნენ იერუსალიმს, დახოცავდნენ მის მოსახლეობას და შემდეგ დაიპყრობდნენ დამასკოს და მთელ სირიას. ამიტომ იერუსალიმის გალავნის დანგრევა გარდაუვალი გახდა.²⁰

616 წლის 1 მუჰარრამს, ე.ი. 1219 წლის 19 მარტს აიუბიანებმა დაიწყეს ქალაქის მძლავრი გალავნისა და სხვა ფორტიფიკაციების ნგრევა.²¹ ნანგრევებით ამოავსეს თხრილი (ხანდაკი) გალავნის გარშემო და თავდაცვის ეს საშუალებაც ლიკვიდირებულ იქნა.²²

მომხდარმა ამბავმა შოკი მოახდინა ისლამურ სამყაროზე. XIII საუკუნის არაბი იტორიკოსები (იბნ ალ-ასირი, აბუ შამა, სიბტ იბნ ალ-ჯაუზი, იაკუთი) დიდი ემოციით აღწერენ გალავნის დანგრევას. ზოგი მას გაგებით ეკიდება, ზოგიც – ამკარა სკეპტიციზმით.²³ ზოგჯერ გალავნის დანგრევა იერუსალიმის დანგრევად (თახრიბ ალ-კუდს) არის აღქმული.²⁴

მრავალრიცხოვან მუსლიმ მოსახლეობას ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ფრანკები კარზე იყვნენ მომდგარნი. ქალაქში პანიკამ დაისადგურა. აბუ შამას ცნობით, ისეთი ალიაქოთი ატყდა, რომ მეორედ მოსვლა გეგონებოდა. დაზაფრულმა დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, მოხუცმა და მიხრწნილმა, ას-სახრას და აღ-აკსას მეჩეთებს შეაფარეს თავი, შემოიძარცვეს სამოსი და დაიგლიჯეს თმები, რომლებითაც გაივსო ას-სახრას მეჩეთი და აღ-აკსას მიჰრაბი. იერუსალიმის მოსახლეობის დიდი ნაწილი გაიქცა და ქალაქში ცოტალა დარჩა. ლტოლვილებმა მიაშურეს აღ-ქარაქს, ეგვიპტესა და დამასკოს. შიმშილითა და წყურვილით გზაში ურიცხვი ხალხი დაიღუპა. ლტოლვილების მიერ იერუსალიმში დატოვებული მთელი ქონება გაიძარცვა. ეს იყო

Mu'azzam 'Isa. – *Studies in Memory of Gaston Wiet*. Ed. by M. Rosen-Ayalon. Jerusalem, 1977, გვ. 188.

¹⁹ იბნ ვასილ. *მუფარრიჯ ალ-ქურუბ ფი ახბარ ბანი აიფუბ*, IV, ჰაკკაკჰუ ვა ვადა 'ა ჰავა-შიჰი ჰ. მ. რაბი'. აღ-კაჰირა, 1972, გვ. 32.

²⁰ M. Sharon. დასახ. ნაშრ., გვ. 188.

²¹ იქვე. გარდა იერუსალიმისა, დაანგრეს, აგრეთვე, ტორონის, ბანიასის და საფადის ფორტიფიკაციებიც.

²² იერუსალიმი, ფაქტობრივად, გაუმადრებელი რჩებოდა სამ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე. მისი ფორტიფიკაციები აღადგინა ოსმალეთის სულთანმა – სულეიმან I-მა 947/1537–947/1540-41 წლებში (M. Sharon. დასახ. ნაშრ. გვ. 191).

²³ M. Sharon. დასახ. ნაშრ. გვ. 188.

²⁴ აღ-მაკრიზი. *ქითაბ ას-სულუქ ლი-მა 'რიფათ დუვალ აღ-მულუქ*. საჰჰაჰაჰუ ვა ვა-და 'ა ჰავამიჰაჰუ მუჰამმად მუსტაფა ზიადა. I/1, აღ-კაჰირა, 1934, გვ. 204.

უბედურება, რომლის მსგავსიც ისლამში არ მომხდარაო, დასძენს აბუ შამა.²⁵

ალ-მალიქ ალ-აშრაფის ელჩმა საქართველოს მეფეს, გიორგი ლაშას, სწორედ 1219 წლის 19 მარტს მომხდარი ამბავი მოუთხრო. არაბულ წყაროებში ელჩის ნაამბობის, თითქმის, ყველა დეტალი დასტურდება. მართლაც, აიუბიანებმა ხელუხლებლად დატოვეს ალ-აკსა და დავითის კოშკი; გადარჩა ქრისტიანთა აღდგომის ეკლესიაც. ფანატიკოს მუსლიმებს სურდათ მისი დანგრევა, მაგრამ ალ-მუა‘ზზამმა არ დაანება.²⁶ ელჩის ინფორმაციაში საინტერესო ფაქტია ის, რომ აიუბიანებს იერუსალიმის დასაცავად ათი ათასი მეომარი ესაჭიროებოდათ, რის შესახებაც სხვა წყაროები დუმან.

ამასთან, ანონიმი, რომელიც აღნიშნული ამბის თანამედროვე იყო, თავის დათარიღებაში უშვებს არსებით, თანაც 10-წლიან შეცდომას. ის ასახელებს ჰიჯრის 606/1210 წ., ნაცვლად ჰიჯრის 616/1219 წლისა. არ არის გამორიცხული, რომ შეცდომა გადამწერის ბრალია. მან თარიღში გამოტოვა ათეული (‘აშრა). ამრიგად, თუ თვე (შა‘ბან) სწორად არის დასახელებული, ალ-აშრაფის ელჩი საქართველოს სამეფო კარზე მოსულა დროის იმ მონაკვეთში, რომელიც თარიღდება 1219 წლის 12 ოქტომბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით და არა – 1210 წლის იანვარ-თებერვალში, როგორც ამას ადრე ფიქრობდნენ. ამ დროს ტახტზე იჯდა თამარის ვაჟი გიორგი ლაშა (1210-1223).

აქ შეიძლებოდა დაგვესრულებინა ჩვენი კვლევა. მაგრამ ჩნდება კითხვა, რატომ გადანყვიტა ალ-მალიქ ალ-აშრაფმა, ადრე მხოლოდ ჰარრანის, ახლა კი აიუბიანთა სახელმწიფოს ჩრდილოეთი ფორპოსტის – ხლათისა და ჩრდილოეთი მესოპოტამიის მნიშვნელოვანი ნაწილის გამგებელმა, საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან ყველაზე ძლიერმა და გავლენიანმა მუსლიმმა გამგებელმა, რომ მოეხსენებინა ქართველი მეფისთვის იერუსალიმის გალაენის დანგრევა?

გავიხსენოთ ისტორია.

XIII ს-ის დამდეგს საქართველომ პირველად განახორციელა ლაშქრობები მდ. არეზის სამხრეთით, შაჰ-არმენტა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მუქარა შეუქმნა ხლათს – ამ სახელმწიფოს სატახტო ქალაქს და ვანის ტბის რაიონის სხვა ქალაქებს. შაჰ-არმენ სუქმან II-ის (გარდ. 1185 წ.) დასუსტებული მემკვიდრეები, ალბათ, დიდხანს ვერ გაუნევიდნენ სერიოზულ წინააღმდეგობას საქართველოს სამეფოს, მაგრამ საქმეში ჩაერიენ აიუბიანები, რომლებმაც იმ დროისათვის მოასწრეს, გაბატონებულიყვნენ ჩრდილოეთი

²⁵ აბუ შამა. თარაჯიმ რიჯალ ალ-კარნაინ ას-სადის ვა ს-საბი‘ ალ-მა‘რუფ ბი-ზაილ ‘ალა რ-რავდათაინ. ბაირუთ, 1974, გვ. 115-116.

²⁶ S. Runciman. *A History of the Crusades*. vol. III, Cambridge University Press, 1954, გვ. 158.

მესოპოტამიის ჩრდილოეთ ნაწილებში. ჰიჯრის 603/1206-7 წ. აღ-ადილის ერთ-ერთმა ვაჟმა, მაიაფარიკინის მფლობელმა აღ-მალიქ აღ-ავჰადმა, აიუბიანთა სხვა ძალების მხარდაჭერით, ხელთ იგდო ხლათი და ბოლო მოუღო შაჰ-არმენტა დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას.

საქართველოს სამეფო კარი არ შეურიგდა აიუბიანთა წარმატებას და გააგრძელა ლაშქრობები აღ-ავჰადის სამფლობელოების სიღრმეში. ყველაზე სერიოზული იყო ლაშქრობა 1210 წლის ოქტომბერში, როცა ქართველების მიერ აღყაშემორტყმული ხლათი მხედართმთავარ ივანე მხარგრძელის მოულოდნელმა დატყვევებამ გადაარჩინა. ეს ეპიზოდი დანვრილებით სხვაგან გვაქვს განხილული²⁷ და მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ივანე მხარგრძელის გამოსყიდვის საფასურად საქართველოს სამეფო კარმა 30-წლიანი ზავი დადო ხლათის აიუბიანებთან. ზავის დაურღვევლობის გარანტს წარმოადგენდა ივანეს ქალიშვილი თამთა. ის ჯერ აღ-ავჰადის მეუღლე გახდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ აღ-ავჰადის ძმის – აღ-მალიქ აღ-აშრაფისა, რომელიც, ჰარრანთან ერთად, ხლათსაც დაეუფლა.

30-წლიანმა ზავმა შეაჩერა საქართველოს სამეფოს წინსვლა მდ. არეზის სამხრეთით, ვანის ტბის მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების მიმართულებით. ჩრდილოეთის მეზობლის მუქარის უვნებელყოფის შემდეგ აღ-აშრაფი ენერგიულად შეუდგა თავისი სამფლობელოს გაფართოებას ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და ჩრდილოეთ სირიაში.

ამრიგად, აღ-მალიქ აღ-აშრაფი კარგად იყო ცნობილი საქართველოში როგორც სულთნის ვაჟი, ხლათის გამგებელი და ივანე მხარგრძელის სიძე, უალრესად გავლენიანი აიუბიანთა შორის და 1219 წ. მას თავისუფლად შეეძლო, დამოუკიდებლად გაეგზავნა დიპლომატიური მისია საქართველოში.

აიუბიანებთან ზავმა მნიშვნელოვანი პრივილეგიები მოუპოვა ქართველებს – მათ სამონასტრო თემს და პილიგრიმებს იერუსალიმში. ბუნებრივია, რომ საქართველოს სამეფო კარს და ქართულ ეკლესიას ჰქონდათ თავიანთი ინტერესები წმინდა ქალაქში, სადაც ქართველი პილიგრიმები შედიოდნენ ამხედრებულნი, იარაღსა და არ იხდიდნენ გადასახადებს (ჟაკ დე ვიტრი).²⁸

სავარაუდოა, რომ იერუსალიმის გალავნის დანგრევისა და ქალაქში დანყებული არეულობის დროს შეილახა ქრისტიანთა, მათ შორის, ქართული ქრისტიანული თემის ინტერესები და უფლებები.²⁹ იმ დროს, როცა ძარცვავდნენ

²⁷ თ. ნატროშვილი. გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. – *მაცნე* (ელს), 1974, №2, გვ. 177-178.

²⁸ თ. ნატროშვილი. გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა, გვ. 179.

²⁹ გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 176.

მუსლიმებს, ბუნებრივია, რომ ხელყოფდნენ ქრისტიანთა ქონებასაც. უეჭველია ისიც, რომ იერუსალიმის ქართული ქრისტიანული თემის მესვეურები ამის თაობაზე იჩივლებდნენ გიორგი ლაშასთან და მოითხოვდნენ დახმარებას.

საქართველოს ხელისუფალთა შესაბამის რეაქციაზე მიუთითებს აკრის არქივებისკოპოსი ჟაკ დე ვიტრი. ის იუწყება, რომ ქართველები ძალზე აღშფოთდნენ იმის გამო, რომ დამასკოს გამგებელმა კორადინუსმა (იგულისხმება ალ-მუა‘ზზამი) დაანგრია იერუსალიმის კედლები მათი სურვილის წინააღმდეგ, იმ დროს, როცა ლათინებს გარემოცული ჰქონდათ დამიეტა და მუქარა შეუთვალეს მას.³⁰

არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ საქართველოს სამეფო კარს სურდა, საბაბად გამოეყენებინა იერუსალიმის გალავნის დანგრევა ხლათის აიუბიანებთან 30-წლიანი ზავის დასარღვევად და მათ წინააღმდეგ საომარი მოქმედებების გასაახლებლად. ხმები ამის შესახებ ფართოდ გავრცელდა და ცნობილი გახდა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეთათვისაც.

ოლივერუსი, რომელმაც აღწერა ჯვაროსანთა მიერ დამიეტას აღება 1219 წ. 5 ნოემბერს, წერს, რომ ქართველები აპირებდნენ შეეციათ დამასკოსთვის ან მუსლიმთა სხვა რომელიმე სამფლობელოსთვის.³¹ აიუბიანთა დამასკო, რა თქმა უნდა, შორეული პერსპექტივა იყო, მაგრამ სავსებით რეალური ჩანდა შეტევა საქართველოს მოსაზღვრე ალ-ამრაფის სამფლობელოზე ვანის ტბის რაიონში.

ბუნებრივია, ასეთ ხმებს არ შეიძლებოდა შემოფოთება არ გამოენვიათ მუსლიმთა შორის. აიუბიანთა წინააღმდეგ კიდეც ერთი ფრონტის გახსნა უკიდურესად გაართულებდა მათ ისედაც მძიმე მდგომარეობას.

³⁰ Jacques de Vitry. *History of Jerusalem*. Tr. from the Original Latin by A. Stewart (Palestine Pilgrims' Text Society). vol. XI, London, 1896, გვ. 83-84. თ. ნატროშვილი. მათ ეწოდებათ გეორგიანები. – თ. ნატროშვილი. *მაშრიყით მალრიბამდე*. თბ., 1974, გვ. 37. ცნობილია ისიც, რომ დამიეტაში მყოფი პაპის ლეგატ პელაგიუსისგან გიორგი ლაშამ მიიღო რომის პაპის „დიდებული რჩევა და ბრძანება“, დახმარებოდა ქრისტიანებს (მ. თამარაშვილი. *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*. თფილისი, 1902. ი. ტაბალუა. *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.)*, I, თბ., 1984, გვ. 176. იხ. აგრეთვე შ. ბადრიძე. *საშინაო და საგარეო პოლიტიკა XIII ს. 10-20-იან წლებში*. – *სინ*, III, თბ., 1979, გვ. 341). აღსანიშნავია, რომ პელაგიუსი 1219 წლის სექტემბერში ჩავიდა დამიეტაში (S. Runciman. *დასახ. ნაშრ.* გვ. 155). ძნელი სათქმელია, როდის გაუგზავნა მან პაპის მოწოდება გიორგი ლაშას, დამიეტას ალყის დროს, თუ – მისი დაცემის (1219 წლის 5 ნოემბერი) შემდეგ.

³¹ Oliver of Paderborn. *The Capture of Damietta*. Christian Society and Crusades 1198-1299. Sources in Translation...by J. Gavigan. Edited, with Introduction by E. Peters. University of Pennsylvania Press. Philadelphia. 1991, გვ. 91; T. Donovan. *Pelagius and the Fifth Crusade*. Oxford University Press, London, 1950, გვ. 74. თ. ნატროშვილი. *მათ ეწოდებათ გეორგიანები*, გვ. 37.

ალ-აშრაფს უაღრესად ესაჭიროებოდა საქართველოს სამეფოს კეთილგანწყობა და ნეიტრალიტეტი ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობისას. იმ დროს, როცა აიუბიანთა სახელმწიფოს ცენტრს, ეგვიპტეს, ჯვაროსნები სასიკვდილო მუქარას უქმნიდნენ, მას არ ჰქონდა საშუალება, სულთან ალ-მალიქ ალ-ქამილს დახმარებოდა. ალ-აშრაფს გართულებები ჰქონდა ჩრდილოეთი მესოპოტამიის ზოგიერთ გამგებელთან და, რაც მთავარია, ეშინოდა ქართველების თავდასხმისა.³²

ეს ავალდებულებდა ალ-აშრაფს, გადაედგა აუცილებელი ნაბიჯები ჩრდილოეთის ძლიერ მეგობართან მშვიდობისა და ნორმალური ურთიერთობების შესანარჩუნებლად. თავისი ელჩი საქართველოში ალ-აშრაფმა, ალბათ, სწორედ ამ მიზნით გაგზავნა.

ელჩი, რომელმაც გიორგი ლაშას იერუსალიმის გალავნის დანგრევა აუწყა, ალბათ, ცდილობდა, შეემსუბუქებინა მძიმე შთაბეჭდილება მომხდარი ამბის გამო და გაენელებინა საქართველოს ხელისუფალთა უკმაყოფილება.

ანონიმის ცნობაში დაფიქსირებული აიუბიანთა სინანული გალავნის დანგრევის თაობაზე, შესაძლოა, ერთგვარი მობოდიშებაცაა იერუსალიმში ქრისტიანთა და ქართველთა უფლებების შელახვის გამო.

1219 წლის მარტ-სექტემბერში იერუსალიმის გალავნის დანგრევის სულისჩამდგმელი ალ-მალიქ ალ-მუა'ზზამი სირიაში იმყოფებოდა.³³ არ არის გამორიცხული, რომ ალ-აშრაფის მიერ საქართველოში ელჩის წარგზავნაში მასაც მიუძღვის წვლილი. ოქტომბრის დასაწყისში ის ეგვიპტეში დაბრუნდა,³⁴ მაგრამ მისმა დახმარებამ საქმეს ვერ უშველა. 1219 წლის 5 ნოემბერს დამიეტა დაეცა და აიუბიანებს მძიმე დღეები დაუდგათ. ეს ამბავი ალ-აშრაფის ელჩის ინფორმაციაში არ აისახა. მისთვის დამიეტას დაცემა ჯერ კიდევ უცნობი იყო.

იმის თაობაზე, თუ რა პასუხი გასცა გიორგი ლაშამ ალ-აშრაფის ელჩს, აჯა'ბ ად-დუნიას ავტორი არას ამბობს. საფიქრებელია, რომ გიორგი ლაშამ მხოლოდ ცნობად მიიღო ის, რაც ალ-აშრაფმა შემოთვალა. მახლობელ

³² იხ. გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 179. იქვე დასახელებულია სათანადო ლიტერატურა (თ. ნატროშვილი, ჟ. რიშარი). თ. ნატროშვილი მიიჩნევს, რომ ალ-აშრაფის ეგვიპტეში წასვლა მთლიანად გაუხსნიდა გზას დამასკოსკენ ქართულ მხედრობას (იხ. თ. ნატროშვილი. *მათ ენოდებათ გეორგიანები*, გვ. 38; Т. Натрошвили. *От Маширика до Магриба*, М., 1978, გვ. 33); ჟ. რიშარის აზრით, ქართველთა დანოლა „ალ-აშრაფის სამეფოზე იყო უეჭველად ის მიზეზი, რომელმაც ხელი შეუშალა მას ეფექტური დახმარება აღმოეჩინა ალ-ქამილისთვის 1221 წლამდე“. J. Richard. *The Latin Kingdom of Jerusalem*. vol. A and B. Tr. from the French by J. Shirley. Amsterdam, New York, Oxford, 1979, გვ. 296.

³³ R. S. Humphreys. დასახ. ნაშრ., გვ. 164.

³⁴ იქვე, გვ. 165.

აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაცია მეფეს უკარნახებდა, ეფიქრა აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე საქართველოს მოსაზღვრე ხლათის აიუბიანთა სამფლობელოს მიმართულებით. ეს პოლიტიკა რეალურ სახეს მიიღებდა, რომ არა მონღოლთა პირველი გამორჩენა სამხრეთ კავკასიაში.³⁵

‘ADJA’IB AL-DUNYA ON ONE EPISODE OF DIPLOMATIC RELATIONS OF THE AYYUBIDS AND GEORGIA

The Persian geographical work ‘Adja’ib al-Dunya (“Wonders of the World”), written by an anonymous author in the 1220s-1230s, contains an interesting piece of evidence on one episode of diplomatic relations of the Ayyubids and Georgia. According to the anonymous author, at the time when he was a captive of the Georgians, namely in Sha‘ban 606 AH/January-February 1210 AD, the Georgian King was visited by an envoy of the Ayyubid Sultan al-‘Adil’s son al-Malik al-Ashraf, who was the ruler of Akhlat and Northern Mesopotamia. The envoy told the king the story of the demolition of the Walls of Jerusalem (‘Adja’ib al-Dunya. [Russian] translation from Persian, Introduction, Comments and Footnotes by L. Smirnova, M. 1993, p. 73).

The details of the information of the Ayyubid envoy are confirmed by Arab sources as well. At the same time, as is shown in the paper, the anonymous author makes a significant error in dating the event in 606 AH/1210 instead of 616AH/1219. The demolition of the Walls of Jerusalem was caused by the start of the Fifth Crusade in September 1217. This well-known fact in the history of the Middle East took place on 1 Muharram 616 AH/19 March 1219 AD and not in 606. If the date in the information of the anonym author on the month (Sha‘ban) is correct, then the Ambassador of al-Ashraf must have arrived in Georgia during the period of October 12 through November 9, 1219, and not during the period of January-February 1210.

³⁵ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალ-მალიქ ალ-აშრაფი სულთან ალ-ქამილის დასახმარებლად და ჯვაროსანთა წინააღმდეგ საბრძოლველად ეგვიპტეში გაემგზავრა მხოლოდ 1221 წ. თებერვალ-მარტში, როცა საქართველოში შემოჭრილმა მონღოლებმა, ჯებესა და სუბუდაის მეთაურობით, ორჯერ დაამარცხეს ქართველები. მან უარი უთხრა გიორგი ლაშას, შეექმნა კოალიცია (აზერბაიჯანის ათაბაგთან ერთად) მონღოლთა წინააღმდეგ. ალ-აშრაფმა მოიმიზეზა, რომ ფრანკები უფრო საშიში იყვნენ, ვიდრე – მონღოლები, რომლებიც ჯერ კიდევ უშუალოდ არ ემუქრებოდნენ აიუბიანებს (Ibn al-Athir. *al-Kamil fi l-tarikh*, vol. XII. Editeurs Dar Sader, Dar Beyrouth. Beyrouth, 1966, გვ.99; გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 176-180). ალ-აშრაფის გამგზავრებამ და აიუბიანთა ძალების გაერთიანებამ ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობის მარცხი განაპირობა.

The demolition of the Walls of Jerusalem resulted in the infringement of the interests of the Christian population of the city, including the Georgian community. According to Jacques de Vitry, the Archbishop of Acre, the Georgians were outraged at the demolition of the Walls of Jerusalem and they sent a threat to Koradin, ruler of Damascus, i.e. al-Malik al-Mu‘azzam ‘Isa (Jacques de Vitry. History of Jerusalem. Tr. from the Original Latin by A. Stewart. Palestine Pilgrim’s Text Society. vol. XI, London, 1896, p. 84).

It may be surmised that King Giorgi Lasha (1210-1223) intended to use the report as a pretext for denouncing the 30-year peace treaty concluded in 1210 with the Ayyubids of Akhlat and for resuming hostilities in the region of Lake Van. Rumors of this, having a real basis, became widespread, reaching the participants of the Fifth Crusade. They naturally caused the concern of the Muslims. Al-Ashraf was badly in need of the goodwill and neutrality of the Kingdom of Georgia during the Fifth Crusade. At the time when the Crusaders created a mortal danger for Egypt – a vital centre of the state of the Ayyubids – he was not in a position to render aid to his brother, the Sultan al-Kamil. The regret, expressed by the Ayyubids in connection with the destruction in Jerusalem, recorded by the anonym, may have been an apology, as it were, for the infringement of the rights of Christians, including the Georgians, in the Holy City.

გიორგი ლაშას გარდაცვალების თარიღის შესახებ*

ორი ეპოქის გასაყარზე მეფობდა გიორგი ლაშა. ძლიერი და აყვავებული სახელმწიფო ჩაიბარა თამარისგან. თავად „გულოვანი და შემმართველი“ კარგი მეომარი იყო, გამგრძელებელი XI–XII საუკუნეების მებრძოლ ქართველ მეფეთა ტრადიციებისა, იმ მეფეებისა, რომლებიც პირადად მიუძღოდნენ მტერზე ლაშქარს. მის დროს დაითრგუნა აზერბაიჯანის ათაბაგთა წინააღმდეგობა, ფაქტობრივად დასრულდა ჩრდილოეთი სომხეთის შემოერთება. მის დახმარებას ელოდნენ ევროპელი ჯვაროსნები. ახლომახლო არ ჩანდა მტერი, რომელიც საშიში იქნებოდა საქართველოსთვის, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ეს კეთილდღეობა და უიღბლო იყო, თითქოსდა, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული მეფის ცხოვრება.

გიორგი ლაშას ზეობის მიწურულს მოულოდნელად გამოჩნდნენ საქართველოში მონღოლები. სხვა ხელმწიფეთა მსგავსად, არ დაფრთხა მეფე და ციხე-ქალაქებს არ შეაფარა თავი. აღმოსავლეთში პირველად ის აღუდგა იარაღით ჩინგის-ხანის სარდლების ჯებეს და სუბუდაის ძლევამოსილ მხედრობას და არც დიპლომატიური ძალისხმევა დაიშურა საშიში მტრის წინააღმდეგ მეზობელი მუსლიმი გამგებლების გასაერთიანებლად. დამარცხდა, მაგრამ ბოლომდე იბრძოლა. ბრძოლაში დაჭრილი მალე აღესრულა, მაგრამ ზუსტად როდის? ამის თაობაზე ქართველ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა და ეს კარგად აისახა „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“.

„ნარკვევების“ III ტომში, XIII ს-ის 10-20-იანი წლების საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის დახასიათებისას, შ. ზადრიძე წერდა, რომ გიორგი ლაშა მოკვდა 1223 წ.¹ იმავე „ნარკვევებში“, მონღოლთა პირველი შემოსევის გადმოცემის დროს, რ. კიკნაძე მიუთითებდა, რომ მეფე გარდაიცვალა 1222 წ. 18 იანვარს.²

ორივე მკვლევარს ჰქონდა საფუძველი, დაესახელებინა აღნიშნული თა-

* პირველად დაიბეჭდა 2003 წ. – კრ. ვალერიან გაბაშვილი, 90. თბ., გვ. 501-510.

¹ სინ, ტ. III, თბ., 1979, გვ. 348.

² იქვე, გვ. 537.

რილები. პირველი – 1223 წ. დაასაბუთა მარი ბროსემ³ და მიღებულია მრავალი მკვლევრის (რ. მეტრეველი, ჯ. სტეფნაძე, შ. ხანთაძე და სხვ.) მიერ.⁴ მეორე – 1222 წელი შემოგვთავაზა ივანე ჯავახიშვილმა⁵ და ასევე გაიზიარა არაერთმა მკვლევარმა (ნ. ბერძენიშვილი, ს. კაკაბაძე, ლ. ტუხაშვილი).⁶

„ნარკვევებში“, რომელშიც გასული საუკუნის 70-იანი წლებისათვის შეჯამდა ქართული ისტორიოგრაფიის მთელი მიღწევები, გიორგი ლაშას გარდაცვალების ორი განსხვავებული თარიღის დაფიქსირების დროს საჭირო იყო რედაქტორის ჩარევა და მისი შენიშვნა მაინც, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: განა ასე დიდი მნიშვნელობა აქვს ერთ წელს ისტორიისათვის და ღირს კი მის შესახებ ვრცლად მსჯელობა?

ერთი წელი მართლაც რომ წამიერი გაელვებაა ისტორიისათვის, მაგრამ ვინ განსაზღვრავს მის მნიშვნელობას ადამიანის, მით უმეტეს, მეფის ცხოვრებაში? ნუთუ არაფერი მომხდარა სერიოზული იმ ერთ წელიწადში, რომელსაც ვაკლებთ ან ვამატებთ გიორგი ლაშა ცხოვრებას? მაშ რა ვუყუთ ჩრდილოეთი კავკასიიდან მონღოლთაგან დევნილ და განჯის სანახებში ჩამოსახლებულ ყივჩაღებთან სასტიკ ომს 1222 წ.? ანდა ქართველთა ლაშქრობას ბაილაკანზე იმავე წელს? ვის მეფობაში მოვათავსოთ ეს ამბები – გიორგი ლაშასი თუ რუსუდანისა? თუ პატივს ვცემთ ჩვენს წარსულს, მაქსიმალურად ზუსტად უნდა გავმართოთ მისი ქრონოლოგიაც, დავადგინოთ ვინ როდის იყო და როდის რა მოხდა. მერე უფრო ადვილი იქნება მსჯელობა სხვა, უფრო სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოვლენებზე, რომელთაც, სრულიად გარკვეული და ობიექტური მიზეზებით, ახლო წარსულში უპირატესობა ენიჭებოდა პოლიტიკური მოვლენების შესწავლასთან შედარებით.

³ Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIXe siècle. Traduite du Géorgien par M. Brosset. Ire partie, Iie livraison, St.-Pét., 1850, გვ. 495-496, შენ. 3.

⁴ შ. ხანთაძე. გიორგი IV ლაშა. – ქსე, III, თბ., 1978, გვ. 160; ჯ. სტეფნაძე. საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში. თბ., 1985, გვ. 153; რ. მეტრეველი. ბაგრატიონები. თბ., 1993, გვ. 10; მ. სურგულაძე. ბაგრატიონთა სამეფო სახლი. გენეალოგიური ტაბულები შეადგინეს მ. სურგულაძემ და მ. ქავთარიაშვილმა. თბ., 1995, გვ. 49; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი (მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი), ტ. I, თბ., 1997, გვ. 122.

⁵ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. III, თბ., 1964, გვ. 5.

⁶ ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XI-XVIII საუკუნეებში. – ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VI, თბ., 1973, გვ. 96; საქართველოს ისტორია. I, დამხმარე სახელმძღვანელო. თბ., 1958, გვ. 220; ს. კაკაბაძე. რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი. თბ., 1966, გვ. 182; ლ. ტუხაშვილი. ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. თბ., 1994, გვ. 225.

ვნახოთ, რა საფუძველი აქვს გიორგი ლაშას გარდაცვალების ზემომოტანილ თარიღებს.

ივ. ჯავახიშვილი ეყრდნობოდა მეფის მემატიანის ცნობას, რომ ის „მოკვდა იანვარსა თურამეტსა, დღესა ოთხშაბათსა“, როცა „ქრონიკონი იყო ოთხასორმოცდაორი“, ⁷ ე.ი. (780+442) – 1222 წ. თითქოსდა ყველაფერი ნათელია, მაგრამ არის ერთი შეუსაბამობა. 18 იანვარი ოთხშაბათზე მოდიოდა არა 1222, არამედ – 1223 წელს.

კ. კეკელიძე მიუთითებდა, რომ 532 წლიანი ქორონიკონის ურყევი საფუძველი იყო 1 მარტი. მარტის წელიწადი, როგორც სამოქალაქო, საქართველოში შემოვიდა IX საუკუნის პირველი მეხუთედიდან და არსებობდა X საუკუნის მეორე ნახევრამდე. ამ დროიდან ის ხმარებიდან იდევნება იანვრის წელიწადით. ⁸ მკვლევარი აღნიშნავდა, რომ მარტი დარჩა მხოლოდ ქორონიკონური წლის საფუძველად და საამისო მაგალითებიც მოჰყავდა. მისი აზრით, „როდესაც მემატიანე ამბობს, რომ ლაშა-გიორგი გარდაიცვალა ქორონიკონის უმბ (442), დღეს ოთხშაბათსა, ეს ნიშნავს, რომ ის ნამდვილად გარდაიცვალა არა 1222 წელს, არამედ 1223 წელს, როდესაც ოთხშაბათი მართლაც 18 იანვარს მოდიოდა“. ⁹ ამავე დროს, საჭიროა აღინიშნოს, რომ არის არაერთი მაგალითი იმისა, როცა ქორონიკონის წელიწადი შეესაბამებოდა ჩვენი ერისას, ¹⁰ ე.ი. აითვლებოდა იანვრიდან. ამიტომ, მხოლოდ ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანის ცნობის საფუძველზე, ძნელია უპირატესობა მივანიჭოთ მეფის გარდაცვალების აქ დასახელებული თარიღებიდან ერთ-ერთს. საჭიროა დამატებითი საბუთების მოტანა. მათ ასახელებდა მარი ბროსე.

მ. ბროსესთვის ცნობილი იყო ქორონიკონის ეს თარიღი, რომელიც შევიდა „ქართლის ცხოვრების“ მის ხელთ არსებულ ნუსხებში, მაგრამ მან სხვა ფაქტებს უფრო გაუნია ანგარიში. ბროსემ იცოდა, რომ არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის (გარდ. 1234 წ.) თანახმად, მონღოლთა პირველი შემოსევის დროს, ჰიჯრის 618 წ., რომელიც დაიწყო 1221 წ. 25 თებერვალს და დასრულდა 1222 წ. 14 თებერვალს, საქართველოს მეფე იყო კაცი, ¹¹ ხოლო ჰიჯრის

⁷ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 371; ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 5.

⁸ კ. კეკელიძე. ძველი ქართული წელიწადი. – კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. I, თბ., 1956, გვ. 121-123.

⁹ იქვე, გვ. 123.

¹⁰ ვ. გუჩუა. ქრონოლოგიური შენიშვნები. – კრ. სა, თბ., 1984, გვ. 102-103.

¹¹ Histoire de la Géorgie, გვ. 495-196, შენ. 3. სამნუხაროდ, ბროსეს კალმისმიერი შეცდომა აქვს დაშვებული და წერს, რომ მეფე იყო ქალი, თუმცა მთელი მისი მსჯელობა მონიშნავს,

620 წ., რომელიც დაიწყო 1223 წ. 4 თებერვალს, მეორე არაბი ისტორიკოსი აბუ ლ-ფიდა (გარდ. 1331 წ.) იხსენიებდა საქართველოს მეფის სიკვდილს და ტახტზე ქალის ასვლას, როგორც ახალ ამბავს.¹² მან იცოდა აგრეთვე რუსუდანის წერილი რომის პაპისადმი, ონორე III-ისადმი, რომელშიც გიორგი ლაშა უკვე გარდაცვლილად იხსენიება და რომელიც გაიგზავნა რუსუდანის ტახტზე ასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ, საფიქრებელია 1223 წ. შუა ხანებში, ან ცოტა უფრო გვიან¹³ და დასასრულ, ბროსემ, რომელმაც პირველად გამოითვალა, რომ 18 იანვარი ოთხშაბათს დადგა არა 1222, არამედ – 1223 წ., მის ხელთ არსებული სხვა მონაცემების გათვალისწინებით, გიორგი ლაშას გარდაცვალების თარიღად 1223 წ. 18 იანვარი დააასახელა. ასე აქვს მას ეს თარიღი მოტანილი როგორც ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანის კომენტარებში, ისე – საქართველოს ისტორიის დამატებებსა და განმარტებებში და ქრონოლოგიურ ცხრილებშიც.¹⁴

მ. ბროსეს არგუმენტებიდან ყველაზე ძლიერია ის, რომ ოთხშაბათი 18 იანვარს მოდიოდა 1223 და არა 1222 წ. მის მიერ დასახელებულ არაბ ავტორთა

რომ მხედველობაში ჰყავდა კაცი. იბნ ალ-ასირი, რომელსაც ბროსე იმონებდა დეფრემერის მიხედვით (M. Defrémery. Fragments des géographes et d'historiens Arabes et Persans inédits, relatifs aux anciens peuples du Caucase et de la Russie Méridionale. – JA, Novembre-Décembre 1889, t. 14, გვ. 447-450; იხ. აგრეთვე: Ibn al-Athir. *al-Kamil fi't-tarikh*, vol. XII, Editeurs Dar Sader, Dar Beyrouth. Beyrouth, 1966, გვ. 384. შემდეგ იბნ ალ ასირი.) მეფედ ასახელებს სწორედ კაცს.

¹² Histoire de la Géorgie, გვ. 495-496, შენ. 3; იხ. აგრეთვე, აბუ ლ-ფიდა. *ალ-მუხთასარ ფი აბბარ ალ-ბაშარ*, III, ალ-მატბა'ა ალ-ჰუსაინია ალ-მისრია, 1325/1907, გვ. 133.

¹³ Histoire de la Géorgie, გვ. 495-496, შენ. 3; წერილის ტექსტი იხ. მ. თამარაშვილი. *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*. ტფ., 1902, გვ. 7-8, 563-564; ი. ტაბაღუა. *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*. I (XIII-XVI სს.). თბ., 1984, გვ. 176-177, №5. წერილიდან ვიგებთ, რომ რომის პაპმა მოუწოდა იმპერატორს (ფრიდრიხ II-ს) წმინდა მიწის დასახსნელად სირიაში გამგზავრება. აქ აშკარად იგულისხმება 1223 წ. მარტში ფლორენციის კრების დადგენილება, როცა გადაწყდა, რომ ფრიდრიხი თავის ლაშქრობას დაიწყებდა 1225 წ. 24 ივნისს. ამ დადგენილების საფუძველზე ევროპის ყველა კუთხეში ერთხელ კიდევ დაიგზავნა შიკრიკები მხარდაჭერის და დახმარების მისაღებად (B. Билбасов. *Крестовый поход императора Фридриха второго*. СПб, 1863, გვ. 30-32; Th. Van Cleve. *The Crusade of Frederic. – A History of Crusades*, vol. II, The Later Crusades, 1189-1311. Ed. by R.L. Wolf, H.W. Hazard. The University of Wisconsin Press. Madison, Milwaukee and London, 1969, გვ. 438; გ. ჯაფარიძე. *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*. თბ., 1995, გვ. 184). ეს შიკრიკები, ჩანს, საქართველოშიც მოვიდნენ და ეს უნდა მომხდარიყო, არა უადრეს, 1223 წ. გაზაფხულის მიწურულისა. ამ დროს გიორგი ლაშა უკვე ცოცხალი აღარ იყო.

¹⁴ M. Brosset. *Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469 de J.-C.* St.-Pét., 1851, გვ. 333. Addition IX, Tables généalogiques et statistiques des dynasties Géorgiennes, გვ. 624, No.61.

ცნობებსა და რუსუდანის წერილში გიორგი ლაშას გარდაცვალების წელი პირდაპირ არ არის მითითებული. ჰიჯრის 618 წ., როცა მოხდა რამდენიმე ბრძოლა ქართველებსა და მონღოლებს შორის, გიორგი ლაშა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ ეს წელი დასრულდა 1222 წ. 14 თებერვალს და შეიძლებოდა მეფე მანამდე, 18 იანვარს გარდაცვლილიყო. ამიტომ საჭიროა თვალი გავადევნოთ მოვლენების განვითარებას 1221 წ. მიწურულსა და 1222 წ. დამდეგს.

მონღოლთა შემოსევების თანამედროვე იბნ ალ-ასირი, რომელიც დანვრილებით აგვიწერს მათ ბრძოლებს დასავლეთ ირანსა და ამიერკავკასიაში, აღნიშნავს, რომ ჰიჯრის 618 წ. რაჯაბში, რომელიც დაიწყო 1221 წ. 21 აგვისტოს და დასრულდა 1221 წ. 20 სექტემბერს, მონღოლებმა აიღეს ჰამადანი; რამადანის თვეში, ე.ი. 19 ოქტომბრიდან 18 ნოემბრის ჩათვლით – ბაილაკანი; მერე ისინი მიადგნენ განჯას, დახარკეს ქალაქი და დალაშქრეს საქართველო. მესამედ სძლიეს ქართველებს, მაგრამ ვერ გაბედეს ქვეყნის სიღრმეში შეჭრა, შარვანისკენ გაემართნენ, მძიმე ალყის შემდეგ აიღეს შემახია, დაიძრნენ დარუბანდისკენ, აუარეს მას გვერდი და გადავიდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში.¹⁵ იბნ ალ-ასირი არ წერს, მაგრამ შეიძლება მიახლოებით გამოვთვალოთ, რომ მონღოლებმა განჯა დახარკეს და ქართველები დაამარცხეს არა უგვიანეს ნოემბრისა, შემახია დაეცა შემოდგომა-ზამთრის (ნოემბერი-დეკემბერი) მიჯნაზე, ხოლო მონღოლებმა სამხრეთი კავკასია დატოვეს 1221 წ. ბოლოს, ანდა – 1222 წ. დამდეგს.

მონღოლთა შემოსევების კიდევ ერთი თანამედროვე ‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი (გარდ. 1231 წ.) არზრუმში იღებდა ცნობებს მათი ლაშქრობების შესახებ. მან იცის ქართველთა მარცხისა და შარვანის მოხრების შესახებ ჰიჯრის 618 წელს. მემატთანე მოკლედ აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულმა მონღოლებმა სძლიეს ყივჩაღებს და ალანებს, ხოლო შემდეგ წერს, რომ გარდაიცვალა ქართველთა ჭაბუკი მეფე და გამეფდა მისი და, რომელიც დაქორწინდა არზრუმის ამირას ვაჟზე.¹⁶

ზუსტად როდის სძლიეს მონღოლებმა ყივჩაღებს და ალანებს, არ ვიცით. მაგრამ საეჭვოა, ეს მომხდარიყო 1222 წ. 18 იანვრამდე. ‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის ინფორმაცია აშკარად ასახავს იმ ამბებს, რომლებიც მოხდა მომდევნო 619 წელს. მუსლიმური წელთაღრიცხვის ეს წელი კი დაიწყო 1221 წ. 15 თებერვალს.

ლაშა გიორგისდროინდელი მემატთანე მოგვითხრობს, რომ მონღოლთა

¹⁵ Ibn al-Athir, გვ. 381-385.

¹⁶ C. Cahen. Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien de son temps. – *BÉO*, Damas, 1970, t. XXIII, გვ. 125-126; გ. ჯაფარიძე. ახალი არაბული წყარო XIII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. – *ჟურნ. ცისკარი*, 1980, №1, გვ. 135-136.

ნებაყოფლობითი გაცლა ქართველებმა თავიანთ გამარჯვებად მიიჩნიეს. ქვეყანა საზეიმო განწყობილებამ მოიცვა. და მაშინ, როცა მეფე იყო „ნარმართე-ბასა და ბედნიერობასა შინა“, რუსუდანი „ითხოვა ხლათსა დასასმელად დიდმან სულთანმან მელიქმან, რომელს ეგვპტით ვიდრე ხლათამდის სპარსეთი ჰქონდა.“¹⁷ ეს „დიდი სულთანი მელიქი“ არის აიუბიანთა სახელმწიფოს გამგებელი, სულთანი ალ-მალიქ ალ-ქამილი (1218-1238). ხლათი (და ალ-ჯაზირა) ეპყრა მის ძმას, ალ-მალიქ ალ-აშრაფს (ივანე მხარგრძელის სიძეს, თამთას, იმავე ქურჯიას, ქმარს), მაგრამ ამ დროს ის ალ-ქამილის დასახმარებლად და ჯვაროსანთა წინააღმდეგ საბრძოლველად ეგვიპტეში გაემგზავრა და ხლათი, დროებით, თავის უმცროს ძმას შიჰაბ ად-დინ ლაზის უბოძა.

ალ-ქამილს, ჩანს, რუსუდანი ამ უკანასკნელისთვის უნდოდა ცოლად. დინასტიური ქორწინებით აიუბიანები, საფიქრებელია, იმედოვნებდნენ, უზრუნველყოთ თავიანთი სახელმწიფოს ჩრდილოეთის საზღვრების უსაფრთხოება ქართველთა შესაძლებელი შეტევისაგან. მაგრამ აიუბიანთა და ბაგრატიონთა დამოყვრების ცდა უშედეგოდ დასრულდა: „დაშალა მონყალეზამან ღმრთისამან და არ ყო ესრე“. შემდეგ მემატიანე წერს, რომ გიორგი ლაშას „დიდითა შემოხუენითა სთხოვა შარვან-შაჰმან“ რუსუდანი. მეფე დასთანხმდა, შარვანში მოსალაპარაკებლად გაგზავნა ქართლის ერისთავი და 8 იანვარს თავადაც გაემგზავრა იქ, „გაკაზმად და მიცემად დისა მისისა“, მაგრამ 10 დღის შემდეგ, როცა უკან დაბრუნებას აპირებდა, მოულოდნელად გარდაიცვალა ბაგავანში, ე.ი. ბაქოში – შარვან-შაჰთა სატახტო ქალაქში.¹⁸

როდის მოხდა ყოველივე ეს, 1221 წ. მიწურულს და 1222 წ. დამდეგს? ნუთუ ამ უღარესად მოკლე დროში ჩაიშალა მოლაპარაკებები აიუბიანებთან და დაიწყო მოლაპარაკებები შარვან-შაჰთან რუსუდანის გათხოვების თაობაზე? ნუთუ ამის განწყობა ექნებოდათ გიორგი ლაშას, რომელმაც ის-ის იყო აიცილა თავიდან მონღოლთა საფრთხე და, განსაკუთრებით, შარვან-შაჰს, რომლის სამფლობელოც მოაოხრეს მონღოლებმა? ვფიქრობთ, რომ – არა. საჭირო იყო რაღაც დროს გაეველო, რათა დამშვიდებულიყვნენ და ომით მიყენებული ჭრილობები მოეშუშებინათ თავ-თავიანთი ქვეყნებისთვის. „ნარმართება და ბედნიერება“, რომელშიც მეფე იმყოფებოდა, უნდა მოიცავდეს 1222 წელს.

მ. ბროსეს კვალდაკვალ, ჩვენც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰიჯრის 618 წ., რომელიც დასრულდა ჩვ. წ. 1222 წ. 14 თებერვალს, გიორგი ლაშა

¹⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 371.

¹⁸ С. Ашурбейли. *Государство Ширванишахов (VI–XVI вв.)*. Баку, 1983, გვ. 149; გ. ჯაფარიძე. *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, გვ. 171, შენ. 42.

ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ხოლო ჰიჯრის 620 წ., რომელიც დაინყო ჩვ. წ. 1223 წლის 4 თებერვალს, საქართველოს სამეფო ტახტზე უკვე ქალი იჯდა. აბუ ლ-ფიდაზე ადრე (რომელსაც იმონმებდა მ. ბროსე),¹⁹ ამას იუწყება იბნ ალ-ასირიც.²⁰ მაშასადამე, ცვლილებები საქართველოს სამეფო ტახტზე უნდა მომხდარიყო ჰიჯრის 619 წელს, ე.ი. დროის მონაკვეთში, რომელიც დაინყო 1222 წ. 15 თებერვალს და დასრულდა 1223 წ. 3 თებერვალს. მაგრამ ყოველივე ეს მაინც არაპირდაპირი არგუმენტებია იმის სასარგებლოდ, რომ გიორგი ლაშა არ მომკვდარა 1222 წ. იანვარში. ყოველგვარი ეჭვის გასაფანტად საჭიროა პირდაპირი ცნობა და ეს ცნობაც შეიძლება მოვიტანოთ XIII ს-ის პირველი ნახევრის აიუბიანთა მემატიანის მუჰამმად ალ-ჰამავის *თხზულებიდან „თა'რიხ ალ-მანსური“* („მანსურიული ისტორია“).

მუჰამად ალ-ჰამავი, რომელიც საქართველოსა და ქართველების შესახებ არაერთ საინტერესო ცნობას გვანვდის, იუწყება, რომ ჰიჯრის 619 წ. (რომელიც, როგორც ითქვა, დაინყო 1222 წ. 15 თებერვალს), გარდაიცვალა საქართველოს მეფე და ამის შესახებ ქართველებმა შეატყობინეს ზემოხსენებულ აიუბიან გამგებელს ალ-მალიქ ალ-აშრაფს.²¹

ამრიგად, წრე შეიკრა. არაპირდაპირი და პირდაპირი მონაცემებით გიორგი ლაშა არ მომკვდარა 1222 წ. 18 იანვარს. ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანის მიერ დასახელებული 442 ქორონიკონის 18 იანვრის საბედისწერო ოთხშაბათი დადგა 1223 წ. სწორედ ამ დროს დაასრულა სიცოცხლე თამარის მემკვიდრემ, „ლომმა ძალითა და უმანკომ გონებითა, მოყუარულმან ყოველთა კაცთა დიდთა და მცირეთა“ (ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე).

¹⁹ იხ. ზემოთ, სქოლიო 12.

²⁰ Ibn al-Athir, გვ. 412 და შმდ.

²¹ Мухаммад ал-Хамави. *Ат-Та'рих ал-Мансури (Мансурова хроника)*. Издание текста, предисловие и указатели П.А. Грязневича, М., 1960, გვ. 142ბ; მუჰამმად ალ-ჰამავი. *ათ-თა'რიხ ალ-მანსური*. თაჰკიკ აბუ ლ-'იდ დუდუ, დიმაშკ, 1982, გვ. 94.

ON THE DATE OF DEATH OF THE KING GIORGI LASHA

There are different views among Georgian scholars on the date of death of the Georgian King Giorgi Lasha, son of Queen Tamar. Two dates are offered – January 18, 1223 and January 18, 1222. The first was argued by M. Brosset and is supported by numerous historians such as R. Metreveli, Sh. Badridze, Sh. Khantadze, J. Stepnadze and others. The second date was proposed by I. Javakhishvili and it is also accepted by a number of scholars – S. Kakabadze, N. Berdzenishvili, R. Kiknadze, L. Tukhashvili and others. Based on new evidence, more specifically, that provided by Muhammad al-Hamawi, Arab historian of the first half of the 13th century (Мухаммад ал-Хамави. *Ат-Та'рих ал-мансури/Мансурова хроника*. Издание текста, предисловие и указатели П. А. Грязневича, М., 1960, p. 142б; Muhammad al-Hamawi. *Al-Ta'rikh al-Hamawi*. Ed. by Abu l-'Id Dudu. Damascus, 1982, p. 94), it is demonstrated, that Giorgi Lasha passed away on January 18, 1223.

ახალი არაბული წყარო XIII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის

საქართველოს ისტორიის უცხოურ წყაროთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს IX-XV საუკუნეების არაბულ საისტორიო ლიტერატურას. ქართული ისტორიოგრაფია იცნობს ბევრ არაბ და არაბულენოვან ისტორიკოსს (ალ-ბალაზური, ატ-ტაბარი, ალ-ფარაჰი, იბნ ალ-ასირი, ან-ნასავი, ალ-კალკამანდი...), რომელთაც აქვთ ცნობები საქართველოს შესახებ. მათ რიცხვს ემატება XII-XIII საუკუნეების არაბი მეცნიერი 'აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი.

ალ-მუვაფფაკ ად-დინ აბუ მუჰამად 'აბდ ალ-ლატიფ იბნ იუსუფ იბნ მუჰამად იბნ 'ალი აბუ სა'დ ალ-ბაღდადი, რომელიც იბნ ალ-ლაბბადის სახელითაც იყო ცნობილი, დაიბადა ჰიჯრის 557/1162-63 წ. ქ. ბაღდადში და იქვე გარდაიცვალა 629/1231-32 წ. ბაღდადსა და მოსულში მიიღო მან თავისი ეპოქის შესაფერისი საფუძვლიანი განათლება და თავადაც შექმნა მრავალი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც მოიცავდნენ იმდროინდელი ცოდნის ყველა სფეროს: ფილოლოგიას, ფილოსოფიას, ისტორიას, გეოგრაფიას, მათემატიკას, მედიცინას და სხვ.¹ ამ ნაშრომთა ვრცელი სიიდან, რომელიც 166 დასახელებას ითვლის და იბნ აბი უსაბი'ას მიერ შედგენილ მის ბიოგრაფიას ერთვის, ჩვენამდე მოაღწია ეგვიპტის მოკლე აღწერამ (*ქითაბ ალ-იფადა ვა ლ-ი 'თიბარ ფი ლ-უმურ ალ-მუშაჰადა ვა-ლ-ჰავადის ალ-მუ'აიდანა*

* ნაშრომის საჭურნალო, შემოკლებული ვარიანტი გამარტივებული დამონშებებით, პირველად დაიბეჭდა 1980 წ. – ჟურნ. *ცისკარი*, №1, გვ. 134-138. წინამდებარე გამოცემა სრული სახითაა და, ამასთან, შევსებულია რამდენიმე შემდეგდროინდელი პუბლიკაციით.

¹ 'აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის ცხოვრებისა და მისი შრომების შესახებ იხ. S. M. Stern. 'Abd al-Latif al-Baghdadi. – *EI*, vol. I, გვ. 74; აგრეთვე: J. von Somogyi. Ein arabischer Bericht über die Tataren im "Ta'rih al-Islam" von ad-Dahabi. – *Der Islam*. Dreiundzwanzigster Band, 1936, გვ. 123-124; J. de Somogyi. Adh-Dhababi's "Tarikh al-islam" as an Authority on the Mongol Invasion of the Caliphate. – *The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*. 1936, გვ. 596-597; C. Cahen. Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien de son temps. – *BÉO*, Damas, 1970, t. XXIII, გვ. 101-102; C. Cahen. Abdallatif al-Baghdadi et les Khwarazmiens. – *Iran and Islam*. Edinburgh University Press. 1971, გვ. 149-150.

ბი-არდ მისრ), რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში გამოიცა ევროპაში.²

ცნობილი არაბი ისტორიკოსის აზ-ზაჰაბის (გარდ. 1348 ანდა 1352-53 წ.) მრავალტომიანმა კომპილაციურმა „ისლამის ისტორიამ“ (თა'რიხ ალ-ისლამ ვა ვაფაიათ ალ-მაშაჰირ ალ-'ალამ) შემოგვინახა პასაჟები 'აბდ ალ-ლატიფის „თათართა ამბებიდან“. ამ უკანასკნელმა დამოუკიდებელი სახით ჩვენამდე არ მოაღწია. ჯ. დე სომოგი ფიქრობდა, რომ „თათართა ამბები“ შეადგენდა ნაწილს 'აბდ ალ-ლატიფის რომელიღაც დაკარგული ნაშრომისა, რომელსაც მიაკვლია აზ-ზაჰაბიმ და შეიტანა თავის თხზულებაში.³ გარდა ამისა, არაბ ექიმსა და ბიბლიოგრაფ იბნ აბი უსაბი'ას (გარდ. 1270 წ.) აქვს რამდენიმე მითითება 'აბდ ალ-ლატიფის მემუარული ჟანრის თხზულებაზე, რომელსაც, პირობითად, ავტობიოგრაფიასაც უწოდებენ.⁴

საქართველო და ქართველები დასახელებულია 'აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადის იმ ცნობებში, რომლებშიც აღწერილია მონღოლთა პირველი რეიდები და ხვარაზმელთა შემოსევები.

ჯ. სომოგი აღნიშნავდა, რომ 'აბდ ალ-ლატიფი მონღოლებს ეხება ჰიჯრის 605/1208-9 და 617/1220-21 წლების ამბებში – ორ ნაკვეთში. აზ-ზაჰაბის თხზულების კრიტიკულ გამოცემაში (რომელიც განახორციელა 'უმარ 'აბდ ას-სალამ თადმურიმ) 'აბდ ალ-ლატიფის ცნობები მოტანილია ჰიჯრის 606/1209-10 და 618/1221-22 წლებში. მთლიანად, სომოგის თანახმად, ინფორმაცია შედგენილი უნდა იყოს 625/1227-28 წ. შემდეგ,⁵ ვინაიდან 'აბდ ალ-ლატიფი ხშირად იმეორებს 625/1227-28 წ. მონღოლთა მიერ ისფაჰანის მოოხრების ამბავს.⁶ ამ ცნობებს აზ-ზაჰაბის „ისლამის ისტორიის“ ბრიტანეთის მუზეუმის ნუსხის (№1640) საფუძველზე პირველად ყურადღება

² S. de Sacy, *Relation de l'Egypte par Abd al-Latif*, Paris, გვ. 1810.

³ J. de Somogyi. *Adh-Dhababi's "Tarikh al-islam"...*, გვ. 596-597.

⁴ იქვე, გვ. 597; C. Cahen. *'Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 101-102.

⁵ 'აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადი ბევრს მოგზაურობდა. ეგვიპტის, სირიის და მალრიბის გარდა, სომოგის აზრით, ის იმყოფებოდა მონღოლეთშიც. ერთადერთი არაპირდაპირი საბუთი, რაც მას მოაქვს, არის შემდეგი: 'აბდ ალ-ლატიფის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ 626/1229 წ. ის გაემგზავრა ქიმახს, ხოლო იქედან – დაირკში. სომოგი, იაკუთის მიხედვით, მიიჩნევს, რომ ქიმახი ადგილია ჩინეთის საზღვარზე, თურქული მოსახლეობით, „საიდანაც თურქი ხალხი, ყივჩაყთა ტომი წარმოდგა“ (J. de Somogyi. *Adh-Dhababi's "Tarikh al-Islam"*, გვ. 598). მაგრამ ეს პუნქტი, უფრო სავარაუდოა, არის ქემახი ანატოლიაში, მანგუჯაქიანთა სამფლობელოში; რაც შეეხება დაირკს (ან დებერკის), მასში უნდა ვიგულისხმოთ დივრიგი. ამასთან, როგორც სომოგი წერდა, უეჭველია, 'აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადი ხვდებოდა და იღებდა ინფორმაციას მონღოლთა შესახებ შუა აზიის მკვიდრთაგან. J. de Somogyi. *Adh-Dhababi's "Tarikh al-islam"*, გვ. 597.

⁶ J. de Somogyi. *Adh-Dhababi's "Tarikh al-islam"...*, გვ. 598.

მიაქცია დ. სომოგიმ, რომელმაც ამის თაობაზე ორი სტატია გამოაქვეყნა.⁷

‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადის კუთვნილი ყველა პასაჟი – მისი ავტობიოგრაფიიდან, ცნობები აზ-ზაჰაბის „ისლამის ისტორიის“ სტამბოლის აია სოფიას ნუსხიდან (3012), რომლებშიც საუბარია მონღოლებზე, ხვარაზმელებზე, ავტორის თანამედროვე არაერთ ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეზე: ბალდადის ხალიფების, აიუბიანთა საგვარეულოს წარმომადგენლებისა და სხვათა შესახებ, შეკრიბა და გამოაქვეყნა კ. კაენმა.⁸ მანვე ფრანგულად თარგმნა ის ცნობები, რომლებიც ხვარაზმელებს ეხება.⁹ ‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადის ცნობა საქართველოში მონღოლთა პირველი შემოსევის შესახებ, აზ-ზაჰაბის „თა’რის ალ-ისლამის“ ბრიტანეთის მუზეუმის ნუსხის (№1640) საფუძველზე, ნაწილობრივ – არაბული ტექსტი (ფაქტობრივად, სომოგის გამოცემის მიხედვით) რუსულ თარგმანთან ერთად, კლ. კაენისა და ჩვენი შრომების გაუთვალისწინებლად, 1982 წ. თბილისში გამოაქვეყნა ზ. ბუნიატოვმა.¹⁰

1980 წ. წინამდებარე ნაშრომის პირველი გამოცემის დროს ვეყრდნობოდით ჯ. სომოგისა და კლ. კაენის პუბლიკაციებს. ამჯერად გათვალისწინებულია აზ-ზაჰაბის „ისლამის ისტორიის“ კრიტიკული გამოცემა¹¹ და მისი ელექტრონული ვერსიაც.¹²



‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადი თანადამხდური და მომსწრე იყო მონღოლთა პირველი შემოსევებისა 1220-1221 წლებში, რომლებმაც თავზარდამცემი გავლენა მოახდინეს მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხებზე. არაბი ისტორიკოსები ამ შემოსევების ანალოგიებს ვერ პოულობდნენ ისტორიაში. ისლამის სამყაროზე დამტყდარი უბედურება მწვავედ განიცადა ‘აბდ ალ-ლატიფმაც:¹³

⁷ J. von Somogyi. *Ein arabischer Bericht...*, გვ.123-124; J. de Somogyi. *Adh-Dhababi's "Tarikh al-islam"...*, გვ. 600-603.

⁸ C. Cahen. *'Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 111-128.

⁹ C. Cahen. *Abdallatif al-Baghdadi et les Khwarazmiens*, გვ.150-166.

¹⁰ З. М. Бунятов. Еще одна неизвестная страничка из истории средневековой Грузии. – *მაცნე* (იანვარი), 1982, №4, გვ. 125-127.

¹¹ აზ-ზაჰაბი. *თა’რის ალ-ისლამ ვა ვაფაიათ ალ-მაშაჰირ ალ-‘ალამ. 601-610 ჰიჯრი*; თაჰკიკ ად-დუქთურ ‘უმარ ‘აბდ ას-სალამ თადმური. *ბაირუთ, 1422/2001* (შემდეგ, აზ-ზაჰაბი, 2001); იგივე, 611-620 ჰიჯრი, *ბაირუთ, 2001*; იგივე, 621-630 ჰიჯრი. *ბაირუთ, 1422/2002* (შემდეგ, აზ-ზაჰაბი, 2002).

¹² Al-Waraq com. <http://www.alwaraq.net/>

¹³ C. Cahen. *'Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 125. აზ-ზაჰაბი. *თა’რის ალ-ისლამ... 601-610 ჰიჯრი*, გვ. 26.

„თათართა ამბავი სხვა ამბებს ფარავს და ნთქავს. ეს არის ისტორია, რომელიც სხვა ისტორიებს დაგვაინწყებს, შემთხვევა – ყველა სხვა შემთხვევას რომ არარად ხდის და უბედურება, რომელიც დედამინის ზურგზე ვრცელდება და მთელ სიგრძე-სიგანეზე ალავსებს მას“.

‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი პირველი არაბი მწერალია, რომელმაც 606 წ. ამბებში დაახასიათა მონღოლთა ანთროპოლოგიური ტიპი და მათი თვისებები: თათრებს აქვთ ფართო სახე, განიერი მკერდი, მსუბუქი დუნდულეები, პატარა თვალები; არიან შავგვრემნები, მოძრაობენ და აზროვნებენ სწრაფად. ხალხმა ცოტა რამ თუ იცის მათ შესახებ. ისინი იღებენ ცნობებს უცხო ხალხების შესახებ, მაგრამ უკანასკნელნი ამას ვერ ახერხებენ. ცოტას შეუძლია იჯაშუშოს მათთან და გაიგოს მათი მდგომარეობა, ვინაიდან უცხოელი მათ არა ჰგავს. როცა სურთ გალაშქრება რომელიმე მიმართულეებით, ნიღბავენ თავიანთ ზრახვებს, აღდგებიან ერთბაშად ისე, რომ არც [მოწინააღმდეგეთა] ქალაქის მოსახლეობამ იცის რამე მათ შესახებ, ვიდრე არ შეეღწენ ქალაქში და არც [მათმა] ლაშქარმა, ვიდრე არ შეხვდებიან მას. ბრძოლაში იყენებენ ცრუ უკანდახევას, მტრის მახეში შეტყუებასა და ზურგიდან თავდასხმას. მათი ქალები მამაკაცთა მსგავსად იბრძვიან და ზოგჯერ ძუძუმწოვარა ბავშვებს კისერზე იკიდებენ. როცა ქალაქში შეიჭრებიან, დაუნდობლად ხოცავენ ქალებს და ბავშვებს. მამაკაცებიდან შეიძლება დაინდონ მხოლოდ ხელოსნები და ისინი, ვისაც შეუძლია მომსახურება. უმეტესობა ატარებს მშვილდ-ისარს, რომელსაც ამზადებს ყველა. ისრის წვერები რქის, რკინის და ძვლისაა. ხმლებს უფრო ურჭობენ, ვიდრე ურტყამენ. დამცავი ჯავშანი ტყავისაა და მსუბუქი. იყენებენ მსუბუქ და პატარა უნაგირებს, რომელთაც ღირებულება არა აქვთ. მათი ცხენები ჭამენ ახალ და მშრალ ფურაჟს და ყველაფერს, რასაც ნახავენ, ხე იქნება თუ ფოთლები. თავად ჭამენ ნებისმიერი ცხოველის შემწვარ ხორცს.

დასასრულ, ‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი წერს:

„როდესაც ხოცავენ, თათრებმა არ იციან გამონაკლისი და დანდობა. მათი მიზანი თითქოსდა ადამიანთა მოდგმის განადგურებაა... და, ჩანს, სურთ არა იმდენად ქონება და სიმდიდრე, რამდენადაც განადგურება სამყაროსი, რათა ის გაუდაბურდეს“.¹⁴

‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის ინფორმაციის მეორე ნაკვეთში, რომელიც აზ-ზაჰაბის ჰიჯრის 618/1221-22 წ. ამბებშია შეტანილი, მოთხრობილია საქართველოზე მონღოლთა ლაშქრობის შესახებ:

¹⁴ C. Cahen. *‘Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 125; აზ-ზაჰაბი. თა’რის ალ-ისლამ... 601-610 ჰიჯრი, გვ. 26-27.

„თათრებს გამოეყო ორი ჯგუფი, მსგავსად იმისა, როგორც გამოიყოფა [ცეცხლის] ორი ენა ჯოჯოხეთიდან.¹⁵ ერთი აზერბაიჯანისა და არრანისკენ გაემართა, შემდეგ კი ქართველთა ქვეყნისკენ (ბილად ალ-ქურჯ) წავიდა, ხოლო მეორე რაზმი ჰამაზანსა და ისფაჰანს მივიდა, შეუტია ჰულვანს და ბაღდადზე ლაშქრობას ისახავდა მიზნად. რაც შეეხება პირველ [ჯგუფს], მან მოაოხრა ქვეყნები, რომლებზედაც გადაიარა. და როცა [თათრებმა] ქართველთა ქვეყანას¹⁶ მიაღწიეს, ქართველებმა შეჰყარეს თავიანთი ჯარები და შეხვდნენ მათ, მაგრამ დამარცხდნენ. მოიკლა მათგან [ქართველთაგან] 8 ათასი რჩეული მეომარი და დიდძალი ქვეშევრდომი და გლეხი (მინ ალ-ითბა ‘ვალ-ფალლაჰინა). ქართველთა მეფე (მალიქ ალ-ქურჯ) სასონარკვეთილებაში ჩავარდა. მაგრამ დიდებულებმა (ალ-უმარა’) ზომები მიიღეს და იხსნეს ის თათართა მძლავრი ეშვებიდან. [მეფე] ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში გამაგრდა, ხოლო თათრები თარეშობდნენ ქვეყანაში, აოხრებდნენ და ვინც გადარჩა, მათ წინააღმდეგ მრისხანებით თითებს იჭამდა.¹⁷ [შემდეგ] თათრებს გამოეყო ერთი მხედარი. ქართველთა¹⁸ მეფემ იკითხა: არის ჩვენს შორის ვინმე ისეთი, ვინც გავა მასთან [ორთაბრძოლაში]? მაშინ ერთმა ქართველმა მოყმემ (ბატალ) დაიწყო ქადილი, გამოვიდა და გაემართა თათრისკენ. თათარმა [ბევრი] არ დაახანა, მოჰკლა ის, გამოიყვანა მისი ცხენი, ნელა მობრუნდა და ცხენი გააჭენა, რათა მისი ასაკი გაეგო. გაოცდა ქართველთა¹⁹ მეფე და თქვა: [შეხედეთ] ისე წაიყვანა [ცხენი], თითქოსდა იყიდაო. შემდეგ ქართველებმა სხვა ჯარი შეკრიბეს და დახმარებისათვის მიმართეს არზან არ-რუმის ლაშქარს, მაგრამ თქვა ხალხმა: ისინი [თათრები] აღარ დაბრუნებულან და როცა გაძლიერდა ქართველ-

¹⁵ ასეა აზ-ზაჰაბის თხზულების დიდი ბრიტანეთის მუზეუმის ნუსხაში: انشعب من التتار فرقتان كما ينشعب من جهنم لسانان (J. von Somogyi. *Ein arabischer Bericht...*, გვ. 126; აზ-ზაჰაბი. *თა’რიხ ალ-ისლამ...* 611-620 ჰიჯრი, გვ. 47); აია-სოფიას ნუსხის მიხედვით, კ. კაენის გამოცემაში (C. Cahen. *‘Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 125), „ჯოჯოხეთის“ (جوجوخ) ნაცვლად წერია „მათი მხრიდან“ (من جهنم), რაც წინადადებას („როგორც გამოიყოფა ორი ენა მათი მხრიდან“) გაუგებარს ხდის.

¹⁶ ამ შემთხვევაში წერია **ბილად ალ-ხზრ/ხაზარ**, ე.ი. ხაზართა ქვეყანა, ნაცვლად ალ-ჯზრ/ალ-ჯურზისა. ასეთი შემთხვევები ‘აბდ ალ-ლატიფის ცნობაში სხვაგანაც გვხვდებოდა. მსგავსი აღრევების შესახებ იხ. ამავე კრებულში: გ. ჯაფარიძე. *ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები*. გვ. 11-32.

¹⁷ ყურანის III სურის 115-ე აიას პერიფრაზი: „ხოლო როდესაც მარტო რჩებიან, თქვენნი სიძულვილით თითებს იჭამენ“.

¹⁸ არაბულ ტექსტშია ალ-ხზრ/ხაზარ ალ-ჯურზ-ის ნაცვლად.

¹⁹ იხ. შენ. 20.

თა ძალა (*შავქათ ალ-ქურჯ*),²⁰ გაბრუნდნენ უცნობი გარემოებისა და საშიში მიზეზის გარეშე... ეს მოხდა 618/1221-22 წელს და მე ამ დროს ვიყავი არზანში²¹... შემდეგ თათრები მიიქცნენ შარვანისკენ, დაიპყრეს მახვილით, მოსრეს დედაბუდიანად, ძალით – მახვილით, გადაჭრეს დარუბანდი, გადაუარეს ყივჩაღებსა და ალანებს და მოსრეს მახვილით“.²²

ზემომოყვანილი ვრცელი ცნობა ეხება მონღოლთა იმ ლაშქრობას, რომელიც, ჩინგიზ-ხანის დავალებით, ჯებე და სუბუდაი ნოინების სარდლობით, 1220 წ. გაზაფხულზე დაიწყო სამარყანდიდან. ხვარაზმ-შაჰ მუჰამადის (1200-1221) დევნაში მონღოლებმა შუა აზიიდან გადაჭრეს ირანი და აზერბაიჯანი, აიღეს მრავალი ქალაქი, მოსპეს ათეულობით ათასი მშვიდობიანი მცხოვრები, ცეცხლს მისცეს აურაცხელი მატერიალური დოვლათი და საქართველოს საზღვრებს მოადგნენ.

1220 წ. მიწურულსა და 1221 წ. დამდეგს, მონღოლებმა რამდენჯერმე დაამარცხეს ქართველები. ამ ბრძოლებიდან ‘აზდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი მხოლოდ ერთს ასახელებს.²³ მის მიერ მოხსენიებული ქართველთა მეფე თამარის ვაჟია – გიორგი ლაშა (1210-1223), რომელსაც დიდი ისტორიული განსაცდელი დაატყდა თავს. ‘აზდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი მოგვითხრობს, რომ მონღოლებთან მარცხის შემდეგ საქართველოს სამეფო კარზე სასონარკვეთილებამ დაისადგურა, მაგრამ მისი ინფორმაციიდან ისიც ჩანს, რომ ქართველებს ფარხმალი არ დაუყრიათ. ფაქტია, რომ ძლევამოსილ ჯებესა და სუბუდაის ყველაზე მეტად მაინც საქართველოში გაუჭირდათ. გიორგი-ლაშამ ორგანიზებული სამხედრო ძალა დაუპირისპირა მტერს, რომელსაც მანამდე ციხე-ქალაქებში შეხიზნულ გარნიზონებთან და მოსახლეობასთან

²⁰ ასეა (فلمّا اشتدت شوكة الكرّج) აზ-ზაჰაბის „თა’რის ალ-ისლამის“ დიდი ბრიტანეთის მუზეუმის ნუსხაში (J. von Somogyi. *Ein arabischer Bericht...*, გვ. 126) და ამ თხზულების კრიტიკულ გამოცემაში (აზ-ზაჰაბი. *თა’რის ალ-ისლამ ...* 611-620 ჰიჯრი, გვ. 47). სხვაგვარადაა კლ. კაენის მიერ გამოცემულ ტექსტში (აია სოფიას ნუსხა: C. Cahen. *‘Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 126): “فلمّا اشتدت شوكة الحرّج” / „როცა გაძლიერდა ძალა დანაშაულისა“, რაც გაუგებარია. ამიტომ უპირატესობას პირველ ნაკითხვას ვანიჭებთ.

²¹ ალბათ არზრუმში, როგორც ფიქრობს კლ. კაენი C. Cahen. *‘Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 126, შენ. 1.

²² C. Cahen. *‘Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 126. აზ-ზაჰაბი. *თა’რის ალ-ისლამ... 611-620 ჰიჯრი*, გვ. 47.

²³ ამ ამბების ქრონოლოგიის შესახებ იხ. ბ. სილაგაძე. XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე. – *საქართველო რუსთაველის ხანაში* (რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული). თბ., 1968, გვ. 129-137; რ. კიკნაძე. მონღოლები და მათი დაპყრობითი ომები. – *სინ*, III, თბ., 1979, გვ. 532-536.

ჰქონდა საქმე. სწორედ ძლიერი და შეუპოვარი წინააღმდეგობა იყო მიზეზი იმისა, რომ 1220-21 წლებში მონღოლებს, მიუხედავად რამდენიმე გამარჯვებისა, არ აუღიათ არც ერთი ქალაქი საქართველოს სამეფოს საზღვრებში.

გიორგი-ლაშას სამხედრო ღონისძიებებში მეზობელი პოლიტიკური ერთეულების დარაზმვაც შედიოდა. ‘აზდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადი ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი მუსლიმი ავტორია, რომელიც მოგვითხრობს, რომ ქართველებმა დახმარებისათვის მიმართეს მეზობელი არზან არ-რუმის ანუ არზრუმის საამიროს ლაშქარს და, ჩანს, მიიღეს ეს დახმარება. ამ ცნობის ჭეშმარიტებას ადასტურებს ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე: მეფემ დამარცხების შემდეგ მონღოლებთან საბრძოლველად „მოირთნა კარნუ-ქალაქისა (ე.ი. არზრუმის გ.ჯ.) ლაშქარნი“...²⁴

‘აზდ ალ-ლატიფის თანამედროვის, ცნობილი არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის თანახმად, ქართველებმა მონღოლთა წინააღმდეგ გაერთიანება მოუწოდეს, აგრეთვე, აზერბაიჯანის ათაბეგს უზბეკს (1210-1225) და ხლათის მფლობელს, აიუბიან ალ-მალიქ ალ-აშრაფს (1210-1237), მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი კოალიციის შეკვრა არ მოხერხდა. საამისოდ უზბეკი უნიათო და წინდაუხედავი მმართველი აღმოჩნდა, ხოლო ალ-აშრაფმა, რომელსაც მონღოლები ჯერ კიდევ უშუალოდ არ ემუქრებოდნენ, ეგვიპტეში ჯვაროსანთა წინააღმდეგ საბრძოლველად ამჯობინა გამგზავრება.²⁵

გიორგი-ლაშამ დიდი გეგმის მხოლოდ ნაწილი განახორციელა: „მოირთნა კარნუ-ქალაქისა ლაშქარნი“, მაგრამ მონღოლებმა მოულოდნელად დატოვეს საქართველო: „ვიდრე ზედმისვლამდე გაიქცნეს და გადაიხუნენეს, განვლეს დარუბანდის გზა“.²⁶

მონღოლთა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლის შემდეგ, იმავე წლის ამბებში ‘აზდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადი მოგვითხრობს გიორგი ლაშას გარდაცვალების, რუსუდანის გამეფებისა და მისი ქორწინების ამბებს:

²⁴ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი 1955, გვ. 370.

²⁵ იბნ ალ-ასირ. *ალ-ქამილ ფი-თ-თა’რიხ*. კ. ტორნბერგის გამ. ტ. XII, 1853, გვ. 245. [წარმოდგენილი სტატიის პირველი გამოცემის შემდეგ ამ საკითხს დანვრილებით შევეხეთ ორჯერ: საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. – ჟურნ. *მნათობი*, 1984, №12, გვ. 147-151 და *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*. თბ., 1995, გვ. 176-179].

²⁶ ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I, თბ., 1955, გვ. 370.

„შემდეგ მოკვდა ქართველთა²⁷ ჭაბუკი მეფე და გამეფდა მისი და, რომელმაც არზან არ-რუმის მფლობელს – ალ-მულისს შეუთვალა, რომ მასზე დაექორწინებინა მისი ერთ-ერთი უმცროსი ვაჟი. ის იყო ხლათის მფლობელის ბეგთიმურის ქალიშვილის ძე, ლამაზი, 17 წლისა. [მულისმა] დააქორწინა ის დედოფალზე და გავრცელდა ხმა, რომ ის გაქრისტიანდა“.²⁸

სინამდვილეში, გიორგი ლაშა გარდაიცვალა არა 618/1221-22, არამედ მომდევნო 619/1222-23 წ., უფრო ზუსტად 1223 წ. 18 იანვარს.²⁹ რუსუდანი გათხოვდა 620/1223-24 წ. რუსუდანის ქორწინების ამბავს იხსენიებენ სხვა არაბი ისტორიკოსებიც (იბნ ალ-ასირი, აბუ ლ-ფიდა), მაგრამ, მათგან განსხვავებით, ‘აბდ ალ-ლატიფის ცნობაში ყურადღებას იპყრობს ერთი დეტალი: არზრუმის გამგებლის, მულის ადდინ თოღრულ-შაჰის (1202-1225) უმცროსი ვაჟი, რომელიც რუსუდანის მეუღლე გახდა, დედით იყო ხლათის მფლობელის – ბეგთიმურის შთამომავალი.

ბეგთიმური ქ. ხლათს დაეუფლა 1185 წ., როცა უძეოდ გადაეგო ხლათის შაჰ-არმენტა სახელმწიფოს გამგებელი, სუქმანიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, ნასირ ად-დინ სუქმან იბნ იბრაჰიმი. მისმა მამლუქმა ბეგთიმურმა თავი შაჰ-არმენად გამოაცხადა და ხლათს 1193 წლამდე განაგებდა.

ბეგთიმური ასასინებმა იმსხვერპლეს. შემდეგ მისი მცირეწლოვანი შვილიც დაიღუპა და სახელმწიფოში არეულობა დაიწყო. ტახტზე ერთმანეთს ცვლიდნენ შაჰ-არმენტა მამლუქები. ხლათს თვალი დაადგეს მეზობელმა სახელმწიფოებმა. საქართველოს სამეფო კარი, რომელსაც განუწყვეტელი ომები ჰქონდა ხლათთან XII საუკუნეში, სერიოზულად ისახავდა მიზნად მის ანექსიას, მაგრამ ხლათისთვის ბრძოლაში წარმატება სირიის აიუბიანებს ხვდათ წილად. აიუბიანთა სულთნის, ალ-ადილის (1200-1218), ძე ალ-ავჰადი 1207 წ. დაეუფლა ხლათს და მის დროს 1210 წ. საქართველოსთან 30-წლიანი სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო.

არც ის არის გამორიცხული, რომ დინასტიური ქორწინება რუსუდანსა და მულის ად-დინის ვაჟს შორის, რომელიც დედით ხლათის მფლობელის შთამომავალი იყო, შორეულ მიზნებსაც ისახავდა. საქართველოს სამეფოს

²⁷ იხ. შენ.29.

²⁸ C. Cahen. *‘Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 126. აზ-ზაჰაბი. *თა’რიხ ალ-ისლამ...* 611-620 ჰიჯრი, გვ. 48; დამატებით ამ საკითხზე იხ. გ. ჯაფარიძე. *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, გვ. 180-181.

²⁹ გ. ჯაფარიძე. *გიორგი ლაშას გარდაცვალების თარიღის შესახებ*. – კრ. *ვალერიან გაბაშვილი*, 90. თბ., 2003, გვ. 501-510 და ამავე კრებულში, გვ. 225-232.

ის ახალ პერსპექტივებს უხსნიდა ხლათისთვის ბრძოლაში. გარდა ამისა, აღნიშნულმა ქორწინებამ კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოს პოლიტიკური გავლენა არზრუმის საამიროზე.

‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი გაკვრით ეხება მონღოლთაგან დევნილი თურქების (ყივჩაყების) გადმოსვლას სამხრეთ კავკასიაში, ამავე, 618 წელს

„ცისკიდეთიდან (აფაკ) გამოჩნდნენ თურქები, რაც არ ხდებოდა ჩვეულებრივ და ნალეკეს ქვეყანა. ყველა ისინი მოვიდნენ თბილისის მხრიდან და იყვნენ მათგან, ვინც გადაურჩა თათართა ხმლებს“.³⁰

შემდეგ მემათიანე ვრცლად მოგვითხრობს მონღოლთა პირველი რაზმის ცდაზე, დაელაშქრა ბაღდადი.³¹ ბრძოლებში მონღოლთა შეუპოვრობა თანამედროვეებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი აღნიშნავს, რომ ალ-მალქ ალ-აშრაფს თურმე ჰკითხეს აზრი თათართა შესახებ და მან უპასუხა:

„რა უნდა ვთქვა ამ ხალხზე, რომელთაგან ჯერ არავინ ჩაგვიგდია ტყვედ. ისინი იბრძვიან მანამდე, ვიდრე არ დაიხოცებიან, ანდა არ გადარჩებიან“.³²

ირკვევა, რომ ამ ინფორმაციის წყარო საქართველოს სამეფო კარი იყო. ეს სიტყვები, თათართა ომების აღწერასთან ერთად, საქართველოს მეფეს შემოეთვალა და ანდაზასავით ქცეული ‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადიმ არზრუმში გაიგო.³³ მეფე აგრეთვე იტყობინებოდა, რომ ვიდრე თათართა მიერ დახოცილთა რიცხვს ვინმე დათვლიდა, მათი რაოდენობა ორმაგდებოდა და

„ამიტომ ამბობენ არა იმას, თუ რამდენი დახოცეს [თათრებმა] ქვეყანაში, არამედ მხოლოდ იმას, თუ რამდენი გადარჩა“.³⁴

‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის ინფორმაცია მონღოლთა შესახებ მთავრდება ნიშაბურსა და ფერღანაში მათ მიერ ჩადენილი საშინელი ამბების³⁵ აღწერით.

³⁰ C. Cahen. *‘Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien..*, გვ. 126-127; ყივჩაყებთან ქართველების კონფლიქტის შესახებ, საკითხზე დანვრილებით იხ. ბ. სილაგაძე. არაბი მწერალი ყივჩაღთა შემოსევის შესახებ ამიერკავკასიაში XIII ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში. – *ქს.* VII, თბ., 1987, გვ. 67-78; რ. კიკნაძე. *მონღოლები და მათი დაპყრობითი ომები*, გვ. 537.

³¹ C. Cahen. *‘Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien..*, გვ. 126-127.

³² იქვე, გვ. 127. აზ-ზაჰაბი. *თა’რიხ ალ-ისლამ...611-620* ჰიჯრი, გვ.49.

³³ C. Cahen. *‘Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien..*, გვ. 127.

³⁴ იქვე; აზ-ზაჰაბი. *თა’რიხ ალ-ისლამ...611-620* ჰიჯრი, გვ. 48-49.

³⁵ C. Cahen. *‘Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien..*, გვ. 127-128.

●
 ‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი ხვარაზმ-შაჰ მუჰამადის (1200-1220), ჯალალ ად-დინისა და, საერთოდ, ხვარაზმელთა შესახებ, საგანგებო ნაკვეთებში ჩერდება.³⁶

ავტორის დამოკიდებულება მუჰამადისადმი მკვეთრად უარყოფითია. მართალია, ის არ მალავს ხვარაზმ-შაჰის დადებით თვისებებს, მაგრამ, ამავე დროს, ყურადღებას ამახვილებს მის ისეთ უარყოფით მხარეებზე, როგორც იყო მუხანათობა, სისასტიკე, დაუნდობლობა და მეკობრეობა.

როგორც ცნობილია, მუჰამადმა ხვარაზმის ჰეგემონობით გააერთიანა თითქმის მთელი ირანი, რასაც ბევრი ადგილობრივი, ნვრილი გამგებელი შეენირა. ამას აბდ ალ-ლატიფი დანაშაულად უთვლიდა მუჰამადს ისევე, როგორც მის მტრულ დამოკიდებულებას ბაღდადის ხალიფასთან.³⁷

მუჰამადისადმი მიძღვნილ ვრცელ პასაჟში, სადაც დახასიათებულია სულთნის ექსპანსიური გეგმები, ჩვენთვის საინტერესოა ‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის ცნობა, რომ მუჰამადს სურდა,

„ნასულიყო [სალაშქროდ] თბილისზე და გადაეცია ის თავისი სახელმწიფოს დედაქალაქად (სარირ მულქიჰი), საიდანაც იგამგებლებდა არ-რუმის, სომეხთა და ყივჩაღთა ქვეყნებზე, დანარჩენ აღმოსავლეთსა და დასავლეთზე“.³⁸

მართალია, სხვა აღმოსავლური წყაროები მუჰამადის ამ გეგმას არ იცნობენ, მაგრამ ასეთი განზრახვა ხვარაზმ-შაჰს შეიძლება მართლაც ჰქონოდა. 1217-1218 წწ. მუჰამადმა შემოიმტკიცა ჯიბალი (სპარსეთის ერაცი) და აიძულა საქართველოს მეზობელი აზერბაიჯანის ათაბაგი უზბეკი, თავი მის ვასალად ელიარებინა. სულთანმა გააფრთხილა საქართველოს სამეფო კარი, რომ თუ არ შეწყდებოდა აზერბაიჯანის დარბევა, ის ილაშქრებდა საქართველოზე, რისთვისაც 50 ათასი რჩეული მეომარი გამოყო.³⁹ ბაღდადზე წარუმატებელი ლაშქრობისა და ხვარაზმში დაბრუნების გამო, სამხედრო კონფლიქტი საქართველოსთან არ მოხდა. მაგრამ ხმა იმის თაობაზე, რომ მუჰამადს თბილისის დალაშქვრა სურდა, სწორედ ამ დროს უნდა გავრცელებულიყო.

‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი გვიხატავს ჯალალ ად-დინის (1220-1231) პორ-

³⁶ იქვე, გვ. 116-124;

³⁷ იქვე, გვ. 126, 116-117; აზ-ზაჰაბი. თა’რიხ ალ-ისლამ... 611-620 ჰიჯრი, გვ. 365.

³⁸ „ბილაღ ალ-ლარბ ვა ლ-‘აჯამ“ (C. Cahen. *Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 117; C. Cahen. *Abdallatif al-Baghdadi et les Khwarazmiens*, გვ. 158); ან „ბილაღ ალ-‘არაბ ვა ლ-‘აჯამ“/“არაბთა და არაარაბთა, სპარსელთა ქვეყნებზე“. აზ-ზაჰაბი. თა’რიხ ალ-ისლამ... 611-620 ჰიჯრი, გვ. 365.

³⁹ Ан-Насави. *Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны*. Пер. с арабского, предисловие, комментарии, примечания и указатели З. М. Бунятова. Баку, 1973, гв. 61.

ტრეტს („ის იყო შავყვითელი, გამხდარი, მახინჯი...“)⁴⁰ და საკმაო ადგილს უთმობს მის ბრძოლებს ხლათთან, რუმის სასულთნოსთან და საქართველოსთან.

ავტორის დამოკიდებულება ხვარაზმელთა მიმართ ამ პასაჟებშიც უარყოფითია:

„ხვარაზმელებთან გავრცელებულია მრუშობა და მამათმავლობა არ ითვლება უხამსობად და დაუშვებლად დიდებულთათვის და მღაბალთათვის. ვერაგობა მათი დამახასიათებელი თვისებაა“.⁴¹

ხვარაზმელთა ვერაგობა აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის საქართველოს მაგალითზეც აქვს დასურათებული. ინფორმაცია მას მიუღია თავისი ყოფილი მონაფისაგან, რომელსაც სააქიმო საქმე შეასწავლა. ეს უკანასკნელი თბილისში 6 წელი ცხოვრობდა და ექიმობით დიდძალი ქონება დააგროვა. მან უამბო ‘აბდ ალ-ლატიფს, რომ

„[ხვარაზმელებმა] თბილისთან აიღეს ციხე შეუვალობის პირობით (ბი-ლ-ამან) და როცა გამოვიდა ციხიდან მათი ხალხი, გაშორდნენ მათ მცირედით, შემდეგ მოუბრუნდნენ და დახოცეს ისინი, ვისაც აღუთქვეს მშვიდობა – რომ არ დახოცავდნენ და დაატყვევეს ისინი, ვისაც აღუთქვეს მშვიდობა – რომ არ დაატყვევებდნენ“...⁴²

‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი წერს, თუ როგორ ცდილობდა ჯალალ ად-დინი, რომელიც უკვე აოხრებდა საქართველოს სანაპირო მხარეებს, მოედუნებინა საქართველოს სამეფო კარის ყურადღება:

„როდესაც მოახლოვდნენ ხვარაზმელები, მათი ელჩი ეახლა დედოფალს ტკბილი სიტყვით და როცა მასთან დარბაზობაზე იყო, მოვიდა მაცნე ამბით, რომ ეს ხალხი აოხრებდა ქვეყნის სანაპიროებს. მაშინ დედოფალმა უთხრა ელჩს: განა ამგვარად იქცევებიან მეფეები, ელჩს ერთს ალაპარაკებენ და თავად სანინააღმდეგოს აკეთებენ? და ბრძანა მისი გაძევება“.⁴³

‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი მოგვითხობს ქართველებსა და ხვარაზ-

⁴⁰ C. Cahen. *Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 123; C. Cahen. *Abdallatif al-Baghdadi et les Khwarazmiens*, გვ. 158; აზ-ზაჰაბი. *თა'რიხ ალ-ისლამ... 611-620 ჰიჯრი*, გვ. 309 (ჯალალ ად-დინისგან განსხვავებით, მისი ძმა – ღიას ად-დინი იყო გარეგნობით ულამაზესი და მშვენიერი, მაგრამ უსამართლო და სასტიკი. დედით ჯალალ ად-დინი იყო ინდოელი, ხოლო ღიას ად-დინი – თურქი).

⁴¹ C. Cahen. *Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 123; C. Cahen. *Abdallatif al-Baghdadi et les Khwarazmiens*, გვ. 158; აზ-ზაჰაბი. *თა'რიხ ალ-ისლამ... 611-620 ჰიჯრი*, გვ. 309.

⁴² C. Cahen. *Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 123; აზ-ზაჰაბი. *თა'რიხ ალ-ისლამ... 611-620 ჰიჯრი*, გვ. 309.

⁴³ იქვე.

მელებს შორის ბრძოლაზე (იგულისხმება გარნიისის ბრძოლა, 1225 წლის აგვისტოში), როცა ქართველთა მთავარ-ბანაკში თავი იჩინა უთანხმოებამ ივანე მხარგრძელსა და შალვა ახალციხელს შორის. ხვარაზმელთა ელჩის გაძევებიდან

„თხუთმეტი დღის შემდეგ მოვიდნენ (ხვარაზმელები). გამოვიდა მათ წინააღმდეგ ქართველთა ლაშქარი. თქვა ივანემ და მოეწყო ლაშქარი ცენტრად, მარჯვენა და მარცხენა ფრთად. მაგრამ თქვა შალვამ: ისინი [ხვარაზმელები] ამისი ღირსნი არ არიან და მათ მეც ვეყოფი. ის ჩაეშვა ბრძოლაში წინდაუხედავად, 7 ათასი მეომრით, რომელთა უმრავლესობა იყო თურქმანი, რადგანაც თავში სიმთვრალე ჰქონდა. დაიძრა, შეიჭრა მათ შუაგულში, მაგრამ [ხვარაზმელები] გარს შემოერტყნენ, დაეცა მისი ალაში და მაშინ თქვა ივანემ: შალვა დამარცხდა და ჩვენც უკუვიქცეთ. ის გაემართა უღელტეხილისკენ და უკან მიჰყვნენ ოტებულნი. ისინი იჩეხებოდნენ ვინრობებში ისე, რომ უმეტესობა დაიღუპა. ივანე და ვინც მასთან იყო, გამაგრდნენ ციხეებში უღელტეხილზე. ხოლო ხვარაზმელებმა კი დაიწყეს ყველაფრის მოოხრება, რაც კი ჰპოვეს. დედოფალი გამაგრდა ციხეებში უღელტეხილზე“.⁴⁴

ხვარაზმელთა ვერაგობასა და მუხანათობას ‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი საქართველოს კიდევ ერთი ქალაქის აღების მაგალითზე გვიჩვენებს. ქალაქი მტრისთვის იბნ ას-სადიდ ათ-თიფლისის (ე.ი. თბილისელს) ჩაუბარებია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს პიროვნება ყადი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არა ჩანს, თუ რომელ ქალაქზეა საუბარი:

„შემდეგ იბნ ას-სადიდ ათ-თიფლისიმ მოიწადინა დაზავება. იფიქრა, რომ ისინი [ხვარაზმელები] ადამიანებსა ჰგავდნენ და რომ შეეძლოთ სიტყვისა და პირობის შესრულება. გამოვიდა და ითხოვა შეუვალობა (ამან) ქალაქის ხალხისთვის მთლიანად: მუსლიმთათვის, ქართველებისა და ებრაელებისათვის. მიიღო ჯალალ ად-დინისა და ღიას ად-დინის [ჯალალ ად-დინის ძმის – გ.ჯ.] ხელწერილი, შეუვალობა, მათი ბეჭდები და ვერცხლის ფირფიტა ოქროს წარწერით, რომელსაც ეძახიან *ჰაიზას*. მიიღო გარანტია. [მაგრამ] ერთი საათის შემდეგ, როცა შევიდნენ [ხვარაზმელები ქალაქში], დაიტაცეს იბნ ას-სადიდის მამულუქები და მისი ქონება. ინანა [იბნ ას-სადიდმა] ეს. [ხვარაზმელებმა] იგივე გაუკეთეს ყველას და ეძახდნენ მუსლიმებს რენეგატებს (*მურთადუნა*), მიითვისეს მათი ქონება და ცოლები, არ დაუტოვებიათ არც

⁴⁴ იქვე.

ერთი ლამაზი ქალი და ლამაზი ბავშვი. მოულოდნელად მიადგებოდა ხოლმე [ხვარაზმელი] ვინმეს ოჯახს, მოითხოვდა საქმელ-სასმელს და სახლის პატრონის ცოლთან დაძმობილებას. შემდეგ საწოლში ინვევდა მას და ამბობდა: ჩვენ დებს ასე ვექცევითო. დილით კი თუ მათთან ნახავდა ბავშვს, რომელიც მოეწონებოდა, თან მიჰყავდა. თუ ვინმეს გასაყიდი საქონელი ჰქონდა და 50 დინარს აფასებდა, 5 დინარს აძლევდა და თუ პატრონი რამეს იტყოდა, თავში რკინის ბუნიკიან მათრახს გადაუჭერდა, რის გამოც ის კვდებოდა, ან გრძნობას კარგავდა“.⁴⁵

ჯალალ ად-დინი ამტკიცებდა, რომ მისი ძირითადი მიზანი მონღოლებთან ბრძოლა იყო, მაგრამ, ფაქტობრივად, მისი სამხედრო კამპანიები მიმართული იყო სამხრეთი კავკასიისა და მცირე აზიის ქვეყნების წინააღმდეგ. მან აიძვრა და გადაიმტერა ამ ქვეყნების ქრისტიანული და მუსლიმური მოსახლეობა. ქართველებში ხვარაზმელებს მეტი სიძულვილი დაუშინებიათ, ვიდრე – მონღოლებს. ეს ჩანს ზემოხსენებული თბილისელი მკურნალის სიტყვებში, რომლებიც მას აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადისთვის უთქვამს:

„ყველა, ვინც კი ებრძოდა თათრებს, მონღოებს, რომ თათრები ხვარაზმელებზე უკეთ იქცევიან“.⁴⁶



‘აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში, რომლის ნაწყვეტებიც აზ-ზაჰაბის „ისლამის ისტორიამ“ შემოგვინახა, საქართველო და ქართველები არ წარმოადგენდნენ თხრობის ძირითად თემას და ისინი იხსენიებიან ისლამის სამყაროში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების აღწერისას. ამისდა მიუხედავად, ‘აბდ ალ-ლატიფის ცნობები უდავოდ საყურადღებოა და ისინი, გარკვეულად, ავსებენ ჩვენს ცოდნას XIII საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის შესახებ.

⁴⁵ C. Cahen. *Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 123-124. აზ-ზაჰაბი. *თა’რიხ ალ-ისლამ...611-620* ჰიჯრი, გვ. 309.

⁴⁶ C. Cahen. *Abdallatif al-Baghdadi, portraitiste et historien...*, გვ. 124; აზ-ზაჰაბი. *თა’რიხ ალ-ისლამ...611-620* ჰიჯრი, გვ. 310.

A NEW ARABIC SOURCE FOR THE HISTORY OF 13th-CENTURY GEORGIA

Al-Dhababi's (d. 1348 or 1352-53) *Ta'rikh al-Islam* ("History of Islam") has preserved excerpts from a work of autobiographic genre by 'Abd al-Latif al-Baghdadi, an Arab scholar of the 12th-13th centuries (d. 629/1231-32). Attention was first paid to the work by J. von Somogyi (in *Der Islam. Dreiundzwanzigster Band*, 1936, pp. 123-124; *The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, 1936, pp. 596-597). Later, these excerpts were selected from the *Ayasofya* manuscript (No 3012) of Al-Dhababi's work and published by Claude Cahen (in *Bulletin d'Études Orientales*, Damas, 1970, t. XXIII, pp. 101-102).

The work of 'Abd al-Latif al-Baghdadi provides many new and interesting pieces of evidence on the Tatar-Mongols and Khwarazmians. He is the first Arab writer to describe, in the events of AH 606, the anthropologic type of the Mongols, their character, arms, especial fighting capacity, cruelty and mercilessness in relation to the defeated.

The work of 'Abd al-Latif al-Baghdadi contains fresh interesting details on the first inroad of the Mongols into Georgia (1219-20) and on the reaction of the Georgian royal courts. Especially interesting is the evidence on Muhammad Khwarazm Shah (1200-1220) and Jalal al-Din (1220-1231); Muhammad Khwarazm Shah's interest in relation to the South Caucasus takes shape; 'Abd al-Latif al-Baghdadi describes the relations of Jalal al-Din with Queen Rusudan (1223-1245) and his attitude towards the Christian and Muslim population of the Kingdom of Georgia. New details are presented on the Garnisi battle (1225), when the Georgian military forces were routed. 'Abd al-Latif al-Baghdadi presents the Khwarazmians in an extremely negative light, quoting the words of a Tbilisian physician by way of illustration: "All those who fought against the Tatars attest that the Tatars behave better than Khwarazmians".

In general, the work of 'Abd al-Latif al-Baghdadi, being a new source for Georgian history of the 1220s, complements and enriches the data of other sources on the tragic developments of Georgian history of the period.

ად-დუმანისი – იშვიათი არაბული ნისბა*

XVI საუკუნის არაბი ისტორიკოსის, იბნ ტულუნის (გარდ. 953/1546 წ.)¹, თხზულებაში ალ-კალა'იდ ალ-ჯავჰარიია ფი თა'რიხ ას-სალიჰიია („ძვირფასი ქვეების ყელსაბამები სალიჰი-ას ისტორიაში“),² რომელშიც აღწერილია დამასკოს (სირია) უმნიშვნელოვანესი უბანი სალიჰია, დასახელებულია საინტერესო ნისბა (წარმომავლობის სახელი)³ ად-დუმანისი (الدمانيسى). ამ ნისბას ატარებდა XIII ს-ის შუა ხანებში დამასკოში გარდაცვლილი ერთი მუსლიმი სასულიერო მოღვაწე.

ეჭვი არ არის, რომ ნისბა ად-დუმანისი დაკავშირებულია დმანისთან, ქვემო ქართლის უმნიშვნელოვანეს ქალაქთან. XIII ს-ის არაბი გეოგრაფი იაკუთ ალ-ჰამავი ასახელებს ამ ტოპონიმს და ახმოვანებს მას: دمانيس /დუმანის.⁴ XII ს-ის არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-აზრაქ ალ-ფარიკის თხზულებაში თა'რიხ ალ-მაიაფარიკინ ვა ამიდ („მაიაფარიკინის და ამიდის ისტორია“) დმანისი

* პირველად დაიბეჭდა 2003 წ. – კონსტანტინე წერეთელი, 80. საიუბილეო კრებული მიძღვნილი კონსტანტინე წერეთლის 80 წლისთავისადმი. თბ., გვ. 107-109. წინამდებარე გამოცემა შეესებოდა ახალი მასალებით.

¹ შამს ად-დინ მუჰამმად იბნ 'ალი იბნ აჰმად იბნ ტულუნ ას-სალიჰი ად-დომიშკი ალ-ჰანაფი იყო თავისი დროის ცნობილი მეცნიერი და ნაყოფიერი მწერალი, ასწავლიდა ჰადისებს და სამართალს, ავტორია ისტორიული თხზულებებისა, რომლებშიც აისახა სირიაში მამლუქთა მფლობელობის დასასრული და ოსმალთა ბატონობის დასაწყისი (W. M. Brinner. Ibn Tūlūn. – *EP*, vol. IV, გვ. 957-958).

² იბნ ტულუნ. ალ-კალა'იდ ალ-ჯავჰარიია ფი თა'რიხ ას-სალიჰიია. კისმ ალ-ავვალ. თაჰკიკ მუჰამმად აჰმად დუჰმან, დიმაჰკ, 1980.

³ ნისბა, როგორც ცნობილია, ადამიანის არაბულ-მუსლიმური რთული სახელის შემადგენელი ნაწილია და აღნიშნავს პიროვნების ეთნიკურ, რელიგიურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ კუთვნილებას, დაბადებისა და საცხოვრებელ ადგილებს. დაწვრილებით არაბულ-მუსლიმური სახელის, კერძოდ კი, ნისბას შესახებ იხ. Ism. – *EP*, vol. IV, გვ. 179; A. Shimmel. *Islamic Names*. Edinburgh University Press, 1997, გვ. 10-12; J. Sublet. *Nisba*. – *EP*, vol. VIII, გვ. 53.

⁴ აკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ. I. არაბული ტექსტი ქართული თარგმანით და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ. თბ., 1964. გვ. 61 (არაბ. ტექსტი), გვ. 57 (ქართ. თარგმანი).

დამონმებულია როგორც *دومنانيس*/დუმნანის და *دومنانيس*/.⁵ ფორმა *دومنانيس*/. დუმნანის გვხვდება XIII ს-ში საქართველოში მოჭრილ მონეტებზეც.⁶

ფიქრობენ, რომ დმანისის გაქალაქება მოხდა IX ს-ში, არაბთა ბატონობის ხანაში.⁷ ამ დროს ის თბილისის საამიროში შედიოდა. XI ს-ის 80-იან წლებში დმანისი ხელთ იგდეს თურქ-სელჩუკებმა. 1124 წ. დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა ის მუსლიმთა ბატონობისაგან და დემეტრე I-ის (1125-1156) დროიდან დმანისი მტკიცედ დამკვიდრდა ერთიანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დმანისში გამოვლინდა არაერთი არაბულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლი – საფლავის ქვების წარწერები,⁸ რომლებიც მიუთითებენ, რომ ქალაქში არსებობდა მრავალრიცხოვანი მუსლიმური მოსახლეობა. ყველაზე ადრეული ამ წარწერებიდან ჰიჯრის 601/1204-5 წლისაა,⁹ მაგრამ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ მუსლიმთა დასახლება აქ გაცილებით ადრე, უკვე არაბთა ბატონობის ხანაში გაჩნდა და შემდეგ გაიზარდა თურქ-სელჩუკთა ბატონობის დროს.

ერთიანი საქართველოს სამეფოში შესვლის შემდეგაც მუსლიმური მოსახლეობა დმანისში განაგრძობდა არსებობას და, ალბათ, სარგებლობდა იმავე პრივილეგიებით, რომლებიც თბილისის მუსლიმებს მისცეს ქართველმა მეფეებმა. უკანასკნელი არაბულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლი დმანისიდან ჰიჯრის 777/1375-76 წლით თარიღდება.¹⁰

დმანისის არაბულ წარწერებში მითითებულია არაერთი მუსლიმის სახელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ წარწერებით ძნელია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რომელ სოციალურ და კულტურულ ფენებს ეკუთვნოდნენ ეს პირები. უცნობია დმანისელ მუსლიმთა კულტურული მონაპოვრები

⁵ ალ-ფარიკი. *თა'რიხ ალ-მაიაფარიკინ ვა ამიდ*. – დიდი ბრიტანეთის მუზეუმის ნუსხა, Or. 5803, 182ა, 200ა; Ibn al-Qalanisi. *History of Damascus 363-555 A.H.* Edited with Extracts from other Histories and Summary of Contents by H.F. Amedroz. Catholic Press of Beirut, 1908, გვ. 365.

⁶ თ. ლომოური. ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. – კრ. *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა*, თბ., 1938, გვ. 292; გ. წერეთელი. დმანისის მონეტის გამო. – *ლიტერატურული ძიებანი*, ტ. II, თბ., 1944, გვ. 167-172.

⁷ დმანისის ისტორიის შესახებ იხ. ლ. მუსხელიშვილი. დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა). – კრ. *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა*, გვ. 319-448; სინ, ტ. II, თბ., 1973, გვ. 552-553; ტ. III, თბ., 1979, გვ. 501-502 (იქვე დასახელებულია სხვა ლიტერატურაც).

⁸ ც. კახიანი. *დმანისის არაბული წარწერები*. თბ., 1965.

⁹ იქვე, გვ. 20.

¹⁰ ც. კახიანი. ორი არაბულენოვანი საფლავის ქვის წარწერის შესახებ. – *მაცნე* (ელს). 1974, №2, გვ. 146.

ისევე, როგორც დღემდე უცნობი იყო მახლობელი აღმოსავლეთის ისლამურ სამყაროში მოღვაწე რომელიმე დმანისელი მუსლიმიც. ამ მხრივ, ერთგვარ ინფორმაციას იბნ ტულუნის დასახელებული თხზულება იძლევა.

იბნ ტულუნი იუწყება, რომ ნისბას ად-დუმანისი ატარებდა ღვთისმოსავი შაიხი სადრ ად-დინ ჰამიდ იბნ 'ალი, რომელიც გარდაიცვალა ჰიჯრის 643 წ. 14 რაბი' ალ-ავევალს, ე.ი. 1245 წ. 9 აგვისტოს.¹¹ დამასკოს სალიჰიას უბანში, შარქასიას კვარტლის ჩრდილოეთ ნაწილში, იბნ ტულუნის თანახმად, ყოფილა სადრ ად-დინის მავზოლეუმი – *ათ-თურბა ად-დუმანისია* და მის მიერ აშენებული მეჩეთიც.¹²

სალიჰიას უბანი დამასკოში, კასიუნის მთის კალთაზე, XII ს-ში შეიქმნა. ამ უბანში დასახლდნენ ჯვაროსანთაგან ლტოლვილი პალესტინელები. საამშენებლო (განსაკუთრებით რელიგიური ნაგებობების) ბუმი აქ XII-XIII საუკუნეების მიჯნიდან იწყება. ამ პერიოდით თარიღდება სალიჰიას უძველესი მადრასა ალ-*'უმარიია*. 1202 წ. აიგო მეჩეთი ალ-ჰანბალია. სალიჰიას უბანი გადაიქცა ისლამური განათლების უმნიშვნელოვანეს ცენტრად.¹³ სწორედ ამ უბანში (სადაც დაიბადა თვით იბნ ტულუნი) მოღვაწეობდა, აქ გარდაიცვალა და დაკრძალეს შაიხი სადრ ად-დინ ჰამიდ იბნ 'ალი ად-დუმანისი.

სამწუხაროდ, იბნ ტულუნი არაფერს ამბობს სადრ ად-დინის ცხოვრებაზე. მის შესახებ არ მოიპოვება ცნობები არაბი ავტორების (იბნ შაქირ ალ-ქუთუბი, ას-საფადი, ალ-მუნზირი, იბნ 'იმად ალ-ჰანბალი) ბიოგრაფიული ჟანრის უმნიშვნელოვანეს თხზულებებში. მაგრამ ის ფაქტი, რომ სადრ ად-დინ ად-დუმანისიმ სალიჰიას უბანში ააგო მეჩეთი, მოწმობს, რომ იყო შეძლებული და ავტორიტეტული პირი, ალბათ სუფი, რაზედაც მიგვანიშნებს მისი ტიტულიც – შაიხი.

სადრ ად-დინ ჰამიდ იბნ 'ალი ად-დუმანისი თავისი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდით დაკავშირებული იყო დმანისთან. უფრო მოსალოდნელია, რომ ის დაიბადა და სიყმანვილის წლები გაატარა დმანისში. შემდეგ კი, როგორც ეს იმ დროს იყო მიღებული, ცოდნის გასაღრმავებლად და გასამდიდრებლად ახლო აღმოსავლეთის მძლავრ ისლამურ ცენტრებს მიაშურა და საბოლოოდ დამასკოში დამკვიდრდა.

¹¹ იბნ ტულუნ. *ალ-კალა'იდ ალ-ჯავჰარიია*, გვ. 338.

¹² იქვე.

¹³ T. Miura. The Salihyya Quarter in the Suburbs of Damascus. Its Formation, Structure, and Transformation in the Ayyubid and Mamluk Periods. – *BEO*, Damas, 1995, t. XLVII, გვ. 129-182.

●
სადრ ად-დინ იბნ ‘ალი არ იყო ერთადერთი მუსლიმურ სამყაროში, რომელიც ად-დუმანისის ნისბას ატარებდა. XVII ს-ის გამოჩენილი ოსმალთა ისტორიკოსი, გეოგრაფი და ბიბლიოგრაფი მუსტაფა იბნ ‘აბდ ალლაჰ ქათიბ ჩელები, რომელიც ცნობილია ჰაჯი ხალიფას (ხალიფას) სახელით,¹⁴ თავის ვრცელ ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონში *ქაშფ აზ-ზუნუნ ‘ან ასამი ლ-ქუთუბ ვა ლ-ფუნუნ* („ფიქრების გამჟღავნება ნიგნებისა და ხელოვნებათა სახელების შესახებ“) ასახელებს აჰმად იბნ აჰმად იბნ აჰმად **ად-დუმანისი** ას-სივასის, მამით დმანისელს, დაბადებულს რუმის სელჩუკთა სახელმწიფოს ერთ-ერთ დედაქალაქში, სივასში¹⁵ (ყოფილი სევასტია, ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში).

აჰმად იბნ აჰმად ად-დუმანისი ას-სივასის ეკუთვნის თხზულება „*მუჯ-მალ (მაჯმა‘) ალ-აკვალ ფი-ლ-ჰიქამ ვა ლ-ამსალ*“ („კრებული აფორიზმებისა სიბრძნისა და ანდაზებში“),¹⁶ რომელიც დაინერა 693/1293 წ., ალბათ, სივასში. ამ კრებულის ავტოგრაფის ფაქსიმილე 2002 წ. გამოიცა თეირანში სპარსული კულტურის ხელშემწყობი საზოგადოების მიერ.¹⁷ მასში შესულია ყურანის აიები, ანდაზები, მორალური და ეთიკური ხასიათის აფორიზმები და არაბული ლექსები, რომელთა დიდი ნაწილი თარგმნილია არაბულად. კრებული გამიზნული იყო კანცელარიების მდივნებისა და სხვა თანამშრომლებისთვის, რომლებიც წერდნენ ოფიციალურ წერილებს ანდა მაღალი სტილის პროზას. ის გვიჩვენებს, თუ როგორ ამზადებდნენ შუა საუკუნეების მწერალთა კლასს.¹⁸

დღემდე მკვლევართათვის ცნობილი იყო საქართველოსთან დაკავშირებული ორი ნისბა: ალ-ქურჯი და ათ-თიფლისი, რომელთაც ატარებდა VIII-XIV საუკუნეებში საქართველოში მცხოვრები, ანდა საქართველოდან ახლო და შუა აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონში ემიგრირებული არაერთი მუსლიმი¹⁹ ამ ნისბების მატარებელთა რიცხვს ამიერიდან ემატება

¹⁴ ქათიბ ჩელების, იმავე ჰაჯი ხალიფას შესახებ იხ. Orhan Şaik Gökyay. *Katib Çelebi*. – *EP*, vol. IV, გვ. 760.

¹⁵ *Lexicon Bibliographicum et Encyclopaedicum*. Kaşf al-zunūn ‘an asamī al-Kutub wa’l-Funūn. A Mustafa Ben Abdallah Katib Jelebi dicto et nomine Haji Khalifa (რედ. Gustav Flügel), V, London, 1850, გვ. 390, 405.

¹⁶ იქვე.

¹⁷ Ahmad ibn Ahmad ibn Ahmad Domānīsī Siwāsī. *Mujmal Al-Aqwāl fī al-Hikam wa al-Amthāl*, composed and copied in 693AH. Persian Manuscripts in Facsimile. No.2. In Memory of Jalal-al-din Muhaddith. Ed. Mahmoud Omidisalar&Iraj Afshar, Tehran, 1381/2002.

¹⁸ კრებულის დახასიათების შესახებ იხ. W. Hanaway-ს რეც. – *JAOS*, 2004, vol. 124, No.3, გვ. 626.

¹⁹ ე. სიხარულიძე. ას-სამანის ცნობები საქართველოს შესახებ. – კრ. *სიამ*, ნიგნი I, თბ.,

ად-დუმანისიც. მათი ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლა, სხვა მასალებთან ერთად, საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ საქართველოს მუსლიმური მოსახლეობის წვლილზე საერთო-მუსლიმური კულტურის შექმნაში.

RARE ARABIC *NISBA* AL-DUMANISI

Until recently Georgian scholars were aware of only two Arabic *nisbas* (noun of relation) – al-Kurdjī and al-Tiffīsī, that represent a connection with Georgians (in Arabic al-Kurdj) and their capital Tbilisi (in Arabic Tiffīs or Taffīs). These *nisbas* were adopted by numerous Muslims of the 8th-14th centuries living in Georgia or emigrated to various regions of the Middle East. Study of such persons' lives and their activities, together with other relevant materials, might provide an opportunity to judge on the contribution of Georgia's Muslims' to Islamic culture.

In addition to the two above-noted *nisbas*, the present paper will discuss an unknown and very rare *nisba*, namely, al-Dumānisī. It is mentioned in *al-Ḳalā'id al-djawhariyya fī ta'rīkh al-Ṣālihiyya* (ed. M.A.Duhmān, t. I, Damascus, 1980, p. 338), written by an Arab historian, Ṣhams al-Dīn Muḥammad b. 'Alī b. Aḥmad b. Ṭūlūn al-Ṣāliḥī al-Dimashqī al-Hanafī (died in 1546). This *nisba* was borne by Ṣhaykh Ṣadr al-Dīn Ḥāmid b. 'Alī al-Dumānisī, who died on 14 Rabī' I 643 AH/ August 9, 1245 AD. The mosque built by him and his mausoleum *al-Turba al-Dumānisīyya* were located in Ṣālihiyya, the most important quarter of Damascus.

The *Nisba* al-Dumānisī derives from Dmanisi, which is a name of the city that emerged in the 9th century in Eastern Georgia under the Arab rule and became part of Tbilisi Emirate. In 1124, the Georgian King David IV the Builder liberated it from the Muslim rule and united it with the Georgian Kingdom. Along with Georgians, Dmanisi was also populated by Muslims, which is attested by numerous Arabic inscriptions found on 13th-14th centuries graves discovered in the course of archeological excavations.

Throughout some specific episodes of his life, Ṣadr al-Dīn Ḥāmid b. 'Alī al-

1976, გვ. 45-53; გ.ჯაფარიძე. *მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნიშნით VIII-XIV საუკუნეებში*. – *მაცნე* (ელს), 1989, №4, გვ. 77-88; იქვე, 1990, №1, გვ. 65-78; ო. ცქიტიშვილი. *არაბეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (X-XI სს.)*. – *მაცნე* (იანვლის), 1980, №4, გვ. 102-113.

Dumānīsī was connected with Dmanisi. He was probably born there and later, for unknown reasons, moved to Damascus, which was one of the flourishing centers of Islamic culture.

Another person bearing the above-mentioned *nisba* was Aḥmad b. Aḥmad b. Aḥmad al-Dumānīsī al-Sīwāsī, who was born in Sivas (North-Eastern part of Anatolia), and his father was from Dmanisi. He is the author of *Mujmal al-Aqwāl fī al-Hikam wa al-Amthāl*, cited in a large bibliographical dictionary *Kaṣf al-zunūn ‘an asāmī ’l-kutub wa ’l-funūn* (Ed. G. Flügel, vol. V, London, 1850, pp. 390, 405), composed by Kātib Čelebi (Ḥājjī Khalīfa) (d. in 1657). The facsimile of the autograph of *Mujmal*, completed in 693/1293, probably in Sivas, was published in Tehran in 1381/2002 by M. Omidsalar and I. Afshar.

ერთი ეპიზოდი მეფე რუსუდანისა და მონღოლების დიპლომატიური კონტაქტების ისტორიიდან*

1243 წლის 3 ივლისს მონღოლებმა ქოსე დალთან ბრძოლაში¹ სასტიკად დაამარცხეს მცირე აზიის სელჩუკთა სულთანი, ქაი-ხუსრაუ ბ. ქაი-ყუბადი (1237-1244) და შემდეგ მოაოხრეს რუმის სასულტნო. დასრულდა თუ არა საომარი მოქმედებები, მეფე რუსუდანი საბოლოოდ დაუზავდა სომხეთის საზაფხულო სადგომებზე დაბრუნებულ მონღოლებს და მორჩილება გამოუცხადა მათ.² მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, სამხრეთ კავკასიაში დისლოცირებული მონღოლთა შეიარაღებული ძალების მხედართმთავრები, რომელთა ხელმძღვანელიც 1242 წლამდე ჩორმაღან-ნოინი იყო,³ ხოლო შემდეგ – ბაიჩუ

* პირველად დაიბეჭდა 1995 წ. – კრებ. *ქდ, წელიწდეული*, II, გვ. 166-179.

¹ ამ ბრძოლის შესახებ იხ. В. Гордлевский. *Государство Сельджукидов Малой Азии*. М.-Л., 1941, გვ. 16; ნ. შენგელია. ქოსე დალის ბრძოლა. – *ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საისტორიო კრებული*. თბ., 1979, გვ. 300-312; ნ. ასათიანი. მონღოლთა საყაენოსთან საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთი ფაქტის დაზუსტებისათვის. – *ქდ, წელიწდეული*, I, თბ., 1994, გვ. 102-105.

² ი. სიხარულიძე. *ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV საუკუნეებში*. თბ., 1967, გვ. 82; ბ. სილაგაძე. მონღოლთა მეორე გამოჩენა ამიერკავკასიაში და საქართველოს დაპყრობა-დანაწილება. – *მაცნე* (იეხის), 1992, №3, გვ. 65; ნ. ასათიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 98-111; სინ, ტ. III, თბ., 1979, გვ. 550). დაზავების თარიღად მიჩნეულია, დაახლოებით, 1242 წელი.

³ ჩორმაღანი (იგივე ჩორმაღონი, ჩორმაღუნი, ჯურმუღანი, მონღ. Çormaqan) უგედეიყაენმა (1229-1241) 1229 წ. 30-40 ათასი მხედრით გაგზავნა ირანის დასამორჩილებლად და ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ საბრძოლველად. მონღოლებმა დაიპყრეს აღმოსავლეთი და დასავლეთი ირანი, აიღეს და დაანგრეს ერაყის, აზერბაიჯანის, გილანის და ტაბარისტანის ქალაქები (Рашид ад-дин. *Сборник летописей*. т. I, книга первая. Перевод с персидского Л. А. Хетагурова. Редакция и примечания Л. А. Семенова. М.-Л., 1952, გვ. 98-99; т. II. Перевод с персидского Ю. П. Верховского, примечания Ю. П. Верховского и Б. Н. Панкратова. М.-Л., 1960, გვ. 20-21; რ. კიკნაძე. მონღოლთა შემოსევები. – *კრ. ნშაი*, თბ., 1957, გვ. 175). 1230 წლის ზამთარში ჩორმაღანის ლაშქრის ავანგარდი პირველად გამოჩნდა არრანში. 1231 წლის ზაფხულში მონღოლებმა საბოლოოდ სძლიეს ჯალალ ად-დინს და 1231-1232 წლებში დაიპყრეს აზერბაიჯანი და არრანი (Ан-Насави. *Жизнеописание султана Джалал ад-дина Манкбурны*. Перевод с арабского, предисловие и примечания З. М. Бунятова, Баку. 1974, გვ. 260-270, 294-297; Ibn al-Athir. *al-Kamil fi-t-ta'rikh*. Editeurs Dar Sader, Dar Beyrouth. Beyrouth, 1966, vol. XII, გვ. 500; Я.А. Манандян. Новые данные о времени разрушения Ганджи монголами. – *Известия Азербайджанского филиала АН СССР*, №7, 1949, გვ. 79-80. А. А. Али-Задэ. *Социально-экономическая и политическая история Азербайджана, XIII-XIV вв.*, Баку, 1956, გვ. 111-112; И. П. Петрушевский. Иран под властью Хулагуидов. – *Сб. Татаро-*

(ბაჩუ)-ნოინი, მოლაპარაკებას ანარმოებდნენ რუსუდანთან და მათ შორის იყო დაზავების ცდაც. მონღოლებისა და რუსუდანის ამ დიპლომატიური კონტაქტების შესახებ საუბარი იქნება წინამდებარე სტატიაში.

ხვარაზმელებთან სისხლისმღვრელ ბრძოლებში დასუსტებულმა საქართველოს სამეფომ, რომლის სამხედრო ორგანიზაციაც ფაქტობრივად მოიშალა ბოლნისის ბრძოლის (1228 წ.) შემდეგ, ვერ შეძლო სერიოზული შეიარაღებული წინააღმდეგობა გაენია მონღოლებისათვის. არ მოხერხდა მეზობელ მუსლიმურ სახელმწიფოებთან ერთად ანტიმონღოლური ფრონტის შექმნაც.⁴ საქართველო მარტოდმარტო აღმოჩნდა მონღოლთა პირისპირ. ამ პირობებში, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა მათთვის მორჩილების გამოცხადება და, თუნდაც, უაღრესად მძიმე პირობებზე დაზავება, მაგრამ რუსუდანი სხვაგვარად მოიქცა. მან დატოვა თბილისი და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ბედის ანაბარად დარჩენილმა მისმა ქვეშევრდომებმა ციხე-სიმაგრეებს შეაფარეს თავი და პასიურ თავდაცვაზე გადავიდნენ.

საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკა XIII ს-ის 30-იან წლებში, რაც შეიძლება დახასიათდეს როგორც არც ომი და არც ზავი, ხელსაყრელი აღ-

монголы в Азии и Европе. М., 1970, გვ. 225). მულანი (არრანში) გადაიქცა მონღოლთა საზამთრო ბაზად, საიდანაც ისინი ახორციელებდნენ ლაშქრობებს წლის დანარჩენ დროს საქართველოს სამეფოს, ვანის ტბის რეგიონის, ჩრდილოეთი მესოპოტამიისა და მცირე აზიის მიმართულებებით. ჩორმაღანი ითვლებოდა ყაენის ნაცვლად და, გარდა იმისა, რომ იყო უმაღლესი მთავარსარდალი, ფლობდა სასამართლო ხელისუფლებასაც (Киракос Гандзакечи. *История Армении*. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларян. М., 1976, გვ. 167-168 (შემდეგ: კირაკოს განძაკეცი); А. А. Али-Задэ. დასახ. ნაშრ., გვ. 123-124).

⁴ 1231-1232 წლებში საქართველოს სამეფო კარი შეეცადა ანტიმონღოლური კავშირი შეეკრა აიუბიანებთან, მაგრამ – უშედეგოდ (გ. ჯაფარიძე. *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის I მესამედში*. თბ., 1995, გვ. 194-195). მალე ასეთი კავშირი შეუძლებელიც გახდა. 1232 წლის შემოდგომაზე რუმის სულთანი ქაი-ყუბად ბ. ყილიჩ-არსლანი სამხრეთ საქართველოში შეიჭრა. ამის საბაბი იყო ის, რომ რუსუდანმა, იბნ ბიბის ცნობით, თითქოსდა, შეაგულიანა ჩორმაღანი, დაელაშქრა სივასის სანახები. სელჩუკებთან ბრძოლაში დამარცხებულმა რუსუდანმა მისთვის არახელსაყრელი ზავი დადო ქაი-ყუბადთან და იკისრა, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო დახმარება აღმოეჩინა სულთნისათვის (ნ. შენგელია. იბნ ბიბი ალა ად-დინ ქაი-ყუბადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ. – *მაცნე* (იანვის), 1975, №4, გვ. 103). ქართველმა მეომრებმა მონაწილეობა მიიღეს ქაი-ყუბადის სამხედრო კამპანიაში აიუბიანთა წინააღმდეგ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. 1233 წ. ქაი-ყუბადმა ხელთ იგდო ხლათის აიუბიანთა სამფლობელო, რომელიც ესაზღვრებოდა მონღოლთა მიერ დაპყრობილ აზერბაიჯანს, მაგრამ არ გამოუჩენია რაიმე სურვილი, დაპირისპირებოდა მონღოლებს და საქართველოსთან ერთად გამოსულიყო მათ წინააღმდეგ.

მოჩნდა დამპყრობლებისთვის. მტერმა აიკლო და მოაოხრა ქართლი, კახეთი, სამხრეთი საქართველო, სომხეთი, 1232-33⁵ – 1239 წლებში ხელთ იგდო საქართველოს სამეფოს უმნიშვნელოვანესი ქალაქები (თბილისი, ლორე, ანისი, ყარსი..).

სამეფო ხელისუფლების პასიურობის პირობებში ქართველ ფეოდალთა ერთი ნაწილი: ავაგ და შანშე მხარგრძელები, ვარამ გაგელი, ივანე ციხის-ჯვარელ-ჯაყელი და სხვ. იძულებულნი გახდნენ, მორჩილება გამოეცხადებინათ მონღოლებისთვის და სეპარატული ზავი დაელოთ მათთან.

დასავლეთ საქართველოში გახიზნული რუსუდანი, რომელმაც თავისი ვაჟი დავითი მეფედ აკურთხა, ამ ნაბიჯისგან თავს იკავებდა. მონღოლებს ჯერ კიდევ მძიმე ბრძოლები ელოდათ საკმაო სამხედრო პოტენციალის მქონე სირია-ჩრდილოეთი მესოპოტამიის აიუბიანებთან და რუმის ძლიერ სასულთნოსთან, რომლის გამგებელი ქაი-ხუსრაუ ბ. ქაი-ყუბადი – რუსუდანის სიძე იყო. მეფეს, შესაძლოა, იმედი ჰქონდა, რომ მონღოლები დამარცხდებოდნენ. თავის მხრივ, მონღოლი მხედართმთავრები,⁶ ისლამურ სამყაროსთან გადამწყვეტი დაპირისპირების წინ, ერიდებოდნენ დასავლეთ საქართველოში შეჭრას და უომრად, დიპლომატიური არხებით ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ რუსუდანზე და აეძულებინათ იგი დამორჩილებოდა. ამ მიზნით ისინი იყენებდნენ ამირსპასალარ ავაგ მხარგრძელს.

ავაგ მხარგრძელი, ქართველ ფეოდალთაგან პირველი, დამორჩილდა მონღოლებს და ჩორმალან-ნოინს ეახლა. კირაკოს განძაკეცის ცნობით, ის შემდეგ ყარა-ყორუმში მონღოლთა ყაენთან გაემგზავრა, მორჩილე-

⁵ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული იყო, რომ მონღოლები საქართველოში მეორედ გამოჩნდნენ 1235 წ. (სინ, ტ. III, გვ. 547), მაგრამ, როგორც აჩვენა ბ. სილაგაძემ, ეს უფრო ადრე, 1232–33 წლებში მოხდა (ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 56 და შმდ.)

⁶ ჩორმალანს თან ახლდა სამი დიდი ნოინი: ბაიჩუ, ჩალატა და იოსური (resp. ეკე-ესური). ქართველი ჟამთააღმწერელი მათ მიიჩნევს ჩინგიზ-ყაენის ოთხი ვაჟის (ჩალატა, ჯუჩი, უგედეი და თული) წარმომადგენლებად და აღნიშნავს, რომ ისინი სადაცა მოვიდოდნენ და ზენაარსს ითხოვდნენ, შეიწყალებდნენ, და ურჩთა მოსრვიდნენ, და ხარაჯს მის ქუეყნისასა ოთხად იყოფდენ და თავის ჯელმნიფეთა გაუფ ზავნიდენ (ჟამთააღმწერელი. ას-ნლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1987, გვ. 68). მათი ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ სხვა მონღოლი სარდლები, რომელთა ნაწილს ასახელებს გრიგოლ აკანელი (მოისართა ტომის ისტორია. სომხური ტექსტი, ქართული თარგმანითა და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1961, გვ. 11). ამ ნოინების შესახებ იხ. F. W. Cleaves. The Mongolian Names and Terms in the History of the Nations of the Archers by Grigor of Akanc. – *HJAS*, 1949, vol. XII, №3-4, გვ. 400-435; J. A. Boyle. Some Additional Notes on the Mongolian Names in the History of the Nation of the Archers. – *Researches in Altaic Language*. Ed. by L. Ligeti. Budapest, 1975, გვ. 33-42.

ბა გამოუცხადა მას და ამის საფასურად თავისი სამფლობელოები დაიბრუნა. სამშობლოში მობრუნებულ ავაგს მალე გაუფუჭდა ურთიერთობა მონღოლებთან და ის იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გაქცეულიყო. მან ყაენს აცნობა, რომ გაქცევის მიზანი თავის გადარჩენა იყო და არა მორჩილებაზე უარის თქმა. ყაენმა უბრძანა მონღოლ მხდართმთავრებს არანში, რომ ზიანი არ მიეყენებინათ ავაგისთვის, ხოლო ავაგს საჩუქრები გაუგზავნა და შეუთვალა, უშიშრად გამოცხადებულიყო მასთან.⁷

ყაენისგან დაიმედებული ავაგი მონღოლ მხედართმთავრებს ეახლა, რომლებმაც უზრუნველყვეს მისი უსაფრთხოება და შემდეგ ის, მონღოლ მოხელე ტონღუზ-ალასთან ერთად (რომელიც ყაენმა გადასახადების ამკრეფად დანიშნა), რუსუდანთან გაგზავნეს მოსალაპარაკებლად და შეუთვალეს მას, უშიშრად დამორჩილებოდა დიდ ხელმწიფეს (ყაენს).⁸

კირაკოს განძაკეცი ამ ამბის თარიღს არ ასახელებს, მაგრამ მისი გამოთვლა შეიძლება. ავაგის ზემოხსენებული თავგადასავალი და რუსუდანთან გაქცევა სომეხი მემატიანის თხზულებაში მოტანილია მას შემდეგ, რაც მონღოლებმა აიღეს ყარსი (და სურბ მარი) და მანამდე, ვიდრე ისინი ორთვიანი ალყის შემდეგ დაეუფლებოდნენ არზრუმს.⁹

ყარსის ციხის ერთი ქართული წარწერის მიხედვით, ეს ციხე-ქალაქი 1238 წ. ჯერ კიდევ რუსუდანს ექვემდებარებოდა,¹⁰ მაგრამ მტერს ის შეეძლო აეღო იმავე, ან – მომდევნო 1239 წელს. არზრუმზე ლაშქრობა (მისი გარემოცვა და აღება) კი – 1242 წლის ივნის-ივლისით თარიღდება.¹¹

⁷ კირაკოს განძაკეცი, გვ. 167.

⁸ იქვე, გვ. 166-167.

⁹ ვ. სილოგავა. ყარსის ციხის ერთი ქართული წარწერა. — *მაცნე* (იახისი), 1980, №1, გვ. 161-174.

¹⁰ სინ, ტ. III, გვ. 548.

¹¹ სომეხი ავტორები: კირაკოს განძაკეცი, ვარდანი, ანონიმი სებასტიელი და სტეფანოს ეპისკოპოსი არზრუმის აღების თარიღად დებენ 1242 წელს (კირაკოს განძაკეცი, გვ. 175; გრიგოლ აკანელი, გვ. 110-111, კომენტარები, გვ. 112; ნ. შენგელია. დასახ. ნაშრ., გვ. 302), ხოლო არაბი ისტორიკოსები: იბნ ალ-ადიმი, იბნ ვასილი და ალ-მაკრიზი ასახელებენ ჰიჯრის 640 წ. (Ibn al-'Adim. *Histoire d'Alep*, t. III, Ed. par S. Dahan. Damas, 1968, გვ. 263; იბნ ვასილ. *მუფარრიჯ ალ-ქურუბ ფი ახბარ ბანი აიფუბ*, V, ალ-კაჰირა, 1977, გვ. 310; ალ-მაკრიზი. *ქითაბ ას-სულუქ*, I/2, ალ-კაჰირა, 1957, გვ. 311), რომელიც დაიწყო 1242 წლის 1 ივლისს და დასრულდა 1243 წლის 20 ივნისს. კირაკოს განძაკეცის მიხედვით (გვ. 176), მონღოლებმა რუმის სასულტნოს გავარებიც აიკლეს და მულანში გამოიზამთრეს. ეს ცნობა, თითქოსდა, იძლევა საფუძველს, რომ არზრუმის აღება მონღოლთა მიერ 1242 წლის შემოდგომაზე ვივარაუდოთ, მაგრამ ამ დროისთვის მონღოლთა მოძრობა არაბი ისტორიკოსებისთვის (იბნ ალ-ადიმი, იბნ ვასილი) შეუმჩნეველი დარჩა,

ავაგი, საფიქრებელია, 1239 წ. გაემგზავრა ყარა-ყორუმში. უგედეი-ყაენთან მგზავრობისა და ყაენთან მიმონერისთვის ხანგრძლივ დროს თუ გავითვალისწინებთ,¹² კირაკოს განძაკეცის მიერ მოთხრობილ ავაგ მხარგრძელის ზემოსხენებულ თავგადასავალს 2-3 წელი მაინც დასჭირდებოდა.

ავაგი და ტონღუზ-ალა, ალბათ, 1242 წლის პირველ თვეებში (არა უგვი-

სამაგიეროდ, მათ ეს დააფიქსირეს უფრო ადრე, ზაფხულის თვეებში. ჰიჯრის 639/12.VII.1241–30.VI.1242 წლიდან მაიაფარიკინის აიუბიანი გამგებელი ალ-მალიქ ალ-მუზაფ-ფარ შიჰაბ ად-დინ ლაზი, სულთან ალ-‘ადილის (1200-1218) ძე და ალ-მალიქ ალ-ამრაფის (ივანე მხარგრძელის სიძის) ძმა ხვარაზმელებთან (ჯალალ ად-დინის ლაშქრის ნაშთებთან) კავშირში ჩრდილოეთ მესოპოტამიაში სხვა აიუბიანებთან აწარმოებდა ბრძოლებს. მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ ცენტრალური და ჩრდილოეთი სირიის აიუბიანთა ძალები ჰომსის მფლობელის ალ-მალიქ ალ-მანსურის მეთაურობით. 639 წლის უკანასკნელ ზულ-ჰიჯჯას, ანდა 640 წლის პირველ, მუჰარრამის თვეში, დროის იმ მონაკვეთში, რომელიც დაიწყო 1242 წლის 2 ივნისს და დასრულდა 30 ივლისს, ამიღში დაბანაკებულმა ალ-მალიქ ალ-მანსურმა შეიტყო, რომ მონღოლებმა ილაშქრეს არზრუმზე და აიღეს ის, ხოლო შემდეგ მოაოხრეს ხარპუტიც. მონღოლთა შესაძლებელი თავდასხმის შიშით ალ-მალიქ ალ-მანსური ჯერ რა’ს ალ-‘აინში, მერე კი ხარპუტიში (უეჭველია, აქედან მონღოლთა უკუქცევის შემდეგ) წავიდა. საომარი მოქმედება შიჰაბ ად-დინ ლაზისთან მან მომდევნო, საფარის თვეში (ე.ი. 31.VII–28.VIII) განაახლა და 25 აგვისტოს მდ. ხაბურთან სასტიკად დაამარცხა მეტოქე (Ibn al-‘Adim, გვ. 264-265; იბნ ვასილი, გვ. 310; იბნ შადდად, *ალ-ა’ლაქ ალ-ხატირა ფი ზიქრ უმარა’ ამ-შამ ვა ლ-ჯაზირა*, III/2, დიმაშკ, 1968, გვ. 468). ამ დროს აიუბიანთათვის მონღოლთა შემოტევის საფრთხე უკვე მოხსნილი იყო. სწორედ ეს მონაცემები გვაძლევს საფუძველს, რომ არზრუმის ალყა და მისი აღება მონღოლთა მიერ 1242 წლის ივნის-ივლისის თვეებით დავათარიღოთ [Addenda: 1995 წ. ამ ნაშრომის დაბეჭდვის შემდეგ, საშუალება მოგვეცა გავცნობოდით აზ-ზაჰაბის (გარდ. 1348 წ.) „ისლამის ისტორიას“, რომელმაც დაადასტურა აღნიშნული თარიღის გამოთვლის სიზუსტე. აზ-ზაჰაბი პირდაპირ წერს, რომ მონღოლებმა არზრუმი აიღეს 640 წ. მუჰარრამში, ე.ი, 1242 წ. 1-30 ივლისს. აზ-ზაჰაბი. *თა’რიხ ალ-ისლამ. ვაფაიათ ალ-მამაჰირ ვა ლ-ა’ლამ*. შავადის ვა ვაფაიათ, 631-640 ჰ. თაჰკიკ ‘აბდ ას-სალამ თადმური, ბაირუთ, 1422/2002, გვ. 49].

¹² ასე, მაგალითად, ბათო-ხანის სატახტო ქალაქიდან – სარაიდან მდ. ორხონის ნაპირამდე (სადაც ყურულთაიზე ყაენად აირჩიეს გუიუქი) მგზავრობას პლანო კარპინი სამთვენახევარი (1246 წლის 7 აპრილიდან 22 ივლისამდე) მოუწია. ასეთივე დრო (1253 წლის 15 სექტემბრიდან 27 დეკემბრამდე) დასჭირდა რუბრუქს, რომ მონღოლეთში მანგუ-ყაენის ბანაკამდე მიეღწია (Путешествия в восточные страны Платона Карпини и Рубрика. Редакция, вступительная статья и примечания Н. П. Шастиной. М., 1957, გვ. 71-74, შენ. 180; გვ. 218, შენ. 198, გვ. 123, 230, შენ. 133, 136; გვ. 235, შენ. 196). კილიკიის მეფე ჰეთუმი ვოლგისპირეთიდან ყარა-ყორუმში 4 თვეში (1254 წლის 13 მაისიდან 13 სექტემბრამდე) ჩავიდა (კირაკოს განძაკეცი, გვ. 223-224). თვით ისეთი უმნიშვნელოვანესი ამბავიც კი, როგორიც იყო უგედეი-ყაენის გარდაცვალება 1241 წლის 11 დეკემბერს, აღმოსავლეთ ევროპაში სალაშქროდ მყოფმა ბათო-ხანმა მხოლოდ 1242 წლის მარტში შეიტყო (იქვე, გვ. 174). საქართველოდან მონღოლეთში ჩასვლას და უკან დაბრუნებას, ნორმალური სვლით, ალბათ 10 თვე მაინც დასჭირდებოდა.

ანეს გაზაფხულის მიწურულისა) გამოცხადდნენ რუსუდანთან. მათი მისია, რომლის ინიციატორებიც მონღოლები იყვნენ,¹³ წინ უსწრებდა არზრუმზე ლაშქრობას და არ არის გამორიცხული, ამ ლაშქრობის სამზადისთან იყო დაკავშირებული. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი არზრუმიდან გზა იხსნებოდა მცირე აზიის სასიცოცხლო ცენტრებისკენ. არზრუმზე ლაშქრობა ნიშნავდა რუმის სასულთნოსთან ომის დაწყებას. ამის გამო ბაიჩუ-ნოინი, რომელმაც 1242 წ. დასნეულებული ჩორმალანი შეცვალა სამხრეთ კავკასიაში მოქმედი მონღოლთა ლაშქრის უმაღლესი მთავარსარდლის პოსტზე, უეჭველია, დაინტერესებული იქნებოდა ზურგის უსაფრთხოებითა და სელჩუკებთან მომავალ ომში ქართული სამხედრო შენაერთების მაქსიმალური გამოყენებით. ამის შესაძლებლობას იძლეოდა მხოლოდ რუსუდანის სრული დამორჩილება.

კირაკოს განცხადებით იუნყება, რომ ავაგმა და ტონლუზ-ალამ შეძლეს რუსუდანის დარწმუნება-დაყოლიება და უკან მეფესთან დადებული ხელშეკრულებით დაბრუნდნენ.¹⁴

საზავო ხელშეკრულებით, რუსუდანი და მისი ვაჟი დავით, რომელიც ის-ის იყო ეკურთხა მეფედ, მორჩილებას უცხადებდნენ მონღოლებს. მორჩილება გულისხმობდა არა მარტო მონღოლთა ყაენის უზენაესობის აღიარებას, არამედ – სხვა მძიმე ფაქტობრივ ვალდებულებებსაც – ხარკის გადახდას და მონღოლთა საომარ ოპერაციებში მონაწილეობას.

მონღოლებისთვის ხარკის გადახდის თაობაზე კირაკოს განცხადებით არაფერს წერს, მაგრამ იმას კი აღნიშნავს, რომ მეფემ მონღოლებს გაუგზავნა მცირერიცხოვანი ჯარი, რომელიც ავაგს მიანდო.¹⁵ ქართველი მეომრები, საფიქრებელია, ავაგთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ არზრუმის აღებაში. იმ შემთხვევაში, თუ რუსუდანი თავის ვალდებულებებს შეასრულებდა, მონღოლები არ დაარღვევდნენ ხელშეკრულებას.¹⁶ მისი დარღვევა, ალბათ, გამოიწვევდა საომარი მოქმედებების ესკალაციას დასავლეთ საქართველოში.

ამრიგად, 1242 წელს რუსუდანმა გადადგა პირველი ნაბიჯი, რათა გარკვეული პირობით დაზავებოდა მონღოლებს. ცხადია, ის იმედოვნებდა, რომ მორჩილების საფასურად მონღოლები მას და მის ვაჟს მეფობას დაუმტკიცებდნენ, მაგრამ მონღოლ ნოინებს არრანში ამის უფლება არ ჰქონდათ. ეს

¹³ საგულისხმოა, რომ მანამდე მონღოლებს ასეთი ინიციატივა, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, არ გამოუჩენიათ.

¹⁴ კირაკოს განცხადებით, გვ. 160.

¹⁵ იქვე, გვ. 180.

¹⁶ იქვე, გვ. 169.

მხოლოდ ყაენს შეეძლო და ამიტომ ბაიჩუ-ნოინი ვალდებული იქნებოდა, საზავო ხელშეკრულება ყარა-ყორუმში ყაენთან გადაეგზავნა. ამ დროს მონღოლთა იმპერიას უგედეის ქვრივი, რეგენტი ტურეგინა-ხათუნი განაგებდა.

მონღოლები, საერთოდ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმას, რომ ესა თუ ის გამგებელი, რომელმაც მორჩილება გამოაცხადა, პირადად ხლებოდა ყაენს და დაედასტურებინა თავისი ერთგულება. ამასვე მოითხოვდნენ ისინი რუსუდანისგანაც, მაგრამ მეფეს ამის გაკეთება უძძიმდა და ეშინოდა კიდევ. ის დროის გაყვანას ცდილობდა და მონღოლი მხედართმთავრების დაჟინებულ მოთხოვნაზე, კირაკოს განძაკეცის ცნობით, ასე პასუხობდა:

„არ შემძლია გამოვცხადდე თქვენთან, ვიდრე ხაკანთან, თქვენს მეფესთან გაგზავნილი ჩემი მოციქული არ დაბრუნებულაო“.¹⁷

კირაკოს განძაკეცის ამ ინფორმაციიდან (რომელიც სომეხი მემატიანის თხზულებაში წინ უსწრებს ქოსე დალთან მონღოლთა მიერ რუმის სელჩუკთა დამარცხების ამბავს) ისიც ირკვევა, რომ რუსუდანს მონღოლთა ყაენთან თავისი ელჩი გაუგზავნია. საზავო ხელშეკრულებას ყაენთან, მონღოლთა მოციქულთან ერთად, ის ნაიღებდა და მეფისთვის პასუხის ჩამოტანაც მას დაეკისრებოდა. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს იყო საქართველოს სამეფო კარის მიერ მონღოლთა უზენაეს გამგებელთან გაგზავნილი პირველი დიპლომატიური მისია. გასარკვევია, ვინ იყო ელჩი.

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ რუსუდანის ელჩი იყო არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი,¹⁸ მაგრამ ეს მოსაზრება არ დასტურდება. მგელა აბულხატარის ძისადმი გაცემული სიგელი,¹⁹ რომელიც არსენის ელჩობას იხსენიებს, იუწყება, რომ რუსუდანმა თავისი ვეზირი ბათოსთან, ე.ი. ჩრდილოეთის ულუსის, ოქროს ურდოს გამგებელთან გაგზავნა. რაც შეეხება კირაკოს განძაკეცის მიერ ნახსენებ რუსუდანის მოციქულს, ის ხაკანთან ყოფილა მივლინებული.

ხაკანი, ხანი, სომეხი მემატიანისათვის მონღოლთა მეფე, უზენაესი ხელმწიფეა²⁰ მაშინ, როცა ბათო მისი ნათესავი და მთავარსარდალია.²¹ ამასთან, ხაკანთან, ე.ი. ყაენთან რუსუდანის ელჩის გაგზავნის ზედა ქრონოლო-

¹⁷ იქვე, გვ. 180.

¹⁸ ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*. III, თბ., 1966, გვ. 116.

¹⁹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1984, გვ. 118-119.

²⁰ კირაკოს განძაკეცი, გვ. 167, 168, 173, 193. ტერმინების – ხაკანის და ხანის ურთიერთიმართებაზე იხ. В. В. Бартольд. Хахан. – *Сочинения*, т. V, М., 1968, გვ. 602; მისივე. Хан. – *Сочинения*, т. V, М., 1968, გვ. 604.

²¹ კირაკოს განძაკეცი, გვ. 181, 217, 221, 222, 226.

გიური ზღვარი შეიძლება იყოს, არა უგვიანეს, 1242 წლის იენისი, ხოლო ბათო ამ წლის მიწურულამდე ჯერ კიდევ არ იმყოფებოდა ვოლგისპირეთში.

კარგად არის ცნობილი, რომ მას შემდეგ, რაც 1236 წლის შემოდგომიდან 1241 წლის გაზაფხულამდე მოაოხრა ვოლგის ბულგარეთი, რუსეთი და ყივჩაყთა ველები, ბათო დასავლეთისკენ დაიძრა. მისმა ლაშქარმა დაუმარცხებლად გაიარა პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი და 1242 წლის გაზაფხულზე ადრიატიკის სანაპიროს მიაღწია. 1242 წლის მარტში ბათომ შეიტყო უგედეი-ყაენის გარდაცვალების (1241 წლის 11 დეკემბერი) ამბავი, რაც გახდა საბაბი მისი სამხედრო კამპანიის შეწყვეტისა და უკან დაბრუნებისა.

ბათოს ლაშქრის უკან დაბრუნება საკმაოდ ნელა მიმდინარეობდა და ის ნახევარი წელი გაიწვია. 1242 წლის ზამთარში მონღოლთა რაზმები დუნაის ქვემო ნელზე იმყოფებოდნენ და მათ მხოლოდ 1242 წლის მიწურულში და 1243 წლის დამდეგს მოიყარეს თავი შავი და კასპიის ზღვებს შორის მდებარე დაშთ-ი ყივჩაყის სახელით ცნობილ ველებზე.²²

მიიჩნევენ, რომ მონღოლთა ახალი სახელმწიფო – ოქროს ურდო, რომლის სატახტო ქალაქიც გახდა სარაი მდ. ვოლგაზე, წარმოიქმნა 1243 წლის დამდეგს.²³ ბუნებრივია, რომ ბათო სწორედ ამ დროიდან შეძლებდა აქტიურად ჩაბმულიყო სამხრეთი კავკასიის საქმეებში²⁴ და რუსუდანაც ამავე ხა-

²² W. Barthold, J. A. Boyle. *Batu. EI* ², vol. II, გვ. 1105; B. Spuler. *The Muslim World. II. The Mongol Period*. Leiden, 1960, გვ. 12-13; Б. Д. Греков. А. Ю. Якубовский. *Золотая орда и ее падение*. М., 1950, გვ. 58; В. Т. Пашуто. *Монгольский поход в глубь Европы*. – Сб. *Татаро-монголы в Азии и Европе*. М., 1970, გვ. 204-221, 216-217; В. Л. Егоров. *Историческая география Золотой орды в XII–XIV вв.*, М., 1985, გვ. 26-27.

²³ В. Л. Егоров. დასახ. ნაშრ., გვ. 27. სწორედ 1243 წელს დიდი მთავარი იაროსლავი, პირველი რუს მთავართა შორის, პირველად გაემგზავრა ბათოს მთავარბანაკში, რათა მიეღო იარლიყი თავის სამფლობელოზე.

²⁴ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბათოსთან არსენის ელჩობა (რასაც მხოლოდ მგელა აბულხატარის ძისადმი გაცემული დაწერილი იუწყება) სხვადასხვაგვარადაა დათარიღებული: 1241-42 წ. (ნ. ბერძენიშვილი. *სავაზირო ფეოდალურ საქართველოში*. – *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. III, თბ., 1966, გვ. 20; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ., 1970, გვ. 158; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 118); 1249 წ. ახლოს ან 1242-45 წწ. (ს. კაკაბაძე. *არსენ ჭყონდიდელის ახლად მოპოვებული სიგელი 1240 წ. ახლო დროისა*; С. Какабадзе. *Грамота Арсения Чкондидского архиепископа ок. 1240 г.* – *Грузинские документы IX-XV вв. в собрании Ленинградского отделения Института востоковедения АН СССР. Перевод и комментарии С. С. Какабадзе*. М., 1982, გვ. 71; ი. ცინცაძე. *მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები*. თბ., 1967, გვ. 156) არა უადრეს, 1241 წლისა (ი. სიხარულიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 81), 1243 წ. (ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 69). ამ ნაშრომებში გათვალისწინებული არ არის აღმოსავლეთ ევროპაში ბათოს ლაშქრობის, უკან დაბრუნებისა და ოქროს ურდოს ჩამოყალიბების ქრონოლოგია.

ნებიდან (და არა – ადრე) გახდებოდა იძულებული, ანგარიში გაენია ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილისთვის.

ყოველივე ზემოთქმული გასათვალისწინებელია, როცა არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ბათოსთან ელჩად მივლინების თარიღს ვადგენთ, ანდა რუსუდანის სხვა დიპლომატიურ ღონისძიებებს ვსწავლობთ.

არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ოქროს ურდოს გამგებელს, უნდა ვიფიქროთ, ეახლა, არა უადრეს, 1243 წლისა, მაგრამ ის ყარა-ყორუმს არ წასულა. ყოველ შემთხვევაში, საამისო საბუთი არ მოიპოვება. ამრიგად, საძიებელია სხვა პირი, რომელიც მონღოლთა ყაენთან მანამდე გაიგზავნა. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას გავამახვილებთ კირაკოს განძაკეცის კიდევ ერთ ცნობაზე. სომეხი მემატრიანე იხსენიებს თავად ჰამადოლას, რუსუდანის ელჩს ხაკანთან,²⁵ რომელსაც უკავშირებს მონღოლთა ტყვეობიდან ივანე მხარგრძელის ასულის თამთას გათავისუფლებას.

თამთა, 1210 წლის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე, მიათხოვეს ხლათის აიუბიან გამგებელს, სულთან ალ-ადილის ვაჟს, ალ-მალიქ ალ-ავჰადს. ალ-ავჰადი მალე გარდაიცვალა და თამთა, რომელსაც მუსლიმებმა ქურჯია შეარქვეს, ალ-ავჰადის ძმის, ალ-მალიქ ალ-აშრაფის მეუღლე გახდა.²⁶ 1229 წლის 14 აპრილს ხვარაზმ-შაჰმა ჯალალ ად-დინმა ხანგრძლივი ალყის შემდეგ აიღო ხლათი, ტყვედ ჩაიგდო ქალაქში მყოფი თამთა და როგორც ჯუჯეინი იუწყება, *ლამე გაათია მასთან*.²⁷ იმავე წლის 10 აგვისტოს ალ-აშრაფისა და რუმის სულთნის ქაი-ყუბადის გაერთიანებულმა შეიარაღებულმა ძალებმა იასი-ჩიმენთან დაამარცხეს ჯალალ ად-დინი. ხვარაზმ-შაჰმა დატოვა ხლათი, მაგრამ თან წაიყვანა თამთა.²⁸ 1231 წელს ის ტყვედ ჩაუვარდა მონღოლებს, რომლებმაც დაამარცხეს ჯალალ ად-დინი. კირაკოს განძაკეცის ცნობით, მონღოლებმა თამთა გაგზავნეს ყაენთან, სადაც მრავალი წელი დაჰყო.²⁹

კირაკოს განძაკეცი მოგვითხრობს, რომ რუსუდანის მიერ ელჩად გაგზავნილმა ჰამადოლამ უკან დაბრუნებისას ხაკანს გამოსთხოვა თამთა, რომელმაც მიიღო ყველაფერი, რაც ადრე ალ-აშრაფს ეკუთვნოდა. სულთან ქაი-ხუსრაუს დამარცხებიდან მეორე წელს კი, ე.ი., 1244 წ. მონღოლებმა

²⁵ კირაკოს განძაკეცი, გვ. 182.

²⁶ თ. ნატროშვილი. გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. – *მაცნე* (ელს). 1974, 2, გვ. 177-179, 184.

²⁷ ჯუჯეინის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს შესავალი ნაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1974, გვ. 34.

²⁸ გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 193.

²⁹ კირაკოს განძაკეცი, გვ. 182.

აიღეს ხლათი, დაიპყრეს ბზნუნისი და გადასცეს ის თამთას.³⁰ სომეხი მემატრიანის ინფორმაციას ადასტურებს არაბი ისტორიკოსი სიბტ ბ. ალ-ჯაუზი. ის იუწყება, რომ ჰიჯრის 643/29.V.1245–18.V.1246 წ. ქურჯია (ე.ი., თამთა) უკან დაბრუნებულა ხაკანის იარლიყით, რომელიც მას აძლევდა უფლებას ხლათზე და მის ოლქზე.³¹

ბ. სილაგაძის თანახმად, ჰამადოლა რუსუდანმა ბათოსთან გაგზავნა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ბათომ ცნო რუსუდანი საქართველოს მეფედ (1243 წ.). ბარდავში მყოფმა მონღოლმა ნოინებმა მოსთხოვეს რუსუდანს, გამოცხადებულყო მათთან. რუსუდანი, რომელიც ლამაზი ქალი იყო, შიშობდა წასვლას. მან ნოინებს უარი შეუთვალა და ეს ამბავი ჰამადოლას მეშვეობით ბათოს აცნობა.³² მკვლევარი ეყრდნობა კირაკოს განძაკეცის ინფორმაციას, მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ ნაწილობრივია სწორად დამოწმებული. სომეხი მემატრიანე სრულიად აშკარად მიუთითებს, რომ ჰამადოლა მივლინებული იყო ხაკანთან, ე.ი., ყაენთან. ჰამადოლა სწორედ ის ელჩი უნდა იყოს, რომელმაც მონღოლებისა და რუსუდანის საზავო ხელშეკრულება წაიღო ყაენთან და რომლის დაბრუნებას (და მეფობის დამტკიცებას) ასე ელოდებოდა მეფე. ეს პიროვნება ქართულ წყაროებში არ იხსენიება. არ არის გამორიცხული, რომ ჰამადოლა იგივე ჰამიდოლაა, რომელიც XIII ს. 20-იანი წლების დამდეგს, გრიგოლ აკანელის ცნობით, მანასგომის (ე.ი. ალავერდის) პატრონი იყო.³³

ჰამადოლა მონღოლთა მბრძანებელთან გაიგზავნა, არა უგვიანეს 1242 წლის მაისისა. მას დაბრუნება დაუგვიანდა და ეს მოხდა თამთასთან ერთად 1244 წ., ანდა, სიბტ ბ. ალ-ჯაუზის ქრონოლოგიით, არა უადრეს 1245 წლის 29 მაისისა, როცა რუსუდანი, ალბათ, უკვე ცოცხალი აღარც იყო.

ჰამადოლას დაბრუნების ლოდინში მონღოლთა მხედართმთავრებთან

³⁰ იქვე.

³¹ სიბტ ბ. ალ-ჯაუზი. *მირათაზ-ზამანფი თა'რიხ ალ-ა'იან*, VIII, ჰაიდარაბად, 1371/1952, გვ. 754; ამ დროს თამთას მეუღლე ალ-მალიქ ალ-აშრაფი უკვე ცოცხალი აღარ იყო (ის გარდაიცვალა 1237 წ.). თამთამ შეუთვალა მის ძმას შიჰაბ ად-დინ ლაზის – მაიაფარიკინის გამგებელს (რომელსაც რუმის სულთანმა ქაი-ხუსრაუმ ქოსე დაღის ბრძოლის წინ დაუბრუნა 1233 წ. ანექსირებული ხლათი): „მე ვიყავი შენი ძმის ცოლი, ყაენმა მიბოძა ხლათი და თუკი დაქორწინდები ჩემზე, ეს ქვეყანა შენი იქნება“, მაგრამ ლაზიმ არ უპასუხა. შემდეგ თამთამ შეუთვალა, რომ მიდიოდა მაიაფარიკინის დასაკავებლად, მაგრამ ლაზიმ არც ამჯერად გასცა პასუხი. ამის შემდეგ ცნობები თამთას შესახებ აღარ გვხვდება.

³² ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 71, შენ. 79.

³³ გრიგოლ აკანელი, გვ. 9, 10. მოსაზრება, რომ ჰამადოლა, შესაძლოა, არის დამახინჯებული საჰამადავლა (გრიგოლ აკანელი, კომენტ. გვ. 172), მიუღებელია. ამ სახელის ძირია არაბ. ჰამმად ალლაჰ.

გამოცხადების გაჭიანურებამ რუსუდანს არ მოუტანა სასურველი შედეგი. ქოსე დალთან რუმის სელჩუკთა დამარცხების (1243 წლის 3 ივლისი) შემდეგ აშკარა გახდა, რომ მონღოლთა ნიაღვრის შეჩერება შეუძლებელი იყო. რუსუდანი იძულებული გახდა, გაეკეთებინა ის, რაც ადრე მიუღებელი ჩანდა მისთვის – ვაჟთან ერთად გამოცხადებულიყო ბაიჩუ ნოინის წინაშე. შემდეგ მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. დავით რუსუდანის ძე, რომელიც მეფედ გამოცხადდა, დასამტკიცებლად, ვოლგისპირეთის გზით, ბათო-ხანთან შევლით, ყარა-ყორუმში გაიგზავნა. ამ ვითარებაში რუსუდანის პირველმა დიპლომატიურმა მისიამ მონღოლთა უზენაეს გამგებელთან თავისი ძირითადი მნიშვნელობა დაკარგა და კირაკოს განძაკეციმ მხოლოდ მის ერთ შედეგზე – თამთას განთავისუფლებაზე შეაჩერა ყურადღება.

AN EPISODE FROM THE HISTORY OF THE DIPLOMATIC CONTACTS OF QUEEN RUSUDAN AND THE MONGOLS

The paper deals with the evidence of the Armenian chronicler Kirakos Gandzaketzi (d. 1277) on the peace negotiations conducted before the June-July 1242 campaign against Erzurum, by the commanders of the Mongol armed forces deployed in the Transcaucasus (led by Baichu-Noin) with Queen Rusudan, fugitive to Western Georgia. The talks, in which the Amirspasalar Avag Mkhargrdzeli took part, ended with a peace treaty, according to which Rusudan acknowledged Mongol overlordship, sending a small force to them. In return, Rusudan hoped that the Mongols would confirm the kingship of her son. It is suggested that the peace treaty was sent to Karakorum for approval by the Mongol Khan. It was borne by the Georgian feudal lord Hamadola. The release of Ivane Mkhargrdzeli's daughter Tamta from Mongol captivity is credited to the efforts of Hamadola.

XIII საუკუნის თბილელი მეცნიერი მარადის ობსერვატორიაში*

1259 წელს გამოჩენილმა ირანელმა მეცნიერმა ნასირ ად-დინ ატ-ტუსიმ,¹ ილხანთა ირანის ყაენის ჰულაგუს (1256–1265) ბრძანებით, ქ. მარალაში (აზერბაიჯანი) დააარსა ობსერვატორია,² რომელმაც, დაახლოებით, ნახევარი საუკუნე იარსება.³ მეცნიერების ისტორიის მკვლევარნი მარადის ობსერვატორიას თვლიან ახალ ეტაპად შუა საუკუნეების მუსლიმური ობსერვატორიების განვითარება-ევოლუციაში. მან დაჩრდილა თავისი წინამორბედები და, მოგვიანებით, მას მხოლოდ ულუღ-ბეგისა (1447–1449) და ოსმალთა სულთნის მურად III-ის (1574–1595) ობსერვატორიებს თუ უტოლებენ მნიშვნელობით.⁴

მარადის ობსერვატორია აღჭურვილი იყო თავისი დროის საუკეთესო ასტრონომიული ხელსაწყოებით,⁵ მისი ბიბლიოთეკა ითვლიდა 400 ათას წიგნს, რომლებიც მონღოლებმა დაპყრობილ ქვეყნებში დაიტაცეს.⁶ თვით

* პირველად დაიბეჭდა 1984 წ. – *მაცნე* (იაეხის), 1984, №2, გვ. 99-110.

¹ ნასირ ად-დინ ატ-ტუსის მოღვაწეობისა და მისი შრომების შესახებ იხ. H. Suter. *Die Mathematiker und Astronomen der Araber und ihre Werke*. Leipzig, 1900, გვ. 146-153; G. Sarton. *Introduction to the History of Science*. vol. II, pt. II, Baltimore, 1931, გვ. 1001-1013; Г. Д. Мамедбеҟли. *Основатель Маррагинской обсерватории Насирэддин Туси*, Баку, 1961; R. Strothmann, J. Ruska. Al-Tusi, Nasir al-Din. - *EI*², vol. X, გვ. 746.

² მარადის ობსერვატორიის შესახებ იხ. A. Sayili. *The Observatory in Islam*. Ankara, 1960, გვ. 187-223; Г. Д. Мамедбеҟли. დასახ. ნაშრ.; E.S. Kennedy. *The Exact Sciences in Iran under the Saljuks and Mongols*. – *The Cambridge History of Iran*. vol. 5, Cambridge, 1968, გვ. 668-673, 678.

³ მარადის ობსერვატორიამ არსებობა შეწყვიტა, არა უადრეს, 1304 და, არა უგვიანეს, 1316 წლისა. შემორჩენილია მისი ნანგრევები იხ. A. Sayili. დასახ. ნაშრ., გვ. 197, 213; D. N. Wilber. *The Architecture of Islamic Iran. The Ilkhanid Period*. Princeton, New Jersey, 1955, გვ. 107, სურ. 5; L. Lockhart. *Persian Cities*. London, 1960, გვ. 60-62.

⁴ A. Sayili. დასახ. ნაშრ., გვ. 393, 396; შდრ. H. Nasr. *Islamic Science. An Illustrated Study*. 1976, გვ. 112.

⁵ ამ ინსტრუმენტების შესახებ იხ. G. Sarton. დასახ. ნაშრ., გვ. 1004; A. Sayili. დასახ. ნაშრ., გვ. 197-201.

⁶ H. Suter. დასახ. ნაშრ., გვ. 147; В. В. Бартольд. Историко-географический обзор Ирана. – В. В. Бартольд. *Сочинения*. т. VII, М., 1971, გვ. 204; И. Ю. Крачковский. *Арабская географиче-*

მრავალმხრივმა და ფართო ინტერესების მქონე მეცნიერმა ნასირ ად-დინ ატ-ტუსიმ ობსერვატორიაში შემოიკრიბა ჯგუფი გამოჩენილი მუსლიმი და ჩინელი მეცნიერებისა. ამის გამო, ა. საილის შენიშვნით, მარაღის ობსერვატორია იყო არა მარტო ასტრონომიული კვლევა-ძიების ცენტრი, არამედ მას ჰქონდა სამეცნიერო აკადემიის ხასიათიც, სადაც არსებობდა მეცნიერული კონტაქტებისა და იდეების გაცვლის შესანიშნავი შესაძლებლობა.⁷

მარაღის ობსერვატორიის მრავალრიცხოვან თანამშრომლებს შორის, ჩვეულებრივ, გამოყოფენ ოთხ მეცნიერს, რომელთაც, ნასირ ად-დინ ატ-ტუსის ხელმძღვანელობით, დავვალათ ობსერვატორიის შექმნა და ორგანიზაცია. ნასირ ად-დინი მათ თავად ასახელებს თავისი „ზიჯ-ი-ილხანის“ („ილხანის ასტრონომიული ცხრილების“) შესავალში. ესენია: მუ'აიად ად-დინ ალ-ურადი – დამასკოდან, ნაჯმ ად-დინ დაბირანი – ყაზვინიდან, ფაზრ ად-დინ ალ-მარაღი – მოსულიდან და ფაზრ ად-დინ ალ-ხილატი – თბილისიდან.⁸

თავდაპირველად, სწორედ, ეს ოთხი მეცნიერი, ნასირ ად-დინ ატ-ტუსისთან ერთად, შეადგენდნენ ობსერვატორიის შტატს, მის საყრდენს (*რუქენ*). პირველი სამი მუსლიმური სამყაროს საკმაოდ ცნობილი პოლიტიკური და კულტურული ცენტრებიდან (დამასკო, მოსული, ყაზვინი) იყვნენ. გამონაკლისია ფაზრ ად-დინ ალ-ხილატი, რომელიც ქრისტიანული საქართველოს დედაქალაქიდან მიიწვიეს.⁹

თბილისში მუსლიმური მოსახლეობა, როგორც ცნობილია, თბილისის საამიროს შექმნასთან (VIII ს-ის 30-იანი წლები) ერთად გაჩნდა და არსებობდა მას შემდეგაც, რაც მუსლიმთა ბატონობისგან გათავისუფლდა (1122 წ.) და კვლავ საქართველოს სატახტო ქალაქად იქცა.

მუსლიმური თბილისის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ის-

ская литература. – И. Ю. Крачковский. *Избранные сочинения*, М.-Л., 1967, გვ. 114; А. Sayili. დასახ. ნაშრ., გვ. 194; Г. Д. Мамедбейли. დასახ. ნაშრ., გვ. 31.

⁷ А. Sayili. დასახ. ნაშრ., გვ. 207.

⁸ Н. Suter. დასახ. ნაშრ., გვ. 147. შდრ. თაჰრირ-ი თარის-ი ვასსაფ, თეირანი, 1346/1967, გვ. 29; მ. ბაჰარ. *საბაქშენასი*. ტ. III, თეირანი, 1337/1958, გვ. 159; Ibn Shakir al-Kutubi. *Fawat al-wafayat*. Ed. by Ihsan Abbas. vol. III, Beirut, 1974, გვ. 251; Рашид ад-Дин. *Сборник летописей*. т. III, перевод с персидского Л. К. Арндса. М.-Л., 1946, გვ. 48-49.

⁹ ფაზრ ად-დინ ალ-ხილატის თბილისური წარმომავლობა ნასირ ად-დინისა და სხვათა ცნობების მიხედვით აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში. იხ. Всемирная история Шлоссера. т. II, Санкт-Петербург–Москва, 1869, გვ. 360; Н. Suter. დასახ. ნაშრ., გვ. 147; G. Sarton. დასახ. ნაშრ., გვ. 1005; История Азербайджана. т. I, Баку, 1958, გვ. 195; Г.Д. Мамедбейли. დასახ. ნაშრ., გვ. 193; რ. კიკნაძე. *ულულ-ბეგი*. თბ., 1968, გვ. 63-64; მ. გიორგობიანი. თბილისისა და გელათის ობსერვატორიები. – *მეცნიერება და ტექნიკა*, 1973, №12, გვ. 18-19; ე. ხარაძე. ასტრონომია. – *ქსე*, ტ. I, თბ., 1975, გვ. 650; Н. Берозашвили. Тбилисский список “Начал” Евклида. – *მაცნე* (ელს), 1977, №2, გვ. 165 და სხვ.

ტორიის სხვადასხვა საკითხი შესწავლილია ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურაში (ივ. ჯავახიშვილი, ვ. მინორსკი, შ. მესხია, მ. ლორთქიფანიძე, ვ. გაბაშვილი და სხვ.), მაგრამ, თითქმის, არაფერი ვიცით თბილელ მუსლიმთა კულტურის შესახებ. ამდენად, ფახრ ად-დინ ალ-ხილატის თბილისური წარმომავლობა, ისევე როგორც მისი კავშირი მარაღის ობსერვატორიასთან, ბუნებრივია, ინტერესს იწვევს.

ცნობები ფახრ ად-დინ ალ-ხილატის შესახებ დაცულია XIII-XIV სუკუნეების არაბულ და სპარსულ წერილობით წყაროებში. ყველაზე ვრცლად მის შესახებ მოგვითხრობს მარაღის ობსერვატორიის ბიბლიოთეკის გამგე, ისტორიკოსი იბნ ალ-ფუვატი (გარდ. 1323 წ.) ნაშრომში *თალხის ალ-მაჯმა* 'ალ-ადაბ ფი მუჯამ ალ-ალკაბ'¹⁰ („მოკლე კრებული ცნობებისა ლაკაბთა ლექსიკონში“):

„ფახრ ად-დინ აბუ ლ-ფადლ 'აბდ ალ-'აზიზ იბნ 'აბდ ალ-ჯაბბარ იბნ 'უმარ ალ-ხილატი, ბრძენი, ექიმი, იყო ერთი იმ ხუთ ბრძენთაგან, რომლებიც შეთანხმდნენ, [ემუშავათ] მარაღის ობსერვატორიაში დიდი სულთნის ჰულაგუს დროს 657/29.XII.1259 – 17.XII.1259 წ. მათი უფროსი იყო ნასირ ად-დინი, [ხოლო დანარჩენები]: ფახრ ად-დინ ალ-ხილატი, ფახრ ად-დინ ალ-მარაღი, მუ'აიად ად-დინ ალ-'ურადი და ნაჯმ ად-დინ ალ-კაზინი. ისინი აირჩია ნასირ ად-დინმა და სულთანმა გაგზავნა [ხალხი] მათ მოსაყვანად“.¹¹

„ფახრ ად-დინი დახელოვნებული იყო ექიმობაში. ის სწავლობდა შაიხ მუჰაზინიბ ად-დინ 'ალი იბნ აჰმად იბნ ჰუბალ ალ-ბალდადისთან და შეისწავლა მისი წიგნი *ალ-მუხთარ*. მოისმინა (*სამი* 'ა) *ჯამი* 'ალ-უსულ მისი შემდგენლის მაჯდ ად-დინ აბი სა'ადათ იბნ ალ-ასირის-

¹⁰ ამ ნაშრომის მხოლოდ IV და V ტომები შემორჩა. IV ტომი, რომლის ხელნაწერი დაცულია დამასკოს აზ-ზაჰირიას წიგნსაცავში, ზემოაღნიშნული სათაურით 1963–1967 წლებში დამასკოში ოთხ ნაწილად დაბეჭდა მ. ჯ. 'ავვადმა. V ტომი სათაურით *მუჯამ ალ-ალკაბ* 1932 წ. ლაჰორში გამოსცა 'აბდ ალ-კუდუს ალ-ჰინდიმ. ამ თხზულებაში ლაკაბების (ტიტულების) მიხედვით დალაგებულია იბნ ალ-ფუვატის წინამორბედი და მისი თანამედროვე მრავალი საერო და სასულიერო პირის მოკლე ბიოგრაფიები.

¹¹ იბნ ალ-ფუვატი. *თალხის ალ-მაჯმა* 'ალ-ადაბ ფი მუჯამ ალ-ალკაბ. ტ. IV/3, დიმაჰე, 1965, გვ. 215-216, №2175. ცნობის ეს ნაწილი რუსულად თარგმნა ზ. ბუნიატოვმა, რომელმაც საბჭოურ ორიენტალისტიკაში პირველად მიაქცია ყურადღება იბნ ალ-ფუვატის ნაშრომს. З. М. Буниятов. Выдающиеся личности Азербайджана в сочинении Ибн ал-Фувати “Талхис маджма' ал-адаб фи му'джам ал-алкаб”. – *Известия АН Азербайджанской ССР. Серия истории, философии и права*, 1970, №3-4, გვ.168. მისივე. Сведения о некоторых сотрудниках Маррагинской обсерватории в сочинении Ибн ал-Фувати. – *Циркуляр Шамахинской астрономической обсерватории*. 1971, ч. VIII, гв. 9; ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იხ. მ. გიორგობიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 18-19.

გან. [ფახრ ად-დინი] ითხოვდა ხალიფას კარისგან (დარ ალ-ხილაფა), რომ დაენერათ მისთვის მანშური თბილისისა და მისი სანახების ყადის თანამდებობაზე და მიიღო ის. დაუმეგობრდა (საჰიბა) ავჰად ად-დინ ალ-ქირმანის, რომელმაც შემოსა ის ხირკა ათ-თასავეფუთით. მან მომცა იჯაზა. მიიცვალა მარაღას, 680 წ. შავვალში. დაიბადა 587 წ.¹²

იბნ ალ-ფუვატის ამ ზემომოტანილ ცნობებში ფახრ ად-დინ ალ-ხილატის ცხოვრების და მოღვაწეობის ბევრი საინტერესო დეტალია.

წარმომავლობა. ფახრ ად-დინ ალ-ხილატი დაიბადა ჰიჯრის 587/29.I.1191–17.I.1192 წ.¹³ ნისბა – წარმომავლობის სახელი ალ-ხილატი (ან ალ-ახლატი) მიუთითებს მის რაღაც კავშირზე ქ. ხლათთან, შაჰარმენტა სახელმწიფოს დედაქალაქთან ვანის ტბის ნაპირზე. შესაძლოა, ის დაიბადა ხლათში, ანდა ხლათელები იყვნენ მისი მშობლები. რაიმე კონკრეტული ცნობა ფახრ ად-დინის ხლათში მოღვაწეობის შესახებ არ მოგვეპოვება.

განათლება. იბნ ალ-ფუვატის თანახმად, ფახრ ად-დინს მიუღია სამედიცინო განათლება. ის სწავლობდა მუჰაზზიბ ად-დინ აბუ ლ-ჰასან ‘ალი იბნ აჰმად იბნ ჰუბალ ალ-ბაღდადისთან,¹⁴ რომელიც ითვლება XII ს. მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ექიმად.¹⁵ ფახრ ად-დინს შეუსწავლია მისი მთავარი ნაშრომი *მუხთარ ფი-ტ-ტიბ* („რჩეული მედიცინაში“),¹⁶ რომელიც, თანამედროვეთა აზრით, იყო „დიდებული ნიგნი, რომელიც მოიცავდა ცოდნას და პრაქტიკას“.¹⁷

არაბი ისტორიკოსი ას-საფადი (გარდ. 1362 წ.) თავის ვრცელ ბიოგრაფიულ ლექსიკონში აღნიშნავს, რომ ფახრ ად-დინი მუჰაზზიბ ად-დინთან ქ. მოსულში სწავლობდა.¹⁸ ეს კი შეიძლება მომხდარიყო 1204-5 წლიდან,

¹² იბნ ალ-ფუვატი, გვ. 215-216.

¹³ ზ. ბუნიატოვს ფახრ ად-დინ ალ-ხილატის დაბადების თარიღი ჰიჯრით – 587 წ. არასწორად გადაყავს ჩვენს ერაზე და ასახელებს 29. I. 1197–17. I. 1198 წ. 3. М. Буниятов. *Выдающиеся личности Азербайджана*, გვ. 168; მისივე. *Сведения о некоторых сотрудниках Марагинской обсерватории*, გვ. 9.

¹⁴ მუჰაზზიბ ად-დინ აჰმად იბნ ჰუბალის ბიოგრაფიის შესახებ იხ. იბნ აბი უსაიბი‘ა. *‘უთუნ ალ-ანბა’ ფი ტაბაკათ ალ-ატიბბა’*, ტ. I, ალ-კაჰირა, 1882, გვ. 304-306. *‘უმარ რიდა’ ალ-ქაჰჰალა. მუ‘ჯამ ალ-მუ‘ალლიფინ*. ტ. 7, დიმაჰკ, 1959, გვ. 21; J. Vernet. *Ibn Hubal. – EF*, vol. III, გვ. 805.

¹⁵ G. Sarton. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 304; XIII ს. არაბი ავტორის იბნ აბი უსაიბი‘ას თანახმად, იბნ ჰუბალი იყო „ერთადერთი თავის დროში, გამოჩენილი მეცნიერი თავისი ეპოქისა საექიმო ხელოვნებაში“ (*‘უთუნ ალ-ანბა’*, გვ. 304).

¹⁶ ეს ნაშრომი ამჟამად გამოცემულია. იხ. იბნ ჰუბალ. *ქითაბ მუხთარათ ფი ტ-ტიბ*. ტ. I-IV, ჰაიდარაბად, 1943-44.

¹⁷ იბნ აბი უსაიბი‘ა, გვ. 306.

¹⁸ ას-საფადი. *ქითაბ ალ-ვაფი ბი-ლ-ვაფაიათ*, ტ. 19 (სულთან აჰმად III-ის ბიბლიოთეკის

როცა მუჰაზზიბ ად-დინმა დატოვა ქ. მარდინი¹⁹ და დასახლდა მოსულში, სადაც 1213 წ. 13 ივნისს გარდაიცვალა.

ასევე მოსულში ცხოვრობდა და აქ 1210 წ. 24 ივნისს გარდაიცვალა ფახრ ად-დინ ალ-ხილატის მეორე მასწავლებელი, ცნობილი ლიტერატორი, გრამატიკოსი, ყურანის კომენტატორი და მუსლიმური სამართლის – ფიკჰის დიდი მცოდნე მაჯდ ად-დინ აბუ სა‘დათ მუბარაქ იბნ ალ-ასირი.²⁰ მაჯდ ად-დინი გადაცემდა ჰადისებსაც – ისლამის ფუძემდებლის მუჰამმადის გამონათქვამებისა და მოქმედებების შესახებ გადმოცემებს, რომლებიც მუსლიმური სამართლის ერთ-ერთ წყაროა.²¹ მისი მრავალრიცხოვანი შრომებიდან უმნიშვნელოვანესია სწორედ ჰადისების კრებული *ჯამი‘ ალ-უსულ ფი-აჰადის არ-რასულ*²² („კრებული საფუძვლებისა მოციქულის ჰადისების შესახებ“), რომელიც შეუსწავლია (სამი‘ა²³) ფახრ ად-დინსაც და, ამრიგად, მიუღია სამართლებრივი განათლებაც.

სავარაუდოა, რომ მედიცინაში და სამართალში ცოდნის მიღების წლები ქ. მოსულში, მუსლიმური კულტურის ამ უმნიშვნელოვანეს ცენტრში,²⁴ ფახრ ად-დინისთვის 1210–1213 წლებში დამთავრდა. მოსულშივე უნდა მიეღო მას საფუძვლიანი მომზადება მათემატიკაშიც (რაც იმ დროს ასტრონომიის ცოდნასაც გულისხმობდა²⁵). ამგვარი დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს ფახრ ად-დინ ალ-ხილატის მათემატიკური ნაშრომი *ნურ ად-დალალა ფი ლ-ჯაბრ ვა ლ-მუკაბალა* („შუქი მითითებისა ალგებრის თაობაზე“), რომელიც

ნუსხა, დამასკოს არაბული ენის აკადემიის ფოტოპირი 19/2920), გვ. 2 ; Das Biographische Lexicon des Salahaddin Halil Ibn Aibak as-Safadi. Teil 18. Hrsg. von Aiman Fu‘ad Saiyid. Stuttgart, 1988, გვ. 515, №512.

¹⁹ თარიღს ვიძლევიტ იბნ აბი უსაბი‘ას მიხედვით: მუჰაზზიბ ად-დინმა მარდინი დატოვა მას შემდეგ, რაც ართუქიანმა გამგებელმა კუტბ ად-დინმა დახოცა თავისი აღმზრდელი ნიზამ ად-დინ ალბკაში და მამლუქი ბადრ ად-დინ ლულუ (‘*უიუნ ალ-ანბა*’, გვ. 304). ეს ამბავი კი 1204-1205 წლით თარიღდება. იხ. იბნ ალ-ასირ. *ალ-ქამილ ფი-თ-თა‘რიბ*. ტ. XI, ბაზრუთ, 1966, გვ. 508-509.

²⁰ მაჯდ ად-დინ იბნ ალ-ასირის ბიოგრაფიის და შრომების შესახებ იხ. ‘უმარ რიდა’ ალ-ქაჰჰალა. *მუ‘ჯამ ალ-მუ‘ალლიფინ*. ტ. 8, დიმაშკ, 1959, გვ. 184; F. Rosenthal. Ibn al-Athir. – *EI*², vol. III, გვ. 723.

²¹ И. П. Петрушевский. *Ислам в Иране в VII–XV веках*. Л., 1966, გვ. 125.

²² ეს ნაშრომი 1949 წ. 12 ტომად გამოიცა კაიროში ჰ. ალ-ფაკის რედაქციით.

²³ სწავლების ამ მეთოდის შესახებ იხ. Munir-ud-Din Ahmed. *Muslim Education and on the Scholars’ Social Status up to the 5th Century Muslim Era*. Zürich. 1968, გვ. 93; შდრ. А. Б. Халидов. Книжная культура. – *Очерки истории арабской культуры V-XV вв.*, М., 1962, გვ. 260.

²⁴ XII-XIII სს. მოსულის კულტურული ცხოვრების შესახებ იხ. სა‘იდ ად-დივაჰჯი. *ალ-მავსილ ფი ლ-‘აჰდ ალ-ათაბაქი*. ბაღდად, 1958, გვ. 92-108.

²⁵ A. S. Tritton. *Materials on Muslim Education in the Middle Ages*. London, 1957, გვ. 136-137.

დაცულია თეირანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კოლექციაში (№4409/1).²⁶ აღნიშნულ ნაშრომში (რომელიც 60 გვერდია), ფაზრ ად-დინი თავისი მასწავლებლის მასწავლებლად, მათემატიკის ისტორიის ცნობილი სპეციალისტის, პროფ. ბორის როზენფელდის ინფორმაციით,²⁷ ასახელებს მათემატიკოსსა და ასტრონომ შარაფ ად-დინ ალ-მუზაფფარ იბნ მუჰამმად ატ-ტუსის (გარდ. დაახლოებით 1210 წ.), რომელიც მუშაობდა ჰამადანში.²⁸ ბ. როზენფელდი შესაძლებლად თვლიდა, აგრეთვე, რომ ფაზრ ად-დინის მასწავლებელი იყო მათემატიკოსი და თეოლოგი ქამალ ად-დინ მუსა ბ. იუნისი (1156-1242).²⁹ ეს სავსებით დასაშვებია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უკანასკნელი იყო მოსულის მკვიდრი, რომელიც სწავლობდა ბაღდადში და ასწავლიდა მოსულში, სადაც გარდაიცვალა კიდევ. ის ნასირ ად-დინ ტუსის მასწავლებელიც იყო.³⁰

მოღვაწეობა. მარაღის ობსერვატორიაში მიწვევამდე ფაზრ ად-დინ ალ-ხილატის ცხოვრებაში, იბნ ალ-ფუვატის თანახმად, შეიძლება გამოვყოთ მისი დაინტერესება სუფიზმით, თბილისის ყადის თანამდებობის მიღება და საექიმო მოღვაწეობა.

სუფიზმით გატაცება მუსლიმთა შორის XII-XIII საუკუნეებში, როგორც გარკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში, კარგ ტონად ითვლებოდა.³¹

XII საუკუნიდან ოფიციალური სუნიტური ღვთისმეტყველება შეურიგდა ზომიერ სუფიზმს. ეს უკანასკნელი მტკიცედ დამკვიდრდა ისლამის მსოფლმხედველობის სისტემაში და თანდათან ისლამიც განიმსჭვალა სუფიური იდეებით. სუფიზმი ფართოდ გავრცელდა, განსაკუთრებით, ქალაქებში. სუფიებად, ან ამა თუ იმ სუფი შეიხის მიმდევრებად ხდებოდნენ როგორც ქალაქის დაბალი ფენები და გლეხები, ისე – ფეოდალები და მსხვილი ვაჭრები.³² გამონაკლისს არც მეცნიერები შეადგენდნენ, რომელთაც, ამავე დროს, ოფიციალური თანამდებობებიც ეკავათ.³³

²⁶ Г. П. Матвиевская, Б. А. Розенфельд. *Математики и астрономы мусульманского средневековья и их труды (VIII-XVII вв.)*. М., 1983, Книга 2, გვ. 411, № 3716; Книга 3, გვ. 334.

²⁷ [პროფ. ბ. როზენფელდმა ეს ცნობა მოგვანოდა პირად წერილში, 1986 წ. 7 მაისს].

²⁸ შარაფ ად-დინ ტუსის შესახებ იხ. Г. П. Матвиевская, Б. А. Розенфельд. *Математики и астрономы...*, გვ. 365, 333.

²⁹ ბ. როზენფელდის იგივე წერილი (სქოლიო 27). ქამალ ად-დინ მუსა იბნ იუნისის (ან იუნუსის) შესახებ იხ. Г. П. Матвиевская, Б. А. Розенфельд. *Математики и астрономы ...*, გვ. 378, 354.

³⁰ Г. П. Матвиевская, Б. А. Розенфельд. *Математики и астрономы*, გვ. 392, 368. H. Daiber. F. J. Rager. Al-Tusi, Nasir al-Din. – *EI* (WebCD Edition. Brill Academic Publishers, 2003), გვ. 746.

³¹ И. П. Петрушевский. დასახ. ნაშრ., გვ. 330.

³² იქვე.

³³ ასე მაგალითად, სუფი იყო მარაღის ობსერვატორიის თანამშრომელი კუტბ ად-დინ

სუფიზმს ეზიარა ფახრ ად-დინ ალ-ხილატიც, რომელიც გახდა XIII საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ირანელი მისტიკოსის და პოეტის ავჰად ად-დინ ქირმანის (გარდ. 1238 წ. 21 მარტს)³⁴ ერთი 17 მონაფეთაგანი.³⁵ ავჰად ად-დინს შეუმოსავს ფახრ ად-დინ ალ-ხილატი *ხირკა ათ-თასავეუფით*.

როგორც ცნობილია, სუფიური ადათებით, სუფის გზაზე დამდგარი მურიდი სულიერ მოძღვარს – შეიხს ირჩევდა ხოლმე. მურიდს ევალეობდა, შეიხის ნებას დამორჩილებოდა და უყოყმანოდ შეესრულებინა მისი მითითებები. სუფიების რიგებში მიღებისას შეიხი მურიდს სუფის სამოსით – *ხირკა*თი მოსავდა. *ხირკას* სხვადასხვა სახეობიდან *ხირკა ათ-თასავეუფ* განასახიერებდა მჭიდრო კავშირს სუფიდ მოქცეულსა და მის სულიერ მოძღვარს შორის. უკანასკნელი ხდებოდა მურიდის ყველაზე ინტიმური ფიქრებისა და სურვილების მესაიდუმლე, მისი „ჭეშმარიტი მამა“.³⁶

როგორც იბნ ალ-ფუვატის ცნობიდან ჩანს, ავჰად ად-დინ ქირმანისა და ფახრ ად-დინ ალ-ხილატის შორის ანალოგიური კავშირი დამყარებულა.

ვინაიდან მურიდს სუფიების ძმობაში კარს მხოლოდ შეიხი უღებდა, შეიხიღება განვსაზღვროთ ფახრ ად-დინის სუფიდ გახდომის თარიღიც: არა უადრეს 1234-36 წლისა, როცა თავად ავჰად ად-დინი გახდა სუფიების შეიხი ქ. ბაღდადში, რიბატ ალ-მარზუბანიაში³⁷ და არა უგვიანეს 1238 წ. 21 მარტისა, როცა ის გარდაიცვალა.

ცნობილია, რომ ავჰად ად-დინი ბევრს მოგზაურობდა და ნამყოფი იყო საქართველოშიც. ავჰად ად-დინ ქირმანის ცხოვრების აღწერაში, რომელიც მის მონაფეთა წრეში შეიქმნა, აღნიშნულია, რომ ის რუსუდანის მეფობის დროს საქართველოში ჩამოვიდა (უეჭველია, ხვარაზმელთა შემოსევებამდე) ტყვედ

დაბირანი აშ-შირაზი (გარდ. 1311 წ.), რომელსაც სხვადასხვა დროს მალატიის და სივასის ყადის თანამდებობაც ეჭირა. G. Sarton. დასახ. ნაშრ., გვ. 1017-1020.

³⁴ ავჰად ად-დინ ქირმანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. B. W. Weischer. Auhaduddin Kirmani und seine Vierzfeiler. – *Der Islam*. Bd.56/1, 1979, გვ. 130-134; Id. al-Kirmani Awhad al-Din Hamid b. Abi'l-Fakhr. – *EI*², vol. V, გვ. 163-164.

³⁵ მათ შესახებ იხ. Manaqeb-e Owhad al-Din Hamed ibn-e Abi-Alfakhr-e Kermani. A Persian Text from the VII Century A. H. Edited by G. Foruzanfar. Tehran, 1969, გვ. 44-46. ნაშრომი მოგვანოდა პროფ. მ. თოდუამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ. ასევე მადლობას მოვახსენებთ ბ-ნ გ. ბერაძეს, რომელმაც ამ წიგნიდან ჩვენთვის საინტერესო ადგილები გვითარგმნა სპარსულიდან და, გარდა ამისა, სტატიაზე მუშაობის დროს, არაერთ საყურადღებო ცნობაზე მიაქცია ჩვენი ყურადღება.

³⁶ E. Э. Бертельс. Суфизм и суфийская литература. – E. Э. Бертельс. *Избранные труды*. М., 1965, გვ. 40; И. П. Петрушевский. დასახ. ნაშრ., გვ. 323; J. L. Michon. Khirka. – *EI*², vol. V, გვ. 18.

³⁷ იბნ ალ-ფუვატი. *ალ-ჰავადის ალ-ჯამი'ა ფი-თ-თაჯარუბ ან-ნაფი'ა ფი-ლ-მი'ა ას-საბი'ა*. მ. ჯავადადის რედ., ბაღდად, 1351/1932, გვ. 73; B. W. Weischer. *Auhaduddin Kirmani*, გვ. 130.

ჩავარდნილი ერთი თავისი ღულამის გამოსახსნელად. რუსუდანმა ის კარგად მიიღო და საქართველოში დარჩენაც შესთავაზა, რაზედაც ავჰად ად-დინი არ დასთანხმდა.³⁸

არ არის გამორიცხული, რომ ფახრ ად-დინ ალ-ხილატი ავჰად ად-დინს საქართველოში, კერძოდ, თბილისში, შეხვდა და დაუახლოვდა. დასაშვებია ისიც, რომ მისი გატაცება სუფიზმით ირანელ მისტიკოსთან შეხვედრამდე, სწორედ თბილისში დაიწყო, სადაც სუფიების მოღვაწეობისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა.³⁹

თბილისთან ფახრ ად-დინის კავშირი სრულიად აშკარა ხდება თბილისის ყადის თანამდებობაზე მისი დანიშვნის შემდეგ.

ყადი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუსლიმური ქალაქის მმართველობასთან და როგორც მუსლიმთა მოსამართლე, მსაჯული, დიდი გავლენითაც სარგებლობდა.⁴⁰

ყადის თანამდებობის არსებობა თბილისში განპირობებული იყო აქ მუსლიმური მოსახლეობის საკმაო რაოდენობით, როგორც მუსლიმთა ბატონობის დროს, ისე – 1122 წ., მისი გათავისუფლების შემდეგ.⁴¹

ყადის თანამდებობაზე, ჩვეულებრივ, სამართლისმცოდნეები ინიშნებოდნენ. ფახრ ად-დინ ალ-ხილატის, რომელსაც სამართლებრივი განათლებაც ჰქონდა მიღებული, ითხოვა და მიიღო კიდევაც ხალიფას კარისგან თბილისის და მისი სანახების ყადიობის მანშური – განსაკუთრებული მოწმობა, რომელიც ამ დანიშვნას ადასტურებდა და რომელიც საჯაროდ იკითხებოდა იმ ქალაქებისა და ოლქების მეჩეთებში, სადაც ვრცელდებოდა ყადის სამართალი – კადა'.⁴²

იბნ ალ-ფუვატი ფახრ ად-დინის ვაჟის – 'ალა ად-დინის მოკლე დახასიათებაში აღნიშნავს, რომ მამამისმა ყადიობა მიიღო აბასიანი ხალიფა მუსთა'სიმ ბი-ლლაჰისგან,⁴³ რომელიც ზეობდა 1242-1258 წლებში.

³⁸ Manaqeb-e Owhad al-Din., გვ. 20-23; მ. თოდუა. *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, II, თბ., 1975, გვ. 196, შენ. 3. სხვათა შორის, ავჰად ად-დინის მიმდევართა შორის კიდევ ერთი თბილისელია: 'უმარ იბნ აჰმად შამს ად-დინ თიფლისი. Manaqeb-e Owhad al-Din., გვ. 153-159.

³⁹ History of Damascus 363-555 A.H. by Ibn al-Qalanisi, Ed. with Extracts from other Histories and Summary of Contents by H. F. Amedroz. Catholic Press of Beirut, 1908, გვ. 206 (დამონმებულია ალ-ფარაჰის ცნობა).

⁴⁰ ვ. გაბაშვილი. თბილისის მმართველობა X-XI საუკუნეებში. – *თსუ შრომები*, ტ. 108, 1964, გვ. 340. ყადის იურისდიქციის შესახებ დანვრილებით იხ. E. Tyan. *Histoire de l'organisation judiciaire d'Islam*. Leiden, 1960, გვ. 342-429.

⁴¹ მ. გაბაშვილი. *საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში*. თბ., 1981, გვ. 86.

⁴² E. Tyan. დასახ. ნაშრ., გვ. 184. И. П. Петрушевский. დასახ. ნაშრ., გვ. 191.

⁴³ 'ალა ად-დინი, სხვათა შორის, ათ-თაფლისის (ათ-თიფლისის) ნისბას ატარებდა. იბნ ალ-ფუვატიმ ის ნახა 1305-6 წ. არრანში, ილხანთა ყაენის ბანაკში, სადაც 'ალა ად-დი-

ნიშანდობლივია, რომ ფაზრ ად-დინ ალ-ხილატიმ აბასიანთა ხალიფას სწორედ თბილისის და არა სხვა რომელიმე ქალაქის ყადიობა სთხოვა. მის თხოვნას, ჩანს, საკმაო საფუძველი ჰქონდა: ის აქ ცხოვრობდა, მოღვაწეობდა და კარგად იყო ცნობილი საქართველოს სატახტო ქალაქში.

ამ დროს, სახელგანთქმული მუჰაზზინ ად-დინ ალ-ბაღდადის მონაფეს, ფაზრ ად-დინ ალ-ხილატის თავადაც ცნობილი ექიმის სახელი ჰქონდა გავარდნილი. იბნ ალ-ფუვატი მოკლედ აღნიშნავს, რომ ის „დახელოვნებული იყო ექიმობაში, ხოლო სირიული ქრისტიანული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელი იბნ ალ-‘იბრი, იგივე აბუ ლ-ფარაჯ გრიგორიუს ბარ ჰებრეუსი (გარდ. 1286 წ.) და ფაზრ ად-დინის თანამედროვე მარალაში, მას თავისი დროის ყველაზე ცნობილ ექიმთა რიცხვს მიაკუთვნებს.⁴⁴

როგორც აღინიშნა, ფაზრ ად-დინ ალ-ხილატი 1259 წ. მიიწვიეს თბილისიდან მარალის ობსერვატორიაში. ობსერვატორიაში მუშაობის სპეციფიკა განაპირობებდა მათემატიკისა და ასტრონომიის ცოდნას. ასეთი ცოდნა ჰქონდათ მარალაში მასთან ერთად მიწვეულ დანარჩენ სამ მეცნიერსაც, რომელთაც ნასირ ად-დინ ატ-ტუსის ხელმძღვანელობით დაეკისრათ ობსერვატორიის ორგანიზება:

მუ’აიად ად-დინ ალ-‘ურადი იყო ასტრონომი და ინჟინერი, რომელმაც შექმნა ობსერვატორიის ასტრონომიული ხელსაწყოები და დაგვიტოვა ნაშრომი მათ შესახებ.⁴⁵

ნაჯმ ად-დინ დაბირანი (ალ-კაზვინი) – ასტრონომი და ფილოსოფოსი, რომელმაც დაგვიტოვა ნაშრომები ფიზიკაში, ფილოსოფიასა და ლოგიკაში.⁴⁶

ფაზრ ად-დინ ალ-მარალი – ინჟინერი და მათემატიკოსი, რომელსაც მრავალი ნაშრომი დაუწერია.⁴⁷

გამონაკლისს არც ფაზრ ად-დინ ალ-ხილატი წარმოადგენდა.

XV ს-ის ირანელი ასტრონომი რუქნ ად-დინ ამული მას ობსერვატორიის ასტრონომთა რიცხვში ასახელებს,⁴⁸ ხოლო XVI ს-ის სპარსულენოვანი ავტორი შარაფ-ხან ბიდლისი მას „ზუსტ მეცნიერებებსა და ასტრონომია-

ნი თბილისის ყადის თანამდებობას ითხოვდა. იბნ ალ-ფუვატი. *თალხის ალ-მაჯმა’ ალ-ადაბ*, ტ. IV/2, დიმაშკ, 1963, გვ. 1065, 1586.

⁴⁴ იბნ ალ-‘იბრი. *თა’რიხ მუხთასარ ალ-ბაშარ*. ბაჰრუთ (უთარილო), გვ. 286. ჯერჯერობით უცნობია, დატოვა თუ არა ფაზრ ად-დინმა, თავისი სახელოვანი მასწავლებლის მსგავსად, რაიმე ნაშრომი მედიცინაში. არაბული და სპარსული ხელნაწერების ჩვენთვის ხელმისაწვდომ კატალოგებში მათი დაძებნა არ მოხერხდა.

⁴⁵ G. Sarton. დასახ. ნაშრ., გვ. 1013-1014.

⁴⁶ იქვე, გვ. 868; Г. Д. Мамедбеи. დასახ. ნაშრ., გვ. 197.

⁴⁷ იბნ ალ-ფუვატი. *თალხის ალ-მაჯმა’ ალ-ადაბ*, ტ. IV/3, გვ. 339.

⁴⁸ A. Sayili. დასახ. ნაშრ., გვ. 215.

ში თავისი დროის ცოდნის კრებულს“ უწოდებს.⁴⁹ მისი ზემოდასახელებული ნაშრომი ალგებრის შესახებ მათემატიკის ისტორიის სპეციალისტთა შესწავლის საგანი გახდა.⁵⁰

ნასირ ად-დინ ატ-ტუსის მიერ მარაღის ობსერვატორიაში შეკრებილი მეცნიერები წარმოადგენდნენ იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის საუკეთესო სამეცნიერო ძალებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ობსერვატორიაში მუშაობდა კუტბ ად-დინ დაბირანი აშ-შირაზი, რომელიც ითვლება ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ირანელ მეცნიერად.⁵¹ ფაზრ ად-დინ ალ-ხილატის მოხვედრა მარაღის ობსერვატორიის თანამშრომელთა პირველ ოთხეულში უდავოდ მონაწილეობს მის დიდ მეცნიერულ ავტორიტეტს, რომელიც მას უნდა მოეპოვებინა თბილისში მოღვაწეობის დროს.⁵²

მარაღის ობსერვატორიაში შეკრებილი მეცნიერები ნასირ ად-დინ ატ-ტუსის მეთაურობით მუშაობდნენ ასტრონომიული ცხრილების ზიჯის შედგენაზე. ნასირ ად-დინის თავდაპირველი გეგმით ეს ცხრილები უნდა შედგენილიყო მზის გარშემო სატურნის წრიულ ბრუნვაზე დაკვირვებათა საფუძველზე, რაც, დაახლოებით, 30 წელს მოითხოვდა. მაგრამ ამ გეგმამ იმედები გაუცრუა ჰულაგუ ყაენს.⁵³

ცნობილია, რომ ილხანთა მბრძანებელი ასტროლოგთა გავლენის ქვეშ იმ-

⁴⁹ Шараф-хан ибн Шамсаддин Бидлиси. *Шараф-наме*. том I, перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой. М., 1967, გვ. 47 (წყაროში მისი სახელი დამახინჯებულია: მავლანა მუხი ად-დინ ახლატი).

⁵⁰ [Addenda: ეს ტრაქტატი გააანალიზა რ. რაშედმა. R. Rashed. Ibn al-Haytham et le Théorème de Wilson. – R. Rashed. *Entre arithmétique et algèbre Recherches sur l’histoire des mathématique Arabe*. Paris: Les Belles Lettres, 1984; როზენფელდი და მატვიევსკაია აღნიშნავენ (Г.П. Матвиевская. Б. А. Розенфельд. *Математики и астрономы.*, Книга 3, М., 1983, გვ. 334), რომ ფაზრ ად-დინ ალ-ხილატიმ გამოიყენა მათემატიკოს აბუ ჯა‘ფარ მუჰამმად იბნ ალ-ჰუსაინ ალ-ჰარისის (X ს.) მიერ განხილული “правило композиции форм к задаче нахождения всех рациональных решений уравнения $x^2+y^2=N$ по данному решению (a, b) по правилу

$$x = \frac{2auv + b(u^2 - v^2)}{u^2 + v^2}, \quad y = \frac{a(u^2 - v^2) - 2buv}{u^2 + v^2}$$

ბ. როზენფელდმა 1986 წ. 7 მაისის ზემოხსენებულ წერილში ასევე გვაცნობა, რომ რაშედთან ამ ავტორს ეწოდება ‘აბდ ალ-‘აზიზ ბ. ‘აბდ ალ-ჯაბბარი, მაგრამ საძიებელში დასახელებულია მისი ნიშნა ალ-ხალატი].

⁵¹ G. Sarton. დასახ. ნაშრ., გვ. 1017-1020.

⁵² შეიძლება დავუშვათ, რომ ნასირ ად-დინ ატ-ტუსი ფაზრ ად-დინ ალ-ხილატის მოსულიდან იცნობდა, სადაც ორივენი ქამალ ად-დინ იუნისის (იხ. ზემოთ) მოწაფეები იყვნენ.

⁵³ A. Sayili. დასახ. ნაშრ., გვ. 204.

ყოფებოდა და თავის მოქმედებას ხშირად ასტროლოგთა წინასწარმეტყველებით საზღვრავდა.⁵⁴ ობსერვატორიის დაარსებისას ჰულაგუ ასტროლოგიური ინტერესებით ხელმძღვანელობდა. დაკვირვებათა 30-წლიანი პროგრამა ილხანთა ყაენს არ აწყობდა, რადგანაც მას სიცოცხლეშივე სურდა მიეღო პრაქტიკული სარგებლობა ობსერვატორიისაგან. ამიტომ, მისი სურვილის შესაბამისად, ნასირ ად-დინ ატ-ტუსიმ შეცვალა თავდაპირველი გეგმა და მიიღო დაკვირვებათა 12-წლიანი პროგრამა, რომელიც 1271 წ. დასრულდა.⁵⁵ მაგრამ ჰულაგუ ვერც ამ პროგრამის დასრულებას მოესწრო. ის მანამდე, 1265 წ. გარდაიცვალა.

12-წლიანი დაკვირვების შედეგად მარადის ობსერვატორიაში შეიქმნა ასტრონომიული ცხრილები, რომლებიც *ზიჯ-ი-ილხანის* („ილხანის ასტრონომიული ცხრილების“) სახელით არის ცნობილი.

გ. სარტონის, ა. საილის და სხვა მკვლევართა დასკვნით, ეს ასტრონომიული ცხრილები იყო მარადის ობსერვატორიის თანამშრომელთა მთავარი მიღწევა, მათი შრომების მთავარი შედეგი.⁵⁶ გ. მამედბეილის შენიშვნით, მართალია, *ილხანის ცხრილები*, ესაა „მარადის ობსერვატორიის ასტრონომიული კატალოგი შედგენილი თავად ნასირ ად-დინის მიერ“, მაგრამ, ამავე დროს, „ის წარმოადგენს მარადის ობსერვატორიის ყველა მეცნიერის თორმეტწლიანი შრომის ნაყოფს“.⁵⁷

ზიჯ-ი-ილხანი, რომელიც, თავდაპირველად, ალბათ, სპარსულად დაინერა, ოთხ წიგნად იყოფოდა. პირველში განხილული იყო სხვადასხვა ხალხის ქრონოლოგია, მეორეში – პლანეტების მოძრაობა, მესამეში – დროის განსაზღვრა, მეოთხეში კი – ასტროლოგიური ოპერაციები.⁵⁸

„ილხანის ცხრილებმა“ დიდი პოპულარობა მოიპოვა მახლობელ აღმოსავლეთში, მან შეაღწია ჩინეთში, და ი. კრაჩკოვსკის შენიშვნით, მთლიანად დაიმორჩილა ადგილობრივი ასტრონომიული მეცნიერება.⁵⁹ ის პრაქტიკულად გამოიყენებოდა ულულ-ბეგის ასტრონომიული ცხრილების შედგენის შემდეგაც. ეს ნაშრომი არაერთხელ ითარგმნა არაბულად – სათანადო კომენტარებით და XVIII ს-ში ცნობილი გახდა ევროპაშიც.⁶⁰

ფაზრ ად-დინ ალ-ხილატი „ილხანის ცხრილების“ – ამ კოლექტიური ნაშ-

⁵⁴ ილხანთა ასტროლოგიური ცრურწმენების, ასტრონომიისა და ასტროლოგიის კავშირის შესახებ ამ პერიოდში იხ. G. Sarton. დასახ. ნაშრ., გვ. 20.

⁵⁵ A. Sayili. დასახ. ნაშრ., გვ. 204.

⁵⁶ G. Sarton. დასახ. ნაშრ., გვ. 1006; A. Sayili. დასახ. ნაშრ., გვ. 204, 223.

⁵⁷ Г. Д. Мамедбейли. დასახ. ნაშრ., გვ. 182.

⁵⁸ G. Sarton. დასახ. ნაშრ., გვ. 1006.

⁵⁹ И. Ю. Крачковский. დასახ. ნაშრ., გვ. 114.

⁶⁰ იქვე; შდრ. G. Sarton. დასახ. ნაშრ., გვ. 1006.

რომის ერთ-ერთი თანაავტორია, მაგრამ მისი როლი მარალის ობსერვატორიაში მხოლოდ ამით არ ამოიწურა.

„ილხანის ცხრილების“ შედგენის შემდეგ გაირკვა, რომ დაკვირვებათა პროგრამის შემცირებამ მასში უზუსტობები გამოიწვია. ნასირ ად-დინ ატ-ტუსის არ დასცალდა მათი გასწორება.⁶¹ ის 1274 წ. გარდაიცვალა.

რუქნ ად-დინ ამულის ცნობით, ნასირ ად-დინ ატ-ტუსის სიკვდილის შემდეგ მარალის ობსერვატორიის ასტრონომები 30 წელი ფხიზლობდნენ, ვიდრე არ დასრულდა მზის გარშემო სატურნის წრიული ბრუნვა. ასირ ად-დინ ალ-აბჰარის, მუჰი ად-დინ ალ-მარრიბის, ნაჯმ ად-დინ დაბირანის და ფახრ ად-დინ ალ-ხილატის მოუშადადებიათ ასტრონომიული ცხრილები და ტრაქტატები ევკლიდეს შრომების და პტოლემეს *ალმაგესტის* საფუძველზე, რის მიხედვითაც მოხდა *ზიჯ-ი-ილხანის* კორექტირება.⁶²

ამრიგად, ფახრ ად-დინ ალ-ხილატი ამ კოლექტიური შრომის მონაწილედაც გვევლინება, მაგრამ რუქნ ად-დინ ამულის ცნობა დაზუსტებას მოითხოვს. ფახრ ად-დინ ალ-ხილატი (ნაჯმ ად-დინ დაბირანი ალ-კაზინის მსგავსად) დაკვირვებათა ამ 30-წლიანი ციკლის დამთავრებამდე გარდაიცვალა.

მარალაში ფახრ ად-დინ ალ-ხილატის მოღვაწეობის კიდევ ერთ მხარეს გვამცნობს იბნ ალ-ფუვატი. მას ფახრ ად-დინისგან მიუღია *იჯაზა*.

იჯაზა, რაც მონმოზის ბოძებას ნიშნავს, მუსლიმური განათლების სისტემაში ცოდნის გადაცემის ერთ-ერთი ფორმაა. მასწავლებელი, რომელიც მონაფეს *იჯაზას* აძლევდა, ამით ადასტურებდა, რომ ამ უკანასკნელმა მისი ხელმძღვანელობით მოისმინა ჰადისების რომელიმე წიგნი, კრებული.⁶³

ირკვევა, რომ ფახრ ად-დინ ალ-ხილატი მარალაში ჰადისებსაც გადასცემდა. იბნ ალ-ფუვატი, რომელიც ფახრ ად-დინის მარალაში გადასვლის ჟამს 16 წლის ქაბუკი იყო, მის ერთ-ერთ მონაფედ ჩანს.

ას-საფადი, არაბი ისტორიკოსის ზაჰირ ად-დინ იბნ ალ-ქაზირუნის (გარდ. 1298 წ.) მიხედვით, აღნიშნავს, რომ ფახრ ად-დინ ალ-ხილატის, რომელმაც ღრმა მოხუცებულობას მიაღწია, დიდი სიმდიდრე დააგროვა.⁶⁴ ამის შესაძლებლობას იძლეოდა როგორც მძლავრი ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც მარალის ობსერვატორიას და მის თანამშრომლებს ჰქონდათ ილხანთა მხრიდან, ისე – მისი საექიმო პრაქტიკა და პედაგოგიური მოღვაწეობა.

⁶¹ A. Sayili. დასახ. ნაშრ., გვ. 214-215.

⁶² დაწვრილებით იხ. A. Sayili. დასახ. ნაშრ., გვ. 214-215.

⁶³ A. S. Tritton. დასახ. ნაშრ., გვ. 40; Munir-ud-Din Ahmad. დასახ. ნაშრ., გვ. 98; Abdullah Fayyad. *Al-Ijazat al-'ilmiyyah 'ind al-moslimeen*. Baghdad, 1967, გვ. 21; А. Б. Халидов. დასახ. ნაშრ., გვ. 260-261.

⁶⁴ ას-საფადი, გვ. 2.

ფაზრ ად-დინ ალ-ხილატი, იბნ ალ-ფუვატის თანახმად (იბ. ზემოთ), გარდაიცვალა მარაღაში, ჰიჯრის 680 წ. შავვალში, ე. ი. დროის იმ მონაკვეთში, რომელიც თავსდება 1282 წლის 13 იანვრიდან 11 თებერვლამდე, 91 წლის ასაკში.

ფაზრ ად-დინ ალ-ხილატი და ქართული ფეოდალური საზოგადოება.

ფაზრ ად-დინ ალ-ხილატის მოღვაწეობა მუსლიმთა მოსამართლედ თბილისში განაპირობებდა მის კავშირს ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან.

ცნობილია, რომ ყადის, საერთოდ, ხალიფა, ანდა სახალიფოს დაშლის შემდეგ სულთანი, ან სხვა მუსლიმი გამგებელი ნიშნავდა ხოლმე. ასე იყო მთელს მუსლიმურ სამყაროში და იგივე უნდა დაეუშვათ თბილისშიც, მუსლიმთა ბატონობის დროს. იბნ ალ-ფუვატის ცნობით, XIII ს-ის 40-50-იან წლებშიც კი, თბილისის ყადის აბასიანი ხალიფა ამტკიცებს. უფრო გვიან, XIV ს-ის დასაწყისში ფაზრ ად-დინ ალ-ხილატის ვაჟი თბილისის ყადიობას ილხანთა ყაენისგან ითხოვს.⁶⁵ ამავე დროს, მუსლიმთა მოსამართლის მოღვაწეობას ქრისტიანული საქართველოს დედაქალაქში არ შეიძლებოდა თავისი სპეციფიკური ნიშნებიც არ ჰქონოდა. ძნელი დასაშვებია, რომ თბილისის ყადის კანდიდატურა, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ დანიშნავდა მას, უცნობი და მიუღებელი ყოფილიყო ქართული ფეოდალური საზოგადოებისთვის.

ყადის უფლებამოსილება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამართალწარმოებით. ის ასრულებდა ნოტარიუსის ფუნქციებსაც – ბეჭდით ამონებდა ანდერძებს, ხელშეკრულებებს, საქორწინო კონტრაქტებს, სავაჭრო ხელშეკრულებებს⁶⁶ და სხვ. ამ თვალსაზრისითაც, თბილისში ქრისტიანული და მუსლიმური მოსახლეობის თანაარსებობის პირობებში, ყადის მოღვაწეობა არ შეიძლებოდა დარჩენილიყო საქართველოს სამეფო კარისა და ქართული მართლმსაჯულების ინტერესების მიღმა.

XIII ს-ის საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ თბილისის ყადიები მონაწილეობდნენ ქრისტიანთა სასამართლო პროცესებზეც. მაგ., თბილისის ყადი, ანისის, დვინის ყადიებთან, სომეხ და ქართველ დიდებულებთან ერთად, მონაწილეობას იღებდა იმ სასამართლო პროცესზე, რომელიც მოიწვია ივანე მხრგრძელმა ქ. დვინში ორი სომხური ანტიქალკედონიტური მონასტრის დავის გადასაჭრელად.⁶⁷

საქართველოს მმართველი წრეები თბილისის ყადიებს იყენებდნენ

⁶⁵ იბნ ალ-ფუვატი. *თალხის მაჯმა* ალ-ადაბ, ტ. IV/2, გვ. 1065, 1586.

⁶⁶ И. П. Петрушевский. დასახ. ნაშრ., გვ. 195.

⁶⁷ ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 306-307; სინ, ტ. III, თბ., 1979, გვ. 499-500.

სხვადასხვა მოლაპარაკების დროს. მაგალითად, XIII ს-ის მინურულს აჯანყებულმა დავით VI-მ ყაენთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა კათალიკოსი აბრამი, დიდებული ივანე ბურსელი და თბილელი ყადი.⁶⁸

ყოველივე ეს მოწმობს, რომ XIII საუკუნეში საქართველოს სამეფო კარი, ქართული ფეოდალური საზოგადოება, სათანადო ანგარიშს უწევდა თბილისის ყადიებს, რომლებიც საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდნენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ ისიც, რომ ქართული ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენისთვის ფახრ ად-დინ ალ-ხილატის სახელი საკმაოდ კარგად იყო ცნობილი.

ამ ვარაუდს ამაგრებს არაბი ავტორის იბნ შაქირ ალ-ქუთუბისა (გარდ. 1362 წ.) და ას-საფადის ვრცელ ბიოგრაფიულ ლექსიკონებში დაცული ერთი ცნობა, რომელიც, თავის მხრივ, მომდინარეობს ზაჰირ ად-დინ იბნ ალ-ქაზირუნის ჩვენამდე მოუღწეველი თხზულებიდან.

ამ ცნობის თანახმად, რაც, თავისთავად, ცალკე განხილვას საჭიროებს, ილხანთა ყაენი ჰულაგუ დაქორწინებულა ქართველთა მალიქის (მეფის, დიდებულის?) დავითის ქალიშვილზე, რომლის სახელია მამა-ხათუნი, ან თამარ-ხათუნი. ამ ქორწინების მოწმეები იყვნენ ნასირ ად-დინ ტუსი და ფახრ ად-დინ ალ-მარალი. ქორწინებას ესწრებოდა ყადი ფახრ ად-დინ ალ-ხილატიც.⁶⁹

ბუნებრივად გვეჩვენება დავუშვათ ფახრ ად-დინ ალ-ხილატის – სახელგანთქმული სუფის, ავჰად ად-დინ ქირმანის მიმდევრის, გამოჩენილი ექიმის, მათემატიკოსის და ასტრონომის – კავშირებიც ქართული კულტურის მოღვაწეებთან, ქართველ მეცნიერებთან,⁷⁰ მაგრამ ყოველივე ეს, პირდაპირი ფაქტების უქონლობის გამო, მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებში რჩება.

⁶⁸ ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი III, თბ., 1966, გვ. 242-243; სინ, ტ. III, გვ. 610, შენ. 1.

⁶⁹ Fawat al-wafayat by Ibn al-Kutubi (+764/1362). Ed. by Ihsan Abbas, vol. IV, Beirut, 1974, გვ. 240-241; Das biographische Lexicon des Salahaddin Halil Ibn Aibak as-Safadi. Teil 27, Beirut, 1997, გვ. 400; ზაჰირ ად-დინ იბნ ალ-ქაზირუნისთვის ეს ამბავი გადაუცია მარადის ობსერვატორიის ერთ-ერთ თანამშრომელს, მათემატიკოსს, ინჟინერს, ასტრონომსა და ქათიბს ნაჯმ ად-დინ აჰმად იბნ 'ალი იბნ აბი ლ-ფარაჯს, რომელიც იბნ ალ-ბავვაბ ალ-ბაღდადის სახელით იყო ცნობილი (მის შესახებ იხ. იბნ ალ-ფუვატი. *თალხის მაჯმა* ' ალ-ადაბ, ტ. IV/3, გვ. 399. გამომცემლის, მ. ჯავვადის შენიშვნა). ამ იბნ ალ-ბავვაბს შეუდგენია საქორწინო კონტრაქტიც. აქვე დავძენთ, რომ ჰულაგუს ქართველი ცოლის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში რაიმე ცნობა არ შეგხვედრია.

⁷⁰ მეცნიერების სხვადასხვა დარგის, მათ შორის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, მედიცინის და, განსაკუთრებით, ასტრონომიის განვითარების შესახებ X-XIII სს საქართველოში იხ. კეკელიძე. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. II, თბ., 1981, გვ. 37.

ფაზრ ად-დინ ალ-ხილატი თბილისის მუსლიმთა საზოგადოების კულტურული წრის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი წარმომადგენელია.

ძნელი წარმოსადგენია თბილისის საამირო და შემდეგ XII-XIII საუკუნეებში მუსლიმებით მეტ-ნაკლებად მჭიდროდ დასახლებული თბილისი არაბული და სპარსულენოვანი მუსლიმი მწერლების, პოეტებისა და მეცნიერების გარეშე. მაგრამ ვინ იყვნენ ისინი, რა მემკვიდრეობა დაგვიტოვეს და რა როლი შეასრულეს, საკუთრივ, თბილისელმა თუ თბილისიდან მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა ქალაქსა და მხარეში სხვადასხვა მიზეზით ემიგრირებულმა მუსლიმებმა საერთო-მუსლიმური (არაბულ-მუსლიმური, სპარსულ-მუსლიმური) კულტურის შექმნაში, ანდა ქართული კულტურის განვითარებაში?

ამ კითხვაზე სრული პასუხის გაცემა მომავლის საქმეა და შესაძლებელია მხოლოდ არაბული და სპარსული მრავალრიცხოვანი წერილობითი (ისტორიული და გეოგრაფიული ლიტერატურა და სხვ.) წყაროების გულდასმით შესწავლის საფუძველზე.⁷¹ წინამდებარე წერილი კი მცირე წვლილია ამ პრობლემატიკის კვლევის რთულ გზაზე.

⁷¹ იხ. ე. სიხარულიძე. ას-სამანის ცნობები საქართველოს შესახებ. – სიამ, წიგნი I, თბ., 1976, გვ. 45-53. წინამდებარე სტატიის პირველი გამოცემის (1984 წ.) შემდეგ ამ მიმართულებით გარკვეული შედეგები იქნა მიღწეული: იხ. გ. ჯაფარიძე. მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით. – მაცნე (ელს), 1989, №4, გვ. 77-88; 1990, №1, გვ. 65-78 და ამავე კრებულში: ნისბა ათ-თიფლისი VIII-XIV საუკუნეების ისლამურ სამყაროში, გვ. 42-79) და მისივე. ად-დუმანისი – იშვიათი არაბული ნისბა (კონსტანტინე წერეთელი, 80. საიუბილეო კრებული, მიძღვნილი კონსტანტინე წერეთლის 80 წლისთავისადმი, თბ., 2003, გვ. 107-109 და ამავე კრებულში გვ. 247-252).

A 13th CENTURY TBILISI SCHOLAR AT MARAGHA OBSERVATORY

The article reviews the life and activity of Tbilisi Muslim scholar Fakhr al-Din al-Khilati, one of the collaborators of Maragha observatory which was established by Nasir al-Din al-Tusi on the direct order of Ilkhan Hulagu in 1259.

According to the Talkhis al-madjma' al-adab fi mu'djam al-alkab of Ibn al-Fuwati (d. 1323), Fakhr ad-Din al-Khilati was born in 1191. During 1204-1213 he studied medicine at Ibn Hubal al-Baghdadi, traditions at Majd al-Din Ibn al-Athir as well mathematics and astronomy in Mosul. He later became a famous doctor, astronomer and mathematician.

Fakhr al-Din al-Khilati was one of 17 students and the followers of Awhad al-Din al-Kirmanī, famous Iranian mystic. In the 1240s-1250s he received a position of kadi, Muslim judge in Tbilisi and its environs. From there he was invited to Maragha observatory in 1259.

Fakhr al-Din al-Khilati, along with other astronomers and mathematicians of the observatory, under the guidance of Nasir al-Din al-Tusi, participated in the composition of al-Zidj al-Ilkhani ("Ilkhanid astronomical tables") and after the death of al-Tusi (in 1274) – of its further improvement and revision. Fakhr al-Din al-Khilati's mathematical treatise *Nur al-dalala fi 'l-jabr wa 'l-mukabala* is extant.

Fakhr al-Din al-Khilati died in Maragha in 1282.

ქართული ნოხების ექსპორტის შესახებ XIII საუკუნეში*

XII-XIII საუკუნეებში საქართველოს დიდი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდა მეზობელ ქვეყნებთან. განვითარებული იყო როგორც საიმპორტო, ისე – საექსპორტო ვაჭრობა. იმდროინდელი ქართული და აღმოსავლური წყაროები ასახელებენ მრავალფეროვან ხელოსნურ ნაწარმს, რომელიც საქართველოდან საზღვარგარეთ გაჰქონდათ. საამისო ცნობები არაერთ ქართველ მკვლევარს აქვს მოხმობილი და სათანადოდ შეფასებული.¹

საქართველოს საექსპორტო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საფეიქრო ნედლეულსა და საფეიქრო ხელოსნობის ნაკეთობებს. ამის შესახებ ორიგინალური და უაღრესად საყურადღებო ცნობებია დაცული XIII ს-ნის არაბი გეოგრაფისა და კოსმოგრაფის ზაქარია ალ-კაზვინის (გარდ. 1283 წ.) თხზულებაში *ასარ ალ-ბილაღ ვა ახბარ ალ-იბად* („ქალაქთა ძეგლები და ალლაჰის მონათა ამბები“),² რომელიც 1275 წ. დაიწერა. თბილისის აღწერის დროს აქ დასახელებულია ის სავაჭრო საქონელი, რომელიც ქალაქიდან გაჰქონდათ; კერძოდ კი, აბრეშუმის, თხელი შალი, ქვეშაგები, ტანსაცმელი, მრავალნაირი ნაბდები და ნატიფი (ფაქიზი, რბილი/არაბ. რაკიკ) ნოხები.³

²⁴ А. А. Быков. Находки средневековых индийских монет в Восточной Европе. – ЭВ, 1969, №19, с. 73-77.

²⁵ М. А. Al-‘Ush. *Traces...*, с. 309.

²⁶ А. Марков. *Инвентарный каталог мусульманских монет императорского Эрмитажа*, СПб., 1896, с. 962, №1086 АА.

Единственный такой экземпляр из коллекции полковника Х.Троттера в 1892 г. без иллюстрации опубликовал Ст. Лэн-Пуль.²⁷

Серебряные монеты ал-Муктадира би-ллах и ал-Мути‘ ли-ллах с изображением зайца

№4. Без места и года чекана, 22,5 мм, 3,47 г, №1185 (табл. 4), с отверстием. Из бывшей коллекции Е. Пахомова.

Л.ст. В поле: восьмиугольник, внутри которого находится изображение зайца. Вокруг надпись: الإمام المقتدر بالله جعفر – Имам ал-Муктадир би-ллах, Джа‘фар.

Об. ст. как л. ст.

Монета является большой редкостью. Насколько нам известно, единственный подобный экземпляр из собрания музея Борджии в Риме в 1792 г. опубликовал И. Адлер.²⁸

№5. Без места и года чекана. 19,5 мм, 3,40 г, №12507 (табл. 5), с отверстием. Эту, видимо, уникальную монету впервые без иллюстрации опубликовал А.Марков.²⁹

Л.ст. В поле: восьмиугольник, внутри которого находится изображение зайца влево. Вокруг надпись: الإمام المطيع لله الفضل - Имам ал-Мути‘ ли-ллах, ал-Фадл. Об. ст. как л. ст.

Золотая монета ал-Муктадира би-ллах с изображениями сокола и верблюда

№6. Мадинат ас-салам, 304/916-17 г, 35,5 мм, 8,47 г, №5153 (табл. 6), с отверстием у края, где, видимо, было припаяно ушко. Впервые опубликовал И. Г. Добровольский в 1987 г.³⁰

Л.ст. В поле: изображение сокола с распростертыми крыльями. Вокруг три линейных ободка, средний из которых толще остальных. За ними

²⁷ St. Lane-Poole. Указ. соч., с. 172. Отметим также, что монеты типа “бык и всадник” выпускались и такими мусульманскими династиями, как Саманиды, Газневиды, Гуриды, не говоря уж о Делийских султанах (XIII в.) и других правителях Индии. См. J. Walker. *Islamic Coins*, с. 127; M. Mitchiner. *The World of Islam*, №651-652.

²⁸ I.G. Adler. *Museum cuficum Borgianum Velitris*. Pars II, Hanfiae, 1792, с. 48, tab. XXVII B.

²⁹ А. К. Марков. *Инвентарный каталог...*, с. 879, №1086.

³⁰ И. Г. Добровольский. Уникальный динар халифа ал-Муктадира из собрания Эрмитажа. – *Тезисы докладов конференции “Новое в советской нумизматике и нумизматическом музееведении (К 200-летию Отдела нумизматики Эрмитажа)”*. Л., 1987, с. 16.

круговая легенда: باسم الله ضرب هذا الدينار بمدينة السلام سنة أربع (و) ثلاثمائة لعبد الله جعفر الأمير – Именем Аллаха чеканен этот динар в Мадинах ас-саламе в 304 году для раба божья Джа‘фара амира ал-Муктадира би-ллах.

Об. ст. В поле: изображение взнузданного двугорбого (бактрийского) верблюда под седлом. Слева – ветка, сверху – украшение, назначение которого непонятно. Вокруг три линейных ободка, средний из которых толще остальных. За ними круговая легенда: 33 стих IX суры Корана: مُحَمَّدٌ رَسُولُ اللَّهِ أَرْسَلَهُ بِالْهُدَىٰ وَدِينَ الْحَقِّ لِيُنظِرَهُ عَلَىٰ الدِّينِ كُلِّهِ وَلَوْ كَرِهَ الْمُشْرِكُونَ – Мухаммад посланник Аллаха, который послал его прямым путем и религией истины, чтобы проявить ее выше всякой религии, хотя бы и ненавидели это многобожники.

Как видно, изображения сокола и верблюда на л. и об. ст. монеты заменяют характерные для аббасидских динаров центральные легенды религиозного характера, исходящие из Корана. Помещение изображения верблюда на монетах имеет древнюю традицию: подобные примеры можно привести из римской, кушанской и согдийской нумизматики.³¹ Одногорбый верблюд изображен на вышеупомянутом уникальном дирхеме ал-Мутаваккила. Что касается сокола, то его изображение, хоть и получившее широкое распространение в мусульманском искусстве,³² на монетах встречается впервые.

Обращает на себя внимание не совсем обычная и не характерная для аббасидских динаров круговая легенда. После выпускных сведений в ней упоминается “раб божий” (‘абдаллах) Джа‘фар, ал-Муктадир би-ллах. Насколько нам известно, выражение “раб божий” в сопровождении с именем халифа встречается на арабских монетах конца VII – начала VIII в., притом на фельсах.

В отличие от других монет ал-Муктадира с изображениями живых существ,³³

³¹ H.A. Grueber. *Coins of the Roman Republic in the British Museum*. vol. II. London, 1910, с. 589-590; R. W. Bulliet. *The Camel and the Wheel*. Cambridge, 1975, с. 91-92, 101, 169, 232; О. И. Смирнова. Двугорбый верблюд на согдийских монетах, – *Страны и народы Востока*. М., 1987, вып. XXV, с. 142-148. Л. И. Ремпель. Фрагмент бронзовой статуи верблюда и крылатый верблюд Варахши (К вопросу о природе согдийского искусства). – *Средняя Азия в древности и средневековье* (история и культура). М., 1977, с. 99.

³² При ал-Муктадире чеканились и другие монеты необычного типа, которых нет в собрании Эрмитажа. Так, известен уникальный дирхем этого халифа, на обеих сторонах которого он изображен с чашей вина и лютней в руках – H. Nützel. Eine Porträtmedaille des Chalifen el-Muktadir-Billah. – *ZN*, 1900, Bd. 22, с. 259-265. Отметим, также, интересную золотую монету, поле л. и об. ст. которой, вместо обычных легенд, занимает орнамент – *Treasures of Islam*. Ed. by T.Falk. London, 1985, №551.

³³ Вместе с тем, имеются сведения о других дарственных монетах при ал-Муктадире. Так, ‘Ариб в своем продолжении исторического труда ат-Табари в событиях 301/93-14 и 307/919-

этот динар носит выпускные сведения – место и год чекана. К сожалению, в арабских письменных источниках, описывающих события 304 г.х., нам не удалось обнаружить какого-нибудь намека о чекане динаров такого необычного типа.

Каково было применение памятных или же дарственных монет с изображениями живых существ? Отверстия, проделанные в этих монетах и следы от напайки ушков говорят о том, что они служили украшением и тем самым представляли собой эстетическое сокровище. Вместе с тем, в случае необходимости, эти монеты могли превратиться в средство обращения и платежа. Обнаруженная в Багдадском кладе одна серебряная монета ал-Муктадира, типа “бык и всадник”,³⁴ указывает на то, что она могла обращаться наравне с чисто эпиграфическими монетами установленного типа.

920 годов, в качестве дарственных монет, упоминает дирхемы и динары *ал-Мусаййафа* (‘Ариб б. Са‘д ал-Куртуби. Силат та’рих ат-Табари. – в кн. *Зуийул та’рих ат-Табари*, т. XI. Тахкик М.А.Ф. Ибрахим. Дар ал-ма‘ариф, без м. и д., с. 45, 73). *Ал-Мусаййафа* были монеты, стороны которых не имели надписей и изображений (См. Ибн Манзур. *Лисан ал-‘араб*, т. 18, без м. и д., с. 2172. E.W. Lane. *An Arabic-English Lexicon*. Book I, pt. 3, London. 1872, с. 1486).

³⁴ И. Салман. *Сувар мин хаййат*, с. 1; Н. Накшабанди. Нукуд ас-силат ва-д-диа‘йя. – *Ал-Маскукат*, 1972, №3, с. 11.

ტაბულა



თბილისის ამირას 'ალი იბნ ჯა'ფარის მონეტები*

ამირა 'ალი იბნ ჯა'ფარი (X ს-ის მიწურული – XI ს-ის 20-იანი წლები) ერთ-ერთი წარმომადგენელია ჯა'ფარიანთა (ბანუ ჯა'ფარ) არაბული დინასტიისა, რომელიც თბილისში დაახლოებით IX ს-ის 80-იან წლებში დამკვიდრდა¹ და ქალაქს ორი საუკუნის მანძილზე ფლობდა.

X-XI საუკუნეების მახლობელი და შუა აღმოსავლეთის მრავალი მუსლიმი გამგებლის მსგავსად, ჯა'ფარიანები ჭრიდნენ საკუთარ მონეტებს,² რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ დინასტიის ისტორიისა და ქრონოლოგიის შესასწავლად. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მათ შემოგვინახეს ზოგიერთი ჯა'ფარიანი ამირას (მანსურ იბნ ჯა'ფარი, ჯა'ფარ იბნ მანსური) სახელები და მხოლოდ მონეტების მონაცემებით განისაზღვრება მმართველობის ხანა თავად 'ალი იბნ ჯა'ფარისა, რო-

* პირველად დაიბეჭდა 1991 წ. – კრ. *ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები*, თბ., გვ. 132-150; რუსულ ენაზე: О монетах Тбилисского ами́ра Али б. Джа́фара. – Сб. *Восточное источниковедение и специальные исторические дисциплины*. Вып. V. М., 1997, გვ. 204-216; ინგლისურ ენაზე: On the Coins of the Tbilisi Amir 'Ali B.Ġa'far. – *BEO*, Damas, 1998, t. L. გვ. 97-107.

¹ ჯა'ფარიანთა ისტორიისა და ქრონოლოგიის შესახებ იხ. მ. ლორთქიფანიძე. თბილისის საამიროს ისტორიიდან. – კრ. *მიმომხილველი*, ტ. 2. თბ., 1951, გვ. 196-201. მისივე. თბილისის საამირო. – *სინ*, ტ. 2, თბ., 1973, გვ. 502-504; მისივე. ჯა'ფარიანები. – *ქსე*, ტ. 11. თბ., 1987, გვ. 543. შ. მესხია. *საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში*. – შ. მესხია. *სასტორიო ძიებანი*. ტ. 2. თბ., 1982, გვ. 212, 236-247. V. Minorsky. *Caucasica in the history of Mayyafaricin*. – *BSOAS*, vol. XIII, pt. I, 1949, გვ. 31-32; მისივე. *Studies on the Caucasian History*. London, 1953, გვ. 19, 23, 43, 46, 56-57.

² ჯა'ფარიანები თბილისში საკუთარი მონეტების ჭრას იწყებენ X ს. 50-იანი წლებიდან (Е. Пахомов. *Монеты Грузии*. Тб., 1970, გვ. 46-49; А. Молчанов. *Дирхам тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х. – Девятая Всероссийская конференция Великий Новгород, 16-21 апреля 2001 г. Тезисы докладов и сообщений*. СПб. Гос. Эрмитаж, 2001, с. 58-60, илл.). ჰიჯრის 335/946-47 წლამდე აქ დირჰემები გამოდიოდა აბასიანთა სახელით (И. Джалаганиа. *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.* Тбилиси, 1979, გვ. 59-62). ლიტერატურაში მოხსენიებულია ერთი თბილისური ოქროს მონეტაც (დინარი), რომელიც ხალიფა ალ-მუთათაქი ბი ლ-ლლაჰს (940-944) ეკუთვნის. იხ. Collection White-King. Troisieme partie. Monnaies des Khalifes Arabes, de Maroc et d'Egypte etc. Collection du Dr. White-King vente a Amsterdam le 26 juin 1905, Amsterdam, 1905, №2139. რამდენად სწორედ არის განსაზღვრული ეს მონეტა და სად ინახება დღეს ის, ჩვენთვის უცნობია.

მელსაც ქართული და არაბული წერილობითი წყაროები უაღრესად იშვიათად იხსენიებენ.³

'ალი იბნ ჯა'ფარის მონეტები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, მოჭრილია ჰიჯრის 386–418/996–97–1027–28 წლებში. ისინი ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან სხვა ჯა'ფარიანთა მონეტებთან შედარებით.⁴ ჩემთვის ცნობილია 460-ზე მეტი მისი დირჰემი, რომლებიც დაცულია როგორც რუსეთის, ისე – უცხოეთის მუზეუმებში. ამ მონეტების დიდი ნაწილი (431 ეგზ.) მოდის თბილისისა და სოფ. ქვახვრელის (ქ. გორის მახლობლად) განძებიდან.

პირველი აღმოჩნდა 1953 წ. მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის გამაგრების დროს, გოგირდის აბანოების მიდამოებში.⁵ 421 მონეტა ამ განძიდან სხვადასხვა დროს შემოვიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და აქ ინახება (ნუმისმატიკის განყოფილება, განძები №№8252–8547, 16928–17031, 20807–18, 22470–78), 2-2 მონეტა საჩუქრად გადაეცა პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟს და მოსკოვის სახელმწიფო ა.ს. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმს, ხოლო სამი მონეტა – მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს.

რაც შეეხება ქვახვრელის განძს,⁶ მისი ნაწილი დაიფანტა და ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ამ განძიდან დაცულია მხოლოდ 10 მონეტა (ნუმისმატიკის განყოფილება, განძები №№18786–18795).

³ ერთადერთი ქართული წყარო, სადაც 'ალი იბნ ჯა'ფარი იხსენიება, არის 1020 წლით დათარიღებული მცხეთის სვეტიცხოვლისადმი მელქისედექ კათალიკოსის დაწერილის ადრეული ნაწილი (ქართული ისტორიული საბუთები IX–XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, მ. ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 27). არაბული წყაროებიდან იხ. იბნ ალ-კიფტი. *ინბაჰ არ-რუეათ 'ალა ანბაჰ ან-ნუხათ*. ბი-თაჰკიკ მუჰამედ აბი ლ-ფადლ იბრაჰიმი. *ჯუზ' ალ-ავვალ (ალ-კაჰირა, 1369/1950, გვ. 290, 168)*. აქ დასახელებულია თბილისელი მეცნიერი (ლიტერატორი და გრამატიკოსი) აბუ მუჰამმად ალ-ჰასან იბნ ბუნდარ ათ-თიფლისი, რომელმაც ამირა 'ალი იბნ ჯა'ფარს ერთ-ერთი თავისი ნაშრომი უძღვნა. გ. ჯაფარიძე. *მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით. მაცნე (ელს), 1989, 4, გვ. 85–86.*

⁴ ნუმისმატიკურ ლიტერატურაში აღნუსხულია მხოლოდ 13 დირჰემი, რომლებიც 'ალი იბნ ჯა'ფარის წინამორბედმა ამირებმა – მანსურ იბნ ჯა'ფარმა და ჯა'ფარ იბნ მანსურმა მოჭრეს. *И. Джалагания. დასახ. ნაშრ., გვ. 73; А. Молчанов. დასახ. ნაშრ., გვ. 58–60.*

⁵ განძი შეისწავლა და გამოსცა დ.კაპანაძემ (Д. Капанадзе. *Клад монет XI в. Тбилисского эмира Али ибн Джафара. – Доклад на сессии Института истории материальной культуры АН СССР, 27. IV. 1954.* მისივე. *Клад монет начала XI в. Тбилисского эмира Али ибн Джафара. – ЭВ, 1961, т. XIV, гв. 71–78*). დამატებითი ინფორმაცია მის შესახებ აქვს ი. ჯალალანიას (И. Джалагания. *დასახ. ნაშრ., გვ. 65–67*), რომელიც აღნიშნულ განძს მეტეხის განძს უწოდებს, ალბათ იმის გამო, რომ ის აღმოჩნდა თანამედროვე მეტეხის ხიდის მახლობლად.

⁶ მ. ანთაძე. *ქვახვრელის განძი. – სსმ მოამბე. ტ. XXXVIII, თბ., 1986, გვ. 121–125.*

‘ალი იბნ ჯა’ფარის მონეტები სამუზეუმო კოლექციებში	რაოდენობა
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (სსმ)	440
მოსკოვის სახელმწიფო ა.ს.პუშკინის სახ. სახვითი ხე-ლოვნების მუზეუმი (მსსხმ)	17
მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (მსიმ)	4
პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟი (პე)	3
სომხეთის სახელმწიფო მუზეუმი (სმსმ)	1
ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოება (ანს)	1
სულ	466

ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში არ იყო დასახელებული ‘ალი იბნ ჯა’ფარის 15 დირჰემი, რომლებიც დაცულია მსსხმ-ში (№№199981 – 199995). ისინი მუზეუმს 1959 წ. გადასცა მოსკოვის მხატვრული გამოფენებისა და პანორამების დირექციამ. სამწუხაროდ, მათი წარმომავლობის გარკვევა არ მოხერხდა. მაქვს ეჭვი, რომ ეს მონეტები თბილისის განძიდან მომდინარეობენ.

‘ალი იბნ ჯა’ფარის მონეტებმა დიდი ხანია მიიპყრეს მკვლევართა (ა. მარკოვი, დ. კაპანაძე, ე. პახომოვი, დ. ლენგი, ხ. მუშელიანი, ი. ჯალაღანია, მ. ანთაძე,) ყურადღება და ითვლება, რომ ამ ამირას სახელით იჭრებოდა სამი სხვადასხვა ტიპის დირჰემები.⁸ მაგრამ, უკანასკნელ ხანებში ‘ალი იბნ ჯა’ფარის ნუმიზმატიკური მასალების ხელახალმა კომპლექსურმა შესწავლამ მიჩვენა, რომ სინამდვილეში მისი სამონეტო ტიპების რაოდენობა გაცილებით მეტია. გარდა ამისა, გაირკვა ისიც, რომ დაზუსტებას მოითხოვს ამ ამირას ზოგიერთი ადრე ცნობილი დირჰემის აღწერა, დათარიღება და განსაზღვრა. ყოველივე ამან განაპირობა წინამდებარე წერილის მომზადება.

‘ალი იბნ ჯა’ფარის დირჰემების ტიპები, რომელთა დახასიათება ქვემოთ არის მოტანილი, წარმოდგენილია როგორც იშვიათი და უნიკალური, ისე – მრავალრიცხოვანი ეგზემპლარებით.

⁷ ამ მონეტებზე მიმითითა უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის (ქ. სამარყანდი) უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ან განსვენებულმა არქეოლოგმა და ნუმიზმატმა ბორის კოჩნევმა. მონეტის ფოტოსურათები მოგვანოდა მსსხმ-ს ნუმიზმატიკის განყოფილების თანამშრომელმა ნ. ასავინამ (სმირნოვამ).

⁸ И. Джалагания. დასახ. ნაშრ. გვ. 64.

I ტიპი

AR ჰიჯრის 386/996-97 წ. 28 მმ, 3,84 გ. სსმ, განძები №5129 (ტაბ. 1). მონეტა აღმოაჩინა და გამოაქვეყნა დ. კაპანაძემ,⁹ რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული ნუმიზმატიკის შესწავლასა და განვითარებაში.

შუბლი. ცენტრში სამსტრიქონიანი ზედწერილია:

لا اله الا الله
 الله وحده
 لا شريك له

გარშემო ბრტყელი ხაზოვანი რკალია, რომლის შიგნითაც ხსენებული ზედწერილის ოთხივე მხარეზე (ზემოთ, ქვემოთ და გვერდებზე) მოთავსებულია ოთხი პატარა რგოლი. რკალის გარეთ ორი გარშემოვლებული ზედწერილია:

I (შიდა): بسم الله ضرب هذا الدرهم بنقليس سنة ست و ثمانين و ثلاثمائة

სახელითა ალლაჰისა, მოიჭრა ეს დირჰემი თბილისს 386 წელს.

II (გარეთა): ყურანის XXX სურის მე-3 აია:

الله الامر من قبل و من بعد و يومئذ يفرح المؤمنون بنصر الله

ძალაუფლება ალლაჰისაა, ადრეც და მერეც და იმ დღეს გაიხარებენ მორწმუნენი ალლაჰის შეწევნით. კიდევ შემორჩენილია ხაზოვანი რკალის ფრაგმენტი. ზურგი. ცენტრში ხუთსტრიქონიანი ზედწერილია:

محمد
 رسول الله
 الطابع
 الامير المظفر
 علي بن جعفر

ცენტრალური ზედწერილი შემოზღუდულია ხაზოვანი რკალით, რომლის გარშემო აღბეჭდილია ყურანის IX სურის 33-ე აია:

محمد أرسله بالهدى و دين الحق ليظهره علي الدين كله و لو كره المشركون رسول الله

მუჰამმადი მოციქულია ალლაჰის, რომელმაც გამოგზავნა ის სწორი გზითა და რწმუნებით ქეშმარიტით, რათა აღამაღლოს ყველა სარწმუნოებაზე, თუნდაც სძულდეთ ეს ურწმუნოებს.

ე. პახომოვის თანახმად, 'ალი იბნ ჯა'ფარის 386 წლის კიდევ ერთი დირჰემი დაცულია მსიშში.¹⁰ ვინაიდან მუზეუმი იმჟამად რემონტის გამო დაკეტილი იყო, ამ მონეტის ნახვა არ მოხერხდა. მაგრამ მისი ანაბეჭდი ქალაქ-

⁹ დ. კაპანაძე. X ს. თბილური დრამა ალი ბენ ჯაფარისა. – სსმ მოამბე. ტ. XII-B, თბ., 1944, გვ. 183-189.

¹⁰ Е. Пахомов. Монетные клады Азербайджана и других республик и областей Кавказа. Баку, Вып. VII, 1957, გვ. 39.

დზე და მეტროლოგიური მონაცემები (27–28 მმ, 4,62 გ.) მოვიძიე ე. პახომოვის მდიდარ კარტოთეკაში, რომელიც დაცულია ერმიტაჟის ნუმისმატიკის განყოფილებაში. ანაბექდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს მონეტა, თავისი ტიპით არ განსხვავდება სსმ-ის ეგზემპლარისგან, თუმცა კი, აშკარად სხვა სიქით არის მოჭრილი.

386/996-97 წლის დირჰემები გვაძლევენ ‘ალი იბნ ჯა‘ფარის მმართველობის ყველაზე ადრეულ და, შესაძლოა, სანყის თარიღსაც კი.

ამირა ‘ალი იბნ ჯა‘ფარი, პირველად ჯა‘ფარიანთა შორის, ამ მონეტებზე ატარებს ლაკაბს (ტიტულს) *ალ-მუზაფფარ*, რაც გამარჯვებულს ნიშნავს. ამ მონეტების მნიშვნელოვანი თავისებურება, რამაც უკვე მიიპყრო მკვლევართა (დ. კაპანაძე, მ. ლორთქიფანიძე, დ. ლენგი) ყურადღება, არის ის, რომ მათზე იხსენიება აბასიანი ხალიფა ატ-ტა’ი’ ლი-ლლაჰი (974-991), ნაცვლად ალ-კადირ ბი-ლლაჰისა (991-1031). ეს უკანასკნელი ხალიფა გახდა მას შემდეგ, რაც ბუვე-იჰელმა ბაჰა ად-დავლამ ტახტიდან ჩამოაგდო ატ-ტა’ი’ ლი-ლლაჰი.

ალ-კადირი ყველა მუსლიმმა გამგებელმა მაშინვე არ ცნო, მით უმეტეს, რომ დამხობილი ხალიფა ცოცხალი დარჩა. ‘ალი იბნ ჯა‘ფარის მსგავსად, სამანიანები და ბუვეიჰელთა ზოგიერთი შტოს წარმომადგენლებიც კი განაგრძობდნენ ატ-ტა’ი’ ლი-ლლაჰის მოხსენიებას ხუტბაში და მონეტებზე.¹¹ მუსლიმთა სულიერ მეთაურად. ხორასანში ალ-კადირი ხალიფად აღიარეს მხოლოდ 389/999 წ., სამანიანებზე მაჰმუდ ლაზნეველის გამარჯვების შემდეგ.¹² დაახლოებით 390/1000 წ. ალ-კადირის ძალაუფლება მნიშვნელოვნად განმტკიცდა.¹³ ხოლო ატ-ტა’ი’ ლი-ლლაჰის სიკვდილის (393/1003 წ.) შემდეგ კი მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა.

ნიშანდობლივია, რომ ‘ალი იბნ ჯა‘ფარის სხვა დირჰემებზე ალ-კადირ ბი-ლლაჰი ჩვეულებრივ იხსენიება ხოლმე.

II ტიპი

AR. ჰიჯრის xx4 წ. 23 მმ, 4,12 გ. ეს უნიკალური მონეტა, რომელიც დაცულია ამერიკის ნუმისმატიკური საზოგადოების კოლექციაში. გამოაქვეყნა დ. ლენგმა¹⁴.

¹¹ G.C. Miles. *The Numismatic History of Rayy*. New York. 1938, გვ. 173-176; H.W. Mitchell. A Hoard of Dirhams from Ardekan. – *NC* 7th ser., 1965, vol. 5, გვ. 218; S.M. Stern. The Coins of Amul. – *NC*, 7th ser., 1967, vol. 7, გვ. 265-266.

¹² C. E. Bosworth. *The Ghaznavids*. Edinburgh, 1983, გვ. 28.

¹³ D. Sourdel. Al-Kadir Bi’ Llah. – *EF*, vol. IV, გვ. 378.

¹⁴ D. M. Lang. *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia*. (ANS NNM, No. 130), New York, 1955, გვ. 15.

შუბლი. მონეტის ცენტრში ოთხსტრიქონიანი ზედწერილია, რომელიც (ფოტოს მიხედვით) შუაში გაყოფილია 9 პატარა რგოლით.

لا اله الا الله
 وحده
 000 000 000
 لا شريك له
 ال-კადირ ბი-ლლაჰი

გარშემო ორი ზედწერილია:

I (შიდა): بسم الله ضرب هذا الدرهم بتفليس سنة اربع

მოიჭრა ეს დირჰემი თბილისს xx4 წელს

II (გარეთა) – ყურანი XXX₃.

კიდევ ხაზოვანი რკალია.

ზურგი. ცენტრში ხუთსტრიქონიანი ზედწერილია, რომლის მე-3 და მე-4 სტრიქონები გაყოფილია 9 პატარა რგოლით.

الله
 محمد
 امير رسول الله
 000 000 000
 المظفر ابو...
 علي بن جعفر 'ალი იბნ ჯა'ფარი

გარშემო, ხაზოვან რკალზე: ყურანი IX₃₃ (ფრაგმენტი).

განსხვავება პირველსა და მეორე ტიპებს შორის აშკარაა. ანს-ს უნიკუმზე ამირა პირველად ატარებს ქუნიას, რომლისგანაც შემორჩა მხოლოდ დასაწყისი – „აბუ“.

ხალიფას სახელი მოთავსებულია მონეტის შუბლზე და სხვ. მოჭრის თარიღი, რომელიც ფრაგმენტულად არის შემორჩენილი, დ. ლენგის თანახმად, ალ-კადირის ზეობის წლებისა და 386 წ. დირჰემის მონაცემების გათვალისწინებით, შეიძლება იყოს 394/1003-04, 404/1013-14 ან/და 414/1023-24 წწ.¹⁵. მკვლევარს არ მიუნიჭებია უპირატესობა რომელიმე მათგანისთვის. მე მისაღებად მიმაჩნია მხოლოდ 394-404 წლები, რადგანაც უკვე 413 წლიდან (თუ უფრო ადრე არა), როგორც ქვემოთ ვნახავთ, 'ალი იბნ ჯა'ფარის დირჰემები სხვა თავისებურებებით (შუბლზე აღარ არის მეორე გარშემოვლებული ზედწერილი, ამირა ატარებს ორმაგ ლაკაბს/ტიტულს და სხვ.) ხასი-

¹⁵ იქვე, გვ. 16.

ათდებიან. გარდა ამისა, ამ ტიპის მონეტები არ გვხვდება თბილისის განძში, რომლის დაგროვებაც დაიწყო სწორედ 413 წლიდან.

III ტიპი

ჰიჯრის 413/1022-23 წლის გამოუცემელი მოვერცხლილი მონეტები.

ჩემთვის ცნობილია 7 მონეტა, რომელზედაც ეს თარიღი სრულად, ან ნაწილობრივ იკითხება. ერთი მათგანი დაცულია მსსხმ-ში. ‘ალი იბნ ჯა‘ფარის სხვა 14 ღირჰემთან ერთად ეს მონეტა 1959 წ. გადაეცა მუზეუმს (იხ. ზემოთ).

1. 24 მმ. 5,29 გ. მსსხმ 19981 (ტაბ.2).

შუბლი ცენტრში ექვსსტრიქონიანი ზედწერილია:

عز لا اله الا الله وحد لا شريك له القادر بلله ٥	ძლიერება ძლიერება	არ არის ღვთაება, გარდა ალლაჰისა, ერთისა არა ჰყავს მას მოზიარე ალ-კადირ ბი-ლლაჰი ღმერთსაჲ	ძლიერება ღმერთსაჲ
--	----------------------	--	----------------------

გარშემო, ორ ხაზოვან რკალს შორის, რომელთაგან შიდა თხელია, ხოლო გარეთა, ზედა, მონეტის კიდის სიახლოვეს – სქელი, მოთავსებულია ზედწერილის ფრაგმენტი:

[سنه] ثلاث عشرة و [ربعمائة]
... [4]13 [წელს]

ზურგი. ცენტრში ექვსსტრიქონიანი ზედწერილია:

عز محمد رسول الله الامير المظفر ألمنصور ابو الحسن علي بن جعفر ٥	ძლიერება ძლიერება	მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა ამირა გამარჯვებული ძღვევამოსილი აბუ ლ-ჰასან ‘ალი იბნ ჯა‘ფარი ღმერთსაჲ	ძლიერება ღმერთსაჲ
--	----------------------	--	----------------------

გარშემოვლებული ზედწერილი ჩამოჭრილია.
413 წლის დანარჩენი 6 მონეტა დაცულია სსმ-ში (განძები, №№283, 8318,

8321, 8327, 8350, 20809). ისინი აღმოჩნდა თბილისის განძში, მაგრამ განძის გამოცემის დროს მათი იდენტიფიკაცია არ მომხდარა. მონეტების ხარისხი არადაამაკმაყოფილებელია. სამონეტო ფირფიტებისა და სიქების ზომები არ ემთხვევა ერთმანეთს, წარწერები არეებზე, ამ თუ იმ ზომით, გადაშლილია, კიდები ხშირად ჩამოჭრილია, რის გამოც გარშემოვლებული ზედწერილებიდან შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტები. ორ მონეტაზე არის ისეთი ზედწერილები, რომლებიც არ იკითხება მსსხმ-ის ეგზემპლარზე. მივუთითებ მხოლოდ მათ.

№2, 25 მმ, 3, 4 გ. სსმ, განძები №8331 (ტაბ. 3).

ზურგი. გარშემოვლებული ზედწერილი: ყურანის IX სურის 33-ე აიას ფრაგმენტი:

.... [ب]لهى و دين الحق

...სწორი გზი[თა] და რწულით ქემმარიტი...

3. 22 მმ, 3,55 გ. სსმ, განძები №10809 (ტაბ. 4).

შუბლი. ორ ხაზოვან რკალს შორის, რომელთაგან ქვედა თხელია, ხოლო ზედა – მონეტის კიდის სიახლოვეს – სქელი, იკითხება გარშემოვლებული ზედწერილის ფრაგმენტი:

[مدينة تغليس سنة ثلث و أربع مائة عشرة]

... ქალაქ (მადინა) თბილისის [41]3 წელს

III ტიპის აღნიშნულ მონეტებზე, მართალია, ნომინალის სახელწოდება არ შემოინახა, მაგრამ, უეჭველად, ეს იყო დირჰემი. ამ სიკცვას მე ნაწილობრივ ვკითხულობ თბილისის განძის ერთ ეგზემპლარზე (სსმ, განძები №8352 – 28 მმ, 5,07 გ). თარიღი ამ მონეტაზე წაშლილია, მაგრამ, თავისი თავისებურებებით, აშკარად 413 წ. არის მოჭრილი.

ამგვარად, III ტიპის მონეტების შუბლზე გარშემოვლებული ზედწერილი ასე აღდგება:

بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة تغليس سنة ثلث عشرة و أربع مائة

სახელითა ალლაჰისა, მოიჭრა ეს დირჰემი

ქალაქ (მადინა) თბილისის 413 წელს.

ზურგის გარშემოვლებული ზედწერილია: ყურანი XI₃₃.

413 წლის დირჰემებზე არ არის არავითარი ნიშანი შუბლის მეორე გარშემოვლებული ზედწერილისა, რომელიც დამახასიათებელი იყო 'ალი იბნ ჯა'ფარის ადრეული მონეტებისთვის.¹⁶ ზარაფხანად აღნიშნულია არა უბრალოდ

¹⁶ E. Пахомов. *Монеты Грузии*, გვ. 38-48.

თიფლის-ი (თბილისი), არამედ მადინა (ქალაქი) თიფლის-ი.¹⁷ უფრო დიდებუ-
ლია ამირას ტიტულატურა. ახლა ის ატარებს ორმაგ ლაკაბს/ტიტულს: *ალ-
მუზაფფარ* (გამარჯვებული), *ალ-მანსურ* (ძლევამოსილი). სრულად იკითხება
ქუნია (მამობის აღმნიშვნელი სახელი) აბუ ლ-ჰასან. სიტყვა 'იზზ (ძლიერება),
რომელიც აღბეჭდილია III ტიპის მონეტების შუბლის და ზურგის ცენტრალუ-
რი ზედწერილის ოთხივე მხარეს, სიახლეა ჯაფარიანთა ნუმისმატიკაში. ყვე-
ლა აღნიშნული ნიშნით 413 წლის დირჰემები ადვილად განსხვავდება 'ალი იზზ
ჯა'ფარის წინამორბედი მონეტებისგან.

IV ტიპი

ჰიჯრის 418/1027-28 წლის მოვერცხლილი დირჰემები.

ეს მონეტები თბილისის განძიდან პირველად გამოაქვეყნა დ. კაპანა-
ძემ. იმის გამო, რომ მონეტების ზედწერილები ცუდად შემოინახა, სრული
სახით მათი აღდგენა მან მოახერხა რამდენიმე ეგზემპლარის შეჯერება –
შედარების გზით. მიუხედავად ამისა, IV ტიპის აღწერა მაინც საჭიროებს
დაზუსტებას და შევსებას. მისი რეკონსტრუქციისათვის მე გავითვალის-
წინე მსსსმის 16 დათარიღებული მონეტა (№199983 – 27 მმ. 4,96 გ. ტაბ.
5., №199985 – 23 მმ, 3,94 გ. ტაბ. 6. №№199993 და 199995) და სსმ-ის (გან-
ძები №№18787 – 24 მმ. 6,36 გ. ტაბ. 7 – ქვახვრელის განძიდან, №№8282,
8285, 8326, 8336, 8345, 8353, 8359, 8362, 8403 17030, 20808 – თბილისის
განძიდან) კოლექციებიდან და, აგრეთვე, 3 მონეტა ნაშლილი თარიღით
(სსმ, განძები №№8346, 8348, 22471), რომლებიც, ყველა ნიშნით, აშკარად
418 წ. მოიჭრა.

შუბლი. ცენტრში ისევეა, როგორც 413 წ. მონეტებზე.¹⁸ გარეშემო, ერ-
თი სქელი ხაზოვანი რკალის ქვემოთ ზედწერილია:

ثمان عشرة و أربعمئة بسم الله ضرب هذا الدرهم¹⁹ بمدينة²⁰ بتغليب سنة

სახელითა ალლაჰისა მოიჭრა ეს დირჰემი

ქალაქ (მადინა) თბილისის 418 წელს.

¹⁷ 413 წლამდე, ამ მხრივ, ერთადერთი გამონაკლისი, ალბათ, არის მანსურ იზზ ჯა'ფა-
რის 364 წ. დირჰემი, რომელზედაც, შესაძლოა, ასევე იკითხება ქალაქი თბილისი/მადინა
თიფლის. E. Пахомов. *Монеты Грузии*, გვ. 48.

¹⁸ დ. კაპანაძის აღწერაში გამოტოვებულია სიტყვა *عز* ('იზზ).

¹⁹ იკითხება მხოლოდ ერთ მონეტაზე (სსმ, განძები, 22471) ნაშლილი თარიღით

²⁰ სიტყვა *მადინა* (ქალაქი) აღდგება თბილისის განძის ორ ეგზემპლარზე (სსმ, განძები
8346, 8348) ნაშლილი თარიღით. პირველზე დ. კაპანაძემ ნაიკითხა მხოლოდ თიფლის.
მის მიერ მითითებულ კიდევ ორ დირჰემზე (სსმ, განძები 8352, 8354) ზარაფხანა საერ-
თოდ არ იკითხება.

ზურგი. ცენტრში ხუთსტრიქონიანი ზედწერილია:

الله 21 ალლაჰს

محمد رسول الله მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა

المظفر الامير المظفر გამარჯვებული

ابو الحسن المنصور اليعاقبة ძღვეამოსილი აბუ ლ-ჰასან

علي بن جعفر 'ალი იბნ ჯა'ფარი

გარშემო, სქელი ხაზოვანი რკალის ქვემოთ: ყურანი IX₃₃.

418/1027-28 წლის დირჰემებზე აღნიშნულია ყველაზე გვიანდელი თარიღი 'ალი იბნ ჯა'ფარის 30 წელზე მეტი ხნის მმართველობისა და ამის შემდეგ, მისი მოღვაწეობის შესახებ, რაიმე ცნობა (წერილობითი თუ ნუმიზმატიკური) არ მოგვეპოვება.

'ალის მემკვიდრე იყო ჯა'ფარი. მას პირველად იხსენიებს „მატიანე ქართლისაჲ“ ქართველ და სომეხ მეფეებთან ერთად, როგორც მონაწილეს იმ დიდი ლაშქრობისა, რომელიც მოეწყო განჯის ამირას ფადლ იბნ მუჰამმადის²² (გარდ. XI. 1031 წ.) წინააღმდეგ. ამ ლაშქრობის სავარაუდო თარიღია 1030 წ.²³

ამ მონაცემებით, თბილისის ამირას ტახტზე ცვლილება 1028-1030 წლებში უნდა მომხდარიყო.

418 წ. დირჰემები თავისი ზედწერილებით (შინაარსი, სტრიქონთა განლაგება) ახლოს დგანან 413 წ. დირჰემებთან. შესაძლებელია, რომ სწორედ ამის გამო მიიჩნიეს ისინი მკვლევრებმა ერთტიპობრივად.

თბილისის განძის გამოცემის დროს, დ. კაპანაძემ ჩათვალა, რომ განძის ყველა მონეტა იყო ერთი და იმავე ტიპისა და ერთსა და იმავე წელს (418 წ.) მოჭრილი. ეს თვალსაზრისი მტკიცედ დამკვიდრდა ლიტერატურაში.²⁴ იგივე გამეორდა ქვახვრელის განძის გამოცემისას.²⁵ სინამდვილეში, როგორც თბილისის, ისე ქვახვრელის განძები შეიცავენ განსხვავებული ტიპის 413 და 418 წლების მონეტებს.

მიუხედავად იმისა, რომ მონეტების უდიდეს ნაწილზე თარიღი ნაშლილია, ან ჩამოჭრილი, მათი იდენტიფიკაცია, მცირე გამონაკლისის გარდა, შესაძლებელია. ამის საფუძველს იძლევა თითოეული სამონეტო ტიპისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები.

²¹ დ. კაპანაძის აღწერაში الله გამოტოვებულია. აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვა დათარიღებულ ეგზემპლარებზე, უმეტეს შემთხვევაში, ნაშლილია.

²² ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 296.

²³ V. Minorsky. Tiflis. – *EF*¹, vol. IV, გვ. 816; პ. თოფურია. *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI–XII საუკუნეებში*. თბ., 1975, გვ. 193.

²⁴ Д. Капанадзе. *Клад монет начала XI в...*, გვ. 74; Е. Пахомов. *Монетныеклады...*, გვ. 39; И. Джалагания. დასახ. ნაშრ., გვ. 16.

²⁵ მ. ანთაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 122, 125.

413 წლის დირჰემებისგან განსხვავებით, 418 წლის დირჰემების შუბლზე მხოლოდ ერთი ხაზოვანი რკალია (გარშემოვლებული ზედწერილის თავზე). ზურგის ცენტრალურ ზედწერილში აღარ გვხვდება სიტყვა ٤/١٠٢ (ძლიერება). სამაგიეროდ, ამ ზედწერილის პირველ სტრიქონად აღნიშნულია ٤/ლი-ლლაჰ (აღლაჰს).

განსხვავებული ხელით არის შესრულებული ამ მონეტების ზედწერილებიც. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს შემდეგი სიტყვების მოხაზულობაში:

სიტყვა	413 წ. მონეტაჰი	418 წ. მონეტაჰი
<p>وحده شريك له القادر محمد جعفر</p>	<p>وحده سرى له القادر محمد جعفر</p>	<p>وحده سرى له القادر محمد جعفر</p>

პალეოგრაფიული მონაცემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მონეტების იდენტიფიკაციისათვის, რომლებიც ძალზე გაცვეთილია და რომლებზედაც რამდენიმე, ზოგჯერ კი, მხოლოდ ერთი სიტყვაა შემონახული. პალეოგრაფიის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს, აგრეთვე, ტიპი თბილისის განძის მრავალი მცირედიამეტრიანი (7–14 მმ) მონეტისა, რომლებზედაც მოჭრის თარიღი საერთოდ არ არის აღნიშნული. ყველა ზემოდასახელებული ნიშნის მიხედვით, თბილისის განძში, დათარიღებული ეგზემპლარების გარდა, შეიძლება გამოიყოს 413 წლის 190²⁶ და 418 წლის 206 მონეტა.²⁷ ქვახ-

²⁶ სსმ, განძების ფონდი: 8263, 8273, 8277, 8279-81, 8284, 8286-87, 8289-90, 8295, 8303-04, 8308, 8317, 8320, 8323, 8325, 8343-44, 8349, 8352, 8354-55, 8360-61, 8363, 8365, 8367-68, 8375, 8380-81, 8390, 8393, 8397, 8405-06, 8408-13, 8415, 8417, 8420, 8423-28, 8422, 8435, 8437-38, 8440, 8445, 8449, 8451-58, 8463-66, 8468-69, 8474-77, 8480, 8482-85, 8487-93, 8496, 8498, 8500-01, 8503-06, 8508-09, 8511-14, 8516-18, 8523-24, 8527-28, 8530, 8533-34, 8539-40, 8543, 8547, 16928-33, 16935, 16939-40, 16945-47, 16951, 16953-56, 16958, 16962, 16965, 16969-70, 16973, 16976, 16979-80, 16983-84, 16987, 16989, 16991-96, 17000-1, 17003-9, 17011, 17013, 17015-18, 17020, 17022-25, 17027-29, 20807, 20816-17, 22470, 22472-73. სპ 33 16916-17. ამავე ტიპისაა, აგრეთვე, სსმში პახომოვის კოლექციიდან შემოსული ორი მონეტა (ქართული ფულების ძირითადი ფონდი, 5885-86).

²⁷ სსმ, განძების ფონდი: 8252-60, 8262-72, 8274-75, 8278, 8291-94, 8296-98, 8300-02, 8305-07, 8309-16, 8319, 8322, 8324, 8328-35, 8337, 8340-42, 8346-48, 8351, 8356-58, 8364, 8366, 8369-74, 8376-79, 8382-89, 8392, 8394-96, 8398-8402, 8407, 8414, 8416, 8429, 8433-34, 8436, 8439, 8441-44, 8446-48, 8459-62, 8467, 8470-73, 8478-79, 8481, 8486, 8494-95, 8497, 8499, 8502, 8507, 8510, 8515, 8519-22, 8525-6, 8529, 8531-32, 8535-37, 8541-42, 8544-46, 16937-38,

ვრელის განძში (სადაც მხოლოდ ერთ დირჰემზე შემოინახა თარიღი – 418 წ.) კი – შესაბამისად 6²⁸ და 3²⁹ მონეტა.³⁰

413–418 წწ. დირჰემების სამონეტო ლითონის შედგენილობა ერთგვაროვანია. ისინი დამზადებულნი არიან ბრინჯაოსგან და ვერცხლის თხელი ფენითაა დაფარული. ეს გამოვლინდა ლაბორატორიული ანალიზით, რომელიც ჩაატარებინა დ. კაპანაძემ³¹ და, ვფიქრობთ, რომ არ არსებობს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ მის სისწორეში.³²

მონეტის გაფუჭება დამახასიათებელია 'ალი იბნ ჯა'ფარის სამონეტო პოლიტიკისათვის. მისი ყველაზე ადრეული 387/996-97 წ. დირჰემი დაბალი (560) სინჯისაა,³³ რითაც მნიშვნელოვნად განსხვავდება აბასიანთა და ჯა'ფარიანთა მაღალხარისხიანი დირჰემებისგან, რომლებიც იჭრებოდა

16942-44, 16948-50, 16952, 16957, 16959-61, 16963-64, 16966-68, 16971-72, 16974-75, 16977-78, 16981-82, 16985-86, 16988-90, 16997-99, 17002, 07010, 17012, 17014, 17019, 17021, 17026, 17031, 20810-15, 20818, 22471, 22474-78. მსსხმ: 190539, 190540. გათვალისწინებული არ არის მსმის სამი ეგზ. თბილისის განძიდან, რომელთა ნახვაც ვერ მოვახერხეთ. გარდა ამისა, არ მოხერხდა თბილისის განძის უაღრესად გაცვეთილი და მცირე დიამეტრიანი 12 მონეტის (8299, 8418-19, 8421-22, 8430-31, 8450, 8538, 16934, 16936, 16941) ტიპის დადგენაც.

²⁸ სსმ, განძების ფონდი 18786, 18788-90, 18792-93.

²⁹ სსმ, განძების ფონდი 18791, 18794-95.

³⁰ ზემოთ დასახელებული იყო 'ალი იბნ ჯა'ფარის 15 დირჰემი, რომლებიც 1959 წ. გადაეცა მსსხმ-ს. აღნიშნული დათარიღებული ეგზემპლარების გარდა, 10 უთარიღო მონეტიდან 413 წ. სამონეტო ტიპს მიეკუთვნება 199984, 199986 და 199994, ხოლო 418 წ. სამონეტო ტიპს კი – 199982, 199987-92.

³¹ Д. Капанадзе. *Клад монет начала XI в...*, გვ. 72.

³² ი. ჯალალანია (დასახ. ნაშრ. გვ. 66) აღნიშნავს, რომ 1974 წ. თბილისის განძის მონეტები შეამოწმეს სასინჯო პალატის სპეციალისტებმა, რომლებმაც გამოიტანეს დასკვნა, რომ ისინი, შედარებით, დაბალი სინჯის ვერცხლისგან არიან დამზადებულნი. სამწუხაროდ, ანალიზის აქტი სსმ-ის ნუმისმატიკის განყოფილებაში ვერ მოვიძიე და ჩემთვის უცნობი დარჩა, თუ როგორი იყო კონკრეტულად ეს დაბალი სინჯი. შავ სასინჯო ქვაზე განძის 10 მონეტის (413 წ. სამონეტო ტიპის 8283, 8304, 8321, 20809 და 418 წ. სამონეტო ტიპის 8285, 8304, 8321, 8362, 22471) ახალმა ანალიზმა მოგვცა მხოლოდ ვერცხლის კვალი (1986 წ. თებერვლის ანალიზის აქტი, რომელსაც ხელს აწერს სასინჯო ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი მ. ბეგიაშვილი, ინახება სსმ-ის ნუმისმატიკის განყოფილებაში. ასეთ შემთხვევაში მონეტა ან მოვერცხლილია, ანდა მისი სინჯი 500-ზე დაბალია. ვინაიდან შავ ქვაზე ანალიზით ლითონის შედგენილობა არ ირკვევა, დამატებითი კონსულტაციისათვის მივმართე სსმ-ის ქიმიური ლაბორატორიის გამგეს რ. ბახტაძეს. მის მიერ III და IV ტიპის მონეტების (№№8283, 8285) მიკროსკოპიულმა შესწავლამ შლიფზე აჩვენა, რომ ისინი დამზადებულია ბრინჯაოსგან და დაფარულია 100 მიკრონზე ნაკლები სისქის ვერცხლის ფენით. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ დირჰემზე (მაგალითად, 16787) მოვერცხლილი ზედაპირი ხმარებისგან ისეა გაცვეთილი, რომ სპილენძის მონითალო ფერი შეუიარაღებელი თვალითაც კი კარგად ჩანს.

³³ Д. Капанадзе. *Клад монет начала XI в...*, გვ. 72.

თბილისში IX–X სს-ში. მოგვიანებით, XI ს. 20-იანი წლების დასაწყისიდან, არსებული მასალის მიხედვით, აქ დაიწყო მოვერცხლილი დირჰემების გამოშვება. ამ მოვლენას დ. კაპანაძე ხსნიდა თბილისის მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით.³⁴ ამასთან ერთად, სამონეტო კრიზისი თბილისის საამიროში შეიძლება აიხსნას ე.წ. ვერცხლის კრიზისით, იმ გლობალური მოვლენით, რომელიც დამახასიათებელი გახდა მუსლიმური სამყაროსათვის უზარმაზარ ტერიტორიაზე შუა აზიიდან ესპანეთამდე.³⁵

აღსანიშნავია, რომ ლევანტსა და მცირე აზიაში 970 წლისათვის ვერცხლის მონეტა იჭრებოდა 12-ზე მეტ ზარაფხანაში. შემდეგ მისი ემისია იშვიათი გახდა და მთლიანად შეწყდა 1027-28 წწ. უფრო ადრე 1019-20 წწ. ვერცხლის მონეტის ჭრა შეწყდა იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ბუვეიჰელთა კონტროლს ექვემდებარებოდნენ.³⁶

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ თბილისისა და ქვაზვრელის განძები დაკომპლექტებულია მხოლოდ ჰიჯრის 413–418 წწ. მონეტებით.³⁷ ის, რომ განძებში არ მოხვდა უფრო ადრეული ხანის სხვა ტიპის დირჰემები, ვფიქრობთ, არ ანდა იყოს შემთხვევითი. XI ს. 20-იანი წლების დასაწყისში ისინი, ალბათ, უკვე ამოღებული იყვნენ მიმოქცევიდან. ამ პერიოდის თბილისის საამიროს ფულის მიმოქცევაში გაბატონებული ადგილი ეჭირა დაკა-

³⁴ იქვე, გვ. 76, 77.

³⁵ ვერცხლის კრიზისის შესახებ. იხ. E. A. Давидович. Из области денежного обращения в Средней Азии XI–XII вв. – *НЭ*, т. II, М., 1960, გვ. 92-117; Б. М. Сайпанов. Проблема “серебряного кризиса” денежного обращения на Востоке в нумизматической литературе. – *Вестник Московского университета (История)*. 1976, № 1, გვ. 53-65. R. Blake. The Circulation of Silver in the Moslem East down to the Mongol Epoch. – *HJAS*, 1937, vol. 11, გვ. 291-328. A. M. Watson. Back to Gold – and Silver. – *The Economic History Review*, Second series, 1937, vol. XX, No. 1, გვ. 1-34. საქართველოში ვერცხლის კრიზისის შესახებ იხ. ნ. ქოიავა. ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში – *ენიმკის მოამბე*, ტფ., 1938, III, გვ. 99-110; მ. გაბაშვილი. *საქართველოს ქალაქები XI–XII საუკუნეებში*. თბ., 1981, გვ. 148-165.

³⁶ A. M. Watson. დასახ. ნაშრ., გვ. 2.

³⁷ ჰიჯრის 414–417 წწ. მონეტები ჯერჯერობით არ გვხვდება. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ამ წლებში თბილისის ზარაფხანა არ მოქმედებდა. როგორც ამერიკელი ნუმისმატი მ. ბეიტსი აღნიშნავს, ახლო აღმოსავლეთში შუა საუკუნეებში ზარაფხანა ყოველთვის პასუხობდა მოთხოვნებს. როცა სახელმწიფოს ანდა კერძო პირებს ჰქონდათ სამონეტო ლითონი და სანაცვლოდ სურდათ მიეღოთ მონეტა, ზარაფხანა ჭრიდა მათთვის მონეტას. თუ გარკვეულ პერიოდში ამით არც ერთი მხარე არ იყო დაინტერესებული, ზარაფხანა არ მოქმედებდა. M. L. Bates. Islamic Numismatics. General problems in Islamic Numismatics. Content and Form of Inscriptions on Islamic Coins. – *MESA Bulletin*, 12/3, 1978, გვ. 10. მეორე მხრივ, არც ის არის გამორიცხული, რომ 414–417 წლებში გამოდიოდა 413 წ. დაკანონებული სამონეტო ტიპის სერიული მონეტები. ასეთი პრაქტიკის შესახებ შუა აზიაში იხ. E. A. Давидович. Материалы для характеристики чекана и обращения среднеазиатских медных монет XV в. – *НЭ*, т. V, М., 1965, გვ. 241.

ნონებულ ფალსიფიკატებს – მოვერცხლილ დირჰემებს, რომლებიც გადახდის საშუალებად გამოიყენებოდნენ საამიროს ფარგლებს გარეთაც. ამას კარგად მონმოვს ქვახვრელის განძი.

ზემომოტიანილი ოთხი ტიპის დირჰემების დათარიღება ზუსტია, ან მეტნაკლებად ზუსტი (პნს-ს ეგზემპლარი). გვრჩება კიდევ ორი ტიპის დირჰემები, რომლებზედაც თარიღებად შეორჩენილია მხოლოდ ასეულები. ჩემი აზრით, მათი გამოშვება წინ უსწრებდა III ტიპის დირჰემების მოჭრას, მაგრამ ტექნიკურად უფრო ადვილია, რომ ისინი ბოლოში განვიხილო.

V ტიპი

1 AR ჰიჯრის 4 xx წ. 27 მმ, 4,75 გ. სოსმ 13896 (38988-125) ლ. მ. სანოიანის (ლენინაკანი) ყოფილი კოლექციიდან. მონეტის პირველი მოკლე აღწერა (ფოტოსურათის გარეშე) ეკუთვნის ხ. მუშელიანს.³⁸ სრულ აღწერას ვიძლევი მის მიერ გამოგზავნილი ფოტოსურათისა და თაბაშირის ანაბექდის მიღებით.

შუბლი. ცენტრში ხუთსტრიქონიანი ზედწერილია.

عدل 'ადლ (სამართლიანობა, მართლმსაჯულება)

لا اله الا ارس ლვთაება, გარდა

الله وحده ალლაჰისა ერთისა,

لا شريك له არა ჰყავს მას მოზიარე

... القادر [ა]ლ-კადირ.....

გარშემო, ბრტყელი ხაზოვანი რკალის ქვემოთ, ზედწერილის ფრაგმენტია:
بسم الله ضرب [أ]... ربعمائة

სახელითა ალლაჰისა, მოიჭრა ... 4xx წელს

ზურგი. ცენტრში ექვსსტრიქონიანი ზედწერილია:

عدل 'ადლ

محمد رسول الله მუჰამმადი მოციქულია

الله الامير ალლაჰისა, ამირა

المظفر المنصور გამარჯვებული, ძლევამოსილი

علي بن جعفر 'ალი იბნ ჯა'ფარი

منصورى მანსური

გარშემო ჩამოჭრილია.

³⁸ X. A. Мушегян. Нумизматическая коллекция из Ширака. – *Вестник общественных наук АН Армянской ССР*, 1979, № 7, გვ. 93, №197 (на армянском яз.)

არსებობს ამ ტიპის კიდევ ერთი მონეტა.

1970 წელს თბილისელმა მოქალაქემ, მეზადურმა ი. გ. ბრატკომ სსმ-ს გადასცა მდ. მტკვრის კალაპოტში ნანახი 'ალი იბნ ჯა'ფარის 5 მონეტა (განძები №№ 12728-32). მოგვიანებით, ი. ჯალალანიამ ისინი მიაკუთვნა თბილისის განძს იმ მოსაზრებით, რომ ყველა ეს მონეტა ტიპით, ფაქტურით და შენახვის თვალსაზრისით იდენტური იყო თბილისის განძის სხვა მონეტებისა,³⁹ მაგრამ ამ მონეტების ხელახალმა შესწავლამ სხვა შედეგები მოგვცა. აღმოჩნდა, რომ 5-დან 2 ეგზემპლარი (12728, 12729) ახალი ტიპისაა, რომელთა მსგავსიც საერთოდ არა გვხვდება თბილისის განძში.⁴⁰ ერთი მათგანი (2) სოსმ-ის ეგზემპლარის იდენტურია (მეორის შესახებ იხ. ქვემოთ).

2. AR. თარიღი ჩამოჭრილია. 18 მმ, 4,84 გ. სსმ, განძები 2728 (ტაბ. 9).

შუბლი და ზურგი. ცენტრალური ზედწერილები V ტიპის 1-ის მსგავსია, მაგრამ მათი ბოლო სტრიქონები ჩამოჭრილია და თვით წარწერებიც ძალზე დაზიანებული. შუბლზე შემორჩენილია გარშემოვლებული ზედწერილის ფრაგმენტი:

... ضرب هذا

...მოიჭრა ეს...

ზურგის გარშემოვლებული ზედწერილი ჩამოჭრილია.

ამრიგად, სახეზეა ახალი საინტერესო სამონეტო ტიპი. ამ ტიპის მონეტებზე ამირა ატარებს ორმაგ ლაკაბს, მაგრამ მას არა აქვს ქუნია. სიახლეს წარმოადგენენ სიტყვები: 'ადლ (სამართლიანობა, მართლმსაჯულება) – შუბლისა და ზურგის ცენტრალური ზედწერილის პირველი სტრიქონიდან მანსური (მანსურიული, ძლევა მოსილი) – ზურგის ცენტრალური ზედწერილის ბოლო სტრიქონი. ეს უკანასკნელი მოტანილია მიმართებითი სახელის (ისმ ალ-მანსუბ) ფორმით. მისი მსგავსი სიტყვები (მაგ., იამინი, ნასირი და სხვ.) პირველად ჩნდება ლაზნევიანთა მონეტებზე. გვხვდება ისინი სხვა დინასტიების, მაგ., კარახანიანთა მონეტებზეც. ამ სიტყვების მნიშვნელობის შესახებ ნუმისმატებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ გამოთქმული⁴¹. პირადად ჩემთვის, 'ალი იბნ ჯა'ფარის მონეტებზე მანსურის გაჩენის მიზეზი ჯერჯერობით უცნობი რჩება.

³⁹ И. Л. Джалагания. დასახ. ნაშრ., გვ. 65.

⁴⁰ დანარჩენი სამიდან ერთი – 12730, 418 წ. სამონეტო ტიპისაა. ორი ეგზემპლარის – 12731-32 – ტიპის განსაზღვრა მათი მცირე დიამეტრის გამო არ მოხერხდა. გარდა ამისა, აღვნიშნავთ 413 წ. სამონეტო ტიპის კიდევ ერთ დირჰემს – 9563, რომელიც ი. გ. ბრატკომ 1956 წ. გადასცა სსმ-ს.

⁴¹ Е. А. Давидович. Нумизматические материалы для хронологии и генеалогии среднеазиатских Караханидов. – *Нумизматический сборник*. М., 1957, გვ. 94-96. მისივე. *Денежное хозяйство Средней Азии в XIII веке*. М., 1972, გვ. 23-28; К. А. Luther. Notes on 'Ala' al-Din Muhammad's coinage of Transoxiana. – *ANS MN*. vol. X, New-York, 1962, გვ. 126-135.

როდის არის გამოშვებული V ტიპის მონეტები?

სოსმ-ის ეგზემპლარზე შემორჩენილი თარიღი და ხალიფას სახელი (ალ-კადირი) მიუთითებენ, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო როგორც ჰიჯრის 400/1009-10 წ., ისე – მოგვიანებითაც, XI ს. 20-იანი წლების მიწურულამდე. მაგრამ, ვინაიდან აღნიშნული მონეტები ჯერ კიდევ ვერცხლისაა (სსმის ეგზემპლარის სინჯია 700) და ისინი არ შევიდნენ თბილისის განძში, მათი მოჭრის თარიღად ჰიჯრის 400–412/1009-10–1021-22 წლები უნდა ვიგულისხმოთ. შეიძლება თუ არა, რომ ეს მონეტები მოჭრილიყო უფრო გვიან, 1028–1030 წლებში? ვფიქრობ, რომ – არა. საამიროს მძიმე ეკონომიკურ პირობებში და ვერცხლის კრიზისის აღმავლობის ხანაში ნაკლებად სარწმუნოა, რომ თბილისის ამირას შეენწყვიტა სპილენძის მოვერცხლილი დირჰემების გამოშვება და განეახლებინა ვერცხლის მონეტის ემისია.

VI ტიპი

1 AR ჰიჯრის 4xx წ. 17,5 მმ. 3, 82 გ. პე №6597 (ტაბ. 10).

ეს მონეტა პირველად გამოსცა ა. მარკოვმა და შეცდომით მიაკუთვნა შადადიანებს.⁴² მისი კუთვნილება სწორად განსაზღვრა დ. კაპანადემ.⁴³

შუბლი. ცენტრალური ზედწერილი ისეთივეა, როგორც 413 და 418 წწ. მონეტებზე. მაგრამ სიტყვა ǰ-ის გარეშე. გარშემო, ხაზოვანი რკალის თავზე შემორჩენილია ზედწერილის ფრაგმენტი:

... على الدين كله ...

... 4xx [წელს]

ზურგი. ცენტრალური ზედწერილი ისეთივეა, როგორც 413 წ. მონეტებზე, მაგრამ ǰ-ის გარეშე. გარშემოვლებულ ზედწერილში იკითხება ყურანის IX სურის 33-ე აიას ფრაგმენტი

... على الدين كله ...

... ყველა რელიგიაზე ...

დ. კაპანადემ პის ეგზემპლარი მიაკუთვნა 418 წ. სამონეტო ტიპს.⁴⁴ მსგავსება მათ შორის (ისევე, როგორც 413 წ. სამონეტო ტიპთან), რა თქმა უნდა, არის. მაგრამ ამავე დროს არის განსხვავებაც. არსებობს ამ ტიპის ვარიანტი (2). ის იყო იმ მონეტების რიცხვში, რომლებიც 1970 წ. მუზეუმს გადასცა ი. გ. ბრატკომ (იხ. ზემოთ).

⁴² А. К. Марков. *Инвентарный каталог мусульманских монет императорского Эрмитажа*. СПб., 1896, გვ. 3096, №1.

⁴³ Д. Капанадзе. *Клад монет начала XI в...* გვ. 74.

⁴⁴ იქვე.

№2 AR. მოჭრის თარიღი ნაშლილია. 11 მმ, 0,98 გ. სსმ, განძები №12729 (ტაბ. 11).

შუბლი და ზურგი. ცენტრალური ზედწერილები ისეთივეა, როგორც VI ტიპის პირველ მონეტაზე. ზურგის ცენტრალური ზედწერილის თავზე მოთავსებულია მსხვილი ამოხედილი წერტილი. გარშემოვლებული ზედწერილები ორივე მხარეზე ნაშლილია.

VI ტიპის მონეტების ანალიზმა შავ სასინჯ ქვაზე მოგვცა, შესაბამისად, 500 და 700 სინჯი. მოჭრის თარიღის ფრაგმენტი ჰმ-ს ეგზემპლარზე მონიშნავს, რომ ისინი მოიჭრა ჰიჯრის 400/1009-10 წ. ანდა მის შემდეგ. იმავე მიზეზების გამო, რომლებიც დასახელებული იყო V ტიპის მონეტების დათარიღების დროს, მე ვთვლი, რომ მათი მოჭრა არ შეიძლებოდა მომხდარიყო ჰიჯრის 412 წელზე გვიან.

ზემოგანხილული მონეტები წარმოადგენენ ‘ალი იბნ ჯა‘ფარის მმართველობის ხანის ერთადერთ ნივთიერ ძეგლებს, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. ‘ალი იბნ ჯა‘ფარის მემკვიდრეები კიდევ ნახევარი საუკუნის მანძილზე ფლობდნენ თბილისს, მაგრამ მათი მონეტები უცნობია. ისინი დღემდე არ არის აღმოჩენილი. არ არის გამორიცხული, რომ უკანასკნელი ჯა‘ფარიანები იძულებულნი იყვნენ უარი ეთქვათ საკუთარი მონეტის ქრაზე. მომავალი კვლევა-ძიება, იმედია, ნათელს მოჰფენს ამ საკითხს.⁴⁵

⁴⁵ [Addenda: 2009 წ. ცნობილი გახდა ზემოხსენებული ალი ბ. ჯა‘ფარის ვაჟის – ჯა‘ფარ III ბ. ‘ალის მონეტები (Turkia S., Paghava I. The Coinage of Ja‘far III B. ‘Alī, Emir of Tiflis. – Journal of Oriental Numismatic Society, №197, Autumn 2008. გვ. 5-11), ხოლო რადენიმე წლით ადრე – 2005 წ. ‘ალი ბ. ჯა‘ფარის შვილიშვილის – აბუ ნასრ მანსურ (II) ბ. ჯა‘ფარის (დაახლ. 438/1046-461/1068) სპილენძის მონეტები (Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas im Orientalischen Münzkabinett Jena. Bearbeitet von Tobias Mayer. Mit Beiträgen von Stefan Heidemann und Gert Rispling. Wiesbaden, 2005, გვ. 110. 1005-1106 (5.46 და 2.83 გვ). ამ უკანასკნელებზე იკითხება აბასიანი ხალიფას ალ-კა‘იმ ბი-ამრ-ალლაჰის (422/1030-467/1074) სახელიც. როგორც ვხედავთ, ალი ბ. ჯა‘ფარის შთამომავლები განაგრძობდნენ მონეტების ემისიას].


ON THE COINS OF THE TBILISI AMIR 'ALI B. JA'FAR

Amir 'Ali b. Ja'far (end of the 10th -1020s) was one of the representatives of the Arab dynasty of Ja'farids (Banu Ja'far) that established themselves in Tbilisi (Georgia, South Caucasus) in *ca* the 880s, ruling the city for two centuries. Like many independent Muslim rulers of the Middle East and Caucasus of the 10th-11th centuries, the Ja'farids minted their own coins which are of major importance for the study of the history and chronology of this dynasty. In particular, they have preserved the names of some Ja'farid amirs, and it is thanks to coin data that the time of rule of 'Ali b. Ja'far himself – very rarely mentioned in written sources – is determined.

The extant coins of 'Ali b. Ja'far, minted in AH 386/A.D.996-97 AD – AH 418/1027-28 AD, are most numerous in comparison with the pieces of the other Ja'farids. Over 460 of his dirhams are preserved in Georgian and foreign museum collections. They have repeatedly claimed the attention of scholars and it has been generally accepted that three different types of dirhams were struck in the name of this amir. However, a complex study of 'Ali b. Ja'far's numismatic relics, conducted in the present article, has revealed that the number of his coin-types is in reality much larger. The article presents detailed descriptions of six types.

The emission of 'Ali b. Ja'far coins may be divided into 2 groups according to metal composition: coins of the earlier group made of silver, issued from AH386/996-97AD and not later than AH412/1021-22AD (types I, II, V, VI) and dirhams struck in silver-plated copper in AH413/1022-23AD and 418/1027-28 AD. The differences and criteria of defining the AH 413 and AH 418 issues are discussed and on this ground new determination of the composition of 'Ali b. Dja'far's two hoards – that of Tbilisi of 1953 and Kvakhvrelis of 1978 – is presented.

ტაბულა



НОВЫЕ ДОБАВЛЕНИЯ К РАБОТЕ Э. ЦАМБАУРА “DIE MÜNZPRÄGUNGEN DES ISLAMIS”*

В 1971 г. американский нумизмат Г. К. Майлс опубликовал список 55 исламских монетных дворов, не зафиксированных в фундаментальном труде Э.Цамбаура¹, которые были выявлены различными нумизматами, в том числе и самим Майлсом в 1943-1971 гг. (уже после завершения труда Цамбаура)².

Предлагаемый нами список добавлений к работе Э.Цамбаура содержит еще 110 исламских монетных дворов, функционировавших к западу от Индии. Часть их отмечена в советской и зарубежной нумизматической литературе до 1971 г., остальные открыты и идентифицированы после этого.

Принимая во внимание многочисленность нумизматических публикаций, можно предположить, что и наши добавления не являются исчерпывающими³.

1. **آمعدن** – . Ам‘адан: в Марокко, на севере-востоке от Дабду. (Идрисиды).
D. Eustache Les ateliers monétaires du Maroc. – *Hespéris-Tamuda*. Rabat, 1970, vol. 11, с. 96, №5.
2. – **آوه** . Аве: в Джибале (Иран). (Великие Сельджуки).
C. Alptekin *Selçuklu paraları*. Ankara, 1971, №146; Т. Ходжаниязов. *Денежное обращение в государстве Великих Сельджуков*. Ашхабад, 1977, с. 109.
3. **اوج** – . Удж, или **اوج** Ёдж: в Восточном Туркестане (Учтурфан). (Караканиды).
- Б. Кочнев. Заметки по средневековой нумизматике Средней Азии. – *ИМКУ*, 1978, вып.14, с. 124-125.
4. **اخالسبخ** – . Ахālсїх, или **اخلسبخ** Ахалсїх: Ахалцихе (Грузия). (Ильханы).

* Статья впервые была опубликована в 1982 г. - Nouvelles additions a l'ouvrage de Zambaur, Die Münzprägungen des Islams. - *BEÖ*, tomes XXXII-XXXIII, Damas, années 1980-1981, с. 89-97; На русском яз. в 1984 г. – *ЭВ*, XII, 1984, с. 80-83.

¹ E. Zambaur. *Die Münzprägungen des Islams*. Wiesbaden, 1968.

² G.C. Miles. Additions to Zambaur's Münzprägungen des Islams. – *ANS MN*, 1971, vol. 17, с. 229-233.

³ В ходе работы над русской версией статьи мы получили ряд полезных советов и замечаний от Е.А. Давидович, за что приносим ей искреннюю благодарность.

Т. Ломоури. Ахалцихский монетный двор. – *Вестник Гос. музея Грузии*, 1944, т. XII-B, с. 213-216. На груз. яз. с рус. рез.

5. اردو همايون . – Ордӯ Хумайӯн, или اردوى همايون Ордӯ-йи Хумайӯн “Царственный лагерь”, походный монетный двор. (Тимуриды, Османы).

A. Schaendlinger. *Osmanische Numismatik*. Braunschweig, 1973, с. 56; S. Album. A Hoard of Silver from the Time of Iskander Qara-Qoyunlu. – *NCh*, 1976, vol. 16, с. 118-119.

6. أرض الخزر . – Ард ал-Хазар: местонахождение неизвестно. У Э. Цамбаура: أرض الخير Ард ал-хайр. (Хазары).

A. А. Быков. О хазарском чекане VIII-IX вв. – *Труды Гос. Эрмитажа*, 1971, т. 12, с. 26-36.

7. اصيلا . – Асйла, или اصيلا مدينة Мадйна Асйла: Арзила (Марокко). (Идрисиды, Мариниды).

D. Eustache. *Les ateliers...*, с. 96, №3; M. Mitchiner. *Oriental coins and their values*. London, 1977, с. 19, 111.

8. انبير – Анбйр, в Джузджане (Хорасан). (Арабо-сасанидские, Омейяды).

P. Balog. An Umayyad dirham struck in 79 H. at Anbir in Juzjan, Khurasan. – *AION*, 1970, vol. 30/4, p. 550-558; H. Gaube. *Arabo-Sasanidische Numismatik*. Braunschweig, 1973, с. 84-85.

9. اوشنى – Ёшнй: Ушнувийа. Юго-западнее оз. Урмия (Иран). (Кара-Коюнлу).

S. Album. *A Hoard...*, с. 134, 138.

10. بادكويه . – Бадкӯба: Баку (Азербайджан). (Османы).

Е. Пахомов. *Монетные клады Азербайджана и других союзных республик, краев и областей Кавказа*. Баку, 1949, т. 4, №1246.

11. باراب – Бārāб: город и область в среднем течении р. Сыр-дарья. По Э. Цамбауру варианты: فارب Фāраб и فراب Фārāб (Саманиды, Хорезмшахи, Ануштегиниды).

